

K224723  
3



პოლონ მახარაძე

ქართული  
ნოქანგისძე



საქართველოს  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ქართული სემანტიკა

ბურთასი დედის  
ასინეთ მასარამის ხსოვნას  
გუძღვნი ამ წიგნს

აკოდონ მახარაძე



# ქართული რომანტიზმი

მესამე უმეცხველი და უმეცხველი გამოცემა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1967

წიგნში წარმოდგენილია ქართული რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

შესაველ ნაწილში მოცემულია ამ მიმდინარეობის საერთო მიმოხილვა; ნაჩვენებია მისი იდეურ-თემატიკური სფერო და დამახასიათებელი ნიშნები. მომდევნო თავებში ქრონოლოგიური წესით განხილულია ქართული რომანტიზმის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენლის შემოქმედება.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

სკპ-2000  
შეპოწმებულია



## მეორე ბამოცემის წინასიტყვაობა

მდიდარი და მრავალფეროვანია ძველი ქართული მწერლობა. იგი საუკუნეების განმავლობაში ქართველ ხალხს მხნეობას უნერგავდა შრომასა და ბრძოლაში. იგივე ძველი მწერლობა ნათელი დადასტურებაა იმ მაღალი სულიერი კულტურისა, რომელსაც ქართველი ხალხი უძველესი დროიდან ქმნიდა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურული ძველი ქართული მწერლობის დასასრულია. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, დიდი ტრადიციის მქონე ქართული ლიტერატურა განვითარების ახალ გზაზე გამოდის. ლიტერატურული პროდუქციის თვალსაზრისით მეცხრამეტე საუკუნე განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ქართულ მწერლობაში რომანტიკული მიმდინარეობის გაბატონებით აღინიშნება. ქართული რომანტიზმი სრულიად გარკვეული, ჩამოყალიბებული და ძლიერი ლიტერატურული მიმდინარეობაა. მისი საწყისები აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაშია, ხოლო გადმონაშთები მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე აღწევს.

ქართული რომანტიზმის ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა თავისთავად მიუთითებს მისი მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობაზე. ამ საქმეს საფუძველი ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილებით. იმ დროიდან მოყოლებული ინტერესი აღარ შენელებულა და ამ მიმდინარეობის შესასწავლად ბევრიც გაკეთდა. გამოქვეყნდა მთელი რიგი ნარკვევები ქართველ რომანტიკოსებზე — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვ. მაგრამ ქართული რომანტიზმის საფუძვლიანი შესწავლისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

წინამდებარე ნაშრომში ქართული რომანტიზმი შედარებით მთლიანი სახით არის წარმოდგენილი. შესავალ ნაწილში მოცემულია ამ მიმდინარეობის საერთო მიმოხილვა, ნაჩვენებია მისი იდეურ-თემა-



ტიკური სფერო და დამახასიათებელი ნიშნები. შემდეგ ქრონოლოგიური წესით განხილულია ქართული რომანტიზმის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენელი.

„ქართული რომანტიზმი“ პირველად 1948 წელს გამოქვეყნდა. წინამდებარე გამოცემა საგრძნობლად გაერცობილია. შევსებული და გაფართოებულია, კერძოდ, წიგნის ის ნაწილები, რომლებშიც განხილულია გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დავით მაჩაბლის შემოქმედება. ამ გამოცემაში პირველად არის წარმოდგენილი ალექსანდრე ორბელიანისა და მამია გურიელის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვა. დაინტერესებული მკითხველი იმასაც შენიშნავს, რომ ზოგიერთი ცვლილება შრომის სხვა ნაწილებშიც არის შეტანილი, რაც ცალკეულ მოვლენათა დაზუსტების ან ახლებურად წარმოდგენის მიზანს ემსახურება.

ა. ა. შახარაძე

თბილისი

1959 წლის 4 დეკემბერი

## მესამე გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოცემაში პირველად იბეჭდება თავები: „სოლომონ დოდაშვილი“, „გრიგოლ რჩეულიშვილი“ და „ქართველი რომანტიკოსები და „ვეფხისტყაოსანი“.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლად და საფუძვლიანადაა გაშუქებული სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობა. ეს ბუნებრივია, რამდენადაც იგი პირველ ყოვლისა ფილოსოფოსია, მრავალსაუკუნოვანი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ღირსეული მემკვიდრე და განმგრძობი. მაგრამ სოლომონ დოდაშვილი აგრეთვე საპატიო ადგილს იკავებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი თავისი დროისათვის საყოველთაოდ აღიარებული ნიჭიერი მწერალი, კრიტიკოსი და ჟურნალისტია.

წინამდებარე ნაშრომში სოლომონ დოდაშვილი შესწავლილია ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის თვალსაზრისით. აქ გაშუქებულია ს. დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი დამახასიათებელი მომენტები და განხილულია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი საკითხები.

გრიგოლ რჩეულიშვილის მხატვრული შემოქმედება ყოველთვის იქცევადა მკვლევართა ყურადღებას. წინამდებარე ნაშრომში გრიგოლ რჩეულიშვილი აღიარებულია როგორც ქართული რომანტიკული პროზის ერთ-ერთი წარმომადგენელი და ამ ნიშნის მიხედვით გარკვეულია მისი ადგილი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

წიგნის უკანასკნელ ნაწილში იბეჭდება „ქართველი რომანტიკოსები და „ვეფხისტყაოსანი“. ავტორის მიზანია აჩვენოს ქართველ რომანტიკოსთა მიმართება შოთა რუსთაველისა და მისი გენიალური პოემისადმი. ამ თვალსაზრისით ნაშრომში განხილულია ალექსანდრე ჭავჭავაძის, ალექსანდრე ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილისა და ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამ რიგის მასალების გათვალისწინება ერთხელ კი-





დედ ნათელს მოჰყენს მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ბუნებრივ კავშირს ძველ ქართულ მწერლობასთან. მის სახელოვან ტრადიციებთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნაშრომმა ზოგიერთი სხვა ცვლილებაც განიცადა. სახელდობრ, გასწორდა და შეივსო პირველი თავი, რომელშიც მოცემულია ეპოქის მიმოხილვა და ქართული რომანტიზმის ძირითადი მოტივების საერთო დახასიათება. ამასთანავე მთელს წიგნში რედაქციულად გასწორდა რიგი ადგილები.

აბ. შახარაძე

თბილისი

1967 წლის 14 იანვარი

## ქართული ღიზიკაზუკა მუხსიამუხუ სიუქუნის პიკვილ ნიხუვიკი

### I

მეცხრამეტე სიუქუნის დამდეგიდან ქართველი ხალხის ცხოვრებაში არსებითი მნიშვნელობის გარდატეხა მოხდა. 1801 წლის 12 სექტემბერს გამოვიდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომლითაც საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი საბოლოოდ გადაწყდა- საქართველო, რომელიც საუქუნეების მანძილზე ურთიერთობაში იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, მათ კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებასთან, ამიერიდან მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთს.

რუსეთთან დაახლოებით ქართულ ლიტერატურაში გზა გაეხსნა ახალ მიმართულებას. დიდი ტრადიციის მქონე მწერლობა განვითარების ახალ გზაზე გამოვიდა. მეცხრამეტე სიუქუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობა გარკვევით ატარებს ერთი მხრივ ძველი ქართულის, ხოლო მეორე მხრივ რუსული და ევროპული ლიტერატურის გავლენის ნიშნებს.

კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მეცხრამეტე სიუქუნის პირველ ნახევარში საქართველოში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს. ამ ეპოქაში პირველად შეიქმნა პერიოდული პრესა, დაარსდა ახალი ქართული თეატრი; მართალია, მეტად შეზღუდულად, მაგრამ მიანიც გაიშალა სახალხო განათლების ქსელი, ჩამოყალიბდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი და სხვ. ძველი ყოფა-ცხოვრების რღვევამ და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებამ ხელი შეუწყო დიდი მხატვრული პროდუქციის შექმნას.

მეცხრამეტე სიუქუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის განვითარების გზების გასაგებად აუცილებელია ვათვალისწინება იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენებისა, რომელნიც ამ ეპოქისთვის არსებითი და დამახასიათებელია.



საქართველოს რუსეთთან შეერთებას მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი წინმსვლელობისათვის. ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარების პირობებში მოისპო კუთხური კარჩაკეტილობა, რომელიც ქართველი ერის ცხოვრებას საუკუნეების განმავლობაში მწვავე დაღს ასვამდა. დასავლეთი საქართველო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ქართლ-კახეთისაგან ერთგვარად განცალკევებული იყო, ახლა მასთან დადგა და ერი მთლიანად განვითარების საერთო გზაზე გამოვიდა.

იმდროინდელი რუსეთის ეკონომიური ცხოვრება კაპიტალისტური განვითარების გზაზე იდგა და, ბუნებრივია, რომ შეერთების შემდეგ მან საქართველოს სამეურნეო განვითარებაც თავის ორბიტში ჩააყენა. შეუძლებელია, რომ ეს ცვლილებები უბრალო ან შემთხვევითი ხასიათის მოვლენად მივიჩნიოთ. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ისტორიაში.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით. რუსეთთან დაკავშირებით ბოლო მოეღო აღმოსავლეთელ დამპყრობთა თარეშს საქართველოს მიწა-წყალზე. საუკუნეების მანძილზე საქართველო რბევის ობიექტს წარმოადგენდა არაბების, მონღოლების, სპარსელი და თურქი დამპყრობლებისათვის. მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ დაედო ზღვარი სისხლისმღვრელ ომებს, რბევასა და აწიოკებას. ამ ფაქტს დადებითად აფასებდა მოწინავე ქართველობა თვით იმ ეპოქისა, როდესაც რუსული მმართველობა ის იყო ფეხს იკიდებდა და მტკიცდებოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ საქართველოს რუსეთთან შეერთება შეაფასა როგორც პროგრესული მოვლენა. იგი ამბობდა:

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის შართავს აწ ხელი!  
აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვას;  
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვას;  
შავი ზღვის ზვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,  
აწ მოგვიგვირჩიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მოცემული ეს შეფასება შემთხვევითი არაა. ესევე აზრი არა ერთგზის უოფილა გამოთქმული სხვა ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მიერ.

ვახტანგ ორბელიანი, რომელიც მთელ სიცოცხლეში ძველმა ქართველოს დიდებას მისტიროდა, რუსეთთან შეერთებას მაინც აღიარებდა როგორც ისტორიულ აუცილებლობას. იგი ერეკლე მეორის მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯს დადებითად აფასებდა. ქართველ მეფესაო, — ამბობდა ვ. ორბელიანი, — სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, გარდა ერთმორწმუნე რუსეთთან შეერთებისაო.

დასასრულ, საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხისადმი ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის აზრი. ილიამ 1899 წლის დამლევს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით „ასის წლის წინათ“.

ილია ჭავჭავაძე თავის წერილში მკითხველს მოუთხოვს გიორგი მეთორმეტის მიერ გაწეული საქმიანობისა და ამის შედეგად საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლის ფაქტს (1799 წ.). ილია მისთვის ჩვეული სიღრმით განიხილავს რა ისტორიულ ფაქტებს, იქვე ამ პოლიტიკური მოვლენების შეფასებასაც იძლევა. წერილის დასკვნით ნაწილში ილია ჭავჭავაძე ამბობს:

„მეფის კარიდან დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე. გული აეგსო იმ სანატრელი იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივარად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირს-სახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებლებს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრად-ლა დაგვრჩია. დაუდგა ახალი ბინა, ხანა მოსვენებულის.



უშიშარის ცხოვრების, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისთვის ჯვარცმულ საქართველოს“.<sup>1</sup>

ასე აფასებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგებს ილია ჭავჭავაძე. დიდი მწერლის ამ შეფასებაში უდავოდ გამოხატულებას პოულობს მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თვალსაზრისი.

რუსეთთან დაკავშირებამ საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. იმავე ისტორიულ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე წმინდა კულტურულ-ლიტერატურული თვალსაზრისით. ამიერიდან საქართველო იწყებს საბოლოოდ განთავისუფლებას აღმოსავლეთის კულტურული გავლენისაგან და იგი კურსს იღებს რუსული და ევროპული კულტურისაკენ. რუსული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი და მხატვრული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე იქცევა ერთ-ერთ წყაროდ, რომელიც საზრდოს აძლევს ქართველ პროგრესულ ინტელიგენციას. რუსული ლიტერატურის მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მომდევნო ეპოქაში. რუსულ საზოგადოებრივ აზრს ნებასთან და რუსულ მწერლობასთან მჭიდრო ურთიერთობაში ჩამოყალიბდა ისეთი დიდი ლიტერატურული მიმდინარეობა, როგორიც არის მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ქართული ლიტერატურული სკოლა. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული შეხედულებანი გარკვეულ ურთიერთობაშია სამოციან-სამოცდაათიანი წლების რუსულ დემოკრატიულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზრთან.

ისმის კითხვა: თუ რუსულ-ქართულ ურთიერთობას ასე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ქართული ლიტერატურისა და საზოგადოდ ქართული კულტურისათვის, მაშინ რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ყველა მწერალი და საზოგადო მოღვაწე რუსული მართვა-გამგეობით უკმაყოფილო იყო, როგორ მოხდა, რომ ამ საუკუნის დამდეგიდანვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად მოტივად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივი გადაიქცა?

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ქართველი ინტელიგენცია მეფის რუსეთის უკმაყოფილო იყო და მას ებრძოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ მეფის რუსეთს საქართველოში შემოჰქონდა თა-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 216—217.

ვისი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური რეჟიმი. თუ მოვიხილონებთ იმასაც, რომ მმართველი წრეები ქართველების მიმართ ატარებდნენ აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მაშინ ეს წინააღმდეგობაც მოულოდნელად აღარ წარმოგვიდგება. ჯერ კიდევ ეკატერინე მეორისაგან მოდიოდა ცნობილი ფორმულა: გადავამუშავოთ ქართველები ისე, რომ სული რუსული იყოს და სხეული კი ქართული. ეს იყო სახელმძღვანელო დევიზი სახელმწიფო აპარატის მოხელეებისა, რომელთა ხელშიაც მოექცა ქართველი ხალხის ბედი რუსეთთან შეერთების შემდეგ.

საქართველოში იმყამად შექმნილი მდგომარეობა საკმარის საფუძველს იძლეოდა იმისათვის, რომ ქართველი ინტელიგენცია მეფის რუსეთის უკმაყოფილო გამხდარიყო და გარკვეული წინააღმდეგობაც გაეწია. გარდა ამ ადგილობრივი მიზეზებისა, ოცდაათიანი წლების მოძრაობაში შესაძლებელია სხვა უფრო მაღალი მისწრაფებებიც დაინახოთ. მართალია, ისინი ოცნებობდნენ დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენაზე, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათ აუცილებლად ბაგრატიონების კვლავ გამეფება ეწადათ. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ერთი ფრთის ინტელიგენციისათვის, რომელიც კარგად იცნობდა რუსი დეკაბრისტების მისწრაფებებს, უცხო არ იყო რესპუბლიკური იდეებიც. მოულოდნელი სრულიადაც არაა, რომ ისეთი მოწინავე ადამიანები, როგორც იყვნენ ალ. ქავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი. სოლომონ დოღაშვილი და სოლომონ რაზმაძე, ქვეყნის მმართველობის მოწყობას რესპუბლიკურ პრინციპებზე ფიქრობდნენ. 1832 წლის მარცხმა ბოლო მოუღო რუსეთის წინააღმდეგ ყოველგვარ „ურჩობას“ და ქართველი ფეოდალური არისტოკრატია იმპერატორისადმი ერთგულების გზით წაიყვანა.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. მაგრამ, თუ წინათ ეს ბრძოლა ფარული შეთქმულებებით ან აჯანყებებით გამოიხატებოდა, ახლა ბრძოლის იარაღად გადაიქცა პრესა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და მხატვრული ლიტერატურა. მეფის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ინტელიგენციის თავშესაფრად იქცა ქართული გაზეთის რედაქცია, თეატრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მათი მსგავსი დაწესებულებები.

ბრძოლას მეტად მწვავე ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეს ბრძოლა მიმართული იყო არა რუსეთის წინააღმდეგ საზოგადოდ, არამედ მე-



ფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ კერძოდ. ქართული ლიტერატურა ამხელდა და გამოხდა მეფის რუსეთს ისე, როგორც კიცხავდა და გამოხდა მას უკრაინის, პოლონეთის, სომხეთისა და სხვა ხალხების ლიტერატურა. მეფის რუსეთს კიცხავდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა არა მარტო არარუსი ხალხების მწერლობა, არამედ ასევე სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მას თვით რუსული ლიტერატურა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრი. ეს შემთხვევითი გარემოება არაა. მეფის რუსეთის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას სამოციანი წლებიდან სათავეში ჩაუდგა სწორედ ის თაობა, რომელიც აღზრდილი იყო რუსეთის მოწინავე დემოკრატიულ იდეებზე — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გაორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას მეცხრამეტე საუკუნეში და ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებას რუსული სინამდვილისადმი ორი მხარე აქვს. ერთი მხრივ, ქართული მწერლობა გარკვეულ კავშირთაგან გამომდინარეობდა რუსეთის მოწინავე ლიტერატურასთან და საზოგადოებრივ აზროვნებასთან, ხოლო მეორე მხრივ — იგი ებრძვის მეფის რუსეთის თვითმპყრობელურ რეჟიმს.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მწერლები ებრძოდნენ ნიკოლოზ პირველის სუსხიან რეჟიმს, მის ჟანდარმულ სახელმწიფოებრივ მმართველობას, მაგრამ ამავე დროს ისინი გულმოდგინედ კითხულობდნენ, თარგმნიდნენ და ქართველ საზოგადოებრიობას აწვდიდნენ გრიბოედოვის, პუშკინის, რილევისა და ლერმონტოვის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ზოგჯერ ადგილი აქვს ერთგვარ ცალმხრივობას. როდესაც ლაპარაკია რუსეთთან საქართველოს შეერთებაზე, ამ დროს ჩვეულებრივად გამახვილებულია ამ ისტორიული ფაქტით გამოწვეული სიძნელებები. წინ არის წამოწეული მისი უარყოფითი მხარე, ხოლო დადებითი შედეგები, მისი პროგრესული მნიშვნელობა არ ჩანს. ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტები ყოველმხრივ უნდა განვიხილოთ — როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების ჩვენებით. მოვლენების ყოველმხრივი ანალიზი ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო პრინციპია და როდესაც მოვლენებს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ რუსეთთან საქართველოს დაახლოება ერთგვარი დადებითი მნიშვნელობით წარმოგვიდგება.

## II

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ რთულ და საინტერესო ეპოქაში მან განვითარების გარკვეული საფეხურები განვლო. კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა ახალი იდეებისა და ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმოშობას. ეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა რომ ავითვისოთ, ამისათვის პირველ რიგში მისი განვითარების ძირითადი ეტაპები უნდა მოიძებნოს. მთლიანი ლიტერატურული ცხოვრების გათვალისწინებისათვის საჭიროა მოხდეს მისი დაყოფა ისტორიულ პერიოდებად.

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია პირველად პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა მოგვცა. ალ. ხახანაშვილი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ორ პერიოდს განასხვავებდა. პირველი პერიოდი მოიცავს საუკუნის პირველ ნახევარს, ხოლო მეორე პერიოდი — მეორე ნახევარს.

ალექსანდრე ხახანაშვილი ამბობდა:

„ქართულის მწერლობის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში ორს ხანად იყოფება. პირველს ხანას შეადგენს მე-XIX საუკუნის პირველი ნახევარი და მეორე ხანას ეკუთვნის მეორე ნახევარი. სამზღვარს ამ ორს ხანას შორის დასდებს გიორგი ერისთავის ეურნალი „ცისკარი“. ამ გამოცემამ შეჰქმნა ახალი სამწერლო ენა, რომლის საფუძვლად მისმა რედაქტორმა და პირველმა ქართველმა დრამატურგმა დაამყარა ქართლის კილო და დაუახლოვა სალიტერატურო ენა საუბრო ენას“<sup>1</sup>.

ალ. ხახანაშვილის მიერ წამოყენებული ეს მოსაზრება შესაძლებელია საკმარისი ყოფილიყო კვლევა-ძიების იმ საფეხურზე, როდესაც მისი ნაშრომი იწერებოდა, იმ დროს, როდესაც ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ იწყებოდა და მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენები საკმარისად გამოვლინებული არ იყო. კვლევა-ძიების დღევანდელ საფეხურზე საკმარისი პირობები არსებობს იმისათვის, რათა ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია დაემყაროს უფრო მდიდარ

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე, 1913 წ., გვ. 8.





მასალას და, მაშასადამე, უფრო მტკიცე საფუძველს, ვედრე ამის შესაძლებლობა აღ. ხახანაშვილს ჰქონდა.

ახალი ქართული ლიტერატურის წარმოშობა გაპირობებულია, ერთი მხრივ, ძველი ქართული მწერლობის ისტორიულად ძლიერი ტრადიციებით, ხოლო მეორე მხრივ — იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით, რომელიც საქართველოში რუსული მართლ-გამგეობის დამყარებით შეიქმნა.

მოულოდნელი არაა, რომ საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება საგრძნობლად დაქვეითებული მოჩანს. სწორედ ამ ეპოქის დასახასიათებლად ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში ქართულ ლიტერატურაზე ამბობს:

„მეტვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველი წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა. თავის-თავის იმედი დააქარგვინა. როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებელივ დაემორჩილა ახლად მოგლენილს ბედსა და გარემოებას“<sup>1</sup>.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული ლიტერატურული ცხოვრება აშკარად დაქვეითებულია. მაგრამ დროთა ვითარებაში ქვეყანა მშვიდდება, ერი ახალ პოლიტიკურ რეჟიმს თანდათან ეგუება და იდეურ-კულტურული საქმიანობაც ცოცხლდება.

ოცდაათიანი წლების დამდეგიდან ქართულ მწერლობაში გარკვეული აღმავლობა იწყება, ხოლო იმავე ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში სალიტერატურო სარბიელზე ერთდროულად მოღვაწეობენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და სხვ.

ესაა პირველი თაობა ახალი ქართული მწერლობისა. ეს თაობა ერთადერთი განმსაზღვრელი ძალაა მთელი ქართული ლიტერატურული ცხოვრებისა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდე.

ოცდაათიანი წლებიდან მოკიდებული ახალი ქართული მწერლობა მუდმივი ზრდისა და მატების გზით მოდის. წინსვლისა და განვითარების ამ გზაზე მისთვის დამახასიათებელია ზრდისა და ამალღების სრულიად გარკვეული საფეხურები.

პირველი საგულისხმო შენამატი ახალმა ქართულმა მწერლობამ მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მიიღო. ასეთი შენამატი იყო გიორგი ერისთავის ჟურნალი „ცისკარი“ და მუდმივი

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1933 წ., გვ. 203.

ქართული პროფესიული თეატრი, რომელმაც ქართული ლიტერატურისა და საზოგადოდ ეროვნული კულტურის განვითარებაში კვლავ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

იმავე ორმოცდაათიან წლებში სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდნენ შემდგომში საყოველთაოდ სახელმწიფოებრივი მწერლები: გიორგი ერისთავი, ზურაბ ანტონოვი, ვახტანგ ორბელიანი და რაფიელ ერისთავი.

ორმოცდაათიან წლებში ქართულ მწერლობაში, როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ერთგვარ წინსვლასა და მატებას, მაგრამ ეს მატება ჯერ კიდევ იმგვარი ხასიათის არაა, რომ ამის გამო ახალ ლიტერატურულ პერიოდზე ვილაპარაკოთ. ამ ეპოქის ქართული მწერლობა იდეურ-თემამატიკური თვალსაზრისით წინა თაობის საქმეებს აგრძელებს, ავსებს, მაგრამ მინცდამაინც ახალს არას გვაწვდის.

გიორგი ერისთავის „ცისკარს“, რომელსაც ალ. ხახანაშვილი ახალი ლიტერატურული პერიოდის დასაწყისად მიიჩნევს, ქართული მწერლობის განვითარებაში რაიმე არსებითი მნიშვნელობის ვარდატეხა არ მოუხდენია.

გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დახასიათება მოგვცა ილია ჭავჭავაძემ თავის იმავე წერილებში ქართულ ლიტერატურაზე. ილია ამბობს:

„მართალია მაშინდელი „ცისკარი“ მეტად ფეხმოკლე და ხელმოკლე იყო, მაგრამ ეს ევატიება, როგორც ახალ საქმეს, ჯერ უჩვეულო და უსაკოს. ისიც მართალია, რომ არც მის შემდეგ „ცისკარს“ გამოუჩენია რაიმე თავი ისე შესანიშნავად, რომ ჩვენთა აზრთა ზრდაში ადგილი რამ დაეჭიროს. ხოლო იმისი კარგი ის იყო, რომ არსებობდა. ზოგჯერ მართო არსებობაც ღვაწლია, ნამეტნავად იმ გაჭირვებაში, როგორშიაც იყო „ცისკარი“. ბევრი ავი დღე გამოუვლია, — ზოგი იმისაგან, რომ მეშველი მწერალი არა ჰყოლია და მართოსათვის ეურნალის ტვირთი მართლა რომ ღვაწლია, და ზოგიც იმისაგან, რომ საღსარიც-კი არსებობისა არა ჰქონია. მინც კარგა ხანს თავი დაიკირა და თითქმის აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“<sup>1</sup>.

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მისი წინსვლისა და განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 221.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ეპოქა. ამ დროიდან ქართულ მწერლობაში იწყება ჰემმარიტად ახალი ხანა, ახალი იდეები და თემები.

სამოციანი წლებიდან იწყება ქართული ლიტერატურის გამოსვლა „ვიწრო სარბიელიდან“ და მწერლობის საგნად იქცევა ხალხის ფართო მასების ცხოვრება თავისი ყოველდღიური ქირ-ვარამით. ამ დროიდან იწყება თანმიმდევრული ბრძოლა ბატონყმობისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არ არსებობს სხვა შემთხვევა რომელიმე ლიტერატურული თაობის ისეთი ორგანიზებული გამოსვლისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სამოციან წლებში. საზოგადოებრივ ასპარეზზე თერგდალეულთა გამოსვლა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენაა მთელი ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ეპოქა მიჩნეულ იქნეს როგორც ახალი პერიოდის დასაწყისი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ორი ძირითადი პერიოდი განირჩევა. ამ პერიოდებს შორის საზღვარს წარმოადგენს სამოციანი წლების ეპოქა. პირველი პერიოდი იწყება 1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთებით და გრძელდება სამოციან წლებამდე. სამოციანი წლებიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე თერგდალეულთა გამოსვლით იწყება მეორე ძირითადი პერიოდი, რომელიც მოიცავს მთელს მომდევნო ეპოქას ოთხმოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის ჩათვლით.

პირველი პერიოდის ქართულ მწერლობას უმთავრესად ერთი ლიტერატურული მიმდინარეობა განსაზღვრავს. ეს ძირითადი მიმდინარეობა არის ქართული რომანტიზმი. იმავე პერიოდში, რომანტიკული მიმდინარეობის გვერდით, ქართულ მწერლობაში თავს იჩენენ ახალი იდეები და თემები. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ბატონყმობის საწინააღმდეგო მოტივების განვითარება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ეს უბრალო გარემოება არაა. სწორედ ამ ეპოქაში იქმნება ცნობილი „არსენას ლექსი“, რომლითაც ხალხის გენიამ მზის სინათლეზე გამოიტანა მთელი სიმახინჯე ბატონყმობის ინსტიტუტისა.

იმავე პერიოდში ქართულ ლიტერატურაში უკვე ფეხს იკიდებს და ვითარდება რეალისტური მიმართულება. ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ივა-

ნე კერესელიძის, დანიელ ჭონჭაძისა და რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში საქმე გვაქვს ახალ ლიტერატურულ მოვლენებთან. ეს მწერლები სრულიად გარკვევით იწყებენ ნიადაგის მომზადებას კრიტიკული რეალიზმისათვის, მაგრამ მაინც რომანტიკული მიმდინარეობა ჯერ კიდევ ძლიერია და ლიტერატურულ ცხოვრებაში კვლავ წამყვან მდგომარეობას ინარჩუნებს.

გიორგი ერისთავის შემოქმედება რომანტიკული ხასიათის ლექსებით დაიწყო. ორმოცდაათიანი წლებიდან „გაყრის“ ავტორი ეპოქის აქტუალური სოციალური საკითხებით ინტერესდება. ამიერიდან მის შემოქმედებაში ფართო გამოხატულებას პოულობს თავადაზნაურული წოდების ეკონომიური დაცემა-დაქვეითება და საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი სოციალური ფენის, ვაჭართა კლასის გამოსვლა-დამკვიდრება. გიორგი ერისთავის, როგორც მწერლის, სახელი და დიდება სწორედ ასეთი შინაარსის კომედიებთანაა არსებითად დაკავშირებული.

რეალისტური ტენდენციების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ივანე კერესელიძის „სალაყბო ფურცლები“ და დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხე“. კერესელიძე თავისი „სალაყბო ფურცლებით“ თავს ესხმოდა თვითმპყრობელობის ერთგულებაში შესულ ქართველობას, ამხელდა მის დაცემასა და დაქვეითებას. რაღა თქმა უნდა, ასეთი კრიტიკა საჭირო და აუცილებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის შემდგომი განვითარებისათვის. „სალაყბო ფურცლების“ ავტორს მხედველობიდან არც ბატონყმობის საკითხი გამორჩენია, მაგრამ ამ საკითხში თავის ყველა თანამედროვეს გადააჭარბა დანიელ ჭონჭაძემ „სურამის ციხით“.

დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხეში“, როგორც სამართლიანადაა აღიარებული, ბატონყმური ურთიერთობის ისეთი მძაფრი კრიტიკაა, რომლის მსგავსი ქართულ მწერლობაში ამაზე ადრე არავის მოუცია.

ასევე რეალისტური ხასიათისაა რაფიელ ერისთავის ლიტერატურული შემოქმედება. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართული რომანტიზმი მაინც ვაბატონებულ მიმდინარეობად რჩება სამოციან წლებამდე, სახელდობრ, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის გამოჩენამდე. რომანტიზმის პოზიციები ქართულ მწერლობაში არსებითად იმის შემდეგ შეიარყა, როდესაც გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული წერილები, რომელთაც ლიტერატურული მანიფესტის როლი შეასრულეს.

სამოციანი წლებიდან ქართულ მწერლობაში ახალი ხანა იწყე-



ბა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ეს ახალი აუცილებლობა რისპირებული იყოს წინა ლიტერატურულ თაობებთან. ანა! აქ ერთადერთი წინსვლა და მატებაა აზრისა, რაც მხოლოდ პროგრესის მაჩვენებელია. სამოციანელთა მოღვაწეობა ბუნებრივი გავრძელებაა იმ დიდი ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობისა, რომელსაც წინა თაობები ეწეოდნენ რომანტიკოსებიდან დაწყებული ივანე კერესელიძის „ცისკრის“ ჩათვლით.

### III

აღმოსავლეთელ დამპყრობლებთან მუდმივ ომებში მყოფმა საქართველომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ენერგიულად დაიწყო მოქმედება რუსეთთან დაახლოებისათვის. ჯერ კიდევ 1770 წელს ერეკლე მეორემ, ეკატერინეს წინადადებით, მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის ომში. ამ ისტორიულ მოვლენასთან არის დაკავშირებული გენერალ ტოტლებენის მუსხანათური გამოქცევა ფრონტიდან და პატარა კახის სახელოვანი ომი ასპინძის ველზე.

1783 წელს ქალაქ გეორგიევსკში ხელმოწერილ იქნა ტრაქტატი რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობაზე. ტრაქტატის თანახმად საქართველო რუსეთის უმაღლეს ძალაუფლებას და მფარველობას აღიარებდა, ხოლო რუსეთი, თავის მხრივ, კისრულობდა საქართველოს დაცვას გარეშე მტრებისაგან. მეფე ერეკლემ თავის ელჩად რუსეთის იმპერატორთან მიაგვლინა გარსევან ჭავჭავაძე, მამა ცნობილი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

მართალია, ტრაქტატის დადებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მეფის რუსეთი ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებდა. იგი თავისი საკუთარი გეგმებით მოქმედებდა, მაგრამ ურთიერთობა ოფიციალურად მაინც არსებობდა და ქართველი მეფე არავითარ ღონისძიებას არ ზოგავდა იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა ნამდვილად საქმიანი ყოფილიყო.

1795 წელს საქართველოს კვლავ თავს დაატყდა ახალი ომის საშინელება. შემოდგომაზე აღმოსავლეთ საქართველოს შემოესია ალა-მაჰმად-ხანი დიდძალი ჯარით. კრწანისის ველზე სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ, ალა-მაჰმად-ხანმა ააოხრა თბილისი და მისი მიდამოები. ამ ომში დამარცხებით და შინაგანი დაუძლეობით გულგატეხილმა ერეკლემ კიდევ უფრო გააძლიერა საქმიან-



ნობა რუსეთთან დაკავშირებისათვის. ახლა იგი უკვე დათმობებს აღარ ერიდებოდა. 1795 წლის მიწურულს, ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრობიდან სამი თვის შემდეგ, საქართველოში რუსეთის ჯარიც შემოვიდა. ორიოდე წლის შემდეგ, 1798 წლის იანვარში, ერეკლე მეორე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი შვილი გიორგი XII.

გიორგის მეფობა ხანმოკლე იყო. იგი 1800 წელს გარდაიცვალა და ამით ბაგრატიონთა მეფობაც დამთავრდა. ჯერ კიდევ გიორგის მეფობის დროს მმართველ წრეებზე დიდ გავლენას ახდენდნენ რუსი მოხელეები, ხოლო ქართველი მეფის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მართვა-გამგეობა მთლიანად მათ ხელში გადავიდა. იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1801 წელს საბოლოოდ გააფორმა საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში.

12 სექტემბრის მანიფესტი, ისე როგორც ამაზე ადრინდელი ოფიციალური ხასიათის მიმართვები და მოლაპარაკებანი, საქმის ვითარებას ისე სახავედა, თითქოს მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოს კეთილდღეობით. იმპერატორი თავის მანიფესტში ამბობდა: არა ძალების შემატების მიზანი და ანგარება, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გეიკარნახებს დავაწესოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელმაც შეიძლება განამტკიცოს მართლმსაჯულებაო. მაგრამ იმპერატორის ეს „პატიოსნება და ადამიანობა“ იყო მხოლოდ გარეგნული საფარი, რომლის იქით მეფის რუსეთის ნამდვილი მისწრაფება იმაღლებოდა.

საქართველოში დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთთან შეერთებაზე; არ მოელოდნენ, რომ რუსეთის იმპერატორები ხელშეკრულების დარღვევას იკისრებდნენ. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ქართველები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს შელახულ უფლებათა და დამოუკიდებლობის აღსადგენად საკმარისი იყო მხოლოდ რუს ხელმწიფისათვის საქმის ნამდვილი ვითარება ეცნობებინათ“<sup>1</sup>.

ქართული არისტოკრატის ეს ფენა დროთა ვითარებაში რწმუნდებდა, რომ საქართველოში გამოგზავნილ მოხელეთა საქმიანობა რუსეთის საერთო სახელმწიფოებრივი სისტემიდან გამომდინარეობს. იგი, თავისი მოლოდინის გაუმართლებლობაში დარწმუნებული, რუსული მმართველობით უკმაყოფილო ხდება და ბოლოს და

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, 1919 წ., გვ. 51.

ბოლოს უკავშირდება თავადაზნაურობის იმ ფენას, რომელიც რუსეთთან შეერთებით ადრევე უკმაყოფილო იყო. მეფის რუსეთის უხეში ადმინისტრირება თანდათან აშკარა ხასიათს ღებულობს და ადგილობრივი უკმაყოფილებაც დღითი დღე მატულობს.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რუსული მმართველობის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე ფართო ხასიათის აჯანყება ხდება. ამათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთიულეთის აჯანყება 1804 წელს, კახეთის აჯანყება 1812 წელს, იმერეთის აჯანყება 1820 წელს, გურიის აჯანყება 1841 წელს და სხვ.

რუსეთის იმდროინდელი ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყებათა ორგანიზატორად უმთავრესად თავადაზნაურობა გამოდიოდა, მაგრამ ამ დროს მასთან იყო აგრეთვე ქართველი გლეხობა. მეფის რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობაში გლეხების ჩაბმას თავისი საკუთარი მიზეზები ჰქონდა. მეფის რუსეთის შემოსვლის შემდეგ გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მაშინდელმა მმართველობამ ხელუხლებლად დატოვა ბატონყმური ურთიერთობა. ამ საქმეში რუსეთს არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. მან, თავის მხრივ, მოსახლეობას კიდევ დაუმატა ახალი მძიმე სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები. გლეხობა ორმაგი ჩაგვრის ობიექტად იქცა. ამიტომაც მისი უკმაყოფილება სოციალურ-კლასობრივი ხასიათისა იყო, მაგრამ გლეხობის ასეთი განწყობით თავადაზნაურობა სარგებლობდა და მას რუსული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის ფერხულში აბამდა.

რუსული მმართველობის წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლებზე შემონახულია მთელი რიგი ისტორიული ხასიათის ცნობები და დოკუმენტები. ეს მასალები ნათლად მეტყველებენ იმ მიზეზებზე, რომელნიც გლეხთა მასებს ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა. ერთი ცნობის მიხედვით, 1804 წელს აჯანყებულმა მთიულეთის გლეხებმა, დელეგაციის საშუალებით, მთავრობას გულახდილად მოახსენეს მათი გამოსვლის მიზეზები. ამ ისტორიულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ადრე გლეხობა თვით იყო დაინტერესებული საქართველოში რუსული მართვა-გამგეობის დამკვიდრებით. ის გარკვეულ იმედებს ამყარებდა რუსეთზე, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ახალ პირობებში გლეხობის ყოფა გაუარესდა კიდევ და სწორედ ეს იყო ამ აჯანყების მიზეზი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Акты, т. 11, 1868 წ., გვ. 311.

ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს. აქაც გლეხთა ამოძრავების უმთავრესი მიზეზი ადგილობრივ მცხოვრებთაღმე ხელისუფლების მოხელეთა უაღამიანო დამოკიდებულება იყო.

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შემოუწინა ხედავს მთელი რიგი ნიმუშები, რომლებშიც იგი წყევლა-კრულვით იხსენიებს მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმს და მის მკაცრ მოხელეებს. მთავარმართებლის პასკევიჩის გარშემო არსებული ერთი ხალხური ლექსი კარგად გვაგარძნობინებს ქართველი გლეხობის საერთო სიძულვილს ამ სასტიკი მმართველისადმი.

ხალხური ლექსი პასკევიჩს ასე ახასიათებს:

პასკევიჩმა რომ საქმე ქნა, ის არ უქნია სხვასაო:  
შემოგვაწერა ურმები ქართლიდ-კახეთის თავსაო,  
ისეთიც ურმები იყო, ქვა ვერ შაუშლის ფხასაო,  
მალაროს მიიტანევით, — იქა მშინჯავი ჰყავსაო...  
მშინჯავი დაიწუნებდა... და სხვ.<sup>1</sup>

გლეხობის უკმაყოფილებას საფუძველს აძლევდა მისი საზოგადოებრივი, კლასობრივი მდგომარეობა. ქართველი გლეხი ორმაგი ჩავჯრის ობიექტი იყო. ერთი მხრივ, მას კისრად აწვა ბატონყმობის უღელი, ხოლო მეორე მხრივ — მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის მძიმე სახელმწიფო აპარატი. ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც რუსული მმართველობის დამყარებით თავისი პრივილეგიების დაკარგვას მწვავედ განიცდიდა, თავის სასარგებლოდ იყენებდა უკმაყოფილო გლეხობას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რუსული მართვა-გამგეობის საწინააღმდეგო აჯანყებებში ძირითად ძალას წარმოადგენდა გლეხობა, ხოლო სათავეში ჩვეულებრივად თავადაზნაურობა იდგა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების განმავლობაში საქართველოში რუსული მმართველობის წინააღმდეგ მთელი რიგი აჯანყებებია ცნობილი. ყველა ამ აჯანყების ისტორიას თავისი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის წარსულის გასათვალისწინებლად. მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მაინც განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს 1832 წლის შეთქმულება. შეთქმულების მონაწილე იყო თითქმის ყველა ქართველი მწერალი იმ ეპოქისა — ალექსანდრე ჰავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, გი-

<sup>1</sup> ჟურნალი „ერებული“, 1873 წ., № 10.





ორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები. შეთქმულების დამარცხებამ გარკვეული კვალი დააჩნია დასახელებულ მწერალთა შემოქმედებას. ამიტომაც ამ შეთქმულების უმთავრესი მომენტების გათვალისწინება აუცილებელია მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

1832 წლის შეთქმულება ქართველი ფეოდალური არისტოკრატის უმაღლეს წრეებში ჩაისახა. შეთქმულების იდეა პეტერბურგს მყოფი ბატონიშვილებისაგან მოდიოდა. საფიქრებელია, რომ შეთქმულებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ჯერ დეკაბრისტების აჯანყებამ, ხოლო შემდეგ — ოცდაათიანი წლების მოძრაობამ პოლონეთში. ყოველ შემთხვევაში, დიმიტრი ყიფიანის გადმოცემით, ქართველი შეთქმულები გამოსვლების მოწყობას ფიქრობდნენ პოლონელებთან ერთად. პოლონელების დამარცხებამ თბილისელთა გეგმებიც ჩაშალა და ქართველი შეთქმულები კვლავ მოსამზადებელ მუშაობას განაგრძობდნენ მანამ, სანამ ეს შეთქმულება საბოლოოდ გამოქვდავდებოდა<sup>1</sup>.

შეთქმულების დასაწყისი დაახლოებით 1827—1828 წელს უნდა ვივარაუდოთ. ამავე დროს (1828 წლიდან) გამოსვლას იწყებს გაზეთი „თბილისის უწყებანი“, რომლის ძირითადი თანამშრომელია შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი სოლომონ დოდაშვილი. დოდაშვილს, მართალია, შეზღუდულ პირობებში, მაგრამ მაინც საშუალება მიეცა განეხორციელებინა ის საქმე, რომელზედაც იგი ჯერ კიდევ პეტერბურგში ოცნებობდა, ეს საქმე იყო ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.

სოლომონ დოდაშვილი მუშაობას იწყებს „თბილისის უწყებების“ რედაქციაში. მართალია, „უწყებები“ მისი საკუთარი ორგანო არ ყოფილა, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა, რომ ეს გაზეთი და მით უმეტეს მისი „სალიტერატურო ნაწილი“ საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა.

შეთქმულთა ორგანიზაცია მეტად საიდუმლოდ მოქმედებდა. მათი საქმიანობა იმდენად ფარული იყო, რომ ზოგჯერ მისი მონაწილეები ერთმანეთსაც ვერ იცნობდნენ, როგორც შეთქმულთა ორგანიზაციის წევრებს. ისინი მხოლოდ ბოლო ხანებში იკრიბებოდნენ ერთად და ისიც მცირე ჯგუფებად, არა უმეტეს სამი-ოთხი კაცისა ერთად. მათი დამაკავშირებელი უმთავრესად იყო საიდუმლო

<sup>1</sup> დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 147.

ფიცი და „აკტი გონიური“, რომელიც ხელთ ჰქონდა თითქმის ყველა შეთქმულს. „აკტი გონიური“ ფრიად საყურადღებო ისტორიული დოკუმენტია ამ მოძრაობისა. იგი წარმოადგენდა ერთგვარ კანონს, წესდებას ფარული საზოგადოების წევრებისათვის. ამ დოკუმენტში მოცემულია ფარული საზოგადოების წევრთა ვალდებულებანი. პირველი დანიშნულება ამ დოკუმენტისა არის წევრთა მიზიდვა ფარულ ორგანიზაციაში და მათი ერთი მიზნით გაერთიანება.

„აკტი გონიური“ განსაკუთრებით საყურადღებოა თავისი მტკიცე მოთხოვნით მკაცრი საიდუმლოების შენახვის საქმეში. „აკტის“ მერვე მუხლი პირდაპირ მიუთითებდა ფარული საზოგადოების წევრებს: „მტკიცედ უნდა იცოდეს ყოველმან წევრმან დაცვად საიდუმლოებისა, რათა არავის განუცხადოს სხვასა, გარდა მისსა, რომელსაცა მიიყვანს წევრად“.

„აკტი გონიურის“ ერთი ძირითადი ნიშანი ის იყო, რომ იგი მეტისმეტად ფრთხილად ეკიდებოდა ფარულ საზოგადოებაში ყოველი ახალი მონაწილის ჩაბმას. ამ მხრივ მართლაც უსასტიკესი საიდუმლოება იყო დაცული. თითოეული შეთქმული იცნობდა მხოლოდ იმ პირს, რომელმაც იგი შეთქმულებაში ფიცის ქვეშ მიიზიდა და ჩააბა. გარდა ამისა, ახლად მიღებული იცნობდა როგორც შეთქმულს მხოლოდ იმას, რომელსაც შემდგომში იგი თვითონ ჩააბამდა ამ ორგანიზაციაში. იმავე დროს ძველ წევრს უფლება არ ჰქონდა ახლისთვის ეცნობებინა, თუ თვითონ იგი ვისი მეშვეობით გახდა ფარული საზოგადოების მონაწილე. „აკტი გონიურის“ მეოთხე მუხლი გაფრთხილებას იძლეოდა: „ყოველი წევრი უნდა ეძიებდეს შეძინებად წევრთა გონიერებით, არა ჯერ არს, რათა პირველმან წევრმან უთხრას მეორესა თვისაგან მოპოვებულსა წევრსა, მომპოვნელი მისი წევრი“.

„აკტი გონიურის“ თანახმად ფარული საზოგადოების ყოველი წევრი უნდა ცდილიყო ახალი წევრის მიზიდვას, მაგრამ ეს დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა მომხდარიყო.

ეს მკაცრი საიდუმლო წესები ფარულ საზოგადოებაში წევრთა მიზიდვისა სინამდვილეშიც სრულდებოდა. შეთქმულთა ჩვენებებში ჩამოთვლილია მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც ისინი მოგვითხრობენ ფარულ საზოგადოებაში მათი წევრად შესვლის გარშემო. ალექსანდრე ორბელიანი თავის ჩვენებაში საგამომძიებლო კომისიის მიმართ ამბობდა: „ესეც მითხრა ოქროპირ ბატონიშვილმა, ამასაც გასწავლი, რომ ნურასდროს ორს კაცს ერთად ნუ დაე-



ლაპარაკებო, თუნდა შენნი ძმანი იყვნენო. ვისაც ელაპარაკო ეს აზრი, ყველას ცალ-ცალკეო“.

დიმიტრი ყიფიანი, რომელიც შეთქმულების მონაწილე იყო, ვერ ახერხებს გადაჭრით თქმას, თუ როდის დაიწყო ეს მოძრაობა. დ. ყიფიანი შეთქმულებაში ჩააბა გიორგი ერისთავმა 1831 წელს. იგი ადრევე დაინტერესებულა, რომ მზადების ისტორია გაეგო. ამ მიზნით ყიფიანს შემდეგში მიუმართავს თავის მეგობარ ზაალ ავთანდილაშვილისათვის, მაგრამ სინამდვილის გაგება ვერც ამ კაცი-საგან მოუხერხებია. ავთანდილაშვილმაც მხოლოდ ის იცოდა, რომ თვითონ იგი 1830 წელს ჩააბეს ფარულ საზოგადოებაში, ამაზე აღრინდელი ამბავი კი მასაც ვერ გაუგია<sup>1</sup>.

ასეთი საიდუმლოებით ყალიბდებოდა შეთქმულთა ორგანიზაცია. მკაცრი საიდუმლოება შეთქმულთათვის დამახასიათებელია არა მარტო ორგანიზაციულ საკითხებში, არამედ საზოგადოდ მთელს მათ საქმიანობაში. მაგალითად, ფილადელფოს კიკნაძის მიერ შემუშავებულ იქნა საიდუმლო შრიფტი, რომლითაც შეთქმულები მიმოწერას აწარმოებდნენ პეტერბურგს მყოფ ქართველებთან. ეს შრიფტი იმდენად საიმედო იყო, რომ არ იქმნებოდა არავითარი საფრთხე, თუნდაც წერილი ვინმეს ჩავარდნოდა ხელში, რადგან საიდუმლო ფურცლის გარეშე ის მაინც არ ამოიკითხებოდაო, — წერს დიმიტრი ყიფიანი<sup>2</sup>.

1832 წლის შეთქმულებას უმთავრესად ერთი მიზანი ჰქონდა. ეს მიზანი იყო მეფის რუსეთის განდევნა და საქართველოში ადგილობრივი მართვა-გამგეობის დამყარება. შეთქმულების ყველა მონაწილეს ქვეყნის მომავლის ბედი ერთნაირად არ ჰქონია წარმოდგენილი, მართვა-გამგეობის მოწყობაზე მათ რაიმე ერთნაირი სისტემა შემუშავებული არა ჰქონიათ. ამ მხრივ მათ შორის გარკვეული განსხვავება იყო. საფიქრებელია, რომ ფეოდალური არისტოკრატის უმაღლესი ფენა, რომელიც წინათ ქართველ მეფეთა სასახლის საყრდენს წარმოადგენდა, კვლავ ბატონიშვილების დინასტიის აღდგენაზე ოცნებობდა, მაგრამ შეთქმულების მონაწილე პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვები) მომავალი მართვა-გამგეობის მოწყობას რესპუბლიკური წყობილების მიხედვით ვარაუდობდა. მომავლის ბედზე აზრთა სხვადასხვაობა უდავოდ

<sup>1</sup> დ. ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 147.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 141.

არსებობდა, მაგრამ ეს მხარე შეთქმულთა საქმიანობაში თითქმის მეორეხარისხოვნად მოჩანს. ეს განსხვავება მათ შორის პრინციპულ სიმაღლემდე არ ასულა. ძირითადი მიზანი, რაც ყველა შეთქმულს აკავშირებდა, იყო მეფის რუსეთის განდევნა საქართველოდან და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს იყო მთავარი მისწრაფება, რაც იმ დროს ყველა დანარჩენს ჩრდილავდა. ეს მომენტი კარგად აქვს გადმოცემული გრიგოლ ორბელიანს თავის თხზულებაში „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის“.

გრიგოლ ორბელიანს თხზულებაში აღწერილი აქვს თავისი შეხვედრა და საუბარი ქართველ გენერალ ივანე აფხაზთან. საუბრის დროს პოეტი გენერალს არწმუნებს, რომ რუსთა გაძევების შემდეგ ქართველები გამონახავენ მმართველობის ისეთ წესს, რომელიც მათს მდგომარეობას შეეფერება. ამჟამად უმთავრესი ის არის, — ამბობს გრ. ორბელიანი, — რომ საქართველოდან რუსები განიდევნოსო.

შეთქმულება წლობით მზადდებოდა, მაგრამ საქმედ კი ვერ იქცა. იგი მეტად ვიწრო წრით იფარგლებოდა და ფართო მოძრაობის ხასიათი ვერ მიიღო. ფარულ საზოგადოებაში ძირითადად გაერთიანებული იყო მხოლოდ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა. მათ შეთქმულებაში დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის ჩაბმაც ვერ მოახერხეს. ისინი დასაყრდენს ვერ პოულობდნენ ხალხის ფართო მასებში. შეთქმულები თვითონვე აღიარებდნენ, რომ გლეხობა თავადაზნაურობას მაინცადამაინც ხალხით არ გაჰყვებოდა. შეთქმულები უმთავრესად იმ იმედს ემყარებოდნენ, რომ აჯანყების პრაქტიკულად დაწყების შემდეგ მოსახლეობაც აღდგებოდა რუსეთის წინააღმდეგ, მანამდე კი ისინი მეტად საიდუმლოდ მოქმედებდნენ ვიწრო წრის ფარგლებში.

1832 წლის მეორე ნახევარში შეთქმულებმა რამდენჯერმე დანიშნეს ვადა, რათა აჯანყება დაეწყოთ. უკანასკნელად მათ 20 დეკემბრის თარიღი აირჩიეს და ახლა უკვე გადადებას აღარ ფიქრობდნენ. ამ დღეს კავკასიის მთელი უმაღლესი მმართველობა და სარდლობა მიპატიჟებული იქნებოდა სადილად ერთი რომელიმე გამოჩენილი ქართველის ოჯახში. ნადიმის დროს იქ მყოფ ყველა მოხელეს დაპატიმრებდნენ და ეს უკვე აჯანყების დაწყებას ნიშნავდა. იმავე მომენტში შეთქმულთა მეთაურობით აჯანყების ცეცხლი ქვეყანას უნდა მოსდებოდა, საქართველო რუსეთის იმპერიისაგან ჩამოშორებულად უნდა გამოეცხადებინათ და ადგილობრივი ხელისუფლება დაემყარებინათ.



ასეთი იყო წინასწარი გეგმა, მაგრამ შეთქმულთა ვარაუდით შალა. დანიშნული თარიღის რამდენიმე დღით ადრე, 1832 წლის 9 დეკემბერს, ფარული საზოგადოების ერთმა წევრმა, იასე ფალავანდიშვილმა, შეთქმულება გასცა.

ხელისუფლება სასწრაფოდ შეუდგა შეთქმულთა დაპატიმრებას. ორიოდე დღის შემდეგ ყველა მონაწილე ავღაბრის ყაზარმებში მოათავსეს და სასტიკი კვლევა-ძიება დაიწყო. საქმე რამდენიმე თვის განმავლობაში ირკვეოდა, ხოლო 1833 წლის მიწურულს განაჩენიც გამოვიდა. კავკასიის მთავარმართებელმა ბარონ როზენმა იმპერატორს წარუდგინა სასჯელის პროექტი თითოეული დამნაშავეის მიმართ ცალკე-ცალკე. ნიკოლოზ პირველმა წარდგენილი პროექტი განიხილა და ზოგიერთი შესწორებით დაამტკიცა.

1832 წლის შეთქმულების ყველა მონაწილემ გარკვეული სასჯელი მიიღო. განსაკუთრებით მკაცრად დაისაჯა შეთქმულების ხელმძღვანელი ბირთვი, რომელსაც უმთავრესად მწერლები და საზოგადო მოღვაწეები შეადგენდნენ. მათ შორის იყვნენ: სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი და სხვები. თითოეულმა მათგანმა რამდენიმე წელი გაატარა შორეულ გადასახლებაში, ხოლო ზოგიერთი იქვე დაიღუპა კიდევ. შემთხვევითი არაა, რომ ილია ჭავჭავაძემ 1832 წელს „მშინდელ ყმაწვილ-კაცობისათვის თავმოსაწონებელი, მაგრამ უბედური წელიწადი“ უწოდა.

\* \* \*

შეთქმულების მარცხით დამთავრებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის შემდგომს განვითარებაზე. 1832 წლის კატასტროფამ ქართველი არისტოკრატია დაარწმუნა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ფუჭი ოცნებაა. თუ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს მას რაღაცას სთხოვდნენ და ეკითხებოდნენ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დათმობაზე, ახლა უკვე საბოლოოდ გამორკვეულია, რომ საქართველო რუსეთის დიდ იმპერიაში შედის, ხოლო ქართველი თავადაზნაურობა იმპერატორის ხელქვეითია, რომელსაც ურჩობას არ აპატიებენ. ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი შეთქმულების დამარცხების შემდეგ რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულე-

ბის გზას დაადგა: დაიწყო მისწრაფება მეფის სახელმწიფო საქმეებში სამსახურისაკენ. რუსეთისადმი დამოკიდებულებაში გარდატეხამ თავი იჩინა აგრეთვე ინტელიგენციაში. ნაწილი იმ მწერლებისა, რომელნიც 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი იყვნენ, ბოლოს მაინც თვითმპყრობელობისადმი ერთგვარი შერიგების გზას დაადგა. იგი ორთავიანი არწივის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლეური აღმოჩნდა და იძულებული გახდა ბედს დამორჩილებოდა. ეს ჯგუფიც კომპრომისის გზით წავიდა და ზოგიერთი მათგანი თანამდებობრივადაც საგრძნობლად დაწინაურდა ტახტისადმი სამსახურში.

1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ გავლენა მოახდინა ერის ყოფა-ცხოვრებაზე, ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩაეარდა. ნიკოლოზ პირველის სასტიკი რეჟიმი ადგილობრივ მოხელეთა თავაშეებული მოქმედების შედეგად ხალხისათვის კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა. მართალია, თავადაზნაურობა და მისი ინტელიგენცია თვითმპყრობელობის მიმართ დათმობაზე წავიდა, ახლა იგი აშკარა წინააღმდეგობას ვეღარ ბედავდა, მაგრამ თავისი ქვეყნისა და ხალხის დამცირებას მაინც გრძნობდა და განიცდიდა.

ფეოდალური არისტოკრატის ყოფა-ცხოვრებაში აშკარა დიქვიითება დაიწყო: ფართო საზოგადოებრივი ინტერესები ყოველდღიური წვრილმანი პირადული გატაცებით შეიცვალა. ქართველთა თავადაზნაურობის ეს ყოფა-ცხოვრებითი კრიზისი აქვს მხედველობაში ვახტანგ ორბელიანს, როდესაც წერს:

ზოგთა თავის ქონება ბითურ-ცხრაში წააგეს  
და თავისი ცოლ-შვილი მშვიერ გლახად დააგდეს!

ეს არ არის უბრალო მოვლენა. ეს იყო სენი, რომელიც გარკვეულ სოციალურ საფუძველზე აღმოცენდა და რომელიც დიდ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხის სხეულს ღრღნიდა. შემთხვევითი არაა ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი 1841 წელს.

აი როგორ უხასიათებს ნ. ბარათაშვილი თავის ბიძას თბილისის იმდროინდელ ცხოვრებას: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორი გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა; ორივე ერთია, მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი.—დიდი დაძვრებაებია ქალებისა; დიდი აყალ-მაყალი; დიდი ღამის თევაები; დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით“.

ქვეყნის კულტურული მაჯის ცემა აშკარად მოღუენებული იყო.



ეს მომენტი საგრძნობი ვახდა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან. ახალი ურთიერთობის დამკვიდრებასთან ერთად ყოფა-ცხოვრების ძველი წესები ირღვეოდა და ახალიც ერთბაშად ფეხს ვერ იკიდებდა. ამას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ ახალი მართვა-გამგეობის დამკვიდრება ადგილობრივ წინააღმდეგობასთან ბრძოლაში ხდებოდა, ამ მიმართულებით იყო გადატანილი მმართველთა მთელი მოღვაწეობა და კულტურული საქმიანობა კი ყურადღების გარეშე რჩებოდა.

ორმოციანი წლების დამდეგს თბილისში არ არსებობდა არავითარი საზოგადოებრივი ხასიათის კულტურული დაწესებულება: არ იყო თეატრი, ჟურნალი და გაზეთი. ამ ეპოქის კულტურულ პირობებს კარგად ახასიათებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფი კონსტანტინე მამაცაშვილი. იგი წერს:

„იმ დროს თბილისში არაფერი გასართობელი არ გვექონდა: არც კონცერტები, არც კლუბები. ჩვენი დროის გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს ძე მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთ უბნის ბაღებში. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა-და-სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა, ვისაც სურდა ქალაქს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს. ქალაქის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას. მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც“<sup>1</sup>.

„თბილისის უწყებების“ დახურვის შემდეგ ორმოცდაათიანი წლებამდე არ არსებობდა ქართული ჟურნალი და გაზეთი. ორმოციანი წლებში იყო ცდები ქართული ორგანოს დაარსებისა, მაგრამ ყოველი ასეთი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. მხოლოდ 1852 წლის დამდეგიდან გამოსვლას იწყებს გიორგი ერისთავის ჟურნალი „ცისკარი“.

ასეთია ის საზოგადოებრივ-კულტურული პირობები, რომელთაც განსაზღვრეს ქართული ლიტერატურის განვითარება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

1. კ. მამაცაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1893 წ., გვ. 3.



## IV

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული მიმართულებაა რომანტიზმი. მის წარმოშობას ხელს უწყობდა ორი უმთავრესი პირობა: ერთი ის საზოგადოებრივ-კულტურული გარემო, რომელშიც საქართველო რუსეთთან შეერთების შემდეგ მოექცა და მეორე — ლიტერატურული ტრადიცია. აღორძინების ხანის პოეზიამ სრულიად ხელსაყრელი ნიადაგი მოუშადა რომანტიზმის განვითარებას ქართულ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში რომანტიზმი წარმოიშვა და განვითარდა კლასიციზტურ მიმდინარეობასთან ბრძოლაში. ამ ქვეყნებში რომანტიზმი გარკვეულ წინააღმდეგობათა დაძლევის შემდგომ იქცა გაბატონებულ მიმდინარეობად. ქართულ რომანტიზმს ასეთ წინააღმდეგობასთან საქმე არა ჰქონია. პირიქით, აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, მნიშვნელოვანი საწყისების სახით, უკვე მოცემული იყო ის მოტივები, რომელნიც შემდგომში განავითარა და უმაღლეს საფენურზე აიყვანა რომანტიკულმა მიმდინარეობამ.

ქართველი რომანტიკოსები არა ერთგზის ამკლავებენ თავიანთ ახლო კავშირს როგორც საზოგადოდ ძველ ქართულ ლიტერატურასთან, ისე, და განსაკუთრებით, აღორძინების ხანის მწერლობასთან. ამ მხრივ ქართველ რომანტიკოსთა საერთო აზრისა და გრძნობის გამომხატველია უდავოდ ვახტანგ ორბელიანის ცნობილი სტრიქონები ლექსიდან „იმედი“:

აქ რუსთაველის ლექსნი კვალად ატკობენ ყურსა;

აქ იამენენ ბესიკისას მღერას ციურსა.

აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი პესიმისტური განწყობილებანი, „საწუთროს სიმუხთლით“ გამოწვეული უკმაყოფილება და სამდურავი, ერთგვარი წინააღმდეგობა არსებული სინამდვილისადმი იმ მკაცრი შეურიგებლობისა, რაც ქართველი რომანტიკოსებისათვის ძირითადი და განმსაზღვრელია. თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსისა და ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებაში დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იპოვოს რიგი ლექსები, რომელნიც მოტივების თვალსაზრისით გარკვევით ემსგავსებიან ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ცალკეულ ნაწარმოე-



ბებს. ეს მსგავსება შემთხვევითი კი არაა, არამედ სრულიად განონაზომიერი მოვლენაა იმდენად, რამდენადაც იგი გამოხატულია იმ საერთო ვითარებისა, რაც ამ ორ ლიტერატურულ ეპოქას საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში ერთმანეთთან ამსგავსებს.

აღორძინების პერიოდის ქართული ლიტერატურის სოციალური საფუძვლების, მისი თემატიკური მოტივებისა და, საზოგადოდ, დამახასიათებელ ნიშნებზე აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერს:

„აღორძინების ხანის ლირიკა გადმოგვცემს ავტორთა უშუალო აზრებს, გრძნობებსა და განცდებს. იმაში უმთავრესად წარმოდგენილია ჩვენი მაშინდელი მწერლების ორიგინალური შემოქმედება და ამ მხრივ ჯეროვანი ყურადღების ღირსიცაა. სამშობლოს აწეწილი მდგომარეობა და ცხოვრების უკუღმართობა ღრმად აფიქრებდა მწერლებს და იწვევდა „საწუთროს სიმუხთლის“ შესახებ სალაპარაკოდ, რომელსაც ისინი არკვევენ ან რელიგიურ-ფილოსოფიური, ან პრაქტიკულ-მორალური თვალსაზრისით. სასიხარულო მოვლენა თუ საყურადღებო პიროვნება ამ სავალალო მდგომარეობის დროს უნებლიეთ აქლერებს მათ ჩანგს და ალტყინებულ ხოტბადიდებას ამოჰგლეჯს მათი გულიდან. გაცრუებული იმედი, აუსრულებელი სურვილი და მისწრაფება „სევდის ბალისკენ“ მიერეკება და იქ მწარე ცრემლებს აფრქვევინებს მათ“<sup>1</sup>.

თითქმის ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელი იყო აღორძინების ხანის ლირიკისათვის, დამახასიათებელია აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურისათვის. ჯერ ერთი, ახალ დროში სხვა ჟანრებზე მეტად განვითარდა სწორედ ლირიკის დარგი, ქართული რომანტიზმი მეტწილად ლირიკაშია წარმოდგენილი. როგორც აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერს, აღორძინების პერიოდის ლირიკას საზრდოს აძლევდა სამშობლოს აწეწილი მდგომარეობა და ცხოვრების უკუღმართობა. როგორც ისტორიულად ცნობილია, სწორედ ეს მიზეზები რომანტიკოსების ეპოქაში განსაკუთრებით საგრძნობი ხდება.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ქართული მწერლობის შემდგომს განვითარებაზე. ახალმა ლიტერატურამ მემკვიდრეობით მიიღო აღორძინების პერიოდის მწერლობიდან მომდინარე სევდისა და უკმაყოფილების მოტივები. მან ეს მოტივები განავითარა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. სა-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 439.

ზოგადობრივი ცხოვრების ახალ ვითარებაში, ახალ ლიტერატურულ რუკაზე და კულტურულ პირობებში წარმოიშვა და განვითარდა ახალი ლიტერატურული მიმართულება. ეს ახალი მიმართულება არის ქართული რომანტიზმი.

\* \* \*

რომანტიზმი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენაა. მან ფართო გავრცელება პოვა თითქმის ყველა ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურაში. რომანტიკული მიმართულება თითოეულ ქვეყანაში გარკვეულ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებში აღმოცენდა და განვითარდა. იგულისხმება, რომ ამ ქვეყნების სოციალურ-კულტურული პირობები, ერთი და იგივე ლიტერატურული მიმდინარეობის მიღების ეპოქებში, მსგავსი იყო. მაგრამ მსგავსებასთან ერთად მათ შორის განსხვავებაც უდავოდ არსებობდა. როდესაც ვაკვირდებით სხვადასხვა ქვეყნის რომანტიზმს, პირდაპირ ვამჩნევთ, რომ მთელ რიგ საერთო ნიშნებთან ერთად მათ შორის განსხვავებაც თვალსაჩინოა. ეს განსხვავება ცალკე აღებული ქვეყნის საზოგადოებრივ-ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მიუხედავად იმ ფართო გავრცელებისა, რაც რომანტიკულმა მიმართულებამ მსოფლიო ლიტერატურაში პოვა, დღემდე არ არსებობს მტკიცედ ჩამოყალიბებული თეორია, რომელიც რომანტიზმის ამომწურავ განსაზღვრას მოგვცემდა. რომანტიზმის ცნება ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერ კიდევ საბოლოოდ განმარტებული არაა. სავსებით მართალი იყო მაქსიმ გორკი, რომელიც წერდა: „რომანტიზმი არ არის მწყობრი თეორია სამყაროსადმი აღამიანის დამოკიდებულებაზე, ის არ არის ლიტერატურული შემოქმედების თეორია. ყველა ცდა მისი განსაზღვრისა, როგორც თეორიისა, ასე თუ ისე ბუნდოვანი და ამაოა. რომანტიზმი, როგორც განწყობილება, არის რთული და ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად გარკვეული ანარეკლი ყველა იმ ნაირობისა, გრძნობებისა და განწყობილებებისა, რომლებიც მოიცავენ საზოგადოებას გარდამავალ ეპოქებში, მაგრამ მისი ძირითადი ნოტა არის რაღაც სიახლის მოლოდინი, შიში ამ ახლის წინაშე, ამ სიახლის აჩქარებული, ნერვიული სურვილი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> М. Горький, История русской литературы, 1939 г., стр. 42.



რომანტიზმი თავისი ბუნებით იმდენად რთული და მრავალფეროვანი მიმართულებაა, რომ იგი თვით ჰქმნის მისი განმარტების სიძნელეს. რომანტიზმის ამ სირთულის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მას სხვადასხვა ქვეყანაში თავისებურ ელფერს აძლევს ცალკე აღებული ქვეყნის ადგილობრივი, ეროვნული პირობები. ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება ვილაპარაკოთ ცალკეული ქვეყნის რომანტიზმზე, ვიდრე მსოფლიო რომანტიზმზე. მაგრამ იმდენად, რამდენადაც რომანტიკული მიმართულებების წარმოშობასა და განვითარებას ყველა ქვეყანაში ასე თუ ისე მსგავსი პირობები ჰქონდა, ყველა ქვეყნის რომანტიზმს მოეპოვება მთელი რიგი ნიშნები, რომლებითაც ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან. მსგავსებასთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის რომანტიზმი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება უმთავრესად ცალკე აღებული ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული თავისებურებებით განისაზღვრება.

ქართველ რომანტიკოსთა ძირითადი მოტივები პარალელს პოულობენ სხვა ქვეყნების რომანტიკოს მწერალთა შემოქმედებაში. მაგრამ ქართველი რომანტიკოსების სევდას თუ პროტესტს საზრდოს აძლევს საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა. „ქართლის ბედის“ საკითხი ქართველი რომანტიკოსების პოეტურ შემოქმედებას ეროვნულ სახეს აძლევს და სხვა ქვეყნების რომანტიზმისაგან მკვეთრად განასხვავებს.

ლიტერატურათმცოდნეობაში რომანტიკული მიმართულების ორ სახეს განასხვავებენ. ერთი — ეს არის პესიმიზტური, კონსერვატიული რომანტიზმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სევდა, მელანქოლია, მომავლისადმი უიმედო დამოკიდებულება და მთელი იდეალის წარსულში გადატანა. მეორე სახე რომანტიზმისა მებრძოლი ხასიათისაა. იგი საზოგადოებას უკეთესი მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ეს არის აქტიური, პროგრესული რომანტიზმი.

რომანტიზმი წარმოიშვა და განვითარდა ფეოდალური ურთიერთობის რღვევის ეპოქაში. მის სულისჩამდგმელად ჩვეულებრივად გამოდიოდა ის საზოგადოებრივი კლასი, რომელიც ისტორიულად განწირული იყო. ასე მოხდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, ასევე განმეორდა რუსულ მწერლობაში და იმავე მდგომარეობასთან გვაქვს არსებითად საქმე ქართულ სინამდვილეშიც. რომანტიზმის პირველ სახეს ავითარებს სწორედ ეს საზოგადოებრივი ფენა — ფეოდალური არისტოკრატია. ამიტომაც მოულოდნელი

სრულიად არ არის, რომ ასეთი რომანტიზმისათვის მთავარი „ძველი დიდება“, აწმყოსადმი შეურიგებლობა და მომავლის მიმართ უიმედო დამოკიდებულება.

მებრძოლი რომანტიზმის წარმომადგენელი თავისი ეპოქისადმი შეურიგებელია. იგი არსებულ სინამდვილეს ვერ ეგუება, უარყოფს და ებრძვის, მაგრამ ებრძვის არა იმისათვის, რომ „ძველი დიდება“ აღადგინოს, არამედ იმისათვის, რომ მოიპოვოს სხვა—ახალი და უკეთესი. ასეთი რომანტიკოსის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისი ეპოქის სინამდვილეს ებრძვის, მას ამსხვრევს და ძველსაც არ ინდობს. იგი შეურიგებელია როგორც აწმყოს, ისე წარსულის მიმართ. მისი ხედვა მომავლისკენაა მიმართული, ხსნის იმედს უკეთესი მერმისის შექმნაზე ამყარებს და ამიტომაც რომანტიზმის ამ სახეს პროგრესულს უწოდებენ.

კონსერვატიული და პროგრესული რომანტიზმი ისტორიულად ერთსა და იმავე საზოგადოებრივ საფუძველზე აღმოცენდება ეგრეთწოდებულ გარდამავალ ხანაში. პირველი ძველი ურთიერთობის გადარჩენას ცდილობს და ამდენად კონსერვატორის როლში გამოდის, ხოლო მეორე ამის საწინააღმდეგო ტენდენციების შემცველია და კაცობრიობას პროგრესისაკენ მოუწოდებს. ქართულ ლიტერატურაში რეაქციული რომანტიზმი, როგორც ასეთი, არ ყოფილა. აქ ადგილი არ ჰქონია კონსერვატიული და პროგრესული რომანტიზმის ისეთ დაპირისპირებას, როგორც ეს სხვა ქვეყნების ლიტერატურაში აღინიშნება.

ქართული რომანტიზმი, როგორც მთლიანი ლიტერატურული მიმდინარეობა, თავისი ძირითადი ტენდენციებით, პროგრესული ხასიათისაა. ახლა, როდესაც ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა ისტორიის საგნადაა ქცეული, მთელი სიცხადით ჩანს მათი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ნაღვანის დიდი მნიშვნელობა. რომანტიკოს მწერალთა პოეტური საქმიანობა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ეხმაურებოდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ გამოხატულებას პოულობს სწორედ ქართველ რომანტიკოს მწერალთა შემოქმედებით მემკვიდრეობაში.

ქართული რომანტიზმის იდეურ-თემატიკური სფერო საკმარისად მრავალფეროვანია. როგორც ქვემოთ, ცალკეულ რომანტიკოს მწერალთა შემოქმედების შესწავლა დაგვარწმუნებს, ისინი ცხოვრების ყველა მხარეს წვდებიან. მაგრამ მთავარი, რაც ქართული



რომანტიზმის ხასიათს განსაზღვრავს, ეს არის ეროვნული თავისუფლების მოტივი.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, რუსული მართვა-გამგეობის დამკვიდრების შემდეგ, ქართველი ხალხი აშკარა ეროვნული ჩაგვრის უღელში აღმოჩნდა. თვითმპყრობელობის სახელმწიფო აპარატი დევნიდა ქართულ ენას, კულტურას, ადგილობრივ მკვიდრთა მრავალსაუკუნოვან წესებსა და ჩვეულებებს. ერთი სიტყვით, ქვეყანა, რომელიც მეფის რუსეთს მეგობრობის ტრაქტატით შეუერთდა, აშკარად კოლონიის მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მეფის რუსეთის მიერ წარმოებული კოლონიური პოლიტიკა ქართველი ხალხის სამართლიან უკმაყოფილებასა და წინააღმდეგობას იწვევდა. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ღვივდებოდა ეროვნული თავისუფლების იდეა, რომელიც თანდათანობით მოსახლეობის ფართო ფენებს ეუფლებოდა.

ნიკოლოზ პირველის სუსხიანი რეჟიმის ეპოქაში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უკვე პრაქტიკულად იწყება. 1832 წლის შეთქმულება ასეთი მოძრაობის პირველი ძლიერ გამოვლინებაა.

ქართული რომანტიზმის პროგრესული ხასიათი უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ყველაზე უფრო ცხოველმყოფელი იდეის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის გამომხატველია. რომანტიკოსთა თაობა უშუალო წინამორბედი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლისა, რომელმაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მკაფიოდ ჩამოყალიბებული და იანმომდეგარი ბრძოლის ხასიათი მისცა.

ეროვნული თავისუფლების მოტივი დამახასიათებელია თითქმის ყველა ქართველი რომანტიკოსისათვის. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სახელი და დიდება უმთავრესად ამ მოტივზე დაწერილ თხზულებებს ემყარება.

ეგვე მოტივი მთავარია აგრეთვე ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედებისათვის. მართალია, მათი ნაწერებიდან არ გვესმის ისეთი საბრძოლო მოწოდებანი, როგორიც ნ. ბარათაშვილის თხზულებებშია, მაგრამ არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობა და ისტორიული წარსულიდან სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა გაცოცხლება საბოლოოდ მაინც ეროვნული თავისუფლების იდეას ემსახურება.

როგორც ქვემოთ, ქართველ რომანტიკოსთა ცალკ-ცალკე შესწავლისას ვნახავთ, ეროვნული თავისუფლების მოტივი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აგრეთვე სოლომონ რაზმაძის, დავით მაჩაბლის, გრიგოლ რჩეულიშვილისა და მამია გურიელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

ქართველ რომანტიკოს მწერალთა შემოქმედებაში გარკვეულ ადგილს იკავებს სოციალური მოტივი. როგორც შემდეგ ვნახავთ, ჩვენი რომანტიკოსები სოციალურ-კლასობრივი მოტივის თვალსაზრისითაც აქტივობას მოკლებული არ ყოფილან.

ქართული რომანტიზმი ძირითადად პროგრესული ხასიათისაა. მაგრამ ქართველ რომანტიკოსთა შორის არიან ისეთებიც, რომელთა შემოქმედება მეტწილად სევდისა და გულგატეხილობის გამომხატველია. ასეთებად წარმოგვიდგებიან პირველ ყოვლისა მიხეილ თუმანიშვილი და გრიგოლ რჩეულიშვილი.

ეპოქა, რომელშიც წარმოიშვა და განვითარდა ქართული რომანტიზმი, არის ეპოქა ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა, პროცესი ფეოდალური მეურნეობის დაცემისა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. საეპქრო კაპიტალის ძალა ჯერ კიდევ ამ დროიდან არყევს კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის საფუძვლებს, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან ქართული ფეოდალიზმის კრიზისი უფრო თვალსაჩინო ხდება. ეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა ქმნის საფუძველს ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობისათვის.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე ქართული რომანტიზმის საწყისებს, სრულიად სამართლიანად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხედავს იმ სოციალურ საფუძველზე, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, იგი წერს:

„საეპქრო კაპიტალის ელემენტების შემოჭრით სოციალური ბატონობის ბაზის შერყევამ მბრძანებელ კლასს სულის სიმშვიდე დაუკარგა და ფეოდალურ ლიტერატურაში გამოიწვია რომანტიზმის ელემენტები. უნდა შევნიშნოთ, რომ რომანტიზმის ელემენტებს ჩვენ გარკვევით ვამჩნევთ ქართულ მწერლობაში, თუ უფრო ადრე არა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც, განსაკუთრებით კი რუსულ ემიგრაციაში. დაკარგვას სამშობლოსი, ნაცნობ-მეგობრებსა და ნათესაებს დაშორება, დაკარგვა პოლიტიკური ძალაუფლებისა (რუსეთში უფრო ადრე, ვიდრე საქართველოში) და სოციალური მდგომარეობის შერყევა, აი, ის ნიადაგი, რომელზედაც



აღმოცენდა ქართული ფეოდალური კლასის რომანტიზმის ულემენტები<sup>1</sup>.

ფეოდალიზმის რღვევა და მის ნანგრევებზე ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება ისტორიული კანონზომიერებით ნაკარნახევი მოვლენა იყო. მაგრამ ისტორიის ამ განაჩენს მეფის რუსეთი ასრულებდა და ამიტომაც ქართველი ფეოდალური არისტოკრატია თავის მოსისხლე მტრად რუსულ მართვა-გამგეობას თვლიდა. იგი დიდხანს ებრძოდა ახალ სახელმწიფოებრივ რეჟიმს, მაგრამ მთელ რიგ აჯანყებათა უშედეგოდ დამთავრებამ და განსაკუთრებით 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ მის იმედებს საფუძველი გამოაცალა. ამ ნიადაგზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბუნებრივად განვითარდა გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების განწყობილებანი. სწორედ ასეთი განწყობილებანი დამახასიათებელია მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის ქართული მწერლობისათვის. აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში მზადდებოდა ნიადაგი იმისათვის, რათა მის ბუნებრივ გაგრძელებად ჩამოყალიბებულიყო ახალი ლიტერატურული მიმართულება—რომანტიზმი.

ამრიგად, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობისა და აღორძინების პერიოდის ტრადიციის საფუძველზე წარმოიშვა და განვითარდა ახალი ლიტერატურული მიმართულება. რუსულ და ევროპულ მწერლობასთან დაახლოებით ქართულ რომანტიზმს საბოლოო სახე მიეცა და იგი დიდ ლიტერატურულ მიმდინარეობად იქცა.

## V

რომანტიკული მიმართულების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ის არის, რომ იგი აწმყოზე უკმაყოფილების გამომხატველია. რომანტიკოსს ჩვეულებრივად თავისი ეპოქა ვერ აკმაყოფილებს. იგი გულგატეხილია თავისი ეპოქის სინამდვილეზე და იმავე დროს მომავალსაც ერთგვარი შიშისა და უნდობლობის თვალთ უყურებს.)

რომანტიკული მიმართულებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ეს ნიშანი ქართველ რომანტიკოსებთან გარკვევით ვლინდება. ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ცნობილ ელეგიაში „გოგჩა“ ამბობს:

<sup>1</sup> ქ. ქავთაძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 217.

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,  
 აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,  
 აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;  
 მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვაე ბრმობილო!

გრიგოლ ორბელიანი ავლანის ყაზარმობის შემდეგ, შორეული ჩრდილოეთიდან, თავის დას ეფემიას სწერდა:

ხვალე არა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი,  
 ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით დღეს ბედნიერ?

რომანტიკოსებისათვის მიუღებელია არსებული სინამდვილე. ამ სინამდვილემ დიდებული პალატები ნანგრევებად აქცია და ეს უბედურება არა მარტო აწმყოს გამომხატველია, არამედ მომავლის მანიშნებელიც არის. მწარეა როგორც აწმყო, ისე მყობადი. მაშ სად არის გამოსავალი, სად უნდა პოვოს ადამიანის სულმა მოსვენება? რომანტიკოსებისათვის მეტწილად ასეთი გამოსავალი წარსულშია. წარსულის აღდგენა მოგონებაში, ოცნება „ძველი დიდების“ დღეებზე ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ულამაზესია რომანტიკოსი პოეტებისათვის. მათთვის დამახასიათებელია ამონაკვეთი, რომ „დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად, წარილტვენ; გაჰქრენ, სიზმრებრივ ჩქარად“.

წარსულისადმი რომანტიკული ტრფილება და მომავლის წინაშე შიში ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ქართველი რომანტიკოსებისათვის. მაგრამ იმავე ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში მთელი რიგი მონაცემებია, რომლებშიც მეტწილი განწყობილებანი და მომავლის დიადი რწმენა გარკვევით იგრძნობა. ასეთი ხასიათის ნაწარმოებები მოეპოვებათ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, სოლომონ რაზმაძეს და სხვებს, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფასთან ერთად თავგანწირული ბრძოლისა და მზიანი მომავლის ურყევი რწმენა უანდერძა შთამომავლობას.

\* \* \*

რომანტიკოსთა შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ბუნებას. რომანტიკოსებმა ბუნების კულტი აღიარეს. ბუნებისაკენ ეს უსაზღვრო ლტოლვა მათი საერთო მრწამსით აიხსნება. აწმყოსადმი შეურიგებლობას და მომავალზე გულგატეხილობას რომანტიკოსი პოეტი მოსვენების ადგილის ძიებაში გადაჰყავს. იგი დაეძებს ისეთ სამყოფელს, საიდანაც ყოველდღიურ ცხოვრებას დაშორებული იქ-





ნება და მწარე სინამდვილე მას ვერ მისწვდება. ბუნებასთან მჭიდროდ  
ბით რომანტიკოსი, განსაკუთრებით პესიმისტი რომანტიკოსი, სუ-  
ლიერად ისვენებს და ტკებება.

რომანტიკოსებს ბუნებისაკენ იზიდავს მისი „მარადიულობა“. ბუნება ყველაზე უფრო ნაკლებად ემორჩილება ცხოვრების ქარ-ტენილს. ადამიანთა ცხოვრება დღეს ის არ არის, რაც გუშინ იყო და ხვალ ის აღარ იქნება, რაც დღეს არის. ბუნება, წინააღმდეგ ადამიანთა ცხოვრებისა, „უამთა ცვლას“ არ მისდევს. იგი განუხრელად მიემართება ერთხელ აჩემებული გზით და ისე მიჰმედ, რომ მასში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებებისათვის ძალზე დიდი დროა საჭირო. ბუნება დღესაც ისე სპეტაკი და შეუბღალავი გამოიყურება როგორც გუშინ და ასეთივე იქნება იგი ხვალაც. სწორედ ეს თვისება ბუნებისა იზიდავს პესიმისტ რომანტიკოსებს. რომანტიკოსი მოხიბლულია ბუნების მშვენიერებით, მისი ფერუთვალავი სანახაობით — გოლიათი მთებით, ჩანჩქერებით, ტყეებითა და ველებით. იგი ბუნებას ჰბაძავს, სწადია მისი განმეორება. აქედან რომანტიკოსების საერთო გატაცება ბუნების სურათებით. იშვიათი შემთხვევა არ არის, როდესაც რომანტიკოსი თვით გვევლინება ასეთი სურათების მხატვლად.

რომანტიკული მიმართულების ეს საერთო ნიშანი ქართველი რომანტიკოსებისათვისაც დამახასიათებელია. მართალია, ისინი ბუნებას არ გვიხატავენ ფანქრით და არც ხეზე ამოჰკვეთენ ხოლმე მის სურათებს, როგორც იქცეოდა რუსი მწერალი ჟუკოვსკი, მაგრამ ისინი ბუნებას ხატავენ პოეტური სიტყვის საშუალებით. გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანისა და სხვა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში განსაკუთრებით საგრძნობია ბუნების აღწერითი მხარე.

ეს მოვლენა შემთხვევითი არაა. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ბუნების სურათები გარკვეული ფუნქციით წარმოგვიდგება. მათ ნაწერებში ბუნება ეროვნული თავისუფლების მოტივთაა დაკავშირებული. აქ წარმოდგენილი პეიზაჟი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას აძლიერებს და აღრმავებს. ამ მიზანს ემსახურება ბუნების წარმტაცი სურათები გრ. ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის საყოველთაოდ ცნობილ პოემებში.

გარდა ამისა, ქართველი რომანტიკოსები ბუნებას გარკვეული ფილოსოფიური თვალსაზრისითაც უდგებიან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბუნებისადმი დამოკიდებულებაშიც თავს იჩენს ჩვენი რომანტიკოსებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი კეთილშობილური ჰუმანიზმი.

\* \* \*

რომანტიკულმა მიმდინარეობამ ქართულ მწერლობაში გარკვეული ცვლილება მოახდინა ადამიანის ერთ-ერთი უნაზესი გრძნობის — სიყვარულის გაგების საკითხში. სიყვარული ქართული ლიტერატურის უძველესი თემაა. მაგრამ რომანტიკოსებმა ამ უძველეს მოტივშიც თავისებური სიახლე შეიტანეს. მათ წინ წამოსწიეს სიყვარულის სულიერი მხარე და ამ გრძნობის მარადიულობა.

მართებული არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ძველ ქართულ მწერლობაში სიყვარულის მხოლოდ ხორციელი მხარე იყო ხოტბის საგანი. არა, ძველ ქართულ ლიტერატურაში ჩვენ გვხვდება მთელი რიგი ნიმუშები, როდესაც მწერალი უმღერის სულიერ სილამაზეს, ადამიანის შინაგან ადამიანურ ღირსებას, ხოლო გარეგანი სილამაზე-ეშხიანობა შედარებით უკანა პლანზეა გადატანილი. შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ პოემაში სასტიკად დაჰგმო „უგულოდ მტლამა-მტლუში“ და ერთდროულ კოცნა-ხვევენას მიჯნურობა ხანიერი დაუპირისპირა:

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძაგი, ბილწი, მრუში,  
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა. ეში,  
გული ერთსა დააჯეროს, კუშიტი მიჰხედეს, თუნდა ქეშვი;  
მძულს უგულოდ სიყვარული, ხვეენა, კოცნა, მტლამა-მტლუში.

გენიოსი პოეტის ამ სიტყვებში სიყვარულის უმაღლესი გაგებაა მოცემული. ამაზე მეტი რომანტიკოსებსაც არ უთქვამთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ სიყვარულის რუსთაველური გაგება, რომელიც მოყვანილი სტრიქონებიდან ამოიკითხება, ძველი ქართული ლიტერატურისათვის, განსაკუთრებით აღორძინების ხანაში, მაინცდამაინც დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება. ამ ეპოქის პოეტისათვის უმთავრესი მაინც „გიშრის ტბა“ და „მოისარი წამწამები“ ანუ „თვალად სიტურფე“ იყო. რომანტიკოსების აზრით, გარეგნული სილამაზე ნიჭია მხოლოდ ხორციელებისა, უკვდავება კი სულიერ მშვენიერებაში მდგომარეობს. სიყვარული აუცილებელია თვით ადამიანობისათვის. სიყვარული ადამიანს ამაღლებს და ასპეტაკებს. იგი უდიდესი განძია და რაღა გვრჩებაო მისი ბადალი, თუ ეს გრძნობა ჩაკვდა ადამიანში. აქვე ყოველთვის ხაზგასმულია სიყვარულში ერთგულება და სიმტკიცე. არა შემთხვევითი გატაცება, არამედ ხანგრძლივი, უღალატო და უანგარო სიყვარული. ასე-



თია ის გაგება, რომელიც ქართულ ლიტერატურაში რომანტიკოსებმა გააბატონეს.

რომანტიკული მიმართულების ერთ-ერთი ნიშანი ისიც არის, რომ იგი ფართო გასაქანს აძლევს ადამიანის მგრძობელობას. რომანტიკოსების აზრით, ადამიანის მამოქმედებელი არის არა მხოლოდ გონება, არამედ გრძნობაც. ადამიანის პიროვნება შეუზღუდავი უნდა იყოს. იგი უნდა მოქმედებდეს არა მარტო გონების კარნახით, არამედ გრძნობითაც.

პიროვნების შეუზღუდავი თავისუფლება რომანტიზმის აგრეთვე ძირითადი მოთხოვნილებაა. პიროვნების ბედნიერებას უნდა შეეწიროს ყველაფერი, რასაც მისი ადამიანურობა მოითხოვს. გრძნობასა და გონებას შორის ზოგჯერ კიდილია: ადამიანის გონება ეწინააღმდეგება მისსავე გრძნობებს, მაგრამ რომანტიკოსი მწერალი ამ ბრძოლის დროს სასწორს გრძნობისაკენ გადახრის, რადგან გრძნობის თავისუფლება აუცილებელი პირობაა ადამიანის სრული თავისუფლებისათვის. ალექსანდრე ჭავჭავაძეს მოხდენილად აქვს ნათქვამი:

სიბრძნე და გონიერება რაგინდ მარად ფხოზლად გვევლობდენ,  
სიკაბუჯეს და სიყვარულს რაცა უნდათ იმას ჰყოფდენ.

ადამიანი ურთულესი მოვლენაა ბუნებაში არსებულ ყველა არსებათა შორის. იგი განსაკუთრებული მრავალმხრივობით ხასიათდება. ამდენადვე ადამიანის მრავალფეროვან აგებულებაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებიც დასაშვებია.

რომანტიკოსების გაგებით, ადამიანი შეუძლებელია კმაყოფილი იყოს. მისი ნდობა უსაზღვროა, ხოლო ცხოვრება — საწყაული აღუვსებელი. მიუხედავად ამისა, ვიდრე იგი ცოცხალია, ადამიანი შვედარს არ უნდა ემსგავსოს. თვითმკვლელობა ბუნებრიობის კანონს ეწინააღმდეგება. რომანტიზმმა კულტად აქცია ბუნებრივი ადამიანი, რომანტიკოსისათვის ადამიანი ძვირფასია მთელი თავისი შინაგანი წინააღმდეგობით — ტანჯვითა და სიხარულით. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში, პესიმისტური ლექსების გვერდით, ჩვეულებრივი ადამიანური მგრძობელობის გამომხატველი ლაღი და უღარდელი ხმებიც გვესმის. ქართველ რომანტიკოსებთან არა ერთგზის ვხვდებით თავისუფალი გრძნობის დაპირისპირებას „ცივ გონებასთან“. ისინი ჭანსალი და საქმიანი ადამიანის გრძნობათა თავისუფლების დამცველებად გამოდიან.

საქართველო  
საქართველო

ზემოჩამოთვლილი სტილური ნიშნები დამახასიათებელია საზოგადოდ რომანტიკული მიმართულებისათვის. ეს ნიშნები მეტნაკლებად ახასიათებს ყველა ქვეყნის რომანტიზმს და ყველა ქვეყანაში ამ ნიშნებს თავის დაღს ასვამს ადგილობრივი პირობები. ქართულ რომანტიზმში წარმოდგენილია ყველა ნიშან-თვისება, რომელიც საზოგადოდ რომანტიკული მიმართულებისათვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე ქართული რომანტიზმის არსებითი და განმსაზღვრელი ნიშანია ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი, ეროვნული პირობები.

ქართველი რომანტიკოსები არსებული პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობით უკმაყოფილონი არიან. მათ უკმაყოფილებას საფუძველს აძლევს ის საზოგადოებრივი ვითარება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან შეიქმნა. ისინი მწვავედ განიცდიან თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი აპარატის სისასტიკეს, ებრძვიან ახალ ვითარებაში შექმნილ ცხოვრების პირობებს. ქართველი რომანტიკოსები წყევლა-კრულვით იხსენიებენ იმ ძალას, რომლის გავლენითაც მათ სამკვიდრო (მამული) დაკარგეს. შემთხვევითი არაა ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვები:

წყველ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაკარგეთ კრულნი!  
გვძლივა სოფელმან ხელ-ყოფელმან, აჲ გვაგო შტორნი.

მსგავსი გოდება სამშობლო ქვეყნის მდგომარეობაზე დამახასიათებელია თითქმის ყველა ქართველი რომანტიკოსისათვის. მათი საერთო გულისნადების გამომხატველია აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის ცნობილი თქმა:

სხვა საქართველო სად არის, რომელი ეუთხე ქვეყნისა?  
ერი — გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?

ასეთია ქართველი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი ძირითადი იდეურ-თემატიკური სფერო.

ქანრების თვალსაზრისით ქართულ რომანტიზმში საკმაო მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე. იგი მწერლობის ერთი რომელიმე გვარით არ იფარგლება. აქ მოცემულია როგორც ლირიკა, ისე ეპოსი და დრამა. ეს ქანრები ახალმა ლიტერატურამ მემკვიდრეობით მიიღო აღორძინების ხანის ქართული მწერლობიდან. როგორც უკვე აღინიშნა, ლირიკა ძირითადი ქანრია ქართველი რომანტიკოსებისათვის, მაგრამ აქვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეპოსი.



ამ მხრივ საყურადღებოა ალექსანდრე ჭავჭავაძის „ახლოთ განჩხრეკილი კაცი“, გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ და „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდე“, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“, გრიგოლ რჩეულიშვილის პროზა, ალექსანდრე ორბელიანის მოთხრობები და ისტორიული ლიტერატურული ხასიათის ნარკვევები. დრამატურგიის ხაზით აღსანიშნავია ამავე ალექსანდრე ორბელიანის ორიგინალური დრამატული თხზულებები და სხვ.

ქართული რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ქართული მწერლობის ურთიერთობამ რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან. ადგილობრივ სოციალურ და კულტურულ პირობებთან ერთად, რაც არსებითი იყო, საერთო ლიტერატურულ გარემოსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა მეცხრამეტე საუკუნის მთელ მანძილზე. ჯერ კიდევ გაცილებით ადრე, ხოლო განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ქართველი მწერლები გატაცებით თარგმნიან და აქართულებენ რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. ამ დროს ქართულად ითარგმნება დერჟავინის, კარამზინის, კრილოვის, გრიბოედოვის, ჟუკოვსკის, რილევევისა და პოლონელი მწერლის ადამ მიცკევიჩის ნაწერები. რუსული ენის საშუალებით ქართველი მწერლები ეცნობიან უცხოეთის მხატვრულ ლიტერატურას. ალექსანდრე ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის კორნელის, რასინის, ვოლტერის, ეზოპესა და ლაფონტენის მთელ რიგ ნაწარმოებთა გადმოქართულება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართველები გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის მიმართ იჩენდნენ. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ რაზმაძის, მიხეილ თუმანიშვილის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და სხვების მიერ თარგმნილია პუშკინის მთელი რიგი ლექსები და პოემები.

რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან დაახლოება ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქართული მწერლობის განთავისუფლებას ძველი, ტრადიციული აღმოსავლური გავლენისაგან. მამასადამე, არსებითად, იგი ქართული რომანტიზმის განვითარების საქმეს ემსახურებოდა. ამაშია მისი მნიშვნელობა.

რომანტიკულ მიმართულებას ქართულ ლიტერატურაში მიმდე-

ვართა მთელი პლეადა გამოუჩნდა. ამ მიმართულების უმთავრესი წარმომადგენლები არიან: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სოლომონ რაზმაძე, დავით მაჩაბელი. მიხეილ თუმანიშვილი, გრიგოლ რჩეულიშვილი და მამია გურიელი.

---

## ალექსანდრე ჭავჭავაძე

### I

ჭავჭავაძეების გვარში ორ შტოს განასხვავებდნენ: ერთი მდიდარი იყო, ხოლო მეორე — ხელმოკლე. ჩვენი პოეტი ჭავჭავაძეთა იმ მოდგმას ეკუთვნის, რომელიც, გარდა თავისი მაღალი წოდებრივი მდგომარეობისა, მატერიალური დოვლათითაც ცნობილი იყო. 1886 წლის დამდეგს რაფიელ ერისთავმა „ივერიაში“ გამოაქვეყნა ფელეტონი სათაურით: „ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალს წელიწადის დღეს“. მსცოვანი მგოსანი ჩამოთვლის, თუ რას ინატრებდა საახალწლოდ კახელი, ქართლელი, გურული, იმერელი, რაჭველი და მეგრელი. რაფიელის სიტყვით, კახელი კაცი აუცილებლად ჭავჭავაძიანთ ღვინოს ინატრებდა:

ნეტავი ნატვრა მანატრა  
ის ნატვრა ამიხდინაო;  
მუხრან-ბატონი ყმად მომცა  
კახის ბატონის ბინაო;  
ნომცა ყაინის უღური,  
ხოლოქართან გამიხდინაო,  
ჭავჭავაძის კარგი ღვინო  
მილით შინ მომიხდინაო<sup>1</sup>.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა გარსევანი თავისი დროისათვის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. გარსევან ჭავჭავაძის სახელი დაკავშირებულია მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის საინტერესო ისტორიულ მოვლენებთან. იგი ჯერ კიდევ ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა იყო, როდესაც ერეკლე მეორემ 1783 წელს რუსეთს მიავლინა ცნობილი ტრაქტატის საქმეზე. 1784 წლიდან გარსევანი დაინიშნა საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად ეკატერინე მეორესთან და ამის შემდეგ იგი თავდადებით ზრუნავდა სა-

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 2.

ქართველოს რუსეთთან საბოლოოდ დაკავშირებისათვის, გარსევან ჭავჭავაძის პიროვნებას დიდ ანგარიშს უწევდა იმპერატორი და მისი სასახლე.

დედა ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მაია, იყო ასული ივანე ავალი-შვილისა. მაია თავისი დროის კვალობაზე კარგად განსწავლული და ოჯახის ერთგული დედა იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის მშობლების დასახასიათებლად ცნობილი მწერალი და მოღვაწე დავით რექტორი ამბობდა:

დანატრი შენთა მშობელთა ვითარ გყვეს აგრე ბრძნობილი,  
გონება ვრცელი, მდაბალი, გულხმება მზეებრ ცნობილი I.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაიბადა პეტერბურგს 1786 წელს. ქართველი ელჩის დაახლოების მიზნით გარსევანის ერთადერთი ვაჟის მიმრქმელობა თვითონ ეკატერინე მეორემ იკისრა. იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათლია გახდა. ეს ფაქტი უბრალო მნიშვნელობის მოვლენა არაა, ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მომავალი პოეტის უშუალოდ დაკავშირებას სასახლის უმაღლეს არისტოკრატიასთან. იგი ამ წრეებში ტრიალებდა და აქვე ყალიბდებოდა მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური გემოვნება.

პატარა ალექსანდრემ ზედმიწევნით იცოდა რუსული ენა და სწავლობდა აგრეთვე უცხო ენებს — ფრანგულსა და გერმანულს. იქვე, დედის უშუალო ხელმძღვანელობით, ალექსანდრემ ქართული წერა-კითხვა შეისწავლა. ცხრა წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე პეტერბურგის ერთ-ერთ საუკეთესო პანსიონში მიაბარეს. აქ სწავლობდა იგი 1795 წლიდან 1799 წლამდე.

1799 წელს გარსევან ჭავჭავაძე საქართველოში ჩამოვიდა და ალექსანდრეც თან ჩამოიყვანა. 1804 წლის შემოდგომაზე, როდესაც მთიულეთის აჯანყებამ იფეთქა, ალექსანდრე ჭავჭავაძეც იქ აღმოჩნდა. იგი ფარნაოზ ბატონიშვილს შეუერთდა და მასთან ერთად საქართველოდან რუსული მმართველობის განდევნაზე ოცნებობდა. მთიულეთის აჯანყება დამარცხდა და მისი მეთაურები სასტიკად დაისაჯენ. დასჯილთა შორის ალ. ჭავჭავაძეც იყო. იგი სამი წლით გადაასახლეს ქალაქ ტამბოვს. ახალგაზრდა პატიმარ პოეტს მამაც თან გაჰყვა. 1805 წლის დამდეგს გარსევანის თხოვნით ალ. ჭავჭავაძე პეტერბურგის პაეტა კორპუსში ჩაირიცხა.

1804 წლის აჯანყების ისტორიასთან დაკავშირებულია ალექსან-

I ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. 337.





დრე ჭავჭავაძის ერთი თარგმნილი ნაწარმოები, რომლის სათაურია „ახლოით განჩხრეკილი კაცი“. იგი თარგმნილია 1804 წელს, პატიმრობის დროს და მთარგმნელის მიერ მიძღვნილია აჯანყების მეთაურის ფარნაოზ ბატონიშვილისადმი. ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანი ლიტერატურული დოკუმენტია მთარგმნელი მწერლის იმდროინდელ შეხედულებათა გასათვალისწინებლად.

„ახლოით განჩხრეკილი კაცი“ მძაფრი, იშვიათი გამბედაობით გამოთქმული კრიტიკაა დესპოტიზმისა და უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული. თხზულებაში მოცემულია კრიტიკა მთარგმნელის ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა. ნაწარმოებში ლაპარაკია იმაზე, რომ ქვეყნად გაბატონებულია „ულმოზებლობა, სულმოკლეობა, მრისხანება, შური, სიძულვილი, კაცთა კვლა და მხეცობრიობა“. თხზულებაში სოციალური უთანასწორობის საინტერესო მხილებაა მოცემული. ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ექსპლოატაცია იმ დროისათვის უდავოდ პროგრესული, დემოკრატიული თვალსაზრისითაა გაშუქებული.

ნაწარმოებში ვკითხულობთ:

„კაცი შობილი ღარიბად, არა თუ ოდენ იძულებულ არს მიცემად მდიდრისადმი ყოვლისა მუშაკობისა თვისისა ნაყოფთა კნინდა უფასოდ, არამედ სულიცა მისი ვერ განირინების მის მიერ განმზადებულისა მისთვის რკინისა საგდებელისაგან, ამად რომელ მიზეზებულნი მდიდრისაგან უსამართლოებანი განაღვიძებენ გულსა შინა ღარიბისასა სიძულვილსა დიდსა, და ოდესმე სიკვდილისა მისისა სურვილსაცა“.

ნაწარმოების მიხედვით ქვეყანაზე ცხოველთა ყოფა უფრო ბედნიერია, ვიდრე ძალადობით შებოჭილი ადამიანების ცხოვრება. ჭია, რომელიც ხის ფოთოლზე დაბადებულა, უფრო თავისუფლად სუნთქავს, ვიდრე ადამიანი. ცხოველებისათვის უცნობია ის შური, მტრობა და ურთიერთჩაგვრა, რომელიც ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებლად ქცეულა. ადამიანი ვერ პოულობს თავისუფალ ადგილს, ქვაც-კი, რომელზედაც შეიძლება კაცმა თავი დასდოს, უეჭველად რომელსამე პატრონს ეკუთვნისო, — გვეუბნება ალ. ჭავჭავაძე. იგი წერს:

„ბედნიერნო ცხოველნო, თქვენ არა უწყით დამამზობელნი ესე განჩხევანი, რომელთა მიერ კაცი იძულებულ არს კვნესად ძმისა თვისისა მონებითა შობითვე. თქვენით მიწა კმა ყოფს ყოველთა საჭიროებათა თქვენთა, ბუღბუღლსა არა ოდეს უთქვამს თვისთა მობუღბუღართა სხვათა ბუღბუღლთათვის: ყოველნი ხენი ამა ტყისანი ჩემნი



არიან და ყოველნი მათ ზედა მბუღარნი მფრინველნი ჯერარს დაძმე  
 მორჩილენ მე! ჭია, დაბადებული ფურცელსა ზედა, სულთქავს თა-  
 ვისუფლებით, ხოლო კაცი ვერა სადა ჰპოებს თავისუფალსა ადგილ-  
 სა! თვით ქვაცა იგი, რომელსა ზედა სდებს იგი თავსა თვისსა, თვის  
 ცუვის ვიეთსამე პატრონსა“.

მოყვანილი ამონაწერი არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ  
 ნაწყვეტს დასახელებული ნაწარმოებიდან. „ახლოთ განჩხრეკილი  
 კაცი“ თავიდან ბოლომდე ერთი მთლიანი პროტესტის ხმაა დესპო-  
 ტიზმის წინააღმდეგ მიმართული. ეს თხზულება განსაკუთრებული  
 მნიშვნელობის დოკუმენტია იმდენად, რამდენადაც მასში გამოხა-  
 ტულებას პოულობს ჭაბუკი პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
 მრწამსი იმ დროისა, როდესაც იგი მთიულეთის აჯანყებაში მონა-  
 წილეობის გამო პატიმრობაში იმყოფებოდა. იმპერატორმა ეს  
 ახალგაზრდა შეირიგა, გადასახლებიდან დააბრუნა და პეტერბურ-  
 გის პაეტა კორპუსში ჩაარიცხვინა. ალ. ჭავჭავაძის პოლიტიკურ  
 მისწრაფებებს ნავლი გადაეფარა.

1809 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ პაეტა კორპუსი დაამთავრა,  
 ხოლო 1810 წელს პორუჩიკის ჩინი მიიღო. იგი 1811 წელს საქარ-  
 თველოში დაბრუნდა და იმავე წელს თბილისში დაინიშნა მარკიზ  
 პაულიჩის ადიუტანტად.

1812 წელს ალ. ჭავჭავაძე მონაწილეობას იღებს კახეთის აჯან-  
 ყების ჩაქრობაში. თუ 1804 წელს იგი თვით იყო აჯანყებული, ახ-  
 ლა მარკიზ პაულიჩთან ერთად, გარეგნულად მაინც, ცეცხლითა და  
 მახვილით იბრძვის კახელი გლეხების წინააღმდეგ, როდესაც ალ.  
 ჭავჭავაძის პიროვნებას ვითვალისწინებთ, გარკვევით ვგრძნობთ,  
 რომ იგი ძალიან კარგად ხედავდა საქმის ნამდვილ ვითარებას აჯან-  
 ყების მომენტში. მას კარგად ესმოდა, რომ გლეხთა ამ გამოსვლე-  
 ბის მიზეზი ისევ მეფის რუსეთის მიერ შექმნილი მდგომარეობა  
 იყო, მაგრამ იმ ხანად პოეტი, თავისი სამსახურებრივი მდგომარეო-  
 ბის გამო, ოფიციალური ხელისუფლების მოხელის როლში გამო-  
 დიოდა. თავის ისტორიულ ნარკვევში ალექსანდრე ჭავჭავაძე კახე-  
 თის 1812 წლის აჯანყების თაობაზე წერს: „მისი მიზეზი ხალხის  
 ერთადერთი უმაგალითო შეწუხება იყო. განსაკუთრებით იმ საუბე-  
 დურო შემთხვევის დროს, როდესაც მას სურსათს ეგზეკუციით  
 ართმევდნენ და ყოველგვარ უმსგავსოებით საზღვარს გადასცილ-  
 დნენ“. როგორც ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძე ძალიან კარგად  
 გრძნობდა, რომ სიმართლე აჯანყებულთა მხარეზე იყო, მაგრამ სამ-  
 სახურებრივი მდგომარეობა აიძულებდა მას, რათა აჯანყების ჩამ-  
 ქრობის როლში გამოსულიყო.



1813—1814 წლებში ალ. ჭავჭავაძე ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართულ ომში მონაწილეობდა. იგი პარიზში შეჰყვა გამარჯვებულ რუსთა არმიას. დაბრუნების შემდეგ მას ჯილდო-საჩუქრებიც მიუღია ბრძოლაში თავდადებისა და მამაცობის გამოჩენისათვის.

1822 წლის დამდეგიდან ალექსანდრე ჭავჭავაძე პოლკის უფროსად ინიშნება.

1826 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ გენერალ-მაიორობა მიიღო. 1828 წელს იგი ერევნის ოლქის უფროსად დაინიშნა. მისი თანამდებობრივი მდგომარეობა კვლავ წარმატებისაკენ მიდიოდა, მაგრამ ამ გზაზე თავი იჩინა 1832 წლის შეთქმულებამ თავისი სასტიკი შედეგებით.

ფარული საზოგადოების აღმოჩენასთან ერთად ალექსანდრე ჭავჭავაძეც დააპატიმრეს. იგი პირველად უარყოფდა შეთქმულებაში მონაწილეობას, მაგრამ ბოლოს მაინც ნათელი გახდა, რომ ალ. ჭავჭავაძე არა თუ უბრალო თანამგრძნობი, არამედ ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. მართალია, იგი ცოტა მოგვიანებით შევიდა ფარულ საზოგადოებაში, მაგრამ იმ დროსაც მისი სახით შეთქმულთა ორგანიზაციამ დიდი შენამატი მიიღო.

ფარული საზოგადოების წევრები ალექსანდრე ჭავჭავაძის, როგორც ავტორიტეტის მქონე პიროვნების, შეთქმულებაში მონაწილეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასეთი ვარაუდიც ყოფილა: შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში ალ. ჭავჭავაძეს ორი თანამდებობა უნდა დაეკავებინა: იგი დაინიშნებოდა საგარეო საქმეთა და სამხედრო მინისტრად. ცნობილი ელჩის შვილს და სახელმძღვანელო გენერალს დასახელებულ თანამდებობებზე მეტოქეც ვერავინ ეყოლებოდა იმდროინდელ საქართველოში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე შეთქმულებასთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო არა მარტო თვითონ პირადად, არამედ შეთქმულთა საქმიანობასთან, ასე თუ ისე, დაახლოებული ყოფილან მისი ოჯახის დანარჩენი წევრებიც. არსებობს ერთი უტყუარი ცნობა, რომლის მიხედვით ჭავჭავაძის ოჯახის პოლიტიკური ატმოსფეროც იგრძნობა. ეს ლიტერატურული სალონი მეფის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პოლიტიკური იდეების თავშესაფარიც ყოფილა იმავე დროს.

ამ ოჯახთან დაკავშირებული ერთი ლიტერატურული ფაქტი ასეთია: 1832 წლის დამდეგს გრიგოლ ორბელიანმა თავისი ლექსი „იარალის“ ნოვგოროდიდან პეტერბურგს გაუგზავნა იარალ შანშიაშვილს, რომლისადმიც მიძღვნილია ეს ნაწარმოები. გარდა ამი-

სა, იგივე ლექსი გრიგოლს გამოუგზავნია აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის მეუღლისათვის. სალომე ჭავჭავაძეს ლექსი თბილისელ შეთქმულთა შორის გაუვრცელდება. გრიგოლ ორბელიანის ლექსს „იარალის“ იწერდნენ და იზეპირებდნენ შეთქმულები. ეს შემთხვევითი არაა. „იარალის“, რომელიც შეთქმულთა პოლიტიკური იდეების პოეტური ამტყველებია, მომენტისათვის პირდაპირ მისწრაფება იყო. სწორედ აქ, ამ ლექსის გავრცელებაში, ჩანს სალომე ჭავჭავაძის როლი. შეთქმულების ისეთ მონაწილეს, როგორც იყო ვახტანგ ორბელიანი, ლექსი „იარალის“ ჭავჭავაძის ოჯახიდან მიუღია, გადაუწერია და გაუზეპირებია კიდევ. ამ ფაქტს გარკვევით აღნიშნავს ვახტანგ ორბელიანი თავის ჩვენებაში საგამომძიებლო კომისიისადმი.

შეთქმულებაზე სასჯელის გამოტანისას ალ. ჭავჭავაძეს ოთხი წლით გადასახლება მიუსაჯეს. იგი ხელმეორედ ტამბოვს გაიგზავნა. ალექსანდრე ჭავჭავაძეს ბოლომდე არც ეს სასჯელი მოუხდია. გადასახლებიდან ერთი წლის შემდეგ იგი იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა გაიწვია პეტერბურგს და იქიდან სამშობლოში გამოგზავნა განთავისუფლებული. 1832 წლის კატასტროფა ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრებაში გარკვეული მობრუნების წერტილად იქცა. თავადაზნაურული ინტელიგენცია იმპერატორის ტახტისადმი ერთგულების გზას დაადგა. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებაშიც გარდატეხა მოხდა: იგი თვითმპყრობელი იმპერატორის ძალაუფლებას დაემორჩილა.

\* \* \*

ალ. ჭავჭავაძე პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ კვლავ სახელმწიფოებრივ სამსახურშია. გადის ცოტა ხანი და მისი პიროვნება კვლავ ფასდება. იგი ბრწყინვალედ ასრულებს მმართველობის მიერ მიცემულ საპასუხისმგებლო დავალებებს და მისი ავტორიტეტიც თანდათან იზრდება. შეთქმულების დამარცხების შემდეგ ჩვენი პოეტი იმპერატორისადმი რაიმე სერიოზულ წინააღმდეგობაში შენიშნული აღარ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ალ. ჭავჭავაძე მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკური რეჟიმით კმაყოფილი არასოდეს არ მოჩანს.

მართალია, პოეტი ახლა იმპერატორისადმი ერთგულებას ოფიციალურად აღიარებს, მაგრამ ამავე დროს იგი არა ერთგვის ამკლავ-



ნებს თავის სიძულვილს არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობისა და ლეგისადმი. ამჯერად პოეტი ველარ ბედავს იმპერატორს „უორგულოს“, მაგრამ ამავე დროს სასტიკად ამათრახებს იმ სახელმწიფოებრივ აპარატს, რომელიც ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას წარმართავს.

ალექსანდრე ჭავჭავაძე წყევლა-კრულვით იხსენიებდა იმ ძალას, რომელმაც საქართველოს დიდება გააცამტვერა. რაღა თქმა უნდა, ეს პროტესტი ბოლოს და ბოლოს იყო პროტესტი იმისადმი, ვისაც იგი „ერთგულებას“ ეფიცებოდა. ეს იყო დამორჩილება ბედისადმი და არა არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი შერიგება-შეხმატკბილება. ეს მეტრძოლი განწყობილებანი გადმოცემულია როგორც მის პოეტურ შემოქმედებაში, ისე წმინდა პოლიტიკური მსჯელობითი ხასიათის თხზულებებში.

1837 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძემ იმპერატორ ნიკოლოზ პირველს მოხსენების სახით წარუდგინა „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. საინტერესოა, რომ თხზულებაში საქართველოს მდგომარეობაზე თხრობა წყდება 1831 წლამდე მომხდარ მოვლენებზე. ე. ი. ექვსი-შვიდი წლით ადრე მოხსენების დაწერამდე. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ალბათ გარკვეული წინასწარი მოსაზრებით ალ. ჭავჭავაძემ თავი აარიდა 1832 წლისა და მომდევნო პერიოდის მოვლენებზე მსჯელობას.

ეს ოფიციალური ხასიათის დოკუმენტი ფრიად საყურადღებო მასალას წარმოადგენს ჩვენი პოეტის იდეური მრწამსის გამოსარკვევად. აქ მოცემულია პოლიტიკური მსჯელობა იმდროინდელ საქართველოს მდგომარეობაზე და იმავე დროს ავტორი ერთგვარ რჩევასაც იძლევა მომავალში მისი მოწესრიგებისათვის. ამ თხზულების წერისას ალ. ჭავჭავაძე გარკვეული სიძნელის წინაშე იდგა: იგი მოხსენებას წერდა იმპერატორის მიმართ და, რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება მას დიდ სიფრთხილესა და თავშეკავებას ავალებდა: მიუხედავად ამ სიძნელისა, ნაწარმოებში მაინც ბევრი რამ არის ნათქვამი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ორგზის პატიმრობაგამოვლილი და ორჯერვე შენდობილი პოეტი ახლა გადაჭრით აცხადებს, რომ რუსეთისა და საქართველოს დაახლოება საჭირო და სასარგებლო საქმეა. ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვით, საქართველოს მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაში შეუძლია მოსვენებით იცხოვროს. მაგრამ პოეტი იქვე ამბობს, რომ ჯერჯერობით მაინც ყველაფერი რიგზე

ვერ არის, რომ საქართველო რუსეთთან შეერთების შემდეგ არ წასულა, არამედ პირიქით, იგი ამ დროში დაეცა და დაქვეითდა. მგოსანი დაუფარავად მოგვითხრობს თავისი დროის საქართველოზე: „ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვოდა. მისი წინანდელი მოსახლეობის მოწამედ მხოლოდ უტყვი ნანგრევები-ლა დარჩენილა და მხოლოდ ბიზანტიელთა ისტორიკოსების ნაწერები-ლა მოწმობენ ქართველი ხალხის ძველ სიდიადეს; ქართველი ხალხის მათიანეებს გაფანტულთ სხვადასხვა მონასტრებსა და ბიბლიოთეკებში, არ მიუქცევიათ ჭერეთ ყურადღება შრომისმოყვარე მკვლევარისა, რადგან ქართული ენა მათთვის (მკვლევართათვის) უცხოა და ახლანდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უმნიშვნელო. მაგრამ მას (საქართველოს), მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონდა დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგოსნები და მწერლები“.

ვეცნობით ალ. ჭავჭავაძის მოხსენებაში აღწერილი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და ჩვენს წინაშე ბუნებრივად ისმის კითხვა: რა მიზეზია, რომ დღევანდელი საქართველო ასე დაცემული გამოიყურება? ვისი მიზეზით მოხდა, რომ ეს ოდესღაც მშვენიერი ქვეყანა ასე დაქვეითდა? ვინ არის ამ საქმეში დამნაშავე, მეფის რუსეთი და მისი იმპერატორი თუ ქართველი ხალხი? ამ კითხვებზე გაცემულმა პასუხმა უნდა გადაწყვიტოს არსებითად პოეტის დამოკიდებულება მისდროინდელი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური რეჟიმისადმი.

როგორია მისი პასუხი?

პირველი დასკვნა რომელიც ალ. ჭავჭავაძის მსჯელობიდან გამოდის ის არის, რომ ქართველი ხალხი არ შეიძლება დამნაშავე იყოს თავისი ქვეყნის უბედურებაში. ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე ბრძოლითა და შრომით გამოატარა თავისი ქვეყანა, ენა და კულტურა. ეს ხალხი ნამუსიანად მოვიდა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე, ხოლო ამ დროს იგი თავისი ნებით რუსეთს შეუერთდა და მას მიენდო დიდი იმედებით. ბუნებრივად გამოდის დასკვნა, რომ საქართველოს წახდენის მიზეზი ქართველ ხალხში კი არ არის საძიებელი, არამედ მის გარეშე. საქართველოს დაქვეითების საქმეში დამნაშავეა არა ქართველი ხალხი, არამედ სხვა გარემოებანი.

რაკი ეს პასუხი ასე ნათლად და გარკვევით ისმის, მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენს პოეტს ბრალდება პირდაპირ იმპერატორზე გადაეტანა. მაგრამ ალ. ჭავჭავაძე არც ასე მოიქცა, მან თქვა, რომ



იმპერატორიც თავის მხრივ მართალია. ჭავჭავაძემ როგორც ქართული ხალხი, ისე რუსი იმპერატორიც გაამართლა და დანაშაული საშუალო რგოლს დაატეხა. მისი აზრით, დანაშაუვია ის სახელმწიფო აპარატი, რომელიც იმპერატორსა და ქართველ ხალხს შორის დგას, აპარატი, რომელიც უშუალოდ განაგებს ქართველი ერის ბედს.

ამ საშუალო რგოლის წყალობით იმპერატორის კეთილი სურვილები საქართველომდე ვერ მოდის, ხოლო ქართველების სამართლიანი უკმაყოფილების ხმა გზაშივე იკარგება და იმპერატორის ყურამდე ვერ აღწევს. „ფრიად დიდია მანძილი მასა და ტახტს შორის, ფრიად სუსტია აგრეთვე მის მცხოვრებთა ხმა, რომ მან მეფის ტახტამდე მიადწიოს. შეერთების 37 წლის განმავლობაში არც ერთ სახალხო საჩივარს, არც ერთ ბეწო საერთო თხოვნას ქართველთა მხრით არ მიუღწევია წმინდა ფერხთამდე დიდი მონარქისა, რომელმაც ისინი თავის ერთგულ ქვეშევრდომთა შემადგენლობაში მიიღო. დიდი იყო მემამულეთა და მიწათმოქმედთა შეწუხება, მაგრამ ისინი ვერ ბედავდნენ თავისი უავგუსტესი ხელმწიფისათვის მიემართნათ იმ თხოვნით, რასაც ადგილობრივი მთავრობაც კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდაო“, — წერს ალ. ჭავჭავაძე.

პოეტი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოხელეები მუქარითა და მკაცრი სასჯელებით ხალხს ხმას არ აღებინებენ და თვითნებურად აპარტახებენ მათ სარჩო-საბადებელს. იგი ამბობს: „თავადის ციციანოვის შემდგომ ზოგიერთი პოლკების მოუპრიგებელი თვითნებობა აპარტახებდა არა მარტო იმ სოფლების მცხოვრებთ, სადაც ისინი იდგნენ, არამედ მომიჯნავეებსაც, რომელთათვისაც, ამის გამო, უკვე აღარავითარი საკუთრება აღარ არსებობდა. შინაური ფრინველი, ღვინო, ბოსტნები, ცხენები, ურმები, მთელი მათი ქონება ჯარისკაცთა განკარგულებაში იყო; ვენახების ღობეებსა და სარებს ჩვეულებრივად ყაზარმების გასათბობად ხმარობდნენ; და ყველაფერი ეს ხდებოდა აშკარად, ყოველი წინააღმდეგობის გარეშე, უფასოდ და პატრონები ვერ ჩიოდნენ, ვინაიდან პასუხად მუქარისა და დასჯის გარდა ვერას მიიღებდნენ“.

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ საქართველოს დაბეჩაევების მიზეზად აღიარებულია ადგილობრივი სახელმწიფო აპარატი, ბრალდება ამ აპარატის მიმართ არის წაყენებული. ადგილობრივ მმართველთაგან შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ ქართველი ხალხი რუსული წესწყობილების უკმაყოფილოა და იგი ზოგჯერ იარაღითაც იბრძვის თავისი უფლებებისათვის.

ასეთია ალ. ჭავჭავაძის მსჯელობის ძირითადი აზრი.

ქართველი ხალხის უბედურებაში რომ დამნაშავეა მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატი, ამ აზრს ალ. ჭავჭავაძე სრულიად გარკვეულად გამოთქვამს, მაგრამ იგი ველარაფერს ამბობს იმაზე, თუ რა საფუძველს ემყარება ის აპარატი, რომელმაც საქართველო ასე მძიმე მდგომარეობაში შეიყვანა. ძნელი არაა მკითხველმა თვითონ გაიგოს, რომ მდინარე ამღვრეული მოდის სათავიდან, იქიდან, სადაც პირადად იმპერატორი დგას. მაგრამ მწერალს ასე კონკრეტულად თქმა არ შეუძლია და ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ თხზულება დაწერილია იმპერატორისათვის მისართმევად. გამბედაობასაც ხომ საზღვარი აქვს? პოეტმა მეტი ველარ გაბედა და „დიდ მონარქს“ მხოლოდ სთხოვა, რომ საქართველოსადმი ხელმწიფური ყურადღება და მზრუნველობა გაეძლიერებინა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე წერს:

„არაჩვეულებრივმა პოლიტიკურმა ამბებმა, ევროპა რომ შესძრა, აგრეთვე ამ შეძვრის დიადმა შედეგებმა რუსეთს საშუალება და დრო აღარ დაურჩინა ამიერკავკასიის თავის შენაძინთათვის შესაფერისი ყურადღება მიექცია; ხოლო ადგილობრივი მთავრობა გიულისტანის ზავის ჩამოგდებაზე მუდმივს სამხედრო შიშთანობაში იყო და არ შეეძლო საკმარისი ცნობები შეეკრიბნა მთავრობის მომავალი ეკონომიურ განკარგულებათათვის იმ ქვეყანაში, ბუნების სიმდიდრით ასე უხვად რომ არის დაჯილდოებული. ახლა კი, როდესაც რუსეთის მპყრობელობა ამიერკავკასიაში განმტკიცებულია გარკვეულ საზღვრებში, როდესაც იგი (რუსეთი) ასე ძლევამოსილია იქ, უკვე აღარაფერი ელობება წინ იმას, რომ (მთავრობამ) თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა მიჰმართოს სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად იმ დალოცვილ ქვეყანაში. სადაც ადამიანის შრომა უხვად ჯილდოვდება მიწათმოქმედების ახლანდელი მდგომარეობის დროსაც კი. რა იქნებოდა მაშინ, მას რომ მიეღწია იმ გაუმჯობესების ხარისხამდე, ახლა ზოგადი მოვლენა რომ არის არა მარტო ევროპიელთა შორის, არამედ ახალი მატერიკის შორეულ ადგილებშიაც კი! ამიერკავკასიისა და მის ტომთა ხასიათის შესახებ ცნობების მიხედვით, იმედია, მთავრობა შეიმუშავებს სამუდამო სისტემას იქაური მთავრობისადმი სახელმძღვანელოდ, გამოარკვევს იმ თვალსაზრისს, რომლითაც უნდა უცქეროდნენ იმა ქვეყნის თვითეულ ნაწილს და მიუთითებდნენ თუ, როგორი მუდმივი წესი ჰქონდეთ ამ ქვეყნის მმართველობის საქმეში; ეს საქიროა იმისათვის, რომ უფროსების შეცვლის დროს არ იცვლებო-





დეს მათგან დადგინებული წესები და იმ წარმატებას, რისთვისაც ერთს უფროსს მიუღწევია, არ აფერხებდეს მეორე უფროსი მხოლოდ იმიტომ, რომ მას სულ სხვა შეხედულება აქვს ამა თუ იმ საგანზე“.

მოყვანილი ამონაწერი მრავალმხრივია საინტერესო. ჯერ-ერთი, აქ გარკვევით იგრძნობა მწერლის დაკვირვებული თვალი როგორც რუსეთის, ისე დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. შემდგომ, ადგილობრივი მმართველობის გაკიცხვით, მათი აუცილებელი ალაგმვის მოთხოვნით ალექსანდრე ჭავჭავაძე მეფის თვითმპყრობელობის საერთო სახელმწიფოებრივი წესწყობილების კრიტიკას იძლევა. ბოლოს, ნაწარმოებში მოცემულია მწერლის პრაქტიკული მსჯელობა ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე.

ასეთია ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს თხზულება, რომელსაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პოეტური შემოქმედების გაგებისათვის.

## II

მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში ალ. ჭავჭავაძე მეფის მთავრობისაგან კვლავ ნდობით სარგებლობს. იგი ამ დროს მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებს.

ალ. ჭავჭავაძეს 1841 წელს გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა. 1843 წელს იგი დაინიშნა ახლადჩამოყალიბებული ეგრეთ წოდებული კახეთის მილიციის უფროსად, რომელიც შამილის წინააღმდეგ იბრძოდა. საინტერესოა ეს თარიღი: სწორედ იმავე წელს მეორე ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ავარიის მმართველად გაიგზავნა. როგორც პირველის, ისე მეორის დანიშვნის მიზანი ერთი იყო — ბრძოლა შამილის წინააღმდეგ. ქართველი პოეტები, რომლებიც თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვას მისტიროდნენ, სხვა ქვეყნებში რუსული მართვა-გამგეობის დამკვიდრების საქმეს ემსახურებოდნენ.

1845 წლის მარტში თბილისში ჩამოვიდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე ახლადდანიშნული მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი. ქართველმა თავადაზნაურობამ ვორონცოვს სახეიმო შეხვედრა მოუწყო. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძე. სწორედ ამ დღეს პირველად ალ. ჭავჭავაძემ ვორონ-

ცოცხალი, თითქოს სხვათაშორის, ქართული გაზეთის დაარსებას სთხოვა! <sup>1</sup>

ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი ეპოქის გამოჩენილი პიროვნებაა. იგი განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს როგორც ოფიციალური ხელისუფლების წინაშე, ისე ფართო საზოგადოებრივად. პოეტის პოპულარობასა და მისდამი ჩვენი გლახაკობის უხადო სიყვარულს კარგად გვაგრძნობინებს ერთი ხალხური ლექსი:

ბატონია, თავადია კახისა,  
გამკითხავი ღარიბისა, გლახისა,  
ალექსანდრე ჭავჭავაძე ქებული,  
ხელმწიფისგან სახელ-გაღიდებული <sup>2</sup>.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ქართული ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი კერა იყო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. მაშინ, როდესაც არ არსებობდა საზოგადოებრივი ხასიათის არც ერთი კულტურული დაწესებულება, არ იყო ბეჭდვა, რომ მწერალი მკითხველთა ფართო მასებს დაკავშირებოდა პრესის საშუალებით, არ არსებობდა თეატრი და სხვა, — აი ასეთ ვითარებაში ალ. ჭავჭავაძის ბინა გარკვეულ სამსახურს უწევდა ჩვენს ლიტერატურას. მის სახლში იკრიბებოდნენ მწერლები და მოღვაწეები, იყო მსჯელობა საზოგადოებრივ და კულტურულ საკითხებზე, იმართებოდა შინაური საღამო-წარმოდგენები, იკითხებოდა ახალი ლიტერატურული ნაწარმოებები და სხვ.

ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან დაკავშირებულია ერთი ფრიად საყურადღებო ეპიზოდი ლიტერატურის ისტორიიდან. ჩვენი პოეტის სიძე იყო ცნობილი რუსი მწერალი ალექსანდრე გრიბოედოვი. გრიბოედოვს ცოლად ჰყავდა ჭავჭავაძის ქალი ნინო. პირადი მდგომარეობის გამო დიდი რუსი მწერალი უახლოეს ურთიერთობაში იყო ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან. იგი ამ ოჯახში ცხოვრობდა და ამ გზით ახლო იცნობდა და მეგობრობდა იმდროინდელ ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

გრიბოედოვს თბილისში ცხოვრება უხდებოდა იმ დროს, როდესაც იგი წერდა თავის ცნობილ თხზულებას „ვაი ჭკუისაგან“.

<sup>1</sup> ზ. კიკინაძე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1919 წ., გვ. 6.

<sup>2</sup> ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. LXXII.



სწორედ ამიტომ საეჭვო არ არის, რომ ამ ნაწარმოებს ჯერ კიდევ წერის პროცესში იცნობდნენ როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, ისე ავტორთან დაახლოებული სხვა პირები. ქართველი მწერლები იმ-თავითვე დიდ ინტერესს იჩენდნენ გრიბოედოვის თხზულებისადმი და საფიქრებელია, რომ მისი პირველი თარგმანები მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში გვქონოდა. მომდევნო პერიოდში „ვაი ჭკუისაგან“ ქართულ ენაზე რამდენჯერმე ითარგმნა. ორმოც-დაათიანი წლებიდან ჩვენ უკვე მოგვებოგება ამ თხზულების პირ-ველი სრულყოფილი გადმოქართულება. გრიბოედოვისადმი სიყვარული, მისი ნაწერებისადმი განსაკუთრებული ინტერესი საქართვე-ლოში შემდეგშიაც არ შენელებულა.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია გრიბოედოვის სახელს ყო-ველთვის სათუთად ინახავდა. იგი სახელოვან რუს მწერალს „თავის კაცად“, „საქართველოს შვილად“ თვლიდა.

1879 წელს ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალებიდან ორ-მოცდაათი წელიწადი შესრულდა. ეს თარიღი საქართველოში დი-დის ამბით აღინიშნა. გრიბოედოვის ხსოვნის დღეებში თბილისის ურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა მთელი რიგი წერილები დიდი რუსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო. ქართული პრესა განსაკუთრებული სიამაყითა და კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა გრიბოედოვის ახლო კავშირს ქართულ სინამდვილეს-თან.

გაზეთი „დროება“ 1879 წლის დამდეგს წერდა:

„ამ იანვრის 30-ს შესრულდება 50 წელიწადი მას აქეთ, რაც აჯან-ყებულმა სპარსელებმა მოჰკლეს თეირანში გამოჩენილი და სანაქე-ბო რუსი მწერალი, კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ ავტორი, ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვი. მთელი რუსეთი აპირებს ამ დღის დღესას-წაულობას; მაგრამ თბილისს თითქო ჰსურს, რომ ამ შემთხვევაში მა-ინც ყველა რუსის ქალაქებს გადააჰარბოს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ა. ს. გრიბოედოვი კავკასიასთან ძალიან დაახლოებული პირია: ის იყო. თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ჩვენი სიძე. ის აქ არის თავის ცოლით მთაწმინდის ეკლესიაზედ დამარხული, საუკეთესო დღენი თავის ცხოვრებისა იმან კავკასიაში, საკუთრად თბილისში, გაატარა და ყველა ამის გარდა თავისი ჩინებული უკვდავი კომედია „ვაი ჭკუ-ისაგან“, რომელმაც ახალი მიმართულება მისცა მაშინდელს რუსის მწერლობას და რომელშიაც ასე ნიჭიერად არის გამოყვანილი მაშინ-დელი რუსის საზოგადოების წარმომადგენელი დამყავებული პირე-ბი. ეს კომედია გრიბოედოვმა აქ, ჩვენს თბილისში, დასწერა. აი ამი-

ტომაც, ჩვენი ქვეყანა გრიბოედოვს თავის კაცად, თავის შვილად სთვლის“<sup>1</sup>.

ასეთი სიყვარულით იხსენიებენ ქართველები ალექსანდრე გრიბოედოვს მულამ და ყოველთვის, ხოლო ამ დიადი გრძნობის პირველი ნაპერწკალი ალ. ჭავჭავაძის ოჯახში გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ქართული ლიტერატურის ისტორიაში თავის კვალს სხვა მიმართულებითაც ტოვებს. ცნობილია, რომ ჭავჭავაძის ქალები, ნინო და ეკატერინე, ქართველი პოეტების ხოტბის ობიექტებს წარმოადგენდნენ. მათი წარმტაცი სილამაზე და მაღალი ზნეობა ხიბლავდა და იზიდავდა ჩვენს მგოსნებს. ეკატერინე ჭავჭავაძის პიროვნებამ გრძნობით აღსავსე ლექსები დასტყუა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ გენიასაც კი.

ეკატერინე ჭავჭავაძესთან დაკავშირებით საჭიროა აქვე აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოდ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის.

ეკატერინე ჭავჭავაძე ერთ დროს გატაცებით უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილს. მგრძნობიარე პოეტის სიყვარული განწირული აღმოჩნდა: ჭავჭავაძის ქალი თავად დადიანზე გაათხოვეს.

დრო გადის. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ეკატერინე, ახლა უკვე დადიანის ქვრივი, რუსეთში ცხოვრობს, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი 15 წლის გარდაცვლილია. ამ დროს, 1860 წლის ზაფხულზე, ეკატერინე დადიანის ოჯახს ცარსკოე სელოში სტუმრად ეწვევა ახალგაზრდა სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, მომავალი დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ამ სტუმრობის დროს, ეკატერინეს ოჯახმა ილია ჭავჭავაძეს კიდევ უფრო გაუძლიერა ბარათაშვილის პოეზიისადმი ინტერესი, მომავალი დიდი მოღვაწის გულში საბოლოოდ დაანთო ცეცხლი უდროოდ დაღუპული მგოსნის სახელის სამარადისოდ გასაცოცხლებლად.

შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, რომ ამ დროს ილიასათვის ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია კარგა ხნიდან ცნობილია. ამის კვალი ილიას ადრინდელ ლექსებშიც ჩანს. მაგრამ ილიამ უშუალო მემკვიდრეებისაგან გაიგო გაცილებით მეტი და საინტერესო, ვიდრე ამ შემთხვევამდე იცოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებაზე. აქვე ილიამ წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1879 წ., № 9.



ის თხზულებებიც, რომელთაც აქამდე, შესაძლებელია, ვერ იცნობდა. ბუნებრივია ისიც, რომ ამავე ოჯახში ილიამ ბევრი რამ მოისმინა ბარათაშვილის პირად ცხოვრებაზე. სხვარივად შეუძლებელია მოზღვავებულიყო ის განცდები, რომლებიც ამ შემთხვევის გამო ახალგაზრდა ილიას გამოუვლია. კოხტა აფხაზის გადმოცემით, ილია თურმე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ბარათაშვილზე ბოდავდა.

ეკატერინე დადიანის ოჯახში ილია ჭავჭავაძის სტუმრობას კოხტა აფხაზი ასე გადმოგვცემს:

„ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე. მასხოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბატონმა დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მასხოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსი იყო: „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“<sup>1</sup>.

ამ დიდად მნიშვნელოვან მოგონებას ავსებს და აფართოებს ილია ჭავჭავაძის ლექსები ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ამ შემთხვევის გამო შეიქმნა ილიას ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“.

მისი ლექსი შვებით, ლხენით  
 ხან მეჭლისში მოფრინდება,  
 გულს ჩაგეკრის, პლალობს, ჰხარობს,  
 ვამღერებს და ამღერდება;  
 ხან ღონდება ნაზ ქალსაერთ  
 უიმედო სიყვარულით,  
 ხან იფეთქებს ჭაბუკსაერთ  
 და განდევნის სევდას გულით;  
 ხან ბურჭებში მიმალული  
 ჰზის მარტო, ვით იადონი,  
 შეჰყევს სატრფოს გულსაკლავად,  
 ტრფობის ისრით განაწონი;  
 ხან ჰრბის ველად, მარტოდ ჰგალობს  
 უდაბნოში, ვითა მწირი,  
 შეჰკენეს შავ-ბედს ქვეყნისასა,  
 ქვეყნისათვის ანატირი;

<sup>1</sup> ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935 წ., გვ. 564.

ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,  
დაფიქრებით გოგჩის ტბასა  
და ემდურის მწუაეის მოთქმით  
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა.

ასე შეაფასა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილიამ ალ. ჭავჭავაძის პოეზია. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი გულთბილი, საქმიანი და მზრუნველი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძემ ბოლომდე შეინარჩუნა. იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართველი რომანტიკოსის ნაწერების შეგროვებისა და გამოცემის საქმეში. ილიამ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მაღალი შეფასება მისცა ცნობილ წერილებში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. წერილები, რომლებიც ოთხმოცდაათიან წლებში „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, ხელს უწყობდა ჩვენი სახელოვანი რომანტიკოსების პოპულარიზაციას მოსახლეობის ფართო ფენებში.

ასეთია ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნებასთან დაკავშირებული უმთავრესი მოვლენები.

ალექსანდრე ჭავჭავაძე 1846 წლის 6 ნოემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა. დასაფლავებულია კახეთში, შუამთის მონასტერში.

### III

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურმა შემოქმედებამ აღრევე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება. ჯერ კიდევ პოეტის საცოცხლეში ზეპირად ვრცელდებოდა მისი მთელი რიგი ლექსები. „მუხამბაზი ლათაიური“, „სიყვარულო ძალსა შენსა“ და სხვა სატრფიალო ლექსები თბილისელ მოქალაქეთა შორის სუფრის სიმღერებად იყო გავრცელებული.

პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა თავის ცნობილ „ქართულ ქრესტომათიაში“ შეიტანა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები: „სახე შენი“, „ვაჰ დრონი, დრონი“ და „მუხამბაზი ლათაიური“.

1852—1853 წლებში გიორგი ერისთავმა „ცისკარში“ გამოაქვეყნა ალექსანდრე ჭავჭავაძის რამდენიმე ლექსი. მომდევნო პერიოდში მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ივანე კერესელიძის „ცისკარში“, გაზეთ „დროებაში“ და „ივერიაში“.

ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის პირველი ნამდვილი დამფასებელი ილია ჭავჭავაძე იყო. ილიამ, როგორც ზემოთ



გავეცანით, თავის სტუდენტობის დროინდელ ლექსში აღნიშნა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითადი ხასიათი. მან სამართლიანად აღიარა ალ. ჭავჭავაძის პოეზიის მრავალმხრიობა და აღნიშნა, რომ მისი ლექსი შვებითა და ლხენით „გულს ჩაგვეკვრის პლალობს, ჰხარობს, გამღერებს და ამღერდება“. ილიამ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში გარდა სატრფიალო-სალაღობო მოტივებისა, სამართლიანად ამოიკითხა ღრმა სოციალური მნიშვნელობის სევდა-ნაღველი. ილია ამბობდა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ლექსებში „შეჭვენეს შავ-ბედს ქვეყნისასა, ქვეყნისათვის ანატირი“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მომდევნო თაობის დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა აკაკი წერეთლის ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“. აკაკიმ ჩვენს რომანტიკოსს უწოდა „ტკბილი პოეტი“, „ტკბილად მღერალი მამულიშვილი“.

აკაკი ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიმართავს: მეც შენსავით გულზე მძიმე ლოდი მადევსო.

თვალცრემლიანსა,  
გულსკედიანსა  
ენა მებმება, ვერრის ვარ მთქმელი,  
და ან-კი რა ვსთქვა?  
გულზედ მადევს ქვა  
მეცა შენსავით გულის დამწველი.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ მიცემული ეს შეფასება უდავოდ ბევრის მთქმელია ალექსანდრე ჭავჭავაძის სასარგებლოდ. მაგრამ ეს მოსაზრება არ არის ერთადერთი მოსაზრება. ამ შესედულების საწინააღმდეგო თვალსაზრისისა იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი კიტა აბაშიძე. იგი წერდა:

„ალ. ჭავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარამის გამომხატველი. პოეტის ამ ნაკლულეგანების მიზეზი იმალება იმ ატმოსფეროში, რომელშიაც იზრდებოდა, იმ აზრთა ზედგავლენაში, რომელშიაც თავისი სიყრმე-სიყმაწვილე გაატარა და რომელსაც არ შეიძლებოდა თავისებური დადი არ დაესვა ამ მწერალზე.“

„თვით ალ. ჭავჭავაძის ნაწერები გვიჩვენებენ, რომ მაღალნიჭიერი პოეტი ისეთს წრეში უნდა აღზრდილიყო, საცა ან დილეტანტობას მისდევდნენ და არისტოკრატიული ინდიფერენტიზმი მეფობდა, ან და, ახალის წეს-წყობილებისაგან თავის გამოსაჩენი ემოვათ რამე, მართო იმაზედ ფიქრობდნენ.“

„ჩვენ ვერა ვნახავთ მის ლექსთა კრებაში იმ გარკვეულს ვაებასა და მწუხარებასა, იმ ტანჯვასა და ოხვრას, საზოგადო ინტერესების გამო, რომელიც ამშვენებს შემდეგის მწერლების ნაწარმოებთ. ჩვენ არ შეგვიძლიან დანამდვილებითა ვსთქვათ, რა მიმართულებისა და აზრისა იყო ჩვენის ერის ბედის შესახებ, რა გვარს სევდასა და დარდებს ჰგრძნობდა საერო ბედის გამო. იმას ვერ ვიტყვი, რომ ავტორს „გოგჩის ტბისას“ არ ეგრძნოს თავის სამშობლოს უბედურება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ შეგნებული ჰქონდეს ეს უბედურება, რადგან მაშინ ხომ სხვადასხვა დარბაზებისა და სასახლეების ქება ისე ვერ გაიტაცებდა, რომ დაევიწყებინა თავისი ღრმა სევდები, რომელნიც, უეჭველია, ხშირად უღრღნიდნენ მას ნაზსა და გრძნობიერ გულსა“<sup>1</sup>.

კიტა აბაშიძე აღიარებდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს როგორც დიდ მწერალს, მაგრამ მას ეროვნული დარდისა და ვარამის გამომხატველად არ სცნობდა. შესაძლებელია თუ არა გავიზიაროთ ეს შეხედულება? რასაკვირველია, არა. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უდავოდ მართალნი იყვნენ, როდესაც ალ. ჭავჭავაძეს ღრმა სოციალური მოტივების მწერლად თვლიდნენ.

შეუძლებელია ეროვნული ტკივილების, საქვეყნო დარდისა და ვარამის გამომხატველად არ მივიჩნიოთ ის მწერალი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ლექსები: „ვაჰ, დრონი“, „გოგჩა“, „ისმინეთ მსმენნო“, „ვაჰ სოფელსა ამას“, „პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ“, „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“ და სხვ. ამ პოეტურ ქმნილებებში გატარებული აზრი მით უფრო ნათელია, რომ არსებობს იმავე ავტორის ხელიდან გამოსული თავისი დროისათვის ისეთი ღრმა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ხასიათის თხზულება, როგორიცაა „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უმთავრესი ღირსება, მისი ძალა და მიმზიდველობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნამდვილად არის ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის, ფიქრისა და მისწრაფების გამომხატველი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში გაერთიანებულია ერთი მხრივ ძველი ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და მეორე მხრივ — ახალი, რომანტიკული მიმართულების ძლიერი საწყისები. ალ. ჭავჭავაძემ თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტოულები, ტ. I, 1911 წ., გვ. 7.





რუსეთის არისტოკრატიის უმაღლეს წრეებში გაატარა და ბუნებრივად, რომ მან უშუალოდ განიცადა რუსული მწერლობის გავლენა. ეს იყო ერთი ნაკადი ჩვენი პოეტის შემოქმედებაში. მასზე გავლენას ახდენდა აგრეთვე ძველი ქართული ლიტერატურა. ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს პოეტი ეცნობოდა როგორც საკუთარი, საოჯახო ბიბლიოთეკის წყალობით, ისე პეტერბურგს მცხოვრებ ქართველებისაგან რომელთა შორის ბევრი მწიგნობარი იყო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართული რომანტიზმის პირველი დიდი წარმომადგენელია.

ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმს განსაზღვრავს ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობები, რომლებშიც საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან მოექცა. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და რუსული მართვა-გამგეობის დამკვიდრება მისი პესიმიზმის ძირითად საზრდოს წარმოადგენს. პოეტისათვის დამახასიათებელია ასეთი ამონაკენისი:

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,  
წარიტყვენ, განჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად!

ალექსანდრე ჭავჭავაძე წყევლა-კრულვით იგონებს იმ დროს, როდესაც „სამკვიდრო დაჯარგეთ კრულნი“. პოეტი მწარე ტკივილებით მიმართავს თავის თანამედროვეებს:

ისმინეთ მსმენო, ჭირთა მთმენო, მომიპყართ ყურნი,  
რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი აღმურნი,  
ენახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი!..  
წყველ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაჯარგეთ კრულნი!  
გვძლივა სოფელმან, ხელ-ყოფელმან, აწ გვაგო შურნი...

ვინც ჰხედა მათ მახეს, ჭირთა სახეს, არა აქვს შვება,  
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება:  
ერთგულთა ჭილდო, გულთ საბინდო მიხედება ხეება,  
ეს აქვსთ სიკეთე მათ უკეთე და ნაცვალ-გება...  
მუხთლად გვიწვიეს, დაგვახვიეს თავს ბნელნი ბურნი, —  
გვძლივა სოფელმან, ხელ-ყოფელმან აწ გვაგო შურნი.  
(„ისმინეთ მსმენო“)

პოეტი ამბობს, რომ ქვეყანა, რომელიც ლხინს იყო ჩვეული, ახალ დროში ჭირში ჩაეარდა. დაემხო ძველი დიდება და მის ნაცვლად ქვეყანაზე სევდა და უიმედობა გაბატონდა. გულნატკენ რომანტიკოსს ხშირად თვალწინ წარმოუდგება საოცნებო წარსული ანუ.

როგორც თვითონ ამბობს, „შეება განვლილი“. ამ დროს იგი მდებარეობდა უსაზღვროდ, მაგრამ ეს აჩრდილიც გაქრება და პოეტი მწარე სინამდვილეში იგრძნობს თავს, იგი კვლავ „უწყალო სენით“ გულდაკოდილი კენესის:

ჩვეულებრივ ღვინა მიგვცა პირსა უბედობამან,  
მოგვჯალო შეება, გემატა ეება შე-სევობამან,  
გვიტევა ყოვლმა განსაცხრომმა, თანაზრობამან,  
მოგვიცვა აღმან, შეუწყალმან, გვალმო გრძნობამან,  
გვეკვეთა სასო დაუფასო, ვშთომილვართ კრულნი,  
რომ ბანოვანნი, მუნ შევანნი, ჰყო დაბზარულნი.

რომ მწირთა თვალთა, დამაშვრალთა ეცემის ძილი,  
წარმოუდგების კეთილ-დღეების შეება განვლილი,  
გონება ჰხარის, მათთან არის გული დადლილი,  
არ უწყის, რომე თვისთან მჭდომე არს ოდენ ჩრდილი,  
გარნა განღვიძეთ, ოხერათ აღძვრით ეახლენ წყლულნი,  
რომ ბანოვანნი მუნ შევანნი, ჰყო დაბზარულნი.

(„უწყალო სენმან“)

სამშობლოს თემაზეა გაშლილი ალ. ჭავჭავაძის ლექსები „ოპ ვით გვემტყუნვა“, „ვისაც გსურთ“, „ეჰა, ჩემო ოცნებავ“, „დიმიტ. ე“, „კავკასია“. „მწამებ ხსოვნისა“ და სხვ. ამ თხზულებებში მგოსნის პირად პატრიოტულ განცდებთან ერთად მკითხველი იმდროინდელ საერთო საზოგადოებრივ განწყობილებებსაც ეცნობა.

ლექსში „ვისაც გსურთ“ პოეტი პირდაპირ, გრძნობის მთელი უშუალობით გვეუბნება, რომ მისი პირადი ჭირის სათავე მშობლიური ქვეყნის საერთო უბედურებაშია. იგი წერს:

ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,  
მისმინეთ ჭირში ფლობილს:  
მისმინეთ, ვით მაქვს კმუნეა და თიობა  
ურვისგან გულ-შეპყრობილს.  
მას ვსჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,  
მისთვის გლახ განწირული:  
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთულა,  
მარად მეთხლვის წყლული.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც რუსეთთან საქართველოს შეერთებას საზოგადოდ დადებითად აფასებს, ამ აქტის შემდეგ ქართველი ხალხის საერთო ყოფას მაინც იმედგაცრუებულად და სასოწარკვეთილების მდგომარეობაში წარმოგვიდგენს. მისდროინდელი საქართველოს ყოფაზე პოეტი მწარედ გოდებს:

ოჰ, ვით გვემტყუხვება  
 სოფლისა ბრუნვა!..  
 წაგვიხდა ზრუნვა  
 მბუღარე გულსა!  
 ამაღ ვასტირთ წყლულსა  
 არ დაფარულსა...  
 ვკმუნავთ ბედ-მწირნი,  
 გვხვევიან ჭირნი  
 ფოთოლთ უბშირნი!  
 დავიდნენ მთენნი  
 შარავანდთ მფენნი  
 აწ იგი მზენი.

(„ოჰ ვით გვემტყუხვება“)

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში სამშობლოს მოტივი ერთ რომელიმე შტამს კი არ ემორჩილება, არამედ მრავალმხრივ და მრავალნაირად ვლინდება. სავალალო აწმყო მშობლიური ქვეყნისა მგოსანს ხან წარსულის მოგონებაში გადაიყვანს, „ძველი დიდების“ ქებას ათქმევინებს, ხან მომავალზე დააფიქრებს და, რაც მთავარია, ამ ოცნებაში გარკვეულ ნათელ დღეებსაც წარმოუდგენს.

„გოგჩის“ ავტორი, რომელიც ამ ლექსში, შეიძლება ითქვას, ხმას უსწორებს მსოფლიო სევდის პოეტებს, ბრძოლისა და მომავლისადნი ერთგვარი იმედიანი დამოკიდებულების ტენდენციებსაც არა ერთგზის ამჟღავნებს. ასეთი განწყობილებანი, როგორც მისი მემკვიდრეობის შესწავლით დავრწმუნდებით, ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში საკმარისად არის მოცემული. ამიტომაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმ თხზულებებს, რომლებშიც იგი როგორც რომანტიკოსი წარმოგვიდგება. ამ თვალსაზრისით ზემოთ განხილულ ლექსებთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსი „ეჰა, ჩემო ოცნებავ“. ამ თხზულებაში ყველაზე სრულყოფილ გამოხატულებას პოულობს ავტორის ის განცდები, რომელთაც საერთო სახელად შეიძლება წარსულის იდეალიზაცია ეწოდოს.

მგოსანი თავის საკუთარ ოცნებას, სამშობლოს ბედთან მტკიცედ გადაჯაჭვულ ოცნებას, ასე მიმართავს:

ეჰა, ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომედგინე  
 და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოდ რად მომფინე?  
 რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა, —  
 ერთბელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკობელთა,  
 რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა  
 და გლახ მე მარად მტირალს მცირედცი არ მიბრუნა.  
 ნუ მიტვევებ, ოცნებავ, მომეც ქველნი ხილვანი,  
 მომეც მე ქველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი;

წარსულისა სიცოცხლის ნიაყი კვლავ დამჭროლე  
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.  
გვედრებ, ნულა მშორდები, განვიგრძებ სიხარული,  
რომე სსოენითა ოდენ დავიტკბო წყლული გული.

(„უბა ჩემო ოცნებაე“)

ასეთია სამშობლოს ბედთან დაკავშირებული განცდები. ამ ჭეშ-  
მარიტად რომანტიკულ განცდებთან ერთად კიდევ უფრო მეტი მნი-  
შვნელობით წარმოგვიდგება ის იმედიანი განწყობილებანი, რომელ-  
ნიც ამ სტრიქონების ავტორს სხვა ლექსებში არა ერთგზის აქვს გა-  
მოთქმული.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, მე-  
ფის რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყებებში მონაწილეობის გამო ორ-  
ჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული იყო.

ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დროს პო-  
ეტს გარკვეული რწმენა ამოქმედებდა. ერთი ასეთი პატიმრობის მო-  
მენტში მას დაწერილი აქვს ლექსი „პყრობილისაგან თანპყრობილ-  
თა მიმართ“. ამ ლექსიდან აშკარად ისმის მომავლის რწმენის ხმა.  
პოეტი გარკვევით ამბობს, რომ კაცობრიობას და, მაშასადამე, ქარ-  
თველ ხალხსაც ბედნიერი მომავალი აუცილებლად ექნება, თუმცა  
იგი პირადად ამ ბედნიერებას შესაძლებელია ვერ მოესწროს.

მე ამას ვსტირი განაწირი, ვაბ თუ ვესწრა ვერ!  
თვარალა ეამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნებოს.

უნდა ითქვას, რომ მოყვანილი სტრიქონები ალექსანდრე ჭავჭავა-  
ძისათვის შემთხვევითი სრულიადაც არაა. მას მოეპოვება სხვა ნა-  
წარმოებებიც, რომლებშიც პოეტის თავდადება რწმენისადმი კიდევ  
უფრო ვრცლად და კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამომჟღავნებული.  
ასე, მაგალითად, ლექსში „მსურდა ოხვრა“ მკითხველი ეცნობა პოე-  
ტის სულიერ განცდებს სამშობლოდან ერთ-ერთი გადასახლების  
მომენტში. პოეტი პირდაპირ გვეუბნება, რომ მას აშინებს არა გადა-  
სახლებაში მოსალოდნელი „ტანჯვა-ჭირები“, არამედ უფრო ის, რომ  
იგი თავის საყვარელ მიწა-წყალს უნდა გამოეხალმოს. მგოსანი ამ-  
ბობს:

მას ვსტირ რომ ვშორდები თვალთ დამტირებსა,  
თვარა ვით შემაკრთონ ტანჯვა-ჭირებსა:  
სიცოცხლე გვაძლენია თვე გამწირებსა!  
რომელთავან მქონდა სიამე-შეება,  
აწ მეცა მათ უქმენ თვე შემოვლებს!  
აწ ჰხამს ვესალმოდე მიწასა-წყალსა,

ოხვრით ვაფრქვევდეცა ცრემლს დაუთვალსა,  
 და ვათქმევდე ხმასა ჩემსა განმქრალსა:

რომელთაგან მქონდა სიამე-შეება,  
 აწ მეცა მათ უქმენ თავ შემოვლება!  
 ბედმან რისხვით შურდულითა განმტყორცნა;  
 აჰად გთხოვთ გახსოვდეთ, გინდ ვიყო შორცა,  
 პყრობილს ერთგულება გულს შემეხორცა!

რომელთაგან მქონდა სიამე-შეება,  
 აწ მეცა მათ უქმენ თავ შემოვლება!

ასე უსაზღვროა ალექსანდრე ჭავჭავაძის სიყვარული სამშობლო-სადმი. პოეტმა საკუთარი ბედი სამშობლოს ბედს შეუერთა. მის გულში ჩაუქრობლად ღვივის იმედის ნაპერწკალი, მაგრამ ეპოქის ვითარება პოეტს ხშირად სასოწარკვეთილებაში აგდებს.

ალ. ჭავჭავაძეს ნამდვილად ჰქონდა საფუძველი გულგატეხილობისათვის. რუსული მართვა-გამგეობა თანდათან მკვიდრდებოდა და პოეტის ოცნებას დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენაზე ბოლო ეღებოდა. ნიკოლოზ პირველის სუსხიანი რეჟიმი თვალუწვდენელი იმპერიის ყველა ხალხს აუტანელ პირობებში აყენებდა და მოულოდნელი არაა, რომ ამ ფაქტს ქართველი რომანტიკოსები, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, მწვავედ განიცდიდნენ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის თვალწინ მოხდა რუსი დეკაბრისტების განადგურება, პოლონეთის აჯანყების ჩაქრობა, 1832 წლის შეთქმულების მოსპობა და სხვ. ამ საერთო ვითარებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჩვენი რომანტიკოსის შემოქმედებაში პრობლემები ისმის არა მარტო ვიწრო ეროვნული ჩარჩოების ფარგლებში, არამედ ფართო საკაცობრიო მასშტაბითაც. ამ თვალსაზრისით ალ. ჭავჭავაძისთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი შემკვიდრეობა. ჭავჭავაძისა და ბარათაშვილის სევდა საკაცობრიო სევდის გამომხატველია, ეს არის მათი სულის ობლობის უმთავრესი მიზეზი. ამავე დროს მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართველი რომანტიკოსების სულით ობლობა არასოდეს სულიერ დაცემულობამდე არ მიდის და მათში ყოველთვის ღვივის იმედის ნაპერწკალი და, რაც მთავარია, ამ იმედიანობაზე დამყარებული მებრძოლი განწყობილებანი. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში გამოვლინებული ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილებანი მათი გაორების ან მერყეობის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ ეს არის ძიება მოწინავე ადამიანებისა, რომელნიც უნიადაგობის, საერთო უიმედობის ეპოქაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.



ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა პროგრესული ინტელიგენციისათვის გულგატეხილობისა და უიმედობის ხანა იყო როგორც საქართველოში, ისე მთელი რუსეთის იმპერიაში, ყველგან, სადაც ნიკოლოზ პირველის სუსხიანი რეჟიმი ვრცელდებოდა. ეს განწყობილებანი სწორედ ამ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმის შედეგი იყო. ამიტომაც ქართველი რომანტიკოსების სევდა-ნაღველი ადგილობრივ კონკრეტულ საფუძველს ემყარება, მაგრამ საბოლოო ანგარიშში იგი ამ ეროვნულ საზღვრებს სცილდება და უფრო შორს მიდის, საერთო საკაცობრიო სევდის სახით წარმოგვიდგება.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პესიმიზმის ყველაზე ძლიერი გამომხატველი ნაწარმოებია ლექსი „გოგჩა“. ლექსში მოცემულია არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობა და წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია. საზოგადოდ რომანტიკული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ყველაზე მკაფიოდ სწორედ „გოგჩაში“ გამოვლინდა. ამდენად შეუძლებელია განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდეს ის გარემოება, რომ ამ ლექსში პოეტურად ჩამოყალიბებული აზრი ავტორს გამოთქმული აქვს სხვა, არამხატვრული ხასიათის თხზულებებშიც. ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ აზრი, იდეა, რომელიც ამ ლექსშია გატარებული, მხოლოდ მწერლური ფანტაზიის შედეგი კი არაა, არამედ პოეტის მსოფლმხედველობასთან, მის საერთო შეგნებასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული.

თხზულებაში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“ ალ. ჭავჭავაძე ამბობს: „უშიშროება არ იყო არც ქალაქად, არც სოფლად, მიწად-მოქმედი მიწას შეიარაღებული ჰხნავდა, ტყვიის ქვეშ ჰკრეფდა ჭირნახულს. მაგრამ მას ქედი არ მოუხრია ალყურანის წინაშე, რომლის შემოღებას ცდილობდნენ ოსმალებიცა და სპარსელებიც, თავის სამღველოების მიერ აღფრთოვანებულმა ქართველობამ, რომელმაც დედის ძუძუსთან ერთად შეითვისა ურჯულოთადმი სიძულვილი. შეინარჩუნა სარწმუნოება, მებრძოლი სული, სიყვარული სამშობლოსადმი და თუ იგი გაუხეშდა, თუ ზოგიერთი უცხო ჩვეულება შეითვისა, ამისი მიზეზი უბედური გარემოებანი იყო. მთელი სოფლები, თავადთა ციხე-კოშკები, ოდესღაც მრეწველობით აყვავებული ქალაქები გაჰქრენ, მაგრამ მათი



ნანგრევები დღესაც ჰკვებავს ქართველთა სიამაყის გრძნობას<sup>1</sup>.

მოტანილი ამონაწერი ჰკითხველს სრულიად ბუნებრივად მოაგონებს ლექსს „გოგჩა“. პოეტი გვეუბნება, რომ იქ, სადაც ახლა გოგჩის ტბაა, უწინდელ დროში სიცოცხლე დუღდა და გაღმოდინდა. იქ უწინ იდგა ტახტი მაღალი, იყო ცხოვრება თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით; ძგერდნენ გულები სიყვარულით, ეშხითა და სათნოებით; იქვე ყოფილა შური, მტრობა და გაუტანლობა.

აქაც მჭდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად.  
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;  
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;  
ტრფიანნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანერთთა.

გოგჩის ტბის მიდამოების მისდროინდელი სანახაობა პოეტში მწუხარების განცდებს იწვევს. ეს სანახაობა მას თვალწინ წარმოუდგენს ძველი დიდების დღეებს და გულს მწარედ დაუსერაეს. მგოსნის სიტყვით ეს ის ადგილია,

სად ჰყავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი  
და სად დღეს ეპხედაეთ ოდენ ბეთა და ნატამალთა. —

წარსულის იდეალიზაცია, „ნანგრევთა სურნელება“ ჩვენს რომანტიკოსს იშვიათი პოეტური ოსტატობით აქვს გადმოცემული. გოგჩის ტბის ნაპირას ყოველი ქვა ძველი სასახლის, დიდებული პალატის ან სავაჭრო შენობის ნანგრევეია. ეს ქვათა გროვა თავის მწუხარებას მნახველსაც გადასცემს და ადამიანიც მათი ჭმუნვის მონაწილე ხდება:

ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ.  
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა,  
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,  
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:  
აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,  
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,  
აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;  
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრძობილო!

აწმყო სინამდვილე მწარეა და მიუღებელი. ეს სინამდვილე პოეტის გულს შხამით ავსებს. უიმედოა აგრეთვე ხვალისდელი დღეც.

<sup>1</sup> აღ. კავკავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 243 (დაყოფა ჩემია — ა. მ.).

არსებული სინამდვილის უკულმართობა მგოსანს მომავლის შესახებ წინასწარ აგემებს. დიდებული პალატები არაარობად ქცეულან და ეს „უდაბურება“, „მჩუმარება“, „არაარობა“ მომავლის ხატიც არის. ასეთია ამ ლექსის ძირითადი აზრი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „სხვადასხვისა დროისათვის კაცისა“. ეს ნაწარმოები თავისი ღრმა შინაარსით ერთი ფრიად საყურადღებო პოეტური ქმნილებაა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ლექსში განხილულია საკითხი საზოგადოდ ადამიანის ცხოვრების რაობისა. ამ ზოგადსაკაცობრიო პრობლემის განხილვა-გადაწყვეტაში ჩვენი პოეტის იდეური მრწამსი გარკვევით იგრძნობა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ადამიანის ხანგრძლივ ცხოვრებას — დაბადებიდან გარდაცვალებამდე — ხუთ პერიოდად ჰყოფს. პოეტი განიხილავს ადამიანის მდგომარეობას, მის საზოგადოებრივ მოვალეობას და პირად განცდებს თითოეულ პერიოდში ცალკე-ცალკე და დასკვნის, რომ ადამიანი ცხოვრებით ვერასოდეს კმაყოფილი ვერაა.

პირველი პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში არის მისი ბავშვობა, როდესაც იგი იბადება და სამყაროს დაინახავს. ბავშვი დაბადებისთანავე ტირის, ტირილია მისი პირველი ამოძახილი. ალექსანდრე ჭავჭავაძე გვეტყვის: ეს ასე ხდებაო იმის გამო, რომ ადამიანი წინასწარ გრძნობს მომავალ უბედურებას, გრძნობს, რომ ცხოვრება მას არ გაახარებს და ეს ცრემლებიც ამგვარი წინათგრძნობის გამომხატველია.

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი კმუნვის ალთა!  
რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა.

მეორე პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში არის ყრმობის ხანა, ე. ი. ის ასაკი, როდესაც ადამიანი ვალდებულია სწავლა-განათლებას დაეწაფოს: „ჟამი გვიროკს, იგი გვეძახს: შეუღდექით სიბრძნის კვალთა“. ეს არაა პერიოდი კმაყოფილებისა, რადგან მოსწავლეობის ხანა ადამიანისათვის მხოლოდ მომავლის საწინდარია. სწავლის ძირი მწარე არის და იგი მხოლოდ კენწეროში ვატკბილდება. იმ მომენტში, როდესაც ადამიანი სწავლას ეწაფება, მან ბევრი უნდა მოითმინოს მწვრთნელის ზედამხედველობის ქვეშ. გასაგებია, რომ ეს პერიოდი ადამიანს მაინცდამაინც სიამოვნებას ვერ ჰგვრის. ასეთია ალექსანდრე ჭავჭავაძის მსჯელობა ამ შემთხვევაში.

მესამე პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში ის ხანაა, როდესაც იგი პირველად იგრძნობს სიყვარულის მწველ ძალას ანუ, როგორც ალ.





ქაგვკვაძე ამბობს, „თვალი გულს სცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას ემსჭვალება“. სიყვარული აუცილებელია ყველა ნორმალური ადამიანისათვის. პოეტის აზრით, ამ გრძნობის გარეშე ადამიანი არ არსებობს. სიყვარული აუცილებელია თვით ადამიანობისათვის.

ალ. ქაგვკვაძე სიყვარულში ორ მხარეს განასხვავებს: ერთია სიხარული-კმაყოფილება, ხოლო მეორე — მოთმინება, ვნებათა ძლევა („სიყვარულო ძალსა შენსა“). ეს ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე მხარე — ლხენა და კვნესა — სიყვარულს თან ახლავს, როგორც მისი აუცილებელი დამახასიათებელი ნიშნები. შეყვარებულს გარკვეული სიფრთხილე ჰმართებს. სიყვარულს თუ არ გაუფრთხილდებით, მოსალოდნელია იგი დაგკარგოთ და საშუდამო მკვნესარად ვიქცეთ. სიყვარულის უღელში შებმულ ადამიანს ერთნაირი სიმძიმით აწევს როგორც ბედნიერება-სიტკბოების გრძნობა, ისე შიშისა და კრძალვის სიფრთხილე. ამდენად ამ დროსაც ადამიანის ცხოვრება შფოთითა და მოუსვენრობით ხასიათდება და, მაშასადამე, ეს პერიოდის სრული კმაყოფილებისა არაა.

მეთხე პერიოდი ადამიანის ცხოვრებისა ის ხანაა, როდესაც იგი სიმწიფის ასაკში შედის.

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა:  
 არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩენი უზომ. უხვა,  
 გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა;  
 რა ვერ ვპოვებთ საწადელსა, შეგვექმნების შურით ვმუხვა.

ამ დროს ადამიანს უკვე განვლილი აქვს ცხოვრების დიდი ნაწილი. იგი გამოსულია მწვრთნელის ზედამხედველობიდან და სიყვარულის მკაცრი გამოცდაც ჩაბარებული აქვს. ამ პერიოდში ადამიანის უმაღლესი ნატვრა ის არის, რომ სახელი მოიხვეჭოს. მას სწადია საგმირო საქმეებს ახდენდეს და დიდების შარავანდედით იმოსებოდეს.

საზოგადოებრივი თვალსაზრისით პიროვნების ეს მისწრაფება სრულიად მისაღები და მისასალმებელია. ყოველი ცალკეული ადამიანის მისწრაფება დიდი საქმეებისაკენ საზოგადოებას სარგებლობას მოუტანდა. მაგრამ, რომანტიკოსების შეხედულებით, პიროვნების და, მაშასადამე, საზოგადოების უბედურება ისაა, რომ ცხოვრებაში არსებული სინამდვილე გმირობისათვის ასპარეზს არ იძლევა. ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ იგი საგმირო საქმეებისათვის პიროვნებას გასაქანს არ აძლევს.

ასეთია ალ. ჭავჭავაძის მსჯელობა და ეს მსჯელობა შემთხვევითი არაა. ჩვენი რომანტიკოსის შეხედულებანი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ადამიანის მაღალ დანიშნულებაზე პარალელს პოულობს რუსული და ევროპული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებთან. ამ ზოგადსაკაცობრიო პრობლემის გადაწყვეტაში ალ. ჭავჭავაძე საზოგადოდ ადამიანური მისწრაფებების, მისი უფლებებისა და საზოგადოებრივი ღირსების კეთილშობილ ქომავალ გვევლინება.

რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, როდესაც ადამიანს დიდი საქმეები სწადია, როდესაც იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება და ახალ, უფრო ვრცელ ასპარეზს დაეძებს საგმირო საქმეებისათვის. ცალკეული პიროვნების ეს მისწრაფება ნატურაა მთელი კაცობრიობისა, რომელიც პროგრესისაკენ ილტვის. თუ ადამიანის ამ სასიკეთო მისწრაფებას წინ ეღობება რომელიმე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური რეჟიმი, მაშინ საზოგადოების წინაშე პასუხი უნდა აგოს ამ რეჟიმის სულისჩამდგმელმა. ასე მსჯელობს ჩვენი პოეტი, როდესაც ადამიანის ცხოვრება სახელის ძიების პერიოდშიც აღუვსებელ საწყაულად მიაჩნია.

ადამიანის ცხოვრების მეხუთე პერიოდი არის მოხუცებულობის ხანა. ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვით, ამ დროს ადამიანს ტვირთად დააწვება წლების სიმძიმე. მოხუცებულობის გამო ქედმობრჩილს ზნე ეცვლება, გრძნობა უჩლუნგდება და გონება ლალატობს. ამ მომენტში მოვლენ სენნი მახვილამოღებულნი და ხანგრძლივ ტანჯვასაც ბოლო ეღება.

ოდეს წალთა ტვირთის ზიდვით ქედსა მშვილდებარ მოვიბრებით.

ყოველთავე მოქაგდებით, ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით;

სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი მახვილ ღებით.

მათგან ერთი გვეცემს და გვეტყვის: „ახით ნაშენო, მოკვლით ევბით!“

ამრიგად, ალექსანდრე ჭავჭავაძის მიხედვით ადამიანი თავის ცხოვრებას ტირილით იწყებს, სიცოცხლის მანძილზე იგი რამდენიმე პერიოდს გაივლის და კმაყოფილი არასოდეს არ არის. დასასრულ „ახით“ ნაშობი ადამიანი „ევბით“ კვდება.

ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ადამიანის მთელი სიცოცხლე, დაბადებიდან სიკვდილამდე, ყოფილა მხოლოდ ხანგრძლივი ტანჯვა-წვალება და სხვა არაფერი. რომ ეს მართლა ასე იყოს, მაშინ ჩვენ ძალიან მცირე საფუძველი გვექნებოდა იმისათვის, რომ „გოგჩის“ ავტორზე, როგორც პროგრესულ პიროვნებაზე გველაპარაკა. ადამიანის სიცოცხლის არარაობად აღიარება იგივე იქნე-



ბოდა, რომ კაცობრიობას თვითმკვლევლობისაკენ მოუწოდებდა. მისი მოწოდება არც ერთ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს და მათ შორის არც ალ. ჭავჭავაძეს არ გაუყეებია. პირიქით, მისი პოეტური შემოქმედება მთლიანად ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, რომ იგი უწყვეტი ჰიმნია ცხოვრების სიტკბოებაზე. იქაც კი, სადაც პოეტი საწუთროს უჩივის, ვგრძნობთ, რომ არსებობს ცხოვრება სანეტარო და კაცი ვალდებულია ამ სანეტარო ცხოვრების მოსაპოვებლად იღვწოდეს.

მაშ რომელ ცხოვრებას უარყოფს პოეტი?

ალექსანდრე ჭავჭავაძე უარყოფითად აფასებს კონკრეტულად იმ ცხოვრებას, რომელიც წილად ხვდა მისი ეპოქის ადამიანებს. აქ დამოხილია არა საზოგადოდ ადამიანური ცხოვრება, არამედ სახელდობრ ის საზოგადოებრივი და პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ცხოვრებას ასე აუტანელს ხდიდა. ეს ლექსი მთელი თავისი შინაარსით სასიკვდილო განაჩენია იმ კონკრეტული ისტორიული ეპოქის მიმართ, რომელშიც ჩვენი პოეტი ცხოვრობდა.

ჰქონდა თუ არა ალ. ჭავჭავაძეს ამის საფუძველი? რაღა თქმა უნდა, ჰქონდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, ჯერ იმპერატორ ალექსანდრე პირველის, ხოლო შემდეგ ნიკოლოზ პირველის ეპოქა განსაკუთრებით მძიმე პერიოდია რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრისათვის. იგი ძირშივე სპობდა და ანადგურებდა ყოველგვარ პროგრესულსა და ცხოველმყოფელ აზრს, ანადგურებდა ადამიანის პირად ინიციატივას და შემოქმედებით უნარს. ეს ის ეპოქაა, რომელსაც სიტყვით თუ საქმით ებრძოდნენ დიდი რუსი ადამიანები — გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, რილეევი და სხვ.

ეპოქის ამ სინამდვილემ ალექსანდრე ჭავჭავაძე იქამდე მიიყვანა, რომ ადამიანის ცხოვრება უარყოფინა. პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რამდენადაც იგი მგმობელია თავისი ეპოქის უკუღმართი სინამდვილისა, იმდენადვე დადებითია მისი შეხედულება კაცობრიობის მერმისზე საზოგადოდ.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გვაქვს ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც პოეტის რწმენა კაცობრიობის დიად მომავალზე გარკვევით იგრძნობა. იგი გმობს ადამიანთა შორის გაბატონებულ უსამართლობას და ჩაგვრას („ვაჰ სოფელსა ამას“). პოეტი სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმ ადამიანებს, რომლებიც მდიდრდებიან „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“. იმავე დროს მგოსანი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ეს ბოროტებაზე აგებული სამყარო დაემხობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდება კაცთა შორის თანასწორობა და სათ-

ნოება. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ფართო სოციალური საკითხის ისეთი მკაფიო გამოხატულება, როგორც ეს მოცემულია ალ. კავჭავაძის ამ ლექსში, არც ერთ ქართველ პოეტთან არ გვხვდება. ეს უაღრესად სოციალური მოტივი ალ. კავჭავაძის მიერ საკაცობრიო ასპექტშია განხილული. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას.

ალექსანდრე კავჭავაძის ეს სტრიქონები ნამდვილად ამშვენებენ ქართული ლიტერატურის ისტორიის ფურცლებს. პოეტი ამბობს:

ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,  
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთხა,  
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა  
უსაფუძვლოთა  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

აქ აქებენ ძვირსა მზავიარნი სულნი,  
სძრახვენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი;  
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი, —  
განა რითა, ძმანო?  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

სამეფონი ურთიერთსა მტკეველობენ,  
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხეველობენ;  
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,  
და ყვაეილოვნებენ  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ძალი დაეაღს ღიმით ნაქცევთა ზედა,  
სად სიმართლე მისგან შენარაზედა  
მისთ ყვაეილთა ფერხით ლახავს გზაზედა,  
რომელნი სკვნებიან  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის  
თვისგან ჭმნილი თვისდავე მიეჭკევის,  
ყველაკაი წარუვაღს, განელევის,  
რაცა ჰქონდა პოვნილ  
მდაბალთა ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ზოგადნივე სარგებლობის საბოვნელად  
დაარღვევენ სჯულსა დაუყოვნელად;  
არ დაზოგვენ მსგავსთა თვისთა საკვლელად,  
შეჰკრებენ საუნჯეს  
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ხელმწიფენი, რომელთ სევსაც ვეშერვით,  
 არს მოცულნი უმრავლესითა ურვით,  
 ფიქრ-მრავლობენ განდიდებისა სურვით,  
 ატარებენ ჟამთა  
 მდაბალთა ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით.

მოხელენი, მათ გარეშე მდგომენი,  
 ძმათა თვისთა შურ-მტერობის მდომენი,  
 ჰკვლენ ერთმანეთს, ნაძარცვთ გამომჩრომენი,  
 და შეეცევიან  
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით.

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას  
 და მსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,  
 მოელოდდეთ მათთან თანასწორობას.  
 არ მარადის იშვათ  
 მდაბლთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით.

ასე დაუზოგავად ამხილა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავისი ეპოქის სოციალური უკუღმართობა. ამ სტრიქონებში მოცემულია არა მარტო მხილება კონკრეტული ეპოქისა, არამედ აქვეა აგრეთვე ღრმა რწმენა კაცობრიობის დიად მომავალზე. როგორც ვიცით, ალ. ჭავჭავაძე ჭერ კიდევ თავის ადრინდელ ნაწარმოებში „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ გაბედულად კიცხავდა სოციალურ უთანასწორობას. ეს თხზულება პოეტის პატიმრობის დროს დაიწერა და, თუ დავეყრდნობოდით მხოლოდ ამ საფუძველს, შესაძლებელი იყო გვეთქვა, რომ ალ. ჭავჭავაძის იდეური მრწამსი იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა იყო, ე. ი. თხზულებაში მწერლის ეროვნული ტკივილები აისახა. მაგრამ როდესაც ამ პროზაულ ნაწარმოებთან ერთად მოგვეპოვება რამდენიმე წლის შემდეგ დაწერილი ზემოგანხილული ლექსი, ჩვენ უკვე უფლება არა გვაქვს ეს ნაწარმოებები ერთმანეთს დავაშოროთ. მოთხრობა „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ და ლექსი „ვაჰ, სოფელსა ამას“ ერთმანეთს ავსებენ და ისინი განხილულ უნდა იქნენ როგორც ერთი და იგივე იდეური მრწამსით ნაკარნახევი სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მიმართული თხზულებები. ამ ნაწარმოებებით ალექსანდრე ჭავჭავაძე გარკვევით წარმოგვიდგება როგორც ფართო საკაცობრიო იდეალების პოეტი და თავისი დროის პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქე.

ალ. ჭავჭავაძის იდეური მრწამსის შემუშავების საქმეში გარკვეული მნიშვნელობისა იყო ოცდაათიანი წლების რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნება. ეს ფაქტორი მისთვის ძალზე მახლობელი

და უშუალო იყო. 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ქართველი ოფიცერი ინტელიგენციის იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც ნიკოლოზ პირველის სუსხიან რეჟიმს ვერ ეგუებოდა და მის წინააღმდეგ იბრძოდა. ძნელია მაინცდამაინც გადაჭრით ითქვას, იცოდა თუ არა ალ. ჭავჭავაძემ დეკაბრისტულ აჯანყებაზე მანამ. სანამ ეს აჯანყება გამოქვადნებოდა, მაგრამ ერთი კი აშკარაა: იგი 1832 წლის შეთქმულების მომენტში შეთქმულთა პროგრესულ ფრთას ეკუთვნოდა. ეს ის ფრთა იყო, რომელიც რესპუბლიკური იდეებით მოქმედებდა და რომელშიც შედიოდნენ ალ. ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვ. გარდა ამისა, ალ. ჭავჭავაძე პირადად იცნობდა და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლოზ პირველის წინააღმდეგ მებრძოლ ისეთ ადამიანებთან, როგორიც იყვნენ პუშკინი, გრიბოედოვი და სხვ.

ასეთია ის უმთავრესი ხელშემწყობი პირობები, რომელთა საფუძველზედაც შემუშავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის პროგრესული იდეები და სოციალური მოტივებით გაამდიდრა მისი მხატვრული შემოქმედება. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში მოცემულია ერთგვარი დასაწყისი იმ ფართო სოციალური და დემოკრატიული მოტივებისა, რომელნიც ქართულმა ლიტერატურამ შემდგომში განავითარა.

#### IV

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების იმ ნაწილში, რომელსაც აქამდე გავეცანით, მოცემულია მისი პოეზიის სოციალური მოტივი, თანადროული ეპოქა და პოეტის დამოკიდებულება ცხოვრების კონკრეტული სინამდვილისადმი. ეს მაინც მისი ლირიკის ერთი მხარეა და ამით ყველაფერი როდი ამოიწურება. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მთლიანად ათვისებისთვის საჭიროა ანგარიში გავწიოს სხვა მხარეებსაც. ისე როგორც მის წინამორბედ და თანამედროვე მწერლობისათვის დამახასიათებელია, ჭავჭავაძის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულის მოტივს. ესეც მისი ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი და განმსაზღვრელი ნაწილია. თუ სოციალური მოტივი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამოვლინდა ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან უშუალო კავშირში, სიყვარულის მოტივი მან მემკვიდრეობით მიიღო ძველი. განსაკუთრებით აღორძინების ხანის ქართული მწერლობისაგან. მან ეს მოტივი ახალი ნაკადით შეავსო და ახალი მიმართულება მისცა მას.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სიყვარულის გრძნობის გამოხატვაში არა-



ჩვეულებრივ ოსტატობას იჩენს. ძნელია დავასახელოთ სხვა ქართველი პოეტი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან, რომელიც ამ მხრივ ჭავჭავაძეს გაუტოლდებოდა. კიტა აბაშიძე პირდაპირ მონიბლული იყო ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსებით. ასე გეგონებათო, — ამბობდა იგი, — ალ. ჭავჭავაძეს მიზნად დაუსახავს, რომ სიყვარულზე იმდენი წეროს და ისე წეროს, რომ მომავალ პოეტებს ამ თემაზე სათქმელი აღარაფერი დაუტოვოსო. კიტა აბაშიძის აზრი ამ საკითხზე მით უფრო საინტერესოა, რომ იგი ალ. ჭავჭავაძის, როგორც პოეტის, ღირსებას სწორედ ამ ხასიათის ლექსებში ხედავს.

„დიდი უმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა სამიჯნურო ლექსებია, „ვარდ-ბულბულიანის“ გალობაა, როგორც ამბობენ ხოლმე, მაგრამ თანაც გასაოცარი ისაა, რომ ასე ერთ-შინაარსიანი ლექსები თავს როდი გაბეზრებენ, სიამოვნებით კითხულობთ, მისი კითხვით ნამდვილს ესტეტიურს კმაყოფილებაში ხართ იმიტომ, რომ საოცარის სხვადასხვაობით არის გამოთქმული ერთი საგანი, ათასგვარი სამოსელი შეუქერავს პოეტს ერთისა და იმავე საგნისათვის, ერთი მეორეზე უმჯობესი, ერთი მეორეზე უძვირფასესი. ასე გეგონებათ, ალ. ჭავჭავაძემ აზრად დაისახა, ქართულს ლიტერატურას სამუდამოდ გამოაცალოს ხელიდან ეს საგანი — სიყვარულის მღერისა, — რადგან იშვიათად შეხვდებით პოეტსა, ამაზე მეტი რამე გამოეთქვას სიყვარულის შესახებ“<sup>1</sup>.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსების დამახასიათებელი ნიშანია გრძნობის უშუალობა, ბუნებრიობა და გულწრფელობა, ვაჟკაცობასთან შეზავებული სილამაზე, სიფაქიზე და სინაზე. მის სამიჯნურო ლირიკაში ერთმანეთს ავსებს ძველი ქართული პოეზიის ეშხი-ვნებიანობა ერთი მხრივ და რომანტიკული სინაზე და სინატიფე — მეორე მხრივ. ამ ორი ნაკადის შეერთების საფუძველზე მისი ლირიკა სათავეს აძლევს ახალ მიმართულებას სიყვარულის გაგებაში, რომელსაც შემდეგ ქართველი რომანტიკოსების მთელი თაობა განავითარებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის გაგებით სიყვარულის გრძნობა ყოვლის შემძლეა. იგი უზენაესი ძალაა, რომელიც ერთნაირად იმორჩილებს ყველა ადამიანს და თითოეულის არსებაში მზადა აქვს გული ტახტად, ოხვრა — ხარკად. სიყვარულის და მხოლოდ სიყვარულის ძალას შეუძლია მეფე თავისივე მონას დაუმორჩილოს, ხოლო ბრძენი სიგიჟემდე მიიყვანოს. სიყვარული თვითმპყრობელი ხელმწიფეა:

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 22.

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?  
ვინ არს რომე გულსა ტაბტად, ოხერას ხარკად არა გცემდეს?  
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ზელად რებდეს,  
და ბულბულსა რად ეძრაზვის რომ შენგამო ვარდს შეჰყუფდეს!

სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,  
სკულსა შენსა ყველა გრჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;  
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰვიებ სიცა,  
გულეები გყავს ქვეშეწერდომად, ამას მეც ეგრძნობ და თვით სხვაცა.  
(„სიყვარულო ძალსა შენსა“)

ალექსანდრე ჭავჭავაძე სიყვარულს არ უყუბრებს როგორც შეე-  
ბისა და ლხენის მომგვრელ გრძნობას მხოლოდ. როგორც ზემოთთი-  
ქვა, იგი სიყვარულში ორ მხარეს განასხვავებს: ერთია ის სასიამოვნო  
შეება-ლხენა. ურომლისოდაც შეუძლებელია ეს გრძნობა აღამი-  
ანში არსებობდეს, და მეორე — თავისებური თმობა-ამტანობა, რაც  
თავის მხრივ გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ამ  
შემთხვევაში ალ. ჭავჭავაძე გამგრძელებელია ძველი ქართული ლი-  
ტერატურული ტრადიციისა. მისი მთელი რიგი სატრფიალო ლექსე-  
ბი მკითხველს სრულიად ბუნებრივად მოაგონებს გენიალური ქარ-  
თველი პოეტის შოთა რუსთაველის მიერ ნაანდერძვეს მიჯნურის  
მოვალეობაზე:

მიჯნურსა თელად სიტურფე ჰმართებს. მართ ვითა მზეობა.  
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,  
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა;  
ვისცა ეს სრულად არა სვირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, სიყვარულის გრძნობა აღამიანს  
სიამოვნებასთან ერთად ტანჯვის უღელსაც ადგამს. დიახ, ეს ასეა,  
მაგრამ სიყვარულის უღლიდან გამოსვლას მაინც არავეინ ინატრებ-  
დაო, — ამბობს პოეტი. სიყვარულის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნ-  
ებული მგოსანი იმავე დამატყვევებელ გრძნობას მიმართავს:

შენის უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის!  
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის?  
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს ვეღვივის,  
მაშა ცუდია, თუ მაში სიბნელეც არსით ერევის!

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში სიყვარული წარმოდგე-  
ნილია როგორც ისეთი გრძნობა, რომელიც აღამიანს ამაღლებს,  
აკეთილშობილებს და აფაქიზებს. რაღა თქმა უნდა, პოეტს მხედვე-  
ლობაში ჰყავს ბუნებრივად სალი და გონებრივად სრულყოფილი





ადამიანი. ამ საღი ადამიანის სიყვარულზე ლაპარაკობს ჩვენი პოეტი მუდამ და ყოველთვის.

მგოსანს მშვენივრად აქვს შენიშნული ის ფსიქოლოგიური თავისებურებანი, რომელნიც სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულ ადამიანს ახასიათებს. შეყვარებულის დამახასიათებელი ნიშანია ზედმეტი მგრძნობიარობა და სიყვარულის ობიექტისადმი სათუთი დამოკიდებულება. შეყვარებული ადამიანის მეტყველებაც განსხვავებულია და თავისებური: „რა ვჰყო, ენა აშვიკისა არ ჰვავს სხვასა გრილთა ენასო“, — ამბობს ჩვენი რომანტიკოსი. ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, სიყვარული ამავე დროს ტყვეობაც არის. ეს გრძნობა ადამიანს იმორჩილებს და იმონებს, თავისთავზე უფლებას აკარგვინებს და ბორკილებს ადებს. ლექსში „თავსა უფლად“ ალ. ჭავჭავაძე ამბობს:

მომესია სევდათ გუნდი,  
შემომერტყა ბნელი ბუნდი;  
ჩაჰვი დამსდგა მონობისა,  
კისრად ვიდე და დავდუმდი.

სიყვარულის ეს მტანჯველი ძალა, რაც ადამიანისაგან გარკვეულ თმობასა და ამტანობას მოითხოვს, ალექსანდრე ჭავჭავაძეზე ადრე-ძლიერად გაისმა ბესიკის სატრფიალო ლირიკაში. აღორძინების ხანის მწერლობაში ბესიკი ერთადერთი პოეტი, რომელსაც სიყვარულის გრძნობის გამოხატვაში ბადალი არა ჰყავს. მომდევნო პერიოდში მხოლოდ ალ. ჭავჭავაძემ შეძლო ბესიკის სიმალღემდე ასვლა. ალექსანდრე ჭავჭავაძე სიყვარულის გრძნობის გამოსახვის თვალსაზრისით ბესიკის მიმდევარია, მისი გამგრძელებელი და ნიჭიერი მეტოქე.

ბესიკის ლირიკაში სიყვარული დახასიათებულია როგორც ისეთი ძალა, რომლის მიმართ პოეტი ხან შემამოკბელია და ხან მგმობელი. სიყვარულისაგან ხელქმნილი პოეტი ხან მოცინარობს, ლალობს, ბედნიერია, ხან კი — სევდიანი, სასიკვდილოდ გულშიღებელი, მაგრამ იგი მაინც ბედს არ ემდურის და კმაყოფილია. თავის ცნობილ ლექსში „დედოფალს ანაზედ“ ბესიკი გვეუბნება:

ცნობა მიმილო და გული,  
ხედვით შემზღუდა ანამან;  
კვლავ მომკლა მისმან ცილმან  
და წელთა მიმოტანამან;

კოკობსა ვარდსა ნარგიზმან  
აქურა ცრემლი, ანამა,

ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიწნერი,  
ან შოკლას ამისთანამან.

ალექსანდრე ჭავჭავაძის აზრით, „თავსა უფლად“ ნურავინ გრძნობს, ნურავინ დაიჭადის, რომ სიყვარულისადმი მონობის უღელს ასცდეს, ნურავინ იტყვის, რომ იგი სიყვარულით შემსჭვალვის შემდეგაც თავისთავის უფალი (ე. ი. ბატონ-პატრონი) იქნება:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,  
ყოველთ ესრეთ გაიგონეთ!  
ერთგზის თქვენცა ტრფიადება  
ჩემებრ მწარედ დავიმონებთ.

მეცა ვიყავ მოქადული,  
ვიდრე ჩემად მქონდა გული:  
ჭირი ვერად შემიპყრვიდა,  
აშიყთ მტანჯვი სიყვარული.

თუ ვინ ვნახი ფერ მიხდილი,  
შევენებისდა მონად ქმნილი, —  
ვსოქვი: თუ კაცსა ვითა შეენის  
გული ესრედ უძღურ-ღბილი!

მაგრამ ჩემიც სულის ძალა  
ერთმან წამმან სრულად მსცვალა:  
გნახე, და მყის შენმა სახემ  
შემიპყრა და შეცამსჭვალა!  
(„თავსა უფლად“)

ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძის სიყვარულის მოტივის საერთო ნიშნებიდან საჭიროა გამოიყოს კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი. პოეტი სიყვარულის ობიექტის თაყვანისმცემელია. იგი მზად არის მტლად დაედოს სატრფოს ბედნიერებას. მიუხედავად ამ უზადო სიყვარულისა და ერთგულებისა, ტრფობის ობიექტი ზოგჯერ გულცივი და მიუკარებელია. სიყვარულის ცეცხლით ანთებულ პოეტს გულგრილი სატრფო ბადახშის კარს დანაგულს შეახვედრებს და სიცოცხლეს მოუშნამავს:

მე მოვმართე შენ მკურნალად დანაგულს,  
შენ წამლის წინ მყის მომპყარ დანა გულს.  
ზილფნი რყევით, უარის-თქმის მსახენი,  
მიჩვენებდნენ ბალახშის კარს დანაგულს.  
(„სახე შენი“)



იგივე აზრი, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილ სტრიქონებშია მოცემული, ბესიკს გამოთქმული აქვს ასე:

თვით შენმა გულმა კარგად იცის: ვარ შენი მეკვდარი,  
 შენმან სურვილმან ჩამოლია გული კლდეშეარი.  
 პირველ შაქრისა გემო იყავ, ახლა ხარ მწარი,  
 სამართლიანი გზა დაადდე, დამიხშეე კარი.  
 ვინც რომ ამ ქირში დამინახავს, დამიტირებდა,  
 მე ტყბილის გულით შემოგყურებ, შენ მემალედი, —  
 გინდა, რომ მოვკვდე შეუყრელი, არ ვებრალედი.  
 რამდენის რიგით ცეცხლით დამწვი, მით მჭირს ძალები.  
 შენსა მიჯნურსა შენი მოკლავს ცეცხლის ალები.  
 ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებმა!  
 („მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“)

მოტანილი ამონაწერებიდან გარკვევით იგრძნობა სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა, განსაკუთრებით ის მხარე, რომელიც პოეტს „სამუდამო მეკნესელად“ აქცევს.

ალ. ჭავჭავაძის მიხედვით, სიყვარულის გრძნობის წარმოშობისათვის მაინცდამაინც საჭირო არაა დიდი დრო და რაიმე განსაკუთრებული მიზეზები. საკმარისია სატრფიალოდ გადაშლილ გულს ლამაზი სახე ეჩვენოს და იგი მყისვე სიყვარულით გაიმსჭვალება. ადამიანს ბადედ, მახედ ექცევა ლამაზი სახე სხვა ადამიანისა, რომელიც თითქოს საგანგებოდ იმისათვის შობილა, რათა სხვისი გული დაიმორჩილოს და დაიმონოს. პოეტის აზრით, არსებობს „სახე სხვათა სახეთა შობილი დამჩაგვრელად“. სიყვარული ხშირად ანაზღად მოვა, თვალეზში ჩახედული მზის შუქი გულის საძირკველს ჩასწვდება, იქ მის სიღრმეში დაისადგურებს და იქიდან დაგიმონებს.

ანაზღად ხილვამან მე შენმა, მზეო,  
 ასე მძლია და წარმტაცა გლახ გული!  
 ტანო აღვაე, წელილო სინახით მრხეო,  
 სიგრილესა შემივრდომე დაგული!  
 („ანაზღად ხილვამან“).

ან კიდევ:

სახე შენი მემახევა, მებადა,  
 სრულ განძარცვა რაცლა ცნობა მებადა.  
 პატიმრობას მიმცა დაუსრულეზელს,  
 მღერად ოხრეა, ლხინად გლოვა მებადა.

როგორც ჩანს, სიყვარულის გრძნობის აღმძვრელი ადამიანის გარეგნული სილამაზე ყოფილა. ეს მომენტი ალ. ჭავჭავაძისათვის და-

მახასიათებელია. მის სატრფიალო ლირიკაში სიყვარულის აღმძვრელად ყოველთვის იგულისხმება ქალი ლამაზი, ქალი ლერწამტანისა— კეკელა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში ხორციელი სილამაზე თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია სულიერ მშვენიერებასთან. გარეგნული სილამაზე მხოლოდ იმდენად არის შექებული, რამდენადაც საჭირო და აუცილებელია საზოგადოდ სიყვარულის გრძნობის დასასაბუთებლად. სილამაზე ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსებში დიდ ადგილს იჭერს, მაგრამ იგი მინც თავისუფალია ქალის სილამაზის იმ ტრადიციული, შაბლონური აღწერისაგან, რომელიც მისი წინამორბედი ქართველი პოეტებისათვის დამახასიათებელი იყო. გარდა ამისა, მართალია, სიყვარულის გრძნობის აღმძვრელად აღიარებულია სილამაზე, სახე, რომელიც ბადედ იშლება და მახედ იქცევა, მაგრამ ეს გარემოება კიდევ არ იძლევა იმის საბუთს, თითქოს ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის უმთავრესი ხორციელობა იყოს.

როგორც ცნობილია, ე. წ. ხორციელი სიყვარულისათვის მთავარია სატრფოსთან ფიზიკური სიახლოვე. ვენებიანობა „შორით დაგვას“ ვერ იტანს. ალ. ჭავჭავაძის აზრით კი ნამდვილი სიყვარული მოშორებით ვერ გაქრება, რაც უფრო შორსა ხარ შეყვარებულისაგან. სიყვარულის ცეცხლი მით უფრო მეტად გწვავს და გიმონებს. ლექსში „უამნი რბიან“ ჩვენი პოეტი ამბობს:

თვალნო, რაზომ ჰღვრიდეთ ცრემლთა, —  
გმართებს მისთა ვერ მჭერეტელთა!  
გონებაო, შენ რად შმაგობ,  
მისგან განუშორებელო?

ჰვავს ნამდვილი ტრფიალება  
მოშორებით არ ვანქრება:  
რაზომ მელტვი, უფრო გეტრფი,  
სახილველად სასურველო!

მოყვანილ ამონაწერში, სხვათა შორის, საყურადღებოა ერთი მომენტიც. სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული ადამიანი გონებითაც შეყვარებულისაგან განუშორებელი ხდება. გამოდის, რომ სიყვარული არა მარტო გრძნობას, არამედ გონებასაც იმორჩილებს. ეს დაპირისპირება შემთხვევითი არაა. ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში სხვა მაგალითებსაც ვხვდებით, როდესაც გონება და გრძნობა ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდიან. სიბრძნე-გონიერება ზოგჯერ წინ აღუდ-



გება სიყვარულის ჭაბუკურ გატაცებას, მაგრამ გამარჯვება მინც ამ უკანასკნელის მხარეზე რჩება.

სიბრძნე და გონიერება რაგინდ მარად ფხიზლად გეფლობდენ,  
სიჭაბუკეს და სიყვარულს რაცა უნდათ, იმას ჰყოფდენ.

ლექსში „შენის გონების“ პოეტი პირდაპირ ამბობს: „მგრძნობე-  
ლობა ჰსჯობს ყოვლთ თვისებათ, ცით მოვლენილთა, მშვენებასაც და  
გონებასაც ის ასულდგმარებს!“

\* \* \*

ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში სიყვარულის მოტივს ზოგჯერ ღვინის  
კულტიც ავსებს, მაგრამ ძირითადი ამოსავალი მაინც ყველგან და  
ყოველთვის მგონის პროგრესული შეხედულებაა. მაშინაც კი, რო-  
დესაც პოეტი ღვინოსა და შექცევაზე ლაპარაკობს, მთავარი მაინც  
ადამიანურობა და საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეა. მის  
კალამს ეკუთვნის ცნობილი ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“, რომე-  
ლიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს ლექსი აღრვევ  
იქცა სუფრულ ჰიმნად, რომელსაც თბილისელი მოქალაქეები ჩვეუ-  
ლებრივად იმღეროდნენ, თუმცა ბევრმა მისი ნამდვილი ავტორიც  
არ იცოდა. ეს ლექსი მეტად ლალი და უდარდელი ტონით ეღერს.  
იგი პირველი წაკითხვით ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს ასეთი  
ხასიათის ნაწარმოები ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების საერ-  
თო ნიშნებს არც კი შეეფერება.

ლექსში „მუხამბაზი ლათაიური“ მოცემულია სიბრძნისა და გა-  
ნათლების ერთგვარი უარყოფა. ხოლო ამავე დროს პოეტი ხოტბას  
ასხამს ღვინოსა და ლოთობას. იგი წერს:

დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,  
ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა.  
ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს  
და ლოთი გამარჯვებასა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ეს სტრიქონები რომ პირდაპირი მნიშ-  
ვნელობით გაგვეგო, მაშინ ჩვენ უარი უნდა გვეთქვა მისი შემოქმე-  
დების ნაღვლიან კილოზე, რომელიც „გოგჩის“ ავტორისათვის არის  
დამახასიათებელი. ამ ლექსის ასეთი გაგება მართებული არ იქნებო-  
და. „მუხამბაზი ლათაიური“ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების საერთო

ხასიათს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ მის რომანტიკულ შინაარსს კიდევ უფრო სრულყოფილად გვიდგენს.

ცოდნისა და განათლების უარყოფა რომანტიკოსი მწერლებისათვის იშვიათი შემთხვევა არაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი საზოგადოდ ცივილიზაციის წინააღმდეგი იყვნენ. ისინი წინააღმდეგი არიან ისეთი ცოდნა-განათლებისა, რომელიც ადამიანის პიროვნებას გასაქანს არ აძლევს, მის ბორკილად ქცეულა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მიხეილ ლერმონტოვის ლექსი „ფიქრი“, რომელიც 1838 წელს დაიწერა. პოეტი აკვირდება თავისი ეპოქის ცხოვრებას, ფიქრობს და მსჯელობს იმ ადამიანებზე, რომელთაც მეთაურის როლი ეკისრებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ის თაობაა, რომელსაც კაცობრიობა უკეთესი მომავლისაკენ უნდა მიჰყავდეს. პოეტი სწორედ იმის გამო არის დაღონებული, რომ ეს თაობა უმოძრაო და უმაქნისია. ლერმონტოვი გვეუბნება, რომ ამ ადამიანებისათვის ფუქია ყოველგვარი სწავლა-განათლება, რადგან მათ სულში იღუმალი სიცოცხე, უნდობლობა და გაუტანლობაა გამეფებული.

მივიღეთ სწავლა, ფუქად ტვინის გამომშრობელი,  
თან დაუთმალეთ ყველა მოძმეს და მეგობარსა:  
იმედი ღიღნი, ხმა გზნებათა კეთილშობილი,  
ურწმუნოებამ რომ გაგვიმასხრა.

ლერმონტოვი გვეუბნება, რომ ურწმუნოებისა და უნდობლობის მიერ გამასხარავებული თაობა ცხოვრების გზას უხმოდ და უკვალოდ გაივლის. ეს თაობა საუკუნეებს არ უტოვებს არც ერთ დიად აზრს, არავითარ ძვირფას ნამოქმედარს და გადაშენდება ისე, რომ მისგან არაფერი დარჩება. იგი არავითარ ღირებულებას არ ჰქმნის მომავალი თაობისათვის და ამიტომაც შთამომავლობისაგან მას მხოლოდ წყევლა-კრულვა მოელის. პოეტის სიტყვით, უსაქმური თაობის საფლავზე გადმოიდგრება შვილების გესლი და ეს იქნება სამართლიანი განაჩენი „გაკოტრებული მამების მიმართ“.

ლერმონტოვმა თავისი თაობა ასე დაახასიათა:

ჩვენ განცხრომანიც მოგვწყენია ჩვენს წინაპართა,  
მათი ბავშვური გარყვნილება მიამიტ ქცევით;  
უსახლონი ვჩქარობთ მისკლას სამარის კართან,  
უკან დაცივით რომ ვიციკირებით.  
უხმოდ, უკვალოდ გადავივლით ჩვენ ქვეყანაზე,  
ვით ბრბო მწუხარე, ჩვენი ხსოვნაც იქ მალე ვაქრეს...

არ დაეუბნებებთ საუკუნეთ არც დიად აზრებს,  
 არც გენიოსის დაწყებულ საქმეს.  
 და ძელებს გვიგინებს შთამოგება წამბოლწვე ლექსით,  
 მოქალაქისა და მსაჯულის სიმკაცრით ხშირად  
 გადმოიდგრება გაცხუნებულ შვილების გესლი  
 გაკოტრებული მამების მიმართ!

ამ სტრიქონებში მთელი სიცხადით იგრძნობა პოეტის მკაცრი განაჩენი ეპოქის მიმართ. მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა მთელი თაობა. მაგრამ ლერმონტოვი ხომ ცივილიზაციის წინააღმდეგი არ ყოფილა? რასაკვირველია, არა. პირიქით, იგი უაღრესად დიდი პროგრესისტი იყო და სწორედ ამის გამო სასტიკად კიცხავდა იმ თაობას, რომელიც მომავალ საუკუნეებს არ უტოვებდა არაერთარ მონაპოვარს, „არც გენიოსის დაწყებულ საქმეს“. პოეტი წინააღმდეგი იყო თავისი დროის „ცივილიზაციისა“, რომელიც კაცობრიობას მომავალი თაობის წინაშე „გაკოტრებული მამების“ სახით გამოაჩენდა. ამით ლერმონტოვი გმობდა, კიცხავდა მხოლოდ და მხოლოდ იმ „ცივილიზაციას“, რომელიც კაცობრიობის ნამდვილ პროგრესს აფერხებდა, მოწინავე აზრს სპობდა და ანადგურებდა.

ასეთია ძირითადი სოციალური საფუძველი, რომელზედაც აღმოცენდება რომანტიკოსების მიერ ცოდნა-განათლების უარყოფა. ეს საფუძველი საერთოა ქართველი რომანტიკოსებისათვისაც. ამას ემატება კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც ყველა ქვეყნის რომანტიზმისათვის დამახასიათებელია. ეს არის ირაციონალიზმი. როგორც ცნობილია, ფრანგული კლასიციზმის წინააღმდეგ, რომანტიკულმა მიმდინარეობამ წინ წამოსწია ადამიანის გრძნობის შეუზღუდავი თავისუფლება, პიროვნების „მე“-ს განთავისუფლება წინასწარ მოცემული საეაღმდეგულო ნორმებისაგან. ეს ის დევიზია, რომლითაც რომანტიზმი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე გამოდიოდა კლასიციზმის წინააღმდეგ. ეს ნიშანი ყველა ქვეყნის რომანტიზმს ახასიათებს და მათ შორის ქართულ რომანტიზმსაც.

რომანტიკული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ ამ ნიშნით უნდა იქნეს განხილული ალ. ჭავჭავაძის ლექსი „მუხამბაზი ლათაიური“. პოეტი თავისი ეპოქის მწარე სინამდვილიდან გამოდის და გვეუბნება, რომ ცხოვრებისადმი ფხიზელი თვალთ ცქერას სჯობს მთვრალი იყო და არ გრძნობდე ამ სინამდვილეს. ამდენად „მუხამბაზი ლათაიური“ ობიექტურად წარმოადგენს მძაფრ კრიტიკას პოეტის ეპოქისას, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისას, მისი „ცივილიზაციისას“.

1 მ. ლერმონტოვი, ფიქრი, თარგმანი დ. ვაჩეჩილაძისა.

ჩვენ ვიცნობთ ალ. ჭავჭავაძის შეხედულებას თავის თანამედროვეობაზე. მისი დახასიათებით ეს არის ეპოქა, როდესაც ადამიანის პიროვნებას, ნიჭსა და უნარს გასაქანი არ ეძლევა, როდესაც ადამიანის ინიციატივას ძირშივე სპობს და ანადგურებს მკაცრი სახელმწიფოებრივი რეჟიმი. ამ ძალადობაზე დამყარებული უშინაარსო ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლაში პოეტი სიმთვრალის აპოლოგიასაც მიმართავს, როგორც ერთ-ერთ საშუალებას.

მსგავს მოვლენებს სხვა ქართველ რომანტიკოსებთანაც ვხვდებით. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც პოეტი ნატრობს არაფხიზელ მდგომარეობაში იყოს, ოღონდ თავისი დროის მწარე სინამდვილეს არ გრძნობდეს. იგი ნატრობს სიზმარში იყოს, არ გამოფხიზლდეს, ოღონდ თავისი ეპოქის უკუღმართობას არ ხედავდეს.

ცნობილია გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, სადაც არსებითად სწორედ ამგვარი განცდაა წინ წამოწეული. თამარის სურათით მოჯადოებული მგოსანი თავდავიწყებამდე მიდის. მის თვალწინ ცოცხლდება თამარის დროის საქართველო მთელი თავისი სიდიადით და სანეტარო სანახაობით. თამარ მეფის სახით დატყვევებული პოეტი ნატრობს, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ამ მდგომარეობაში. იგი ღმერთს ევედრება არ გამოფხიზლდეს, რათა ეს წარმტაცი სურათი „ძველი დიდებისა“ თვალრიდან არ დაეკარგოს:

მიხარის — გიშვერ,  
გწუხებარ — და გიშვერ,  
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,  
არ გამოფხიზლდე,  
რომ აღარ ვგრძნობდე  
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!

როგორც ვნახეთ, ოცნების, სიზმრისა და სიმთვრალის საშუალებით არსებული სინამდვილის დავიწყება ჩვეულებრივი ხერხია ლიტერატურაში. ასევე იქცევა ალექსანდრე ჭავჭავაძეც. „მუხამბაზი ლათაიური“ ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესო მასალას იძლევა. ისეთი დინჯი და დარბაისელი კაცი, როგორიც ალ. ჭავჭავაძე იყო, სიმთვრალისკენ მოუწოდებს. შეუძლებელია სხვაგვარად აიხსნას ეს გარემოება თუ არა იმით, რომ ჩვენი პოეტი სიმთვრალეში თავისი ეპოქის სინამდვილის დავიწყების საშუალებას ხედავს. შეუძლებელია არ დავეთანხმეთ კიტა აბაშიძეს, რომელიც წერდა: „თუ ალ. ჭავჭავაძე მოქვიფეთა გუნდს ეკუთვნის, მაშინ მხოლოდ იმ მოქვიფეთა გუნდს, რომელსაც ქეიფისათვის მიუმართავს. როგორც უკანასკნე-





ლის საშუალებებისათვის ტანჯულის გულის ოხვრის განსაქარვებლად“<sup>1</sup>.

დასასრულ საჭიროა ერთი გარემოებაც აღინიშნოს: ალექსანდრე ჭავჭავაძე ღვინოს არ უყურებს როგორც გართობის, დროსტარებისა და თავდავიწყების საშუალებას მხოლოდ. ჩვენი რომანტიკოსის მიერ ღვინო დახასიათებულია როგორც ვაჟკაცური მხნეობის, თავდადებისა და ომის ქარცეცხლში გაბედულების მომნიჭებელი საშუალება.

ვაჟკაცნო მოღით დავლიოთ,  
სჯობს რომე ღვინო დავძლიოთ.  
ომამდინ სისხლად იქცევა,  
მერმე ბრძოლაში დავსთხიოთ.

მაშასადამე, არა უბრალო სმა და ქეიფი დარდიმანდელი, არამედ ვაჟკაცური დაძლევა ღვინისა, რომ იგი ადამიანის ორგანიზმში სისხლად იქცეს და შემდეგში ბრძოლის ველზე გადმოიღვაროს. ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმით, ბრძენი კაცი ჭკუა-გონებით მოქმედია: იგი ომის ქარცეცხლში წინასწარ გონების თვალთ სინჯავს და ითვალისწინებს მდგომარეობას. ფხიზელი ადამიანი ფრთხილი და ნაკლებად გაბედულია, ხოლო მთვრალს ბევრი სჯა და ფიქრი არ უყვარს. იგი უკან კი არ იხედება, არამედ წინ მიიწევეს და მტერს ან მოკლავს, ან შეაკვდება.

რა ომის ცეცხლი ასტყდება,  
ბრძენი სიფრთხილით წახდება;  
მაგრამ ღლეული მაშინვე  
ან მოკლავს, ან შეაკვდება!

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ჩვენ ვხვდებით სხვა ნიმუშებსაც, რომლებშიც პოეტი საგანგებოდ ეხება ამ საკითხს და, ყველგან და ყოველთვის იგი იმ აზრის მატარებელია, რომ ღვინო ავთვისება არ არის. ალ. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის ლექსი „ღვინის თვისებებისათვის“. პოეტი ამბობს, რომ ღვინო ადამიანს თვისებას კი არ უცვლის, არამედ ძალასა და გაბედულებას მატებს. არა მარტო ფიზიკურ მხნეობას, ღვინო სხვა სიკეთესაც იძლევა, მაგრამ ამისათვის საჭიროა ადამიანი თვითონ იყოს გულსრული, საქმიანი და სიცოცხლისუნარიანი:

ღვინო თვისებას არ ჰსცვალავს,  
არამედ უმატებს ძალებს.

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. 1, 1911 წ., გვ. 9.

კეთილ-თვისებათ მქონემან  
ჭერ-არს სუას, კეთილს უმრავლებს.

ამ ლექსს შეიძლება დაეუკავშიროთ ალ. ჭავჭავაძის მეორე, აგრეთვე პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი ლექსი „მემთვრალისადმი“. რაოდენი გრძნობა და რაოდენი პოეტური ოსტატობაა ამ ოთხსტრიქონიან ლექსში? ჭეშმარიტად სიტყვის დიდი ოსტატი უნდა იყოს პოეტი, რომ ღვინოსთან და სიმთვრალესთან დაკავშირებით გვაგრძნობინოს ესოდენ ღრმადამიანიური კეთილშობილება, სინაზე, სილამაზე და სიფაქიზე, რაც ალ. ჭავჭავაძის ამ ლექსშია ჩაქსოვილი:

შენ ნარგიზი ახალი ხარ, თავსა შენსა მსტრფობ და ჰყვარობ,  
მაგრამ წყალში ჰქერტის ნაცვლად წითელს ღვინოს სარკედ ხმარობ;  
სახე შენი მას ღვინოში მსჩანს, ვით ვარდი, ზედა ხარობ,  
მერე ეშყით აღნატაცი, თავსა შთანთქმად აღარ ხარობ.

ასე დაახასიათა ალ. ჭავჭავაძემ თვისება ღვინისა და მისი გავლენა ნორმალურ, სრულყოფილ ადამიანზე. უნდა ითქვას, რომ ასეთი მსჯელობისათვის პოეტს საფუძველს აძლევს ქართველი ხალხის ათასწლოვანი ტრადიცია.

ქართულ ხალხურ თქმულებებში, ლექსებსა და სიმღერებში ღვინო ჩვეულებრივად დადებითად არის დახასიათებული. ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ლექსებში სწორედ ამ ხალხურ შეხედულებას იმეორებს და აჰყავს იგი მხატვრულ ლიტერატურულ სიმაღლეზე. შედარებისათვის შეიძლება ერთ მაგალითს დავჭერდეთ. ერთ-ერთი ხალხური ლექსი ღვინოს ასე ახასიათებს:

ღვინომ სთქვა ჭაჭანეურმა:  
უცეცხლოდ ამოვსდულდები:  
ჭკვიანსა ბრძნულად ვეჭკვევი,  
რეგვენთან ამოვბრწყინდები!

ასე განმარტავს ხალხური ლექსი ღვინის საერთო თვისებას. აქაც ნათქვამია ის, რასაც ალ. ჭავჭავაძის ლექსებში ჩვეულებრივად ვხვდებით. ასეთია ხალხური ლექსის სიტყვები: „ჭკვიანსა ბრძნულად ვეჭკვევი“, მაგრამ ამის საპირისპიროდ ხალხური ლექსი იმასაც ამბობს, თუ როგორ მოექცევა ღვინო მეორე ადამიანს — რეგვენს. ამ შემთხვევაშიც თავს იჩენს ხალხური ლექსისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი კონტრასტების ხერხი, რომ ბრძენს რეგვენი დაუ-

პირისპიროს და გვაჩვენოს ღვინის მოქმედება თითოეულ მათგანზე ცალკე-ცალკე.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ძირითადად ამ ხალხურ განმარტებას იმეორებს, ოღონდ იგი არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ ექცევა ღვინო იმ ადამიანებს, რომელთაც ხალხური ლექსი რეგვენს უწოდებს. ეს გარემოებაც ჩვენი პოეტის სასარგებლოდ ლაპარაკობს: მისთვის საინტერესოა ის, რაც ჯანსაღი და გულსრული ადამიანისათვის ნიშანდობლივია. იგი ბუნებით საღი ადამიანის გრძნობის მომღერალია და არა სიმახინჯისა და სირეგვენისა. ქართველი რომანტიკოსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სიმახინჯეს არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში ქებით არ იხსენიებენ. პირიქით, ისინი ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის იღწვიან. ეს არის მათი პოეტური შემოქმედების არსებითი დამახასიათებელი ნიშანი. ალ. ჭავჭავაძის ყურადღების ცენტრში დგას საღი, საქმიანი და საზოგადოებისათვის სრულფასოვანი ადამიანი. ასეთი ადამიანის თავისუფლებას, მის კეთილშობილურ გრძნობათა თავისუფლებას უნდა შეეწიროს ქვეყნიერებაზე ყველაფერი. ამას უმღერის ჩვენი პოეტი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე გარკვეულ გავლენას ახდენს მომდევნო ლიტერატურულ თაობაზე და ამიტომაც ზემოგანხილულ მომენტს ანგარიში უნდა გაეწიოს ყოველთვის, როდესაც ქართველი პოეტების შემოქმედებაში ღვინის კულტზე ვლაპარაკობთ.

ასეთია ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. როგორც ვნახეთ, იგი სათავეს აძლევს ახალ ლიტერატურულ მიმართულებას — რომანტიზმს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ქართველ რომანტიკოსს ალ. ჭავჭავაძის პოეზიასთან რაღაც ძაფი აკავშირებს.

## სოლომონ რაზმაძე

### I

სოლომონ რაზმაძე საინტერესო პიროვნებაა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მის სახელთან დაკავშირებულია რიგი საინტერესო მოვლენები მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებიდან. იგი, როგორც 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე და პოეტი, ოცდაათიანი წლების მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილს იკავებს.

სოლომონის მამა, ივანე რაზმაძე, ყაბარდოდან გადმოსახლებული გლეხი ყოფილა. იგი მეფე ერეკლე მეორეს მიჰყვებოდა. მასთან ერთად ომებში რამდენჯერმე მონაწილეობა მიუღია და მისი ყურადღებაც დაუმსახურებია. ბრძოლებში მამაცობისა და თავდადების გამოჩენისათვის ერეკლე მეფეს ივანე რაზმაძისათვის აზნაურობა უბოძებია.

სოლომონ რაზმაძე დაიბადა 1797 წელს. მომავალი პოეტი თოთხმეტ წლამდე სამშობლოში იზრდებოდა, ხოლო 1811 წელს იგი ცნობილმა მწიგნობარმა თეიმურაზ გიორგის ძე ბატონიშვილმა საქართველოდან პეტერბურგს წაიყვანა. ბავშვობისა და ჰაბტუკობის წლები ს. რაზმაძემ პეტერბურგში მეცხოვრებ ბატონიშვილების ოჯახში გაატარა. მას დიდი ამაგი დასდო თეიმურაზმა, რომელიც სოლომონს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას, მშობლიური მზრუნველობით ეპყრობოდა.

1811 წლიდან 1832 წლამდე სოლომონ რაზმაძე მუდმივად პეტერბურგს ცხოვრობდა. თავისი ქვეყნის სინამდვილეს მოწყვეტილი ახალგაზრდა პოეტი ქართულ მწერლობას ბატონიშვილების ოჯახის საშუალებით ეცნობოდა. თეიმურაზმა ს. რაზმაძეს იმ დროის კვალობაზე კარგი სასკოლო განათლებაც მიაღებინა პეტერბურგის ერთ-ერთ სასწავლებელში. გარდა ამისა, თეიმურაზი მისი მასწავლებელი იყო ლიტერატურული საქმიანობის თვალსაზრისით. ბა-



ტონიშვილი მას ქაბუჯობიდანვე იშველიებდა იმ მუშაობაში, რომელსაც თვითონ ეწეოდა. ბატონიშვილების ოჯახში ს. რაზმაძე პირადად ეცნობოდა ქართველ მწერლებს, რომლებიც რაიმე მიზეზის გამო თბილისიდან პეტერბურგს ჩადიოდნენ ხოლმე. პეტერბურგიდან იცნობდა იგი გრიგოლ ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილს, გიორგი ერისთავს და სხვა გამოჩენილ ქართველებს.

სოლომონ რაზმაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაში აღსანიშნავია ორი ძირითადი პერიოდი. პირველი 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე, ხოლო მეორე — ავლაბრის ყაზარმობის შემდგომი პერიოდი.

1811 წლიდან, როდესაც სოლომონ რაზმაძე პეტერბურგს ჩადის, იგი სწავლას იწყებს ოფიციალურ სასწავლებელში — ლიცეუმში. ამასთანავე ეცნობა გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა ოჯახებში შემონახული ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. ოფიციალური სასკოლო ცოდნის თაობაზე თვითონ ს. რაზმაძე ამბობდა, რომ მან სრულიად უმნიშვნელო განათლება მიიღო, მაგრამ რამდენადაც მცირე იყო სკოლიდან მიღებული ცოდნა, იმდენად დიდი იყო ის თვითგანვითარება, რომელსაც მომავალი პოეტი ბატონიშვილების ოჯახში და განსაკუთრებით თეიმურაზისაგან იძენდა.

ამ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ სოლომონ რაზმაძე თავის გამზრდელ ბატონიშვილს ეხმარება ლიტერატურულ საქმიანობაში. თეიმურაზთან ს. რაზმაძის ლიტერატურული თანამშრომლობის ცხადყოფის თვალსაზრისით საინტერესოა მინაწერი, რომელიც ბატონიშვილის ერთ-ერთ შრომას აქვს გაკეთებული: „განსჯანი არისტოტელისანი. მეფე გიორგის XII-ს ძისგან თეიმურაზისაგან 1818 წ. თარგმნილი ქართულად. — ბოლოში აწერია: შრომითა და ზედა მხედველობითა სოლომონ რაზმაძე გვიცისა ძისათა“<sup>1</sup>.

ლიტერატურული მოღვაწეობის თვალსაზრისით ს. რაზმაძის ცხოვრების პირველი პერიოდი მთარგმნელობითი საქმიანობით ხასიათდება. ეს გარემოება სრულიად გასაგებია: ადამიანს, რომელიც ბავშვობიდანვე საკუთარ მიწა-წყალს მოსწყდა, არ შეეძლო ქართულ სინამდვილეზე ეწერა. იგი თავის პოეტურ მისწრაფებას მთარგმნელობითი მუშაობით იკმაყოფილებდა. ამ დროს მისთვის მთარგმნელობა იყო ძირითადი, მაგრამ ამ მთარგმნელობის დრო-

<sup>1</sup> ს. ხუნდაძე, ნარკვევები, 1941 წ., გვ. 64-65. გვიცის სოლომონ რაზმაძის შრომის მეორე სახელია.

საც მწერალს მშობლიური ქვეყნისადმი სამსახურის გრძობა ამოქმედებდა.

საინტერესოა სოლომონ რაზმაძის ერთი ლექსი, რომელიც პოეტმა მის მიერ შესრულებულ ერთ თარგმანს წარუძღვარა. ეს ლექსი მკაფიოდ გვაგრძობინებს იმ შეგნებას, რომელიც ჩვენს პოეტს მთარგმნელობისაკენ მოუწოდებდა. ამ პატარა ლექსში გარკვევით ამოიკითხება სოლომონ რაზმაძის უზადო სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის, იცნობა ხმა პოეტისა, რომელიც ფიზიკურად თავისი ქვეყნიდან შორსაა, მაგრამ მაინც სამშობლოსათვის თავდადებულია და მის საკეთილდღეოდ მოღვაწეობს. მამულისადმი ერთგულება და სამსახური ვალდებულებაა ყოველი კაცისა, ხოლო მე თვითონ ქართველებისათვის ვთარგმნე ეს ნაწარმოები, რომ ამით მათ ისწავლონ ღესპოტიზმისაგან თავის დახსნაო, — ამბობს ს. რაზმაძე.

ვინა ვალია  
თავის დადება  
მამულისათვის  
ყოვლის კაცისგან  
მის გამო მეცა  
კადნიერქმნილმან  
ესთარგმნე ეს წიგნი  
რუსთა ენისგან,

დაბეჭდვასაცა  
აბარა მრიდა,  
რომ ივერიელთ  
ისწავლონ მისგან  
და მით მწე ექმნან  
მამულსა თვისსა  
და თავი იხსნან  
სკვით ღესპოტისგან<sup>1</sup>.

სოლომონ რაზმაძემ ეს ლექსი წარუძღვარა ქართულად თარგმნილ ერთ-ერთ თხზულებას, რომელიც ფრანგულიდან რუსულ ენაზე იყო გადმოღებული. ეს თხზულებაა საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მონაწილის ოდილიონ ბაროს მოწოდება. ბუნებრივია, რომ ამ მოწოდების თარგმნა და გავრცელება ნიკოლოზ პირველის რეჟიმის პირობებში სასტიკად იღვენებოდა. ამიტომაც ს. რაზმაძეს 1833 წელს, როდესაც იგი სხვა ქართველ შეთქმულებთან ერთად დაპატიმრებული იყო, საგანგებოდ ეკითხებოდნენ ამ თარგმანის გამო. სოლომონი თავის პასუხში საგამომძიებლო კომისიისადმი ცდილობდა საქმის ვითარება ისე დაეხატა, რომ თავისი დანაშაული მსუბუქად ეჩვენებინა. იგი კომისიას არწმუნებდა, რომ ეს თხზულება თარგმნა ყოველგვარი მავნე მიზანდასახულობის გარეშე.

პროფესორი სიმონ ხუნდაძე სამართლიანად შენიშნავდა, რომ სოლომონ რაზმაძეს, როდესაც იგი მის მიერ შესრულებული თარ-

<sup>1</sup> გაზეთი „კომენსტი“ 1935 წ., № 229, ი. გრიშაშვილის პუბლიკაციით.



გმანის მნიშვნელობას აუბრალოებდა, გარკვეული მოსაზრებას ამოქმედებდა. მას უნდოდა თვალი აეხვია თვითმპყრობელობის საგამომძიებლო ორგანოებისათვის.

შეთქმულების საქმეზე კვლევა-ძიების დროს კომისია განსაკუთრებით მკაცრად ეკიდებოდა ს. რაზმაძეს, როგორც გლეხური წოდებიდან გამოსულ ადამიანს. მას უფრო მეტი სასჯელი მოელოდა, ვიდრე სხვა შეთქმულებს და ამიტომაც იგი ყოველ ზომას მიმართავდა თავის გადარჩენის მიზნით. სხვა საკითხია, გაქრა თუ არა ამ ხერხმა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ს. რაზმაძე ასეთ ჩვენებას იძლეოდა თავისი მოქმედების კვალის დასაფარავად. სინამდვილეში, როდესაც ამ თხზულებას აქართულებდა, ჩვენს პოეტს გარკვეული საზოგადოებრივი და პოლიტიკური მისწრაფებანი ამოძრავებდა. ისე როგორც თავის სხვა ნაწარმოებებში, იგი ამ შემთხვევაშიაც მისდროინდელი რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ რეჟიმს, მის დესპოტიზმს უმიზნებდა. ასეთი დასკვნის გაკეთება მით უმეტეს სამართლიანი ხდება ახლა, როდესაც თარგმანთან ერთად მოგვეპოვება ისეთი გაზედული ორიგინალური ლექსი, რომელიც ს. რაზმაძემ იმავე თარგმანს წარუმიძღვარა<sup>1</sup>.

სოლომონ რაზმაძის პოეტური შემოქმედება პირველ პერიოდში უმთავრესად მთარგმნელობითი ხასიათისაა. მაგრამ, ჯერ ერთი, იგი მთარგმნელია არა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მისი თარგმანი ხშირად მეტად თავისუფალი გადმოქართულებაა, და მეორეც — სოლომონ რაზმაძე ყველასაგან და ყველაფერს კი არ თარგმნიდა, არამედ შერჩევით და სათარგმნი მასალის შერჩევაში ყოველთვის იგრძნობა მისი მოწინავე იდეები. ეს ფაქტი უბრალო მნიშვნელობისა არაა, იგი ბევრს ლაპარაკობს პოეტის სასარგებლოდ.

სოლომონ რაზმაძე უმთავრესად გვევლინება, როგორც ალექსანდრე პუშკინის თხზულებათა მთარგმნელი. იგი გენიალური რუსი პოეტის მხატვრულ შემოქმედებაში ხედავდა მაღალ საკაცობრიო მისწრაფებებს და მისი პოეზიიდან ქართულად გადმოჰქონდა ისეთი ნიმუშები, რომლებიც ქართული სინამდვილისათვის მახლობელი იყო. უნდა ითქვას, რომ ალ. პუშკინს ბევრი მთარგმნელი გაუჩნდა თვით მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემდეგ, სოლომონ რაზმაძე პირველი პოეტია, რომელმაც პუშკინის შემოქმედების ნიმუშების ქართველი მკითხველისათვის მიწოდების საქმეს განსაკუთრებული ამაგი დას-

<sup>1</sup> სიმონ ხუნდაძისათვის, როგორც ჩანს, ეს ლექსი ცნობილი არ იყო.

დო. მან პუშკინის პოეზიიდან თარგმნა მთელი რიგი პირველხარისხის ხოვანი ნაწარმოებები. მარტო 1832 წლამდე ს. რაზმაძეს უთარგმნია: „განღვიება“ («Пробуждение»), „ღიშპანური სიმღერა“, («Испанский романс»), „ლხინი“ («Веселый пир»), „დემონი“ («Демон»), „წინასწარმეტყველი“ («Пророк»), ნაწყვეტები „ევგენი ონეგინიდან“ და სხვ.<sup>1</sup>

სოლომონ რაზმაძის ეს თარგმანები უდავოდ მაღალი ღირსებისაა. პროფესორი კარპეზ დონდუა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა დიდი რუსი პოეტის ქართული მთარგმნელები, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ს. რაზმაძის პოეტურ ოსტატობას: იგი ამბობს: „გაცილებით მეტ ოსტატობას და უნარს პუშკინის თარგმანში იჩენს ს. რაზმაძე: იგი მიმართავს ზომათა სხვადასხვა ვარიაციებს და სცდილობს დაახლოვებით გადმოგვეცეს პუშკინის მუსიკა, რასაც ზოგჯერ კიდევაც აღწევს ტექსტიდან საკმაოდ თავისუფალი დაშორების ხარჯზე“.<sup>2</sup>

გარდა აღექსანდრე პუშკინის ნაწერების თარგმნისა, სოლომონ რაზმაძეს ეკუთვნის აგრეთვე ცნობილი პოლონელი მწერლის ადამ მიცკევიჩის პირველი გადმოქართულება. 1831 წელს მან თარგმნა მიცკევიჩის ნაწარმოები „ფარისი“. 1832 წელს, როდესაც ს. რაზმაძე თბილისში იმყოფებოდა, იგი თვითონ უკითხავდა აქაურ შეთქმულებს „ფარისის“ თარგმანს. როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, პოლონელი პოეტის ეს თხზულება, რაზმაძის მიერ თარგმნილი, ქართველ მკითხველთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობდა.

„ფარისის“ თარგმანთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი ლიტერატურული დოკუმენტი, კერძოდ, სოლომონ რაზმაძის პირადი წერილი გრიგოლ ორბელიანთან. წერილი დათარიღებულია 1832 წლის 9 იანვრით, როდესაც გრ. ორბელიანი რუსეთს იმყოფებოდა. სოლომონ რაზმაძე მას უგზავნის „ფარისის“ ქართულ თარგმანს და სთხოვს, რომ გადაათვალიეროს იგი. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს იმაზე, თუ რა პასუხისმგებლობით და სათუთად ეპყრობოდა პოეტი სხვათა ენიდან ნაწარმოების გადმოქართულების საქმეს. გარდა იმ მნიშვნელობისა, რომელიც ამ წერილს „ფარისთან“ დაკავშირებით აქვს, იგი საყურადღებოა აგრეთვე სხვა მოსაზრებითაც. წერილის საშუალებით ჩვენ ვეცნობით ზოგიერთ

<sup>1</sup> კრებული „ა. ს. პუშკინი საქართველოში“, 1938 წ., გვ. 228.

<sup>2</sup> კ. დონდუა, პუშკინი ქართულ ლიტერატურაში, კრებული „ა. ს. პუშკინი საქართველოში“, 1938 წ., გვ. 146.





მოვლენას, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობის მქონეა.

სოლომონ რაზმაძის ამ წერილის საშუალებით ვგებულობთ, რომ ამ დროს გრიგოლ ორბელიანი დაინტერესებული ყოფილა ქუკოვსკის ნაწერებით საზოგადოდ და კერძოდ კი მისი ნაწარმოებით «Певец во стане русских воинов». გრ. ორბელიანის ეს დაინტერესება ქუკოვსკის თხზულებით სრულიად გასაგებია, ამ დროს იგი მუშაობდა თავის პოემაზე „სადღეგრძელო“. როგორც ჩანს, ორბელიანს სოლომონ რაზმაძისათვის ქუკოვსკის ამ ნაწარმოების შოვნა დაუვალებია და სოლომონის პასუხიც, „პევეცი ცალკე დაბეჭდილი არა მაქვსო“, ამ ფაქტს გულისხმობს. დასასრულ, წერილში ლაპარაკია ფულის სესხება-გადახდაზე, რაც იმის მანიშნებელია, რომ სოლომონ რაზმაძესა და ორბელიანებს ახლო ურთიერთობა ჰქონიათ.

გავეცნოთ ამ წერილს მთლიანად.

„ბრწყინვალე კნიაზო გრიგოლ! პევეცი განსაკუთრებით დაბეჭდილი არა მაქვს და ამ სამ ტომში რაც რომ 1824-მდინ დაუთხზავს სუყველა არის და გთხოვთ როდესაც წაიკითხოთ ალექსანდრე ჩოლოყაყეის უბოძოთ, რადგან იმისი არის. და ეს რვეული ჩემგან გადმოჩმავილი ფარისი არის. წაკითხვის ღირსი არ არის, მაგრამ რათგან ასე მწყალობ, რომ თავს იმდაბლებ ჩემს ნათარგმნის წასაკითხველად, ამად მოგართვი. ახლა ჩემი თხოვნა მისმინე: ხომ მოგეხსენება, რომ ამ გაყიზილბაშების ქამსა ბევრი ხარჯი მომივა, მაგრამ მე ჭერ არაფერი არა მაქვს რა და თუ თქვენი საწყენი არა იქნება და არც გული შეგეცვლება ჩემზედ გთხოვ, რომ თქვენის ძმის ვალი თუ რომ შეიძლებოდეს მიბოძოთ, რომელითაცა საუკუნოდ ვალდებულ მყოფთ. ჭეშმარიტად თუ ეს შემთხვევა არა ყოფილიყო ფიქრადაც არ მომივიდოდა ამისი მოხსენება, მაგრამ რავჰყო გაჭირვება ბევრს რასმე მოაგონებს კაცსა.

დავშთები თქვენი ბრწყინვალეების უმდაბლესი  
მოსამსახურე სოლომონ რაზმაძე“<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით შესწავლილი არაა სოლომონის ურთიერთობა პეტერბურგს მცხოვრებ სხვა ქართველებთან, რაც მის პიროვნებაზე უფრო ფართო წარმოდგენას მოგვცემდა. სხვათა შო-

<sup>1</sup> საქართველოს ცენტრალური არქივი, 1832 წ. შეთქმულების მასალები, საქმე № 171.

რის, სოლომონი ამ წერილში ვრ. ორბელიანს სწერს: ამ გაყიზილბაშების უამს ხარჯი ბევრი მომივაო. გასაგებია, მას მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომ იგი ამ დროს სპარსეთს გასამგზავრებლად ემზადება.

საქმე ასე იყო: 1831 წლის მიწურულს სპარსეთში გარდაიცვალა რუსეთის ყოფილი ელჩი და ახლა მის თანამდებობაზე ინიშნებოდა გენერალ-მაიორი გრაფი სიმონიჩი. სიმონიჩი ქვისლი იყო თეიმურაზ ბატონიშვილისა და თეიმურაზის თხოვნით მას სამსახურში მიჰყავდა სოლომონ რაზმაძე, როგორც აღმოსავლური ენების მცოდნე. სწორედ ამ სამზადისს გულისხმობს სოლომონი, როდესაც „გაყიზილბაშებაზე“ ლაპარაკობს.

\* \* \*

1832 წლის გაზაფხულზე სოლომონ რაზმაძე პეტერბურგიდან გამოემგზავრა სპარსეთს წასასვლელად. ამ დროს იგი თბილისში ჩამოვიდა და რამდენიმე თვე აქ გაატარა.

შეთქმულების თაობაზე სოლომონ რაზმაძემ ჯერ კიდევ პეტერბურგიდანვე ყველაფერი კარგად იცოდა. ის, როგორც ბატონიშვილების ოჯახთან ყრმობიდანვე დაახლოებული პირი, ადრევე ეზიარა ამ მოძრაობას. მან თბილისის შეთქმულთა ორგანიზაციის არსებობაც იცოდა, მაგრამ უშუალო კავშირი ამ ორგანიზაციასთან 1832 წლამდე არ ჰქონია. გასაგებია, რომ საქართველოში წამოსვლის დროს პეტერბურგს მყოფი ქართველებისაგან სოლომონ რაზმაძემ გარკვეული დავალებები მიიღო. თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი დაუახლოვდა შეთქმულების მეთაურებს და აქტიურად ჩაება მათ საქმიანობაში. მან ახლო ურთიერთობა დაამყარა სოლომონ დოდაშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ელიზბარ ერისთავთან, ალექსანდრე ორბელიანთან და სხვებთან.

სოლომონ რაზმაძე ამ დროს შეთქმულებთან იყო როგორც ამ მოძრაობის აქტიური მონაწილე. არსებული ცნობების მიხედვით, სოლომონ რაზმაძეს თბილისში ყოფნის დროს შეთქმულებმა რამდენჯერმე სადილიც გაუმართეს. ერთი ასეთი სადილის თაობაზე პოლიევკტოს კარბელაშვილი წერს: „სპარსეთში წასვლის დროს 1832 წლის მაისში სოლომონ რაზმაძეს სადილი გაუმართა ელიზბარ ერისთავმა და ყველა ახალგაზრდები — შეთქმულნი დაპატიჟა. სადილზე დალიეს საქართველოს აღდგენის ჯამი ღვინო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1882 წ., № 259.



3. კარბელაშვილის მიერ აღწერილი სადილის თაობაზე მოგონება დაგვიტოვა აგრეთვე დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც სხვებთან ერთად ამ სადილის მონაწილე იყო. იგი წერს: „იენისის ბოლო რიცხვებში თავადმა ელიზბარ ერისთავმა ავთანდილოვის პირით, სხვათა შორის, მეც დამპატიყა თავის ბინაზე სადილად. ის ცხოვრობდა თავისი სიძის კოლეგიის მრჩეველ მელნიკოვის სახლში. მე გაუარე ავთანდილოვს, მერე ვახტანგ ორბელიანს და ჩვენ სამნი წავედით ელიზბართან, სადაც ჩვენ დაგვხვდნენ: სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე, დოდაშვილი და ელიზბარის ძმა, არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი. შემდეგ მოვიდნენ: ალექსანდრე ორბელიანი და გიორგი ერისთავი 1-ლი. აქ ელიზბარმა გამაცნო მე თავის ძმას, რომ სტუმრები რამეთი გაერთოთ, სთხოვეს რაზმაძეს წაეკითხა, მის მიერ რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი მიცკევიჩის „ფარისი“. ამის შემდეგ აუტყდნენ დოდაშვილს და განსაკუთრებით ელიზბარი ეუბნებოდა მას სიცილით: „როგორ გაბედე შენ დაგებუქდა შენს ჟურნალში ისეთი სტატიები, რომელთათვისაც სხვა ჟურნალისტს პასუხისგებაში მისცემდენ“<sup>1</sup>.

ლიტერატურული საქმიანობის თვალსაზრისით ის პერიოდი, რომელიც სოლომონ რაზმაძემ თბილისში გაატარა, მეტად ნაყოფიერი იყო. „თბილისის უწყებების“ ლიტერატურულ დამატებაში გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი ლექსების ერთი ნაწილი. ამავე ხანებში მან რამდენიმე ორიგინალური ლექსიც დაწერა. თუ აქამდე უმთავრესად მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა, ახლა, როდესაც ქართულ სინამდვილეს გაეცნო და დაუახლოვდა, იგი ორიგინალურ ნაწარმოებებსაც თხზავს. ამ დროს იწერება მისი ლექსები: „დიანას მეჭლიში“, „დათვი და ცხვარი“ და სხვ. სოლომონ რაზმაძე თავისი ლექსებით გარკვეულ გავლენას ახდენს ლიტერატურულ ინტელიგენციაზე. ზემოთ ჩვენ გავეცანით დიმიტრი ყიფიანის მოგონებას, რომ იმ სადილზე, რომელსაც შეთქმულთა მეთაურები თითქმის ყველანი ესწრებოდნენ, რაზმაძეს წააკითხეს მის მიერ შესრულებული „ფარისის“ თარგმანი. არსებული ცნობების მიხედვით, სოლომონ რაზმაძეს სხვა დროსაც წაუკითხავს თავისი ნაწერები ქართველ მწერალთა შორის.

საინტერესოა ერთი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი:

1858 წელს, როდესაც სოლომონ რაზმაძე გადასახლებაში იმყოფებოდა, ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი დიდი ლექსი „ლია-

<sup>1</sup> დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 140. დ. ყიფიანის ცნობით, ეს სადილი იენისში მოეწყო, ხოლო პ. კარბელაშვილი მაისს ასახელებს.

ნას მეჭლიში“. ლექსი რედაქციას გადასცა ალექსანდრე ორბელიანმა.

აღ. ორბელიანმა „ცისკარის“ რედაქტორს ლექსთან ერთად ასეთი ბარათი მისწერა: „უფალო რედაქტორო ივანე კერესელიძე, მოწყალეო ხელმწიფევე! გთხოვთ ეს ლექსი: „დიანას მეჭლიში“, დაუბეჭდოთ სოლომონ რაზმაძეს „ცისკარში“ ყველასაგან დავიწყებულს ჩვენგნით. იქნება ამ ლექსის შემდგომ, ესლა მაინც მოვიგონოთ ეს ყარობი საწყალი. ჩემს მახლობელ ნათესავს ეპოვა მ. მ. ეს ლექსი თავის ქალაღღებში, რომელმაცა დასაბეჭდად მამცა და მეც თქვენთვის გამამიგზავნია: თორმეტს მშვენიერს ქართველაზე დაწერილი რაზმაძისაგან. 1832-სა წელსა, უეცარმა საგანმა განაღვოდა სული სოლომონ რაზმაძისა და იმისათვის იგალობა ტკბილად: გაფურჩქენილს გაზაფხულზე, მშვენიერის წალკოტის თალარს ქვეშ, სადაც ამ დროს ვმხიარულებდით ამხანაგებში“<sup>1</sup>.

ალექსანდრე ორბელიანის მიერ მოწოდებული ეს ცნობა პირდაპირი მათუწყებელია იმისა, რომ სოლომონ რაზმაძე საქართველოში ყოფნის დროს ლიტერატურული ინტელიგენციის ცენტრში იდგა, თანამედროვეთა ყურადღებას იპყრობდა და მათზე ერთგვარ გავლენასაც ახდენდა. იგივე ცნობა გარკვევით მიუთითებს, რომ ეს ორიგინალური ლექსი დაწერილია თბილისში 1832 წელს.

„დიანას მეჭლიში“ რომანტიკული ხასიათის ლექსია როგორც შინაარსის, ისე პოეტური შესრულების თვალსაზრისითაც. ლექსის დედააზრი ასეთია: განთიადისას ზეცის კარი იღება და იქიდან გამოჩნდება ზეციური ქალების მთელი ჯგუფი. ამ ქალებს მეთაურობს მშვენიერი დიანა.

აღრე ალიონს განელო კარი  
ზე ოლიმპისა; ციერთა ჯარი  
მუნით გამოკრთა და მოეფინა  
კიდით კიდემდე ცისა ტიალსა.  
მერე გამოკრთა ეტლით დიანა  
ვისაც შეხედავს მოუღებს აღსა!

დიანა თავისი მსლებლებით ძირს ეშვება ივერიის მიწაზე და მას გულთბილად ეგებებიან, როგორც მასპინძლები, უღამაზესი ქართველი ქალები:

მუნ შეყრილიყვენ ტურფად მორთულნი,  
რომელთ მოუკლავსთ მრავალნი გულნი,  
ივერიელნი მნათობნი ქალნი,  
პაეროვანნი, პალაღას დარნი;

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1858 წ., № 12.

დიანას სახე მათ რა იხილეს  
 მივიდეს ნაზათ მიესალამნეს.

პოეტი რომანტიკული გატაცებით გვიხატავს ქართველ ქალთა სახეებს, მათ სიტუტრფეს და მომზიბვლელობას. ისინი ოლიმპოდან ჩამოსული ქალები გვერდით დგანან, მაგრამ ძნელია ითქვას, ვინ ვისა სქარბობს მშვენიერებით — მიწიერი ქართველი ქალები თუ ზეციური ლამაზები. სოლომონ რაზმაძე გვეუბნება, რომ ქართველი ქალებით თვით მოიხიბლა უმშვენიერესი დიანა და მანვე იყისრა, რომ მათ ოლიმპოს ხილით გამასპინძლებოდა.

პრქვა მათ დიანამ საღმრთო ღიმილით:  
 „გაქვსთ ნაზი ტანი, პირი მზიანი,  
 „ღღეს თქვენთან მნებავს შვევა სვიანი,  
 „მე გამასპინძლებთ ოლიმპის ხილით“.

მშვენიერი რომანტიკული სანახაობა იშლება მკითხველის თვალწინ, როდესაც იგი ქართველ ქალებთან დიანას მეჭლიშს უყუტრებს და ამ სურათს გრძნობით განიცდის. ძირს ყვავილებია სუფრად გაშლილი — ვარდი, ზამბახი, ღილანა, ია. ირგვლივ ქართველი მნათობები სხედან. დიანა ლხინს მეთაურობს, ხოლო მისი მხლებელი ამური თასებს სიყვარულის შარბათით ავსებს და აწვდის ლხინის მონაწილეებს. მათ მეჭლიშს რომ უყუტრებთ, ასე გგონიათ სუფრის შუაზე ოქროს შანდალი დგას და ანათებს, მაგრამო,— ამბობს პოეტი, — შანდალი კი არა, აქ „სიყვარულის ანთია ალი“. სიყვარულის ღეთიური ეშით გრძნობამორეული და კმაყოფილი ქართველი ლამაზები ლხინს ამთავრებენ და დიანას მადლობით გაისტუმრებენ.

რა რომ სრულ იქმნა მეჭლიში მათი  
 ერთობ წარმოსდგეს სურვილით მთვრალნი,  
 და მოახსენეს მადლი დიანას:  
 „ვინ ღირსა თქვენსა ესთა წყალობას  
 „მზეთა მზეი ხარ და ჩვენი მნათი.  
 „კვლამც განახარე თქვენი მხვეალნი.  
 „იუნონასაც მიუწინარე.  
 „მანცა განამზეოს ეს ჩვენი არე“1.

1 სოლომონ რაზმაძის ეს ლექსი დაცულია ხელნაწერ კრებულში, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში. კრებულში წარმოდგენილია ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის, სოლ. რაზმაძის, ნიკ. ბარათაშვილის, რაფიელ ერისთავისა და სხვა ავტორების თხზულებანი. „ციცქარში“ დაბეჭდილი ეს ლექსი ხელნაწერისაგან რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას არ შეიცავს. ვარა და ცალკეული სიტყვებისა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S — 1540).

მეკლიშის შემდეგ ზეციური დიანა ისევ თავის სამყოფელს უბრუნდება და ქართველი ქალებიც მშობლიურ ქვეყანას არ სწყდებიან. მათი სახეები დიდხანს რჩება მკითხველის მეხსიერებაში, როგორც მიმზიდველი მშვენიერებისა. ლექსის რომანტიკულ შინაარსს ალამაზებს მოხდენილი პოეტური სახეები, შედარებები და მეტაფორები. ღრუბელმოსილი ეტლი და ციდან მიწაზე დაშვებული ოლიმპოელ ქალთა ფრთების შრიალი. პალადას მსგავსი ქართველი ქალები, ნექტარით სავსე სურა სპეკალი, ნათელმოსილნი, გულმობიერნი, და სურვილით მთვრალი ლამაზები, უდავოდ ბევრის მაუწყებელია ლექსის ავტორის პოეტურ გემოვნებაზე.

## II

1832 წელს, სოლომონ რაზმაძის თბილისში ყოფნის დროს, დაიწერა მისი პოლიტიკური იგავ-არაკი „დათვი და ცხვარი“. „დათვი და ცხვარი“ ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებია. დათვის სახეში იგულისხმება რუსეთის იმპერატორი, ხოლო ცხვარისაში — ქართველი მეფე.

თხზულების შინაარსი ასეთია: ერთ უდაბურ ადგილას ესახლა მოხუცი ცხვარი. ცხვარს შემოღობილი ჰქონდა თავისი პატარა მამული და ღარიბულ ქოხში თავისთვის ცხოვრობდა. მას მოსვენებას არ აძლევდნენ ტყის ნადირები: ტურა, მგელი და მელა.

მხეცთაგან შევიწროებული ცხვრის მეზობლად ერთი ძლიერი დათვი ესახლა. დაუძლურებულმა ცხვარმა გადაწყვიტა დათვისათვის დახმარება ეთხოვა.

ცხვარმა შესწილა ნადირთ მეფესა  
და მოახსენა გულმტკიცეულად,  
შენი სინათლე ამშვენებს მზესა,  
მოწყალებითა გეხვარ ზევესა,  
არა ყოფილხარ არსად ძლეულად  
აბჯარსა ხმარობ ათასდეულად.  
აწ გეაწევი ცრემლთა მფრქვეველი...

დათვმა მოისმინა ცხვრის ვედრება, შეიბრალა იგი და აღუთქვა კიდევ, რომ ტურა-მგლებისაგან დაიცავდა. მან დაუძლურებულ ცხვარს მედიდურად და გამამხნეველად უპასუხა:

მე ცოცხალი ვარ, როგორ თუ მოხდეს უსამართლობა,  
ამას არ დაეთმობ, ჩემთვის იქნება დიდი უღუთობა...

დათვისაგან დაიმედებული ცხვარი შინ დაბრუნდა. ამ მიმარ-



საქართველო

თვის შემდეგ დიდი ხანიც არ გასულა და ცხვრის მამულს მოადგას დათვისაგან გამოგზავნილი ნადირთა ლაშქარი. ლაშქრის მეთაური „მრისხი აფთარი“ მიესალმა მოხუც ცხვარს და თან მოახსენა დიდად სასიხარულო ამბავი:

ნადირთ მეფემან ჩვენ მოგვავლინა:  
შენის საზღვრისა დასაცველადა,  
აჲ შენნი მტერნი ჩვენგან მოისრნეს;  
მათთა სიცილთა ვაქცევთ ხეულათა.

ცხვრის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. მან სიამოვნებით მიიღო დათვის მიერ გამოგზავნილი ლაშქარი და გულუხვადაც გაუშმასპინძლდა. დათვსა და ცხვარს შორის ერთხანს კარგი დამოკიდებულება იყო. გულუბრყვილო ცხვარი დიდ იმედებს ამყარებდა თავის „დამცველზე“.

დრო გავიდა. მოხუცი ცხვარი გარდაიცვალა. სწორედ ამ დროს დათვის ნამდვილი ზრახვები გამოაშკარავდა. თურმე იგი ტურა-მელეებისაგან ცხვარს იმ მიზნით იცავდა, რომ ბოლოს თავის ბრჭყალებში მოექცია. ცხვრის გარდაცვალებისთანავე მის ცოლ-შვილს დათვის ლაშქარი გარს შემოერტყა და ხელის განძრევის საშუალება არ მისცა. ობლებმა ხმა აიმაღლეს: „რა ამბავია, რას გვემართლებით... რა დავაშავეთ“. — ყვიროდნენ ისინი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

შენ ნუ მომიყვდე... მოხვიეს ხელი  
და გარდაყარეს ერთობ ყოველი,  
ერთს ჭაობიანს ადგილსა მყარლსა  
დათვს მოახსენეს მას შეუბრაღსა:  
„რათ გვართმევთ საწყალო ჩვენსა მამულსა,  
ეს არის შენის შეწევნის აღტყმა?“

დათვმა ცხვრის შთამომავლობის ხვეწნა-ვედრება არ შეიწყინა; ისინი ერთ ჭაობიან ადგილას გადაასახლა და იქ მათ თითო ფუთი ბზე გაუჩინა წყალობის ნიშნად. დათვის ბრჭყალებში მოქცეული ბატკნები მწარედ გოდებენ თავიანთ მდგომარეობაზე. ისინი ახლა დამპყრობელ დათვს მორჩილებით, მაგრამ საკმარისად მამხილებელი ტონით შესჩივიან: რა შეგვემატაო შენის შველითა? ტურა-მელეებისაგან იმისათვის გადაგვარჩინე, რომ ბოლოს თვითონ დაგემონებინეთ.

უთხრეს ბატკნებმა, — „ახლა მშიერა  
უნდა ვეყარეთ? რა შევიმატეთ

თქვენის შველითა? მგელნი გავსდევნეთ  
ჩვენის მამულით. თქვენ კი დავგროვდნეთ  
ერთიანათა და დავკავებოთ.  
რაც მათ გადარჩათ, სულ თქვენ მიგვიღეთ“.

ასეთია სოლომონ რაზმაძის არაკის „დათვი და ცხვარის“ იდეურ-შინაარსობრივი მხარე. თხზულება მნიშვნელოვანია თავისი პოეტური ღირსებითაც. იგი პოლიტიკური იგავ-არაკის მშვენიერი ნიმუშია.

მწერალი თავიდან ბოლომდე იცავს ამ ენარის თავისებურებას. ნაწარმოებში მოქმედებენ და მეტყველებენ არა ადამიანები, არამედ ცხოველები — დათვი, ცხვარი, ტურა, მელა, მგელი, ნადირთა ლაშქარი და ობოლი ბატკნები. ჩამოთვლილ ცხოველთა მდგომარეობისა და საქმეთა გაცნობით მკითხველს ბუნებრივად ისტორიული სინამდვილე წარმოუდგება თვალწინ. მწერალს არც დასკვნა გამოჰყავს. იგი ასეთი დასკვნის გაკეთებას მკითხველს ანდობს, რომელსაც არ უძნელდება ამ ლექსიდან იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ამოკითხვა.

### III

1832 წლის ზაფხულში სოლომონ რაზმაძე თბილისიდან სპარსეთს გაემგზავრა. ის, როგორც რუსეთის საელჩოს თანამშრომელი, ქალაქ თავრიზში ცხოვრობდა. შეთქმულთა ორგანიზაციისაგან მას დავალებული ჰქონდა კავშირი დაემყარებინა ალექსანდრე ბატონიშვილთან. სოლომონ რაზმაძეს ბატონიშვილისათვის უნდა ეცნობებინა თბილისისა და პეტერბურგის შეთქმულთა ორგანიზაციების უკანასკნელი საქმიანობა და შემდგომ თვითონაც ემუშავნა ბატონიშვილის მითითებებით.

როდესაც თბილისში შეთქმულება გამომქლავნდა, სოლომონ რაზმაძის მონაწილეობაც ცნობილი გახდა. თავრიზში საგანგებოდ კაცი გაიგზავნა, სოლომონი თბილისში ჩამოიყვანეს და სხვა დაპატიმრებულებთან ერთად ავლაბრის ყაზარმებში მოათავსეს. კვლევა-ძიების შედეგად ს. რაზმაძე დამნაშავეთა მესამე კატეგორიაში აღმოჩნდა. მის მიმართ მკაცრი ზომების მიღებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მას უდგებოდნენ როგორც გლეხს. სოლომონ რაზმაძემ საგამომძიებლო კომისიას ვერ წარუდგინა თავისი აზნაურობის საბუთი, რომლითაც შესაძლებელია მისი მდგომარეობა ნა-





წილობრივ მაინც შემსუბუქებულიყო. აზნაურის წოდება, რომელიც სოლომონის მამას მეფე ერეკლეს მიერ ნაბოძები ჰქონდა, ოფიციალურად გაფორმებული არ აღმოჩნდა. კვლევა-ძიების საქმეებში სოლომონ რაზმაძე ჩვეულებრივად იხსენიება როგორც პირი, რომელიც თავის თავს აზნაურს უწოდებს, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნია და, მაშასადამე, კომისია მას ანგარიშს არ უწევს, აზნაურად არ თვლის.

ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ სოლომონ რაზმაძეს, როგორც შეთქმულების აქტიურ მონაწილეს, გადასახლება მიესაჯა.

საინტერესოა ერთი ოფიციალური ხასიათის დოკუმენტი, რომელიც საგამომძიებლო კომისიას ეკუთვნის. ამ დოკუმენტში გაფორმებულია სოლომონ რაზმაძის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში. გარდა პირადი პრაქტიკული მონაწილეობისა საბრალდებო დასკვნაში ლაბარაკია მის ლექსზე „დათვი და ცხვარი“. ეს გარემოება მით უფრო საინტერესოა და უფრო მეტის მთქმელი სოლომონ რაზმაძის, როგორც პოლიტიკური პოეტის, სასახელოდ.

კომისიის მიერ ჩამოყალიბებულ საბრალდებო დასკვნაში ს. რაზმაძის ეს ნაწარმოები შეფასებულია როგორც თვითმპყრობელური ხელისუფლების საწინააღმდეგო თხზულება, დაახლოებით ისე, როგორც იმავე კომისიამ სცნო გრიგოლ ორბელიანის ლექსები „იარალის“ და „აღსარება“.

ამ ოფიციალურ დოკუმენტში ნათქვამია:

„სოლომონ რაზმაძისათვის, რომელიც იწოდებოდა აზნაურად, მაგრამ არ წარმოუდგენია არავითარი დამამტკიცებელი საბუთები თავისი წარმოშობის შესახებ, ჯერ კიდევ რუსეთში იყო ცნობილი თბილისის ბოროტგამზრახველი შეთქმულების არსებობა, ხოლო 1832 წელს, თბილისში ჩამოსვლისთანავე ჩაება მასში. მონაწილეობდა ბოროტგამზრახველთა კრებებსა და თათბირებში, კითხულობდა საიდუმლო შეგობრობის აქტს, შეთხზა მთავრობის გამეიცხავი იგავ-არაკი სათაურით „დათვი და ცხვარი“ და დავალებული ჰქონდა ბოროტგამზრახველებისაგან დაემყარებინა ბოროტგამზრახვითი კავშირი ალექსანდრე ბატონიშვილთან... აღნიშნულ მოქმედებებში ნაწილობრივ იგი თვითონ გამოტყდა, ხოლო ნაწილობრივ მხილებულია საქმის ვითარებით და თანამზრახველთა ჩვენებით“<sup>1</sup>.

ასე გააფორმა ოფიციალური ხელისუფლების კომისიამ სოლო-

<sup>1</sup> Акты, т. VIII, 1881 წ., გვ. 417.

მონ რაზმაძის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში და ეს ფაქტი თავისთავად ბევრის მთქმელია.

1834 წლის 24 ივნისს სოლომონ რაზმაძე გადასახლებაში გაიგზავნა ქალაქ პენზას. ამ ქალაქში ცხოვრება პოეტისათვის აუტანელი ყოფილა განსაკუთრებით პირველ ხანებში. ბედმა სამარედ მარგუნაო „უცხო ადგილი ცივი“, — ამბობს იგი.

სოლომონმა თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი, დაახლოებით ოცდაექვსი წელიწადი, გადასახლებაში გაატარა. ორმოციან წლებში მან პენზაში ცოლი შეირთო და ერთგვარი დამშვიდებული ცხოვრება შეიქმნა. მისი შვილი იყო შემდგომში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე სოლომონის ძე რაზმაძე, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ეჟრნალ «Музыкальный вестник»-ს რედაქტორობდა და რომელსაც ეკუთვნის ნაშრომები მსოფლიო მუსიკის ისტორიის საკითხებზე<sup>1</sup>.

სოლომონ რაზმაძე გარდაიცვალა პენზაში 1860 წლის 12 მარტს.

ქართულ სინამდვილესთან კავშირის თვალსაზრისით გადასახლებაში ყოფნის დროიდან შესაძლებელია აღინიშნოს სოლომონ რაზმაძის ორიოდე ლექსის გამოქვეყნება ეჟრნალ „ცისკარში“, რაც მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში მოხდა. 1858 წელს ივანე კერესელიძემ თავის ეჟრნალში დაბეჭდა ს. რაზმაძის ლექსები „ღამე თბილისში“ და „დიანას მეჯლიში“. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ მათგანს ალექსანდრე ორბელიანმა საინტერესო წერილი-განმარტება დაურთო რედაქციისადმი. ამ ლექსის შემდეგ მაინც მოვიგონებდეთო ბედის მიერ შორს გადატყორცნილ სოლომონ რაზმაძეს, ყარიბ პოეტსაო, — წერდა ალ. ორბელიანი. ამ დროს ს. რაზმაძე 60-61 წლის იქნებოდა, კაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მშობლიური ქვეყნის გარეთ გაატარა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებსაც „უცხო ადგილას“ გადასახლებაში აღამებდა.

აქ ერთი ადამიანური კითხვაც აღიძვრის: ნუთუ არ შეიძლება ასე მომხდარიყო, რომ „ცისკრის“ იმ ნომრებს, რომლებშიც მისი ლექსები დაიბეჭდა, პენზაშიც მიეღწია და ისინი სოლომონ რაზმაძეს საკუთარი თვალთ ენახა? ნუთუ იმავე ალექსანდრე ორბელი-

<sup>1</sup> სოლომონ რაზმაძის პენზაში ცხოვრების გარშემო საინტერესო მასალები გამოაქვეყნა ნოდარ ალანიაშვილი. იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1957 წ., № 70 (1034).



ანს ან გრიგოლ ორბელიანს, რომელიც 1858 წ. მეფისნაცვლის მომხრე ადგილედ დაინიშნა და სოლომონის ძველი მეგობარი იყო, ამის ვაკეთება არ შეეძლოთ?

## IV

გადასახლებაში მყოფი სოლომონ რაზმაძე ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას კვლავ აგრძელებდა. უნდა ვითქვოთ, რომ მარტოობაში მყოფი პოეტი ამ დროს შედარებით ბევრსავე წერდა, მაგრამ ამ ნაწერებს ჩვენამდე ვერ მოუღწევია. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, სოლომონ რაზმაძის გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ, მისი თხზულებები შეაგროვა და გადმოწერა ვასილ კარბელაშვილმა. ეჭვი არ არის, რომ ეს კრებული სოლომონ რაზმაძის მთელს ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვერ ამოწურავს. მასში მოთავსებული ლექსები უმთავრესად ორმოცდაათიან წლებამდე არის დათარიღებული, ხოლო პოეტის სიცოცხლის უკანასკნელი ათეული წლის თხზულებები აღარა ჩანან<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ამომწურავი არაა, ჩვენამდე მოღწეული ს. რაზმაძის პოეტური მემკვიდრეობა გარკვეულ ინტერესს იწვევს.

ამ პერიოდში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, სოლომონ რაზმაძის ლექსებში ჯერ კიდევ ისმის არსებული საზოგადოებრივი წყობილებისადმი პროტესტის ხმა, მართალია, არა ისეთი გაბედულებით, როგორც 1832 წელს დაწერილ თხზულებებში, მაგრამ თავისი ეპოქის სოციალური უკულმართობის მამხილებელი ტონი კვლავ საგრძნობია.

დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომავლისადმი იმედიანობის მოტივზე ეღერს სოლომონ რაზმაძის ლექსი „ელბრუსი“:

აღუჩნდა თვალთა სვეტი ეღვარე  
იაღბუხადა სახელდებული, ცისა ტიალსა  
ვის უნათია ქვე არე-მარე,  
რომლისა ძირსა ბიბინებს ველი,  
მოქშუის ცემა წეროთა ფრთეთა,  
დასავლეთიად მიმფრინვალეთა,  
ანაზღად შეხვდნეს გარდაუვალსა მთასა მაღალსა  
ფრთეთა იგინი ძლიერად სცემენ,  
თოვლის ქულათა ანიაგებენ  
და უძალონი გარდაფრენისა ქვე ეცემიან,  
გარნა არწიენი მხენნი ძლიერნი, მას გარდაუღიან.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A — 1284.

ამ ლექსის გამო პროფესორი სიმონ ხუნდაძე შენიშნავდა, იგი პოლიტიკური ხასიათის ალეგორიული ნაწარმოებიაო. მართლაც, შეუძლებელია ამ ლექსიდან ამოკითხულ იქნეს რომელიმე სხვა მოტივი, თუ არა დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომავლის დიადი რწმენისა. ეს ლექსი ცალკე აღებულიც ამ შინაარსის მატარებელია, მაგრამ ამავე ლექსს თან მოჰყვება მეორე პატარა ლექსი „განმარტება“, რომელიც „ელბრუსის“ იდეური კვანძის გახსნას იძლევა. „განმარტებაში“ ს. რაზმაძე ამბობს, რომ ქვეყანას უკუნი სიბნელე ფარავს, რომ იალბუზს ღრუბელი ჩამოსწოლია და შთანთქმით ემუქრება. მაგრამაო, — ამბობს პოეტი, — ეს მწუხარება დროებითი და წარმავალია, ტანჯვის ღრუბელი აღრე თუ გვიან აუცილებლად გაიფანტება.

ჟამთა ქამები იალბუზია ღრუბელ-მოსილი,  
ხოლო არწივი არს დიდი დღენი — ზეცით მოსული.

თუმცა ნამდვილად ესე ესრეთ არს, გარნა მკითხველო ნუ შეგაურევებს  
ვინა ვირიცა მძიმედ ტვირთული სრულიად კაცკაზს გარდააბიჯებს.

მოჰქრის უკუნი გამწარებული  
ქვეყანას ჰღუპავს სიბნელეშია.

ეს ლექსები უდავოდ მებრძოლი ხასიათისაა. აქ ჯერ კიდევ ისმის ის გაბედული კილო, რომელიც სოლომონ რაზმაძის შემოქმედებას 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე ახასიათებდა. მომდევნო პერიოდში მის პოეზიაში ფეხს იკიდებს და თანდათან ვითარდება სევდა-ნაღველის გამომხატველი განწყობილებანი. მშობლიური ქვეყნის მიწა-წყლიდან განდევნას პოეტი თანდათან უფრო მწვავედ განიცდის. ასეთია მისი ლექსი „მამულს“.

მძიმე სულიერი ტკივილების გამომხატველია უდავოდ სოლომონ რაზმაძის შემდეგი სტრიქონები:

ნეტამც მამულო არ მომდებოდა,  
შენის ხილვისა, სურვილის ალი,  
ურვის სახმელში არ დადნებოდა  
ეს ჩემი გული, მომაკლდა ძალი...  
ეჰა მამულო, ეჰა მამულო!  
ვაჰქრი, რად მინდი უმისოდ სულო!  
მარად მტირალად არ დავაგდებდი  
დედას საბრალოს, ჩემს სიცოცხლესა,  
არც შვების დღესა დაველაშებდი,  
არც გარდუქცევიდი მას ბნელად მზესა!  
ვაიმე დედავ, ვაიმე დედავ;  
ვვოდებ ნიადავ, რომ ვერა ვხედავ!



პოეტის გულსა და გონებას არ შორდება მრავალგზის წამებულ  
ლი თავისი სამშობლო. ათასჯერ სისხლითა და ცრემლით მორწყულ  
ქვეყანას ერთხელ კიდევ ჩასცესო გამგმირავი მახვილი, — ამბობს  
სოლომონ რაზმაძე.

პოეტის პირადი ცხოვრების მიმდინარეობა და მისი შემოქმედე-  
ბის საერთო ხასიათი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ს.  
რაზმაძეს, როდესაც იგი უკანასკნელ მახვილზე ლაპარაკობს, მხედ-  
ველობაში აქვს ის რეპრესიები, რომელნიც იმპერატორმა ნიკოლოზ  
პირველმა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მიმართ გაავრცე-  
ლა: მრავალი მოწინავე ქართველი თავის მიწა-წყალს მოსწყვიტა  
და ამით დედა-სამშობლოს „მოხუცი დაწვნი დაუღარა“. სწორედ  
ამის გამო ჩივის გულმოკლული პოეტი:

მოხუცი დაწვნი მას დაუღარეს,  
მრავლისა დენით სისხლისა ცრემლთა,  
გული და სული მას დაუღარეს,  
მწუხარებისა ულმო მახვილთა.

სოლომონ რაზმაძის სევდას საფუძველად უდევს სამშობლო  
ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა. ამ საფუძ-  
ველზე აღმოცენდა პოეტის პირადი უბედურება — გაძევება შო-  
რეულ გადასახლებაში და, მაშასადამე, მისი მხატვრული შემოქმე-  
დების პესიმისტური ხასიათიც მთლიანად ამ საფუძველს ემყარება.  
სამშობლო ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეულ ტკივილებს პირა-  
დი სულიერი ობლობის გრძნობა ავსებს და პოეტის ადამიანური  
განცდა აშკარა სასოწარკვეთილებამდე ვითარდება. იგი ჯერ ცხოვ-  
რების სიტკბობას აღიარებს, იტყვის, რომ წუთისოფელი მშვენიე-  
რია და ამდენად მიმზიდველიც, მაგრამ შემდეგ პოეტი საკუთარ  
მდგომარეობაში ჩაგვახედებს და გვაგრძნობინებს, რომ მას ამ ბედ-  
ნიერებაში წილი არ უდევს. მას, როგორც ბედისაგან დევნილ  
ადამიანს, წუთისოფელი ტანჯვის ბუდედ გახდომია. მრავალფერო-  
ვანი და მიმზიდველი ცხოვრება პოეტისათვის მხოლოდ ტანჯვისა  
და ვაების მომგვრელ სინამდვილედ ქცეულა, სილამაზისა და ნა-  
ყოფიერების მომცემი მთა-ველი მისთვის მკვდარია. სასოწარკვეთი-  
ლებამდე მისული პოეტი ამბობს: „მთანო და ბორცვნო, ნათელნო  
ველნო, ნაყოფიერნო ჩემთვის ხართ მკვდარნი: ვერლა მამოს  
თქვენმა ხედვამო“.

ღრმა სულიერი ტანჯვისა და წუთისოფლისადმი სამდურავის  
გამომხატველია სოლომონ რაზმაძის ლექსი „სოფელს“:

რა მშენიერი ხარ, ეპა სოფელო,  
 მაგრამ შენ, გულო, სხვისგან მოკლულო,  
 მისი სინათლე ვერღა გახარებს,  
 ვერღა გაგათბობს ცხარის მზის სხივი  
 უღმო საფლავში მკედარსა მდებარეს.  
 ჩემთვის უცხოა ადგილი ცივი,  
 სადა ელასლასებ აჩრდილის დარად,  
 ხვედრისაგანა მექმნას საშარედ...  
 მომძაგლი შენცა, დღეო ბრწყინვალე,  
 შენცა უფსკრულო, ღამის სიბნელე,  
 მიმეღო სრულად ყოელი სიამე,  
 სიცოცხლისა მზე დამიბნელდა მე!  
 დაცარიელდა ჩემთვის საწუთრო,  
 სისხლისა ცრემლნი სიკვდიმდე ვღვარო.  
 ეს ხვედრი ჩემი ვერვინ შესცვალოს,  
 გულზედა მაწევს ურვა ვით ღოდო,  
 მისმა მახვილმან მგმიროს და მგმიროს,  
 გი სიკვდილო, რას ღამი, მოდი...!

ასეთი გულგატეხილობის გრძნობა იკიდებს ფეხს ს. რაზმაძის პოეზიაში, რომელიც 1832 წლის კატასტროფამდე აშკარა მებრძოლი ხასიათისა იყო. აქ ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად: შეთქმულების შემდეგ პერიოდში ს. რაზმაძის შემოქმედებაში გარდატეხა ერთბაშად არ მომხდარა. დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომავლისადმი რწმენის მოტივი კვლავ გრძელდება გადასახლების შემდგომ პირველი წლების ლექსებში, მაგრამ მომდევნო პერიოდში თავს იჩენს სევდა-ნალღველის განწყობილებანი და, ბოლოს, იგი თანდათან თავისებური პესიმისტური გრძნობის გაბატონებით მთავრდება.

ასეთია სოლომონ რაზმაძის პოეზია სოციალური მოტივების განვითარების თვალსაზრისით.

\* \* \*

სოლომონ რაზმაძის მხატვრულ შემოქმედებაში, გარდა წმინდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის თხზულებებისა, გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს სიყვარულის გრძნობა. მართალია, ეს მოტივი ს. რაზმაძისათვის დამახასიათებელ მოტივად არ ქცეულა, მაგრამ მასაც ამ გრძნობისათვის

1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—1284.



მიუცია „სიჭაბუკისა უგონო ვალი“, — როგორც ამბობს თვით პოეტი. ამდენად ამ მოვლენასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

სიყვარულის გრძნობის დახატვაში ს. რაზმაძე უშუალო კავშირშია სხვა ქართველ რომანტიკოსებთან. მისი გაგება სიყვარულის გრძნობის სიდიადისა ისეთივეა, როგორც იყო გაგება ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანისა. სოლომონი თავისებურად ბანს აძლევს ამ პოეტებს. მისი გაგებითაც სიყვარული უზენაესი ძალაა, რომელიც ერთნაირად იმორჩილებს სუსტსა და ძლიერს. სიყვარულის ცეცხლის ძალა რკინის გულსაც ადნობს. სიყვარულის მგზნებარე ალი ადამიანის სულსა და გულს მოედება და აინთება ტრფობის კოცონი, რომელსაც ნიაღვარიც ვერ ჩააქრობსო, — ამბობს სოლომონ რაზმაძე.

როს სიყვარულის ეწვიოს ალი  
გულსა დადნობს თუმც იყოს სალი;  
რა ალი იგი სულს მოედება,  
ვერღა გააქრობს შას ნიაღვარი.<sup>1</sup>

სოლომონ რაზმაძის სატრფიალო ლექსებში გაერთიანებულია ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი სილამაზე-სიყეკლუცე და სინაზე-სიფაქიზე სიყვარულის ობიექტისა. აქ ერთმანეთს ავსებს სახით სილამაზე და გულით ლმობიერება, ჭკუით სიბრძნე, გრძნობით ჰაეროვნება და, საზოგადოდ, შეყვარებული ადამიანის კეთილშობილება და გულსრულობა.

1858 წელს ჟურნალ „ციცკარის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ს. რაზმაძის ლექსი „ღამე ტფილისში“. საფიქრებელია, რომ ეს ლექსიც დაწერილია 1832 წელს, როდესაც სოლომონი აქ იმყოფებოდა. პოეტის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ მის რომელიღაც მეგობარს ეს ლექსი შინ ჰქონდა, ხოლო 1858 წელს, ივანე კერესელიძემ იგი თავის ჟურნალში გამოაქვეყნა.

„ღამე ტფილისში“, მიუხედავად იმისა, რომ იგი გადმოკეთებულია, დამახასიათებელი ნაწარმოებია ს. რაზმაძის მიერ სიყვარულის მოტივზე დაწერილ ლექსთა შორის. წარმოდგენის სისრულისათვის მისი მთლიანად გაცნობა აუცილებელია.

ღამეს უვიან მთიებნი ნაზნი,  
ტფილისს ჰსუფევენ მნათნი ლამაზნი.  
შორის ციურთა მნათთა ღამისა  
აღმატების სხივი მთვარისა.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A—1284.

არამედ იგი, ეს ვერ შეეჭადრებ  
 ჩემის ებანიო ქებისა ძნობას,  
 დიდებულათა გავსილ მთვარისებ  
 შორის ნარნარა ქალებთა ელავს.  
 ვითარ ციურის ახოვნებითა  
 ეალს დიდებულად ჰაეროვანი;  
 რადღენ საესე აქეს სიტკბოებითა  
 ნატიფი მყერდი სანდომიანი!  
 ვით მიმოისერის ნაზთა გუჯათა ალვა-მოსილთა!  
 ვითარ ამშვენებს ღაწვთა ციმციმი მისთა ღიმილთა!..  
 აწ კმარა, ენაე, ჰსდუმენ, ნუ მადნობ, არა ვარ სალი:  
 მივიცემია სიჭაბუქისა უგონო ვალი!

სოლომონ რაზმაძის სატრფიალო ლექსებში ჩვეულებრივად იგივე ხმა ისმის, რაც ქართველი მკითხველისათვის ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ლირიკიდან მრავალგზის არის ცნობილი. ერთ შემთხვევაში პოეტი ტრფობის ობიექტს ასე მიმართავს:

უსამართლოა მართლა ბუნება,  
 რადგან ამ სოფლის ყოვლი ღირსება  
 შენ შემოგწირა, შენში შეჰკრიბა;  
 შენში მზებობენ, შენ გამშვენებენ  
 სილამაზედ თვით ღიჰიასი,  
 სინარნარედ, პროზერპინასი  
 ეანის სინაზე, ჰაეროვნება.  
 სირინოზის ხმა, გულის მიმღები,  
 მისის სმენითა მარადის ესდნები;  
 მინერვას სიბრძნე ღმობიერება  
 ნიშნითა დარიცა შენ გტრფიალობენ.

ს. რაზმაძის ამ სტრიქონებიდან გარკვევით ისმის სიყვარულის ის ზნემაღალი, ფაქიზი და კეთილშობილი დახასიათება, რაც საზოგადოდ ქართველი რომანტიკოსების ნაწარმოებებშია მოცემული.

ამრიგად, სოლომონ რაზმაძე თავისი პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი პროგრესული ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენელია. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართული რომანტიკული სკოლის სტილის ნიშნების მატარებელია. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე მისი პოეზია მეზრძოლი ხასიათისაა. შეთქმულების დამარცხების შემდგომ პერიოდში ს. რაზმაძის შემოქმედებაში ფეხს იკიდებს პესიმისტური განწყობილებანი. პოეტური ღირებულების თვალსაზრისით ს. რაზმაძის ლექსები თავისი დროის მო-





თხოვნილებებს უდავოდ აკმაყოფილებს, მაგრამ მათი მთავარი ღირსება მაინც მათივე შინაარსში მდგომარეობს. მისი პოეზია ფართო სოციალური და ეროვნული მოტივების შემცველია.

სოლომონ რაზმაძე თავისი პოეტური შემოქმედებით ერთგვარი წინამორბედი ნიკოლოზ ბარათაშვილის მებრძოლი პოეზიისა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართული რომანტიზმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

## აღექსანდრე ორბელიანი

### I

აღექსანდრე ორბელიანი მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, სრული ორმოცი წლის განმავლობაში, იგი ქართველი ინტელიგენციის მოწინავეთა რიგებში იდგა და ერის საკეთილდღეო საქმისათვის იღვწოდა. აღექსანდრე ორბელიანის ადვილი ქართული მწერლობის ისტორიაში მხოლოდ მხატვრული შემოქმედებითი მემკვიდრეობით არ განისაზღვრება. ამასთანავე იგი არის გარკვეული პრაქტიკული მოღვაწე, რომელიც თავის კვალს ტოვებს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მრავალ სფეროში.

აღექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი დაიბადა ქალაქ თბილისში 1802 წლის 24 მაისს<sup>1</sup>.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მწერალთა უმრავლესობა ფეოდალური არისტოკრატის წრიდან არის გამოსული. აღექსანდრე ორბელიანის მდგომარეობა მაინც განსხვავებულია. იგი მეფე ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავალია, მისი შვილიშვილი.

აღექსანდრე ორბელიანის დედა, თეკლე ბატონიშვილი, ერეკლე მეფის უმცროსი ქალიშვილი იყო. ილია ჭავჭავაძე პოეტ ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიაში თეკლეს პიროვნებაზე საგანგებოდ ლაპარაკობს: „თეკლე ბატონიშვილი ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა, საღვთო წერილისა, კარგად განათლებული მაშინდელ კვალობაზე, ჭკუით, სიბრძნით

<sup>1</sup> თავის ავტობიოგრაფიულ მასალებში აღ. ორბელიანი სრულიად გარკვევით ამბობს: „მე დავიბადე 1802-სა წელსა მაისის 24-სა დღესა“ (იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. S—1659-ბ). ესევე თარიღი დადასტურებას პოულობს მწერლის სხვა მითითებებსა და გამონათქვამებში.

8. ამოლონ მახარაძე

და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭირვებულ, ძველკაცთაგან ამბად დარჩენილია და თავად გ. ი. ერისთავისაგან არაერთხელ ნაამბობი, რომ ერეკლე მეფეს თავისი უმცროსი ასული თეკლე ბატონიშვილი განსაკუთრებით ჰყვარებია და ხშირად უბრძანებია თურმე: „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემის თეკლეს სიკეთე რომ სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდით“.

მამა მწერლისა, ვახტანგ ორბელიანი, თავისი დროისათვის კულტურული და ავტორიტეტის მქონე პიროვნება იყო. იგი, როგორც გავლენიანი თავადი და როგორც ერეკლე მეფის სიძე, ახლო ურთიერთობაში იყო ქართული სამეფო ტახტის მესვეურებთან. რუსული მართვა-გამგეობის დამყარების შემდეგ ვახტანგ ორბელიანი სამხედრო სამსახურში შევიდა და პოლკოვნიკი გახდა, მაგრამ იმავე დროს ახალი მმართველობით აშკარად უკმაყოფილო იყო. იგი 1812 წელს კახეთის აჯანყებაში დაიღუპა. ამ დროს მთავარმართებლის მარკიზ პაულიჩის დავალებით კახეთის გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა ქართველ თავადაზნაურთა დიდი ჯგუფი. ალექსანდრე ორბელიანის გადმოცემით, ვახტანგი თვითონაც თანაგრძნობით იყო განწყობილი ამ აჯანყებისადმი, ამდენადვე მას მეტიმეტად უძნელდებოდა იქ გამგზავრება, კახელების წინააღმდეგ იარაღის ხმარება. ამიტომაც მან თვითონ შეაკლავ თავი ერთ-ერთ კახელ გლეხს სოფელ ჩუმლაყთან შეტაკების დროს<sup>1</sup>.

ვახტანგ ორბელიანის დაღუპვის შემდეგ ოჯახზე მზრუნველობა მთლიანად თეკლე ბატონიშვილის ხელში გადავიდა. ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე გარდაცვალებამდე (1846 წ.) თეკლე ამ ოჯახის ნამდვილი გამგებელი და ბატონ-პატრონი იყო. შვილები არა მარტო ადრეულ ასაკში, არამედ დავაყვაცების შემდეგაც რაღაც არაჩვეულებრივად მოკრძალებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ მრავალგზის მოამაგე დედისადმი.

ალექსანდრე ორბელიანმა პირველდაწყებითი განათლება თავისივე ოჯახში მიიღო. შემდეგ კეთილშობილთა სასწავლებელში შეიყვანეს, მაგრამ აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა. 1812 წელს მას გაგზავნას უპირებდნენ პეტერბურგის პაეათა კორპუსში, მაგრამ მამის გარდაცვალების გამო ეს განზრახვაც ჩაიშალა. თხუთმეტი წლის ასაკში მომავალი მწერალი სამხედრო სამსახურში შევიდა, ხოლო ორი წლის შემდგომ მან უკვე პრაპორშჩიკობა მიიღო. „1819-სა

<sup>1</sup> მოგონება ალექსანდრე ორბელიანისა თავისი მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ, 1914 წ., გვ. 15-23.

წელსა პრაპორშჩიკობის ჩინი მამივიდა. მაშინ მე ჩვიდმეტი წლისა ვიყავიო“, — გადმოგვცემს ალ. ორბელიანი.

1823 წელს ალ. ორბელიანიმა ცოლად შეირთო ეკატერინე დავითის ასული ბარათაშვილი. მწერალი თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებებში არა ერთგზის მიუთითებს იმაზე, რომ კულტურული და გულისხმიერი მეუღლის წყალობით იგი ოჯახში განსაკუთრებულ კმაყოფილებას გრძნობდა.

ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრებაში საყურადღებო მოვლენაა 1832 წლის შეთქმულება. იგი ამ შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური იყო. ელიზბარ ერისთავთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად ალ. ორბელიანი ფარული საზოგადოების საქმიანობაში ფრიად მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. იგი ამ საზოგადოების ცენტრში იყო და მის გარეშე თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ გადაწყდებოდა.

1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო ალ. ორბელიანის ოჯახი მთლიანად. აქ იყვნენ მისი ძმები — დიმიტრი და ვახტანგი. იმავე საქმიანობას განდობილნი იყვნენ ალექსანდრეს დედა და ცოლი. თეკლე ბატონიშვილის მონაწილეობაზე შეთქმულებაში ალ. ორბელიანი ამბობს: „ჩვენი ყოველი საქმე სულ იცოდა და დაფარვით ჩვენი მონაწილეცა იყო, მაგრამ დიას გაფრთხილებითო“. შემდგომ. მწერალი, მართალია მოკლედ, მაგრამ მაინც მიუთითებს მისი მეუღლის მონაწილეობაზე იმავე შეთქმულებაში. იგი წერს: „ჩემი კატინაც ერია ჩვენს საქმეში, სხვათა ქართველი ქალებიც ბევრი, რომელთაც ჩემს კატინას ვალად დასდეს რევოლუციის ბაირახი შეეკერა“<sup>1</sup>.

შეთქმულების საქმეზე კვლევა-ძიების დამთავრების შემდეგ საქართველოდან გადაასახლეს თეკლე, ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი.

ალექსანდრე ორბელიანი გადასახლებაში გაიგზავნა ქალაქ ორენბურგს. იქ დაჰყო მან 1838 წლამდე. ამ წლის ნოემბერში იგი „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყვანეს, ხოლო 1840 წლის მარტში სამშობლოში დააბრუნეს.

მწერლის მოგონებებში შემონახულია რიგი საინტერესო ცნობები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საზოგადოდ.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1659-ა.

ერთ ვრცელ მოგონებაში, რომელიც ორენბურგიდან გამომგზავრების წინა დღეებშია დამთავრებული, გარდა პირადი თავგადასავლისა, მწერალი საზოგადოდ ამ მოძრაობის საერთო ისტორიის საკითხებზეც მოგვითხრობს. შეუძლებელია გარკვეულ ინტერესს არ იწვევდეს ის დახასიათება, რომელსაც ალ. ორბელიანი ნიკოლოზ და იასე ფალავანდიშვილებს აძლევს. იგი წერს: „იმათი (ე. ი. ფალავანდიშვილების. — ა. შ.) პირველი გვარი გლეხნი იყვნენ და გვართ ყორჩიშვილი ერქოთ. ახლანდელს დროში, იმისი უფროსი ძმა ნიკოლოზ თავის ეშმაკურის და გაიძვერის ხასიათით, ჯერ აზნაურიშვილი შეიქნა და გვართ მიქაიჩი დაირქო, მასუკან თავადად იწოდა და გვართ ფალავანდოვი შეიქნა. მერე საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორობა მისცეს რუსებმა, შემდგომ პირველის ოჯახის თავადიშვილის ქალი შეირთო ცოლად, დასასრულ თავის ძმას იასეს საქართველოს ამთენი თავადები გააუბედურებინა და ბოლოს თავის მფარველი მთავარმართებელი ბარონ როზინი დააბეზლა ხელმწიფესთან“<sup>1</sup>.

შეთქმულების გამცემის იასე ფალავანდიშვილის პიროვნების თაობაზე ალ. ორბელიანი ამბობს: კვლევა-ძიების დროს, ურთიერთდაპირისპირების მომენტში, მე თვით გამოვტყეხე, რომ იგი ჩვენთან მოგზავნილი ჯაშუში იყო. „ისე გაუჭირე იასესა, — გაღმრთვცემს მწერალი, — რომ კამისიაში მამადგა და აღიარა: მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავ თქვენში. რაც თქვენში განზრახვა იყო უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა. მე თქვენში რასაც ვლაპარაკობდი და ვსაქმობდი, სულ ცბიერობა იყო, რომ თქვენი განზრახვა ყველა წვრილათ შემეტყო. შევიტყე და წვრილათა ცომიხსენებიაო“.

რალა თქმა უნდა, ალექსანდრე ორბელიანის, როგორც ამ მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მიერ მოწოდებულ ამ ცნობებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ 1832 წლის შეთქმულების საერთო ისტორიისათვის.

მწერლის პირადი თავგადასავლიდან უდავოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყოფილა ცდა გადასახლებიდან მისი ვადამდე განთავისუფლებისათვის, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრებულა. ამის თაობაზე ალ. ორბელიანი მოგვითხრობს:

„მე რომ ორენბურგში ვიყავ, ზოგიერთს კეთილს აღამიანებს

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
S—1659-ა, გვ. 136.

ჩემი დაბრუნება ისევ ჩქარა უნდოდათ საქართველოში, რომლებსაცა ხელმწიფისთვის მოეხსენებინათ პეტერბურგში. იმასაც ებრძანებინა: ვოენი მინისტრს ჩერნიშოვს უთხარით, რომ საქართველოში მთავარ მართებელს ბარონ როზინს მისწეროს და თუ ის თანახმა იქნება მეც სრულს ნებას ვაძლევ, დაბრუნდესო. მაგრამ ბარონ როზინს მიეწერა პეტერბურგში: როგორც საშიში კაცი ჩვენი მთავრობისა, მაგის დაბრუნება საქართველოში არ იქნებაო. აი ამიტომ გამიძინდეს დაბრუნება. ეს იყო 1836-ს წელსა, მე რომ ორენბურგში ვიყავ<sup>1</sup>.

დაბოლოს, ინტერესმოკლებული არაა ის ღრმასულიერი ტკივილები, რომელიც მწერალმა სამშობლოში დაბრუნებისას განიცადა. ჭეშმარიტად გულში ჩამწვდომია მისი სატყვები: „1840 წელი მარტის 6-ის, მეთერთმეტე საათი ღამე როგორ დამავიწყდება, ტფილისი რომ შემოვიარეთ და შემდგომ ჩვენი სახლების ალაყაფის კარსა მივაღექით, სადაც ჩვენი მოსამსახურეები მიგველოდნენ და ერთობით ერთად დაიძახეს: ციმბირში გაგზავნილი ბატონი მოგვივიდაო“<sup>2</sup>.

## II

ალექსანდრე ორბელიანი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სამსახურში აღარ შედის და მთელს ცხოვრებას ლიტერატურულ საქმიანობაში ატარებს. იგი პრაქტიკულად ეხმარება ქართული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებს და იმავე დროს ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობასაც ეწევა. საკმარისია უბრალოდ თვალი გადავაავლოთ ალ. ორბელიანის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომ მისი პიროვნება ქართული მწერლობის ისტორიაში გარკვეული მნიშვნელობით წარმოგვიდგეს.

ალექსანდრე ორბელიანმა დიდი ამაგი დასდო ივანე კერესელიძის „ცისკარს“. იგი თავიდანვე მხარში ამოუდგა გამომცემელს და წლების განმავლობაში მასთან ერთად იყო, მის ჭირ-ვარამს იზიარებდა.

ივანე კერესელიძემ ჟურნალ „ცისკრის“ გამოსაცემად 1856 წელს წინასწარი ცნობა და ხელისმოწერის პირობები გამოაქვეყნა.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1659-ბ, გვ. 148.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 175.



ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ორბელიანმა გამოსცა ბროშურა სახელწოდებით „ქართულის ენისათვის“. იგი ახასიათებდა იმდროინდელი მწერლობის მდგომარეობას, გულისტკივილით აღნიშნავდა ქართული ჟურნალ-გაზეთების უქონლობას და საზოგადოებას „ცისკარის“ ფართოდ გავრცელებას მოუწოდებდა.

ალექსანდრე ორბელიანი, აღნიშნავდა რა მომავალ ჟურნალზე ხელისმომწერთა სიმცირეს, თანამემამულეთა საყურადღებოდ ხმამალა აცხადებდა: „თუ ხელის მომწერნი არ იქნებიან, რა ღონისძიებით უნდა გამოიციცეს ჟურნალი? და თუ ჟურნალი არ გამოიცა, რომლის საშუალებით გამშვენიერდება ჩვენი ენა, ანუ დაიდგინება? — ამისათვის მოგიწევთ პატივცემულნი მკითხველნი! ზემოხსენებულს ჟურნალის სიაზედ ხელი მოვაწეროთ და კიდევ ვეცადნეთ განვრცელებას, გარწმუნებთ, რომ სასარგებლო იქნება“.

რალა თქმა უნდა, საზოგადოებისათვის ფართოდ ცნობილი ავტორის ამ მოწოდებას მომავალი ჟურნალისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1857 წლის დამდეგიდან ივ. კერესელიძის „ცისკარი“ უკვე გამოსვლას იწყებს. ალექსანდრე ორბელიანი ჟურნალის რედაქციას თავის საკუთარ ბინაზე ათავსებს და ახალგაზრდა რედაქტორს ყოველდღიურ დახმარებას უწევს. „ცისკარის“ გამოცემის პირველ წლებში ალ. ორბელიანი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც ამ ჟურნალთან ყველაზე ახლოს დგას. მან ყველაზე მეტად იცის ჟურნალის როგორც მატერიალური მდგომარეობა, ისე წმინდა სარედაქციო საქმიანობა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ლიტერატურული ფაქტი.

ივანე კერესელიძემ „ცისკარში“ შექმნა ერთგვარი განყოფილება, რომელსაც „სალაყბო ფურცელი“ ეწოდებოდა. „სალაყბო ფურცლებს“ მკითხველი საზოგადოება მოწონებით შეხვდა, რადგან მათში მხილებული იყო იმდროინდელი ცხოვრების მანკიერებანი. ამ კრიტიკულ ფელეტონებს მაღალ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე. ამაზე მეტყველებს მისი ერთი პირადი წერილი. რომელსაც პეტერბურგიდან თბილისში უგზავნიდა ერთ-ერთ ნაცნობს. ილია წერდა:

„პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას, სწორედ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზედ; ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაეცა მოლაყბე ქართველობას, რა კარგად და-

იყო ქართველის უბედურებაზე დაცინება და რა ლამაზ ქართულ ჯარაზე დართული სიტყვებით ტიტინებდა! რა სიხარბით ვკითხულობდით მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს! უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდან ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადაც მოლაყბეს ფურცლები ბრწყინავდნენ სხვათა შორის“<sup>1</sup>.

სალაყბო ფურცლებმა თავისი მამხილებელი ხასიათის გამო გარკვეული წინააღმდეგობა გამოიწვია. ქართველი თავადაზნაურობა და მეფის სახელმწიფო აპარატის მოხელეები, რომლებიც ამ ფელეტონებში თავიანთ თავს ცნობდნენ ხოლმე, ყოველგვარ დონისძიებას მიმართავდნენ, რათა „ცისკარი“ და მისი რედაქტორი შეევიწროებინათ.

ივანე კერესელიძეს გარკვეული რედაქტორული ხერხების გამოყენება ესაჭიროებოდა იმისათვის, რათა მის მიერ გაკრიტიკებული ადამიანებისაგან თავი დაეცვა. ამ მხრივ მთავარი იყო ფელეტონების ავტორის ვინაობის საიდუმლოების დაცვა. ამ საქმეში ივ. კერესელიძეს ყველაზე მეტად მხარს უჭერდა სწორედ ალექსანდრე ორბელიანი. არსებულ მასალებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ამ დროს ალ. ორბელიანი მოლაყბე-მეზუკეების წრეში ტრიალებს და მან „ცისკრის“ მთელი საიდუმლოება იცის.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესის შემცველია 1859—1860 წლებში „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ალ. ორბელიანის წერილები.

1859 წლის იანვრის ნომერში მოთავსებული წერილით ალ. ორბელიანი აშკარად გვევლინება „სალაყბო ფურცლების“ ავტორის დამცველად. ორბელიანი ცდილობს დაარწმუნოს ქართველი თავადაზნაურობა, რომ „სალაყბო ფურცლების“ დამწერი არის ერთი რომელიღაც თავადიშვილი და არა ივანე კერესელიძე, რომელსაც „უდანაშაულოდ“ ბრალს სდებენ. სრულიად გასაგებია, რომ ეს გარკვეული ხერხია მოლაყბის ვინაობის დასაცავად გამოყენებული. ამას ადასტურებს მწერლის არქივში შემონახული ერთი ხელნაწერი, რომელიც 1866 წლის 18 იანვრით არის დათარიღებული.

ალექსანდრე ორბელიანი მოგვითხრობს:

„ერთხელ ერთს შეყრილობაში მე კერესელიძეს ვესარჩლებოდი და ზოგიერთნი იმას ძალიან გმობდნენ იმის გამოცემულის სტატისათვის. მაშინ მე იმათ უთხარ დასამშვიდებლად, ვიცოდი ეს

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, 1961 წ., გვ. 18.





სიტყვა იმათ დაამშვიდებდა: ეგ ხომ კერესელიძის სტატია არ არის, ეგ ამა და ამ თავადისაგან არის მეთქი. ამაზე ყველანი დაშვილდნენ<sup>1</sup>.

გასაგებია, რომ ეს სტრიქონები უშუალო გამონმარებაა ამ სტატიისა, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ.

იმავე წერილში ალექსანდრე ორბელიანი, მართალია, ფრთხილად, მაგრამ მაინც გარკვევით უჭერს მხარს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ კრიტიკას, რომელსაც მოლაყბის ფელეტონებში ხედავს. იგი თვით მოუწოდებს ასეთი კრიტიკის დანერგვისაკენ. ორბელიანი ამბობს:

„რაღა ვჯავრობთ, როდესაც ჩვენს ნაკლულებას გვეტყვიან რას-მე? იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე დაბრმავებულია ყოველთვის და თავის ნაკლულებას ვერას ხედავდეს? ეს თქმა დიდი ხანია დამტკიცებულია საქმით, რომ რაც უნდა შეცთომილებაში იყოს ადამიანი, ვერ დაინახავს თავის თავს არასდროს“. მწერალი კვლავ განაგრძობს თავის მსჯელობას: „არ ვიცი, თუ რად ვჯავრობთ ნაკლულობის თქმასა ჩვენზე? — თუ გნებავთ პირველად ჩემგნით დაიწყეთ; მე დამგმევით, მე გამლანძღვით და რაც უარესია დაწერეთ ჩემზე. დიდად მიაძება, ვინ იცის, იქნება მეც ბრმა ვიყო ჩემს თავზედ. მაშინ თუ თავს მართალსა ვგრძნობ — მოგახსენებთ, თუ არა და, სიამოვნით დავჩუმდები. ჭეშმარიტად!“

მოლაყბე-მებუკეებისადმი მხარდაჭერის თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ალ. ორბელიანის წერილი „ცისკრის“ რედაქტორისადმი, რომელიც იმავე ყურნალში 1860 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნდა. თუ შემოსხენებულ წერილში ალ. ორბელიანი თავის მხარდაჭერას მოლაყბისადმი ერთგვარად შეფარვით გამოთქვამდა, აქ იგი აშკარად ლაპარაკობს იმავე მოლაყბეზე და მის თანამოაზრე მებუკეებზე.

საკითხის ისტორიისათვის ზედმეტი არ იქნება, რომ ეს წერილი მთლიანად გავიცნოთ. ალექსანდრე ორბელიანი „ცისკრის“ რედაქტორს მიმართავს:

„ბევრს პირს საკვირვლად მიაჩნიათ, ის უფალი თუ არა უფალი მოლაყბე სად დაიკარგა? ვინ ჩაყლაპა? იქნება მიწა გასქდა და შიგ ჩაიტანა? დიდი ხანია იმისი ამბავი აღარა ვიციოთრა. შეგვატყობინეთ რა იქნა?“

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1634.

„ის ვილაც მოლაყბე იყო, რა კარგათ ლაყბობდა ხოლმე: ეს ასე და ის ისეო. მაშ როგორ იქნება: ხან ასე და ხან ისეო, მანასეს უთქვამს. აღიბეგ ნურც ავს იტყვის და ნურც კარგსაო, აღიბეგს დაუწერეს კარგებზე. იმანაც პასუხი დასწერა ქვემოთ: ავს ვნახამ — ავს ვიტყვი და კარგისათვის კარგსაო, ჩემი ხასიათი ეს არისო. ავეყიასი ხომ გაგვიგონია, რასაც დღეს თავის წანკლიანის ენით ადამიანს არ შეაწუხებდა, ის დღე იმისათვის საუბედურო იყო. ახლა რა ვქნათ, ეხლაც ბევრნი არიან იმ გვარები, აბა რა უყოთ, მოლაყბესაც თავისი ხასიათი სჭირს. უნდა მიუტეოთ: მიუტევეთ და მოგეტევოთ. ვის არა აქვს თავისის სისუსტე, რომელნიც მოტევებული ვართ ყველანი. ვის რათ უნდა გვენადვლებოდეს, მოლაყბემ რომ ბევრი ილაყბოს, ვნახოთ, ვინ გამოგვაჯავრებს, თუკი ცოცხალია კიდევ. და თუ ცოცხალი არ არის, ის მებუკეები სადღა გადაცვივდნენ? იქნება მშიერი სვავეები დაეხვივნენ ან დაყმენდილი მგლები და გამოხრეს ძვლებიანათ? ან კუდიანმა ქარმა ხომ არ შემოჰკრა და გადასტყორცნა სადმე, თორემ თუ ეს ასე არ იყოს, მაშ სად დაიკარგნენ ის მოტრაბახე მებუკეები მაინც?

„მოწყალეო ხელმწიფევე ი. კერესელიძე! ჩემი შუამავლობით ბევრნი სთხოვენ ის ვილაც მოლაყბეა — „კიდევ განაახლოს თავისი ლაყბობა და დაგვაგალოსო, თუ ქვეყანაზედ იყოს კიდევაო, თუ არა და მებუკეებს მაინც ვთხოვოთ, თუ ისინიც არ დახოცილანო“.

„ვინც ამას ითხოვენ, ისინი ასეთნი პირნი არიან, რომ ხამს იმათ პატივისცემა თუ მართლალა იყვნენ სადმე ის მებუკეები“.

ასე მოუწოდა ალ. ორბელიანმა მოლაყბე-მებუკეებს და ამ მოწოდებიდან მთელი სიცხადით იგრძნობა მისი აშკარა მხარდაჭერა მათი (მოლაყბე-მებუკეების) კალმის ნაყოფისადმი.

ინტერესს მოკლებული არც ისაა, რომ „ცისკრის“ მომდევნო ნომერში უკვე გამოქვეყნდა ერთ-ერთი მებუკის ავეყიასის საპასუხო წერილი ალექსანდრე ორბელიანისადმი. იგი ალ. ორბელიანს ატყობინებდა: „მე ერთ მებუკეთაგანს — ავეყიას, აქამდინ მეძინა, სიზმრებში ვიყავ“ და ამის შემდეგ კვლავ მოვინახულებ „ცისკრის“ ფურცლებსაო. შესაძლებელია, რომ ეს ავეყია და, საზოგადოდ, მებუკეების სახელით გამოქვეყნებული ფელეტონების ავტორები იგივე ივანე კერესელიძე და ალექსანდრე ორბელიანი იყვნენ. ამ საიდუმლოების გახსნა მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეა.

\* \* \*

ალექსანდრე ორბელიანი „ცისკრის“ გამომცემელს, გარდა მორალური მხარდაჭერისა, გარკვეულ მატერიალურ დახმარებასაც უწევდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მას ამ ქურნალის რედაქცია პირველ ხანებში თავის საკუთარ ბინაში ჰყავდა შეფარებული.

უტყუარი ცნობებით დადასტურებულია, რომ იგივე ორბელიანი ივანე კერესელიძეს ხშირად მატერიალურ დახმარებასაც უწევდა „ცისკრის“ შესანახავად. ამ მხრივ ბევრის მტკმელია ის არასრული ცნობებიც კი, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ.

აკაკი წერეთელი ამბობს: „ცისკარს ხელისმომწერი ძალიან ცოტა ჰყავდა და, თუ ა. ორბელიანი არ ჰყოლოდა ფულით დამხმარედ, არ გამოვიდოდაო“. შემდეგ აკაკი მოგვითხრობს „ცისკრისა“ და მისი რედაქტორის სხვა სიძნელეებზე და კვლავ ასახელებს ალ. ორბელიანს, როგორც კერესელიძის დიდად დამხმარე პიროვნებას. „რომ გარეთ ა. ორბელიანი არ ჰყოლოდა ხელისშემწყობად და შინ ეფთვიმე ხელაძე, მაშინ ახალგაზრდა მესტამბე და კერესელიძის მარჯვენა ხელი ყოველიფერში, ცუდად იქნებოდა მისი საქმეო“. — ამბობს ა. წერეთელი<sup>1</sup>.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა მწერლის ერთი თანამედროვეის მოგონება, რომელშიც ლაპარაკია ალ. ორბელიანისაგან „ცისკრისადმი“ ერთი ასეთი დახმარების თაობაზე. ამ ცნობის მიხედვით ალ. ორბელიანს, რომელიც ამ დროს ერთგვარად ხელმოკლედ ცხოვრობდა, პირადი საოჯახო ნივთები გაუტანებია დასაწინდრებლად, რათა ქურნალი დახურვას გადაერჩინა. ამ შემთხვევის უშუალო დამსწრე ალ. ორბელიანის შვილიშვილი მარიამ შერვაშიძე მოგვითხრობს:

„ერთ დღეს მოვიდნენ უმიკაშვილი, კერესელიძე, ბაქრაძე და ახლად მოსული აკაკი და უთხრეს: „ალექსანდრე (მე ვიყავი სწორეთ იმ დროს მის ოთახში რწყილივით განაბული), „ცისკარი“ უნდა დაეხუროთ!“! პაპა შეწუხდა: „რას ლაპარაკობთ, ვფიცავ დედიჩემის თეკლე ბატონიშვილის საფლავს, რაც კი შევიძლებ მოგვხმარებით, ოღონდ ნუ დახურავთ და მაგ ოხრებს ნუ გავახარებთ“. მაშინვე შევიდა და დედას უთხრა: „დარიკო, შვილო, მომეცი ჩემი და შენიც თუ რამე ვერცხლეული, ან ნივთები გვაქვს, არ დაგიკარგავთ, გამოვიხსნით, ოღონდ ახლა დაგვეხმარეთ. დედამ მაშინვე

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი, ჩემი თავდასახვალი, ნაწილი II.

გამოუტანა, მაგრამ ბებია კი ცოტა გაწყრა და უთხრა: „ბატონო! რათ იცი ოჯახის აკლება? თუმცა რამდენიმე წელიწადი იყავი რუსეთში და იქ გასწავლიდნენ ამას? ეს პაპას ეწყინა, მაგრამ არაფერი პასუხი არ ვასცა, მხოლოდ თავი გაიქნია. დედამ გამოუტანა ყოველისფერი, რაც ითხოვა პაპამ, ამანაც იმათ მისცა: „ეს იმყოფინეთ, დააგირავეთ, ან გაყიდეთ, ოღონდ მაგ ოხრებს ნუ გავახარებთ ჩვენი უძღურებით“<sup>1</sup>.

ასეთია ალ. ორბელიანისაგან „ცისკრისადმი“ მატერიალური დახმარების უტყუარი ფაქტები. ივარაუდება, რომ მსგავსი შემთხვევები სხვაც უნდა ყოფილიყო.

ალექსანდრე ორბელიანის ახლო ურთიერთობა „ცისკრის“ რედაქციასთან წლობით გრძელდებოდა. მხოლოდ სამოციანი წლების მეორე ნახევარში მას კონფლიქტი მოუვიდა ივანე კერესელიძესთან. საფიქრებელია, რომ ეს კონფლიქტი ისევ „ცისკრის“ საქმიანობასთან იყოს დაკავშირებული. 1865 წლის შემდეგ ალ. ორბელიანი „ცისკარში“ უკვე აღარ თანამშრომლობს, ხოლო 1869 წლიდან იგი ჟურნალ „მნათობში“ გადადის<sup>2</sup>.

ალ. ორბელიანისაგან „მნათობთან“ მიკედლება გარკვეული მნიშვნელობის ფაქტია. ამით ცხადი ხდება, რომ ეს კაცი არა მარტო ძველ საქართველოს მისტიროდა, არამედ მომავლის ბედზეც ფიქრობდა და ახალგაზრდა ძალებთან ერთად მის საკეთილდღეოდ ზრუნავდა.

მწერლის არქივში დაცული ერთი ლიტერატურული დოკუმენტი კარგად გვაგრძობინებს იმ შეგნებას, მიზანს, რომელმაც ალ. ორბელიანი ამ ჟურნალთან მიიყვანა. ეს დოკუმენტი არის მისი პირადი წერილი ანტონ ფურცელაძესთან. როგორც ვნახავთ, ეს წერილი სრულიად არაოფიციალური და გულწრფელი თხრობაა ავტორის ნაგრძნობ-ნაფიქრისა. ამდენად იგი კიდევ უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია.

ალ. ორბელიანი ანტონ ფურცელაძეს სწერს:

„შენს მშვიდობას და ბედნიერებას ვისურვებ შენი სახლეულობითურთ. იქნება როგორმე გულში გაგიარო მოხუცი მე: როგორ

<sup>1</sup> ლიტერატურის მატრიანე, წიგნი III-IV, 1942 წ., გვ. 316.

<sup>2</sup> ალექსანდრე ორბელიანისა და ივანე კერესელიძის დაპირისპირების მიზეზები გარკვეული ინტერესის შემცველია და იგი საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ალ. ორბელიანის არქივში დაცული წერილი სათაურით „საქართველოს ჟურნალი ცისკრის რედაქტორი კერესელიძე და მე“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1634).



არის. დარჩა თუ ქვეყანაზედ აღარ არისო? — დავრჩი. ცოტათაც კარგათა ვარ, ერთობ ჩემი სახლობითა, მაგრამ მსცოვანებაში მივდივარ და ძალა მიმდის. მართალია, ამისთანა მდგომარეობაში ვიშყოფები, მაგრამ მაინც მე ჩემს ზრუნვას, ჩემი შეძლებისამებრ, ჩვენს ლიტერატურას არ დავაკლებ ჩემს უკანასკნელ აღმოფხვინამდისინ. კარგათ იცი, ჩემო ანტონ, ჩემი თერთმეტი წლის მიკედლება რედაქტორის კერესელიძისა. რამთენი რამ მწუხარება გამამივლია იმის გულისთვის, — იმის გულისთვის რათ ვანბობ, ჩვენი ქართულის ჟურნალისათვის, რომელიც იმას ხელში ჰქონდა“.

ალ. ორბელიანი ამ წერილში კვლავ აკრიტიკებს ივანე კერესელიძეს. შემდგომ. იგი ანტონ ფურცელაძეს უზიარებს თავის აზრს „მნათობისა“ და მისი რედაქტორის გარშემო და, ბოლოს, თვითონ ანტონსაც ამ ჟურნალში თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს:

„მაშასადამე, ახლა სხვისკენ მოვიბრუნოთ თავი, იმისკენ, ვისთანაც შენ გქონდა ცოტა კინკლაობა, ესე იგი ნიკოლოზ ავალოვისაკენ, უნდა მოურიგდე, ჩემო ანტონ, და შენის კარგი სტატიებით ნუ დააგდებ „მნათობს“. იმედია კარგათ წავა ეს ჟურნალი, ოღონდ ხელის მომწერნი ჰყავდეს, რომლისაგან შენი იმედი მაქვს მანდეთ მხარეს და ეცადე, ჩემო ანტონ.“

„ამ ყმაწვილს კაცს აგრე რიგათ მახლობელათ მე არ ვიცნობ, მაგრამ იმისთანა გულმოდგინებას იმაში რომ ვხედავ ჩვენი სიტყვიერებისათვის, მეც მოწადინებული ვარ იმას ღმერთმა ხელი მოუშარტოს და ამისთვის ვეცადნეთ, ეგება ჩვენს ქართულს ლიტერატურასა კარგი მიმართულება მისცეს და ეშველოს რამე“<sup>1</sup>.

ეს წერილი გარკვეულ შუქს ჰფენს ალ. ორბელიანის პიროვნებას, მისი ლიტერატურული საქმიანობის ხასიათს. იგი ჟურნალ „მნათობში“ სიცოცხლის უკანასკნელი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა და ამ ჟურნალში მხოლოდ ორიოდ ნაწარმოების გამოქვეყნება მოასწრო.

ალექსანდრე ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წლის 25 დეკემბერს, ხოლო 28 დეკემბერს იგი დაასაფლავეს. გაზეთ „დროების“ ცნობით, მისი დაკრძალვა მოხდა „აუარებელი ხალხის თანდასწრებით; ყველა თბილისში მყოფთა წარჩინებულ პირთა სცეს უკანასკნელი პატივი ა. ორბელიანის გვამსა და დაესწრნენ იმის დასაფლავებაზე სიონის სობოროში“.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—1634. ბარათი უთარიღოა. იგი 1869 წლის დამდეგს უნდა იყოს დაწერილი.

ალექსანდრე ორბელიანის დასაფლავებაზე სიტყვით გამოვიდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი. სერგეი მესხის გამოსათხოვარი სიტყვა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გამოხატულებას პოულობს იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება განსვენებული მწერლისადმი.

„ვინც დაახლოებით იცნობდა ჩვენ წინ მდებარე გვამსა, იმათ ყოველთა კარგათ იციან — რა კეთილი, გულწრფელი და მშვიდობიანი კაცი იყო ისა. ამისთანა კაცის დაკარგვა, უეჭველია, სამწუხაროა და საგრძნობი როგორც იმის ნათესავებისათვის, აგრეთვე მეგობრებისათვისაც. გულკეთილობა და პატიოსნება, რასაკვირველია, მეტად საქმები თვისებანი არიან ყოველი კაცისა, მაგრამ ა. ორბელიანს ჰქონდა კიდევ სხვა მაღალი ღირსება და აქ — იმის საფლავზე, ორიოდ სიტყვის თქმა, მგონი, უადგილო არ იქნება.

„ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ კაცს აამაღლებს, ჰხდის ნამდვილ კაცად და საქებელ მამულის შეილად არა მხოლოდ იმისი კარგი ოჯახის შვილობა და პატიოსნებით წინ წასვლა ცხოვრებაში; უმაღლესი, მღვთიური დანიშნულება ყოველი კაცისა ის კი არ არის, რომ მარტო თავის თავისთვის და ნათესავებისთვის ზრუნავდეს. — კაცური კაცი ყოველთვის თავის საზოგადოების და ქვეყნის სასარგებლო საქმეებისათვის უფრო მომეტებულს ჰფიქრობს, ვიდრე თავისათვის; თითქმის მთელს თავის სიცოცხლეს ის შესწირავს რომელსამე კეთილშობილურს წადილსა; ყოველ ღონისძიებას ხმარობს ის, რომ მოუტანოს, შეძლებისა დაგვარად, თავის ქვეყანას სარგებლობა, წინ წასწიოს ისა. — აი უმაღლესი და ყოველად კეთილშობილური დანიშნულება ღვთის მსგავსად გაჩენილის კაცისა! ნეტარ არს ის, ვისაც სიკვდილის ეამს თამამად შეუძლია სთქვას, რომ იმას ტყუილ-უბრალოდ არ გაუტარებია სიცოცხლე, არამედ უშრომია თავის სამშობლოს სიკეთისათვის. — მე ვიტყვი: ნეტარ არს ხსენება ა. ორბელიანისა, რომელმანც თითქმის მთელი თავის სიცოცხლე შესწირა საზოგადოების სამსახურს! ნეტარ არს ისა, რომ სიკვდილის ეამს თამამად შეეძლო ეთქვა: „მე ვკვდები წმინდა სინილისით! იმედი მაქვს, რომ ჩემი სიცოცხლე უნაყოფოდ არ ჩაივლის!“<sup>1</sup>

<sup>1</sup> გაზეთი „ღროება“, 1869 წ., № 52. სერგეი მესხის ეს სიტყვა და საზოგადოდ „ღროებაში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგი თითქმის სიტყვა-სიტყვით გადაბეჭდა ჟურნალმა „მნათობმა“ (იხ. 1869 წლის უკანასკნელი ნომერი).

სერგეი მესხის ამ სიტყვებიდან გარკვევით იგრძნობა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება ალექსანდრე ორბელიანისადმი, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისადმი.

აკაკი წერეთელი თავის ცნობილ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში საგანგებოდ მოგვითხრობს ალექსანდრე ორბელიანთან გაცნობისა და დაახლოების ისტორიას. პირველადვე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მიმიღო, — გადმოგვცემს აკაკი. „პატივით და მოწიწებით მიგიღებ, როგორც წერეთელსო — მითხრა — და როგორც აკაკის — კი მინდა გადაგეხვიოვო“!.. პირველ ნახვისთანავე შემეყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი. ძალიან უყვარდა საქართველოს“<sup>1</sup>.

### III

ალექსანდრე ორბელიანი საკმარისად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ამ მემკვიდრეობის ათვისებისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა გარკვეულ იქნეს მწერლის საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულებანი.

ტრადიციულად ალექსანდრე ორბელიანს „მამათა“ ბანაკს აკუთვნებენ. პოლიტიკური მრწამსის მიხედვით იგი აღიარებულია როგორც კონსერვატორი, ხოლო სალიტერატურო ენის საკითხში მას უკიდურეს არქაისტად მიიჩნევენ.

ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობის ამგვარი შეფასება იმ საფუძველს ემყარება, რომ იგი ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური თანამშრომელია ჟურნალ „ცისკრისა“, რომელსაც შემდეგ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული თაობა დაუპირისპირდა.

ალექსანდრე ორბელიანი „ცისკრის“ მწერალთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც პატრიოტული რომანტიზმის გამგრძელებლად გამოდის. ამ ჯგუფში ალექსანდრე ორბელიანთან ერთად შედიან გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, დავით მაჩაბელი, გრიგოლ რჩეულიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ.

ქართული რომანტიზმის წარმომადგენელთა ეს ჯგუფი მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში ლიტერატურულ თაობათა ბრძო-

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი, „ჩემი თავდასახვალი“, ნაწილი II.

ლაში არ ჩაბმულა. არ არსებობს არავითარი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მათ შორის ამ დროს რაიმე პრინციპული ხასიათის დაპირისპირებაზე მსჯელობა შესაძლებელი იყოს. პირიქით, ჩვენამდე მოღწეული მასალები იმას ადასტურებენ, რომ ამ ჯგუფის ყველაზე ტიპიურ წარმომადგენლებს, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანებს, ახალი თაობის მწერლებთან გულთბილი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ.

ალექსანდრე ორბელიანი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის მონაწილე არაა. ორბელიანის ის წერილები, რომელთა მიხედვით მის მსოფლმხედველობაზე ჩვეულებრივად მსჯელობენ, დაწერილია თაობათა ბრძოლის წინა პერიოდში, ილია ჭავჭავაძის პირველი წერილების გამოქვეყნებამდე და არა ამ წერილების საპასუხოდ. ეს ერთი. შემდეგ, რაც მთავარია, ალექსანდრე ორბელიანის ნაწერების მიმოხილვა დაგვარწმუნებს, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რათა მათი ავტორის რეაქციონერობასა და არქაისტობაზე ვილაპარაკოთ.

სანამ უშუალოდ ალ. ორბელიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის განხილვას შევუდგებოდეთ, კიდევ ერთი გარემოების გათვალისწინებაც საჭიროა და აუცილებელი. საკითხი შეეხება პირადად ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ამ მწერალთან. გავიხსენოთ ორიოდე დამახასიათებელი მომენტი მხოლოდ.

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის ისტორიაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის „პასუხი“. ავტორმა ეს წერილი ალექსანდრე ორბელიანს მიუძღვნა. რამდენი ფიქრისა და ადამიანური გრძნობის აღმძვრელია ის მოკლე მინაწერი, რომელიც ილიამ ამ მკაცრ საპოლემიკო წერილს სათაურის ქვეშ გაუყეთა: „გუძღვნი თავად ალექსანდრე ვახტანგის ძეს ჯამბაკურ-ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტატიასა“.

თუ არ დავივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ასეთი მინაწერის აღრესატს მიძღვნილი თხზულების შემფასებლის, მსაჯულის საპატიო როლი ეკისრება ხოლმე, მაშინ გასაგებია, თუ რაოდენ ამაღლებული უნდა ყოფილიყო ილიას აზრი ალექსანდრე ორბელიანზე, იმ დროს, როდესაც იგი ამ მინაწერს აკეთებდა.

როგორც ვიცით, ილიას „პასუხმა“ კიდევ უფრო შეძრა და აახმაურა „მამების“ ბანაკი. ხომ შესაძლებელი იყო ალექსანდრე ორბელიანს ამის შემდეგ მაინც სადმე, რომელიმე თხზულებაში გამოემჟღავნებინა „მამებისათვის“ დამახასიათებელი განწყობილება და



ამით ილიას წყრომა დაემსახურებინა? დიახ, ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ ორბელიანის მხრივ მსგავსი არაფერი მომხდარა და ილიაც ბოლომდე პატივისმცემელი დარჩა ამ დარბაისელი და ზნე-მალალი ქართველის მიმართ.

ილია ჭავჭავაძემ ალექსანდრე ორბელიანი კვლავ სიმბათიურად მოიხსენია მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დაწერილ თხზულებაში (ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია). ილიამ აქაც ალ. ორბელიანი სამშობლოსათვის თავდადებულ მოწინავე ქართველთა შორის დაასახელა.

ახასიათებდა რა მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედის ეპოქას, ილია ამბობდა, რომ „ცხოვრებამ თავისი უკეთესნი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალ-ახილებულნი, აქეთ-იქით მიახედ-მოახედა, ყოფილსაც თვალი გადაავლებინა და არსებულსაც. მოიკითხეს — რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა გონება და გული მაშინდელ ყმაწვილ-კაცობისა“. სწორედ აქ, გონებაგახსნილი ახალგაზრდობის ამ ბრწყინვალე წრეში ილიამ ალექსანდრე ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და დიმიტრი ყიფიანის გვერდით მოიხსენია.

როგორც ვხედავთ, ახალი თაობის მეთაურები ალექსანდრე ორბელიანს რეაქციულ „მამათა“ ბანაკის წევრად არ გულისხმობდნენ და, პირიქით, თვლიდნენ რა ქართული პატრიოტული რომანტიზმის ტიპიურ წარმომადგენლად, მის ღვაწლს გარკვეული მნიშვნელობით აფასებდნენ. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისაგან ალ. ორბელიანისადმი ამგვარი დამოკიდებულების საფუძვლიანობაში მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლა უდავოდ დაგვარწმუნებს.

ზემოთ ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ალ. ორბელიანის როლი გადაქარბებით შევაფასოთ, რომ მის პიროვნებაში ფართო დემოკრატიული იდეებისათვის მებრძოლი მწერალი დავინახოთ. რაც აქამდე ითქვა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ალ. ორბელიანი კონსერვატორი და არქაისტი არაა. ალექსანდრე ორბელიანის სახით ჩვენ გვყავს ტიპიური ქართველი რომანტიკოსი მწერალი, რომელიც სამშობლო ჭვეყნისა და ხალხის ბედზე დრტვინავს, მისი დაწინაურებისათვის იღვწის. იგი მხოლოდ კეთილი განზრახვით ხან ერის კულტურული წინსვლისა და ამაღლების გეგმებს აწყობს და ხან წარსულის იდეალიზაციას ახდენს.

ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობას გარკვეულ ლაქად აზის ბატონყმურ ურთიერთობაში არსებული კლასობრივი წი-

ნააღმდეგობის ერთგვარი მიჩქმალვა, გაუბრალოება. აქ არის მისი „აქილევსის ქუსლი“. იგი ფიქრობს, რომ ძველ საქართველოში ბატონსა და ყმას შორის „მამაშვილური“ ურთიერთობა არსებობდა. მართალია, ავტორი ძველი დროის ბატონყმობას იწონებს და არა თავისი ეპოქისას. მაგრამ იგი მაინც ბატონყმური ურთიერთობის ერთგვარ დამცველად გვევლინება.

ალექსანდრე ორბელიანი თავის წერილში „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში“ ამბობს:

„უწინდელს დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა: მეებატონე ვი-  
შოვნო და იმას შევეხიზნოვო, იმისათვის. რომ მეებატონე თავის  
ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტყი-  
ოდა ყმისთვის.

„ყმა თავის მეებატონესთან თამამად მივიდოდა, ყოველს საქმეს  
დაუფერებით, აუშკრთალად მოახსენებდა და როგორც ამხანაგი ისე  
გაუგრძელებდა ლაპარაკს, მაგრამ დიახ პატივისცემით.

„ყმა თავის მეებატონესთან დაჯდებოდა სადილად, ანუ ვახშმათ,  
მებატონესთან ერთად იგემებდა; მეებატონე და ყმა ერთად საუბ-  
რობდნენ, ერთად შეექცეოდნენ და ერთად სიამოვნობდნენ.

„ყმასა მეებატონე მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდა,  
მამასავით პატივისცემდა და ყოველთვის გაფრთხილებული იყო, არა  
ეაწყენინოროა“<sup>1</sup>.

ასეთია ალ. ორბელიანის წერილის ძირითადი დებულება ბატონ-  
სა და ყმას შორის არსებულ „მამაშვილურ“ დამოკიდებულებაზე.  
გასაგებია, რომ ბატონყმური ურთიერთობის ასეთი შელამაზება  
კრიტიკას ვერ უძლებს. არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით,  
არამედ თვით ალ. ორბელიანის თანამედროვეთა შორისაც ცოტა იყო  
ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ამ აზრს გაიზიარებდა.

ალექსანდრე ორბელიანის ლიბერალური დამოკიდებულება ბა-  
ტონყმობისადმი თავს იჩენს სხვა შემთხვევებშიც. 1861 წლის დამ-  
დეგს „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი წერილი „ივერიელების გა-  
ლობა, სიმღერა და დიღინი“. ავტორი აქაც კვლავ „მამაშვილური“  
ურთიერთობის დამცველად გვევლინება. იგი ამბობს: „იმ უწინ-  
დელს ჩვენს ბატონ-ყმობას და იმ უწინდელს ჩვენს უმანკობას,  
ახლანდელი ევროპული სრული განათლება ზედ რომ დაერთოს და  
ერთს ზნეობად გაკეთდეს, მაშინ იტყვიან: აი ზეციური ცხოვრება  
ქვეყანაზე გადმოვლენილიო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ტურნალი „ცისკარი“, 1859 წ., № 11.

<sup>2</sup> ტურნალი „ცისკარი“, 1861 წ., № 1.

## IV

ალექსანდრე ორბელიანის მემკვიდრეობიდან გარკვეული ინტერესის შემცველია მისი წერილები ლიტერატურული ენის საკითხებზე. აქ ორი მომენტი უნდა განვასხვავოთ: ჯერ ერთი, წერილებიდან იგრძნობა, რომ ერთიანი ლიტერატურული ენის საკითხი ქართული მწერლობისათვის აქტუალური იყო ჯერ კიდევ სამოციანი წლების პირველ ნახევარში. ჩანს, იმდროინდელი მწერლებიც ცოტას არ ფიქრობდნენ ისეთი ენის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ყველა ქართველი მწერლისათვის და ქართული ბეჭდვითი ორგანოსათვის საერთო იქნებოდა. ამით ერთხელ კიდევ ნათელი ხდება, რომ ის ბრძოლა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე გააჩაღა, ეპოქის მიერ წამოყენებული ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა. რაც კონკრეტულ შემთხვევაში მთავარია, ალექსანდრე ორბელიანის წერილებში გამოხატულებას პოულობს ავტორის შეხედულებანი ეპოქის ამ აქტუალურ საკითხებზე.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალ. ორბელიანის წერილები „ქართულის ენისათვის“ (1856 წ.), „რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიანზედ“ (1857 წ.) და „ქართული უბნობა ანუ წერა“ (1860 წ.). დასახელებულ თხზულებათა თანმიმდევრობითი განხილვა ნათლად წარმოგვიდგენს ავტორის პოზიციას ერთიანი ლიტერატურული ქართული ენის საკითხში.

პირველი წერილი („ქართულის ენისათვის“) 1856 წელს ცალკე წიგნაკის სახით გამოვიდა და, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა. ამ შემთხვევაში მთავარი იყო ივანე კერესელიძის მიერ განზრახული „ცისკრის“ გამოსაცემად საზოგადოებრივი აზრის მომწიფება და ამით მომავალი ჟურნალისათვის ნიადაგის მომზადება. წერილის ძირითადი მიზანდასახულობა სწორედ ამაში მდგომარეობდა, მაგრამ იქვე მოცემულია ავტორის გარკვეული დაკვირვება მისდროინდელი ქართველი მწერლების ენაზე, რაც აღძრულ საკითხთან დაკავშირებით უდავოდ მნიშვნელოვანია.

ალექსანდრე ორბელიანი მისდროინდელ ქართულ ლიტერატურაში ორ სტილს განასხვავებს: ერთი არისო „ძველებური მსწავლულების წერა“ და მეორე — ახალი დროის „მწერალთა ენა, რომელსაც იგი მდაბიურს უწოდებს. ალექსანდრე ორბელიანი ვადაჭრით აცხადებს, რომ თითოეულ სტილს თავისი მიმდევარი ჰყავს და



ამ მიმდევართა შორის გარკვეული კამათი არსებობს. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხი იოლად არ გადაწყდება და იქვე მიუთითებს, რომ ამ მოწინააღმდეგე ბანაკებს მოუხდებათ თავიანთ შეხედულებათა ფართო საზოგადოების წინაშე მტკიცება, ხოლო ასეთი მტკიცებისათვის აუცილებელია ბეჭდვითი ორგანოს არსებობა. ვასაგებია, რომ იგი ჟურნალ „ცისკრისათვის“ ხელშეწყობისაკენ მოუწოდებს როგორც მწერლებს, ისე საზოგადოდ მთელს ქართველ ინტელიგენციას.

მოვეუსმინოთ მწერალს: იგი ამბობს:

„ძველებური მსწავლულების წერა არის სიტყვიერებით საესე, უნაკლო და მაღალი, მაგრამ ვინც კარგათ არ იცის ქართული, ვერ გაიგონებს და მდაბალ ხალხისათვისაც ძნელია. ახლანდელი წერა არის მდაბიური, ესე იგი, როგორც ვლაპარაკობთ და ყველასათვის ადვილად გასაგონია. აქ ჩვენს ქვეყანაში ორგვარი მწერლები არიან ახლა: პირველები მისდევნენ ძველი მსწავლულების წერასა და მეორეები მდაბიურსა. ამ ორ გვართა მწერლებთა შორის არის ცილობა. პირველები თავიანთსას ამჯობინებენ და მეორენი თავიანთსას, მაშასადამე, ორივესათვის არის გზა გახსნილი და ერთმანეთს დასაჯერებლათა შეუძლიანთ ერთმანეთზედ კრიტიკა (დაფასება?) დაწერონ ივანე კერესელიძისაგან ახლად გამოცემულს ჟურნალში“.

ასე მსჯელობს ალ. ორბელიანი. ამ მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ მწერალი მისდროინდელ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებითად ორ სტილს განასხვავებს — მაღალსა და მდაბიურს, ხოლო იგი პირადად მეორის დამცველად გამოდის. ასეთია მისი თვალსაზრისი 1856 წელს გამოქვეყნებული წერილის მიხედვით.

1857 წელს ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდება ალ. ორბელიანის წერილი „რამდენიმე სიტყვა გაყრის კომედიიზედ“. ამ წერილით ავტორი ცნობილ საზოგადო მოღვაწეს პლატონ იოსელიანს ეკამათება. 1850 წელს ცალკე წიგნად გამოიცა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. გამოცემას მოკლე წინასიტყვაობა წარუძღვარა პლატონ იოსელიანმა. იგი წერდა:

„მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირედთა სხვათა არა იყო ჩვეულებითის საუბარისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ქეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა ქართულსა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან დაბადა ესა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის. — სახელმან ზისმან ქართველთათვის ესრეთივე მიიღო ღირსება, რომლისათვისაც ეკვირვებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არის-



საქართველო

ტოფანეს, კრატინს, პლავტსა, ტერენციოსს, მენანდრსა და სხვებსა.  
 „მაქვს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგან ახლისა გვარისა მწერლობისა მოწონებასა, არვინ მიიღებს პირმოთმინეობით თქმულად და თითოეულ კეთილგამზრახი ქართველი სიხარულით და სიამოვნით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიცა ახალნი მწერალნი გაბედვითა შეუდგებიან მაგალითსა მისსა“.

პლატონ იოსელიანის ამ წინასიტყვაობის გამო არის დაწერილი ალ. ორბელიანის „რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიაზედ“. ავტორი არ ეთანხმება პლატონ იოსელიანს იმაში, რომ „ვითომ ახალი ქართული ენა დაებადოს თავადს გიორგი ერისთავს“. ორბელიანის აზრით გიორგი ერისთავის კომედიის „დაკუწვილი ლაპარაკი, კითხვა-მიგების მსგავსი“ შეუძლებელია მისაბაძი გახდეს ქართველი მწერლებისათვის. ალექსანდრე ორბელიანი გიორგი ერისთავის ენას კი არ იწუნებს, არამედ სხვებისაგან მიბაძვის ღირსად არ მიაჩნია იგი. ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა აუცილებელია. რათა რომელიმე უკიდურესობაში არ აღმოვჩნდეთ.

ალექსანდრე ორბელიანი პლატონ იოსელიანთან კამათში ამბობს, რომ „გაყრის“ ავტორს შესაძლებელია მართლაც ჰქონდეს კარგი ლიტერატურული ენა, მაგრამ ამაში უნდა დავრწმუნდეთ, ხოლო დარწმუნებისათვის სასურველი იქნება მან (გიორგი ერისთავმა) ერთი რაიმე მოთხრობა დაგვიწეროსო. ამ მოთხოვნიდან ნათელი ხდება, რომ ალ. ორბელიანის აზრით მწერლის ენის ავტორგანობაზე მსჯელობისათვის გაბმით თხრობა უფრო საიმედო დასაყრდენს იძლევა, ვიდრე დრამატული თხზულების „დაკუწვილი ლაპარაკი“.

ალექსანდრე ორბელიანი წერს:

„თავადმა გ. ერისთავმა ერთი მოთხრობა რომ დაგვიწეროს ქართული, მაშინ გავარჩევთ რა გვარი წერა არის იმისი, თორემ იმის კამედით არ შეიძლება შეტყობა რომელისაც მიზეზი ზევით ითქვა. რაც არის იმ კომედიის ქართული წერა. ამის შემდგომ მოველით, რომ ერთს მოთხრობას გამოსცემს თავისის განჰსჯით, ვინაიდან იქნება ახალი ქართული იცოდენ მწერლობისათვის და ჯერ კი საზოგადოთ არა ვიცოდეთრა ჩვენ. ამისთვის გულმოდგინენი ვთხოვთ, თუ მართლა ახალი ქართული იცოდენ, დაგვანახონ, დაგვიმტკიცონ, რომ სწავლისათვის გამოიცეს ახალი ქართული ენა და იმის მაგალითსა შეუდგეთ ყოველნი, რომელიცა დიდად დაგვაჯალებს თავის შემამულეთ“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ძურნალი „ცისკარი“. 1857 წ., № 9.



ასეთია ალ. ორბელიანის ამ წერილის ძირითადი შინაარსი. არც ვხედავთ, აქ ავტორი არც სტილის საკითხებზე მსჯელობს და არც მაინცდამაინც ორიგინალურ შეხედულებებს იძლევა. მას მხოლოდ იმის თქმა სწადია, რომ გიორგი ერისთავის კომედიების ენა ქართველი მწერლებისაგან მისაბაძად ვერ გამოდგება.

გაღის დრო. 1860 წელს ჟურნალ „ციცკრის“ მეექვსე ნომერში იბეჭდება ალ. ორბელიანის ვრცელი წერილი სათაურით „ქართული უბნობა ანუ წერა“. ეს წერილი ერთგვარი თავისმოყრაა იმ ძირითადი დებულებებისა, რომელნიც წინათ გამოქვეყნებულ წერილებში იყო გამოთქმული ან, საზოგადოდ, რაც ავტორს უნდოდა სალიტერატურო ენის საკითხებზე ეთქვა.

პირველ წერილში ალ. ორბელიანი ამბობდა: ხელი შეუწყოთ ივანე კერესელიძეს „ციცკრის“ გამოცემაში, იქ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა და „მაშინ იმ ჟურნალში დავინახამთ, რა გვარი წერა სამკობინართა: იქ გამოჩნდება რომლისაგანაცა უფრო და უფრო გამწვენიერდება წერა და ლაპარაკი“. მეორე წერილში, რომელშიც იგი პლატონ იოსელიანს ეკამათებოდა, თანამედროვე მწერლებს გულწრფელად მოუწოდებდა ჟურნალის ფურცლებზე ხშირად გამოსულიყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის საკიბობოროტო საკითხებზე. „უმდაბლესად მოგმართავთ და ვედრებით ვითხოვთ, ვისაც შეგიძლიანთ ჩვენი ქართული ტომარისაკენ გადმოიხედოთ. ჩვენი სიტყვიერების განსახილველადო“, — წერდა ალ. ორბელიანი.

დაბოლოს, იმის გამო, რომ მან პლატონ იოსელიანის აზრი გიორგი ერისთავის კომედიის ენის თაობაზე არ გაიზიარა, ავტორი თავმდაბლად აცხადებდა: „რასაც ვამბობ ამ წერილში, გულწრფელობით არის, ჭეშმარიტად რომ სხვა განზრახვა არ იყოს-რა, მხოლოდ ამის მეტი. გულითა მსურს, ჩვენი ქართული ენა, უფრო და უფროსად საუკეთესო იყოს და მაგალითად სამაგალითო“.

მესამე წერილში ალ. ორბელიანი აგრეთვე თავმდაბლად, უპრეტენზიოდ, მაგრამ საკმაოდ ვრცლად და ყოველმხრივ განიხილავს ერთიანი ლიტერატურული ენის საკითხს. აქ ორბელიანი კი არავეს ეკამათება, არამედ სრულიად დამოუკიდებლად მსჯელობს. იგი იღებს კონკრეტულ საკითხებს, ახდენს მათ განზოგადებას და სერიოზული, გულდასმითი მსჯელობის შემდეგ მკითხველს საკუთარ დასკვნებს აწვდის.

წერილიდან ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით იგრძნობა ერთიანი ლიტერატურული ენის საკითხის აქტუალობა ამ დროს. შესავალში ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ „ჯერ ამ საგანს არ უნდა მოვეშვენთ, ჯერ ერთგვარი წერა უნდა დაიდოს ქართულის სიტყვე-



ბისა; რა გვარად ვსწეროთ საზოგადოდ, რომ სხვა და სხვა ჰქონდეს, წერა არა გამოვიდესრა ხოლმე ცისკარში, მკითხველეების უსიამოვნო არ იყოს“. დიახ, ალექსანდრე ორბელიანს, როგორც „ცისკარის“ ერთ-ერთ ძირითად მოღვაწეს, სამართლიანად აწუხებს ის გარემოება, რომ ჟურნალში „ჰრელი წერა“ არ იყოს და ამით მკითხველებს უსიამოვნება არ მიადგესთ. ამ კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე მწერალი დაეძებს გზებს, რათა შეიქმნას ისეთი ქართული ენა, რომელიც საერთო იქნება როგორც ჟურნალისათვის, ისე ყველა მწერლისათვის.

დასახელებულ წერილში ალ. ორბელიანი უკვე გარკვევით დაპარაკობს სამი სტილის არსებობაზე. მისი აზრით, ქართული წერა სამგვარია: I. მაღალი ანუ ეკლესიური, II. მდაბიური ანუ დარბაისლური, III. გლეხკაცობისა.

როგორც ვიცით, პირველ წერილში იგი მხოლოდ ორი სტილის არსებობას აღიარებდა: ერთი არისო „ძველებური მსწავლულების წერა“. ესე იგი, ის, რომელსაც ახლა ეკლესიური ეწოდება და მეორე — მდაბიური, რომელსაც ახლა დარბაისელთა ენად იხსენიებს. ამჟამად მათ უკვე მესამე სტილიც ემატება, ეს არის გლეხკაცობის ანუ „დაშვებული ენა“. ჩანს, ასეთი სტილის აღიარება შედეგია იმ დაკვირვებისა, რომელსაც ავტორი პირველი წერილიდან (1856 წ.) მესამე წერილის გამოქვეყნებამდე (1860 წ.) ლიტერატურულ მოვლენებზე აწარმოებდა.

ალექსანდრე ორბელიანი, აღიარებს რა ქართული სალიტერატურო ენის ასეთ დაყოფას, იქვე მიუთითებს, რომ მის თანამედროვე მწერალთა შორის თითოეულ ამ სტილს თავისი დამცველი და მიმდევარი ჰყავს. „ერთნი ირჩევენ საეკლესიოს სიტყვიერებით წერას, მეორენი დარბაისელთა ენაზედ და მესამენი უფრო დაშვებულს ენაზედ“, — ამბობს იგი.

ბუნებრივია, რომ იმის შემდეგ, რაც წარმოადგინა ქართულ ლიტერატურულ ენაში არსებული საერთო მდგომარეობის სურათი, ავტორი ვალდებულია მკითხველს მიაწოდოს თავისი საკუთარი აზრი იმის თაობაზე, თუ თვითონ ამ სამთაგან რომელ ერთს მისცემდა უპირატესობას, რომელს აირჩევდა იგი ახალი ქართული მწერლობისათვის, ჟურნალ „ცისკარისა“ და მის გარშემო შემოკრებილი თანამშრომლებისათვის.

ალექსანდრე ორბელიანის არჩევანი საშუალო ანუ მდაბიურ-დარბაისლურ სტილზე შედგა. „მე საშუალოს ენას ამოვარჩევ, დარბაისელთ ენას ამისათვის, რომ უფროსი ერთი უწინდელი საერთო

წიგნები დარბაისელთ ენაზედ უწერიათ და იმათის ენითვე ულა-პარაკნიათ: ვითარცა რუსუდანიანი, ვისრამიანი, დაერიშინი, სიბრძნე-სიცრუე, ყარამანიანი, სხვანი და სხვანი და ბოლოს ვიტყვი ეფეხისტყაოსანი“.

ასეთი არჩევანის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ ავტორი მის მიერ მოწონებული სტილის უპირატესობის მტკიცებას იძლევა. იგი ამბობს: „ჩვენი საშუალო ენა უნდა დაიდოს, მხოლოდ თუ მეტ-ნაკლულევანება მოხდება სადმე, რასაკვირველია, ის უნდა გასწორდეს და გაიმართოს. მაშინ ვახდება უმშვენიერესი ძველი ქართული და დარბაისლებისა და ღრმად ნაძინარევი გამოიფხიზლებს კეთილად. მგონია ყველანი დამეთანხმნენ უწინდელს ქართულს საეროს წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისათვის“.

ასე მსჯელობს ალ. ორბელიანი. იგი აღიარებს ეგრეთწოდებულ საშუალო სტილის უპირატესობას და ახალ ქართულ ლიტერატურაში მისი დამკვიდრებისაკენ მოუწოდებს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იგი საკუთარ შეხედულებათა თავზე მოხვევას საზოგადოებისათვის სრულიადაც არ ცდილობს. ამ მხრივ ალ. ორბელიანი მეტისმეტად თავაზიანი და თავმდაბალი მოჩანს. იგი საზოგადოებას აცნობს საკუთარ დაკვირვებას ენობრივ მოვლენებზე, თავის დასკვნებსაც სთავაზობს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნორმათმდებლის პრეტენზიას არ ამჟღავნებს. პირიქით, იგი პირდაპირ მოუწოდებს თანამოცალმეებს, რათა იფიქრონ და იმსჯელონ ამ საკითხზე, გაიმართოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ერთიანი ძალით შეიმუშაონ საერთო ლიტერატურული ენა, რომელიც მწერლებთან ერთად მკითხველთათვისაც გასაგები და სასიამოვნო იქნება. შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ იმ თავმდაბალი განცხადების მიმართ, რომლითაც ალ. ორბელიანის ეს წერილი მთავრდება. იგი ამბობს:

„ჩემო ხელმწიფენო, თუმცა ჩემის აზრით მე ასე ვამტკიცებ, მაგრამ ნურავის ნუ ეგონება, მე აქამდისინ უბრალო ამპარტავნება მქონდეს. ანუ ურიგო თავის მოყვარება, ამ ჩემს გამოცემულს წერილზედ დავემყარო: რაც ვსთქვი უთუოდ ასეა მეთქი. არა, რასაც ვანბობ იქნება ასე არ იყოს და უფრო სხვა რიგათ იყოს. კაცი თავის ნაკლულევანებას აგრე რიგათ ვერ დაინახავს“.

ასეთია ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხზე ალ. ორბელიანის წერილების ძირითადი შინაარსი. როგორც ვნახეთ, პირველ ხანებში იგი ქართულ მწერლობაში არსებითად ორ სტილს განა-





სხვაგვებდა — ეკლესიურსა და მდაბიურს. ამათგან უპირატესობას მდაბიურს ანიჭებდა და ლიტერატურაში ამ სტილის დამკვიდრების რჩევას იძლეოდა. შემდეგში, როდესაც ჟურნალ „ციცკარის“ მეშვეობით ქართული მწერლობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა, ალ. ორბელიანმა ლიტერატურაში გლვხეცაობის ენის შემოსვლის ფაქტი დაინახა და სამი სტილის არსებობა აღიარა. მან ამ დროსაც ახალი ერთიანი სალიტერატურო ქართული ენისათვის უპირატესობა საშუალო, მდაბიურ-დარბაისლურ სტილს მიაკუთვნა. რაც შეეხება თვითონ ალექსანდრე ორბელიანს, იგი ნამდვილად სადა და ყველასათვის ხელმისაწვდომი ქართულით წერდა.

სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძის თაობა, ალექსანდრე ორბელიანის თვალსაზრისი უკვე მოძველებული აღმოჩნდა. დიან, ილიას, აკაკისა და გოგებაშვილის ეპოქაში ალ. ორბელიანის შეხედულება ერთიანი ლიტერატურული ენის საკითხში მოძველებული აღმოჩნდა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის ძველი და უვარგისი იყო. კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ალ. ორბელიანის წერილებს უდავოდ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ორმოცდაათიანი წლების მიწურულსა და სამოციანი წლების დამდეგს საეკლესიო ენის კრიტიკა, მის საპირისპიროდ „ვეფხისტყაოსნისა“ და „სიბრძნე სიცრუისას“ ენისაკენ მოწოდება, რაც ამ წერილებიდან ასე გარკვევით ისმის, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

შემთხვევითი არაა, რომ ალექსანდრე ორბელიანს „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. პირიქით, ფაქტებით დადასტურებულია, რომ იგი ილია ჭავჭავაძის თაობისადმი ფრიად სიმპათიურად იყო განწყობილი და ამ თაობის მოღვაწეობას დიდად აფასებდა.

1864 წლის იანვარში ჟურნალ „ციცკარში“ დაიბეჭდა ალ. ორბელიანის წერილი „მოთმინებისაგან გამოსვლა“, რომელიც არსებითად ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“ შეეხება. როგორც ცნობილია, 1864 წლის დამდეგიდან ილიას ჟურნალმა არსებობა შეწყვიტა. ალექსანდრე ორბელიანის წერილი სწორედ ამ ფაქტს ეხმაურება და ამ გამოხმაურებაში ცხადად იგრძნობა მისი გულთბილი დამოკიდებულება თერგდალეულთა ჟურნალისადმი. შინაარსის მიხედვით წერილი დაწერილია იმ დროს, როდესაც „საქართველოს მოამბე“ დახურვის წინაშე დგას. ავტორს სწორედ ის

მიზანი ამოქმედებს, რომ ქართველობამ ეს საფრთხე თავიდან აიცილოს და ეურნალი შეინარჩუნოს.

ალექსანდრე ორბელიანი ამ წერილშიც თავის მსჯელობას ქართული ენის მნიშვნელობაზე ამყარებს. ჩვენი მშვენიერი ენაო, — ამბობს იგი, — ჩვენმა წინაპრებმა „თავისის სისხლით შეინახეს იმდენის საშინელის ბარბაროსებისაგან“ და ჩვენ გადმოგვცესო — „ანდერძათ, რომ გაუფრთხილდეთ და დამკვიდრებულიცა გექონდეს მარადის“. აქაც, ისევე როგორც ზემოგანხილულ წერილებში, ავტორი ქართული ენის გადარჩენისა და გაძლიერების უპირველეს საშუალებად პერიოდულ გამოცემებს აღიარებს. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს ერთსა და იმავე პერიოდში ეურნალების — „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ — არსებობით, თუმცა ისინი ხშირად ერთმანეთს ეკამათებიანო. ეურნალები აუცილებელიაო საზოგადოების კეთილდღეობისათვის: „იქ იწერება ყოველი კარგი და ნაკლულევანება ჩვენი. საიდგანაც დაინახება კარგი და ავი. კარგი ვისწავლოთ, ავსა მოვერიდნეთო.“ — ამბობს ალ. ორბელიანი.

წერილის მომდევნო ნაწილში ავტორი ეკამათება ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტს, რომელიც ქართულ ეურნალებს („ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბეს“) აუგად იხსენიებს. ამ ეურნალების დასაცავად ალ. ორბელიანი წერს:

„ვინ ამბობს: კარგი მიმართულება არა აქვთო, არც ერთს ქართულს ეურნალსაო. ეს მართალი არ არის. ორივეს მიმართულება საგანგებოა, მაგრამ ჩვენ ქართველურს წრფელსა გულსა, მალე რომ აჯერებინებს წინააღმდეგობა, ამისთვის კარგი არა გვგონია. როგორ არ არის კარგი; აბა რით არიან ცუდი, ფაქტად ქალაღზედ დაწერონ და ვნახოთ პასუხის მიცემას შეიძლებს ვინმე და დამტკიცებიათაც, თუ ვერა“?

შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ მწერლის იმ სიტყვებისადმი, რომლითაც იგი ამ წერილში მიმართავს თანამემამულეებს: „არა, ვის ვაყვედრით. ვის გამოჯავრებული ვანობთ: ხელს აღარ მოუწერთ ჩვენს ეურნალებსაო. ოჰ! გული თრთის ამ სიტყვებზე. ამით ჩვენს თავს დავაკლებთ, სხვას ვის. ეს იქნება ჩვენი თავის ცხადი მტრობა. მთელს ქვეყანაში ჩვენი შესარცხვენია“.

ალ. ორბელიანი გადაჭრით აცხადებს, რომ ქართველი ხალხისათვის ეურნალის არსებობა აუცილებელია და ყველა გონიერი მამულიშვილი ამისთვის უნდა ცდილობდესო. „არამცთუ ორი, შეგვიძლიან ათი ეურნალი გექონდეს ქართველებსა. ეს ნაანგარიშებია, ღმერთს გეფიცებით, რომ სწორეთ ათი ეურნალი შეგვიძლიან ჩვე-



ნი საკუთარი გეჰონდეს, ოღონდ სურვილი იყოს ჩვენი. ამასთან მოთმინება და შემწეობა ჩვენი სიტყვიერებისაო“, — ამბობს ალ. ორბელიანი.

წერილის დასასრულს ავტორი მკითხველებს კვლავ ქართული ჟურნალისადმი მხარდაჭერისა და ხელშეწყობისაკენ მოუწოდებს.

ასე გულწრფელად ზრუნავდა ალ. ორბელიანი ქართული ენისათვის, ლიტერატურისა და ჟურნალისათვის. ეს უანგარო მზრუნველობა და საქმიანობა მის პიროვნებას გარკვევით საპატიო ადგილს ანიჭებს ქართული კულტურის ისტორიაში.

## V

ალექსანდრე ორბელიანის ლიტერატურული შემკვიდრების სისრულით გათვალისწინებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს მის კრიტიკულ წერილებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა წერილები გრიგოლ რჩეულიშვილის „ქკრივის ლიმონებისა“ და დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გარშემო.

დასახელებული კრიტიკული წერილების განხილვამდე საჭიროა აღინიშნოს, რომ ალ. ორბელიანს თავის დროზე გარკვევით აწუხებდა ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა. იგი, როგორც ჟურნალ „ცისკარის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და თავდადებული მოღვაწე, ჩანს, გარკვევით გრძნობდა ლიტერატურული კრიტიკის საჭიროებას, მისი განვითარების აუცილებლობას. წერილში „რამდენიმე სიტყვა გაყრის კამედიანზე“ ალ. ორბელიანი ამბობდა:

„აბა როგორ დავიჯეროთ ჩვენს ქართველებში კარგი მხილებელი არავინ არ იყოს, რომელსაცა შეეძლოს ჩვენი სიტყვიერების განხილვა? — არ არის დასაჯერებელი! ნამდვილად ვიცი, კარგი მხილებელი გვეყვანან და შეუძლიან ჩვენი სიტყვიერების ნაკლებოვანება კარგად განიხილონ, მაგრამ არ ვიცი რა ამბავია, რომ ვერ ვაუბედავთ და შემკრთალნი არიან! უმდაბლესად მოგმართავეთ და ვედრებით ვითხოვეთ, ვისაც შეგიძლიან, ჩვენი ქართულის ტომისაკენ გადმოიხედოთ, ჩვენი სიტყვიერების განსახილველად“<sup>1</sup>.

ეს სტრიქონები 1857 წელს იწერებოდა, იმ დროს, როდესაც ივანე კერესელიძის „ცისკარი“ ის იყო დაარსდა და პერიოდული

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1857 წ., № 9.

გამოცემისათვის ესოდენ საჭირო ტერმინები ჯერ კიდევ საბოლოოდ დაზუსტებულიც არ იყო. ასე, მაგალითად, ზემოთ მოყვანილ ამონაწერში სიტყვა „მხილებელი“ კრიტიკოსის მნიშვნელობით იხმარება, ხოლო „ტომარი“ („სიტყვიერების ტომარი“) სალიტერატურო ჟურნალს ნიშნავს.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა საყვედურები სალიტერატურო კრიტიკის ერთგვარი დაბალი დონის გამო თვით მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში. რაღა თქმა უნდა, ეს სიძნელე კიდევ უფრო საგრძნობია სამოციანი წლების პირველ ნახევარში (1857—1860 წწ.), როდესაც იწერება ზემოთ დასახელებული კრიტიკული წერილები. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ალ. ორბელიანის მსჯელობანი ლიტერატურის თეორიის საკითხებზე დღეს ერთგვარ გულუბრყვილობადაც წარმოგვიდგება. აქაც საჭირო და აუცილებელია ანგარიში გაეწიოს კონკრეტულ ისტორიულ პირობებს. იმ ლიტერატურულ გარემოს, რომელშიც მისი ესა თუ ის კრიტიკული შენიშვნა იწერებოდა.

ალექსანდრე ორბელიანის კრიტიკული წერილი გრიგოლ რჩეულიშვილის „ქვრივის ლიმონების“ გარშემო 1857 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა, ხოლო შენიშვნები დანიელ ჭონჭაძის „სურამის ციხის“ თაობაზე დღემდე ხელნაწერის სახით ინახება მწერლის არქივში.

ალექსანდრე ორბელიანის ეს წერილები — როგორც ერთი, ისე მეორე — მკაცრი კრიტიკული ხასიათისაა. იგი ამ თხზულებებს გადაჭრით იწუნებს. ამიტომაც საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი მოთხოვნებითა და საზომით უდგებოდა იგი დასახელებულ ნაწარმოებებს?

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „სურამის ციხის“ გარშემო დაწერილი კრიტიკული წერილის შესავალი სტრიქონები. ალექსანდრე ორბელიანი ამბობს: „რამანი ანუ მოთხრობა რა არის? — ნამდვილი საგნიდან გააკეთონ, ეს არის, თუ ჭორიდგან? — ვინც იცის, ძამიგებს: ნამდვილიდგან, მხოლოდ დიას გაფრთხილებით და დაფარულად სახელების გამოყვანით, რომ განგაში არ მოხდეს ხალხში. ვიზედაც არის უწყინად იგრძნოს, დაიჯეროს და გასწორდეს კიდევ თვისებაში. აი ეს არის რამანისა და მოთხრობისა მიმართულება“.

მაშასადამე, ალექსანდრე ორბელიანის აზრით, მოთხრობა და რომანი ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ მოვლენებზე უნდა იწერებოდეს, მაგრამ „დიას გაფრთხილებით და დაფარულად სახე-



ლებს გამოყვანით“. ავტორი ასეთი სიფრთხილისაყენ მოუწოდებს იმ მოსაზრებით, რათა მხატვრულ ნაწარმოებში გამოყვანილი ადამიანი იმდენად კონკრეტული არ იყოს, რომ მკითხველს შეეძლოს ხელი მიუშვიროს და თქვას: „აგერ ის არისო“. ალექსანდრე ორბელიანი განსაკუთრებით მოითხოვს რეალური (ისტორიული თუ თანამედროვე) მოვლენების სისწორით გადმოცემას. გასაგებია, რომ ამით იგი ნებისთნეულ უნებლიეთ, მწერლის მიერ აღებული მოვლენების მხატვრული განზოგადების წინააღმდეგ გამოდის.

საინტერესოა ვიცოდეთ როგორია მისი აზრი გრ. რჩეულიშვილისა და დ. ჭონქაძის თხზულებებზე და რას უწუნებდა იგი მათ ცალკ-ცალკე?

წერილში „ქვრივის ღიმონების განხილვა ანუ კრიტიკა“ ალ. ორბელიანი გრიგოლ რჩეულიშვილის ამ ნაწარმოებს გარკვევით იწუნებს. იგი გადაჭრით აცხადებს, რომ ეს თხზულება „ისტორიისათვის? — უფარგია. რამანი? — რამანის აჩრდილი არ არის. მოთხრობა? — არც მოთხრობად ითქმის“, და შემდეგ: „რა არის უფალი რჩეულოვის თხზულება ესე? — არც უწინდელს ჩვენს ზნეობაში შემოვა ესენი, არც ჩვეულებაში, არც ქცევაში, არც მართებულობაში, არც ხასიათში, არც ზრდილობაში და სრულიად არაფერში“, — დაასკვნის ალ. ორბელიანი.

განსახილველი თხზულების ასეთი შეფასების შემდეგ კიდევ უფრო საინტერესოა ის კონკრეტული შენიშვნები, რომელთაც ალ. ორბელიანი თავის კრიტიკულ წერილში იძლევა. მისი უმთავრესი შენიშვნები შემდეგია:

I. გრიგოლ რჩეულიშვილის თხზულებაში მოქმედება წარმოებს იმ დროს, როდესაც მეფე ერეკლე სამოცდათექვსმეტი წლის არის. ე. ი. 1796 წელს. ალექსანდრე ორბელიანი მიუთითებს 1795 წლის კრწანისის ტრაგედიაზე და აღნიშნავს, რომ 1796 წელს კვლავ მოელოდნენ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას საქართველოზე. ეს მოლოდინი იმდენად სერიოზული იყო, რომ ერეკლე მეორემ საკუთარი ოჯახი თელავში გადახიზნაო. აქედან ალ. ორბელიანს გამოჰყავს დასკვნა, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქართველ მეფეს არ შეეძლო დრო გამოენახა ან გული ჰქონოდა ისეთი საქმეებისათვის, რაც ამ მოთხრობაში არის გადმოცემული.

II. მეფე ერეკლეს ასაკის მოშველიებით ალ. ორბელიანი ადგენს, რომ ანასტასია ბატონიშვილი, რომელიც გრ. რჩეულიშვილის თხზულებაში კეკეს მეგობრადაა გამოყვანილი, ამ დროს მხოლოდ თოთხმეტი წლისა იქნებოდა. ამის შემდგომ იგი ამბობს: აბა, „ამ



პატარა ქალს რა მახლობლობა ანუ მეგობრობა უნდა ჰქონოდა და ორის წლის ქვრივ ქალთანო“.

III. ალექსანდრე ორბელიანი საყვედურობს იმის გამო, რომ გრიგოლ რჩეულიშვილი ამბობსო ერეკლეზე „ვითომც ვერას ღონისძიებით კარგი ქცევა ვერა ესწავლებინოს რა კახელებისათვის და ამაზედ შეწუხებულიყოს მეფე. ესეც კახელების საწინააღმდეგოდ არის თქმული“. ამის შემდეგ ავტორი გარკვევით გმობს საზოგადოდ კუთხური კარჩაკეტილობის ტენდენციას და აცხადებს, რომ კახეთი ყოველთვის ქართლთან ერთად ეწეოდა ეროვნული ცხოვრების ჰაპანს. ქართლი და კახეთი ოდითგანვე მისდევდნენო „ერთს ზნეობას, ერთს ზდილობას, ერთს ჩვეულებას, ერთს ხასიათს და სრულებით ერთ გვარათაც ცხოვრობდნენ, რომ განსხვავება არა იყორა იმათში. ამის შემდეგ, თუ ჩვენ ქართლელები ვიქნებოდით კარგნი, კახელები რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ კარგნი“?

IV. ალექსანდრე ორბელიანი განსაკუთრებით გამწყრალია იმაზე, რომ გრიგოლ რჩეულიშვილმა ერეკლე მეფეს „უგონო მოხუცებულნი“ უწოდაო. ამის გამო იგი მკაცრად უმასპინძლდება „ქვრივის ღიმონების“ ავტორს. წერილის უკანასკნელ სტრიქონებში, იმის შემდეგ, რაც გრ. რჩეულიშვილი შედარებულია იმ კაცთან, რომელმაც თურმე სახელის მოსახვეჭად დიდი შენობა გადაწვა. ალექსანდრე ორბელიანი ამბობს: „ამ თქმაზე არ უნდა გაწყრეს უფალი რჩეულოვი. თუ ის მეფეს ირაკლის. იმ საკვირველს კაცს. ისე დამდაბლებით ახსენებს და საგიებელს სიტყვას იტყვის იმაზე. მგონია მე უფრო არ დავიძრახო სწორეთ თქმაზე უფალ გრიგოლ რჩეულოვის მიმართ“.

ალექსანდრე ორბელიანი თავის კრიტიკულ წერილში „ქვრივის ღიმონების“ გამო სხვა შენიშვნებსაც აკეთებს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რაც აქამდე ითქვა. დასასრულ, ავტორს გარკვეული მიზანი ამოქმედებდა ალბათ იმ მომენტშიც, როდესაც ამბობდა: „ის რჩეულოვის თხზულება ასეთი რამ არის, რომ თუ დაწვრილებაში შევიდა ვინმე და ნამდვილად განიხილა, ერთი კარგი დიდი წიგნი მოვა ის განხილვაო“.

შესაძლებელია ალ. ორბელიანის ამ წერილში ზოგი რამ სადავო და საცილობელი იყოს, მაგრამ მასში არის რიგი საყურადღებო მონაცემები, რომელთაც ანგარიში უნდა გავწიოს.

ალექსანდრე ორბელიანის წერილი „დართულს დართული“ დაწერილი უნდა იყოს 1860 წელს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი იმ დროს არ გამოქვეყნებულა. წერილი დანიელ კონქაძის „სურა-



მის ციხეს“ შეეხება და ავტორი, გარკვეული პოზიციებიდან, მკაცრად აკრიტიკებს ამ თხზულებას.

წერილის დასაწყისში ალ. ორბელიანი ადამიანურ გულისტიკვილს გამოთქვამს დანიელ ჭონქაძის ნაადრევად გარდაცვალების გამო. „გვეწყინა იმისი გარდაცვალება, იმისთანა ყმაწვილი კაცის დაკარგვა საქართველოს დანაკლისია. ეტყობა იმის თხზულებასა, კარგათ გაიმართავდა ხელს იმ გვარს მწერლობაში, იქნება ბოლო დროს დიდი სახელიც დარჩენოდაო“, — ამბობს იგი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდრე ორბელიანი ამ წერილის შესავალში წერდა, რომ მოთხრობა და რომანი უნდა „ნამდვილი საგნიდგან გააკეთონ“ და არა ჭორად გაგონილი ამბებიდანაო. ორბელიანის უმთავრესი საყვედური დანიელ ჭონქაძისადმი იმაში მდგომარეობს, რომ მისი აზრით „სურამის ციხე“ სწორედ ასეთ „მოჭორილ“ ამბებს ემყარება.

კრიტიკული წერილის ავტორი პირდაპირ ამბობს:

„მოყოლიან და საყვირს აყვირებენ: გლახსა კევრში აბამს მებატონეო, გლახსა არბენინებსო კალოში და სხვანი... თუ სწერთ რამანს ანუ მოთხრობასა, რატომ არ გამოიკითხამთ მართალსა და ტყუილსა, იმის კევრში შებმა და კალოში სირბილი დედაშვილისა მართალია თუ არა? მე ნამდვილათ ვიცი გაგონილს ჭორზედ არის აშენებული ის თხზულება ჭონქაძისა, ამისათვის რომ ვინც და რომელმანცა გააკეთა ის ჭორი და სახალხოთ გამოიტანა, მრცხვენნიან. თორემ იმ მეშურნის სახელს გამოვაცხადებდი, ყველა ვიცი წერილად“.

უმნიშვნელო გარემოება არაა, ალ. ორბელიანი თვითონაც აღასტურებს, რომ ბატონისაგან ყმების „ძირიანათ აკლება“ ბევრჯერ მომხდარა, მაგრამ მას მაინც მიაჩნია, რომ „სურამის ციხეში“ ამ მხრივ გადაჭარბებაა. „მართალია, — წერს იგი, — ახლანდელი ჩვენი ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯერ მომხდარა თავის ყმების ძირიანათ აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგრამ ეს ამგვარი საქმეები სრულებით არ მომხდარა ამ ჩვენს ქვეყანაში, ნამეტნავად იმ პირებისაგან, ვიზედაც ამბობს ჭონქაძე. ამ გვარს საქმეებსა ძალიან კარგათ გამოიკითხვა უნდა და მას უკან შეუდგეს წერას, თუ არადა აჩქარებით სოფელი არ აშენებულა“.

ალექსანდრე ორბელიანს მიაჩნია, რომ „სურამის ციხეში“ გამოყვანილია კონკრეტულად ერთი ქართველი თავადი, რომელსაც იგი პირადად იცნობს და რომელიც არ იყო ისეთი მკაცრი მებატო-

ნე, როგორადაც დანიელ ჭონქაძემ წარმოგვიდგინაო მოთხრობაში ორბელიანი ამბობს:

„საქართველოში თუ ითქმის კარგი მებატონე გლეხებისა ის იყო, ვინც განკიცხა ჭონქაძემ. გლეხებისათვის ჩავარდა ვალში, საკმაოდ ვერ იმსახურებდა მეტის სიბრაღელის გაშო გლეხებისა. რამდენსამე წელიწადსა სამსახურში გამგზავნეს შორს ქვეყანას, სადაც თავის მეუღლეცა წაიყვანა: მხოლოდ იმისათვის: ყოველი ჩემი გლეხი ჩემის გამოსაღებიდგან განვათავისუფლოვო, და კიდევ აღასრულა ეს სიტყვა“.

ალექსანდრე ორბელიანი იმავე პოზიციებიდან განაგრძობს „სურამის ციხის“ კრიტიკას და ამტკიცებს, რომ ღურმიშხანი, როგორც კონკრეტული პიროვნება, არ არსებულა. იგი წერს: „ჩემო ხელმწიფენო! აბა ახლა მიბძანეთ ის ღურმიშხან ვინ არის. მე არ გამიგონია იმისი სახელი და არც ყოფილა იმათ სახლში, რომელიცა ყველას ვიცნობდი იმათ კერძობასა, დიდსა და პატარას. დაგარწმუნებთ, რომ ღურმიშხან არაეინ ყოლია იმას და არც მომხდარა ამგვარი რამ ამბავი იმათ სახლში, თორემ მე მეცოდინებოდა“.

გასაგებია, რომ ალ. ორბელიანის ეს მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს. შეუძლებელია „სურამის ციხის“ იდეურ-თემატიკური სფერო ისე ვიწროდ შემოიფარგლოს, რომ იგი ერთი რომელიმე მებატონის კარმიდამოში მოთავსდეს. ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ვნახეთ, დანიელ ჭონქაძის მოთხრობაში მაინცადამაინც კონკრეტულ ადამიანებს ხედავს და იქამდე კი ვერ მალღდება, რომ ამ თხზულების საერთო ლიტერატურული მნიშვნელობა ფართო განზოგადებით წარმოიდგინოს და ამის მიხედვით შეაფასოს.

ასეთია ალექსანდრე ორბელიანის კრიტიკული წერილების ძირითადი შინაარსი და ხასიათი.

## VI

ალექსანდრე ორბელიანის მხატვრული შემოქმედებითი მემკვიდრეობა საკმარისად მრავალფეროვანია. მის კალამს ეკუთვნის ლექსები, მოთხრობები და დრამატული თხზულებები.

ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ შემოქმედებას არსებითად ერთი ძირითადი თემა განსაზღვრავს. ეს არის მისი მშობლიური ქვეყნის მდგომარეობა აწმყოსა და მომავალში. მწერალი გარკვევით ამჟღავნებს მისდროინდელი საქართველოს მდგომარეობით უკმაყოფილებას. ეს არის მთავარი. თავისი ეპოქის სინამდვილეს





შეურიგებელი მწერალი მომავლისადმიც შიშის გრძნობით განწყობილი, ხოლო აწმყოსა და მომავლის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივად წარსულის აჩრდილებისადმი პატივისცემის გრძნობას იწვევს.

ძველი საქართველოს რომანტიკული გაიდება არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ალ. ორბელიანის თითქმის ყველა მხატვრული ნაწარმოებისა, სულერთია ლექსი იქნება იგი, მოთხრობა თუ დრამა. დიახ, ორბელიანისათვის ჩვეულებრივია საქართველოს წარსულისადმი განსაკუთრებული სიყვარული, პესიმიზმის სათავეც აქაა, მაგრამ წარსულის ეს ქება-დიდებაც მშობლიური ქვეყნისადმი უანგარო სიყვარულიდან გამოდის და საბოლოოდ იმავე ქვეყნის უკეთესი მომავლის მიზანს ემსახურება. წერილში „ზოგიერთი შემჩნევა“ ალ. ორბელიანი პირდაპირ ამბობს:

„არ ვიცი რა არის, რათ ეთაკილებათ ზოგიერთებს, როდესაც ძველს ამბებზედ მოგვყვებით ხოლმე ლაპარაკს? მაშ როგორ შევითყობთ რაგვარი ყოფილა ჩვენი ძველი დრო, რომ იქიდგან ახალი უკეთესი გაკეთდეს? ჩვენს ძველს დროსა ვინც თაკილობს და მაშინდელი არა უნდარა გაიგონოს, ეს არ არის შორს დანახვა და არც ამისთანას უწოდებ მე. ახალის მიმართულებისას ძველი აღარა უნდარა, ასეც უნდა იყოს, მაგრამ გონიერი ახალი მიმართულებისა, ძველს ამბავსა მოიკითხავს, ანუ გამოიკითხავს; იმ სათავედგან ახალს საქმეს შეუდგება და ამ ტოტით საწადელსა მიეხწევა“<sup>1</sup>.

ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში არა ერთგზის გვხვდება ძველი ქართველი მეფეებისა და სახელოვან ადამიანთა ქება-დიდება. საჭიროა აქაც ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებშიც მწერალს პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძნობა ამოქმედებს და არა მაინც-დამაინც წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია. დამახასიათებელია ალ. ორბელიანის ერთი წერილი, რომელშიც იგი მისდროინდელ ქართველობას განათლებისა და კულტურისაკენ მოუწოდებს.

მწერალი გრძნობით მიმართავს თავის თანამედროვე მამული-შვილებს: „აი ძმებო! ეხლა, ამ მამულის ტრაპესზედ, ჩვენი მამების აჩრდილები მოგვისხდნენ გვერდით უხილავათ, რომელნიც გვლოცენ და მამულის გზასა გვაჩვენებენ კეთილსა; კეთილსა განათლებასა და თან გვჩურობებენ ყურში: „ჩვენ ჩვენი მამული ხმლით დავიცევით და თქვენ თქვენის განვითარებით ალაყვავეთ ფასდაუ-

<sup>1</sup> ალ. ორბელიანი, თხზულებანი, 1879 წ., გვ. 227.

დებელი თქვენი მშობელი მამულიო: ეს გახლავთ იმათი ანდერძი<sup>1</sup> ალექსანდრე ორბელიანის ამ სიტყვებისათვის ანგარიშის გაწევა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ძველი საქართველო და ძველი ქართველი სახელოვანი გმირები მის ნაწერებში ქარბადაა წარმოდგენილი.

ლექსში „საქართველოს გაზაფხული“ გამოხატულებას პოელობს მწერლის უზადო და უანგარო სიყვარული მშობლიური ქვეყნისადმი. მუდამ ტურფა ივერია მთლად წარმტაციაო გაზაფხულზე, როდესაც მისი მთა და ბარი ლამაზი პატარძალივით ირთვება და იკაზმება. ამ დროს საქართველოს დათმობა იმდენად საძნელოა, რომ თვით ბერიკაცის სიკვდილიც დასანანია, ანუ, როგორც ავტორი ამბობს:

ცა, ქვეყანა, სულიერი,  
გაზაფხულსა შეეხარვის,  
ამ დროს რომე კაციც ბერი  
მოკედეს, ვფიცავ, ცოდო არის.

მწერალი გულით შეტრფის „ძველთ უძველეს“ კავკასიას, მის ცათაზიდულ მთებს, მუდამ მწვანე ტყეს და ველებს, იგი სათუთად ეამბორება მთელს კავკასიას, რადგან მისი მრავალჭირნახული საქართველო აქ ეგულება. ლექსში „კავკაზიის მთები მაშუკის მთიდგან“ ავტორი მხურვალედ მიმართავს თავის საოცნებო ქვეყანას:

შენ გემგოსნი,  
შენ გინეტარებ,  
შენ შეგამკობ,  
შენ შემოგტრფი,  
შენ თავყვანსა გცემ მოწიწებით.

პატრიოტული ხასიათის ლექსებიდან გარკვეული ინტერესის შემცველია მისი „რუსთაველი“, „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი“ და სხვ. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანი თავისი ლექსებით ეპოქის სიმაღლეზე ვერ დგას. ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის გვერდით ალექსანდრე ორბელიანი, როგორც პოეტი, მაინცდამაინც მნიშვნელოვან ადგილს ვერ იკავებს. მისი ძალა, როგორც მწერლისა, არსებითად მხატვრულ პროზასა და დრამატურგიაში მოჩანს.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-1634, გვ. 52.

კეთილშობილური პატრიოტიზმის მოტივზეა გაშლილი ალ. ორბელიანის მოთხრობა „უმანკო სისხლი“. თხზულება მგრძნობიარე სტრიქონებით იწყება. არა მგონიაო, — ამბობს მწერალი: — ერთი მცირედი ადგილი იყოს ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენს წინაპართ სისხლი არ დაეღვაროთ იმ ადგილზედ თავის მამულისათვის და სარწმუნოებისათვის“.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ ნაწარმოებში გადმოცემულია ხუთი პატრიოტი ქართველის თავგანწირვა უცხოელ მარბეველთა ერთი თავდასხმის დროს. ეს არის თემა მოთხრობისა, ხოლო იდეა, მიზანდასახულობა მწერლისა იმაში მდგომარეობს, რომ აჩვენოს ქართველთა თავდადება მამულისა და საკუთარი ადამიანური ღირსების დასაცავად.

სამი ქართველი ქალიშვილი სოფლიდან, მშობლებისა და ნათესავებისაგან გამოპარული, თბილისში ჩამოვიდა და აქ მამადავითის საყდრის გალავანში მცხოვრები მღვდლის ოჯახში დაბინავდა. ნათესავების თხოვნით საქმეში თვითონ მეფეც ჩაერია. იგი შეეცადა, რომ ეს ქალიშვილები უკანვე გაეგზავნა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ისინი საბოლოოდ „მთაწმინდაში დაემკვიდრნენ ღვთის შვილებად“. მღვდელი, მისი ცოლი და სოფლიდან ჩამოსული ქალიშვილები — ანა, ბარბარე და მართა „ორი წელიწადი დიად მშვიდობიან ცხოვრებაში იყვნენ“.

ერთ დღეს საქართველოს თავს დაესხა სპარსელების დიდი ლაშქარი. მათ უმოწყალოდ დაარბიეს ქალაქი თბილისი და გაეღიტეს მშვიდობიანი მოსახლეობა. მთაწმინდაში მყოფი ბერ-მონაზვნები ხედავდნენ ქალაქის მცხოვრებთა უბედურებას, მაგრამ ისინი არც ცდილან, რომ საკუთარი სიცოცხლე გადაერჩინათ. „შეეძლოთ ვაქცეულიყვნენ, მთაზედ გადაევლოთ და ერთს მიფარებულს ადგილს თავი მოერჩინათ, მაგრამ თქვეს: რაც თბილისელებს მოუვიდათ, ჩვენც ის დაგვემართოსო და მტარვალების ხელით დაეიბოცნეთ, ჩვენი მამა-პაპურის სახელოვანის სიკვდილით“.

მართლაც, რამდენიმე წამის შემდეგ ეს ხუთეულიც ვერაგი მტრის მსხვერპლი გახდა. ისინი ერთად აკაფეს და „იმათი სისხლით გაწითლდა ყვავილშერეული ის მწვანოვანი ადგილი“.

მოთხრობის გმირთა გზნებარე პატრიოტული საქმეების საერთო ღირსებას, მათი საქციელის აღმზრდელობით მნიშვნელობას ვერ ამცირებს ის გარემოება, რომ ეს ადამიანები ბერ-მონაზვნები

არიან. ალექსანდრე ორბელიანისათვის, ისევე როგორც ძველი ქართველი მწერლებისათვის, ქრისტიანობა და საქართველო ერთმანეთისაგან განუყრელი ცნებებია. ერთისადმი სამსახური მეორისათვის თავდადებასა და თავგანწირვასაც გულისხმობს.

პატრიოტიზმის მოტივით არის შთაგონებული ალ. ორბელიანის ნაწარმოებები „ასპინძის ომი“, რომელიც 1869 წელს ეურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა. თხზულება არ ხასიათდება დიდი მხატვრული ოსტატობით. იგი უფრო გულმართალი თხრობაა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე, მაგრამ ეს უბრეტენზიო თხრობაც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი მკითხველის წინაშე აცოცხლებს ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან. როგორც ირკვევა, ალექსანდრე ორბელიანის ამ თხზულებას მკითხველთა წრე გარკვეული კმაყოფილებით შეხვედრია. ცნობილი საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე ეურნალ „მნათობის“ იმ ნომრის წაკითხვის შემდეგ, რომელშიც „ასპინძის ომი“ გამოქვეყნდა, თავის ერთ მეგობარს სწერდა: „ძალიან მომეწონა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის სტატია „ასპინძის ომზედ“. უდრტვინველოდ ვერ წაიკითხავს კაცი ამ სტატიას. მართო ამ სტატიის წაკითხვისათვისაც გამოიწერდა კაცი „მნათობსა“<sup>1</sup>.

ალექსანდრე ორბელიანის ამ ნაწარმოებში გადმოცემულია ქართველი ხალხის მიერ გადახდილი ერთ-ერთი ომი თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელიც 1770 წელს ასპინძის ველზე მოხდა. ავტორი მოგვითხრობს გენერალ ტოტლებენის ჩამოსვლას საქართველოში და შეთანხმებას მეფე ერეკლე მეორესთან, რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირზე თურქეთის წინააღმდეგ. თხზულებაში შედარებით მოკლედაა გადმოცემული ტოტლებენის მიერ რუსის ჯარის უკან წამოყვანა იმ დროს, როდესაც ომი უკვე დაიწყო. მწერლის ინტერესი არსებითად იმაში მდგომარეობს, რათა აჩვენოს ქართველთა საგმირო საქმეები იმის შემდეგ, რაც ისინი რიცხვმრავალ მტერთან საკუთარი მცირე ძალის მოიმედენი აღმოჩნდნენ.

ნაწარმოებში ხაზგასმულია ერეკლე მეორის, როგორც მეფისა და მხედართმთავრის, განსაკუთრებული გონიერება, სიმტკიცე და გაუტეხლობა. რამაც განსაზღვრა არსებითად ქართველთა გამარჯვება ამ უთანასწორო ომში. ერეკლეს პიროვნება კიდევ უფრო ამაღლებულად წარმოგვიდგება მას შემდეგ, რაც ცნობილი ხდება

<sup>1</sup> ქუთაისის საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი, ფონდი № 569.



ტახტის მემკვიდრის გიორგის მდგომარეობა და საქმეების განმარტება ნადაც მახვილია ერეკლეს ჰკუა და ხმალი, იმდენად მძიმე და მოუქნელი მოჩანს გიორგი, როგორც მომავალი მეფე და პატრონი ქართველი ერისა. განსხვავება მამა-შვილს შორის ნაწარმოებიდან გარკვევით იგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამ ფაქტზე მაინცადამაინც ყურადღების გამახვილებას არც ცდილობს.

ერეკლესა და, საზოგადოდ, ქართველ მეომართა საგმირო საქმეები, მათი უანგარო თავდადება და თავგანწირვა სამშობლო ქვეყნის გადასარჩენად, მკითხველში ბუნებრივად აღძრავს კეთილშობილური პატრიოტიზმის გრძნობას.

ასპინძის ველზე ომგადახდილთა დამსახურებაზე მკითხველის წარმოდგენას აღრმავებს და აფართოებს თხზულების ის ნაწილი, რომელშიც აღწერილია თბილისის მოსახლეობის მძიმე აღამიანური განცდები ამ ომთან დაკავშირებით. დედაქალაქის მცხოვრებთა საერთო მღელვარება, მათი შიში და ძრწოლა ფრონტიდან მიღებულ ყოველ ახალ ცნობასთან ერთად იმის მაუწყებელია, რომ ასპინძის ველზე მთელი ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება.

ასევე პატრიოტიზმის მოტივზეა გაშლილი ალ. ორბელიანის ნაწარმოები „კეთილი ბერიკაცი“, რომელიც 1852 წელს დაიწერა. თხზულება ოთხი ნაწილისაგან (ამბისაგან) შედგება და მოთხრობილია სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველების ერთი თავდაცვითი ომის ამბავი. ეს ომიც ერეკლე მეორის ეპოქაში წარმოებს. აქაც ავტორის მიზანია აჩვენოს ძველი ქართველების თავდადება და თავგანწირვა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ნაწარმოებში საკმარისად ძლიერად არის დახატული კეთილი ბერიკაცის ბერუას. ახალგაზრდა ქართველი ქალის თამარის, ზორაბასა და სხვა მოქმედ პირთა სახეები<sup>1</sup>.

## VII

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ალ. ორბელიანის თხზულება „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე“. თუ სხვა ნაწარმოებებში ავტორის ინტერესი მეტწილად ისტორიული მოვლენების წრეში ტრიალებს, „არაკი ტარტაროზისა“ უშუალოდ მწერლის ეპოქის ფონზე იშლება. თხზულებაში მოცემულია საქ-

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.  
S—1644.

მაოდ მკაცრი და გაბედული კრიტიკა მწერლის თანამედროვე ქართული სინამდვილისა. „არაკი ტარტაროზისა“ ნიჭიერი სატირული მოთხრობაა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის 50—60-იან წლებში შექმნილ ამ ხასიათის თხზულებათა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

მოთხრობაში „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე“ გაკრიტიკებულია ქართველი ხალხის ცხოვრებაში მწერლის მიერ შენიშნული მანკიერი მხარეები: ურთიერთმტრობა, შური და გაუტანლობა. ვარდა ამ აქტუალური სოციალური შინაარსისა, ალექსანდრე ორბელიანის ეს თხზულება მწერლური ოსტატობის მხრივაც საკმარისად ძლიერია, რაც ხელს უწყობს მის საერთო მიმზიდველობას. მწერალი მოხდენილად შერჩეული ამბის წყალობით მკითხველის ყურადღებას თავიდანვე იმორჩილებს. შემდეგი მოვლენები კიდევ უფრო საინტერესო ხდება და ეს ინტერესი მოთხრობის დასასრულამდე გრძელდება.

მწერალი თხზულების პირველი სტრიქონებიდანვე ძირითადი ამბის თხრობას იწყებს.

დიდოთხშაბათის საღამოა. საქართველოს თითქმის ყველა სოფელში ჭიაკოკონობაა გაჩაღებული. ამ დროს გლეხი დავითა შემთხვევით სტუმრად მოხვდება მეზობელ სოფელში, ნათლულების ოჯახში. აქ მას მხოლოდ ნათლიდედა დაუხვდება. გულმართალ და ღვთისმორწმუნე გლეხს ჭკუაში არ უჯდება, რომ მისი ნათლიდედა გაკაპანებით ლაპარაკობს ჭიაკოკონაზე. ქალი იმაზე ცხარობს, რომ ხალხს კუდიანების საწინააღმდეგოდ ჭიაკოკონები აუნთია. მორწმუნე გლეხს თავიდანვე არ მოსწონს ნათლიდედის ასეთი საქციელი, ხოლო როდესაც იგი გაიგებს, რომ ამ ქალს ქმარი და შვილები, რაღაც არაკეთილი მოსაზრებით, სხვაგან გაუსტუმრებია, დავითა უკვე გარკვეული ეჭვის თვალით უყურებს მასპინძელ ნათლიდელს.

გლეხი დავითა, მასპინძლისაგან გულგრილად მიღებული, საწოლიდან ფხიზლად თვალყურს ადევნებს ნათლიდედის საქმიანობას. ცოტა ხნის შემდეგ ქალი, რომელსაც ჰგონია სტუმარს სძინავსო, გოდრიდან კატას გამოიყვანს, შეაჯდება, ფეხებზე საიდუმლო კოჭობიდან ამოღებულ წამალს („კუდიანების კვინტილას“) წაისვამს. ამის შემდეგ იგი თვალის დახამხამებაზე დედამიწას მოწყდება. ბანში ავარდება და ცის სივრცეში უგზო-უკვლოდ იკარგება. ცნობისმოყვარე დავითა იმ წამალს გასინჯავს და შემთხვევით ქალამნებსა და შარვალზე წაიცხებს. „ამ დროს იმის მახლობლად ერთი დიდი



ცოცხი იდო, იმას წამოავლო შიშით ხელი, უნდოდა იმით მოეწინა-  
და კვინტილა, ამ დროს ის ცოცხი ლაჭებში შეუქდა ნათლია და-  
ვითას და მაშინვე აიტაცა ბანში“. ამრიგად სტუმარიც ნათლიადედის  
კვალს გამოუდგა.

ზეცაში, მისთვის სრულიად უცნობ და საშიშ გარემოცვაში, ეშ-  
მაკებსა და კუდიანებს შორის, დავითამ რამდენიმე ქართველი შე-  
იცნო — ქალი და კაცი. „ზოგი ძალღზე იჯდა, ზოგი ღორზე, ზოგი  
კატაზე, ზოგი მამალს ქათამზე, ზოგი მოკაკულს ჯორზე და სხვადა-  
სხვას რაღაც სასაცილოებზედ ისხდნენ, თავ-თავისად ყველანი“. აქვე ნახა დავითამ თავისი ნათლიადედა, რომელიც გულუბრყვილო  
გლახს მაშინვე ეკითხება: „შე მეხ დასაცემო, რა გინდა შენ აქაჲ  
ქალის კითხვას დავითა გულმართლად და გაბრაზებით პასუხობს:  
„ღმერთმა ნუ იცის შენი თავი და ტანი, შე შეჩვენებულო, მე სულ  
გიყურებდი, ის კვინტილა მეც უნებურად მოვისვი და უკან გამო-  
გიდგე“.

დავითასა და კუდიან ნათლიადედას შორის საუბარი იმართება.  
მოწინააღმდეგე შეგნების ადამიანთა ამ საუბარში მწერლის მიერ  
მზის სინათლეზეა გამოტანილი მთელი სიივე და სისაძაგლე იმ გა-  
რეწრებისა, რომელნიც პირადი ბედნიერების მოსაპოვებლად მზად  
არიან ასობით და ათასობით კეთილი ადამიანი იმსხვერპლონ. ეს  
ადამიანობაზე ხელადებული და ტარტაროზის ერთგულებაზე  
ფიცმიღებული ქალი თავის მოსაუბრე დავითას პირდაპირ მიმარ-  
თავს:

„ჩვენი ხელობა არის: სიბლუტე, სიცრუევე, ცბიერება. მოტყუ-  
ება, ბოროტება და ფარულად ვსცდილობთ სხვებსაც ეს ვასწავ-  
ლოთ, რომ კეთილი აღარსად იყოს, გარყვნილობის მეტი“. ნათლის  
შეკითხვაზე, თუ იგი რატომ მაინცდამაინც ბოროტების გზას დად-  
გომია, ქალი უპასუხებს: „რას ამბობ შე გამოშტერებულო დავითავ-  
სიბლუტით, სიცრუით, ცბიერობით და გარყვნილობით ყოველთვის  
სინარულში და დღესასწაულშია კაცი და ფულიც გამოუღველო  
აქვს, მარა კეთილი უძრავს მოხუცებულსა ჰგავს, რომლისაგანაც  
არაფრისთანა ნაყოფი არ იქნება იმისაგან“.

ნაწარმოებიდან მთელი სიცხადით იგრძნობა ავტორის მიზანდა-  
სახულობა — უარყოს ის საზიზღარი საქმეები, რომელსაც ეს სულ-  
გაყიდული ქალი ქადაგებს. რაღა თქმა უნდა, გულმართალი და  
გულსრული გლახი დავითა მწერლის ჰუმანისტური იდეის გამომ-  
ხატველია.

დავითა საშინელ მდგომარეობაშია. იგი ეშმაკებსა და კუდიან-

ნებს შორისაა. მოულოდნელი არაა, რომ ქართველ ვლენს სძაგს და ეზიზღება ეს კუდიანი არსებანი და ის ადგილი, სადაც ადამის ტომის ეს დაუძინებელი მტრები შეკრებილან. შიშის გრძნობით შეპყრობილ დავითას გამოუჩნდება ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც მას მფარველობას აღუთქვამს და თანაც წინადადებას აძლევს, რომ მათ ერთად ნახონ მოსალოდნელი მდგომარეობა და საქმეები.

დავითას თვალწინ იშლება მძიმე სანახაობა: მბრძანებლის ტახტზე ზის ცბიერი და ვერაგი ტარტაროზი, მის წინაშე რიგრიგობით გამოდიან კუდიანები, რომლებიც ანგარიშს აბარებენ ერთი წლის განმავლობაში თავიანთ „მოღვაწეობაზე“ ცალკ-ცალკე. მათი ღვაწლი იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენი ქართველი გადაიბირეს: ავკაცობის, ფლიდობისა და გაუტანლობის, საზოგადოდ, ბოროტების გზაზე დააყენეს ისინი.

ანგარიშის ჩასაბარებლად პირველი გამოდის მელაზე მჯდომი კუდიანი. იგი თავმომწონედ აცხადებს, რომ მან მარტო ამ ერთი წლის განმავლობაში ტარტაროზის ერთგულებაში ჩააყენა ათასშვიდასი ქართველი. მეორე, ტურაზე მჯდომი კუდიანი ამბობს, რომ მან ექვსასსამი ქალი და კაცი შემატა ტარტაროზის თაყვანისმცემელთა რიგებს. მგელზე მჯდომი კუდიანი ირწმუნება, რომ იმანაც ბევრი ქართველი მოინადირა, თუმცა მათი რაოდენობა ჯერ კიდევ საბოლოოდ დაანგარიშებული არა აქვს. შემდეგში ვითარება ცოტათი იცვლება: ტარტაროზს სრულიად არ აკმაყოფილებს დათვზე, აფთარზე და კატაზე მჯდომ კუდიანთა შრომის შედეგები. მბრძანებელი იმუქრება, რომ იგი მათ სასტიკად დასჯის, თუ მომავალში მაინც არ გაზარდეს მის ერთგულებაში შესული ქართველების რიცხვი. თანამებრძოლთა უხერხულობიდან გამოყვანის მიზნით მელაზე მჯდომი კუდიანი აცხადებს, რომ მომავალში ისინი კიდევ მეტ ქართველს დააყენებენ ბოროტების გზაზე. იგი ბეჯითად მიმართავს ტარტაროზს: „ჩემო ბატონო, ჩემო ხელმწიფეო! რად სწუხართ მაგაზედ. დიახ ბევრნი გახლავან საქართველოს ხალხნი, დედა-კაცნი და კაცნი, ჩვენი კერძნი“.

მოთხრობის ამ ნაწილის გაცნობით მკითხველისათვის ნათელი ხდება საზოგადოებრივი მდგომარეობა ქვეყნისა, რომლის შვილებიც ეს კუდიანები არიან. შეუძლებელია სახარბიელო იყოს აწმყო და მომავალი იმ ერისა, რომლისაგანაც ყოველწლიურად ათასობით ქალი და კაცი ტარტაროზის ერთგულებაში შედის და, მაშასადამე, ადამის ტომის დაუძინებელ მტრად იქცევა.

მიცხვებით ნაწარმოებში მომდევნო თხრობას და შთაბეჭდილება





კიდევ უფრო მძიმე ხდება. ახლა უკვე აშკარად ვგრძნობთ, რომ ქართლოსის მიწაზე ბნელეთის მოციქულთა არმია იმდენად ძლიერია, რომ მათი მსახვრალი ხელი ცხოვრების ყველა სფეროს სწვდება — საეროს და სასულიეროს. ტარტაროზის კითხვაზე, თუ როგორია მდგომარეობა მონასტრებსა და უდაბნოებში, გადმოიბირეს თუ არა ღვთისმსახური პირები, — მელაზე მჯდომი კუდიანი პასუხობს: „ბებერი და მოლოზნებიც სულ ავრიე: ჯერ ერთმანეთში დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოუგდე, ახლა იმასა ვცდილობ, რომ ჩვენი კერძნი შეიქნენ და აქ გაახლო თქვენ წინარე ყველანი. საქართველოს საქმე ახლა ასეა: როგორიც ბერიო, იმისთანა ერიო. ახლა ყველას შევიძლებთ საქართველოში, როგორც გვინდა ისე, ტარტაროზო!“.

კუდიანის ამ სიტყვებში მოცემულია ქვეშაირიტად უღმობელი კრიტიკა საქართველოს საერთო საზოგადოებრივი მდგომარეობისა. მთელი ქვეყანა, ერი და ბერი, ისეთ მდგომარეობაშია, რომ ტარტაროზი და მისი მოციქულები შეძლებენ აქ გააკეთონ ყველაფერი, რასაც მოიწადინებენ.

კვითხულობთ მოთხრობის მომდევნო სტრიქონებს და ეს კრიტიკა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა კიდევ უფრო მწვავე და მსახვრალი ხდება. კუდიანების გამოსტუმრების შემდეგ თავიანთ საქმეებში გამარჯვებული ტარტაროზი და მისი მხლებელი ეშმაკები პირდაპირ გამანადგურებლად დასცინიან ქართველი ხალხის ამ მოლაღატეებს:

„დაგიდგათ თვალი საქართველოს კუდიანებო. ვინც თქვენთაგანი მოკვდება, ისეთს ჯოჯოხეთის ჯურღმულში ჩაგაგდებთ, რომ მართლა საშინელებაში! მოტყუვდით, რა გვენაღვლება. თუ საქართველოს კუდიანები არ იყვნენ, ჩვენს ჯოჯოხეთს ბევრი დააკლდება. გამრავლდით საქართველოს კუდიანებო, გამრავლდით!“ ასე ამბობდნენ და ასე იძახდნენ ბურთსაბძელზე ეშმაკები სიცილით“.

თსხულების მომდევნო ნაწილში, დავითასა და უცნობი კეთილი ყმაწვილის საუბარში, გამოხატულებას პოულობს ავტორის მოწოდება ცხოვრებაში არსებულ სიმანხინჯეთა გამოსასწორებლად მოქმედებისაკენ.

ასე გააკრიტიკა ალ. ორბელიანმა თავისი ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებანი: შინაგანი უთანხმოება, ურთიერთშური და გაუტანლობა, საზოგადოდ, ის უარყოფითი მოვლენები, რომელნიც ხელს უშლიდნენ ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას, წინსვლასა და განვითარებას. ეს უბ-

რადლო გარემოება როდია. ასეთი მამხილებელი კრიტიკა ქართველი მკითხველისათვის ცნობილი ხდება მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული თაობა.

ალექსანდრე ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა“ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში ერთი ბრწყინვალე სატირული თხზულებაა.

## VIII

ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან გარკვეული ინტერესის შემცველია მისი დრამატული ნაწარმოებები. ეს თხზულებები იდეურ-თემატიკურად უშუალო კავშირშია მისივე მხატვრულ პროზასთან. აქაც მწერლის ინტერესი „ძველი დიდების“ წრეში ტრიალებს. იგი მკითხველის წინაშე აცოცხლებს ძველ ქართველ მეფეებსა და სახელოვან გმირებს. მწერალი თავს ევლება ასეთ ადამიანებს და ცდილობს, რომ ეს სიყვარული წარსულისადმი მკითხველსაც გადასცეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი „დავით აღმაშენებელი“ და „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“.

„დავით აღმაშენებელი“ ოთხმოქმედებიანი ისტორიული დრამაა. ნაწარმოების თემად აღებულია დავით მეფის ხელმძღვანელობით საქართველოს განთავისუფლება არაბთა ბატონობისაგან. მწერლის მიზანია მოაგონოს მისდროინდელ ქართველობას სახელოვან წინაპართა საგმირო საქმეები, მათი თავდადება და თავგანწირვა სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ „დავით აღმაშენებელს“, როგორც დრამატულ თხზულებას, ნამდვილად აკლია ის დახვეწილობა და სრულყოფა, რაც სცენისათვის გამიზნულ ნაწარმოებს მოეთხოვება. ამ გარემოებას თვითონ ავტორიც გრძნობდა და სწორედ ამიტომ იგი გულწრფელად აცხადებდა: „დრამა „მეფე დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ეამი“ ოთხმოქმედებით, თუ (საჭიროდ) დაინახონ, სამ მოქმედებით წარმოადგინოს, მაგრამ მე ეს უფრო წასაკითხად დავწერე“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ალექსანდრე ჭავჭავაძე-ორბელიანი, დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ეამი, 1891 წ., გვ. 116. ხაზი ჩემია — ა. მ.



როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, მწერლის ინტერესი მეტწილად თხზულების იდეურ-თემატიკურ სფეროშია. ეს არის მისთვის მთავარი. ამ თვალსაზრისით კი ალ. ორბელიანის „დავით აღმაშენებელი“ უდავოდ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია და მკითხველიც გარკვეული ინტერესით მიჰყევბა მასში აღწერილ მოვლენათა განვითარებას.

თხზულების დასაწყისიდანვე მკითხველი გრძნობს ქართველი ხალხის ამოქმედებას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. დრამის პირველსავე მოქმედებაში ეს პატრიოტული აზვითება თანდათან ფართოვდება, ხალხი ირახმება და მტრის წინააღმდეგ გამამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადება. მეორე მოქმედებაში უკვე მთელი ქვეყანა „შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე“ განშათვისუფლებელი ბრძოლისათვის მზადყოფნაში მოჩანს, თვით დავით მეფეც, რომელიც აქამდე მხოლოდ შორიდან იხსენიებოდა, ახლა უკვე ხალხთანაა და ომის თადარიგს ეწევა. ნაწარმოებში ხაზგასმით არის ნაჩვენები მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი აზრისა და მისწრაფების ერთიანობა. სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე გამოსულია ყველა — ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ერისკაცი და სამღვდლო — ყველა, ვისაც რაიმე ძალა შესწევს.

დრამის მესამე მოქმედება ბრძოლის ველზე მიმდინარეობს. ვგრძნობთ, რომ ეს ომი, მართლაც, დაძაბულ ვითარებაში ხდება. მწერალს ძალა შესწევს, რათა სიტუაციის სირთულე მკითხველს საკმაოდ მწვავედ განაცდევინოს. ერთ-ერთი მოქმედი პირი, მეფის გამოცდილი მეომარი, რომელიც უშუალოდ ამ ბრძოლის ქარცეცხლში ჯერ კიდევ არ ჩაბმულა, დავითს მიმართავს: „ჩვენი ომები ამასთან თამაშობა იყო. — რა ბრძანებაა, — საშინელება ტრიალებს ორისავე მხრივთა. ეს ქვემოთი ქართველები გასაშტერებლნი ვაქცაყნი ყოფილან! კაცნი, დედაკაცნი, თუ ბებერი, ერთმანეთს ვერ მოუვლენ და ცდილობენ ერთი ერთმანეთს წაუსწრონ წინ. შეხედეთ, ჩემო ხელმწიფევ, დედაკაცები რომ დაერივნენ და შუა არაბებში იბრძვიან! აი თქვენი გამჩენის ჭირიმე ქართველო დედაკაცებო! თქვენს მზეს ვფიცავ, თუ მეტნი არ არიან კაცებზე, ნაკლებათ კი აღარ ითქმის. ეს ბერები ხომ უკან აღარ ბრუნდებიან, მაგრამ ძვირად ჰყიდიან თავის სიცოცხლეს“.

ნაწარმოებში სამშობლოსათვის თავდადებითა და თავგანწირვით მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ქართველი ქალები. ისინი არა მარტო ქმრებსა და შვილებს, მამებსა და

ძმებს ისტუმრებენ მტერთან საომრად, არამედ თვითონ იარაღ-ასხმულნი გამოდიან ბრძოლის ველზე. დრამაში ასეთი ქალებისა და ქალიშვილების რამდენიმე ასეული მოჩანს უშუალოდ მოქმედებაში. მათ შორის განსაკუთრებით დასამახსოვრებელია დედოფალ გურანდუხტის საგმირო საქმეები.

ალექსანდრე ორბელიანი დრამის ერთ ნაწილში ასეთ შენიშვნას აკეთებს: „მოხუცებულის პაპიჩემის დიმიტრის დავითა დემურაშვილისაგან გამიგონია ჩემს სიყმაწვილეში: „როდესაც დავით აღმაშენებელს მოუნდომია ქალაქ თბილისის აღება, დავით აღმაშენებლის ცოლსა და არაბის სარდლის ცოლსა გამოუთხოვნიათ ერთმანეთი საომრათ: ვინც მოერიოს, იმისი იყოს ქალაქიო. რომელსაც აღმაშენებლის ცოლსა უმჯობნიაო“. თუმცა ისტორიაში არ არის ეს, მაგრამ მე ამ ორს ქალზე თქმული, ასე გავაყეთე დრამისა ამისა მოსახდენად, მგონია შესაფერბ იყოს? ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ უძველესი ჩვენი ისტორიაც დიდათ აქებს მაშინდელ ქართველ ქალებს“<sup>1</sup>.

ეს ლეგენდა მწერალმა მთლიანად გააცოცხლა თავის ამ თხზულებაში. ასეთია დრამაში მოცემული ლამაზი სურათი დედოფალ გურანდუხტის შერკინებისა არაბთა სარდლის დურბეზის ცოლთან.

დრამის მეოთხე მოქმედება საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს. მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძართან შეკრებილი ქართველობა სამშობლო ქვეყნის განთავისუფლებას დღესასწაულობს. ხალხი ერთხმად ადიდებს მის სახელოვან მეთაურს მეფე დავითს, რომელსაც სწორედ ამიერიდან აღმაშენებელი ეწოდება. გვირგვინოსანი გოლიათი თანამემამულეებთან თავმდაბლად საუბრობს, გამარჯვებას ულოცავს და ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების დაცვისაკენ მოუწოდებს. ამ საზეიმო სანახაობის შინაარსს ერთგვარად აღრმავენ და ალამაზებს ტაძრის შუა ადგილას აღმართული გვამების გროვა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ქართველებისა. მათ წინაშე მოწიწებით თავს იხრის გამარჯვების ზეიმზე მოსული ყველა ქართველი, მეფედედოფლიდან დაწყებული თვით უმცირესი ასაკის ბავშვებით დამთავრებული.

ნაწარმოების იდეურ-თემატიკურ მხარეს, მის საერთო შინაარსს გარკვეულ ღირსებას მატებს ხალხთა მეგობრობის გამომხატველი სურათები. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართვე-

<sup>1</sup> ალ. ორბელიანი, დავით აღმაშენებელი, მოქმედება III.



ლებთან ერთად არიან კავკასიელი ხალხები, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მთასა და ბარში მოსახლე ტომები. ხალხთა ეს მეგობრობა გამოხატულებას პოულობს მცხეთაში გამართულ სახალხო ზეიმში, რომელშიც მრავალი სტუმარი მონაწილეობს. ამ უანგარო მეგობრობის დადასტურებას წარმოადგენს სომეხთა პატრიარქის გულწრფელი საზეიმო სიტყვა იმავე გამარჯვების დღესასწაულზე.

\* \* \*

1864 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ალ. ორბელიანის ოთხმოქმედებიანი ტრაგედია „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“<sup>1</sup>.

თხზულებას წამძღვარებული აქვს ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიც მოცემულია მეფე ერეკლე მეორის ეპოქის მოკლე ისტორიული მიმოხილვა. მწერალი მკითხველებს მოაგონებს დამპყრობთა მრავალგზის ვერაგობას და ქართველი ხალხის ვმირულ ბრძოლებს საკუთარი ადამიანური ღირსების დასაცავად სახელოვანი პატარა კახის მეთაურობით.

ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში ერეკლე მეორის სახე, როგორც ღვაწლმოსილი მეფისა, არა ერთგზის გვხვდება. კონკრეტულ შემთხვევაში მწერალი მიზნად ისახავს გადმოსცეს ერეკლეს პირველი გამოჩენა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე, როგორც ერის მეთაურისა. ავტორი თხზულების წინასიტყვაობაში პირდაპირ ამბობს: „ეს ამბავი ბატონიშვილის ირაკლის დროისა იმიტომ ამოვირჩიე მე, რომ იმის ყმაწვილობას მოუხდება ეს ტრაგედია, დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში. მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტი წლისამ შეიძინა, მგონია იმტოლა ყმაწვილისაგან სხვა მაგალითი არ იყოს არსად ქვეყანაზედ“.

მოყვანილი ამონაწერიდან გარკვევით ჩანს მწერლის მიზანი — გადმოსცეს ერეკლეს პირველი ნაბიჯი დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გზაზე და მასთან დაკავშირებით აჩვენოს ქართველი ხალხის თავგანწირვა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ალექსანდრე ორბელიანის ამ თხზულებაში გადმოცემულია თითქმის იგივე ისტორიული მოვლენები, რომელნიც შემდგომში გა-

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1864 წ., № 3-4.

მოიყენა აკაკი წერეთელმა თავის დრამატულ პოემაში „მატიანე კახი“.

ალექსანდრე ორბელიანის თხზულების პირველი ნაწილებიდანვე მკითხველისათვის ცნობილი ხდება საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ვითარება. დამპყრობთა მომძლავრების შედეგად ქვეყანა აშკარად გაჩანაგებული და გავერანებულია. მატერიალურად სასომიხდილი ქართველობა მორალური გადაგვარების გარკვეული საფრთხის წინაშეც დგას. ყოველ შემთხვევაში, ნაწარმოებში პირდაპირ არის დასახელებული ქართველების მიერ ქრისტიანობის უარყოფისა და დამპყრობთა რელიგიაზე გადასვლის რამდენიმე შემთხვევა.

მეფე თეიმურაზ მეორე ოჯახითა და ამალით გახიზნულია მთაში, რომელიც მტრისაგან მიუწვდომელი და ხელუხლებელია. ერთ დღეს, ჩვეულებრივი მშობლიური მიაღერსების დროს, თეიმურაზი ჭაბუკ ერეკლეს ეტყვის, რომ იგი უკვე პატარა აღარაა და, როგორც მეფის ძეს, გარკვეული საქმეც მოეთხოვება. იგი ასე მიმართავს საყვარელ ვაჟიშვილს: „გაუბედაობა აღარ გშენის: ახლა თხუთმეტის წლის ვაჟაკი ხარ და ვაჟაკურად უნდა მოიქცე ამას იქით“.

მამის ეს სიტყვები მომავალ მეფეს აფხიზლებს და დიდი საქმეებისაკენ მოუწოდებს. ამასვე ემატება ბრძენი გამბრძელის გივის მოძღვრება და ჭაბუკი ერეკლე საბოლოოდ გადაწყვეტს ხალხში გავიდეს, ქვეყნის ჭირ-ვარამი უფრო ახლოს გაიგოს და მის საყეთილდღეოდ რაიმე იღონოს. ერეკლეს ამ გადაწყვეტილებას ფრთხილად ასხამს დედოფალი, რომელიც თავის ერთადერთ ვაჟიშვილს ასე მიმართავს: „წადი, წადი შვილო, თუ ჩემი მშობლიური გული არ ატირდება შვილის ტანჯვით, ღმერთი რას მისცემს ჩვენს ქვეყანასა? ახლავ გამოგეთხოვები გადახვევით ჩემს ერთს ძესა. ჩემს ლამაზ ლოყებზე უკანასკნელად გააკოცებ, გულში ჩაგიკრავ მაგრად სიყვარულით; ეს არის გამოგიმეტე: მკვდრის საკაცე, ან მამული, შვილო!“

უნდა ითქვას, რომ დედოფალი როგორც აქ, ისე სხვა შემთხვევებშიც, ცოტა არ იყოს, იოლად იმეტებს თავის ერთადერთ ვაჟიშვილს. მოქმედებაში ნაჩვენები არაა ის შინაგანი წვა და დულილი, რომელიც ასეთ შემთხვევებში მშობლის გულში ჩვეულებრივად წარმოებს ხოლმე. თუ ამ გარემოებას საგანგებო ყურადღებას არ მივაქცევთ, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ სამშობლოს სანაცვლოდ



თავისიანის ასე იოლად გაწირვა აღ. ორბელიანის მხატვრულ თხზულებაში ხშირად გვხვდება.

პირველსავე მოქმედებაში ერეკლე ჯერ კიდევ იქ, მთიულთა შორის, გარკვეულ ძალებს შემოიკრებს და ბარისაკენ გამოსწევს. მეორე მოქმედება ალავერდის ტაძრის მიდამოებში წარმოებს. აქ უკვე ათასობით გროვდებიან ერეკლეს მოწოდებით გამოფხიზლებული და მტერზე საომრად გამზადებული ქართველი მამულიშვილები.

მესამე მოქმედებაში მკითხველი უშუალო მოწმეა ერეკლეს საომარი მოქმედებისა. ნაწარმოებში საკმარისად ვრცელდება აღმოცენებული პატარა კახის მეთაურობით ქართველთა პირველი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებანი მოწინააღმდეგესთან. იმავე მოქმედებაში ცნობილი ხდება ერეკლეს გამარჯვებანი ქიზიყში დაბანაკებული მტრის ლაშქართან ბრძოლაში და მისივე სამზადისი თბილისზე ლაშქრობისათვის.

მეოთხე მოქმედება თბილისში მიმდინარეობს. აქ უკვე მოქმედ პირთა საუბრით ვიგებთ, რომ მათხარი მტრისაგან განთავისუფლებულია როგორც დედაქალაქი, ისე ქართლის რაიონები მთლიანად. აქვე მკითხველი იგებს, რომ მოკლე დროში, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში, ქართველობას ერეკლეს მეთაურობით ასოცდაათზე მეტი ბრძოლა გადაუხდია.

იმავე მეოთხე მოქმედებაში ცნობილი ხდება, რომ უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლება ქართველ ხალხს გარკვეული მსხვერპლის ფასად დაუჯდა: ბევრმა სახელოვანმა ვაჟ-კაცმა ბრძოლის ველზე პოვა სამარე.

ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევს ერეკლესადმი, როგორც ქართველი ხალხის საიმედო მეთაურისადმი, საყოველთაო აღიარება და სიყვარული. მის სახელს ყველა ქართველი რაღაც განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობით წარმოსთქვამს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ერეკლე ხსნის იმედია ყველა ვაჭირვებულისათვის, ქვრივისა და ობლისათვის. დამახასიათებელია თხზულების ერთ-ერთი მოქმედი პირის რევაზის საქციელი სიკვდილის წინ. იგი ოთხ ბავშვს, აქამდე მის მიერ დიდი მზრუნველობით მოვლილს, ანდერძად უტოვებს ერეკლესადმი უსაზღვრო ერთგულებას: ჩემი სიკვდილის შემდეგ მიდითო ჭაბუკ მეფესთან და „ის არ დაგაგდებთ, იმისი გული მოწყალებით სავსეა, მაგრამ მამულს და ირაკლის ერთგულად ემსახურენით. თქვენს უკანასკნელს სისხლს ნუ დაზოგავთ როგორც თქვენის მამულისათვის, ისე ირაკლისათვის ნურას შემთხვევაში“.

ასეთია ერეკლე მეფის სახე ერთ დრამატულ თხზულებაში წარმოდგენილი.

ამრიგად, ალექსანდრე ორბელიანი ქართული რომანტიკული სკოლის ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენელია. არსებული სინამდვილით უკმაყოფილება და წარსულის გმირთა გაცოცხლება, რაც მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის დამახასიათებელი ნიშანია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილშობილური იდეას ემსახურება. მის ნაწერებში ასახული წარსულის სურათებიდან მთავარია ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მისი გმირული პატრიოტული შემართება. ალექსანდრე ორბელიანი, როგორც ქართული პატრიოტული რომანტიზმის ტიპიური წარმომადგენელი, იღია ქაჯკავაძის ლიტერატურული თაობის ერთ-ერთი წინამორბედი.



## გრიგოლ ორბელიანი

### I

გრიგოლ ორბელიანი ფეოდალური არისტოკრატის უმაღლეს წრეს ეკუთვნოდა. პოეტი კიდევ ამაყოფიდა იმით, რომ იგი დედის მხრივ სახელოვანი მეფის ერეკლე მეორის შთამომავალი იყო.

გრიგოლ ორბელიანის მამა დიმიტრი, ანუ ზურაბი, თავისი დროისათვის ცნობილი პიროვნება იყო. დიმიტრი დიდი გავლენით სარგებლობდა ჯერ ქართველი მეფეების — ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის სასახლეში, ხოლო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ — მეფის რუსეთის დიდი მოხელეების წინაშე.

დედა გრიგოლ ორბელიანისა, ხორეშანი, ბატონიშვილების შთამომავლობას ეკუთვნოდა. იგი ერეკლე მეორის ქალის ელენეს შვილი იყო. ხორეშანი ბავშვობიდანვე ერეკლეს სასახლეში იზრდებოდა, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ზურაბ ორბელიანის ოჯახში აღზრდის იმ ტრადიციათა გაგრძელებას, რომელიც ქართველ მეფეთა სასახლეებიდან მოდიოდა.

ამ ოჯახში 1804 წელს დაიბადა გრიგოლ ორბელიანი.

გრიგოლ ორბელიანის ბავშვობა გარკვეულ ფუფუნებაში მიმდინარეობდა. მომავალ პოეტზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა კეთილმოყვარე და კულტურული დედა.

გრიგოლ ორბელიანის პირველი მასწავლებელი მწიგნობარი დეკანოზი დიმიტრი მესხიშვილი ყოფილა. მესხიშვილისაგან მას ქართული წერა-კითხვა უსწავლია, ხოლო ამის შემდეგ პატარა გრიგოლი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეუყვანიათ.

მომავალი პოეტი და სარდალი ბავშვობიდანვე დიდად ყოფილა გატაცებული სამხედრო საქმით. ამ გატაცების გამო იგი კეთილშობილთა სასწავლებლიდან საარტილერიო სკოლაში გადასულა. ასე რომ, გრ. ორბელიანს თავისი დროისათვის შესაფერისი სასკოლო განათლებაც არ მიუღია და ის ფართო ცოდნა, რომელსაც პოეტი

შემდგომ ცხოვრებაში ამკლავნებს, უმთავრესად თვითგანვითარებას ემყარება.

გრიგოლ ორბელიანი სამხედრო სასწავლებლის დამთავრების-თანავე სამსახურში შედის. 1822 წელს იგი პირველად იღებს მონაწილეობას ომში ჭარელი ლეკების წინააღმდეგ. ამ დროიდან დაწყებული ორმოცი წლის განმავლობაში გრიგოლი მოჩანს თითქმის ყველა სამხედრო ოპერაციაში, რომელიც მეფის რუსეთის ჯარებს კავკასიის სხვადასხვა კუთხეში უწარმოებიათ.

გრიგოლ ორბელიანის სახით იმდროინდელ რუსეთს უდავოდ ერთი ნიჭიერი და საიმედო სამხედრო მოხელე ჰყავდა. გრ. ორბელიანის ღვაწლს მეფის ხელისუფლებაც აფასებდა და მას ახალ-ახალი ორდენებითა და მედლებით აჯილდოებდა. მოხუცებულობის ეამს ასეთი ჯილდო პოეტს ათეულობით ჰქონდა. თანამდებობრივად გრ. ორბელიანმა მიაღწია იმას, რასაც მასზე ადრე არც ერთი ქართველი მოხელე არ ღირსებია. იგი წლების განმავლობაში კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. ამ დიდი კარიერის გზაზე პოეტის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა ერთ ფაქტს, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა როგორც პირად ცხოვრებაზე, ისე მის მხატვრულ შემოქმედებაზე.

ეს ისტორიული ფაქტი იყო 1832 წლის ცნობილი შეთქმულება. როგორც ვიცით, გრ. ორბელიანს ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა მეფე ერეკლე მეორის შთამომავლობასთან. პატიმარმა პოეტმა დაკითხვის დროს გულწრფელად აღიარა, რომ იგი კარგად იცნობდა რუსეთის დაუძინებელ მოწინააღმდეგე ბატონიშვილებს ოქროპირსა და დიმიტრის. მისი ახლო ნაცნობი და მეგობარი იყო აგრეთვე შეთქმულების თითქმის ყველა აქტიური მონაწილე. ასე რომ, გრიგოლ ორბელიანს სხვა გზა არც ჰქონდა, იგი მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში უნდა ჩაბმულიყო და ჩაება კიდევ. გრ. ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების უბრალო თანამგზავნობი კი არ ყოფილა, არამედ მისი მონაწილე იყო. 1831 წელს სამსახურის საქმეებზე პეტერბურგს მივლინებულ პოეტს შეთქმულთა ორგანიზაციის მიერ დავალებული ჰქონდა ფართული მოლაპარაკება ეწარმოებინა იქ მყოფ ქართველებთან, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებული იყვნენ მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებასთან.

1832 წლის შეთქმულების ძირითადი მიზანი — რუსული მმართველობის განდევნა საქართველოდან — გრიგოლ ორბელიანის მიერ სრულიად მისაღებ და საჭირო საქმედ არის აღიარებული. პოე-



ტის იდეური კავშირი შეთქმულებასთან გარკვევით იგრძნობა მისი მთელი რიგი ლექსებიდან, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების პერიოდშია დაწერილი.

გრიგოლ ორბელიანის მტრული დამოკიდებულება თვითმპყრობელური რუსეთისადმი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატულია იმდროინდელ მის ნაწარმოებში „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის“. ეს თხზულება, შეიძლება ითქვას, ერთგვარ გასაღებს იძლევა პოეტის პოლიტიკური მრწამსის გასაგებად ოცდაათიან წლებში. ნაწარმოები განსაკუთრებით საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს 1832 წლის შეთქმულებასთან გრ. ორბელიანის კავშირის თვალსაზრისით. ეს ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტი პირდაპირ მიგვითითებს პოეტის, როგორც შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის დამოკიდებულებაზე მეფის რუსეთისადმი.

გრიგოლ ორბელიანის შეხედულება რუსულ მმართველობაზე განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც თვითონ პოეტი მოგვითხრობს მის შეხვედრასა და საუბარზე ქართველ გენერალ ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზთან. გენერალი აფხაზი, რომელიც, თავის მხრივ, სამშობლოსათვის თავდადებულ პიროვნებად მოჩანს, ღმერთსა სთხოვს, რომ საქართველოდან რუსები არ გავიდნენ, თუ არა, ეს რომ ასე მოხდეს. ქართველ ხალხს აღმოსავლეთის დამპყრობლები წალეკავენო. გენერლის ამ მოსაზრებას წინ აღუდგება გრ. ორბელიანი. იგი თავის მოსაუბრეს უმტკიცებს, რომ სწორედ რუსეთის გასვლის შემდეგ ელირსებაო საქართველო ბედნიერ ცხოვრებას.

გრიგოლ ორბელიანი და გენერალი აფხაზი მსჯელობენ იმის თაობაზე, რომ მუდმივმა ომებმა საქართველო დაასუსტა, საჭიროა მისი მდგომარეობა გამოსწორდეს და განმტკიცდეს. საქართველოს თავისი დამოუკიდებლობის დაცვისათვის დასკირდება მუდმივი ეროვნული ლაშქარი. საჭირო იქნება სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგება და სხვ. გენერალი ცდილობს დაარწმუნოს გრ. ორბელიანი, რომ სწორედ ამ მოსაზრებით საქართველოსათვის ხელსაყრელია რუსეთთან კავშირი.

მიუხედავად გენერალ აფხაზის ენერგიული მტკიცებისა, პოეტი მაინც თავის პოზიციაზე რჩება. მათი საუბრის მთელს მანძილზე გარკვევით იგრძნობა მისი კატეგორიული ტონი საქართველოდან რუსეთის გასვლის სარგებლიანობაზე. მას გადაჭრით სჯერა, რომ რუსეთისაგან განთავისუფლების შემდეგ საქართველო დამოუკი-



დებელი არსებობის გზას გამონახავს და თავის ეროვნულ სახეს შეინარჩუნებს.

გრ. ორბელიანი თავის დასკვნით პასუხში გენერალ აფხაზს ეუბნება:

„ამა ერისა სულისა დამდაბლებასა ადვილად აღზოცენ ივინი, ვინცა იქნებიან, შემდგომად რუსთა დატევებისა, ერის მმართველნი, უკეთუ იქნებიან გონებიან და შორსმხედველ. ძალა იქმნების მათ ხელში, აღაშენებენ და გააწყობენ სასწავლებელთა; სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსანთა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების, მით უფრო უმეტეს, რომელ ქართველთა აქვსთ ბუნებითი გონება“.

მოყვანილი ამონაწერი პოეტის საერთო მსჯელობის ერთ-ერთი სრულიად ბუნებრივი და გაუზვიადებელი ნაწილია. გრიგოლ ორბელიანის მხატვრული შემოქმედების განხილვისას ცხადი გახდება, რომ ნაწარმოებში „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის“ ავტორს მეფის რუსეთის წინააღმდეგ გამოთქმული აქვს კიდევ უფრო რადიკალური შეხედულებანი. ვიდრე ეს ზემოთ მოყვანილი ამონაწერიდან ისმის.

დასახელებული თხზულება 1831 წელს დაიწერა. ამის შემდეგ გრ. ორბელიანი საქართველოში არ დაბრუნებულა მანამ, სანამ 1833 წელს არ ჩამოიყვანეს როგორც პატიმარი. ამრიგად, გრიგოლ ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იყო. მას იდეურად მკვიდრო კავშირი ჰქონდა ქართველი ინტელიგენციის იმ ჯგუფთან, რომელიც მეფის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა.

მიუხედავად ამისა, თავისი პრაქტიკული მოქმედებით, გრიგოლ ორბელიანი შეთქმულების აქტიურ ფიგურად არ მოჩანს. კიდევ მეტი: კვლევა-ძიების შემდეგ იგი დამნაშავეთა მეშვიდე კატეგორიაში ჩაირიცხა. გრ. ორბელიანის შედარებით მცირე დანაშაული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოეტის პირადი მდგომარეობით აიხსნება. მას საშუალება არ ჰქონდა, რომ შეთქმულების საქმის უფრო პრაქტიკული მოღვაწე გამხდარიყო. შეთქმულთა საქმიანობამ განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო 1831-32 წლებში, როდესაც ისინი შეიარაღებული აჯანყებისათვის უშუალო მზადებაზე გადავიდნენ, ხოლო სწორედ ამ დროს გრ. ორბელიანი საქართველოში აღარ იმყოფებოდა. 1831 წლის ივნისის დამდეგიდან ორბელიანი ჯერ პეტერბურგს ვაიგზავნა სამსახურის საქმეზე, ხოლო



იმავე წლის მიწურულს იგი პეტერბურგიდან ნოვგოროდში გადას-  
იყვანეს. ასე რომ, მას ფიზიკურად საშუალება არ ჰქონდა უშუალო  
მონაწილე ყოფილიყო იმ საქმეებისა, რაც შეთქმულების გამომ-  
ქლავნების წინა პერიოდში ხდებოდა.

მართალია, პოეტმა პირადი მონაწილეობით იცოდა ფარული  
ორგანიზაციის საქმიანობა, იცოდა ისიც, რომ ეს ორგანიზაცია  
კვლავ არსებობდა, მაგრამ თავისი ადგილსამყოფელის სიშორის გა-  
მო მას უკვე აღარ შეეძლო სცოდნოდა იმ აქტიურ მზადებაზე, რა-  
საც შეთქმულები 1832 წლის დამდეგიდან აწარმოებდნენ. მხოლოდ  
ამ მიზეზით გრ. ორბელიანმა ვერ შეძლო შეთქმულების აქტიური  
პრაქტიკული მონაწილე გამხდარიყო.

1832 წლის შეთქმულება გამომქლავნდა. მეფის ხელისუფლებამ  
შეთქმულთა დაპატიმრება და კვლევა-ძიება დაიწყო. 1833 წლის  
გაზაფხულზე კავკასიის მთავარმართებლის ბარონ როზენის მიწე-  
რილობით გრიგოლ ორბელიანი ნოვგოროდში გაჩხრიკეს, იქიდან  
პეტერბურგს გაიწვიეს, ხოლო პეტერბურგიდან თბილისში ჩამო-  
იყვანეს. თვითონ გრ. ორბელიანს თავისი დაპატიმრების თაობაზე  
გადმოცემული აქვს შემდეგი მოგონება:

„იმ დროებით მე ლაგერში ვიყავი, ნოვგოროდს ახლო და აფიც-  
რები მყავდა დაპატიმრებული სადილად. სადილის წინ ქალაქში წა-  
ვედი ღვინოების საყიდლად და დაბრუნებულზე, სანამ სუფრა გა-  
იშლებოდა, ამნანაგებმა ქალაქის თამაში გავმართეთ. ამ დროს  
უეცრივ უანდარმის პოლკოვნიკი შემოვიდა ჩემთან.

— დიდად მოხარული ვარ, ბატონო, თქვენი გაცნობისა, რა  
გნებავთ ჩემგან?

— მე ბრძანება მივიღე მთავრობისა, სახლი გავიჩხრიკო და შე-  
ვიტყო, რა წიგნები გაქვს, — მიბასუხა განზე გახმობით უანდარმმა.

— ჩემი ბიბლიოთეკა ისე ღარიბია, რომ დიდხანს არ დაგჭირ-  
დებათ შრომის გაწევა. ინებეთ, ბატონო, აი ჩემი წიგნები, — ვუბა-  
სუხე მე.

„რასაკვირველია, მე წიგნები არა მქონდა—რა მართებლობის სა-  
წინააღმდეგო, მაგრამ უანდარმმა, რაც მქონდა, სულ ყველაფერი  
ჩამომართვა, სხვათა შორის, ჩემი დღიურიც. ამის შემდეგ ერთი  
კვირა რომ გავიდა, დამიბარეს პეტერბურგს. არლოვმა (გენერალ-  
ადიუტანტი არლოვი იყო ხელმწიფისგან დანიშნული პეტერბურგ-  
ში მყოფ ქართველ შეთქმულთა ჩვენების ჩამოსართმევად) მკითხა  
საქმის გარემოება.

— თავადო ორბელიანო, ელიზბარ ერისთავს იცნობ?

- ვიცნობ.
- ალექსანდრე ორბელიანს? გიორგი ერისთავს?
- ვიცნობ.
- ბატონიშვილებს: ოქროპირს, დიმიტრის?
- ვიცნობ.
- საიდან იცნობ ყველა ამათ?
- ყველა ჩემი ნათესავეებია და ამხანაგებია.
- რილევეის „ნალიგაიკოს აღსარება“ თქვენ სთარგმნეთ ქართულად?
- დიახ, მე.
- „იარალი“ თქვენ დასწერეთ?
- მე.
- რა გინდოდათ გამოგეხატათ ამ ლექსით?
- ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ღზინი.
- გვითხარით, თუ იცით რა მოიწერა საქართველოში ეგვიპტის ფაშამ?

— არ ვიცი და ვერც მიმხედარვარ, ვისთან რა უნდა მიეწერა ეგვიპტის ფაშას და სხვა ამგვარები.

„ერთი კვირა გამაჩერეს ამის გამო პეტერბურგს და შემდეგ ქალაქს გამომგზავნეს, საცა რამდენიმე თვე ყაზარმებში ვიყავი დამწყვდეული. ჩემ გვერდით ნომრებში ისხდნენ ალექსანდრე ორბელიანი, სიმონ მაჩაბელი, გიორგი ერისთავი. ჩემზე საცოდავი და საბრალო არა იყო-რა დედამიწაზე. მამულში ვიყავი მოსული და ნაცნობ-მეგობრებს შორის მხიარულების ნაცვლად საპატიმროს კედლების ხილვა მაწვა გულზე ტყვიასავით“<sup>1</sup>.

როგორც მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, გრ. ორბელიანისათვის ავლაბრის ყაზარმობა საკმაოდ მძიმე სასჯელი ყოფილა. იმავე პატიმრობის დროს გრ. ორბელიანს დედა გარდაეცვალა. ადვილად ვასაგებია, თუ მგრძნობიარე პოეტისათვის რაოდენ ძნელი უნდა ყოფილიყო ეს განცდა. საყვარელი დედის გასვენებას ციხის ჭუჭრუტანებიდან შევხედეო, — სწორდა გრ. ორბელიანი შემდეგში თავის ერთ მეგობარს. სწორედ ამ მძიმე სულიერი განცდების გამო, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ავლაბრის ყაზარმობასთან, გრ.

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, 1954 წ., გვ. 46-47.



ორბელიანს გადმოცემული აქვს თავის ცნობილ ელემენტარულ ნაშრომში:  
დას ეფემიას“:

გამოვემსწრაფლე სამშობლოსას, სადაც ვგონებდი,  
წარსულთა ტანჯვათ, მწუხარებათ დავიწყებასა;  
მარამან იყოს წყველიმცა ესრეთი ბედი:  
მშობლის ხევენის წილ შეგხვდი ახალ მუნ ვეებასა!..  
ვისგან ნუგეშსა მოველოდი, მისი სამარე  
თვალთ იხილეს და არ დაბრავდნენ მყისვე ეს თვალნი!  
უგუნურადა დაკჳმზერდი მის საფლავს მდუმარე.  
და გლახ გულისა სანუგეშოდ ვერ ვჳპოვე ცრემლნი!

გრ. ორბელიანის საქმეზე კვლევა-ძიება დიდხანს არ გაგრძელე-  
ბულა. მას მძიმე დანაშაული არ დაუმტკიცდა და სხვა მონაწილეებ-  
თან შედარებით მას სასჯელიც მსუბუქი გამოუტანეს. იგი სხვებ-  
ზე ადრე გაათავისუფლეს პატიმრობიდან და კვლავ გააწესეს სამ-  
სახურში „კავკასიის ხაზზე“. მაგრამ გრიგოლ ორბელიანის სასჯე-  
ლი ავღაბრის ყაზარმობით არ ამოწურულა. შეთქმულთა საქმის  
საბოლოოდ დამთავრებისას ბარონ როზენმა ყაზარმობის პოეტი  
დამნაშავეთა მეშვიდე კატეგორიაში ჩარიცხა და მისი დასჯა იმუ-  
ამდგომლა. ნიკოლოზ პირველის მთავრობამ როზენის პროექტი  
დაამტკიცა. გრიგოლ ორბელიანი დატოვებულ იქნა სამხედრო სამ-  
სახურში, მაგრამ იმსახურებდა იმპერიის რომელიმე შორეულ კუ-  
თხეში და უფლება არ ჰქონდა სამშობლოში ჩამოსულიყო. მიცემუ-  
ლი სასჯელიც გრ. ორბელიანისათვის მკაცრი აღმოჩნდა. მან ჩრდი-  
ლოეთ კავკასიიდან დაწყებული რუსეთის იმპერიის მთელი რიგი  
კუთხეები შემოიარა, ხოლო განსაკუთრებით დიდხანს ცხოვრობდა  
ბალტიისპირა ქვეყნებში. პოეტის მრავალრიცხოვანი პირადი წერი-  
ლები, რომლებსაც იგი მეგობრებსა და ნათესავებს სწერდა, გარ-  
კვევით ადასტურებენ მის მწვავე განცდებს სამშობლოდან მოშო-  
რების გამო.

თავის ერთ პირად წერილში პოეტი მანანა ორბელიანს სწერდა:  
„ამ წიგნის წერაში ვზივარ მარტო დაყრუებულს ოთახში ღამე  
და ჩემს სიახლოესა დარეკეს საყდარი, მისაღებელად ახლადმიცვა-  
ლებულისა აქაურისა პომეშიიკის ქალისა. — უნებლიეთ აღმოუტე-  
ვე ოხვრა მწუხარებისა! ვაითუ მალე ჩემთვისაც ასე დარეკონ და  
საფლავი ჩემი გასთხარონ მხარესა უცხოს; შორს ყოველთა ჩემთა  
გულისა საყვარელთაგან და არა ერთი ცრემლი არა დაეცეს მიწასა.  
საუკუნოდ ჩემს დამფარველსა. — თუმცა სიკვდილი ყველგან სი-  
კვდილია, მარა გულს კი ჰსურს, რომელ უკანასკნელი ოხვრა ესმას  
მისთა მახლობელთა; რომელ თვალთა მიმოიხედონ და უკანასკნელ

იხილონ მოყვასნი თვისნი, და არა უცხონი გულგრილნი დაუდგენენ<sup>1</sup> ლის სახითა“<sup>1</sup>.

ასე მწარედ განიცდიდა გრ. ორბელიანი მშობლიური მიწა-წყლიდან მოშორებას. ასეთ მდგომარეობაში გაატარა პოეტმა დაახლოებით ოთხი წელიწადი.

მისთვის ვლოცავ ცას, შავნი დღენი ჩემთვის შთომილნი,  
არ შეპსწყდნენ, ვიდრე კვალად ჩემთა თვალთ არ გიხილონ.  
და მაშინ, ოდეს საუკუნოდ მივლულო თვალნი,  
მშობლიურ მიწა ხელთა შენთა გულს დამაყარონ.

ასე წერდა გრ. ორბელიანი ლექსში „ჩემს დას ეფემიას“, რომელიც ქალაქ რიგაში 1835 წელს დაიწერა. ეს ყოველდღიური განუშორებელი ნატვრა პოეტს მხოლოდ 1837 წელს აუსრულდა. იგი 1837 წელს სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო 1838 წელს ქართველი გრენადერების პოლკში ჩაირიცხა.

\* \* \*

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ გრ. ორბელიანის პირადი ცხოვრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი სისტემატური წინსვლა სამსახურებრივი კარიერის გზაზე. იგი ამ გზაზე, მართლაც, შეუწელებელი სისწრაფით მიდის. პოეტის ეს კარიერა დიდად არის დამოკიდებული მისსავე თავდადებაზე სამსახურებრივი წარმატებისათვის. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე და ამის გამო დასჯილი გრ. ორბელიანი ახლა უკვე ცეცხლითა და მახვილით ახშობს მეფის რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებს.

1841 წელს გრიგოლ ორბელიანი, გენერალ არღუთინსკთან ერთად ტყვეითა და საპატიმროებით უსწორდება მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ აჯანყებულ გურიის გლეხობას. ამ დროს პოეტს მეფის ხელისუფლებისათვის ისეთი სამსახური გაუწევია, რომ ამის გამო დიდ ჯილდოსაც მოელოდა. იგი თავის ძმას ზაქარიას ერთ ბარათში სწერდა:

„არ იქნა არ მოვიდა გურიისათვის მაიორობა, რომელზედაც წარდგენილი ვარ за отличие по службе, მაგრამ არც ერთი არ გამოდის ჟერ. სტანისლავა კი ყელზე გრძლად მკიდია“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილი მანანა ორბელიანისადმი, 1834 წ.

<sup>2</sup> გრ. ორბელიანი, წერილი ზაქარია ორბელიანისადმი, 1842 წლის

<sup>4</sup> ივლისის თარიღით.





ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია გრ. ორბელიანის ცხოვრებაში. მომდევნო წლებში ანალოგიური მოვლენებით მდიდარია მისი, როგორც მეფის რუსეთის სამხედრო მოხელის, გზა. სამოცდაათიან წლებში თვითონ გრ. ორბელიანი იღია ქავეჭავაძისადმი საპასუხო ლექსში ამის გამო ამბობდა:

მამანი თქვენნი,  
თავის დროს ძენი,  
თავის დროს იყვნენ სახელოვანი!  
ოსმალ-სპარსეზი,  
დაღისტნის მთები,  
ქებით გეტყვიან ღიღოთა მათ საქმეთ!  
(„პასუხი შვილთა“)

გრიგოლ ორბელიანის სამსახურებრივი კარიერა უმთავრესად სწორედ დაღესტანთან არის დაკავშირებული. იგი, 1843 წლიდან დაწყებული, თხუთმეტი წლის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა მეფის რუსეთის დამკვიდრებისათვის დაღესტანში. 1843 წელს ორბელიანი ავარიის მმართველად დაინიშნა. პოეტი პირველ ხანებში მაინც დიდად გატაცებული ყოფილა თავისი თანამდებობით. „ჩემი ტიტული არ დაგავიწყდეს, **Правитель Аварий**, სწორედ გითხრა, კარგი რამ არის,“ — სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ილიას ერთ წერილში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იმავე ძმისადმი გამოგზავნილ წერილს იგი ასეთი სიტყვებით იწყებდა: „მე ჰაჭიშხან ემირ ავარ — სხვა რიგად აღარ შემიძლიან წიგნის დაწყობა — ანუ როგორც წერია ჩემს ბეჭედზედ: მუ თავ აქა ლ ლ ლ ლ ქ ი ნ ი ა ზ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ე მ ი რ ა ვ ა რ — შუბლზე ვაკოცებ ჩემს ღვთის წყალობას ძმას ილიას“<sup>1</sup>...

მოტანილი სტრიქონებიდან გარკვევით იგრძნობა გრ. ორბელიანის ერთგვარი გატაცება სამსახურებრივი კარიერით. მას თითქოს ესახელება კიდევ თავისი თანამდებობა. ალბათ გრ. ორბელიანის ეს სტრიქონები ჰქონდა მხედველობაში ნიკოლოზ ბარათაშვილს, როდესაც იგი თავის ერთ წერილში პოეტ ბიძას გამოჯვრების კილოზე სწერდა: „საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატილლას ტახტზედ მჯდომარეო!“<sup>2</sup>

ამ ტახტზე გაატარა გრიგოლ ორბელიანი თხუთმეტი წელი და

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილი ილია ორბელიანისადმი, 1843 წ.

<sup>2</sup> ნ. ბარათაშვილი, წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1843 წ.

თითქმის ყველა წელიწადი პოეტ-სარდლის პირად ცხოვრებაში ახალ-ახალი წარმატებებით ხასიათდება, იგი ზედიზედ იღებს ჯილდო-საჩუქრებს მეფის რუსეთის მთავრობისაგან. გრ. ორბელიანის წარმატებებისაგან თავბრუდახვეული მთავარმართებელი ბარიატინსკი მასვე სწერდა:

„აღარ მაცდით თითქმის გონს მოვიდე, უპატივცემუღესო თავადო გრიგოლ დიმიტრის ძე, ისევ თავბრუს მხვევთ თითქმის ყოველდღე თქვენი ბრწყინვალე და ჩინებულ გამარჯვებათა გრგვინვა-ქუხილით... ხვალ ვატან თქვენს მოხსენებას ფელდსგერებს ხელმწიფე იმპერატორისათვის წარსადგენად, რომელიც, ექვი არ არის, მოხარული იქნება თავის ახალ გენერალ-ადიუტანტის წარმატებისა“<sup>1</sup>.

ასეთია გრ. ორბელიანის ღვაწლი მეფის რუსეთისადმი კავკასიის ხალხთა დამორჩილების საქმეში. ამიტომაც იყო, რომ თვითმპყრობელური რუსეთი დიდად აფასებდა გრ. ორბელიანს. მეფის ხელისუფლება გრ. ორბელიანში მხოლოდ რუს მოხელეს ხედავდა და აფასებდა ისე დიდად, რომ 1832 წლის ამბებს ამ დროს უკვე აღარც უხსენებდა.

გრ. ორბელიანი, ისევე როგორც სხვა რუსი ოფიცრები, დაღესტანში შამილის დამორჩილების მიზნით იყო გაგზავნილი. ეს იყო მისი უმთავრესი ამოცანა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ერთადერთი გენერალი, რომელიც ყველაზე მეტად ავიწროებდა შამილის ლაშქარს, გრიგოლ ორბელიანი იყო. მთელი რიგი გამაგრებული აულები და საიმედო ციხე-სიმაგრეები შამილს ხელიდან გამოაცალეს რუსეთის ჯარის იმ ნაწილებმა, რომელთაც ორბელიანი მეთაურობდა. შამილს გარკვეულ შიშსა ჰკვირდა ორბელიანის, როგორც ნიჭიერი სარდლის, პიროვნება. თვითონ შამილმაც კარგად იცოდა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში დამსახურებისათვის გრ. ორბელიანმა მრავალი ჯილდო მიიღო და მათ შორის უმაღლესი სამხედრო წოდება — გენერალ-ადიუტანტობაც. შამილის საბოლოო დამარცხება გრიგოლ ორბელიანისთვის იმ დროს უმაღლესი იდეალი იყო, მაგრამ ამ იდეალის მიწვდომა მან ვეღარ შეძლო. 1858 წელს გრ. ორბელიანი დაღესტნიდან თბილისს გადმოიყვანეს სამოქალაქო სამსახურში, ხოლო შამილი 1859 წლის აგვისტოში კავკასიის მთავარმართებელმა ბარიატინსკიმ შეიპყრო.

1859 წლის აგვისტოს დამდეგს გრიგოლ ორბელიანი პეტერ-

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, 1954 წ., გვ. 75.



ბურგს გაემგზავრა, ხოლო სექტემბრის ბოლო რიცხვებში ემშენებოდა „შესანიშნავი პატიმარი“ იმამი შამილი. შორეულ ჩრდილოეთში ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ ერთი მხრივ — დამორჩილებული მთის არწივი შამილი, ხოლო მეორე მხრივ — ქართველი პოეტი და რუსეთის დიდი სარდალი გრიგოლ ორბელიანი. მათი ეს შეხვედრა და საუბარი საათობით გაგრძელდა.

გრიგოლ ორბელიანი თავის ერთ მეგობარს ატყობინებს მის მიერ შამილის გაცნობას და მასთან საუბარს. იგი სწერს:

„შამილა გავიცან პეტერბურღში; კარგი დარბაისელი კაცი ყოფილა. მაგრამ ძალიან გაცეცხლებული იყო ყოველითა მით, რასაცა ჰხედავდა, — მითხრა, კნიაზო, დიდად ვჰსწუხვარ, რომ ვერ ვნახე თქვენი ნათესავი ქალები, რომ ბოღიში მომეთხოვაო; ეხლა ვჰხედავ რასაც ნაკლულოვანებაში იყვნენ ისინი, მაგრამ როგორ მოვიფიქრებდი, რომ ქალები ასე განცხრომით ჰსცხოვრებენ, როგორც აქაო! დიდის სიმწარით მიამბო, რომ მიდალატეს ყოველთა მათ, ვინცა იყვნენ დაახლოებული ჩემთან და ვინცა ჩემს მფარველობას ჰქვე და ჩემის მოწყალეებით ჰსცხოვრობდნო! იმათვე ამიკლეს სრულებით. ასე რომ ეს თეთრი ჩოხა ბარიატინსკიმ მიწყალობაო. და ამგვარი მრავალი მელაპარაკა“<sup>1</sup>.

ასეთია ამ ორი ადამიანის, დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთის დაუძინებელი მოწინააღმდეგის, მრავალწლოვანი ბრძოლის შემდეგ მშვიდობიანი და გულთბილი შეხვედრა.

გრიგოლ ორბელიანის ის დიდი სამხედრო და სახელმწიფოებრივი კარიერა, რომლითაც იგი ცნობილია, უმთავრესად დაღესტნის ბრძოლებში გამოიჭედა. მთიელებთან ათეული წლობით ბრძოლამ და წარმატებებმა დიდი გავლენა მოახდინეს პოეტის მთელ ცხოვრებაზე.

\* \* \*

1858 წელს გრიგოლ ორბელიანი კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. ახალი თანამდებობის მიღებით კმაყოფილი პოეტი იმავე დღემიტრი ჯორჯაძეს სწერდა:

„მე უნდა შევიქმნე იგი, რაიცა იყო უწინ რეალი ვორონცოვის დროს, ესე იგი: პრედსედატელი სოვეტისა და ოსობის პრისუტცი-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი, 1859 წლის 31 ოქტომბერს.

ისა, და ამასთანავე ინსტიტუტისა, და როცა მთავარმართებელ ვალს თბილისით, მე ვარ მის მოადგილედ. ამით უცნობ, რომ ახალი ესე თანამდებობა ჩემი არის მშვიდობიანი, უშფოთელი, უზრუნველი, სავსე ამოების ცხოვრებითა, რომელსაცა ვერ შევჩვეულვარ აქამომდის და იქნება ვერცა სიკვდილამდის შევეჩვიო<sup>1</sup>.

ცნობილ მხედარს სამოქალაქო ცხოვრებაში გადასვლა ესამუშებოდა, მაგრამ გრ. ორბელიანი ამ მშვიდობიან, უშფოთველ და უზრუნველ ყოფასაც ჩქარა შეეთვისა. ასევე უშფოთველად გაატარა მან მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება.

გრ. ორბელიანმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ოცდახუთი წელიწადი თბილისში გაატარა, ქართულ სინამდვილესთან უშუალოდ დაკავშირებულმა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო პოეტის განსაკუთრებულ პოპულარობას. გრიგოლ ორბელიანს ყველა იცნობდა, დაწყებული თვითმპყრობელური ხელისუფლების აპარატის მოხელეებით და დამთავრებული ქართველი ინტელიგენციითა და ფართო მოსახლეობით. მეფის რუსეთის სახელმწიფო აპარატის მოხელეები ორბელიანს იცნობდნენ როგორც მმართველს, ხოლო მოწინავე ქართველი ინტელიგენცია და ქართველი ხალხი მას იცნობდა როგორც ნიჭიერ პოეტს.

გრ. ორბელიანის მიმართ ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო დამოკიდებულება გარკვევით იგრძნობა მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან დაწყებული, როდესაც იგი მეფის რუსეთის თვალსაჩინო მოხელედ იქცა. აღნიშნულმა გარემოებამ გარკვეული დიდი დასვა პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

როდესაც ვეცნობით სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში გრ. ორბელიანის ცხოვრების გარშემო არსებულ მასალებს და ოფიციალური ხასიათის დოკუმენტებს, აშკარად შესამჩნევია ის განსხვავება, რომელსაც ორბელიანისადმი დამოკიდებულებაში იჩენს ერთი მხრივ ოფიციალური ხელისუფლება, ხოლო მეორე მხრივ — ქართველი ინტელიგენცია. პირველი დიდად აფასებს გრ. ორბელიანს, როგორც მეფის საიმედო მოხელეს, რომელიც თავისი წარმატებებით უფროსებს თავბრუს ახვევს. წინააღმდეგ ამისა, ქართველ ინტელიგენციას არც კი სურს იცნოს ორბელიანი, როგორც მეფის გენერალ-ადიუტანტი. იგი აფასებს გრიგოლ ორბელიანს, როგორც ქართველ პოეტს, მხატვრული სიტყვის ნიჭიერ ოსტატს.

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილი დიმიტრი ქორჭაძისადმი, 1858 წლის 13 აპრილის თარიღით.



1871 წელს მეფის ხელისუფლებამ გრ. ორბელიანს სამხედრო ნამსახურობის ორმოცდაათი წლის იუბილე გადაუხადა. იუბილეს აქტიური მონაწილე იყო კავკასიის ყველა დიდი მოხელე — სამხედრო და სამოქალაქო. იმავე იუბილესთან დაკავშირებით ორბელიანმა მიიღო იმპერიის უმაღლესი ჯილდო — ანდრია პირველწოდებულის ორდენი, რომელიც მას პირადად იმპერატორმა გადასცა. ეს ყველაფერი მოხდა იმის გამო, რომ ორბელიანი იყო მეფის გენერალი და დიდი მოხელე, ხოლო როგორც პოეტი, იგი ამ შემთხვევისათვის არ არსებობდა.

მეფის მთავრობა თითქოს განზრახ წინ ეწეოდა ორბელიანს, როგორც რუსეთის გენერალს, რომ ამით დაეჩრდილა იგი, როგორც ქართველი პოეტი. ოფიციალური ხელისუფლების ამ ნაბიჯს ქართველმა ინტელიგენციამ იმით უპასუხა, რომ მან უგულვებლყო თვით ეს იუბილე, რომელიც კავკასიის უმაღლესი მმართველობის მიერ იყო მოწყობილი. ქართული პრესა ისე ყრუდ შეხვდა ამ მოვლენას, თითქოსდა აქ არაფერი იყო.

## II

1883 წლის 21 მარტს გრიგოლ ორბელიანი გარდაიცვალა. სწორედ ამ მომენტში ყველაზე დასრულებული სახით გამოვლინდა ორნაირი დამოკიდებულება მისდამი. პოეტის გარდაცვალებამ უდიდესი გამოხმაურება პოვა. ერთ-ერთი გაზეთი წერდა: ყოველი კუთხე, ყოველი ქალაქი, ყოველი დაწესებულება მონაწილეობას იღებს ამ მწუხარებაში. მართლაც, გრ. ორბელიანის დასაფლავების ცერემონიალი ისე კარგად იყო მოწყობილი, რომ ამ გარემოებამ აკაკი წერეთელს ათქმევინა: როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი გრიგოლ ორბელიანისა იყო დიდებული და სანატრელი. ნეტავი იმას, ვინც მაგისტანა სიკვდილს ეღირსებო.

მეფის ხელისუფლებამ გრ. ორბელიანი არაჩვეულებრივი პატივისცემით დაასაფლავა. იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ იგი დეპეშით დაიტირა. ამავე დროს პოეტის ცხედართან მოსული იყო თითქმის ყველა ქართული კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი. უამრავი გვირგვინები იყო მოტანილი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან, ქართული სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეებისაგან, ქართული სტამბის მუშებისა და სხვებისაგან. მთელი იმდროინდელი პრესა — როგორც ქართული, ისე რუსული — იმ

დღეებში მხოლოდ ორბელიანის შესახებ წერდა. დასაფლავების დღეს ცხედარს თავს ევლებოდნენ კავკასიის მთელი გენერლობა და დიდი სამოქალაქო მოხელეები. იმავე დღეს გრ. ორბელიანის ცხედართან სიტყვებით გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. პირველი მათს აღმზრდელს გენერალ-სარდალს დასტიროდნენ, ხოლო მეორენი — ნიჭიერ პოეტს, ქართული სიტყვის მეუფეს, — როგორც იმ დროს ამბობდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ქართველმა ინტელიგენციამ სძლია ოფიციალურ ხელისუფლებას. გაზეთ „დროებისა“ და ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე მთელი რიგი წერილები გამოქვეყნდა. ქართული ჟურნალ-გაზეთების საქმიანობა ამ დღეებში უმთავრესად ერთ მიზანს ემსახურებოდა: გრიგოლ ორბელიანის, როგორც პოეტის, პოპულარიზაციას ახდენდა. წერილები, გარდა გამონაკლისისა, პოეტის ცხოვრების სწორედ იმ მხარეებს ჩქმალავდნენ, რომლებიც მეფის ხელისუფლებისათვის ძვირფასი იყო.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, იმპერატორ ალექსანდრე მესამის მძვინვარე რეაქციის დროს ხდებოდა. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ხელისუფლების ნება-სურვილის წინააღმდეგ ოფიციალურად გალაშქრება საბედისწერო იყო. მიუხედავად ამ სიძნელისა, ჩვენს პერიოდულ პრესას მაინც შემოუნახავს ზოგიერთი საინტერესო ცნობა, რომელიც მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ქართველი ინტელიგენციის დაპირისპირებას ამ საკითხშიც ცხადყოფს.

გაზეთ „დროებაში“ მოთავსებულ წერილში დავით კეზელი წერს, რომ ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია გლოვობს გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტს. კეზელი პირდაპირ ამბობს, რომ თუ მისი პოეზია არა, ორბელიანს კიდევ მეტი ხარისხი და თანამდებობაც რომ ჰქონოდა, ჩვენ მას არ ვიგლოვებდითო.

დავით კეზელი წერს:

„გრიგოლ ორბელიანი იყო ზემთაგონებით განსწავლული მეფე ქართული სიტყვიერებისა და პოეზიისა. გრიგოლ ორბელიანს რომ თავის გარეგანი ხარისხით, თანამდებობით ათიათასჯერ უფრო მომეტებული ალაგოცა სჭეროდა, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, მაგრამ დღეს ვგლოვობთ, მის მიცვალეულ გვამს დავსტირით, როგორც დამკარგველნი დიდებული პოეტისა; იმ პოეტისა, რომელიც თავისი ძლიერი და გრძნობით სავსე ხმით აღვიძებდა და ამხნევებდა ჩაძინებულს და უიმედობით დამამშვრალ ქართველს...“<sup>1</sup>

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1883 წ., № 6.



მოყვანილ ამონაწერში თითქმის მთლიანად არის გადმოცემული იმ ეპოქის ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანისადმი. ასევე მსჯელობდნენ იმ დროის დიდი ქართველი მწერლები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები.

ასეთია მეფის რუსეთის ხელისუფალთა და ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგობა გრ. ორბელიანისადმი დამოკიდებულების საქმეში. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დაპირისპირებისათვის საფუძველი ორივე მხარეს ჰქონდა: ერთი პოეტის მხატვრულ შემოქმედებას ემყარებოდა, ხოლო მეორე — მის პრაქტიკულ ცხოვრებას, თანამდებობრივ მდგომარეობას.

დაპირისპირება, რომელსაც აქ გავეცანით, მეცხრამეტე საუკუნეში წარმოებდა პოეტის თანამედროვეთა შორის. მაგრამ მისი პრაქტიკული ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთდაპირისპირების ანარეკლი მეოცე საუკუნესაც გადმოეცა. გრიგოლ ორბელიანის, როგორც პოეტისა და როგორც ადამიანის, გაორებაზე მსჯელობამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე წერდა:

„აბა მიბრძანეთ ერთი, რა არის საერთო იმ პოეტის შორის, რომლის ქნარიც ნაზისა და მომხიბლავის მელოდიებით აღსავსე ჰანგებს გვასმენს, და იმ სასტიკ, გამხეცებულ მეომარს შორის, რომელმაც სხვადასხვა მხარის მმართველობის დროს „დრაკონის კანონები შემოიღო“? აბა, რა რიგათ შეგიძლიათ მოათავსოთ ერთ არსში მაღალი გრძნობიერი მგოსანი, რომელიც გულზვიად და გულგრილ სატრფოსაც კი გზას ულოცავს და ის გაშმაგებული სისხლის მსმელი მეომარი. რომელსაც თავისი სიმხეცით თავი მოსწონს“<sup>1</sup>.

მოყვანილ სტრიქონებში უდავოდ ისმის მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლებიდან მომდინარე ამბების გამოძახილი. გრიგოლ ორბელიანის ასეთი გაორება მისი ლიტერატურული შემკვიდრეობის ათვისების საქმეს აძნელებს და გამართლებული კი არავითარი მოსაზრებით არაა.

ლიტერატურის ისტორიისათვის საინტერესოა არა გენერალი. არამედ პოეტი გრიგოლ ორბელიანი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ეს ხომ არ ნიშნავს მწერლის ბიოგრაფიის უგულებელყოფას? რასაკვირველია, არა! პირიქით, ბიოგრაფიული მომენტი

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 33.

საქირო და აუცილებელია მწერლის მთლიანობაში შესასწავლად ბიოგრაფია ზოგჯერ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწერლის შემოქმედების საკვანძო საკითხების გადასაწყვეტად. ასეთი ბიოგრაფია გრ. ორბელიანს უდავოდ აქვს, თუმცა იგი დღემდე ჯეროვნად შესწავლილი არაა.

### III

გრიგოლ ორბელიანის პირადი ცხოვრებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მისი დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ლიტერატურულ თაობასთან. ამ ურთიერთობის გათვალისწინებით გარკვეული შუქი ეფინება გრ. ორბელიანის მხატვრული შემოქმედების რიგ საინტერესო საკითხებს.

სამოციანი წლების ახალი თაობის ქართველი ინტელიგენცია საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში დიდ როლს ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას. თერგდალეულები ებრძოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულების ტრადიციულ გაგებას და ამის საწინააღმდეგოდ რეალისტურ შეხედულებებს ავითარებდნენ.

გრიგოლ ორბელიანი სამწერლო ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოვიდა, ხოლო ორმოც-ორმოცდაათიან წლებში იგი საყოველთაოდ ცნობილი მწერალი იყო. შეუძლებელია ვჭვი ვიჭონიოთ, რომ ილია გრ. ორბელიანის პოეტურ შემოქმედებას ჭაბუკობიდანვე იცნობდა, მაგრამ მათ შორის პირადი ურთიერთობა სამოციან წლებამდე არ ჩანს. გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის პირადი შეხვედრა, არსებული ცნობების მიხედვით, მხოლოდ 1859 წელს უნდა მომხდარიყო.

1859 წლის შემოდგომაზე გრიგოლ ორბელიანი პეტერბურგიდან, იმპერატორის სასახლეში ხანგრძლივი სტუმრობიდან თბილისისაკენ მოემგზავრებოდა. იმავე დროს შვებულებასი ნამყოფი ილია ჭავჭავაძე საქართველოდან პეტერბურგს მიემშურებოდა უნივერსიტეტში დასაბრუნებლად. გზაში, მლეთის დაღმართზე, ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი და ახალგაზრდა სტუდენტი ილია ჭავჭავაძე.

ამ მოულოდნელ შეხვედრას ილია ჭავჭავაძეზე გარკვეული გავლენა მოუხდენია. მართალია, იმ დროს გრ. ორბელიანს მისთვის მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია, ილიამ იგი მხოლოდ შორიდან დაინახა, მაგრამ ახალგაზრდა მგზავრს მესხიერებაში ღრმად





აღბეჭდვია საყვარელი პოეტის ნათელი სახე. ამ შეხვედრის გამო შემდგომ თვითონ ილია ჭავჭავაძეს უთქვამს:

„გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელ-შეწყობილი, პირმღიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით თავისი ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თვის ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდული, ალტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ესაა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასო“<sup>1</sup>.

ასეთია გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ერთი საგულისხმო შეხვედრა. ამის შემდეგ ეს მწერლები მხოლოდ სამოციანი წლების მეორე ნახევარში ხვდებიან ერთმანეთს, სახელდობრ, პეტერბურგიდან ილიას დაბრუნების შემდეგ.

1861 წლის ჟურნალ „ცისკრის“ აპრილის ნომერში იბეჭდება ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილი სათაურით „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“. ილია ჭავჭავაძის ეს წერილი, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთიდან გამომგზავრებამდე დაიწერა, დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია.

ილია ჭავჭავაძე თავისი წერილით პირდაპირ ილაშქრებს „ცისკრის“ გარშემო შემოკრებილ მწერალთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ. ილია იმავე დროს ამხელს საზოგადოდ ჟურნალ „ცისკრის“ მთელ რიგ სუსტ მხარეებს, მაგრამ ამავე წერილიდან მთელი სიცხადით იგრძნობა ახალგაზრდა ილიას სათუთი დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანის პოეტური შემოქმედებისადმი. იგი დიდად აფასებს გრ. ორბელიანის პოეზიას. ილია ჭავჭავაძე „ცისკრის“ დამსახურებად სწორედ იმას თვლის, რომ ეს ჟურნალი დროგამომშვებით ბეჭდავს ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის ლექსებს, რითაც მკითხველთა წრეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ამ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

„კიდევ მადლობა ღმერთს, — წერს ილია ჭავჭავაძე, — რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია. ორიოდე თავად ალ. ჭავჭავაძის, თავად

<sup>1</sup> ი. მ. უ. ნ. ა. გ. ი. ა., ქართველი მწერლები, ტ. II, 1957 წ., გვ. 26. შეუნარგის აზრით, ეს შეხვედრა უნდა მომხდარიყო 1857 წელს, როდესაც ილია უნივერსიტეტში შესასვლელად მიემგზავრებოდა. სინამდვილეში ეს შეხვედრა 1859 წელსაა მომხდარი. 1857 წელს გრ. ორბელიანი პეტერბურგში საზოგადოდ არ ყოფილა. ამის დადგენისათვის საკმარისია გადავთვალოთ პოეტის პირადი მიმოწერა, საიდანაც ყოველთვის გარკვევით ჩანს მისი ადგილსამყოფელი.

ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გავვაცნო, რომ სხვა არა იყოს-რა. სხვა ახალი პროზაიკები და მოლექსეები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს“.

ილია ჭავჭავაძემ გაილაშქრა „შეშლილის“ მთარგმნელის ენის წინააღმდეგ. რევაზ ერისთავის დამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი ილიამ „უპატიობა და სიძულვილი“ უწოდა. იმავე დროს მან მიუთითა ქართული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებზე და „ცისკარის“ მწერლებს მათი მაგალითისაკენ მოუწოდა. სწორედ ამ მომენტში ილიამ გრიგოლ ორბელიანი გენიალურ მწერლების შოთა რუსთაველისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით დაასახელა.

ილია ჭავჭავაძე წერდა:

„გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი. რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“<sup>1</sup>

ილია ჭავჭავაძე სასტიკად ჰკიცხავდა რევაზ ერისთავს იმის გამო, რომ მან რითმების ინტერესს შესწირა მის მიერ თარგმნილი ნაწარმოების დედაზრი. აქაც „შეშლილის“ მთარგმნელის საწინააღმდეგოდ ილია ჭავჭავაძემ მიუთითა გრიგოლ ორბელიანის ცნობილ ლექსზე „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“.

ილია ამტკიცებდა, რომ ლექსისათვის მთავარია არა რითმა, არამედ აზრი და გრძნობა. პოეზია განსახოვნებაა ქეშმარიტების, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისაო, — ამბობდა „აჩრდილის“ ავტორი.

ილია ჭავჭავაძე, იმავე წერილში, გრიგოლ ორბელიანის ლექსის „დიმიტრი ონიკაშვილის დარდების“ გამო, წერდა:

„განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკარში“ „ო... დარდები“; აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაქალის ბალები. აბა,

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1861 წ., № 4.



ნახეთ ის ქართველი პაეარნი, ნაბადწამოსხმული, ლოთურად ჩით-მერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი, ამ ვირს ეშხედ ელაპარაკე!“ რამდენი ნამდვილობა და ჰუმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კენესაში და ნატვრაში! პოეზია განსახოვნებაა ჰუმარიტებისა, ცხოვრებისა, და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა“.

ილია ჭავჭავაძის ეს სტრიქონები მრავალმხრივ არის საყურადღებო: ჯერ ერთი, აქ მოხდენილად არის მიგნებული გრ. ორბელიანის ამ ლექსის ძირითადი მოტივი, სწორად არის გაგებული მისი მხატვრული და შინაარსობრივი ღირსება. მეორე მხრივ, ამონაწერიდან გარკვევით იგრძნობა ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანის პოეტური შემოქმედებისადმი საზოგადოდ.

ილია ჭავჭავაძის კრიტიკულმა წერილმა, როგორც ცნობილია, დიდი გამოხმაურება პოვა. ილიას წინააღმდეგ დაიარაზმა ერთი ჯგუფი ჟურნალ „ცისკარის“ ირგვლივ შემოკრებილი მწერლებისა. მომდევნო ნომრებში დაიბეჭდა რიგი წერილები ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ამ წერილების ავტორები იყვნენ ბარბარე ჯორჯაძე, გიორგი ბარათაშვილი, რევაზ ერისთავი, სარდიონ მესხიშვილი, ექვთიმე წერეთელი და სხვები. მოწინააღმდეგეთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ილია იძულებული გახდა ეთქვა: ჩემს მოწინააღმდეგეებს უფიქრიათ რიცხვით მაინც მაჯობონო.

აღსანიშნავია, რომ ამ საერთო ბრძოლის დროს გრიგოლ ორბელიანს ერთი წერილიც არ გამოუქვეყნებია ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის საპირისპიროდ. იგი ახალი თაობის წინააღმდეგ სამოციან წლებში ერთხელაც არ გამოსულა.

გრიგოლ ორბელიანის ასეთი დუმილი „ცისკარში“ დაწყებული ბრძოლის მომენტში სრულიად შეგნებულ მოქმედებად უნდა ჩაითვალოს. იგი განზრახ არ ჩაერია ამ ბრძოლაში და არ გამოვიდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იმის გამო, რომ სიმართლეს მის მხარეზე ხედავდა.

ჯერ კიდევ 1853 წელს, თავის ერთ კერძო წერილში, გრ. ორბელიანს გამოთქმული აქვს აზრი იმის თაობაზე, რომ სახარების ენა დაძველდა და იმ ენით წერა და ლაპარაკი ახალ დროში აღარ გამოდგება.

საქმე ასე იყო:

1852 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა სარდიონ მესხიშვილის მიერ უცხო ენიდან თარგმნილი ერთი ნაწარმოები. გრ. ორბე-



ლიანს წაუკითხავს ეს თარგმანი და, როგორც ჩანს, არ მოსწონებია მთარგმნელის მიერ გამოყენებული ქართული ენის არქაული ფორმები. თარგმანის წაკითხვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ პოეტი წერილს წერს თავის რძალს ქეთევან ორბელიანს. იგი ამ წერილში მოკითხვას უთვლის სარდიონ მესხიშვილს და აქვე გაცვრით, სხვათა შორის, გამოთქვამს საკუთარ აზრს „ცისკარში“ გამოქვეყნებული თარგმანის გამო.

გრიგოლ ორბელიანი ქეთევანს სწერს:

„სარდიონ დიდის სიყვარულით მომიკითხე; ეგრეთვე მაგის ცოლი. მგონია არც ერთი არ მიცნობენ. — სარდიონს უთხარი, რომ მაგისგან დაწერილი „ცისკარში“ დიდის სიამოვნებით წავეკითხე, მაგრამ მაიმუნის ხასიათის აღწერაში რა საჭიროა სახარების სიტყვები „რამეთუ, უკეთუ, მიერთ“ და სხვანი მკვდარი სიტყვები, რომელნიცა მსცხოვრობენ დაბადებაში და ძველს წიგნებში, და ეხლა აღარ ჰხმარობს ხალხი“<sup>1</sup>.

მოტანილი ამონაწერი საინტერესო გარემოებაზე მიუთითებს. მართალია, აქ არ არის ფართო ხასიათის მსჯელობა სალიტერატურო ენის ნორმებზე, მაგრამ ამ ორიოდ სტრიქონიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ მის ავტორს გარკვევით სწამს ძველი და ახალი ლიტერატურული ენის არსებობა. იგი გადაჭრით აღიარებს, რომ ბიბლიის ენა მოძველებულია, დრომოკმულია და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამ ენით წერა აღარ შეიძლება. შემდეგ, რაც მთავარია, „სადღეგრძელოს“ ავტორი გადაჭრით აცხადებს, რომ სახარების მთელი რიგი სიტყვები მხოლოდ ძველ წიგნებშია გადარჩენილი და ახლა მათ ხალხი უკვე აღარ ხმარობს.

ასე მსჯელობდა გრ. ორბელიანი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. ბუნებრივია, რომ მას არ შეეძლო სამოციან წლებში გამოსულიყო დამცველად იმ ენობრივი ნორმებისა, რომელთაც იგი დრომოკმულად თვლიდა უკვე ათი წლის წინათ. „მამები“ კი, როგორც ვიცით, სწორედ ასეთი ენის დამცველებად გამოდიოდნენ.

როგორც ზემოთ, აღექსანდრე ორბელიანთან დაკავშირებით აღინიშნა, რეაქციონერი „მამები“ აშკარად კონსერვატიზმის პოზიციებზე იდგნენ არა მარტო სალიტერატურო ენის საკითხში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილი ქეთევან ორბელიანისადმი 1853 წლის 2 იანვრის თარიღით.



გრ. ორბელიანი სამოციან წლებში ახალი თაობის წინააღმდეგ არ გამოდის და, პირიქით, მათ ხელს უმართავს კიდეც. მისი განსხვავებული დამოკიდებულება „შვილებისადმი“ მისი მოღვაწეობის საერთო ხასიათიდან გამომდინარეობს. მოულოდნელი არაა, რომ მუხამბაზების ავტორი სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის წინააღმდეგ არ გამოდის. ეს ერთი, შემდგომ. მგზნებარე პატრიოტიზმა ქართველმა, რომელიც რეაქციონერი „მამებისაგან“ განსხვავებით ხალხში სწავლა-განათლების შეტანისათვის, საზოგადოდ ქართული კულტურის ამადლებისათვის ყოველთვის იღვწოდა, „საქართველოს მოამბის“ დაარსებასაც შეგნებულად მხარი დაუჭირა.

ძველი და ახალი თაობის ბრძოლის დასაწყისს ემთხვევა ქრონოლოგიურად ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ შექმნა. შეუძლებელია განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდეს ის ვარემოება, რომ ილიას „მგზავრის წერილებში“ შეაქვს ზოგიერთი ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის თხზულებებიდან. ეს ხდება იმ დროს, როდესაც იგი „მამათა“ წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებს.

„მგზავრის წერილების“ მეორე თავში მდინარე თერგისა და მისი მიდამოების აღწერისას ილიას გამოყენებული აქვს გრიგოლ ორბელიანის სტრიქონები ლექსიდან „სალამო გამოსალმებისა“. „მგზავრის წერილებში“ ისე მოხდენილად არიან ერთიმეორეში შერწყმული ილიასა და გრიგოლის სტრიქონები, რომ მკითხველი მათ დაშორებას ვერ ახერხებს. ისინი ერთად ბუნების უმშვენიერეს სურათს იძლევიან. აი ეს ადგილიც თხზულებიდან.

„ეგ დასალუბავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენსკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევ-გმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

თერგი რბის, თერგი ღრიალებს,  
კლდენი ბანს ეუბნებიან.

„იქ ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქოს ან როზგ-ქვეშ არის გატარებულო, ან დიდი ჩინი მიუღლიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

კლდოვანთა გულთა ღრუბელნი  
შავდა ზედ დასწოლიან  
და მრისხანებით ქვეყანას  
წარღვნიოთა ემუქრებიან“.

ასეთია ბუნების აღწერის ერთი შემთხვევა „მგზავრის წერილებში“. აქ, ბუნების ამ წარმტაცი სურათის წარმოდგენაში, გრ. ორბელიანის ლექსის ნაწყვეტები ისევე ძვირფასი არიან, როგორც თვითონ ილიას სტრიქონები.

იმავე „მგზავრის წერილებში“ საქართველოს მიწა-წყალზე შემოსული მგზავრი (ესე იგი ილია ჭავჭავაძე) ალტაცებით წამოიძახებს ცნობილ სტრიქონებს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“:

სხვა საქართველო სად არის,  
რომელი კუთხე ქვეყნისა!

ამრიგად, ილია ჭავჭავაძეს იმ დროს, როდესაც იგი „ცისკრის“ მწერალთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა, გრიგოლ ორბელიანის ცალკეული ლექსები და სტრიქონები თავის საკუთარ თხზულებებში შემოჰქონდა, მათს ციტაციას ახდენდა.

\* \* \*

თაობათა შორის ატეხილი ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა. 1861 წლის მაისის ნომრიდან დაწყებული ჟურნალ „ცისკარში“ დროდადრო იბეჭდებოდა ილია ჭავჭავაძის საწინააღმდეგო წერილები. ამ წერილებს ილიაც ეხმაურებოდა. „ცისკარში“ წარმოებული ბრძოლის საერთო ხასიათის თაობაზე ნიკო ნიკოლაძე წერდა:

„ვის არ ახსოვს, რანაირად მიიღეს 1861 წელს ილია ჭავჭავაძის პირველი თხზულებები? რა კიყინა შექმნეს ჩვენმა მწერლებმა ჭავჭავაძის „ენაზე“ და „ენის უცოდნობაზე!“ რამდენი „შეცდომა“ უპოვეს იმის ენას! რამდენი ბრალი დაადვეს მის ლექსს!.. ვის არ ახსოვს, რა მხურვალე ცრემლები დაჰღვარა „ცისკრის“ დაცარიელებულ მინდვრებში გორისელმა წერეთელმა ექვთიმემ ქართული ენის წაბილწვაზე და შეურაცხყოფაზე ილია ჭავჭავაძის თხზულებებში!“<sup>1</sup>

ახალი თაობა ამ დროს უკვე გარკვევით გრძნობს თავისი იდეების ხალხში გატანისათვის საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს საჭიროებას. ამ იდეის კარნახით ილია ჭავჭავაძე 1861 წლის მიწურულიდან უკვე იწყებს ზრუნვას იმისათვის, რათა გამოსცეს დამოუკიდებელი ორგანო. ეს არის ცნობილი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც გამოსვლას იწყებს 1863 წლის დამდეგიდან.

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1870 წ., № 42.

„საქართველოს მოამბის“ დაარსებით „შვილებმა“ მიიღეს მკვეთრი იარაღი, რომლითაც შეეძლოთ პასუხი გაეცათ მოწინააღმდეგე ლიტერატორთა შემოტევისათვის. შეუძლებელია განსაკუთრებულ ინტერესს არ იწვევდეს ის გარემოება, რომ ამ იარაღის მიღება ილია ჭავჭავაძეს გრიგოლ ორბელიანმა გაუფორმა. ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ დაარსების ნებართვა მიიღო 1862 წლის თებერვალში, როდესაც კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას გრ. ორბელიანი ასრულებდა.

„საქართველოს მოამბის“ დაარსების ნებართვას ხელს აწერს პირადად გრ. ორბელიანი. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა თვითონ გრ. ორბელიანის სურვილის წინააღმდეგ? ხომ არ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ გრ. ორბელიანს არც კი უნდოდა ამ ჟურნალის გამოცემა, მაგრამ შეუძლებელი გახდა სხვანაირად მოქცეულიყო, ე. ი. თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, არ შეეძლო ასეთი ნებართვა არ გაეცა?

საკითხის ასეთი ახსნა სამართლიანი არ იქნებოდა. შეუძლებელია „საქართველოს მოამბის“ დაარსების ნებართვის გაცემა ორბელიანის მიერ მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად მივიჩნიოთ. გრიგოლ ორბელიანი თუ ოდნავ მაინც დაინტერესდებოდა იმით, რომ ქართული ჟურნალი არ გამოსულიყო, ეს მისთვის სრულიად იოლი საქმე იყო. იგი მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო ასეთი დიდმოხელის ნება-სურვილზე ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული. ასე რომ, მას ჟურნალის ნებართვის გაცემისას ამოქმედებდა არა თანამდებობრივი მდგომარეობა, არამედ თავისი პირადი დაინტერესება ამ საქმით. პოეტის მთელი ცხოვრება, მისი დამოკიდებულება ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობისადმი, მისი პირადი მონაწილეობა მთელ რიგ ლიტერატურულ-კულტურულ წამოწყებებში პირდაპირ ადასტურებს იმას, რომ გრ. ორბელიანი ყოველთვის მზად იყო მხარი დაეჭირა ქართული ბეჭდვითი სიტყვის გავრცელებისათვის. ასე მოხდა „საქართველოს მოამბის“ დაარსების შემთხვევაშიც.

როგორც ვხედავთ, თაობათა ბრძოლის ჩასახვიდან დაწყებული გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთდამოკიდებულება სრულიად ჯანსაღ ატმოსფეროში მიმდინარეობს და მათ შორის არავითარ დაპირისპირებას ადგილი არა აქვს. სამოციანი წლებიდან არ არსებობს არავითარი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც ამ ორი დიდი მწერლის ურთიერთდაპირისპირება მქლავნდებოდეს.

გრიგოლ ორბელიანის გალაშქრება ილია ჭავჭავაძისა და საერ-

თოდ ახალი თაობის ინტელიგენციის წინააღმდეგ მოხდა სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში. ამის უშუალო საბაზი გახდა ილია ჭავჭავაძის სატირული „გამოცანები“, რომელიც 1871 წლის მიწურულში დაიწერა.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“ იმ დროის დიდი თანამდებობის პირებს შეეხება. ილია ამ მოხელეებს სათითაოდ ახასიათებს და უწოდებს მათ შესაფერის დამცინავ სახელებს: „ქონდრის კაცი“, „ტყუილი ბრძენი“, „ყლაპია“, „ლობემძვრალა“ და სხვ. თითოეული გამოცანა საბოლოოდ იმით მთავრდება, რომ მასში გამოყვანილ პიროვნებას საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი ფეხებზე ჰკიდია.

ილია ჭავჭავაძემ ერთი გამოცანა გრიგოლ ორბელიანსაც უძღვნა. მართალია, გრ. ორბელიანი ამ დროს სახელმწიფოებრივი სამსახურიდან უკვე გამოსული იყო, მაგრამ მას ჰქონდა უმაღლესი სამხედრო წოდება და ამასთანავე თავისი დამსახურების გამო იგი დიდი გავლენით სარგებლობდა.

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ გამოცანა, რომელიც გრ. ორბელიანს შეეხება, საგრძნობლად განსხვავდება დანარჩენი გამოცანებისაგან. იმ დროს, როდესაც სხვა გამოცანები, მძაფრი სატირული ხასიათისაა, ორბელიანისადმი მიძღვნილი გამოცანა ნაკლებად გესლიანია. ყოველ შემთხვევაში, ილიას კეთილშობილური დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანისადმი აქაც ჩანს.

\* \* \*

გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება ახალი თაობის ინტელიგენციისადმი საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. როგორც აღინიშნა, მას ილიასთან პაექრობა ჰქონდა მხოლოდ სამოცდაათიანი წლებში. ამ დროს დაიწერა მისი ცნობილი ლექსი „პასუხი შვილთა“. ჟურნალ „ციცქრის“ დახურვა 1875 წლის დამდეგს ამ პაექრობის ბუნებრივი დასასრული იყო და გრ. ორბელიანიც ამის შემდეგ ახალი თაობის წინააღმდეგ აღარ გამოსულა. რაც შეეხება მის პირად ურთიერთობას ილია ჭავჭავაძესთან, მათი დამოკიდებულება სრულიად ჯანსაღ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ისინი დიდად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს, რაც აშკარად იგრძნობა მათი პირადი მიმოწერიდან და შეხვედრებიდან.

1879 წელს გრიგოლ ორბელიანმა დაწერა ლექსი „ფსალმუ-





ნით“. მხცოვანმა პოეტმა ეს ნაწარმოები ილია ჭავჭავაძეს გაუგზავნა და „ივერიაში“ დაბეჭდვა სთხოვა.

აი ეს წერილი და ლექსი ერთად:

„ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ, დავბერდი და შევუდექ სულის გზასა; ვპკითხულობ დავითნსა და აი რა დადნა ამ კითხვისაგან. მაგრამ გთხოვ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს უღმობებელ კრიტიკოსსა კნეინა ოლდასა; თუ მოეწონოს, ხომ რა კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით, ასე რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარცხვენად.

#### ფსალმუნით

ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
სადა პეალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?..  
...სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწყენდილ,  
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად  
და სიყვარულით შეიწყალა ცთომილი ვნებით..

ვინცა ამ სოფლის დიდებასა მზეებერ მნათობსა,  
მონებერ არ მიჰსდევს, მსცნობს რა მის შუქს, ფუქვარაშეაღსა  
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლეს  
და ძმას დაეცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!..

იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,  
ღვთისა დიდების გლობითა, ნათელ-მოსილი.

თქვენი მარადის ბედნიერების მსურველი  
გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი <sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანის ეს ლექსი მიიღო და თავის „ივერიაში“ გამოაქვეყნა.

გრიგოლ ორბელიანის სისახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ღრმა მოხუცებულობის პერიოდშიც ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ახალი ძალების გამოჩენას ლიტერატურის სარბიელზე. სიცოცხლის უკანაკნელ წლებში მოხუცი მგოსანი გატაცებით კითხულობდა ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებს. ეს იყო ოთხმოციანი წლები, როდესაც ალ. ყაზბეგის შესანიშნავი რომანები „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა. რომანის „მამის მკვლელის“ წაკითხვის შემდეგ გრ. ორბელიანმა ახალგაზრდა ალ. ყაზბეგს ქართველების პომეროსი უწოდა.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—5327. ეს ლექსი გრ. ორბელიანის თხზულებათა გამოცემებში ჩვეულებრივად იბეჭდება სათაურით „ფსალმუნი“. რაღა თქმა უნდა, „ფსალმუნი“ და „ფსალმუნი“ ერთი და იგივე არაა. ეს შეცდომა მომავალში მაინც აღარ უნდა განმეორდეს.

გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში, განსაკუთრებით სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში, მთელი რიგი მომენტებია, როდესაც იგი ახალი თაობის ინტელიგენციასთან ერთად ენერგიულად მონაწილეობს ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის კულტურულ წამოწყებებში.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულია მთელი რიგი ქართული სკოლების გახსნა, სახალხო სამკითხველოებისა და წიგნთსაცავების დაარსება და სხვ. იმავე საზოგადოებას ჰქონდა საკუთარი გამომცემლობა, რომელიც ბეჭდავდა და ავრცელებდა ქართულ წიგნებს. მან გამოსცა მთელი რიგი ნიმუშები როგორც ძველი, ისე ახალი ქართული ლიტერატურისა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართულ რედაქციებთან ერთად მოიხანს როგორც ერთი ძლიერი კულტურული დაწესებულება, რომელშიც თავს იყრის ჩვენი საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა და პედაგოგების მთელი საქმიანობა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში. წერა-კითხვის საზოგადოებასთან უშუალო კავშირშია ოთხმოციანი წლების ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე — დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი და სხვები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის გრიგოლ ორბელიანს. იგი ამ საქმის მონაწილე იყო იმ დროს, როდესაც საზოგადოება ყალიბდებოდა, ფეხს იდგამდა და ოფიციალური ხელისუფლებისაგან მთელ რიგ წინააღმდეგობას ხვდებოდა. საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელს ვახტანგ თულაშვილს მოთხოვნილი აქვს იმ სიძნელებებზე, რომელთაც ისინი 70-80-იან წლებში ხვდებოდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში. ვახტანგ თულაშვილის გადმოცემით, გრ. ორბელიანი ინიციატორთა ჯგუფის ერთი აქტიური წევრი იყო და, სხვათა შორის, მის ბინაზე ჩატარდა საზოგადოების დამაარსებელთა ის კრებაც, რომელზედაც განხილული იყო წესდების უკანასკნელი ვარიანტი.

ვახტანგ თულაშვილი ამბობს:



„როდესაც წესდება მზად იყო, 30 იანვარს 1878 წ., გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანის სახლში შევეყარებით, სადაც მიწვეულნი იყვნენ მის მიერ ყველანი, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ საზოგადოებაში, როგორც წევრთ. დიმიტრი ყიფიანმა წიკითხა წესდება, რომელიც ყველამ მოიწონა. იმ დღესვე კრებამ დაადგინა: მიენდოს დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს და ბესარიონ ლოლობერიძეს წარუდგინოს ეს წესდება მთავრობას დასამტკიცებლად“<sup>1</sup>.

მოყვანილი ამონაწერი საკმაო სიცხადით წარმოგვიდგენს გრიგოლ ორბელიანის დამსახურებას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საქმეში. 1879 წლის 15 მაისს დამფუძნებელთა პირველ კრებაზე გრ. ორბელიანი დასახელებული იყო საზოგადოების თავმჯდომარედ, მაგრამ მსცოვანმა მგოსანმა თავაზიანი უარი განაცხადა ავადმყოფობის მიზეზით.

გრიგოლ ორბელიანი ოთხმოციან წლებში ახალი თაობის ინტელიგენციასთან ერთად თანამშრომლობს სხვა მთელ რიგ კულტურულ წამოწყებებშიც. ორბელიანისათვის, როგორც თავისი დროის კულტურული ადამიანისათვის, ბუნებრივია, რომ ახალ ეპოქასაც თავისებური ხარკი მისცა. საგსებით მართალი იყო ილია ჭავჭავაძე, როდესაც გრ. ორბელიანს ძველსა და ახალს შუა „შემაერთავი ხიდი“ უწოდა.

#### IV

გრიგოლ ორბელიანის ურთიერთობა სამოციანი წლების ახალ თაობასთან მხოლოდ პირადი დამოკიდებულებით არ განისაზღვრება. მათი ურთიერთგავლენა შემოქმედებითი ხასიათისაც იყო. როგორც უკვე აღინიშნა, გრ. ორბელიანის პოეზიით ილია ჭავჭავაძე ადრევე იყო გატაცებული, ხოლო თავის საპროგრამო ნაწარმოებში „მგზავრის წერილებში“ ორბელიანის თხზულებათა ნაწყვეტებიც შეიტანა. მომდევნო პერიოდში თვითონ გრ. ორბელიანიც ვერ ასცდა ახალი თაობის გავლენას.

ახალი თაობის უშუალო გავლენით გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში თავი იჩინა დემოკრატიულმა მოტივმა. მართალია, ეს მოტივი მისთვის დამახასიათებლად არ გადაქცეულა, ორბელიანი

<sup>1</sup> „საქართველოს კალენდარი 1904 წლისა“, ვალ. გუნიასი, ფ. გოვიჩაიშვილის რედაქციით, გვ. 341.

არ გამხდარა დემოკრატიული იდეების მქადაგებელი პოეტი, მაგრამ მის შემოქმედებაში ამ თვალსაზრისითაც გარკვეული მონაცემები გვაქვს, და მათ ჩრდილი არ უნდა მივაყენოთ.

როცა გრიგოლ ორბელიანის პოეტურ შემოქმედებაში დემოკრატიული მოტივის არსებობაზეა ლაპარაკი, ჩვეულებრივად მხედველობაში აქვთ მისი ცნობილი ლექსი „მუშა ბოქულაძე“. ამ ნაწარმოებს თავის დროზე ყურადღება მიაქცია კიტა აბაშიძემ. მან სამართლიანად აღნიშნა, რომ „მუშა ბოქულაძე“ ახალი ლიტერატურული გავლენის შედეგად დაიწერა. მაგრამ კ. აბაშიძემ ამ ლექსის იდეურ-შინაარსობრივი მხარის ორიგინალური გაგება მოგვცა. კიტა აბაშიძის აზრით, სხვა არის ლექსის სათაური და სხვა არის მისი შინაარსი. კრიტიკოსი ამტკიცებდა: „მუშა ბოქულაძე“ სინამდვილით ვერ გადმოსცემს მუშის მდგომარეობას და იგი უფრო გრ. ორბელიანის პირადი განცდაა, ვიდრე მშრომელი მუშის წვითა და ტანჯვით აღსავსე ცხოვრებაო.

კიტა აბაშიძე წერდა:

„ახალი ლიტერატურის ზედ-გავლენას უნდა მიეწეროს ისიც, რომ 1874 წელში მან „მუშა ბოქულაძე“ დასწერა, სწორედ 14 წლის შემდეგ ილ. ჭავჭავაძის „მუშისა“, მაგრამ, მართალი უნდა ვსთქვათ, აქ ვერ არის სინამდვილე დაცული: მთელი ეს ტირადა გრ. ორბელიანის ნათქვამია და არა მუშის, მუშას იშვიათად წარმოსცდება ეგრეთი აზრი, თუმცა შეიძლება გულში კი გრძნობდეს რაღაცა მაგ-გვარს, მაგრამ საეჭვოა შეგნებული ჰქონდეს უბრალო მუშას,

რომ მის შებლზედა ლარები,  
წვერ-ულვაში უდროდ გათვთრებულ  
ნიშანია გულში ღრმათა ტკივილთა,  
დიდთა შრომათ, ღრმათ ფიქრებთა მწარეთა,  
უიმედოდ, უნუგეშოდ ყოფნისა!..

„ასეთი იდეალიზაცია მუშისა და მისი გრძნობისა და აზრთა განდიდებით წარმოდგენა იმ დროის პუბლიცისტიკისა და ლიტერატურის ნაყოფია“<sup>1</sup>.

კიტა აბაშიძის ეს დებულება რომ გაგვეზიარებინა, იმ დასკვნამდე უნდა მივსულიყავით, თითქოს გრ. ორბელიანმა თავის ნაწარმოებში აღებული თემისათვის პასუხის გაცემა ვერ შეძლო, ანუ, როგორც კ. აბაშიძე ამბობს, „აქ ვერ არის სინამდვილე დაცული:

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, ტ. I, 1911 წ., გვ. 57.



მთელი ეს ტირადა გრ. ორბელიანის ნათქვამია და არა მუშისა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ გრ. ორბელიანის მთელ შემოქმედებაში ცნობილი არაა ისეთი შემთხვევა, რომ ლექსის შინაარსი სათაურს ვერ პასუხობდეს. ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ლექსები სწორედ შინაარსით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ. მის ლექსებში თვალხილულად იცნობა ადამიანი მთელი თავისი ინდივიდუალური განცდებით, იქნება იგი თამარ მეფის სურათის წინაშე თავდახრილი პოეტი თუ დარდიმანდი ყარაჩოღელი. ილია ჭავჭავაძე 1861 წლის თავის პირველ საპოლემიკო წერილში გრ. ორბელიანის ერთი ლექსის („დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“) განხილვისას სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ამ ლექსში ორბელიანი პირდაპირ ხელშესახებად გვიხატავს ყარაჩოღელის სახეს. ილია წერდა, რომ ამ ლექსის წაკითხვისას თვალწინ ცოცხლად წარმოსდგება თბილისელი ჩათუქესანი მოქალაქე, ნაბადწამოსხმული ქართველი პაეარნი.

ილია ჭავჭავაძის ეს მოსაზრება გრ. ორბელიანის ერთ ლექსს შეეხება, მაგრამ თავისთავად ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა. ეს შეიძლება გავიმეოროთ მისი თითქმის ყველა ნაწარმოების მიმართ. რომ არაფერი ვთქვათ ორბელიანის სხვა თხზულებებზე, თავისი მხატვრული შემოქმედების ეს ნიშან-თვისება მან მუხამბაზებშიც მკვეთრად გამოავლინა. ორბელიანს მუხამბაზებში ყარაჩოღელთა მთელი წყება ჰყავს გამოყვანილი. ყველა მათგანს ერთი საზოგადო სახელი ჰქვია — ყარაჩოღელი, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი სახე აქვს და მკითხველს ისინი ერთმანეთში არ აერევა.

შეიძლება გვითხრან: გრ. ორბელიანი ყარაჩოღელთა ცხოვრების დიდი მცოდნე იყო და ამიტომაც ახერხებდა, რომ მათი შინაგანი განცდების ყოველი ცალკე მომენტი შეემჩნია და პოეტურად გადმოეცა. მაგრამ იგივე ორბელიანი ასე ახლოს ვერ იცნობდა მშრომელის ყოფა-ცხოვრებასო. უნდა ითქვას გადაჭრით, რომ გრ. ორბელიანი არავითარი განსაკუთრებული მდგომარეობით არ ყოფილა დაკავშირებული ყარაჩოღელობასთან, ისევე როგორც არავითარი განსაკუთრებული პირობები არ უშლიდა ხელს დაენახა ტვირთშიმე მშრომელი. მართალია, გრიგოლ ორბელიანი თავისი მდგომარეობით არც ერთ ამათგანს არ ეკუთვნოდა, მაგრამ დანახვა როგორც ერთის, ისე მეორისაც შეეძლო.

გრიგოლ ორბელიანი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მოწმე იყო მთელი რიგი დიდი სოციალური მოვლენებისა და

მას, როგორც თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანს, არ შეეძლო ეს მოვლენები არ განეცადა.

გრიგოლ ორბელიანი ყოველთვის ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ჩვენამდე მოღწეული ცნობებით დადასტურებულია, რომ პოეტი სისტემატურად კითხულობდა როგორც ქართული, ისე რუსული პროგრესული ხასიათის ჟურნალ-გაზეთებს. როგორც ირკვევა, „იარალის“ ავტორი ისეთი გამოცემების კითხვასაც არ ერიდებოდა, რომელნიც ხელისუფლების (ცენზურის) მიერ აკრძალული იყო.

პოეტის თანამედროვე გიორგი ივანეს ძე კერესელიძე თავის მოგონებაში მოგვითხრობს ერთ ეპიზოდს, რომელიც უდავოდ საინტერესო გარემოებაზე მიუთითებს. გიორგი კერესელიძე აღწერს იმ შემთხვევას, როდესაც გრიგოლ ორბელიანი ჩვეულებისამებრ ბინაზე ესტუმრა „ცისკრის“ რედაქტორს და მათ (გრ. ორბელიანმა და ივანე კერესელიძემ) ერთად წაიკითხეს გაზეთ «Народная воля»-ს ერთ-ერთი ნომერი.

გიორგი კერესელიძე წერს:

„როცა დაჯდა გრიგოლი, ივანემ ამოიღო ზიბიდან გაზეთი და დაანახვა გრიგოლს, ეს იყო „ნაროდნაია ვოლია“ («Народная воля») გაზეთი, რომელიც სასტიკად იყო აკრძალული და თუ ვისმეს ხელში ნახამდნენ, შენი მტერი, ციმბირს იქით აკრვეინებდნენ თავს. გრიგოლს ძლიერ გაუხარდა და უთხრა: კაცო, აქამდინ ვერ მომიტანეო? საიდან მოგიტანდიო, როდესაც მხოლოდ დღეს ჩავიგდე ხელშიო. უნდა მოგახსენოთ, რომ ივანეს ხშირად მოჰქონდა ეს გაზეთები სახლში, მაგრამ რო წაიკითხამდა, იმ დღესვე უბრუნებდა პატრონს“.

გიორგი კერესელიძე განაგრძობს იმდღევანდელი კითხვის ისტორიას და ამბობს: „იმ დროს, როცა კითხულობდნენ გაზეთს, დედაჩემმა შემოაღო კარი და სთქვა: „ვანო, ვილაც ჟანდარმის პოლკოვნიკია, კიბესთან შეჩერებულა და ვილაცას კითხულობს“. თქვენი მტერი, რომ ორივეს (გრ. ორბელიანსა და ივ. კერესელიძეს) ეცვალა ფერი. ივანემ უცბათ ეს გაზეთი შეაგდო ფეხში. მაისის თვე იყო. ფეხი აღარ ინთებოდა და გაზეთიც, რასაკვირველია, არ დაიწვებოდა, — გავიდა რამდენიმე წუთი, მეორეთ შემოვიდა დედა და სთქვა, რომ ის ჟანდარმი ვილაცას კითხულობდა და წავიდაო. გრიგოლმა და ივანემ თავისუფლად ამოისუნთქეს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 13461.



ეს უტყუარი ცნობა გარკვეულ შუქს ჰყენს გრიგოლ ორბელიანის პიროვნებას საზოგადოდ.

გრიგოლ ორბელიანმა უდავოდ განიცადა სამოციან-სამოცდაათიანი წლების ლიტერატურული გავლენა. ამ ეპოქის ქართული მწერლობისათვის ერთი ძირითადი წამყვანი მოტივი სწორედ მშრომელთა ბედის გამორკვევა იყო. ეს საერთო საჭირბოროტო საკითხი გრ. ორბელიანმაც გაიზიარა და თავისი საკუთარი სიტყვა თქვა. ამის საუკეთესო დამადასტურებელია ლექსი „მუშა ბოქულაძე“.

გრ. ორბელიანის მხატვრულ შემოქმედებაში დემოკრატიული მოტივის არსებობა ყველაზე პირველად ოფიციალურ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა. ილია თავის წერილებში მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე ხაზგასმით ამბობდა, რომ გრ. ორბელიანი ერთადერთი პოეტია ძველი თაობიდან, რომელმაც ტვირთმძიმეთა ცხოვრებაში ფხიზელი თვალით ჩაიხედა და მათი გულის მოძრაობა ამოიკითხა.

ილია ჭავჭავაძე წერდა:

„სამოციან წლებამდე — ალექსანდრე ჭავჭავაძემ დაწყებული — ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიანი წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდკაცობის გულთათქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემომტვირთეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულის-თქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა; რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მაღლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა. გრ. ორბელიანმა არც აქ უმტყუვნა დროთა მიმდინარეობას და ზურგი კი არ შეუქცია, როგორც უღირსს რასმე. თან აპყვა მისი „ო-ს დარღები“, „ლოპიანა“, „მუშა ბოქულაძე“, რომელიც თითო-თითო პოემადა ღირს, ამისი მოწამენი არიან“...

„მართალია, სამოციან წლებამდე — ივინი, „ვის სიცოცხლე ტანჯვად გადაჰქცევიათ შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა“, არავის მოსვლია ფიქრად, ამ ხანამ — ამ უნუგეშო ყოფსაც ადამიანისას თავისი ძლიერი კლანჭი გამოჰკრა და შეჰხარა ქართველ-

თა გული მწვავის სურათებითა. ფხიზელმა პოეტურმა ალღომ გრ-  
ორბელიანისამ არც იქ იმტყუნა, აქამომდე დამალულ წყლულსა  
საზოგადოებურ სატკივრისას, სამოციან წლებში გამოქვეყნებულს,  
თავისებური შუქი მიაფინა. თავისებურს ვამბობთ იმიტომ, რომ მუ-  
შა, სამოციან წლებში პირველ-წამოყენებული, უფრო ხორციელო-  
ბის უნუგეშობას უჩივის, და გრ. ორბელიანის ბოქულაძე კი ჰყენე-  
სის სულიერობის შევიწროებისათვის. იქ ხორცი მტკივნეულობს. აქ  
სული იდაგე-იწვის უნუგეშმყოფელობისაგან.

„ასეა თუ ისე, ახალ მიმართულების ტალღებისაგან გატაცებულ-  
მა გრ. ორბელიანმაც მიაგნო ამ ღრმად გულში დამალულს სიმწა-  
რით ოხვრას მუშა-კაცისას, ამ მალვით მოწმენდილს თვალში მო-  
რეულ ცრემლსა და სხვებთან ერთად მისმა ყურმაც გაიგონა, სადა  
ჰყენსის მუშა : „მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი“ და სხვ.<sup>1</sup>

ილიას მიერ მოცემული ეს დახასიათება ახლა უკვე დავას აღარ  
იწვევს და იგი უდავოდ გრ. ორბელიანის დამსახურებას ემყარება.  
ვკითხულობთ გრ. ორბელიანის ამ ლექსს და პირველი სტრიქო-  
ნებიდანვე ჩვენს წინაშე ცოცხლად წარმოდგება კისერჩაქანგებუ-  
ლი ბოქულაძის სახე.

მკერდი ღია, ოფლით გასვრილ, მტვრიანი,  
ფერით რკინა, კისერჩაქანგებულის,  
კაცი გულით, დაჩაგრული ბედითა,  
სიყრმიდანვე სიღარიბით დევნილი,  
ვის სიოცხლე ტანჯვად გადაჰქცევია  
შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა-პურისა!..

ასეთია პოეტის მიერ დახატული მუშა ბოქულაძის პორტრეტი.  
სოფლის გარეთ უწყალოდ განდევნილ, უიმედო, უნუგეშოდ დარ-  
ჩენილ ბოქულაძეს ცხოვრების ორომტრიალში გარკვევით ამო-  
უკითხავს თავისი საკუთარი ხვედრი. ეს ხვედრია „ტანჯვით შრომა,  
ოფლით ძებნა ლუკმისა“. ბოქულაძემ კარგად იცის, რომ თვითო-  
ნაც ადამიანია, მას გრძნობა აქვს და განცდა შეუძლია. მაგრამ ცხოვ-  
რების უკუღმართობის გამო მასში ადამიანს ვერ ხედავენ.

რათ მიყურებ აგრე ვაოცებული?  
ნუთუ მართლა კაციც არა გგონივარ,  
რადგანაც ვარ სიღარიბის სამოსლით,  
არა მქონდეს კეთილისა გრძნობაცა!..

ღიას, ბოქულაძე ძალიან კარგად გრძნობს, რომ ისიც ადამიანია,  
მაგრამ, როგორც ილია ჰავჰავაძე იტყოდა, მას ზეცა ძალით წაარ-

<sup>1</sup> ილია ჰავჰავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 230.





თვეს და ახლა ბედნიერებაში წილი აღარ უდევს. ამ უუფლებობაზე მუშა თვითონვე გვეუბნება:

ბე ვმუშაობ... სხვანი კი იძულებიან!..  
 ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!..  
 ალით მესმის კიანურის, ლხინის ხმა  
 საერთადაც გულ-დამწველი სიტყვებით...  
 გულით მინდა მეც აქედან ხმა მივპსცე,  
 მაგრამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ?  
 და ღრმად ვჰმალავ გულში სიმწარის ოხვრას;  
 მალვით ვიწმენდ თვალში მორეულ ცრემლსა...  
 ეჰ, ვის ესმის, თუ საღდაც მუშა ჰყენის?

მოტანილ სტრიქონებში უდავოდ მკაფიოდ ისმის დღიური ლექსისათვის არაადამიანურ ჯათაში ქედმოხრილი მშრომელის ხმა. ლექსი რომ აქ დამთავრებულიყო, ჩვენ გვეჩვენებოდა მშრომელის მდგომარეობის მხოლოდ ცალმხრივი აღწერა. მართალია, ეს იქნებოდა ბოქულაძის ცხოვრების მეტად მკაფიო სურათი, მაგრამ იგი მაინც მუშის ცალმხრივი დახასიათება იქნებოდა. ამდენადვე ჩვენ წინ დადგებოდა ადამიანი, რომელიც საკუთარ ბედზე ჩივის, ოხრავს, მაგრამ უბედურების ნამდვილი მიზეზი ვერ უპოვია, მოწინააღმდეგე ვერ გამოუცვნია. გრიგოლ ორბელიანის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ ლექსში ბოქულაძის მდგომარეობის ცალმხრივ აღწერაზე კი არ შეჩერდა, არამედ მის საპირისპიროდ მოწინააღმდეგეთა ბანაკიც წარმოადგინა, თავდახრილი მშრომელი განცხრომის შვილის პირისპირ დააყენა და აალაპარაკა.

მუშა ბოქულაძე მამხილებელი პირდაპირობით მიმართავს მჩაგვრელთა ბანაკის წარმომადგენელს:

განცხრომის ძვე, ნებეირად გაზრდილო,  
 ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!  
 ველთ სიმწვანე, ცის ლაქვიარდი, მზის შუქი,  
 გაზაფხული სუნნელების ნიავით,  
 შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!  
 შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზნი თვალებიც;  
 ნაზი წელი რბევით შენსკენ რონინებს;  
 მიმოჰქრიათ შენთვის ზღვაში ხომალდნიც,  
 ხელოვნების ძვირთ საუენჭეთ მზიდველნი.  
 თვით მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,  
 შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად:  
 დილითვე ვგვი ქუჩის უწმინდურებას,  
 რომ მის სუნი არ ეწყინოს შენს ცხვირსა,  
 და შორით გმზერ, კრძალვით მლოდე წყალობის...  
 შენ ხარ მეფე... მე ძალღდაც არ მაგდებ!..

გრიგოლ ორბელიანის მიერ მოცემული მუშა ბოქულაძის ავტორის სასარგებლოდ. იმ დროის კვალობაზე მდიდრისა და დარბიის, მჩაგვრელისა და ჩაგრულის ასეთი მკვეთრი დაპირისპირება საკმაოდ გაბედული ნაბიჯია იმ თაობის მწერლისათვის, რომელსაც გრ. ორბელიანი ეკუთვნის.

ლექსმა „მუშა ბოქულაძე“ გრ. ორბელიანის პოეტურ სახელს ახალი სხივი მიუმატა. ეს ლექსი ჩქარა გავრცელდა ხალხში. 1883 წელს გრ. ორბელიანის ცხედართან მიტანილ მრავალრიცხოვან გვირგვინებს შორის ერთი გვირგვინი ქართული სტამბის მუშებთან საგანაო იყო. სტამბის მუშებმა პოეტის ნეშტი ასეთი სიტყვებით შეამკეს:

შენ იყოდი, რომ არიან ღარიბნი,  
არის სადმე სიმწართა ცხოვრება.

ამრიგად, სამოცდაათიანი წლების ეპოქისა და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის საერთო გავლენით გრ. ორბელიანის შემოქმედებაში გამოხმაურება პოვა მშრომელთა საკითხმა. მისი ლექსი „მუშა ბოქულაძე“ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის ლექსებთან ერთად „მუშა ბოქულაძე“ მკითხველთა ფართო მასებში შევიდა, როგორც მშრომელთა ცხოვრების ამსახველი ძლიერი პოეტური ნაწარმოები.

## V

გრ. ორბელიანის მხატვრული შემოქმედების დასაწყისი მგრძობიანობის გამომხატველი ნაწარმოებებით აღინიშნება. 1829 წელს, როდესაც გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭი ჯერ კიდევ გაშლას იწყებს, იწერება მისი ლექსი „ანტონს“. პოეტი ამ მიძღვნაში ჭაბუკს ურჩევს, რომ თავისი დღენი სიხარულით გაატაროს: იმხიარულოს, ილხინოს და შეიყვაროს. პოეტის აზრით, ადამიანის ცხოვრება მხოლოდ განსაზღვრულ პერიოდშია უზრუნველი. ეს პერიოდი სიჭაბუკის ხანაა, ამიტომ ადამიანი ცხოვრებით უნდა დატკბეს მანამ, ვიდრე იგი ახალგაზრდაა და ვიდრე მისი გული მოცინარობს. დრო ულმობელია, მას მიაქვს ყველაფერი და მათ შორის სიჭაბუკის წლებიც. გაივლის ეს უდარდებლობის ხანა და იგი თან წაიღებს სიცოცხ-

13. აპოლონ მახარაძე



ლის სიტკბოებას, ყოველგვარ სიხარულს, რაც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს.

გრიგოლ ორბელიანმა ჰაბუკობა ვარდის ხანმოკლე ცხოვრებას და ტკბილ სიზმარს შეადარა. მისი აზრით, სიჰაბუკის წლები ისევე სწრაფად ქრებიან, როგორც ტკბილი სიზმარი ან ვარდის ხანმოკლე ცხოვრება. პოეტი მოუწოდებს, რომ ადამიანი ცხოვრებით დატყუეს მანამ, სანამ იგი ახალგაზრდაა. ნუ დაჰკარგავს ნურც ერთს წამს, ცხოვრებას დაეწაფოს და გაიხაროს.

გრიგოლ ორბელიანი წერს:

ჰე ჰაბუკო, სიხარულით დღენი შენი განატარე,  
იმხიარულე, შეეჰქეც, ილხინე და შეიყვარე;  
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვნიდეს სახე მოციხარე.  
სიცოცხლითა აწვე დაჰსტკბი, მხიარულობს გული ვიდრე.  
ნუ გგონია სიჰაბუკე მარად იყვეს განუყრელი:  
ულმობელ დროს მიაქვს იგი, მასთან ყოვლი სიხარული,  
სიტკბოება სიცოცხლისა, არცლა გვრჩების სიყვარული,  
ფრიად მსწრაფლად გვესტუმრების, ახ, სიბერე შეჰუშხენილი.

მოყვანილი სტრიქონები გრიგოლ ორბელიანისათვის შემთხვევითი კი არ არის, არამედ დამახასიათებელია. იგივე აზრი გაატარა მან სხვა თხზულებებშიც. ეკატერინე ჰაგვათაძისადმი მიძღვნილ ლექსში იგი წერს:

იმხიარულე,  
ვიდრე სიცოცხლე  
შენი მშვენიერებს, ვით ყვავილთ ჟაჰვი;  
ვიდრემდის შენ ზე  
დაგნათის, ვით მზე,  
სიჰაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!  
ქმუნვის ღრუბელი,  
გულ-დამაბნელი,  
ვიდრე მხიარულს არ შეგხვები;  
ვიდრე ამ სოფლის  
დაუდგრომელის  
ვარდნი ეკლადა არ გარდაგცვლია!

გრ. ორბელიანის ამ ლექსში პირდაპირ ისმის ტიპიური რომანტიკოსის ხმა: ცხოვრება ფუჭია და წარმავალი, დროთი უნდა ისარგებლო და მიიღო ის, რის მიღებაც მისგან შესაძლებელია.

ადამიანის პიროვნება ყველაზე ძვირფასია რომანტიკოსი პოეტისათვის. პიროვნების თავისუფლებისათვის მკაცრი სინამდვილის დავიწყების მიზნით ჩვენი რომანტიკოსი ზოგჯერ სიმთვრალის ქე-

ბასაც არ ერიდება. ეს ფაქტიც, თავის მხრივ, არსებული სინამდვილისადმი შეურიგებლობის გამომხატველია.

პოეტი ერთგვარი მოწოდების კილოთი მიმართავს თავის თანამედროვეს:

ბედსა რად სწყევლი? რა მსწუხარ?

რას გარგებს სულმოკლეობა?

შე უგუნურო დალიე.

ქვეყანა შენი იქნება!

(„აზარფეშაზე“)

\* \* \*

რომანტიკული ხასიათისაა გრ. ორბელიანის „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის“. ეს თხზულება დიდი მნიშვნელობისაა გრ. ორბელიანის შემოქმედების ასახსნელად. ნაწარმოები შუქს ჰფენს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მთელ რიგ საინტერესო მომენტებს.

გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურღამდის“ ათეული წლების განმავლობაში მეფის უანდარმერიის არქივში ინახებოდა. იმ დროს იგი არსად არ გამოქვეყნებულა და ვასაგებია, რომ ფართო მასებზე რაიმე გავლენის მოხდენა მას არ შეეძლო. ამჟამად ეს ნაწარმოები განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი გვეხმარება რიგი საკითხების ნათელსაყოფად თვითონ გრიგოლ ორბელიანთან დაკავშირებით. „მგზავრობაში“ მოცემულია საინტერესო ცნობები გრ. ორბელიანის პოეზიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე: ამ თხზულებაში მკვეთრად არის გამოხატული ავტორის ეროვნული გრძნობა. აქ მოცემულია ძვირფასი მასალები გრ. ორბელიანის, როგორც რომანტიკოსი პოეტის, ბუნებისადმი მიმართებაზე. ამავე ნაწარმოებში მოიხილება მოტივები, რომელნიც შემდგომში მისსავე სხვა თხზულებებში უფრო მკვეთრად გამოვლინდა.

გრიგოლ ორბელიანის ეს თხზულება რომანტიკული ხასიათისაა. ავტორი აგვიწერს თავის მოგზაურობას და მკითხველს უზიარებს იმ შთაბეჭდილებებს, რომელნიც მან გზადაგზა მიიღო. იგი აღწერს სხვადასხვა ადგილებსა და ისტორიულ ძეგლებს, რომელთაც გზაში ზვდება. აღწერის დროს გრ. ორბელიანი, ისე როგორც საზოგადოდ რომანტიკოსი მწერლები, თვითონ ძლიერად განიცდის ნახულს და ცდილობს, რომ იგი მკითხველსაც განაცდევინოს. ეს განსაკუთრე-



ბით ძლიერად იგრძნობა „მგზავრობის“ პირველ ნაწილებში, როდესაც პოეტი ჯერ მშობლიურ თბილისს ეთხოვება, ხოლო შემდეგ, ვიდრე საქართველოს ფარგლებს გასცდებოდეს, ძველ ქართულ ისტორიულ ადგილებსა და ძეგლებს ხვდება. ვკითხულობთ „მგზავრობის“ ამ ნაწილებს და პირდაპირ ვგრძნობთ, თუ რა ძლიერ გავლენას ახდენენ პოეტის სულიერ სამყაროზე ქართული მონასტრები, ქართველ მეფეთა საფლავები და ციხე-კოშკებზე შერჩენილი ძველი წარწერებიც კი.

გავეცნოთ მხოლოდ რამდენიმე მომენტს.

პოეტი მღელვარებით ხვდება ნაცნობ-მეგობრებისგან განშორების წუთებს. იგი სხვებისათვის წარმოუდგენელი განცდებით ეგებება ამ მომენტს. მას წინა ღამით დამშვიდებით ძილიც ვერ მოუხერხებია, ხოლო განთიადს იგი უკვე ტანჩაცმული ხვდება. პოეტს გულით სწადია, რომ თავისი ცხოვრების ეს წუთები დაათარილოს, მუდამ ახსოვდეს და არასოდეს არ დაივიწყოს, რომ „1831 წელსა, 9-სა ივნისს, დღესა სამშაბათსა. განთიადმან მპოვა უკვე ტანჩაცმულ. მთელსა ღამეს მტანჯავდა მოუსვენებლობა: ათასნი ფიქრნი არყევდნენ გონებასა ჩემსა და განმაშორებდნენ ძილსა: აჰა მოვიდა დღე იგი განყრისა ჩვენისა, — ვუბნობდი ხშირად გულსა შინა ჩემსა და ვემზადებოდი წასასვლელად შორს... გულითადნი, კამშარიტნი მეგობარნი ჩემნი შეიკრიბენ ჩემად, რომელთაცა გამაცილეს ვერამდის. აქ გადმოხტნენ დროშკით და გამოემესალმნენ, გული ჩემი შეიწროვდა, თვალნი აღმევსენ ცრემლითა, რა მესმა მეგობართაგან ჩემთა უკანასკნელი სიტყვა მშვიდობით, — რა მოვიხილე და ვიხილე თავი ჩემი მარტოდ დაშთენილი. ახ! ამ ქამითგან თვითოეული დღე, თვითოეული ბიჭი განმაშორებს მე ყოველთა მათგან, რანიცა იყვნენ საამო-სატრფიალოდ გულისა ჩემისათვის და რომელნიცა შეადგენენ სიამოვნებასა და ბედნიერებასა ჩვენის სიცოცხლისასა. განმაშორებს ადგილსა, სადაცა აღნთო ღამპარი სიცოცხლისა ჩემისა და სადაცა სიყმაწვილე ჩემი რბიოდა ნათლად მხიარულებით“.

ასე განშორდა პოეტი თბილისს. ჩქარა იგი მცხეთას მივიდა. გრ. ორბელიანი გვეუბნება, რომ ამ დროს მისი გული ისე იყო დახშული, როგორც ღრუბლიანი დღე. მცხეთის ნახვა ერთდროულად მწარე ტკივილებსა და ერთგვარ სიხარულსაც აღუძრავს მგრძნობიარე პოეტს. იგი უშუალოდ გადმოგვცემს თავის განცდებს:

„დაფიქრებული მოვედ მცხეთას. დღე იყო მოღრუბლული, ვითარცა გული ჩემი, რომელიცა გამოფხიზლდა, ვიხილე რა შორითა

მცხეთისა მონასტერი. ესე არს დიდებულებითი და უწმინდესი იგბ-ლი ივერიისა და ჩვენთაგანი ვინ არა თაყვანსა-ჰსცემს მას კეთილ მოწიწებითთა კრძალვითა! ესე არს ნაშთი და მოწამე წარსულისა ივერიისა დიდებისა, შემცველი მეფეთა საფლავთა და მხილველი მრავალთა საუკუნეთა, მრავალთა ივერიის შინა ცვლილებათა, მის დამხოვისა და კვალად აღდგინებისა“.

ღუშეთის ნახვა გრიგოლ ორბელიანს ძველ საქართველოს განაცდევინებს. იგი წერს:

„შევისვენეთ ღუშეთს, რომელიცა არს უფრო სოფელი, ვიდრე ქალაქი. მას შინა არს ოთხკუთხიანი ქვიტკირის გალავანი კოშკებით. რომელიცა არს აღშენებული ჭიმშერ არაგვის ერისთვისშვილისაგან. მარმარილოს ქვა არს კედელში დატანებული კარის ზევით, რომელზედაცა ჰსწერია: „მე ამადლებულს, გვირგვინოსანის საქართველოს მეფის თეიმურაზის აღზრდილმან და ძისა მისისა კახთა მეფისა ირაკლისა მიერ წყალობა-გამრავლებულმან, ჩვენ ტომობით ჩოლოყაშვილმა არაგვის ერისთავმან ჭიმშერ აღვაშენე ღუშეთის სასახლე კოშკ-გალავანითურთ და შევაძკევე, რაოდენ ძალ-მედვა, და ვინც აღმოიკითხოთ, ხსენებასა ჩემსა ჰყოფდეთ“.

ასევე აღწერს გრიგოლ ორბელიანი ანანურის ციხეს და სხვა ისტორიულ ნაშთებს, რომელთაც გზადაგზა ხვდება. განსაკუთრებით საყურადღებო მაინც ის მომენტია, როდესაც პოეტი ჭვარის უღელტეხილზე ადის. რომლის შემდეგ ყოველ ნაბიჯზე მშობლიური ქვეყნის დიადი სანახაობა თვალთაგან ეფარება. ამ მომენტში გრიგოლ ორბელიანის მგრძნობელობა უკვე მოსალოდნელობას აჭარბებს. იგი მთის მადლობზე შემდგარი ღვინით სავსე ჭიქას ხელში აიღებს და საქართველოს სადღეგრძელოს შესვამს. მშობლიურ მიწა-წყალსა და ტოლ-მეგობრებს გამოსათხოვარ სიტყვებს უგზავნის. პოეტი თავის ამ განცდებს ასე გადმოგვცემს:

„აღვედ ჭვართან, რომელიცა არს აღმართულ ერმოლოვის დროსა ქანანოვის მიერ, და, უნებლიეთ შემოვხედე საქართველოს, თვალთათვის დაკარგულს, ხოლო გულისთვის მარად განუშორებელს, და პირველი ჰაზრი იყავით თქვენ, საყვარელნო მეგობარნო! ახ! სიშორე თქვენგან მამწარებს ფრიად. იღუმალნი ოხვრანი აღმოდიან სიღრმით და იკარგებიან ჰაერში. ჰოი ბედო! მალირსებ კვალად საქართველოს და მეგობართა ხილვას? ვპოებ მათ, კვალად ესრეთ, ვითარცა დაუტევე იგინი, ანუ გრძნობათა შინა მათთა ვპოებ ჩემდამი ცვლილებასა? — ამა უმაღლესსა მთასა ზედა ჭვარ-



თანა, სადაცა ადრე დასრულებების საქართველოს საზღვარს უკანასკნელსა სტაქნით ღვინოსა, თქვენს საღვებდელს, მეგობარნო! და გესალმებით, იქნება საუკუნოდ. — მშვიდობით! მივალ და მივეცემი ამა დაუდგრომელის სოფლისა არმურს“.

მოყვანილი სტრიქონების ძალა უდავოდ დიდია. იგი მკითხველის გულის საძირკველს სწვდება და აღელვებს.

ასეთია გრ. ორბელიანის რომანტიკული მგრძნობელობა, ეროვნული თავისუფლების მოტივთან შეერთებული.

## VI

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულის მოტივს. პოეტის რწმენით სიყვარული ეშხს აძლევს ადამიანის მთელს ცხოვრებას. სიყვარული რომ არ ყოფილიყო, ადამიანი უნაყოფო ხეს დაემსგავსებოდა. პოეტი თავის ერთ პირად წერილში მეგობარს სწერდა: „ცუდია უეშუოდ ცხოვრება, ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა“. ეს გამონათქვამი გრ. ორბელიანისათვის შემთხვევითი არაა, მისი აზრით, ადამიანის ღირსებისათვის ორი უმთავრესი გრძნობა არსებობს — მეგობრობა და სიყვარული. ამ სათნო და ფაქიზი გრძნობების საფუძველზე დამყარებულია ადამიანის სრულყოფილობა. ყოველი ადამიანი ამ ძვირფას გრძნობებს უნდა გაუფრთხილდეს, სულით და გულით უნდა ემსახუროს და საჭიროების შემთხვევაში თავისი სიცოცხლეც ამ გრძნობებს შესწიროს.

მეგობრობასა სიცოცხლე, სიყვარულსა მივე გული!  
ამათგან ჩვენი ცხოვრება არს ტურფად აღყვავებული.

(„ანტონს“)

გრიგოლ ორბელიანი ამბობს, რომ ადამიანს გავლილი ცხოვრებიდან ტკბილად მოაგონდება მხოლოდ ის დრო, რომელიც მან სიყვარულსა და მეგობრობაში გაატარა. ლექსში „მირზაქანას ეპიტაფია“ ეს მოტივი მოხდენილად არის ხორცშესხმული:

მუხთალს ამ სოფელს გსურს ვისაცა იყო ბედნიერ,  
სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ!  
დალუბე ეშუში და ღვინოში ყოვლი სიმწარე,  
რომ გზა ცხოვრების განვლო ღვინით, ვით მე ვიარე,  
რომ შევბედის წინ შეუპოვრად ხმამაღლივ დაჰმდერ,  
თორემ გონებით გინდ ცა განვლო, ჩემებრ იქმნა მტვერ!

ეს სიტყვები მირზაჯანას საფლავის წარწერაა, მისი ეპიტაფიაა. ამდენად იგი კიდევ უფრო საინტერესოა. კაცმა ცხოვრების გრძელი გზა განვლო და ამ გზაზე მისი უმთავრესი საქმიანობა ის იყო, რაც ამ ლექსშია მოცემული. მირზაჯანა თავისი ცხოვრების გვერდით სხვა ცხოვრებასაც ხედავდა. ეს იყო ცხოვრება იმ ადამიანებისა, რომლებიც მოქმედებენ ჭკუით, გონებით, მძიმე განცდებითა და ფიქრებით. მან იცოდა როგორც მისი პირადი, ისე მოწინააღმდეგე შეხედულებათა მქონე ადამიანების ყოფა-ცხოვრება. მირზაჯანა საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა ამ გზის სისწორეში.

მირზაჯანას გზას რომანტიკოსი პოეტი ერთგვარად მხარს უჭერს კიდევ გარკვეული მოსაზრებით. პოეტი მირზაჯანას ცხოვრების გზას იწიბრებდა არ ამართლებს, რომ ლოთობის მქადაგებელია. არამედ იგი სხვა, უფრო რთული მოსაზრებიდან გამოდის. ეპოქის სინამდვილე პოეტს შხამს ასმევს, ამიტომაც, მისი აზრით, სჯობს იყო მთვრალი და უგრძობელი, ვიდრე ფხიზელი გონებით არსებულ სინამდვილეს განიცდიდე. ღვინითა და სიყვარულის ეშხით სიმთვრალე ადამიანს ტანჯვით აღსავსე ცხოვრების ტვირთს უმსუბუქებს.

საპართლიანი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ გრ. ორბელიანი სიყვარულსა და ღვინოს ერთნაირ მნიშვნელობას აძლევს. არა, იგი სიყვარულს ღვინოსთან არ ათანაბრებს. სიყვარული მისთვის უფაქიზესი გრძნობაა. მირზაჯანას საქციელში ეშხით სიმთვრალეს ღვინით სიმთვრალეც თან ახლავს და ორივე ერთად არსებული სინამდვილის უარყოფას შეიცავს. პოეტისათვის სწორედ ეს არის საინტერესო. მირზაჯანას ცხოვრების გზა, როგორც უკუღმართი აწმყოს უარყოფისა და დავიწყების საშუალება, რომანტიკოსი ავტორისათვის ერთგვარად მისაღებია.

კრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებში გვხვდება როგორც ხანმოკლე და წარმავალი, ისე ხანგრძლივი და უცვლელი სიყვარული. მაგალითად, ბეჯანა მკერვალი (მუხამბაზი „არავისთვის მე დღეს არა მკალიან“) ისე იცვლის ქალებს, როგორც პეპელა ყვავილებს. წინააღმდეგ ბეჯანას ხასიათისა, ლოპიანას (მუხამბაზი „გინდ მეძინო“...) ცხოვრებაში ათი გზა აქვს და ეს კაცი ათივე გზას ერთი შეყვარებულისაგან მიჰყავს. ასეთივეა ის ყარაჩოღელიც, რომელიც ნაადში გახვეული ქუჩაში უძილო ღამეებს ატარებს და ერთი ეკონომის ფანჯრებს ყარაულობს.

გრ. ორბელიანის პოეზიაში ჯერ კიდევ გამოსჭვივის ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდის სააშოკო ლექსების ანარქი-





ლი. მისი ლექსი „ს“ სრულიად ბუნებრივად ბესიკის სატრფიალო ჩანგის ჟღერას გვაგონებს.

მერცხალნი — თვალნი შენნი,  
 გონების სხივთ მომფენნი!  
 ვარდნი — შენნი ბაგენი,  
 მარად მოღიმარენი.  
 თოვლ-ღვინო — შენნი ლაწენი.  
 მათხედ გარდაშლილ ზილფენი!  
 შენი წელი — კიპაროზ!  
 და შენი ხმა — სირინოზ!  
 ხან სიამით მავსებენ,  
 ხან ცრემლთ მათრქვევინებენ:  
 ზოგჯერ მტანჯვენ, შმაგ-მყოფენ  
 და ხან უცებ მალხენენ!

გრიგოლ ორბელიანის დამსახურება ის არის, რომ მან სიყვარულის ის მხარე განავითარა, რაც რომანტიზმისათვის დამახასიათებელია. ეს არის ამ გრძნობის გამაყეთილშობილებელი ძალა და, რაც მთავარია, მისი მარადიული ხასიათი.

გრ. ორბელიანის აზრით, სიყვარული უკვდავებაა. აღმიანი სიყვარულის გრძნობას ყველაზე მეტად უნდა უფროსილდებოდეს. რადგან სულს უკეთესი არაფერი რჩება, თუ ეს უკვდავება ანუ სიყვარული გაეყარა. პოეტი თავის „სატრფიალო ორეულში“ წერს:

რა უნდა აქვნდეს სულსა უკვდავი,  
 თუ მასში განჰქრეს კვლავ სიყვარული.

სიყვარულის ეს გაგება გრ. ორბელიანმა კიდევ უფრო გაღრმავებულად და თავისებური დასაბუთებით წარმოგვიდგინა პოემაში „სადღეგრძელო“.

რა გინდ მოუქვე? მიინც შენდამი სულს სიყვარული თანა  
 წარჰყვება!..  
 არს უკვდავება, სულის დატკობა, რომელს დასასრულ არა  
 ექმნების;  
 მამ სახე, სულის დამატკობელი. იმიერ სოფელს არ განვეშორდების  
 და სიყვარული, სულის მამენი, სიცოცხლეს-თანა არა დამშრტების,  
 თვარა სიყვარულს თუ დავკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა  
 მომცეს?  
 უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!..

ქართულმა ლიტერატურამ ძველთაგანვე იცის, რომ სიყვარულ უძლიერესი გრძნობაა: რომ იგი აღამიანს აფაქიზებს, მაგრამ სიყვა

რულის ესოდენ ამადლებული დასასიათება, როგორც მოყვანილ სტრუქტურებშია, გრიგოლ ორბელიანმა პირველმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში.

კიდევ უფრო საინტერესოა გრ. ორბელიანის შეხედულება სიყვარულის ხანგრძლიობაზე. მისი აზრით, ორი გული ერთმანეთისათვის იბადება. ეს გულები ერთმანეთს იპოვიან, გაიბმის მათ შორის სიყვარულის ძაფები და ამის შემდეგ მათი დაშორება უკვე შეუძლებელია. შეერთებულ გულებს ვეღარ გათიშავს ვერც დროის ხანგრძლიობა და ვერც ადგილის სიშორე. ამრიგად, გრ. ორბელიანი სიყვარულისათვის უფრო ბუნებრივ საფუძველს დაეძებს. რადგან იგი უფრო მყარია და გამძლე, ვიდრე ლამაზი სახის მიერ დაგებული მახე-ბადე.

გრ. ორბელიანი ამავე „სატრფიალო ორეულებში“ პირდაპირ ამბობს:

დრო და სიშორე ვერ გაჰყრის ორთა გულთ ერთად შეტკობილს,  
ურთიერთათვის, რომელნიც შობილ იქნებნის ამ სოფელს.

გრიგოლ ორბელიანის აზრით, ისევე როგორც ქართველი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელია, სიყვარულის გრძნობა ადამიანის გამაკეთილშობილებელი ძალაა. სიყვარული მგრძნობიარე ადამიანისათვის შთაგონების წყაროც არის. ცნობილია გრ. ორბელიანის მოხდენილი თქმა:

სიყვარულმა მათქმევინა,  
თვარა მე ვინ. ლექსი ვინა?

სიყვარული უდარდელობისა და უზრუნველობის გრძნობა არაა. პირიქით, პოეტი გვეუბნება, რომ სიყვარული გარკვეულ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში იჭედება; სიყვარული იმავე დროს თავისებურ ტანჯვასაც გულისხმობს. სიყვარულის კეთილშობილი გრძნობა მსხვერპლის შეწირვის შემდეგ კიდევ უფრო ძვირფასი და წარმტაცი ხდება. გრ. ორბელიანი წერს:

ტანჯვა არს შრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშის ცეცხლისა,  
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა.

ადამიანი, რომელსაც გადაუწყვეტია შეყვარებული იყოს, მსხვერპლს არ უნდა ერიდებოდეს. სიძნელემ სიყვარულზე ხელი კი არ უნდა აგაღებინოს, არამედ მან უნდა გააძლიეროს ინტერესი, რათა მისი სიდიადე კიდევ უფრო სრულად განიცადო. ზღვის კიდეს დგომით მარგალიტი არ მოიპოვებაო, — გვეუბნება პოეტი.

აი ერთი პატარა, მაგრამ დამახასიათებელი ლექსი:

ზღვის კიდეს დგომით მარგალიტი ვით იპოვების,  
 ტრფობისგან წყლული მხოლოდ ოხვრით ვითა განჰქრების!  
 ვის გტანჯავთ სურვა, შევედ მედგრად ზღვას მწუხარების!  
 რომ მიხვდეთ საგანს, და მაშინ ფასს ჰსცნობთ სიტკბოების!

მოყვანილი ამონაწერებით ნათელი ხდება გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება სიყვარულის საკითხისადმი საზოგადოდ. წარმოდგენის სისრულისათვის შეიძლება გავიხსენოთ კიდევ ერთი ადგილი პოეტის ცნობილი თხზულებიდან „სადღეგრძელო“. ამ ნაწარმოებშიც გრ. ორბელიანმა უანგარო სიყვარულის აპოლოგია მისი კალმისათვის დამახასიათებელი ექსპრესიით გადმოსცა.

ომისა და სისხლის წყურვილით ანთებულ ლაშქარს ლხინის მეთაური მიმართავს:

ძმანო ივიწყეთ მცირეს ეამს მტერი, ომი და დიდება;  
 მოიგონეთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გეოტკება.  
 რომლის შეჭი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება,  
 რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავნება!  
 სად ხარ, სიყვარულის დღევ, აღარა უქმოიქციევი?  
 ღმილით შენსა შეყრასა ნუთუ ამაოდ ვისურვი?  
 გულისა მნათი, ლამპარი ნუთუ ჩემთვისა განჰქარდა  
 და ჩემი ბედნიერებაც წასულთა დღეთთან წარვიდა?..  
 გული რა იგრძნობს სიყვარულს, სიცოცხლეს მაშინ აჰყვავდეს,  
 ნეტარ ის ეამი, როს სატრფო თავსა ჩვენსა გვაეიწყებდეს;  
 მას შევსტრფოდეთ, შევხაროდეთ, თავს ველოდეთ, ის გეტანჯავდეს;  
 ხან უწყალოდ გულს გვიკლავდეს, ხან ღმობითა ნუგეშვცემდეს!

ომის ქარცეცხლში სიყვარული გარკვეულ როლს ასრულებს. გულს სიყვარული და ხელს ხმალი, — ეს არისო მეომრის ძირითადი საეაყაცო ნიშანი. ამ ნიშნით იგი ძლევს ყოველგვარ წინააღმდეგობას და მიზნისაკენ მიისწრაფვის. „გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?! — კითხულობს პოეტი.

ასეთია სიყვარულის ამაღლებული გრძნობა, მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. ასე წარმოგვიდგება ეს გრძნობა გრიგოლ ორბელიანის მხატვრულ შემოქმედებაში.

## VII

გრიგოლ ორბელიანის მხატვრულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბუნების საკითხი. ქართველ რომანტიკოსებს შორის გრ. ორბელიანი პირველი მწერალია, რომელმაც ბუ-

ნება ადამიანის სულიერ მოძრაობას დაუკავშირა და პოეტურად აამეტყველა.

გრ. ორბელიანის პოეზიის ეს მხარე ჰქონდა მხედველობაში ალექსანდრე ხახანაშვილს, რომელიც წერდა: „უფრო მეტი სამსახური გაუწია გრ. ორბელიანმა ჩვენს მწერლობას მით, რომ ბუნების მხრივ აღძრული შთაბეჭდილებებ შემოსა სულის მოძრაობის ბეჭედით, დაახლოვა იგინი, და დაამკვიდრა მხატვრობით დასურათება ჩვენის კეკლუცის ქვეყნისა“<sup>1</sup>.

მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ბუნების საიდუმლოებათა ამოკითხვის კიდევ უფრო საინტერესო ძიება მოგვცა, მაგრამ ბარათაშვილი მომდევნო საფეხურია, გრ. ორბელიანი კი მისი წინამორბედი. „სადღეგრძელოს“ ავტორმა ბუნება განიცადა და ასახა გაცილებით უფრო პოეტური გაბედულებით, ვიდრე მისმა წინა თაობის და აგრეთვე თანამედროვე კალმის ოსტატებმა — ალექსანდრე ჭავჭავაძემ და სხვებმა. მისი უმთავრესი დამსახურება ბუნების პოეტური განცდის დანერგვის საქმეში სწორედ ამაში მდგომარეობს.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ ილია ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანის მიერ მოცემული თერგის დახასიათება თავის „მგზავრის წერილებში“ შეიტანა. მართლაც რომ უკვდავია გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს ჰსცივიან,  
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

გრ. ორბელიანის ნაწარმოებში „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის“ ბუნების განცდის საინტერესო ნიმუშები გვხვდება. პოეტი ამბობს, რომ ყოვლად შემძლეობა უმაღლესი შემოქმედისა გოლიათ მთებზე წერია. კაცის ხელი უძლურია ბუნების მშვენიერება გამოხატოს, ბუნების დიადი სანახაობის წინაშე ადამიანს გონება ეკარგება.

ბუნების ერთი სურათი ამ ნაწარმოებიდან ასეთია:

„სალამო იყო მშვენიერი, მზე მიეფარა მათათა და უკანასკნელნი სხივნი მისნი ცეცხლებრ აღანთებდენ თოვლიანთა მათათა ათასფრად.

„წმინდასა ჰაერსა მოჰქონდა სუნნელება ყვავილთა. ქვეშე ფერხთა ჩემთა არავეი შორს უფსკრულსა შინა მიმოიკლავნებოდა თეთრად ძაფსავით და გრიალი მისი ისმოდა საზარლად. საწინელნი მთანი, ერთმანეთზედა აღყვანილნი ცათამდის, დიდებულეებით მდღუმა-

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე, 1913 წ., გვ. 30.



რებდენ. ვიჯექ კლდესა, უფსკრულსა ზედა გადაკიდებულსა, და  
 ვსჭვრეტდი მდინარეთა — მათათაგან გარდმოქანებულთა და უფ-  
 სკრულთა შინა დაკარგულთა. განკვირვებით ვუშზერდი კაცისა სად-  
 გურთა, ზოგთა ღრმათა უფსკრულთა შინა აღშენებულთა, და ზოგ-  
 თა მაღალთა მათთა ზედა, ცისა მეზობლად დადგინებულთა. აღმო-  
 სავლეთით, მარცხნივ ჩემსა, აღმოდიოდა მთოვარე ბრწყინვალებით;  
 მაშინ, ოდესცა მშვენიერი საღამოს ვარსკვლავი სიამით ჰფენდა  
 ნათელსა ღომისა საყდარსა ზედა დასავლეთით. — კაცისა ხელი  
 ფრიად სუსტ არს აღსაწერად დიდებულებითისა ბუნების მშვენიე-  
 რებისა. ყოვლად-შემძლებელობა შემოქმედისა აღბეჭდილ არს ამა  
 მათთა ზედა, რომლისა ხილვითა განცვიფრდების. ჰკრთების და  
 იკარგების გონება კაცისა“.

მოყვანილ ამონაწერში საკმაო სიცხადით იგრძნობა რომანტიკო-  
 სი პოეტის ხმა. ბუნების სიფაქიზე და სინატიფე ამ სტრიქონებში  
 უდავოდ მაღალი პოეტური გრძნობითაა გადმოცემული. მაგრამ ეს  
 მაინც ერთგვარი დასაწყისია, რომელიც ნახული ადგილმდებარეო-  
 ბის აღწერიდან გამომდინარეობს. ბუნების ძლიერი განცდა, მის  
 საიდუმლოებათა ამოკითხვის წადილი გრ. ორბელიანის პოეზიაში  
 შემდგომში კიდევ უფრო მაღალ პოეტურ სახეებში გამოვლინდება.

ნაწარმოები „სადღეგრძელო“ ღია ცის ქვეშ ბუნებასთან უშუა-  
 ლო კავშირში იშლება. ომის ქარიშხალთან ერთად ბუნებაც გრგვე-  
 ნავდა და ბობოქრობდა, მაგრამ ბინდისას ომი შეწყდა და ბუნება-  
 მაც მოისვენა. მოქიფე ვაჟკაცებთან ერთად თითქოს ბუნებაც მო-  
 ილხენს. ქართველ მეომრებს თავს ნუგეშად დასდგომია მოკაშკაშე  
 მთვარის შუქი.

შესწყდა ბინდისას ომი საზარი,  
 დადუმდა არე, სად ჰქუბდა ბრძოლა,  
 გამარჯვებითა მოილხენს ვარი;  
 ურდო ცეცხლებით განათებულა!  
 აჰა, მთოვარეც ნელიად შექსა,  
 ვითა ნუგეშსა მოგეფენს საშველად;  
 შევექცეთ, ვინც დღეს გაღურჩით ომსა;  
 კვლავცა გვექმნების ზეცა მფარველად!

ასეთია ის გარემო პირობები, რომლებშიც ქართველთა ლაშქრის  
 ლხინი იწყება. ბუნებისა და ადამიანთა ამ შეერთება-შეხმატკბილე-  
 ბის ფონზე იშლება ის ღრმა შინაარსი, რომელიც „სადღეგრძელო-  
 შია“ მოცემული. ბუნების განცდის კიდევ უფრო ძლიერი მომენ-  
 ტია „სადღეგრძელოს“ უკანასკნელ ნაწილში. წარმტაცია ბუნების

ის სანახაობა, რომელსაც გრ. ორბელიანი ლბინის დასასრულში წერისას იძლევა. ეს ხდება განთიადისას, იმ დროს, როდესაც ცის-კარმა აღმოსავლეთი ვარდისფრად შეღება. „ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შეენება“. ბრძოლის ველზე განთიადის აღწერისას პოეტი არაჩვეულებრივ გულთამხილაობას იჩენს.

ილევა ბინდი ლამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიანი  
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიანი!  
მოჰქრის დილისა ნიავეც გულისა მაგრილებელი;  
ფშინევა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!

ბუნების გამოღვიძების მართლაც რომ წარმტაცი სურათია. პოეტი თითქოს თვითონვე შენატრის მის მიერ დახატულ სურათს. იგი ბუნების ამ დიადი სანახაობის წინაშე რომანტიკოსისათვის დამახასიათებელი განცდით იბნიდება. ბუნების სიტკბოებით მთვრალი პოეტი თავშეუკავებელი გრძნობით წამოიძახებს:

ვიმ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,  
გულისა ჰმუნვის გამჟაოველს, სიცოცხლის დამატკობელსა!  
ღმერთო, ვინ მიჰსწედეს შენგან ჰმნილს, მისს ფერ უთვალავს  
შეენებას?  
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!

ამ სტრიქონებში ბუნების ჭეშმარიტად რომანტიკული განცდაა მოცემული. სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებასო, — მიმართავს ბუნებას მისი საიდუმლოებით მოხიბლული პოეტი. დღის სინათლის დაბადებისათვის საჭიროა ლამის სიბნელე მოკვდეს ისევე, როგორც ლამის სიბნელის მოსასვლელად დღე უნდა მოკვდეს. ბუნებაში ასე მეორდება დაუსრულებლად და ეს არის სწორედ ბუნების დიადი ჰარმონია, რაც რომანტიკოსი პოეტისათვის საოცნებო საიდუმლოებას წარმოადგენს.

გრიგოლ ორბელიანის ლექსი „სალამო გამოსალმებისა“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ნაწარმოებია მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მთელ ქართულ ლიტერატურაში. მკითხველის შეგნებაში ხანგრძლივად რჩება ჭეშმარიტად დიდებული სანახაობა, რომელსაც პოეტი ამ ლექსში წარმოგვიდგენს:

მზე ჩაესენა: მის შუქი გამოსალმის ეამს კაცასსა,  
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!  
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,  
ჰსხედან, ვით დენი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!  
მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,

და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებთან.

გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,  
 მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით,  
 წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უბსკრულს ჰსცივიან,  
 თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებთან!

ასეთია ბუნების მშვენიერების, მისი სიტუარფისა და საიდუმლოების განცდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში. ბუნების ეს განცდა მის პოეზიას რომანტიკული მიმართულების წარუშლელ ბეჭედს ასვამს.

## VIII

გრიგოლ ორბელიანის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი წამყვანი მოტივია პატრიოტიზმი. მისი მთელი რიგი პირველხარისხოვანი ნაწარმოებები ამ მოტივზე უღერენ. ქართლის ბედით გამოწვეული ტკივილები პოეტის პესიმიზმის სათავედ მოჩანს.

ერი ლალაღებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად.

ასე ჩიოდა პოეტი ჯერ კიდევ ერთ აღრინდელ ლექსში და ეს ლალადი, თვითმპყრობელობის პირობებში ქართველი ხალხის მძიმე ეროვნული ტკივილებით გამოწვეული კვნესა, გრიგოლ ორბელიანს მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ესმოდა.

ეროვნული თავისუფლების მოტივი გრ. ორბელიანის მთელ შემოქმედებას თავიდან ბოლომდე ახასიათებს, მაგრამ დროის ამ მანძილზე მან გარკვეული გარდატეხა განიცადა. 1832 წლის შეთქმულების დამარცხება და ამის გამო პოეტის პატიმრობა გარკვევით ქმნის ორ პერიოდს მეფის რუსეთისადმი ქართველი რომანტიკოსის დამოკიდებულებაში.

პირველ პერიოდში გრ. ორბელიანის რომანტიზმი აქტიური ხასიათისაა, მებრძოლი ბუნებისაა. პოეტი აშკარად ლაპარაკობს სამშობლოს დიდების დაკარგვაზე და დამოუკიდებელი საქართველოსათვის თავგანწირვას გაბედულად ამჟღავნებს. შეთქმულების დამარცხების შემდეგ იგი უკვე ვეღარ ბედავს თავისი განწყობილებების ისე მკვეთრად გამომჟღავნებას, როგორც ამას ავლაბრის ყაზარმობამდე სჩადიოდა. რამდენიმე წლით სამშობლოდან გაძევებულმა გრ. ორბელიანმა საკუთარი გამოცდილებით იგემა ნიკოლოზ პირველის რეჟიმის სიმკაცრე. ამიტომაც ახლა უკვე თავის გულის ნაღებს ხშირად საკუთარ გულშივე იკლავს, ან როცა ვეღარ ჰფარავს და ამჟღავნებს, მეტად ფრთხილად იქცევა.

ასეთია ამ ორი პერიოდის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი. ჩვენ ვიცნობთ გრ. ორბელიანის კავშირს 1832 წლის შეთქმულებასთან, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ მოძრაობასთან კიდევ უფრო ახლოს აღმოჩნდა თავისი შემოქმედებით. მეფის რუსეთის მოწინააღმდეგეებთან გრ. ორბელიანი იდეურად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვიდრე ორგანიზაციულად. ამიტომაც იყო, რომ ნიკოლოზ პირველის მთავრობა გრ. ორბელიანისათვის სასჯელის გამოტანისას მის ლექსებს უფრო ემყარებოდა, ვიდრე მის პრაქტიკულ მონაწილეობას ამ შეთქმულებაში. ჯერ კიდევ პეტერბურგში პირველი დაკითხვის დროს გრ. ორბელიანს საგანგებოდ ეკითხებოდნენ მისი ორი ლექსის გარშემო. ეს ლექსები იყო „აღსარება“ და „იარალის“<sup>1</sup>.

შეთქმულების გამომქდავენების მომენტში მეფის მთავრობა გრიგოლ ორბელიანს გარკვევით სცნობდა როგორც ცარიზმის საწინააღმდეგო თხზულებათა ავტორს. მართალია, ოფიციალური ხელისუფლება პოეტის მხოლოდ ორ ლექსს ასახელებდა, მაგრამ სინამდვილეში გრ. ორბელიანს ჰქონდა მთელი რიგი სხვა ნაწარმოებებიც, რომლებიც აგრეთვე ნიკოლოზ პირველის რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

თვითმპყრობელური მეფის რუსეთისადმი გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულებაზე როდესაც ვლაპარაკობთ, პირველ რიგში დასახელებული უნდა იქნეს მისი „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის“. ეს თხზულება გარკვეულ ნათელსა ჰფენს პოეტის მთელ რიგ მცირე მოცულობის ლექსებს, რომლებიც „მგზავრობასთან“ ერთად გარკვევით მიგვიითითებენ პოეტის აშკარად მტრულ დამოკიდებულებაზე დესპოტიზმისადმი.

გრიგოლ ორბელიანი მწვავედ განიცდის ძველი, დამოუკიდებელი ივერიის დაცემას. იგი ხედავს, რომ მისი ქვეყანა ქედმოხრილია და უცხო ძალისაგან უდიერად იტანჯება. პოეტი ვერ შერიგებია იმ გარემოებას, რომ თავისუფლებისმოყვარე და გმირი ხალხი, რომელიც ცნობილი იყო თავისი მებრძოლი ბუნებით, ახლა დაბეჩავებული გამოიყურება. ახალი დროის ქართველიც აღარა ჰგავს ძველს, რომელიც მამულის თავისუფლებას სისხლით იცავდა. აწმყოთი უკმაყოფილო პოეტი მწვავე მამხილებელი ტონით მიმართავს თავის თანამედროვეებს:

წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,  
თავისუფლება ვანქრა ჩვენთვის, რალა ვეახარებს!

<sup>1</sup> Акты, томъ VIII, 1881 წ., გვ. 410.





გრიგოლ ორბელიანიმა ქართველი ხალხი ახალ ვითარებებში შექმნილ დარა ცხვრის ფარას, რომელსაც მწყემსი არა ჰყავს, უპატრონოდ მიტოვებულ ცხვარს კი მგლისა და კაცის ერთნაირად ეშინია. ანალოგიურია ქართველი ხალხის მდგომარეობა. პოეტის აზრით, ქართველები სწორედ ასეთ ცხვრებს დამსგავსებიან.

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,  
 ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშობერ კაცის ეშინის,  
 ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის,  
 დისასრულ შაინც საშინელად ესრეთ წარხდების!

ისმის კითხვა: ვინ არის მიზეზი ქართველი ხალხის ასე დაბეჩავებისა? როგორ მოხდა, რომ ქართველები უპატრონოდ მიტოვებულ ცხვრებს დაემსგავსნენ? პოეტი ამის მიზეზსაც სრულიად ნათლად გვაგვრძნობინებს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ძალა არის ის სტუმარი, რომელიც შორიდან მოსულა და ადგილობრივ მკვიდრთ საკუთარ მამულში ცხოვრებას ჰყვედრის. ეს არის ის ძალა, რომელიც მას მოყვრულად მტრობს, ატყუებს და სულსა ხლის:

შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,  
 მოყვრულად გვმტრობს, გვბაცებს ყოველს, გვიქმს აღერსობას!..  
 ესე წაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.  
 ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

(„ჰე, ივერიაე, ვიდრე“...)

მოტანილი სტრიქონებიდან სრულიად ბუნებრივად იგულისხმება, რომ მტანჯველი ძალა არის თვითმპყრობელი მეფის რუსეთი, მისი დესპოტიზმი. გრიგოლ ორბელიანის ლექსის ეს ადგილი მკითხველს ძალაუნებურად მოაგონებს აკაკი წერეთლის ცნობილ სტრიქონებს:

მეგულები ციხეში,  
 ცხრაკლიტულში მჯდომარე...  
 შეთვისებას ვიპირებს  
 გაიძეერა მოყვარე!  
 ტყბილად გაჰმევეს, ტყბილს გასმევეს  
 შეზავებულს ბანგიოთა,  
 დედის ხმაზე გომღერის,  
 დედინაცვლის ჰანგიოთა.

გრიგოლ ორბელიანი გარკვევით ხედავს თავისი ეპოქის სინამდვილეს. როგორც ითქვა, მას სამშობლოს უბედურების მიზეზიც უპოვია. მისივე სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ამ დროს არა

მარტო გმობს ამ სინამდვილეს (ეს მოვლენის მხოლოდ ერთი მხარე იქნებოდა), არამედ ამასთანავე გვევლინება როგორც ამ უკუღმართი სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამდე მისი მთელი რიგი ლექსები საბრძოლო გაბედულებით ხასიათდება.

გრ. ორბელიანი პირდაპირ ამბობს, რომ მას არ შეუძლია თავისი ქვეყნის დაცემას გულგრილად უყურებდეს. იგი მოითხოვს ბრძოლას დატყვევებული სამშობლოს გამოსახსნელად. პოეტი მამულისათვის თავდადებისა და თავგანწირვისაკენ მოუწოდებს. იგი კიცხავს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ყველა იმას, ვინც მამულისათვის სიცოცხლეს არ გასწირავს. გრიგოლ ორბელიანი თავის თანამემამულეებს მიმართავს:

მისი სახელი კიცხვითა მარადის იხსენებოდეს,  
ვინცა საღმრთოსა სიყვარულს მამულისადმი არ პერძნობდეს,  
და ვინცა მისსა ტყვეობას გულსიგრილითა ჰხედავდეს  
და მის დასწისთვის უზრუნველ თვისს სიცოცხლეს კი პოჯავდეს.  
მტერსა ხანჯალზედ აღებულს ვინცა სიამით არ მსუვერტდეს  
და სმენა მისთა კენესათა გრძნობათა არა უტკობდეს!

სამშობლოსათვის თავდადება და თავგანწირვა კიდევ უფრო გამახვილებულად მოცემულია გრ. ორბელიანის ლექსში „აღსარება“. ეს ლექსი პოეტმა გადმოაკეთა ცნობილი დეკაბრისტი პოეტისა და რევოლუციონერის კონდრატ რილეევის ნაწარმოებიდან „ნალივაიკოს აღსარება“. გრ. ორბელიანის „აღსარება“ არაა კ. რილეევის თხზულების უბრალო თარგმანი. საერთოდ, გრ. ორბელიანისათვის დამახასიათებელია თარგმანებში დიდი პოეტური დამოუკიდებლობა. მისი თარგმანები შესაძლებელია ორიგინალურ ნაწარმოებთა უფლებით განვიხილოთ.

„აღსარება“ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების პირველი პერიოდის დამახასიათებელი თხზულებაა, რომელშიც გამოხატულია პოეტის მებრძოლი სულისკვეთება, მისი თავგანწირული ბრძოლა დესპოტიზმის წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისათვის. პოეტი ამ ლექსში პირდაპირ გვეუბნება, რომ იგი თავისი სამშობლოს ტყვეობის გამო ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებაშია; რომ მის გულს სიყრმიდანვე თავისუფლების სურვილი ცეცხლის ალივით მოსდებია და წვავს:

ჯოჯოხეთი მტანჯავს მაშინ მე, ვჰხედავ რა ტყვედ ქმნილს  
მამულსა!  
როს ვნახო თავისუფლებით, ვჰხედე მაშინ სასუფეველსა!



სიყრმით ჩემივან გულს ცეცხლი თავისუფლების აღმენთო; რა მესმა ძველთ დროთ ღიღინი, ცეცხლი ცეცხლზედა დამერთო!

გრიგოლ ორბელიანის ღრმა რწმენით უწინდელ დროში ქართველებისათვის უცხო იყო შიში და გულგატეხილობა. ისინი დამცირებულ სიცოცხლეს ვაჟკაცურ სიკვდილზე ცვლიდნენ.

ესრეთ სარცხვინო შიშითა ვინ იყო მაშინ ძღველი?  
ტყვეობას ვის არ ერჩივნა სიკვდილი მამაცაული?

პოეტს მოსვენებას არ აძლევს ის ფაქტი, რომ ახლა, ე. ი. მის თანამედროვე ეპოქაში, სახელოვანი პატარა კახი „სთვლემს მცხეთას გამოუფხიზლებლად“. ქართველი ხალხი ვაებას დაღადებს და მფარველი არსაიდან ჩანს. სამშობლოს დაცემით აღშფოთებული პოეტი მზად არის მტრის სისხლი საკუთარი ხელით დაღვაროს:

მის ეამით მტრისა სისხლისა ვარ დასათხვეად მოსურნე  
და ამა ფაქრით მოცულსა, სახე მაქვს კმუხვნილ, მრისხანო.

პოეტს კარგად ესმის, რომ სამშობლოს განთავისუფლებისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა. დამპყრობელი ძალა რომ მოიშორო და თავისუფალი გახდე, საჭიროა მტერს წინ აღუდგე, იბრძოლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. თავისუფლება უმსხვერპლოდ ვერავის მოუპოვებიაო, — გვეუბნება გრ. ორბელიანი.

აი როგორ მიმართავს იგი მოძღვარს:

მარა, მოძღვარო! მითხარ მე, ვის? სად? რომელსა მხარეს?  
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდის?  
წარესწყმდები მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ;  
და მისთვის ესრედ ჩემს სიკვდილს აღრევ სიამით ვაქურთხებ!

გრ. ორბელიანის ლექსში „აღსარება“ ყველგან და ყოველთვის ისმის პოეტის უსაზღვრო თავდადება სამშობლოს საკეთილდღეოდ. ეს დამახასიათებელი ნიშანია ამ ლექსისათვის თავიდან ბოლომდე, მაგრამ არ შეიძლება აქვე არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ამავე „აღსარებიდან“, სადაც გრ. ორბელიანის მთელი იმდროინდელი შეგნებაა პოეტურად ჩამოყალიბებული:

მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიცენისს,  
და ეს ოცნება დღედაღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის;  
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავთ შორის გინა ვჯდე,  
გინა საუდარში შესული გულმხურვალებით ვილოცდე!  
ხმა საიდუმლო მარად ეამს მეჩურჩიულების მე ყურსა,  
ეამი არს მტერი მამულის მისკეთ მახვილსა ლესულსა!

ეს სტრიქონები იმდენად მრავალმეტყველია, რომ იგი კომენტარებსაც არ საჭიროებს. შეიძლება მხოლოდ ერთი ითქვას: მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ნიკოლოზ პირველის სუსხიანი რეჟიმის პირობებში, მეფის რუსეთის წინააღმდეგ ასე გაბედული გალაშქრება გრიგოლ ორბელიანზე ადრე არც ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაში არ გვხვდება.

შემდეგი ნაწარმოები, რომელშიც მკვეთრად იგრძნობა გრ. ორბელიანის დამოკიდებულება მეფის რუსეთისადმი, არის მისი ლექსი „იარალის“. ეს ლექსი როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრობის თვალსაზრისით ერთი ბრწყინვალე ნაწარმოებია მთელ მის პოეზიაში.

ლექსს „იარალის“ მაღალ შეფასებას აძლევდა პროფესორი ალ. ხახანაშვილი. მისი აზრით, „სწორედ ამ ლექსით იწყება ჩვენში პატრიოტული ლირიკა. მამულისადმი სატრფიალო მგოსნობა“<sup>1</sup>.

ალ. ხახანაშვილი ამ სიტყვებს სრულიად გულწრფელად ამბობდა. რა ვუყოთ, რომ მან მხედველობიდან გამოუშვა გრ. ორბელიანის სხვა ნაწარმოებები და მათ შორის ლექსი „აღსარება“, რომელიც უფრო ადრინდელია, ვიდრე „იარალის“. ალ. ხახანაშვილი მაინც გულწრფელი იყო და ათასჯერ უფრო მართალი, ვიდრე ის კრიტიკოსები, რომლებიც „იარალში“ უმათვრესად მხოლოდ ცხენთა თქრიალს, შუბთა ტრიალს, ქართულ ღზინს და დროსტარებას ხედავდნენ.

მართო ის რადა ღირს, რომ ნიკოლოზ პირველის მთავრობამ ლექსი „იარალის“ გრიგოლ ორბელიანის საბრალდებო დასკვნაში მოიხსენია, ამ ლექსის შეთხზვა მას დანაშაულად ჩაუთვალა. მეფის ხელისუფლებამ წინ წამოსწია ლექსის პოლიტიკური მხარე, როგორც ძირითადი და წამყვანი ნაწარმოებისა, ხოლო რაც შეეხება იქ აღწერილ ქართულ ღზინს, ეს მას მხედველობაშიც არ მიუღია. ლიტერატურის ისტორიისათვის ყველაზე ძვირფასი სწორედ ის არის, რითაც გრ. ორბელიანმა იმ დროს „დააშავა“. ეს „დანაშაული“ დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობს გრ. ორბელიანის სასახელოდ. ამ ლექსით იგი ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც დესპოტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი.

„იარალის“ 1832 წელს ქალაქ ნოვგოროდში დაიწერა: ლექსი მიმართულია ერთ-ერთი ქართველისადმი, რომელიც იმ დროს პეტერბურგს ცხოვრობდა და ფარნაოზ ბატონიშვილის ხელქვეითი იყო.

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე, 1913 წ., გვ. 27.



შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვგოროღსა,  
გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“.

მიმართავს პოეტი თავის მეგობარს. როგორც ირკვევა, გრ. ორბელიანი ძნელად ეგუებოდა ნოვგოროღში ცხოვრებას. ეს ნათლად ჩანს მისი პირადი წერილებიდან, რომელსაც იგი საქართველოსა და პეტერბურღში მყოფ თავის მეგობრებს სწერდა. ერთ წერილში გრ. ორბელიანი პირდაპირ წერს: „თუმცა მწყინს ძალიან აქ დამთენა, მარამა რა ვჰქნა, უნდა მოთმინებითა ვჰსძლიო ბედი ჩემი, და ჩემს თავს ამით ვჰსცემ ნუგეშსა, რომ გაზაფხულზე და ან უფრო ადრე მეღირსება ხილვა თქვენი“<sup>1</sup>.

ასე უკმაყოფილო იყო გრიგოლ ორბელიანი ნოვგოროღში ცხოვრებით და ეს უკმაყოფილება მან მშვენიერად გამოხატა თავის ლექსში „იარალის“. პოეტი ამბობს, რომ ჩრდილოეთში ცხოვრება კიდევ უფრო უღრმავებს სიყვარულს მზიური საქართველოსადმი. მშობლიური ქვეყნის ხილვა მას ნატვრად გადაქცევია და ეს ნატვრა მოსვენებას არ აძლევს.

ცა მშვენიერი,  
ცა მშობლიური  
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს,  
გაცხელებულთა  
ღვინისგან შუბლთა  
კოჭრის ნიაჲ განგეგრილებდეს.

პოეტი მძიმე ტკივილებით გვაგებინებს, რომ იგი სასტიკად ისჯება. ბედმა იგი თავის სამშობლოს მოსწყვეტა და შორს გადაისროლა, ღვინის წილ ბურახი და მზისა წილ რუსეთის მკაცრი სიცივე არგუნა.

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,  
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!  
სად აზარტეშა, სად არს მწვანელი?  
ღვინის წილ — კვასი, მზისა წილ — ყინვა!  
გადმოხვეწილმან ჩრდილოს წყვედიადსა  
სადლა იხილოს ცა მშობლიური?

ასე მწვავედ განიცდის მგრძნობიარე პოეტი სამშობლოდან მოწყვეტას. ისმის კითხვა ვინ არის დამნაშავე, რომ ქართველს სამშობლო ქვეყანა ენატრება და ვერ უნახავს? რატომ არის ეს ყველაფერი ასე? გრიგოლ ორბელიანის რწმენით, ყველა ამის მიზეზი არის მეფის თვითმპყრობელობა, რომელმაც საქართველოს დამოუ-

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილები, ტომი I, 1926 წ., გვ. 5.

კიდებული სახე დაუკარგა. ეს გარკვევით იგრძნობა გრ. ორბელიანის ლექსიდან „იარალის“.

პოეტი პირდაპირ გვეუბნება, რომ მისთვის არსებული სინამდვილე მწარე და მიუღებელია. ყოველივე სიკეთე წარსულმა წაიღო, ხოლო უკუღმართმა აწმყომ ქართველები უცხო ცის ქვეშ მოაქცია.

გრ. ორბელიანი ამის გამო წერს:

წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოელი კეთილი თანა წარიღეს,  
აწ უცხოს ცის ქვეშ, ზოგა ვაჰერეთ ობრვით და ცრემლით ზოგის  
წმინდა სამარეს..

აწმყოზე უკმაყოფილებას პოეტი წარსულის იდეალიზაციამდე მიჰყავს. ეს ნიშანი დამახასიათებელია გრ. ორბელიანის მთელი შემოქმედებისათვის. ამ ლექსში ავტორის მიერ საგანგებოდ წინ წამოწეულია ქართველი ხალხის ის თვისება, რომელიც მას თავისუფლებისათვის ბრძოლაში ისტორიულად ახასიათებდა. დავნატრი მათ, ვინც საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს ბედნიერებას შესწირაო. — გვეუბნება გრ. ორბელიანი.

დავნატრი მათ, ვინც თავისი სიცოცხლე თვისსა მამულსა  
შეჰსწირა მსხვერპლად,  
დავნატრი დროთა, რის აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს  
აღბეჭდილად.

როს ერთგულება, სარწმუნოება,  
იერთ თვისებას შეადგინებდნენ,  
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა  
მათსა სახელსა განადიდებდნენ..

პოეტი, ხედავს რა თავის სამშობლოს დაცემა-დაქვეითებას, დაეძებს გმირს, რომელიც დამონებულ ხალხს გამოაღვიძებს, წინ წაუძღვება და მტანჯველ ვეშაპს შეამუსვრინებს.

ვინ აღჩნდეს გმირი,  
რომ მის ძლიერა  
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?  
რომელ მარჯენით,  
ერთისა დაკერით  
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?

ასე ძლიერია გრ. ორბელიანის მოწოდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ამიტომაც იყო, რომ ნიკოლოზ პირველის მთავრობამ ლექსის „იარალის“ შეთხზვა პოეტს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ჩადენილ მოქმედებად ჩაუთვალა.



როგორც ცნობილია, სამშობლოს განთავისუფლებისათვის გმირების ძიება ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლებისათვის. ვის არ ახსოვს აკაკი წერეთლის სიტყვები: „გმირებს უძახის, უყვირის ჩემი დაფი და ნაღარა“ და სხვ. გრ. ორბელიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ასეთ გმირთა ძიების პირველ მოციქულად მოჩანს. სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის საქმეში დღესაც შთამაგონებელი ძალით ისმის გრ. ორბელიანის მგრძნობიარე სტრიქონები „სადღეგრძელოდან“:

მე, მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული  
არ ათრთოლდეს სიხარულით აღტაცებითა აღვსილი?  
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჰსთხიოს თვისი სისხლი,  
არ დააკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!

## IX

1832 წლის შეთქმულება დამარცხდა. გრიგოლ ორბელიანმა გარკვეული სასჯელი მოიხადა. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში სამშობლოდან გაძევებული იყო, და, როგორც ვიცით, ამ სასჯელს პოეტი მწვავედ განიცდიდა. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ის მძიმე სულიერი ტანჯვა, რომელიც გრ. ორბელიანისათვის სასჯელის მოხდის პერიოდში დამახასიათებელია. პოეტი თავის ცნობილ ელეგიაში „ჩემს დას ეფემიას“ მისთვის ჩვეული უშუალოდით გვაგვიხსენებს საკუთარ გულისტკივილს:

ვისგან და ვისთვის განიხაროს აწ გულმან ჩემმან?  
ვისა შეეპბრალდე, რომ ეგებ მით გული განჰგრილდეს?  
ღრუბელი ჭმუნვის განმიბნიოს აწ ვისმან ღიმმან?  
უღროდ დაებურდი და ცხოვრებით გული როს დაჰსტკებეს?  
სიუვარულისა სურვილი მას ვერ დაუთმოვს გულს,  
მისი სიცოცხლე ვერა დასტკებეს მართლ სიხარულით,  
ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით აღვსილს,  
უმზერს ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალთ,  
ხვალე არა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი,  
ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით დღეს ბედნიერ?  
ვისწავლე ესე, როს განმეჭრო ბედის ვარსკვლავი,  
და აწ თუ განვლის დღე მშვიდობით, მწუხრს პირვეარს ვიწერ!

ასე მწარედ დაისაჯა პოეტი იმის გამო, რომ იგი თვითმპყრობელური რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე იყო. ამ სასჯელმა მას გარკვეული გამოცდილებაც მისცა. შეთქმულების დამარცხება და მასთან დაკავშირებული სასჯელი გრიგოლ ორბელიან-

ნისათვის იყო ერთგვარი სკოლა, რომელმაც იგი დაარწმუნა, რომ მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა სახიფათო საქმეა, ცალკეული შეთქმულების გზით ძველი საქართველოს აღდგენა უკვე შეუძლებელია.

გრ. ორბელიანის შეგნებაში გარკვეული გარდატეხა მოხდა. მაგრამ ეს ფაქტი კიდევ არ ნიშნავს იმას, თითქოს ამის შემდეგ მისი შემოქმედებიდან ეროვნული მოტივიც ამოირიცხა. არა, ასე არ მომხდარა. ქართლის ბედი მისთვის კვლავ ყოველდღიურ საქირბოროტო საკითხად რჩება, მხოლოდ გამოვლინების ფორმა იცვლება. მეფის რუსეთის წინააღმდეგ რადიკალურ ბრძოლას, რომელიც პოეტს პირველ პერიოდში ახასიათებდა, ახლა კომპრომისის გზა სცვლის. ეს დათმობა-მტკივნეულია, მაგრამ პოეტს სხვა გამოსავალი ვერ უპოვია და იგი ძალაუნებურად ამას სჩადის. გრ. ორბელიანისათვის სამშობლოს ინტერესები კვლავ გონებიდან განუშორებელია, მაგრამ თუ წინათ იგი მეზრძოლი იყო, ახლა მის პოეზიას სწორედ ეს მეზრძოლი ხასიათი აკლია.

გრიგოლ ორბელიანი როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში გარკვევით აღიარებს საქართველოს დაცემა-დაქვეითებას. მაგრამ პირველად იგი ამის მიზეზად მეფის რუსეთს თვლიდა და მას წყევლა-კრულვას უგზავნიდა, ახლა კი თავისი ქვეყნის აღდგენის იმედს რუსეთზე და მის იმპერატორზე ამყარებს. ეროვნული მოტივი რომ კვლავ განუყრელი რჩება გრ. ორბელიანისათვის, ამის მაჩვენებელია მთელი მისი შემდგომი დროის ლიტერატურული მოღვაწეობა. თვით მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში იგი წერს ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რომელშიც ძველი ივერიის რომანტიკა მართლაც ძლიერი პოეტური ექსპრესიით არის გადმოცემული.

როდესაც ამ ლექსის გარშემო ვლაპარაკობთ, საინტერესოა ერთი დეტალიც: ჯერ კიდევ 1831 წელს თავის „მგზავრობაში“, ერთ-ერთი საყდრის დათვალიერების გამო, გრ. ორბელიანი წერდა: „საქართველოში თითქმის რჯულად არის დადებული, რომელ ყოველს ამგვარ ძველს შენობას მიაწერენ თამარ მეფეს, თუმცა მრავალნი ესრეთნი არიან სხვათა მეფეთაცაგან აღშენებულნი“. ამით პოეტს ალბათ იმის თქმა უნდოდა, რომ სხვა მეფეებიც დავასახელოთო. თვითონ გრ. ორბელიანმა ეს მართლაც მოიმოქმედა. პოემა „სადღეგრძელოში“ მან ქართველ მეფეთა მთელი გალერეა მოგვცა. მიუხედავად ამისა, მის ლექსებში უმთავრესად მაინც ორი მეფის სახე ბრწყინავს: ერთია თამარი, ხოლო მეორე — პატარა კახი.





„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ გრ. ორბელიანმა მოხუცებულობის დროს დაწერა, მაშინ, როდესაც დიდი სამსახურებრივი კარიერა უკვე გავლილი ჰქონდა და დარჩენილ დღეებს განცხრომით ატარებდა. მაშასადამე, მისთვის ამ დროსაც სამშობლოს ბედის საკითხი კვლავ საჭირობოროტოა (1877 წ.) პოეტი კვლავ ძლიერად განიცდის მშობლიური ქვეყნის დაცემას. მისი სიტყვით, ის ადგილი, სადაც უწინ წალკოტი ჰყვავოდა, ახლა ფერწახდენილი გამოიყურება. მამულის ახლანდელი სანახაობა იმდენად აუტანელია მისთვის, რომ ამ სინამდვილის განცდას უგრძობლად ყოფნა ურჩევნია. თამარ მეფის სახის ხილვა მას აყვავებულ საქართველოს უტოცხლებს თვალწინ და პოეტს სწადია არ გამოფხიზლდეს, რათა თავისი დროის უკუღმართი სინამდვილე არ დაინახოს.

აი როგორ მიმართავს გრ. ორბელიანი თამარ მეფის სახეს, რომელიც მას ბეთანიის ეკლესიის კედელზე უხილავს:

მიხარის — გიშვერ,  
 ექსწუხვარ — და გიშვერ,  
 და ესრეთ შვერა მსურს სიკვდილამდე,  
 არ გამოფხიზლდე,  
 რომ აღარ ეჭვრძნობდე  
 ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..  
 ყვავილოვანი  
 წალკოტი შენი,  
 შენის დიდების სხივ-მოკლებული  
 აღარა ჰშვენის,  
 აღარ გვიბრწყინვის  
 შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი..

მშობლიური ივერიის დაცემის სურათი პოეტს მოსვენებას არ აძლევს. იგი ხედავს, რომ დიდი კულტურის ქვეყანა ახლა უმეცრეების ბურუსშია გახვეული. მგოსნის განუშორებელი ნატვრა ის არის, რომ ეს დაცემული ქვეყანა ფეხზე დამდგარი ნახოს და კვლავ გაიგონოს სიტყვა უკვდავი რუსთაველისა.

შენი ივერი  
 აღსდგეს ძლიერი,  
 და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,  
 წმიდით საყდარით,  
 ენით მდიდარით,  
 სწავლისა შექით განათობული!  
 ზნე ამაღლებით,  
 ძლევის დიდებით,  
 სამშობლოს მიწის სიყვარულით!

მოტიანილ სტრიქონებში გარკვევით ისმის არსებულ სინამდვილეზე უკმაყოფილო პოეტის ხმა, თვითმპყრობელური რუსეთის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ძახილი. ამავე ამონაწერს მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვა მხრივაც. აქ გრიგოლ ორბელიანი გარკვევით ლაპარაკობს ქართველი ხალხის, როგორც ერის, განახლებაზე. მისი სიტყვით, ქართველი ერიც, როგორც მსოფლიო კაცობრიობის სრულუფლებიანი წევრი, სხვა ერთა შორის უნდა ჩადგეს. გრ. ორბელიანის ეს თვალსაზრისი სრულიად ეთანხმება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ იდეებს. ამ ეპოქაში ერების თანასწორობაზე წერა და ლაპარაკი რაიმე განსაკუთრებულ დამსახურებად ვერ ჩაითვლება. სამოციანი წლებიდან დაწყებული, თერგდალეულთა მოღვაწეობის შედეგად, ეროვნული საკითხი საბოლოოდ მომწიფებულა. კონკრეტულ შემთხვევაში აღსანიშნავი ის არის, რომ ამ საქმეშიც გრიგოლ ორბელიანი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მწერლების გვერდით დგას.

## X

ორბელიანის მიერ პატრიოტიზმის მოტივზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ცნობილი პოემა „სადღეგრძელო“. ამ თხზულების ძირითადი მოტივი სწორედ ეროვნული მოტივია.

1871 წელს „სადღეგრძელო“ ჟურნალ „კრებულში“ დაიბეჭდა. მაშინდელმა ქართულმა პრესამ ამ ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა. ვაზეთ „დროების“ რეცენზენტი, რომელიც ჟურნალ „კრებულის“ 1871 წლის პირველ ორ ნომერს იხილავდა, პირდაპირ წერდა: „ამ ორ წიგნში პირველი ადგილი უჭირავს სამს სტატიას: „სადღეგრძელო“ — გრიგოლ ორბელიანისა, „მგზავრის წერილები“ — სამწერტილიანი ავტორისა და „ჯიბრი“ — კომედია გ. წერეთლისა. ეს სამი თხზულება დაიჭერს პირველ ადგილს საზოგადოდ ჩვენს ლიტერატურაშიც“.

შემდეგ იგივე ავტორი განსაკუთრებით ჩერდება გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებზე და აღნიშნავს, რომ „სადღეგრძელო“ მკითხველში ბუნებრივად აღძრავს სამშობლოსადმი სიყვარულის მაღალ გრძნობას. რეცენზენტი წერს:

„სადღეგრძელო“ გრიგოლ ორბელიანისა სავსეა აზრითა და გრძნობით, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხ-

ველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ჭერ არ გაყინული გულის პატრონი. ზოგიერთი ადგილი ამ თხზულებისა ზეპირად დასასწავლებელია ჩვენთვის. ზოგნი კი იძახიან, რომ ეს პოემა არის მიბაძვა რუსის პოეტის ქუკოვსკის პოემისაო! არა, ეს თხზულება მხოლოდ ფორმით ემსგავსება ქუკოვსკის პოემას, შინაარსი კი არის განსაკუთრებით ქართული<sup>1</sup>.

მოყვანილი ამონაწერის აზრი სრულიად ნათელია გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ მნიშვნელობაზე. ეს აზრი მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოითქვა. ასევე მაღალ შეფასებას აძლევდნენ ამ ნაწარმოებს მომდევნო პერიოდშიც. ამ შეფასების საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმა პირველად მხოლოდ კიტა აბაშიძემ იკისრა. მან პოემა „სადღეგრძელო“ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში უსუსტეს ნაწარმოებად გამოაცხადა.

კიტა აბაშიძე წერდა:

„საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს „სადღეგრძელო“, დღემდის ჩვენის ლიტერატურის საუკეთესო ლექსად აღსარებული, უნდა მივიჩნიოთ უსუსტესად... რადგან მოკლებულია მრავალს ღირსებას. ორი-სამი ადგილი კარგია, მაგრამ ეს ვერ გამოიყიდის ამ თხზულების ნაკლულევანებას. უხერხულია ფორმით, უხერხულია მხატვრულის მხრივითაც... არ არის პოემა, რადგან არაკი არა აქვს; არ არის სალირიკო ლექსი, რადგან ამ გვარის თვისება არის სიმარტივე. მოკლე თქმულება და მკვეთრად გამოხატული აზრი, ეს კი მეტად გაჭიანურებულია, ეს არის მუხლები მოძღვრებისა“<sup>2</sup>.

კიტა აბაშიძის ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავიზიაროთ. პირიქით, „სადღეგრძელო“ მართლაც რომ პირველხარისხოვანი ნაწარმოებია გრ. ორბელიანის მთელს მხატვრულ შემოქმედებაში. ამ თხზულებას განსაკუთრებით დიდად აფასებდნენ თვით პოეტის სიცოცხლეში. „სადღეგრძელოს“ მთელი რიგი ადგილები მეცხრამეტე საუკუნის მწერლებს ციტატებად შეჰქონდათ თავიანთ ნაწარმოებებში. თვითონ ილია ჭავჭავაძეც არ დაერიდა ამას (მოიგონეთ „მგზავრის წერილები“). იგივე ი. ჭავჭავაძეც გრ. ორბელიანის მთელ რიგ სტრიქონებს სხვადასხვა ნაწარმოებებიდან და განსაკუთრებით „სადღეგრძელოდან“ გაზეთ „ივერიაში“ ბეჭდავდა როგორც სიბრძნის ნიმუშებს. „ივერიის“ ერთ-ერთ სერიიაში, რომელსაც ეწოდება დამაკვირდო, ჩვეულებრივად

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1871 წ., № 8.

<sup>2</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტომი I, 1911 წ., გვ. 53.

გვხვდება გრ. ორბელიანის თხზულებათა ნაწყვეტები. ილია ჭავჭავაძე გრ. ორბელიანის სტრუქტურებს ხშირად პითაგორის, პორაციოს, ეოვენარტის, ბუასტის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ბრძნული გამოთქმების გვერდით ბეჭდავდა<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გრ. ორბელიანის პოეტური ნაწარმოებების და მათ შორის „სადღეგრძელოს“ ღირსებაზე მეტყველებს.

გრ. ორბელიანმა „სადღეგრძელოს“ წერა ოცდაათიან წლებში დაიწყო, ხოლო საბოლოო სახით ეს ნაწარმოები სამოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა. ასე რომ, იგი ორმოცი წლის განმავლობაში იწერებოდა. ამიტომაც „სადღეგრძელოს“ დიდი მნიშვნელობა აქვს გრ. ორბელიანის საერთო შემოქმედებითი გზის გასარკვევად.

ზემოთ გავეცანით გრ. ორბელიანის მიერ ეროვნულ მოტივზე დაწერილი ლექსების ორ წყებას — შეთქმულების დამარცხებამდე და მის შემდეგ. მათ შორის არსებული განსხვავება ნათელია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეფის რუსეთისადმი გრ. ორბელიანის დამოკიდებულების ორმაგი ხასიათი კიდევ უფრო მკვეთრად სწორედ „სადღეგრძელოში“ გამოჩნდა. ამ ნაწარმოების ერთ ნაწილში, რომელიც ძირითადად 1832 წლის შეთქმულების გამომკვლავებამდე არის დაწერილი, პოეტი იხსენიებს ქართველ მეფეებსა და გამოჩენილ გმირებს. გრ. ორბელიანი მათ ღიღების შარავანდედით მოსაეს იმის გამო, რომ ისინი მამულისათვის იბრძოდნენ, სამშობლოს ბედნიერებისათვის საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ.

თხზულების ამ ნაწილში მკითხველი ძალდაუტანებლად გრძნობს ავტორის პროტესტს არსებული წყობილებისადმი, მეფის რუსეთის სუსხიანი რეჟიმისადმი. სხვა სურათია, როდესაც ვკითხულობთ „სადღეგრძელოს“ იმ ნაწილს, რომელიც შეთქმულების დამარცხებისა და პოეტის პატიმრობის შემდეგ დაიწერა. ერთი შეხედვით აქ განსაკუთრებით მოულოდნელად ისმის ნიკოლოზ პირველის სადღეგრძელო. თითქოს მოულოდნელია, რომ ქართველი მეფეების გვერდით აქ დასახელებულია რუსი იმპერატორი. გვიკვირს, რომ გრიგოლ ორბელიანი დღეგრძელობას უსურვებს იმპერატორს, რომლის დესპოტიზმმა თვით ორბელიანი, 1832 წლის ამბების გამო, ჯერ ავლაბრის ყაზარმებში გამოამწყვდია, ხოლო შემდეგ რამდენიმე წლით მშობლიური ქვეყნიდან გააძევა.

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, 1886 წ., № 144, 153, 154, 155 და სხვ.



როგორ ხდება ეს? ხომ არ არის აქ რაიმე წინააღმდეგობა? არა.

აქ არავითარ წინააღმდეგობას არ აქვს ადგილი. როგორც უკვე ითქვა, პოეტის ასეთ საქციელში არის ერთგვარი კომპრომისი, ძალაუვნებური დათმობა, მაგრამ არსებით წინააღმდეგობას აქ ადგილი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტი არავითარ საფუძველს არ იძლევა ვიფიქროთ, რომ არსებობს ორი გრივოლ ორბელიანი — ერთი, რომელიც თვალცრემლიანი შეჰყურებს თამარ მეფის სახეს და დასტირის პატარა კახის საფლავს, და მეორე ორბელიანი, რომელიც ქება-დიდებას ასხამს ცნობილ დესპოტს ნიკოლოზ პირველს.

გრივოლ ორბელიანს როგორც ქართველი მეფეების, ისე რუსი იმპერატორის ქების დროს ერთი მიზანი ამოქმედებს; ეს არის ძლიერი ივერიის აღდგენა, ანუ, როგორც თვითონ ამბობს: „წმიდით საყდართ, ენით მდიდართ, სწავლისა შექმით განათებულთ, ზნე-ადმალეებით, ძლევის დიდებით“ შემკობილი საქართველო. ეს არის პოეტის ძირითადი მიზანი, რომელიც მას ამოძრავებს ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. იგი მზად არის ამ მიზნის მისაღწევად არავითარი მსხვერპლი არ დაზოგოს.

გრძელმა გზამ თავისი ზიგზაგებიც იცის. მაგრამ საქმე ის არის, რომ საბოლოო მიზანთან მისასვლელი გზიდან არ გადაიჩეხო. გრ. ორბელიანს ზიგზაგები ჰქონდა, მაგრამ სამშობლოს ბედნიერებისათვის მას არასოდეს არ უღალატნია. თვით რუსი იმპერატორის ქებაც ამ მიზანს ემსახურება და ამდენად ეს სადღეგრძელოც ნაწარმოების ორგანული ნაწილია და მისი უგულებელყოფა სამართლიანი არ იქნებოდა.

გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“ ერთი მთლიანი ლიტერატურული ქმნილებაა და მისი კრიტიკული ანალიზიც ამ მთლიანობის თვალსაზრისიდან უნდა გამომდინარეობდეს.

პოემა „სადღეგრძელოში“ მოქმედების ადგილია ბრძოლის ველი, ესე იგი ის არე, სადაც დღისით ომის გრივალი ქუხდა და ახლა ქართველთა ლაშქარი ისვენებს, რომ მტერს ხვალ კვლავ შეებრძოლოს ახალი ენერგიით.

შესწყდა ბინდიას ომი საზარი,  
დაღუმდა არე, სად ქუხდა ბრძოლა;  
გამარჯვებოთა მოილხენს ჯარი;  
ურდო ცეცხლებით განათებულა!



მოქმედების ადგილის ეს არჩევანი სრულიად გამართლებულია. ასეთი ხასიათის ნაწარმოებს სწორედ ის ადგილი შეეფერება, რომელიც გრ. ორბელიანმა შეარჩია.

ნაწარმოების ცენტრში დგას თამადა. იგი თანმიმდევრობით ამბობს სადღეგრძელოებს, ხოლო ლაშქარი, თანხმობის ნიშნად, თამადის სიტყვის ერთ ნაწილს იმეორებს, თამადა, როგორც ამ ლხინის წამყვანი ფიგურა, პოემის ავტორის იდეათა გამომთქმელია. ეს ლხინი მეომარი ადამიანების დარბაისლური ლხინია. ამიტომაც არის, რომ მისი მეთაურის ყოველი სიტყვა აზრით აღსავსეა. აქ ყოველი ფრაზა გონების ნაკარნახევია. თამადის პირველი მოწოდებაც განსხვავდება ჩვეულებრივი დროსგასატარებელი ლხინისაგან.

ძმანო, აღვაესოთ ფილა წინაპართ მოსახსენებლად.

რომელთა დაჰსდევს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად.

ასეთია თამადის პირველი სიტყვები „სადღეგრძელოში“. ბუნებრივია, რომ მეომარი ადამიანების ლხინს სადღეგრძელოებიც შესაფერისი უნდა. ქართველთა ლაშქარმაც თავისი ლხინი ამ საერთო ნიშნის ქვეშ წარმართა. ხალხს, რომელიც სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძოლის ველზე გამოსულა, ის მოვლენები და ის გმირები იზიდავს, რომლებიც მათ მდგომარეობასა და განცდებს შეეფერებიან. სად არიან ასეთი მოვლენები და გმირები? გრ. ორბელიანის აზრით, ასეთი გმირები საქართველოს ისტორიულ წარსულში არიან. ამიტომაც მან ლხინის მეთაურს ათქმევინა:

ძმანო, პატივით მიემართოთ თვალნი

წარსულთა ძველთა საქუენთა,

მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი

გმირთა, მამულის განმაღიდეთა!..

მოყვანილი სიტყვების აზრი სრულიად გასაგებია: იგი ძველ გმირებს აქებს და აღიდებს. მაგრამ მაინცდამაინც სამართლიანი არ იქნებოდა, რომ „სადღეგრძელოში“ მოცემულ გმირთა დახასიათებაში მხოლოდ წარსულის გაიდება დაგვეჩახა. აქვე, წარსულის გაიდებასთან ერთად, გრ. ორბელიანი მისდროინდელი სინამდვილისადმი საბრძოლო დამიზნების ტენდენციასაც გარკვევით ამაჟღავნებს.

გმირნო, მამულის მადიდნო. თქვენა ხართ ჩვენი დიდება!  
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოჰსთქვამს შთამომავლობა!  
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,  
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!



ამ სტრიქონებში არსებული სინამდვილისადმი შეუერივნებასთან ერთად მომავლისათვის ბრძოლისაკენ გარკვეული მოწოდებაც ისმის. მთავარი სწორედ ესაა.

პატრიოტული საგმირო საქმეებისაკენ მოწოდების მიზნით, თავის თანამედროვეობაზე უკმაყოფილო გრიგოლ ორბელიანი ნაწარმოებში ძველ ქართველ გმირებს გააცოცხლებს. მკითხველის თვალწინ გაივლის ქართველი მეფეებისა და საქართველოსათვის თავდადებულ ადამიანთა მთელი პლეადა. მათ შორის არიან ისტორიულად ცნობილი სახალხო გმირები: სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძეები და სხვ.

პირველი მეფე, რომელიც „სადღეგრძელოშია“ დასახელებული, არის ფარნაოზი. მას მოჰყვებიან, მირიანი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, ქეთევანი, ვახტანგ VI, ერეკლე მეორე. თითოეულ მეფესთან დაკავშირებით გრ. ორბელიანი მოგვითხრობს იმ უმთავრეს დამსახურებაზე, რომელიც მათ ქართველი ერის წინაშე მიუძღვით. ასე, მაგალითად, ფარნაოზის დახასიათების დროს პოეტი გვეუბნება, რომ მან (ფარნაოზმა) შექმნა ერთმთავერობა და დაუმკვიდრა ერსა ერთობა.

შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავერობა,  
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,  
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა  
და ერთობისა წესი და ძალი.

მირიან მეფის დახასიათებისას გრ. ორბელიანის მიერ ხაზგასმით არის აღნიშნული მირიანის დამსახურება ქართველთა შორის ქრისტიანული რელიგიის გავრცელების საქმეში. იგი წერს:

ქრისტეს ნათელი განათლებული  
მეფე მირიან ბრწყინავს გვირგვინით.

ვახტანგ გორგასალი „სადღეგრძელოში“ დახასიათებულია, როგორც მეფე და მეომარი, ბრძოლის ღმერთი:—

მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,  
ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?  
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,  
მზად არს საომრად სახე-შერისხვით!

შემდეგ პოეტი ახასიათებს დავით აღმაშენებელს, როგორც შესანიშნავ მხედართმთავარსა და მსაჯულს.

მხედართ-მთავარსა უძღვევლს, გულ-მოწყალესა მსაჯულსა,  
ზე-ჩაგონებით ვასწავლულს, ენა მდინარე შეტყველსა...

საქართველოს  
საბჭოთაო მემკვიდრეობა

დავით აღმაშენებლის შემდეგ გრიგოლ ორბელიანის მიერ პოეტური აღმაფრენით შემკობილი არიან თამარ მეფე, ქეთევანი და ცნობილი მეფე-მწერალი, ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგე ვახტანგ VI. თითოეული მათგანის სახეს პოეტი ისეთი ძლიერი ფერებით ხატავს, რომ ისინი თითქოს ცოცხლად წარმოდგებიან მკითხველის წინაშე. ასევე პოეტური აღმაფრენით არის დახასიათებული „საღლეგრძელოში“ მეფე ერეკლე მეორე, სახელოვანი პატარა კახი.

გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიიდან ვიცით მისი ნათესაური კავშირი ერეკლესთან, მაგრამ პოეტის მხატვრულ შემოქმედებაში ეს პირადული თითქმის არ შედარდება. გრ. ორბელიანი ერეკლეს უმთავრესად ახასიათებს როგორც საქართველოსათვის თავდადებულ მეფესა და სარდალს ისევე, როგორც შეეძლო დაეხასიათებინა იგი რომელიმე სხვა პოეტს არა სისხლით ნათესავს. ერეკლე მეორის სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული: ჯერ ერთი, მისი გმირული ბრძოლები მეთვრამეტე საუკუნეში და მეორეც — ისეთი დიდი ისტორიული ფაქტი, როგორიცაა საქართველოს შეერთება რუსეთთან. მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ყველა დიდ მწერალს უძღვნია ერეკლესათვის ერთი-ორი ლექსი ან უხსენებია იგი თავის ნაწარმოებში. ასევე იქცეოდა გრიგოლ ორბელიანიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერეკლეს სახის დახატვაში ზოგჯერ ის უფრო მგრძობიარე მოჩანს, ვიდრე სხვა რომელიმე მისი თანამედროვე პოეტი.

ჯერ კიდევ 1831 წელს ნაწარმოებში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ გრიგოლ ორბელიანი ერეკლეს საფლავის ნახვის გამო წერდა:

„დაფიქრებული მოვედ მ ც ხ ე თ ა ს... უნებლიეთ გარდმომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა, რომელსა თანა არს დამარხულ დიდება და ყოველი კეთილი ივერიისა... გარდმომცვივდნენ ცრემლნი, რომელნიცა იყვნენ ტკბილ ვულისა ჩემისათვის; რამეთუ იყვნენ უკანასკნელ ხარკად საქართველოს განმადიდებლისა მიმართ. — მამაცო! დრო, ყოვლის შემმუსვრელი, ვერა შემუსრავს დიდებულთა საქმეთა შენთა, რომელნიცა აღმოჩნდებიან ვარსკვლავებრ მომავალთა საუკუნეთა შინა, და ესე აწ თითქმის დავიწყებული ყოველთაგან, შეუშკობელი საფლავი შენი — იქნების ყოველთათვის ოდესმე თაყვან-საცემელად“.





თავისი ამბლებული შეხედულება ერეკლე მეორეზე, ბიარე პოეტმა „საღლეგრძელოშიც“ გაიმეორა. მან ამ ნაწარმოებში თქვა, რომ მთელი დიდება ძველი ივერიისა პატარა კახის საფლავთან მარხია:

მამული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,  
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

1795 წელს კრწანისის ველზე ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი შეტაკება ცნობილია როგორც აღმოსავლეთის დამპყრობელებთან ქართველების მიერ გადახდილი უკანასკნელი ომი. ამ ომში ქართველების დამარცხებამ კიდევ უფრო დააჩქარა საქართველოს შეერთება ერთმორწმუნე რუსეთთან. სწორედ ეს მომენტი აქვს მხედველობაში გრ. ორბელიანს, როდესაც „საღლეგრძელოში“ ამბობს:

თავგანწირულმა გმირობამ ვერა დასძლია შავ-მხვედრი...  
წახდა თბილისი და მასთან დაემხო ძველი ივერიი!..

ასე განუყრელი იყო გრიგოლ ორბელიანისათვის ძველი ივერიის დასასრული და ერეკლე მეორის სახელი.

გრიგოლ ორბელიანს „საღლეგრძელოში“ გარდა მეფეებისა, დასახელებული ჰყავს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მთელი პლეადა, რომელიც ისტორიული წყაროებითა და ზეპირგადმოცემებით არის ცნობილი. ეს გმირები არიან: მხარგრძელი, გამრეკელი, ბატონიშვილები, ორბელიანები, ქობულაშვილები, ანდრონიკაშვილები, სამასი არაგველი და სხვა მრავალი. თითოეული ამათგანი პოეტისათვის იმით არის საინტერესო, რომ ისინი დამპყრობელურდობებთან ბრძოლაში თავიანთ მიწა-წყალს იცავდნენ, სამშობლოსათვის თავს სწირავდნენ.

გუნდი და გუნდნი ვაჟკაცთა ჰსჩანან მამულის მფარველნი!  
ზოგნი აზატის დამმხოზნი, ზოგნი თემურის მებრძოლნი!

ასე აქებდა და ადიდებდა გრიგოლ ორბელიანი ძველ ქართველ პატრიოტ გმირებს. „საღლეგრძელოში“ ჩამოთვლილი ადამიანების ეპოქაში, პოეტის აზრით, საქართველო ბედნიერი იყო, მაგრამ ეს წარსულია. გრ. ორბელიანის დროს ეს გმირები და ძველი მეფეები აღარ არიან და, მაშასადამე, აღარ არის აღარც ძველი ივერია. ეს ყველაფერი მხოლოდ მოგონებაა, რომელიც უკვე აღარ შეიძლება სინამდვილედ იქცეს. მაშ, სად არის გამოსავალი? როგორ და რა გზით შეიძლება, რომ საქართველომ თავისი სახე შეინარჩუნოს და

საბოლოოდ არ გაქრეს? — აი ის საჭირბოროტო საკითხი, რომელიც პოეტის წინაშე მთელი სიმწვავეით დგას.

გრიგოლ ორბელიანი საქართველოს ახალი ბედის ძიებამ იქამდე მიიყვანა, რომ დამპყრობელი იმპერატორის ქებაც ათქმევინა. მან იმპერატორზე დიდი იმედები დაამყარა, „თამარის ღღეთა. დიდების ღღეთა“ დაბრუნება შესთხოვა. პოეტი ქება-დიდებას უთვლის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს. იგი მას უწოდებს ძლიერს, სულგრძელს, ბრძენს და თანაც მიმართავს: „გულნი ივერთა გვაქვს მსხვერპლად მზადა, შენდა შესაფერ-შესაწირავად; ტამარი შენი ჰსდგას გულსა ჩვენსა, მოვედ მშვიდობის ჩვენდა საკმეველ!“ და სხვ. მაგრამ როდესაც ვაკვირდებით „საღღეგრძელოს“ ამ ნაწილს, პირდაპირ ვგრძნობთ, რომ ეს არის დამარცხებული პოეტის ჩივილი მშობლიური ქვეყნის უბედურებაზე. ამასთანავე ეს უფრო თხოვნა-ვედრებაა იმპერატორისადმი, ვიდრე მისი საღღეგრძელო ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. გრიგოლ ორბელიანი იმას ევედრება ნიკოლოზ პირველს, რომ მან (იმპერატორმა) საქართველოს ძველი დიდება აღადგინოს. ეს არის ამ მიმართვის ძირითადი მიზანი.

პოეტი ნიკოლოზ პირველს მიმართავს:

თამარის ღღენი,  
დიდების ღღენი,  
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..  
ღმერთო, გვისმინე,  
მეფეს მოჰფინე  
ძლევა, კურთხევა, მაღლი ზეციერ!  
ჩვენდა დიდებად,  
ბედნიერებად  
მეფე გვიოცხლე მრავალკამიერ!

მოყვანილი ამონაწერიდან გარკვევით იგრძნობა მიმართვის ძირითადი აზრი: პოეტს მზადა აქვს საუკეთესო სურვილები იმპერატორისადმი მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ იგი ხელს უწყობდეს საქართველოს დიდების აღდგენას.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე გრიგოლ ორბელიანი, როდესაც ქება-დიდებათ ამკობდა თვითმპყრობელ იმპერატორს. გაუმართლდა თუ არა ეს იმედი? რასაკვირველია, არა. გრიგოლ ორბელიანს არსად, არც ერთ ლექსში არ უთქვამს, რომ ნიკოლოზ პირველის ან რომელიმე სხვა იმპერატორის დროს ქართველი ხალხი ბედნიერი გახდა. პირიქით, იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე საქარ-



თველოს უბედობაზე ჩიოდა. 1883 წელს დაწერილ ლექსში „დავით ბერდი“ პოეტი ერთხელ კიდევ იმეორებს, რომ ბედს ვერ მოვესწრო და სამშობლოზე უიმედობა სამარეში თან მიაქვს.

დავებრდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,  
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდევარ სიმწარით...

ასე დამთავრდა მგრძნობიარე პოეტის ხანგრძლივი დრტვინვა მრავალჭირნახულ სამშობლოს ბედზე.

ამრიგად, ეროვნული თავისუფლების მოტივი გრ. ორბელიანის მსატვრული შემოქმედების ძირითადი დამახასიათებელი მოტივია. პოეტი მწვავედ განიცდის მეფის თვითპყრობელობის პირობებში საქართველოს დაცემა-დაქვეითებას. თავისი ეპოქის სინამდვილე პოეტისათვის მწარეა და მიუღებელი. იგი ამ სინამდვილეს კიცხავს და გმობს. აწმყოსადმი შეურიგებლობა გრ. ორბელიანის პოეზიის დამახასიათებელი ნიშანია. მისი პატრიოტული შემოქმედებითი მემკვიდრეობა წინა საფეხურია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული თაობისა, რომელმაც ეროვნული თავისუფლების იდეა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა და მას კიდევ უფრო მწყობრი და თანმიმდევარი ბრძოლის ხასიათი მისცა.

## სოლომონ ზოგადი

### I

გამოჩენილი ქართველი მწერალი და ფილოსოფოსი სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს სიღნაღის რაიონის სოფელ მალაროში.

პატარა სოლომონი ჯერ ბოდბის სამონასტრო სკოლაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ, 1818 წლის დამდეგს, სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს.

მომავალი მწერალი 1820 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა.

სოლომონ დოდაშვილმა 1822 წელს თბილისის სემინარია დაასრულა და იმავე წელს იგი მასწავლებლად დაინიშნა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში. რომელშიც ადრე თვითონ სწავლობდა.

მასალებით დადასტურებულია, რომ სოლომონ დოდაშვილი ბავშვობიდანვე ამყვანებდა სწავლისადმი განსაკუთრებულ მისწრაფებას. პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობამ მას, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაუძლიერა განათლების მიღების სურვილი.

სოლომონი 1823 წლის ივლისიდან მასწავლებლობას თავს ანებებს და უმაღლეს სასწავლებელში გასამგზავრებლად ემზადება. 1824 წლის შემოდგომიდან იგი უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია.

სოლომონ დოდაშვილს მშობლიური ოჯახი, როგორც ირკვევა, შორეულ პეტერბურგში სწავლისათვის საჭირო სახსრებს ვერ აწვდიდა. სწორედ ამ მიზეზით მომავალ მოღვაწეს დახმარებისათვის მიუმართავს პეტერბურგში მცხოვრებ იონა ხელაშვილისათვის.

იონა ხელაშვილი თავისი დროისათვის ფრიალ განათლებული პიროვნება იყო. ხელაშვილს, როგორც სასულიერო პირს და გამოჩენილ მწიგნობარს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მცხოვრებ ბატონიშვილებთან. მას იცნობდა და პატივს სცემდა იმდროინდელი მთელი ქართველი ინტელიგენცია.



იონა ხელაშვილის სადიდებლად მარტო ის ფაქტიც საკმარისია, რომ იგი მთავარ მოქმედ პირად არის გამოყვანილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“. ბატონიშვილის ამ ნაწარმოებში გამოხატულებას პოულობს იმდროინდელი საქართველოს მთელი ცხოვრება, ხოლო მის მთხრობლად იოანე ხელაშვილი გვევლინება.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანადაა აღიარებული, რომ ბატონიშვილის თხზულებაში „იონა ხელაშვილის პირით ავტორი გვითვალისწინებს ყველა მხარეს ჩვენი ქვეყნისას. სადაც კი მოხვდება ის, აგვიწერს იქაურ ბუნებას, ზნე-ჩვეულებას. ლაპარაკის კილოს, გვიხატავს მე-18 საუკუნის გასულის და მე-19 საუკუნის დამდეგის საქართველოს მდგომარეობას: პოლიტიკურს, სოციალურს, ეკონომიურს და კულტურულს“<sup>1</sup>.

იონა ხელაშვილმა თავიდანვე ყურადღებით მიიღო სწავლა-განათლებას მოწყურებული ახალგაზრდა დოდაშვილი. დროთა განმავლობაში იონასა და სოლომონს შორის განსაკუთრებული გულთბილი ურთიერთობა დამყარდა.

ი. ხელაშვილისა და ს. დოდაშვილის ჭეშმარიტად საქმიანი მეგობრობა გამოხატულებას პოულობს მათს პირად მიმოწერაში, რომლის ძირითადი ნაწილი ჩვენამდე მოღწეულია.

ს. დოდაშვილის წერილებში იონა ხელაშვილი ჩვეულებრივად იხსენიება როგორც მისი მუდმივი მფარველი, შთამაგონებელი და მშობლიურად მზრუნველი ადამიანი.

იონა ხელაშვილი, როგორც მასალებიდან ჩანს, რუსეთში გამგზავრებულ სხვა ქართველ ახალგაზრდებსაც გარკვეულ დახმარებას უწევდა, მაგრამ სოლომონ დოდაშვილის მიმართ მისი მზრუნველობა მაინც განსაკუთრებულია. ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულების საფუძველი იმაშია, რომ ხელაშვილმა ს. დოდაშვილის პიროვნებაში აღრევე შეიცნო ფრიად ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა, რომელიც მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებისათვის დაბეჭითებით ემზადებოდა.

დამახასიათებელია ი. ხელაშვილის მიმართვა ს. დოდაშვილისადმი ერთ პირად წერილში, რომელიც 1826 წლის დამდეგს განეკუთვნება.

ი. ხელაშვილი სოლომონს სწერს:

„ღვთის წყალობავ ჩემო სულიერო ძეო ჩემდამო სოლომონ იოანესო: თქვენ ხართ სულითა ზეგარდმო მართალ; ამაღ, რომელ

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტომი I, კ. კეკელიძისა და აღზარამიძის რედაქციით, 1936 წ., წინასიტყვაობა, გვ. III.

სიბრძნესა მისა მხოლოსა ეძიებთ, რათამცა სულისა ნათელი ხორცთა თქვენთა სარკმელსა გარეგანცა გამოჰსკვირდეს, რათა ბრწყინვიდეთ კაცთა შორის სათნოდ მალღისა“<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილის სტუდენტობისდროინდელი წერილებიდან გარკვევით იგრძნობა მომავალი მოღვაწის ამალღებული მისწრაფებანი, მისი შეგნებული სამზადისი მშობლიური ერისადმი თავდადებული სამსახურისათვის.

შეუძღვებელია ადამიანმა გულგრილად წაიკითხოს იონა ხელაშვილისადმი მიმართული სოლომონის წერილები, რომლებშიც იგი თავის საქმიანობასა და მომავლის განზრახვებზე ლაპარაკობს. 1826 წლის 14 ნოემბერს ს. დოდაშვილი იონას სწერს:

„მეცა შემეძლო საქართველოსა შინა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან მამულისამან განმადვიძა, რათა სარგებლად ამისა ოდესმე ნებითა განმხმელისათა ვიქმნა სწავლისა გამო და უხვევა მოწყალებისა თქვენისა ქმნილნი ჩემზედა მტკიცედ გარდაბეჭვდითა დამტკიცებულ არს გონებასა ზედა ჩემსა აღმოუფხვრელად, რომელი ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის“.

მომდევნო სტრიქონებში სოლომონ დოდაშვილი ქებით იხსენიებს წერილის ადრესატს, რომელსაც თავის ამალღებულ განზრახულობათა შთამაგონებლად აღიარებს, და დაასკვნის: „არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშავებ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“<sup>2</sup>.

სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნება, რაც ზემომოყვანილი სტრიქონებიდან ასე გარკვევით ისმის, სოლომონ დოდაშვილის სხვა წერილებშიც არა ერთგზის მეორდება.

სოლომონ დოდაშვილს, როგორც სტუდენტს, პეტერბურგის უნივერსიტეტში გარკვეული ყურადღება მიუქცევია. მასალებიდან ჩანს, რომ შორეული საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდას თავისი ნიჭიერებითა და სიბეჯითით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მხარდაჭერა დაუშმასხურებია.

სოლომონი 1826 წლის დეკემბერში ფილადელფოს კიკნაძეს სწერს:

„ტაძარსა შინა აღნთებულისა სწავლისასა ვახლავარ მაძიებელი სიბრძნისა სახელდებით იმპერატორის უნივერსიტეტსა შინა, მესა-

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S--1532, გვ. 156.

<sup>2</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 244-246.

მე უკვე წელი მივლის. რაოდენიცა შესაძლებელ არს უკეთილესად წარმატებით მადლობასა შინა განგებულისასა. კურსისა შესრულება ჩემი მომავალს იანვარს იქმნების. კურსნი, ანუ საგანნი სწავლათანი ურიცხვ არიან, ესე იგი მრავალნი, ანუ ბევრნი. ტფილისში მაღალი საკეთილშობილო სასწავლებელი გაიხსნება 1827. უნივერსიტეტის მზრუნველმა წარმადგინა მინისტრთან განათლებისა უფროსს მასწავლებლად ფილოსოფიისა და რიტორებისა რუსულს ენაზედ<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილისადმი პროფესორ-მასწავლებელთა გულისხმიერი დამოკიდებულება ნათლად იგრძნობა აგრეთვე იონა ხელაშვილისა და ანა დედოფლისადმი გაგზავნილ ბარათებში, რომლებითაც იგი წერილთა ადრესატებს „ლოგიკის“ გამოცემაზე დახმარებას სთხოვს. წერილებიდან სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ს. დოდაშვილს 1826 წლის ბოლოს თავისი „ლოგიკა“ გამოსაცემად მომზადებული ჰქონია ქართულ და რუსულ ენებზე. შეუძლებელია უბრალო მოვლენად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ დოდაშვილის ამ ნაშრომის არსებობა მისმა აღმზრდელმა მასწავლებლებმა დაბეჭდვამდე იცოდნენ.

სოლომონ დოდაშვილი ი. ხელაშვილს სწერს:

„მე გუშინ ვჰსცან უნივერსიტეტისაგან, ამ წელსა იქმნება შემდგომად ეგზამენის შესრულებისა, გამოშვება ჩემი სრულის ატესტაციითა. დეკანმა მითხრა — დროზედ წარმოდგინე ლოგიკა. ამისთვის გთხოვ იმეცადინოთ მოსწრაფებით მოძიება წარსაგებულისა, რათა რუსულს ენაზედ ახლა დავაბეჭდინოთ და ქართულზედ შემდგომ მისსა“<sup>2</sup>.

„ლოგიკა“ რუსულ ენაზე დაიბეჭდა პეტერბურგში 1827 წლის გაზაფხულზე, ხოლო იმავე წლის მაისის ბოლო რიცხვებში ს. დოდაშვილი სამშობლოში გამოემგზავრა.

საქართველოში გამომგზავრებული სოლომონ დოდაშვილი რამდენიმე დღით შეჩერდა ჯერ მოსკოვს, ხოლო შემდეგ ხარკოვში. როგორც მოსკოვის, ისე ხარკოვის ინტელიგენციამ იგი დიდი პატივისცემით მიიღო. სოლომონ დოდაშვილისადმი ასეთი განსაკუთრებული შეხვედრები იმან განაპირობა, რომ მისი „ლოგიკა“ ახალი დაბეჭდილი იყო და იმდროინდელი რუსული პრესა ახალგაზრდა ავტორს ქება-დიდებით იხსენიებდა.

<sup>1</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 248.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 253.

იონა ხელაშვილისადმი გავზავნილ წერილში ს. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ იგი მოსკოვში რამდენიმე მწერალს და საზოგადო მოღვაწეს გაეცნო. „მიმიღეს დიდ ფრიად კეთილად, მთხოვეს მეგობრობა კეთილი და შეერთება მათდამი წერილისა და სხვათა გარემოებითა შემთხვევათა თბილისით, რათა აცნობონ საზოგადოებასა ეურნალსა შინა დაბეჭდითა. ჩემ მიერ აღუთქვი ესე ვითარისა მოქმედება. ვინილე უნივერსიტეტი, თეატრი, ბიბლიოთეკა და სხუანი ჩინებულებანი ყოვლით კერძო გამოვიძიე“<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილი ასევე გულთბილად ახასიათებს ხარკოვის უნივერსიტეტში მიღების ეპიზოდს. იგი თავაზიანად მიმართავს წერილის ადრესატს: უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა ისეთი ყურადღებით მიმიღეს, რომ „არცა ღირს ვარ ესოდენსა მათსა პატივისცემასაო“. სოლომონი საგანგებოდ აღნიშნავს ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორის განსაკუთრებით გულისხმიერ დამოკიდებულებას მისდამი. იგი ი. ხელაშვილს სწერს:

„რექტორმან წარმიყვანა კალასკითა სახლად თვისად. მასთან ვიმეტყველე ყოველივე საჭიროება მამულისა ჩვენისა, მსწავლისთვის, სხვათა მრავალთა მოთხოვრებათა შორის. — სხვათა შორის სიტყვათა მითხრა: ეცადე მამულისა შენისათვის სარგებელად და სახელისა შენისა პატივად. რაისაცა ითხოვ, ყოველსავე აღვისრულებთო“<sup>2</sup>.

სოლომონ დოდაშვილის ეს ბარათი დაწერილია 1827 წლის 9 ივლისს. რამდენიმე დღის შემდეგ ს. დოდაშვილი უკვე საქართველოშია.

## II

სოლომონ დოდაშვილი 1827 წლის სექტემბრიდან სამსახურს იწყებს მასწავლებლად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. იმავე დროიდან იწყება მისი ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. სოლომონ დოდაშვილის საქმიანობა ფართო ასპარეზზე ხუთიოდე წლით შემოიფარგლება, მაგრამ ამ მცირე დროში მან ძალზე ბევრის გაკეთება შეძლო. იგი თავისი შრომის ნაყოფიერებით პირდაპირ გვაოცებს.

სოლომონ დოდაშვილის პირადი მიმოწერიდან ვგებულობთ,

<sup>1</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 259-260.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 263.





რომ იგი მუშაობის დაწყების პირველი დღეებიდანვე მეტისმეტად გადატვირთული ყოფილა. გასაგებია, თუ რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო მდგომარეობა პედაგოგიურ ასპარეზზე ახალგაშობილი ადამიანისა, რომელიც კვირაში 40-44 გაკვეთილს ატარებდა.

ს. დოდაშვილი 1827 წლის შემოდგომაზე იონა ხელაშვილს სწერს:

„გარდა სასწავლებელისა, სადაცა ოცდა ათექუსმეტი ეამი მაქვს კვირაში სწავლა, მმართველის საქართველოსა მხედართ ღუბერნატორის ღენერალ სიპიალინის შვილებს ვასწავლი კვირაში ოთხჯერ ორორ ეამს როსიულსა ენასა ზედა ღრამატიკასა და რიტორიკასა, ორნი შვილნი მისნი ერთი ათორმეტისა და მეორე ათისა ისწავებენ“<sup>1</sup>.

სამსახურებრივი საქმეებით ამგვარ დატვირთულობას ს. დოდაშვილის ჯანმრთელობის გაუარესებაც ემატება. სოლომონი ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს თავის ჯანმრთელობაზე ჩიოდა. იგი სამშობლოში დაბრუნების შემდგომ ხშირად ავადმყოფობს, მაგრამ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა, თანდათან, კიდევ უფრო ფართო ხასიათს იღებს.

1828 წელს ს. დოდაშვილი თბილისში ახალდაარსებული საგამომცემლო კომიტეტის წევრად ინიშნება. პირველ ხანებში იგი ქართული „თბილისის უწყებების“ ერთ-ერთი თანამშრომელია, ხოლო შემდეგში ამ გამოცემის ფაქტიური რედაქტორი ხდება<sup>2</sup>.

გასაგებია, რომ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ყოველდღიური სარედაქციო საქმიანობა ჭეშმარიტად დამაბულ შრომას მოითხოვდა. ამიტომაც მკითხველზე სრულიად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ს. დოდაშვილის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მას არც ერთი წუთი მოსვენება არა აქვს. იგი 1828 წლის 10 აგვისტოს იონა ხელაშვილს აცხობინებს:

„გარდა სასწავლებლისა, კომიტეტისა საქმენი მრავალნი მარწმუნა პრეზიდენტმან სამხედრო ღუბერნატორმან. მოუთმენელსა და უძლეველსა შრომასა შინა გახლავარ, რომელიც შეუძლებელ არს, რათა აღსრულებული იქმნას რომლისამე მამულისა შვილისაგან და ჩემთვისცა მოიძნელებს, გარნა ლოცვითა თქვენითა და შემწეობითა მღვთისათა, ჯერეთ ვასრულებ რწმუნებულსა ამას

<sup>1</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 274

<sup>2</sup> ვრცლად ამ საკითხზე იხილეთ მ. გოცაძის წიგნი „ქართული ებრაელისტიკის ისტორია“, I, 1954 წ., გვ. 94-98.

თანამდებობასა. მრავალნი მირჩევდნენ. რათა არა თანხმა მექმნა ამას ზედა სიძნელისა გამო, გარნა არა ვისმინე რჩევა მათი და მივიღე თანამდებობა კომიტეტისა, სადაცა ყოველსა დღესა მაქვს ფრიალი შრომა და ღამე საქმენი სადგომსა შინა მომაქვს<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილის ეს ნაყოფიერი სარედაქციო საქმიანობა წლობით გრძელდებოდა. დამთავრდა იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც 1832 წლის შეთქმულება გამომქვადენდა და „თბილისის უწყებანიც“ დაიხურა.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოგვიდგება ს. დოდაშვილის ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი თბილისის უწყებათანი“.

„სალიტერატურონი ნაწილნი თბილისის უწყებათანი“ 1832 წლის პირველი სამი თვის მანძილზე გამოდიოდა და სულ ხუთი ნომერი დაიბეჭდა. ჟურნალში მოთავსებული იყო სოლომონ დოდაშვილის, სოლომონ რაზმაძის, ალექსანდრე ორბელიანის, გიორგი ერისთავის, დავით მაჩაბლისა და სხვათა თხზულებები. გარდა მხატვრულისა, ჟურნალში გარკვეული ადგილი ეთმობოდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული წარსულის ამსახველ ნაწარმოებებს. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა საყურადღებოა თვითონ ს. დოდაშვილის წერილები.

„სალიტერატურონი ნაწილნი თბილისის უწყებათანი“ პირველი ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალია, რომელიც თავისი ეპოქის დონეზე უდავოდ დგას და მის მოთხოვნებს ჭეროვნად ეხმაურება. ამ ჟურნალის მნიშვნელობა ქართულ პერიოდულ გამოცემათა ისტორიაში უდავოდ დიდია, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობა ძალზე ხანმოკლე იყო.

სოლომონ დოდაშვილი პირველი ქართველი პროფესიული ჟურნალისტიკა, რომლის გზას შემდგომში აგრძელებენ გიორგი ერისთავი, ივანე კერესელიძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და მომდევნო თაობათა გამოჩენილი მოღვაწეები. იდეურად ს. დოდაშვილი წინამორბედა ქართველი სამოციანელებისა, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სათავეში ედგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

დამახასიათებელია ერთი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი: 1876 წლის 4 (16) მარტს ქართველმა ინტელიგენციამ გაზეთ „დროების“ დაარსებიდან ათი წლისთავისადმი მიძღვნილი ნაღიმი

<sup>1</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 287-288.



გამართა. ნადიმზე „დროების“ რედაქტორმა სერგეი მესხმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ ამ გაზეთის ირგვლივ შემოკრებილია მთელი მოწინავე ინტელიგენცია, რომლის დროშასაც აწერიაო სამსახური ქართული ეროვნული კულტურისა. „ეს დროშა, — ამბობდა ს. მესხი, — მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ან თაობას კი არ წარმოადგენს: ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა. — ეს არის დროშა ქართულის ლიტერატურისა!“.

იმავე ნადიმზე სიტყვით გამოვიდა ილია ჭავჭავაძე. მან ნადიმის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართულ ჟურნალისტიკას თავისი მდიდარი ტრადიცია აქვს. ილიამ, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მთავარია, ასეთი საქმიანობის პირველდამწყებად სოლომონ დოდაშვილი აღიარა.

„დროების“ მიმომხილველი მოგვითხრობს:

„ილია ჭავჭავაძემ გაახსენა მონადიმეთა აღრინდელი მოღვაწენი ქართულის ჟურნალისტობისა: გიორგი ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი. და ჰსთქვა: სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს. თუმცა იმ დროშაზედ, რომელიც უფალმა მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობითა გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაშვილისაგან [და] გიორგი ერისთავისაგან“<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტური საქმიანობა, რომელიც ეგოდენი მნიშვნელობით წარმოგვიდგება, მხოლოდ ერთი ნაწილია მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობისა.

სოლომონ დოდაშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობისდროინდელ პირად წერილებში ამბობდა, რომ იგი სამშობლოს სიყვარულმა გააღვიძა და იქვე გადაპრით აცხადებდა: „ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვისო“. სამშობლოში დაბრუნების პირველი დღეებიდანვე იგი მთელი მონდომებით იწყებს ამ კეთილშობილური აღთქმის განხორციელებას. მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან შეუძლებელია დაგასახელოთ რომელიმე ქართველი ინტელიგენტი, რომელიც საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით სოლომონ დოდაშვილს გაუტოლდებოდა. იგი, როგორც მწერალი-ჟურნალისტი, უშუალო გავლენას ახდენს მთელს მოწინავე ქართველ ინტელიგენციაზე, ხოლო როგორც მეცნიერი-ფილოსოფოსი ხმას აწ-

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1876 წ., № 24.

ვდენს იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეს, სადაც კი უმაღლესი განათლების კერა არსებობს.

სოლომონ დოდაშვილის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა შეწყდა 1832 წლის ბოლოს, როდესაც შეთქმულება გამომკლავნდა და იგი დააპატიმრეს. ამ დროს სოლომონი ოცდარვა წლისაც არ იყო.

სრულიად ბუნებრივია, რომ ს. დოდაშვილი შეთქმულთა პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდა. შემთხვევითი არაა ვახტანგ ორბელიანის აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი ჩვენება საგამომძიებლო კომისიისადმი: „1832 წელს დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი. იმან მითხრა დიახ, ბატონო ქართველებო ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდაო“<sup>1</sup>.

ამ სიტყვებში გამოხატულებას პოულობს სოლომონ დოდაშვილის, როგორც მოაზროვნის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. დემოკრატიული, რესპუბლიკური იდეები საერთოა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების ეპოქის რუსული და დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზროვნებისათვის. იგივე იდეები მით უმეტეს დამახასიათებელია ისეთი მაღალი დონის ინტელიგენციისათვის, რომელსაც ს. დოდაშვილი განეკუთვნება.

სოლომონ დოდაშვილი, რომელიც დაწაფებული იყო დასავლეთ ევროპის მოწინავე მეცნიერებასა და ფილოსოფიას, პეტერბურგში სტუდენტობის დროს უშუალო მოწმე გახდა სენატის მოედანზე დეკაბრისტთა ჩამოხრჩობისა. მან ეს მოვლენა თავისი დიდი ადამიანური გულით განიცადა. შემთხვევითი არაა, რომ 1832 წელს, დაპატიმრების მომენტში, გაჩხრეკისას სოლომონ დოდაშვილს აღმოაჩნდა საკუთარი ხელით გადმოღებული პირი კონდრატ რილევის მიერ სიკვდილით დასჯის წინ ცოლისადმი გაგზავნილი წერილისა.

სოლომონ დოდაშვილი შეთქმულებაში მონაწილეობის გამო სამუდამო გადასახლებაში გაიგზავნა ქალაქ ვიატკაში. აქ იგი მძიმედ დაავადდა ფილტვების ტუბერკულოზით. გულქვა იმპერატორმა ის

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 92.

თხოვნაც არ შეიწყნარა, რომ ქართველი მოღვაწე სასჯელის მოსახდელად სამხრეთის რომელიმე რაიონში გადაეყვანა.

სოლომონ დოდაშვილი ვიატკაში ინახულა გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ა. ი. გერცენმა, რომელიც აგრეთვე გადასახლებაში იმყოფებოდა. ჩვენამდე მოღწეულია გერცენის მოკლე, მაგრამ საეულისხმო ჩანაწერი ს. დოდაშვილზე. რომელიც ამ დროს უკვე მძიმე მდგომარეობაში იყო. გერცენი წერს:

„ვიატკაში გადასახლებაში იმყოფებოდა ქართველი თავადი. მან ვერ აიტანა მძაფრი ჰავა და ავი ჭლექით დაეადდა; მე სიკვდილის წინა დღეებში ვინახულე ის, სულთმობძავი იყო, მაგრამ ღრმა რწმენით მითხრა: „ოლონდ გაზაფხულზე არ გამოუარესდეს ავადმყოფობა, თორემ ჭლექი დამემართებაო“<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილი 1836 წლის 20 აგვისტოს ვიატკაში გარდაიცვალა.

### III

სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მოცულობით მცირეა. ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ იგი მეტისმეტად ნაადრევად დაიღუბა. დოდაშვილის კალმის ნაყოფის ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა გაცილებით დიდია. ვიდრე მათი რაოდენობა. ერთი მოღვაწის სადიდებლად მისი მარტო „ლოგიკა“ ან „შემოკლებული ქართული გრამატიკა“ იქმარებდა ცალკე აღებული<sup>2</sup>.

სოლომონ დოდაშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე თხზულება. რომელიც მნიშვნელოვანია უშუალოდ ქართული მწერლობის ისტორიისათვის.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია სოლომონ დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. ეს თხზულება 1832 წლის დამდეგს გამოქვეყნდა ს. დოდაშვილის ყურნალში და გამომხაურებაც საკმარისად დიდი ჰქონდა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, ტომი I, შედგენილი ვანო შადურის მიერ, 1949 წ., გვ. 254.

<sup>2</sup> ს. დოდაშვილის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე იხილეთ აკადემიკოს შ. ნუცუბიძის ვრცელი გამოკვლევა წიგნში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. II, 1958 წ.

<sup>3</sup> ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 376, სარედაქციო შენიშვნები.

წერილი საპოლემიკო სტრიქონებით იწყება. სოლომონ დოდაშვილი ეკამათება იმ მწიგნობრებს, რომელთაც ყალბი წარმოდგენა აქვთ ქართული სალიტერატურო ენის წარმოშობაზე და რომელნიც მკდარად მსჯელობენ მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ღირსება-ნაკლოვანებებზე.

სოლომონ დოდაშვილი ამბობს:

„ჩვენ შეგვემთხვა სმენა დამტკიცებითა სჯათა მრავალთა კეთილმზრახველთა კაცთაგან ქართულისა ენისათვის, რომელ იგი გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს და შესახებელადცა გარმონიისადმი არავითარისამე მეტონ არს სიამოვნისა“.

ამის შემდეგ სოლომონ დოდაშვილი აცხადებს, რომ იგი წერილში მიზნად ისახავს ასეთი შეხედულების მქონე ადამიანები დაარწმუნოს თავიანთ შეცდომაში, დაარწმუნოს იმაში, რომ „ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნნი სხვადასხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან“.

პირველი საკითხი, რომელზეც ს. დოდაშვილი მსჯელობს, არის ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი.

სოლომონ დოდაშვილი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ ზუსტად დადგენა „თუ ოდეს ენა ქართული შეიქმნა ენად ერისა“ შეუძლებელია. ჩვენი მოაზროვნე ამ მართლაცდა საჭირობოროტო საკითხზე მსჯელობისას დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენს. მისი ნააზრევი, ასეთი სიფრთხილისა და სიღარბაისლის ბეჭედს რომ ატარებს, მით უფრო პატივსაცემი და საყურადღებოა.

სოლომონ დოდაშვილი სამართლიანად ამბობს, რომ ქართული ენა უძველესი ენათაგანია და მისი პირველი დამწერლობა (ასოები) „იყვენ სრულიად განსხვავებულნი ასოთაგან სხვათა ერთასა“.

დოდაშვილის აზრით, ქართული დამწერლობა შემოღებულა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, სახელდობრ, ფარნავაზ მეფის ეპოქაში.

სოლომონ დოდაშვილის ეს მსჯელობა ქართული მწიგნობრობის წარმოშობაზე ბუნებრივად მოგვაგონებს გრიგოლ ორბელიანის პოეტურ გამონათქვამს პირველი ქართული წიგნის თაობაზე. გრიგოლ ორბელიანის აზრითაც ქართველებმა პირველი წიგნი ფარნავაზის მეფობის დროს მიიღეს. იგი თავის პოემაში ფარნავაზ მეფეს მოწიწებით მიმართავს:

შენ, ჰე, ფარნავო, ჰქმენ ერთ-მთავრობა,

შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი.



როგორც ვხედავთ, სოლომონ დოდაშვილისა და გრიგოლ ბელიანის აზრი ქართული მწიგნობრობის წარმოშობაზე ერთნაირია.

გასაგებია, რომ ეს მწერლები ემყარებიან „ქართლის ცხოვრების“ ცნობილ გადმოცემას იმის თაობაზე, რომ ქართული მწიგნობრობა შექმნილია ფარნავაზ მეფის მიერ. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ქართული მწიგნობრობის წარმოშობაზე სოლომონ დოდაშვილის მსჯელობა გარკვეულ საფუძველს ემყარება. ამ საფუძველის დაზუსტება მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეა.

სოლომონ დოდაშვილი თავის ამ წერილში შედარებით ვრცლად ჩერდება ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე. მისი ძირითადი სახელმძღვანელო დებულება ის არის, რომ „ქართველთა ძველთაგან ჰქონიათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ხელოვნებათა“.

სოლომონ დოდაშვილს ყურადღებიდან არ გამოორჩენია არც ის ფაქტი, რომ ქართველი მეფეები ჯერ კიდევ ძველად ათობით ახალგაზრდებს საბერძნეთში გზავნიდნენ განათლების მისაღებად და „მრავალნი მათგანნი, გამდიდრებულნი სწავლითა, მოიქცნენ მამულსა შინა თვისსა“.

სოლომონ დოდაშვილის წერილში, გარკვეული ქრონოლოგიის დაკვით, დასახელებული არიან „ჩინებულნი მთარგმნელნი და მწერალნი“ სასულიერო მწერლობიდან მოყოლებული აღორძინების ხანის მოღვაწეთა ჩათვლით. მოულოდნელი არაა, რომ ქართველი ერის მაღალი კულტურული წარსულის ჩვენებით დაინტერესებული ავტორი განსაკუთრებული დიდებით იხსენიებს თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქას, რომელსაც იგი „ოქროვან საუკუნეს“ უწოდებს.

სოლომონ დოდაშვილის ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი მოვლენაა ახალი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში. იგი თა-

<sup>1</sup> ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ი ვ რ ე ბ ა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, 1955 წ., გვ. 26.

ვისი დროისათვის უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ესევე თხზულება გარკვეულ ბიძგს აძლევს ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის მოძრაობას, რაც მეცხრამეტე საუკუნის ქართული სინამდვილისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია. ამ თვალსაზრისითაც ს. დოდაშვილი ერთ-ერთი წინამორბედეა თერგდალეულთა თაობისა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სასარგებლოდ ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული წარსულის შესწავლა-გამომზეურებაზე დღენიადგ ზრუნავდა.

სოლომონ დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში აღიარებულია როგორც ისეთი თხზულება, რომელსაც ქართული მწერლობის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე თავის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში“ ს. დოდაშვილის ამ ნაშრომს გარკვეულ ყურადღებას უთმობს. მართალია, იგი მას კონკრეტულად ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხთან დაკავშირებით ეხება, მაგრამ ამასთანავე თხზულების საერთო მნიშვნელობასაც მთელი სისრულით გვაგრძნობინებს.

კორნელი კეკელიძე წერს:

„მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიული მიმოხილვის ცდა მოგვცა სოლომონ დოდაშვილმა... ავტორი განიხილავს ქართული ლიტერატურის ოთხ პერიოდს; პირველი პერიოდისათვის საგანგებო სახელი არ დაურქმევია, რუსთაველისა და თამარის ეპოქის შესახებ ამბობს: „ესე საქართველოსა შინა იწოდების ოქროვან საუკუნედო“. მომდევნო პერიოდის სახელია, მისი სიტყვით, „ზედდასხმანი გარეშეთა ბარბაროსთანი“. ჩვენი „აღორძინების ხანა“, მისი სიტყვით, არის „ეპოხა აღდგინებისა“, რომელიც იწყება „ათხუთმეტსა საუკუნესა შინა“. უძველესი პერიოდიდან ავტორი ჩერდება იოანე ქართველზე, რომელსაც ადარნასე მეფის თანამედროვედა თვლის, და იოანე პატრიკ-ყოფილზე, რომელიც მას იოანე პეტრიწად მიაჩნია. ეფრემ მცირის მოღვაწეობას დოდაშვილი პეტრიწის შემდეგ სდებს და ა. შ. „ოქროვან საუკუნიდან“ ის ლაპარაკობს მოსე ხონელის, სარგის თმოგველის, რუსთაველისა და ჩახრუხაძის შესახებ, ხოლო „აღდგენის ხანიდან“ — თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ანტონ პირველსა და სხვებზე. ს. დოდაშვილის ამ შრომაში საყურადღებოა ცდა ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა, რომელიც მი-





ლებულ იქნა შემდეგში ა. ცაგარლის მიერ და სხვადასხვა ჯგუფად მომდევნო ხანის სამეცნიერო ლიტერატურაშიაც შეორდება<sup>1</sup>.

სახელოვანი მეცნიერის ამ სიტყვებიდან სრულიად ნათლად იგრძნობა სოლომონ დოდაშვილის თხზულების მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში.

#### IV

სოლომონ დოდაშვილის კალამს ეკუთვნის ორი წერილი საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ერთში გადმოცემულია მეფე ერეკლე მეორის ცხოვრება, ხოლო მეორე წერილი კრიტიკული ხასიათისაა, იგი გვაწვდის შენიშვნებს ერთი რუსი ავტორის თხზულებაზე.

ნაშრომში „მეფობა ირაკლის მეორისა“ გადმოცემულია სახელოვანი მეფის ცხოვრების ისტორია აზატ-ხანთან ბრძოლაში გამარჯვების ჩათვლით. თხზულებაში მოთხრობილია ერეკლე მეორის, როგორც გონიერი მეფისა და შესანიშნავი მხედართმთავრის, გმირული თავგადასავალი. ავტორის მიერ ხაზგასმულია ერეკლეს მკიდრო კავშირი ხალხთან, მისი შთამავანებელი გავლენა სამშობლოს დასაცავად ომებში გამოსულ თანამემამულეებზე და მათი (მეფისა და ლაშქრის) თავდადებული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ნაშრომის ძირითადი სულისკვეთება მგზნებარე პატრიოტიზმია. იგი მკითხველში ბუნებრივად აღვივებს სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის კეთილშობილურ გრძნობას. ავტორის მიზანდასახულობა სწორედ ასეთი გრძნობის აღზრდაა და იგი ამ მიზანს მთლიანად აღწევს. საქმის ვითარებას არ ცვლის ის გარემოება, რომ სოლომონ დოდაშვილის ამ ნაშრომს თავის მხრივ საფუძვლად დასდებია ისტორიკოს ომან ხერხეულიძის თხზულება ერეკლე მეფის ცხოვრებაზე<sup>2</sup>.

სოლომონ დოდაშვილის მეორე წერილი საქართველოს ისტორიის საკითხებზე, როგორც აღინიშნა, კრიტიკული ხასიათისაა. წერილს ასეთი ვრცელი სათაური აქვს: „შენიშვნა დამარხვის წესსა“

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951 წ., გვ. 16.

<sup>2</sup> სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 377, სარედაქციო შენიშვნები.

ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოისათა, რომელიცა დაბეჭდილი იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამას წელსა“.

„ტიფლისსკიე ვედომოსტის“ თანამშრომელმა გრიგოლ სერგის ძე გორდევმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღწერილი იყო ქართველ მეფეთა დამარხვის წესები. მაინცდამაინც მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ავტორს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა და ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებით წესებსა და ადათებს მხოლოდ რუსულ ენაზე არსებული არასრული წყაროებით იცნობდა, თავის წერილში ბევრი შეცდომა მოსვლია. ამ შეცდომებს, როგორც ჩანს, სოლომონ დოდაშვილის მხრივ გარკვეული გულისწყრომა გამოუწვევია, რაც მისი შენიშვნებიდან სრულიად გარკვევით იგრძნობა.

სოლომონ დოდაშვილი თავის კამათში გრ. გორდევთან, რაღა თქმა უნდა, სრულიად მართალია. იგი მხარდაჭერას იმსახურებს იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც შენიშვნების ადრესატს მართლაც და შეუბრალებლად ამითრახებს. შესაძლებელია რომელიმე ზერელე მკითხველისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდეს იმას, თუ ქართველი მეფის დაკრძალვაში მოსახლეობის რომელი ფენები მონაწილეობდნენ ან მგლოვიაჩენი როგორი ფერისა და შეკერილობის ტანსაცმლით იმოსებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში ერის ცხოვრების, მისი ზნეობისა და კულტურის დონის გათვალისწინებისათვის ამ მოვლენებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

სოლომონ დოდაშვილი გორდევის წერილიდან ასეთი შეცდომებისა და შეუსაბამობის მთელ რიგ შემთხვევებს ასახელებს და ავტორს ქეშმარიტად მეცნიერული პოზიციებიდან აკრიტიკებს<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილი თავისი წერილის შესავალში აღნიშნავს, რომ გორდევის თხზულებაში მოთხრობილი ფაქტები შეაჯერა სარწმუნო ისტორიულ წყაროებს და იგი თავის მსჯელობაში ამ უტყუარ მეცნიერულ საფუძველს ემყარება. დოდაშვილი ამბობს: ეს ფაქტები „შევათანასწორე ვახუშტის ისტორიასა, რომელსაცა შინა აღწერილ არიან ყოველნი წესნი და ჩვეულებანი ჩვენთა მეფეთანი და სხვათა საკუთრად შერდგენილთა წესთაცა, რომელნიცა იხმარებოდნენ უკანასკნელსა დროსა შინა, ვინილე მე ფრიად მრავ-

<sup>1</sup> იხ. სოლომონ დოდაშვილის თხზულებანი, 1961 წ., გვ. 213-216, აგრეთვე გვ. 377-379, საურდაქციო შენიშვნები.



ვალნი უთანხმოებანი და შეცდომილებანი; ამისთვის ვალად ვპრაცხ, რათა წარმოუდგინო იგინი მკითხველთა ჩემთა“.

ამის შემდეგ სოლომონ დოდაშვილი კონკრეტულად ჩამოთვლის გორდევის მიერ დაშვებულ შეცდომებს ქართველ მეფეთა დამარხვის წესზე და ამით საქმის ნამდვილ ვითარებას აღადგენს. იგი შენიშვნებში თვითონვე იძლევა ამ წესების განმარტებას, ხან მეტი და ხან ნაკლები სისრულით. აღძრულ საკითხებზე მსჯელობის პროცესში ყველგან და ყოველთვის იგრძნობა ავტორის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს ისტორიისა, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულებებისა.

ასეთია სოლომონ დოდაშვილის წერილები საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მათი გათვალისწინება აუცილებელია ჩვენი მოაზროვნის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათვისებისათვის.

## V

სოლომონ დოდაშვილის მხატვრული მემკვიდრეობა გარკვეული მნიშვნელობის მოვლენაა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მართალია, ეს მემკვიდრეობა სულ რამდენიმე ნაწარმოებით განისაზღვრება, მაგრამ ისინი მაშინვე, მწერლის სიცოცხლეშივე, იბეჭდებოდნენ და ფართო მკითხველ საზოგადოებრიობაზე უშუალო გავლენას ახდენდნენ. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ს. დოდაშვილის, როგორც მწერლის, პოპულარობას.

სოლომონ დოდაშვილის კალამს ეკუთვნის როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური მხატვრული თხზულებები.

სოლომონ დოდაშვილის თარგმანებიდან განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობები „ქინევერა“ და „ელენა“. დასახელებულ თხზულებათა ქართულ ენაზე გადმოღება გაპირობებულია იმ პუბლიცისტური იდეალებით, რაც ჩვენი მწერლისათვის საზოგადოდ დამახასიათებელია. ამ ნაწარმოებთა დადებითი გმირების თავგადასავალი მკითხველში ბუნებრივად აღძრავს ადამიანის ადამიანური ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობას. განსაკუთრებით სიმპათიურად წარმოგვიდგებიან აქ გამოყვანილი ქალები, რომელნიც ამაღლებული სიყვარულისათვის იტანჯებიან.

აგრეთვე საინტერესოა მცირე მოცულობის მოთხრობები (ოთხი მოთხრობა), რომელთაც ს. დოდაშვილის თხზულებათა გამოცემაში საერთო სათაურად „აღმოსავლეთის ლიტერატურა“ ეწოდება.

როგორც ვხედავთ, სოლომონ დოდაშვილს ქართულ ენაზე უთარგმნია როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა შემთხვევითი მოვლენა არაა, იგი მთარგმნელის რაღაც ინტერესის გამომხატველია. ასეთი დაინტერესების გარეშე მთარგმნელობით შრომას ხელს არ ჰკიდებენ. ეს მით უმეტეს ითქმის ისეთი მაღალი დონის ინტელექტუალურ მოღვაწეზე, როგორადაც სოლომონ დოდაშვილს ვიცნობთ.

სამწუხაროდ დღემდე შესწავლილი არაა ს. დოდაშვილის თარგმანების ხასიათი. გამოკვლეული არაა ჩვენი მწერლის დამოკიდებულება მის მიერ გადმოქართულებულ თხზულებათა ორიგინალებისადმი ცალკ-ცალკე. ასეთი მუშაობის ჩატარება მომავალში მაინც აუცილებელია, რათა დადგინდეს ს. დოდაშვილის, როგორც მთარგმნელის (თუ გადმომკეთებლის), ინტერესთა სფერო და მისი ამ მიმართულებით ნაღვაწიც ჯეროვნად შეფასდეს.

სოლომონ დოდაშვილის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ლექსი „მაისი“. პროფესორი ალ. ხახანაშვილი სამართლიანად ამბობდა, ეს ლექსი „შეთქმულთა ჰიმნად შეიძლება ჩავთვალოთ“<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილის „მაისი“ ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. სოლომონს იგი დაპატიმრების დროს ჩამოართვეს სხვა ნაწერებთან ერთად. თხზულება დაწერილია 1831 წელს, პოლონეთის აჯანყების პერიოდში და იგი თავიდან ბოლომდე შეთქმულთა სულისკვეთებით არის გამსჭვალული.

ამ ლექსთან ერთად ს. დოდაშვილისათვის დაპატიმრების დროს ჩამოერთმევიათ აგრეთვე ერთი მცირე მოცულობის პროზაული ტექსტი, რომელიც მისი ნაწერების გამოცემაში დაბეჭდილია სათაურით „სიტყვა-მოწოდება“. სრულიად ექვემოტანელი ცნობებით დადასტურებულია, რომ ეს თხზულება ს. დოდაშვილს შეთქმულთა მეთაურების, ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის, თხოვნით დაუწერია. შემდგომში, როგორც ჩანს, იმავე „სიტყვა-მოწოდების“ თემაზე მას შეუთხოვეს ლექსი „მაისი“. ბუნებრივია, რომ ეს თხზულებები, ხელნაწერის სახით, შეთქმულების მონაწილეთა შორის გავრცელებული იყო.

„სიტყვა-მოწოდება“ და „მაისი“ სავსებით ერთსა და იმავე მი-

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე, 1913 წ., გვ. 16.

ზანს ემსახურებოდნენ. ისინი ბუნებრივად აღვივებდნენ დამპყრობელი რუსეთისადმი სიძულვილს და მკითხველს მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

„სიტყვა-მოწოდებაში“ ვკითხულობთ:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქებდა და აღაცხებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილ მათგან.

„ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოველისა კაცისასა?!

„რაჲსათვის არს ესე ესრეთ?

„ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შეიღნი მამა-პაპათა ჩვენთანი?

„ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!

„ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმზნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?!

„მაშა რაჲსათვის ვცოცხალვართ?!“

მოყვანილი სტრიქონების აზრი იმდენად ნათელია, რომ კომენტარს აღარ საჭიროებს. თუ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ეს მოწოდება სავსებით პასუხობს იმ მიზანს, რა მიზნითაც შეთქმულების მეთაურებმა სოლომონ დოდაშვილს იგი დააწერინეს. იმავე მიზანდასახულობითაა დაწერილი ლექსი „მაისი“. ეს თხზულებაც, მსგავსად „სიტყვა-მოწოდებისა“, უშუალოდ, ყოველგვარი პოეტური ალეგორიებისა და იგავურ ხერხთა მოშველიების გარეშე, გვაგრძნობინებს ავტორის ფიქრსა და მისწრაფებას. მწერალი გადაჭრით მოუწოდებს ქართველობას, რათა ხელში მახვილი აიღონ და „ძალით მოსრულნი“ ძალითვე გარეკონ ჩვენი მამულიდან.

სოლომონ დოდაშვილი წერს:

მაისის თვესა იქმნას ძახება,  
 გამოხატული ქართველთ უფლება.  
 აღვიპყრათ ხელთა მახვილი,  
 მივცეთა მტერთა შიში ძრიელი,  
 შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი,  
 ვეცეთ, ვეჭვებრნეთ გაგულებულნი,  
 განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,

ჩვენ მამულისა მათხრებელნი,  
 წარვიდნენ აქით, არ იყვნენ აქა.  
 ქართველნო, ხართ სადმე თუ არა? არცინ არ იცის!  
 მოიგეთ გონება!

ასეთია ს. დოდაშვილის ლექსი „მაისი“, რომელშიც გამოხატუ-  
 ლებას პოულობს ავტორის, როგორც 1832 წლის შეთქმულების  
 მონაწილის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი.

\* \* \*

დასასრულ საინტერესოა სოლომონ დოდაშვილის ერთი თხზუ-  
 ლება, რომელიც ორი ცალკ-ცალკე დასათაურებული ნაწილისაგან  
 შედგება: „მოწერილი ს.-პეტერბურლიდამ ტფილისს ძმასთან“ და  
 „პასუხი ტფილისილამ“.

ნაწარმოების ვაცნობისას ბუნებრივად იქმნება შთაბეჭდილება,  
 რომ პირველი ნაწილი („მოწერილი ს.-პეტერბურლიდამ“) მხოლოდ  
 საბაზია იმისათვის, რათა ავტორმა მისდროინდელ თბილისზე ილა-  
 პარაკოს. ძირითადია თხზულების მეორე ნაწილი („პასუხი ტფილი-  
 სილამ“), რომელშიც ს. დოდაშვილი ახასიათებს იმდროინდელი სა-  
 ქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ მდგომარეობას.

სოლომონ დოდაშვილი თავის საპასუხო წერილს იმის აღნიშ-  
 ვნით იწყებს, რომ იგი კმაყოფილია ძმის მიერ მოწერილი პეტერ-  
 ბურგის ამბებით. იგი თვითონაც დიდად დაინტერესებულია ამ ქა-  
 ლაქის მდგომარეობით და ასეთი დაინტერესების მთავარი მიზეზი  
 ის არის, რომ იქ (პეტერბურგში) თანამემამულენი „ჩვენნი იმკიან  
 განათლებათა და მდიდრდებიან ცნობათა მიერ“.

ამის შემდეგ ს. დოდაშვილი თავის ადრესატს კმაყოფილებით  
 ატყობინებს, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოში (და, საზო-  
 გადოდ, ამიერკავკასიაში) კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიან-  
 ნობის ერთგვარი გამოცოცხლება დაიწყო. იგი თავის საპასუხო წე-  
 რილში ამბობს:

„გარდა ამისა, რომელ ტფილისსა შინა არს ღიმნაზია და სემი-  
 ნარია, ყოველთა სხვათა ამიერკავკასიის მხარესა ქალაქთა შინა და-  
 წესებულ არიან საერონი და სასულიერონიცა სასწავლებელნი. მო-  
 წაფენი, რომელნიცა აწ იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა  
 შინა, აღგვიტქმენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა“.

სოლომონ დოდაშვილი საპასუხო წერილის ადრესატს დაუფა-



რავად უზიარებს თავის აღტაცებას იმის გამო, რომ მრავალწლოვანი ქართული მწერლობა კვლავ აღმავლობის გზით მიდის: „გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაითგან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზვა შევნიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვა და სხვათა საგანთა, რომელთაცა იხილავ ქართულსა გაზეთსა შინა“, — წერს იგი.

დაბოლოს, სოლომონ დოდაშვილი აღნიშნავს, როგორც სასიამოვნო ფაქტს, რომ ქართველი ხალხი კვლავ დიდ ინტერესს იჩენს სწავლა-განათლებისადმი. იგი წერილის აღრესატს აგებინებს, რომ „ყოველმან მემამულემან ჩვენმან ჰსცნა, რომელ განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა... ერთის სიტყვით გითხრა: აწინდელსა განსვენებითსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმან კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა; მაშასადამე, ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა უნდა მოელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცთმოყვარენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანმეშრომენი. შემწენი და მჭარველნი“.

სოლომონ დოდაშვილის ამ თხზულებაში, როგორც ვხვდებით, უმთავრესად ავტორის ყურადღებას იქცევს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება, რომელსაც იგი მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების საქართველოში ამჩნევს. იგი, როგორც ამ საქმიანობის ერთ-ერთი მეთაური და სულისჩამდგმელი, თანამემამულეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, სწავლა-განათლებისათვის შეუწელებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებს. შემთხვევითი არაა, რომ მისი ეს „პასუხი“ პეტერბურგში მოსწავლე ქართველისადმი სწორედ ასეთი მოწოდების სიტყვებით მთავრდება. ამ კეთილშობილურ განმანათლებლურ მოწოდებას თავისებურ მხატვრულ იერს აძლევს მიმოწერის ხერხი, რომელიც ავტორმა თხზულებაში გამოიყენა.

ამრიგად, სოლომონ დოდაშვილი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა შორის ერთი ფრიად თვალსაჩინო პიროვნებაა. მისი სახით ჩვენ გვყავს სახელმძოვნილი მეცნიერი, მრავალსაუკუნოვანი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ღირსეული გამგრძელებელი, ნაყოფიერი მწერალი და კრიტიკოსი, პირველი პროფესიული ჟურნალისტი, რომელიც ტონს აძლევს მისდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საქმიანობას.

## ვახანგ ორბელიანი

### I

1890 წელს, ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალების გამო, ილია ჭავჭავაძის „ივერია“ წერდა: „კიდევ ერთი სახელოვანი კაცი გამოაკლდა ჩვენს ღარიბს ლიტერატურას! ჩვენდა სამწუხაროდ, გუშინ, დილის 4 საათზე, თბილისში გარდაიცვალა ჩვენი ტკბილად მთქმელი მოხუცებული პოეტი, ვახტანგ ვახტანგის ძე ჭავჭავაძიან-ორბელიანი. ამისთანა კაცის დაკარგვა საყოველთაოდ სამწუხარო და სამგლოვიაროა. ნუგეშად მხოლოდ ის გვჩნება, რომ მისდა სახსენებლად იქნება მისი ლექსები და იქ ღმერთი განუსვენებს მართალთა თანა!..“

პოეტის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ, 1894 წელს, მისი ნაწერების კრებული დაიბეჭდა. ამ შემთხვევის გამო ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფიის დაწერა ილია ჭავჭავაძემ იყისრა. როგორც ცნობილია, ილიას კალამს ეკუთვნის წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. მას ფრიად საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, რაფიელ ერისთავისა და სხვა მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. ვახტანგ ორბელიანისადმი ილიას დამოკიდებულება მაინც განსაკუთრებით საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მან ვ. ორბელიანის ცხოვრების მათიანე დაწერა და ამით მისი ბიოგრაფის სახელი დაიმსახურა.

ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ვახტანგ ორბელიანის ბიოგრაფია დღემდე რჩება როგორც ისეთი ნარკვევი, რომელზე მეტი შემდგომი დროის მკვლევარებსაც არა მოუციათ-რა. ამით, რასაკვირველია, იმის თქმა სრულიადაც არ შეიძლება, თითქოს ილია ვ. ორბელიანს რაღაც განსაკუთრებულს და არაჩვეულებრივად დიდ ადგილს ანიჭებდეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. არა, ეს ასე არ არის. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე თავისუფა-





ლია იმ ზედმეტი ქება-დიდებასაგან, რომელიც ბიოგრაფიის მწერ-  
რალთ ზოგჯერ მოსდით ხოლმე. ვახტანგ ორბელიანის მიმართ კი-  
ტა აბაშიძე უფრო მეტად მეხოტბეობს კრიტიკულ გამოკვლევაში,  
ვიდრე ილია მის მიერ დაწერილ ბიოგრაფიაში. როგორც არ უნდა  
იყოს, ერთი მაინც აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე ვახტანგ ორბელი-  
ანს საჯულისხმოდ როლს აკუთვნებდა მეცხრამეტე საუკუნის ქარ-  
თული ლიტერატურის ისტორიაში.

ვახტანგ ორბელიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას დიდად  
აფასებდა აგრეთვე პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. მან  
„იმედის“ ავტორს ქართული პატრიოტული რომანტიზმის საუკეთე-  
სო წარმომადგენელი უწოდა.

ქეშმარიტად, ვახტანგ ორბელიანი რომანტიკული სკოლის ერთი  
დამახასიათებელი წარმომადგენელია და მისი ლიტერატურული  
მოღვაწეობის შესწავლა ქართული რომანტიზმის, როგორც მთლია-  
ნი სახის ლიტერატურული მიმდინარეობის, შინაარსს მნიშვნელოვ-  
ნად ავსებს და ამდიდრებს.

ვახტანგ ორბელიანი უმცროსი ძმა ალექსანდრე ორბელიანისა,  
რომლის პიროვნება ჩვენთვის უკვე ცნობილია. მწერალი ძმების  
ოჯახური გარემო, აღზრდის პირობები და მომდევნო პერიოდის  
ცხოვრებაშიც მთელი რიგი მოვლენები საერთო იყო.

\* \* \*

ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი დაიბადა 1812 წლის 5 აპ-  
რილს, პოეტს ვახტანგი შეარქვეს პატივსაცემად მისივე მამისა,  
რომელმაც მომავალი პოეტის დაბადებამდე ორიოდ თვით აღრე  
თავი შეაქლა აჯანყებულ კახელებს.

ვახტანგ ორბელიანის პიროვნებაზე უშუალო გავლენას ახდენდა  
როგორც საკუთარი ოჯახური წრე, ისე ის საზოგადოებრივი გარე-  
მოცევა, რომელიც მისი ყრმობისა და სიჭაბუქის ეპოქას ახასიათებს.  
ეს ის დრო იყო, როდესაც ახალი მართვა-გამგეობა თანდათან  
მკვიდრდებოდა და ძველი ტრადიციული ცხოვრების წესებს ბოლო  
ელებოდა. ძველიდან ახალ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წესწყო-  
ბილებაზე გადასვლა მტკივნეულად მიმდინარეობდა. ამ გარდატე-  
ხის ეპოქას კარგად ახასიათებს ილია ჭავჭავაძე, რომელიც წერს:

„ვახტანგ ორბელიანი დაიბადა და გაიზარდა იმისთანა დროს,  
როცა ჯერ კიდევ ცხოვრებას ზედ ემჩნეოდა წყლულნი და დაკო-  
დილებანი, მეფერამეტე საუკუნისა, და მეცხრამეტე საუკუნის ქარს

ვერ გაეფანტა მათ მიერ მოვლენილი ნაღველი, მწუხარება და სასოწარკვეთილება. ჯერ კიდევ თითო-ოროლა ოჯახში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა, რომელმაც სული დალია 1795 წ. 11-ს სექტემბერს სოდანლულს, კრწანისის ბაღებთან<sup>1</sup>.

ის ჭრილობები, რომელნიც კრწანისის ტრაგედიის შემდეგ საქართველომ მიიღო, თავის დაღს ასვამდა ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. როგორც ცნობილია, საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას და ახალი მართვა-გამგეობის დამყარებას შედეგად მოჰყვა ქართველი ფეოდალური არისტოკრატის როლის დაცემა-დაქვეითება. პოლიტიკური ასპარეზიდან განდევნილი თავადაზნაურობა, განსაკუთრებით კი მაღალი ფეოდალური არისტოკრატია, მწვავედ განიცდიდა ეპოქის მიერ მიყენებულ ჭრილობებს. ეს „წყლულნი და დაკოდილებანი“, როგორც მას უწოდებდა ილია, საერთო იყო თითქმის ყველა დიდგვარიანი ქართველისათვის.

ახალი პოლიტიკური მდგომარეობის სირთულე განსაკუთრებით საგრძნობი უნდა ყოფილიყო ვახტანგ ორბელიანის ოჯახისათვის. როგორც ვიცით, პოეტის ოჯახი თავისი მდგომარეობითა და შეგნებით ახალი წყობილებისადმი სხვებზე მეტად შეურიგებელ და მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. თუკლე ბატონიშვილის ოჯახი წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად კერას, სადაც თავს იყრიდნენ რუსული მმართველობის წინააღმდეგ განწყობილი პირები და სადაც ჩვეულებრივად მეფის რუსეთის საწინააღმდეგო აზრები ტრიალებდა. 1832 წლის შეთქმულების პერიოდში აქ იმართებოდა კრებები და თათბირები, ხდებოდა ახალ წევრთა მიზიდვა და სხვ.

ამ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა ვახტანგ ორბელიანი. იგი ცამეტ წლამდე მშობლიურ წრეში, დედის უშუალო ხელმძღვანელობით, იზრდებოდა. აქ შეითვისა მან ქართული წერა-კითხვა და აქვე ასწავლიდნენ ფრანგულ ენას რომელიღაც კათოლიკე მღვდლის დახმარებით. 1825 წელს, როდესაც ცამეტი წლისა გახდა, ვახტანგი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. მაგრამ მას ეს სკოლა არ დაუმთავრებია. 2-3 წლის შემდეგ იგი დედამ პეტერბურგს გაგზავნა და იქ პაყთა კორპუსში მიაღებინა. ვახტანგ ორბელიანს არც ამ სამხედრო სასწავლებლის კურსი დაუსრულებია. მან ჩრდილოეთის ჰაეა ვერ აიტანა და იძულებული გახდა ორი წლის შემდეგ ისევ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 111, 1953 წ., გვ. 235.



1829 წლის მიწურულს ვ. ორბელიანი თბილისში ჩამოვიდა. როგორც ვნახეთ, მას არც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში და არც პეტერბურგის პაეტა კორპუსში სწავლა ბოლომდე არ მიუყვანია. ეს მოხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ხოლო რაც შეეხება ახალგაზრდა პოეტის დაინტერესებას სწავლით, არსებული ცნობების მიხედვით, იგი მეტად ბეჭითი და სწავლას ნოწყულებული ყოფილა. „მის სწორ-ამხანაგთა სიტყვით, — წერს ილია ჭავჭავაძე, — იგი ყოველთვის ირჩეოდა თურმე მაშინდელ ყმაწვილ-კაცთა შორის თავის ცოდნით და გონება-გახსნილობით. ეს სიყვარული წიგნთა კითხვისა არ მოჰკლებია სიკვდილამდე“.

პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნებისთანავე ვახტანგ ორბელიანი შეთქმულთა ორგანიზაციაში ჩაება და მისი ენთუზიასტი გახდა.

როგორც ვიცით, შეთქმულების გამომჟღავნების პირველსავე დღეებში ვახტანგ ორბელიანის მთელი ოჯახი — დედა და ძმები — დააპატიმრეს. კვლევა-ძიების შემდეგ ვ. ორბელიანი დამნაშავეთა პირველ კატეგორიაში ჩაირიცხა. ვახტანგი, მისი ძმა დიმიტრი და დედა თეკლე გადასახლებულ იქნენ ქალაქ კალუგაში.

პატიმრობის მწვავე განცდებთან არის დაკავშირებული ვახტანგ ორბელიანის ლექსი „გამოსალმება“. პოეტი მძიმე განცდებით ეთხოვება მშობლიურ მიწა-წყალს და თან სამუდამო ერთგულებას ეფიცება მას:

მშვიდობით, ველნო, საყვარელნო, ზურმუხტნო ველნო!  
 ბორცენო, ქალაქნო მშვენიერნო, ტურფა არენო,  
 მთანო ამაყნო, ახოვანნო, ცად მიბჭენილნო,  
 წყალნო აღმასნო, მოცინარნო, მოკამკამენო!  
 მშვიდობით, ჩემო გამომზრდელო, ჩემო მამულო!  
 მშვიდობით, მაგრამ შენთან მრჩება ოცნება ტყბილი.  
 გმირთ ძეთ სამარევე, იმათ წმიდა სისხლით მორწყულო,  
 სადა გინდ ვიყო, რაც გინდ ვიყო, ვარ შენი შვილი!

ვახტანგ ორბელიანმა საკმაოდ მკაცრი სასჯელი მოიხადა: 1832 წლის დეკემბრიდან ჯერ ავლაბრის ყაზარმებში იჯდა, ხოლო შემდეგ ოთხი წელიწადი გადასახლებაში გაატარა. განსაკუთრებით მძიმე და მთელს ცხოვრებაში დაუვიწყარი იყო მისთვის გადასახლების წლები. პოეტის პატიმრობისდროინდელი მწვავე განცდები შემდგომი პერიოდის ლექსებშიც გამოვლინდა. ლექსში „მოვონება“ ვ. ორბელიანი კვლავ უბრუნდება მისთვის მძიმე დღეების მო-

გონებას. იგი გვეუბნება, რომ სამშობლოდან გაძევებულს თვალწინ ედგა და გონებიდან არ შორდებოდა საყვარელი მამული.

სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული;  
ვიყავ ჰაბუჯო, სამშობლოსკენ იწევდა გულ-  
ღლე და ღამ მდგა დაბუნდვილთა ჩემთ თვალთა წინა  
ჩვენი მამული, მშვენიერი ჩვენი ქვეყანა.

მესია სევდა, ლოდინითა დაბერდა გულა;  
მაგრამ სამშობლოს მოველ ტკილის ოცნებით სრული.

დაბოლოს, პოეტი გადმოსცემს იმ უსაზღვრო სიხარულის წამებს, როდესაც იგი თავის საყვარელ სამშობლოს კვლავ დაუბრუნდა, ხელმეორედ იხილა მშობლიური მიწა-წყალი. „ზურმუხტნი ეელნი“... „მთანი ამაყნი, ახოვანნი, ცად მიბჭენილნი“.

ვნახე სამშობლო, როგორც კულავ, მდიდრად შვენიოდა;  
ღურჯი, წმინდა ცა მხიარულად მას დასცქეროდა.

ასეთი სიხარულითა და აღტაცებით დაუბრუნდა სასჯელმთხილი პოეტი თავის ქვეყანას. რამდენიმე წლით გადასახლებაში ყოფნამ თითქოს კიდევ უფრო შეაყვარაო თავისი სამშობლო. ამის შემდეგ მან შემოქმედების ძირითად თემად იგი გაიხადა, ხოლო მეფის რუსეთისადმი, რომელმაც მას ხუთი წელიწადი ციხესა და გადასახლებაში დააღამებინა. ბოლომდე შეურიგებელი დარჩა.

ვახტანგ ორბელიანი გადასახლებიდან 1837 წლის ბოლოს დაბრუნდა, ხოლო 1838 წლიდან იგი სამხედრო სამსახურში შევიდა. მისი სამხედრო კარიერა დაბალი ჩინით დაიწყო. იგი პირველად პრაპორშჩიკი იყო. 1858 წელს ვ. ორბელიანმა პოლკოვნიკის წოდება მიიღო, ხოლო 1860 წელს იგი გენერალ-მაიორი გახდა.

ვახტანგ ორბელიანმა სამხედრო სამსახურში გაატარა 1881 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში იგი ხშირად დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობასაც ასრულებდა. ისე როგორც გრიგოლ ორბელიანის პიროვნებაში, ერთგვარი ბზარი ვახტანგ ორბელიანთანაც იგრძნობა: ადამიანი, რომელიც პოეტურ შემოქმედებაში მეფის რუსეთის მოწინააღმდეგე დარჩა ბოლომდე, თავისი თანამდებობით იმავე რუსეთის საქმეს ემსახურებოდა.

1858 წელს ვახტანგ ორბელიანი ყუბანის მაზრის მმართველად იყო. 1860 წლიდან თერგის მაზრის უფროსის თანამდებობას ასრუ-



ლებდა ხოლმე დროგამოშვებით და სხვ. 1881 წელს იგი სამხედრო სამსახურიდან გამოვიდა. გარდა სამხედრო სამსახურისა ვ. ორბელიანი სხვა თანამდებობაზეც მოჩანს. 1864 წელს იგი არჩეულ იქნა გლეხთა საკრებულოს წევრად, ხოლო შემდეგში მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე მსახურობდა.

1890 წლის 29 სექტემბერს ვახტანგ ორბელიანი გარდაიცვალა.

მსკოვანი პოეტის გარდაცვალებამ ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ხალხი მოწიწებით ეთხოვებოდა „ძველის ივერიის“ ტკბილად მომღერალს. 2 ოქტომბერს პოეტი დაასაფლავეს.

გაზეთი „ივერია“ ამის გამო წერდა:

„გუშინ, 2 ოქტომბერს, დიდის ამბით დაასაფლავეს ჩვენი დაუვიწყარი პოეტი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი. ჯერ დიდის 10 საათზევე დიდძალი ხალხი შეიკრიბა განსვენებულის სადგომში, ყორღანოვის ახალს ქუჩაზედ, და მიუსამძიმრეს ჭირისუფლებს. შემთერთმეტე საათი იყო, როცა გამოასვენეს მიცვალებული სახლიდან და გაუდგნენ სიონის ტაძრის გზას. ცხედარს უკან მიჰყვებოდა სამხედრო მუსიკა, ხორო აღნიაშვილისა, ხორო ეგზარხოისისა და ჯარი ზარბაზნებითურთ. განსვენებულის დასაფლავებას თითქმის ყველა თბილისის წარჩინებული კაცი დაესწრო, განსაკუთრებით სამხედრო წოდებისანი“<sup>1</sup>.

მთელი რიგი სამგლოვიარო დეპეშები მოვიდა რუსეთში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდებისაგან. დეპეშა მოვიდა აგრეთვე ალექსანდრე ხახანაშვილისაგან (მოსკოვიდან). ალ. ხახანაშვილი წერდა: „ჩემი მწუხარებაც დაურთეთ ქართველთა მწუხარებას პოეტის რომანტიკის ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალების გამო და შეამკეთ საფლავი მისი გვირგვინით, რომელსაც ზედ წააწერეთ: „მგოსანს წარსულისას“<sup>2</sup>.

ასეთია ვახტანგ ორბელიანის ცხოვრების ძირითადი მომენტები.

## II

მწერლის მხატვრული შემოქმედების გასაგებად პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, რომელნიც მის ცალკეულ ნაწერებშია გამოთქმული. ასეთი ნაწარ-

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, 1890 წ., № 209.

<sup>2</sup> გაზეთი „ივერია“, 1890 წ., № 210.

მოები მეტად თუ ნაკლებად თითქმის ყველა მწერალს მოეპოვება. ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსი „პოეტს“. ამ ნაწარმოებში ვ. ორბელიანი აყალიბებს თავის შეხედულებას პოეტის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე, პოეტურ სტილზე და სხვ.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვ. ორბელიანმა გადაჭრით დაგმო წინამორბედი რომანტიკოსების შემოქმედებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნაკადი, სახელდობრ, მუხამბაზური ქანრი. იგი პირდაპირ ამბობს, რომ მას მუხამბაზების კილო არ მოსწონს:

მე არ მიყვარს, კილო მუხამბაზისა,  
 კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა;  
 იმ კილოთი რა იმღერო, პოეტო,  
 თუ არ ღვინო, ტოლუბაში და კინტო,  
 მათ დედუკი, დიპლიპიტო და ზურნა,  
 მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიყინა?  
 მე არ მიყვარს სურათები ამგვარი.  
 მუხამბაზით სხვას რას იტყვი, მოთხარი?

ეს არ არის უბრალო მნიშვნელობის მოვლენა. ამ სიტყვებით ავტორი ერთგვარად ეკამათება ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს, რომელთა შემოქმედებაში მუხამბაზის ქანრს საგულლისხმო ადგილი უკავია. რასაკვირველია, ვახტანგ ორბელიანი მხარდაჭერას ვერ იმსახურებს, როდესაც მუხამბაზის კილოს „ბაზრის კილოს“ უწოდებს. ეს ქანრი, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, ჩვენს სინამდვილეში არსებული საზოგადოებრივი ფენის ყოფა-ცხოვრების გამომხატველია. ეს არ არის „კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა“. კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი ის არის, რომ ვახტანგ ორბელიანმა მის მიერ უარყოფილი მუხამბაზების კილოს საკუთარი კილო დაუპირისპირა. ეს არისო კილო დარბაისლური, კილო რუსთაველისა.

ვახტანგ ორბელიანი ამბობს:

მე მომეცი კილო რუსთაველისა,  
 გაფურჩქნელი, ვით ყვავილი ველისა,  
 მოკამამე, როგორც წყარო მცინარი,  
 ვით მდინარე, მშვენიერად მომდინარი.

ვახტანგ ორბელიანის მთელი პოეტური შემოქმედება წარმოგვიდგება როგორც ერთი უწყვეტი გლოვა საქართველოს ძველ დიდებაზე. ეს არის მისი პოეზიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი



და, უნდა ითქვას, რომ ასეთი გლოვა-ტირილი სხვა კილოზე შეუძლებელიც იქნებოდა.

ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში ჩვენ ვერ შევხვდებით გრძნობით სიმთვრალეს, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის არის დამახასიათებელი. მის ლექსებში ვერ ვპოულობთ ვერც ღვინისა და სიყვარულის ეშხით ისეთ ამღერებას, როგორც ამას გრიგოლ ორბელიანი გვიდგენს და, ბოლოს, ვერც შემთხვევის გამო მოზღვავებულ გრძნობათა ისეთ ჭაბუკურ აფეთქებას, როგორიც მოცემულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „საყურე“. ვახტანგ ორბელიანის პოეზიას რომ ვეცნობით, წარმოგვიდგება პოეტი, რომელიც სამყაროს უმთავრესად გონების თვალთ ხედავს, აკვირდება და სინჯავს. ლექსის ყოველი სტრიქონი ნაფიქრ-ნააზრევით არის ერთმანეთთან შედგულებული.

ვახტანგ ორბელიანის პოეტური სტილი დიდად არის დამოკიდებული მისი პოეზიის ძირითადი თემისაგან. რა არის ეს ძირითადი თემა? როგორც უკვე აღინიშნა, მისი შემოქმედების წამყვან თემას ძველი საქართველო წარმოადგენს. რასაკვირველია, ვ. ორბელიანის პოეზიას სხვა თემებიც მოეპოვება, მაგრამ მთავარი მაინც ძველი ივერიის დიდებაა. ეს აზრი პირველად ილია ჭავჭავაძემ გამოთქვა.

ილია ჭავჭავაძე წერდა:

„უმთავრესი ძარღვი ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულის დამხობილს დიდებას“.

„მართალია, — განაგრძობს ილია ჭავჭავაძე, — გრიგოლ ორბელიანმა ჩვენს პოეტზე უწინ მიგვახედა წარსულს და ამით ახალი საგანი გაუჩინა ჩვენს პოეზიას, მაგრამ ამ გზაზედ ისე გადუხვეველად, ისე სისწვრივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია, როგორც ვახტანგ ორბელიანს, მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მაღლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულის სიყვარულისა — მამულის-შვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორეს ძუძუთი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 242.

ილიას ეს დებულება ჭეშმარიტად სამართლიანია. შეუძლებელია მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურიდან დავასახელოთ მეორე მწერალი, რომელიც თავისი შემოქმედებით წარსულთან ისე მკიდროდ იყოს დაკავშირებული, როგორც ვახტანგ ორბელიანი. იგი წარსულის რომანტიკოსია, ამ ცნების ყოველმხრივი მნიშვნელობით.

ვახტანგ ორბელიანი წარსულით სულდგმულობს. მისთვის ყოველგვარი სიკეთე იქ, მამა-პაპათა სამყოფელშია. პოეტი მათი სახეების წარმოდგენით ტკვება, მათ მივსალმება და ამით დიდ ბედნიერებას გრძნობს. ლექსში „ძველი ღმანისი“ იგი ამბობს:

მოგესალმები მამა-პაპის მაგარ სადგურო,  
დიდ ხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდ ხანს ვიყურო!  
მოგესალმები დიდთ ნანგრევთა პატრონი თქვენი,  
დიდის შენობის, როგორც თქვენა, საბრალო შენნი.

ვახტანგ ორბელიანის აზრით, ეპოქა, რომელშიც იგი ცხოვრობს, არის ეპოქა ნანგრევებისა. ცხოვრება, რომელიც ნანგრევების ეპოქაში მიმდინარეობს, შეუძლებელია სახარბიელო იყოს. ერთადერთი სანუგეშო მოვლენა, რაც ამ ფუჭსა და ამოვებით აღსავსე ყოფას ჯერ კიდევ ამაგრებს და შინაარსს აძლევს, ისევე წარსულია. გულის-მომკვლელ ნანგრევთა შორის აქა-იქ მოჩანს ძველი დიდების სხივი და ეს სიძველის სხივი, როგორც ლამპარი, აშუქებს და შინაარსს აძლევს ახალ ცხოვრებას. თუ ჩვენი გონება დღემდე მთლად არ დაბნელებულა და თუ სიცოცხლის ნიშან-წყალი კიდევ შეგვრჩენია, ამას ისევე იმ სიძველეთა ლამპარს უნდა ვუმაღლოდეთო, — წერს პოეტი.

ლექსში „ნანგრევთა შუა ლამპარი“ ვ. ორბელიანი ამბობს:

და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება,  
და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვალადეე დგება,  
და თუ იქამდის არ დავკარგეთ სიბოზო გულისა, —  
იგია მაღლი იმ ნათელის წმიდის ლამპრისა.

ძველი ისტორიული პიროვნებანი და ძველ შენობათა ნანგრევები პოეტისათვის ერთადერთი ნუგეშია თანამედროვეობაში სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ვახტანგ ორბელიანისათვის ძვირფასია გელათის ტაძარი, რადგან იგი ძველი საქართველოს გადმონაშთია. ეს ის შენობაა, რომელსაც ასეული წლების ხავსი აკრავს და რომელიც ათას მწარე შემთხვევათა მოწამეა. მის კედლებს ათასი წლის განმავლობაში სცემდა სეტყვა და მეხი, მაგრამ იგი მაინც არ





დანგრეულა და ჩვენამდე მოაღწია, როგორც წარსულის მთხრობელმა დიდებულმა შენობამ. ეს ძველი დიდების გადმონაშთი ძვირფასია კიდევ იმით, რომ იგი ქართველ მეფეთა აკლამაა. აქ განისვენებენო, — ამბობს პოეტი, — ქართველთა საამაყო მეფეები დავით აღმაშენებელი და დიდი თამარი.

აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა — ცა,  
როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა!  
აქ ჩემს წიაღში განისვენებს დიდი თამარი,  
თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,  
პოეზიისა, ერის გულში, სხივით მორთული,  
ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული!  
აქ განისვენებს... მის სახელი?... — დიდი დავიფი!  
მათ გვამთა დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ... გელათი.  
(„არის ადგილი“)

ეს ძველი ნაგებობანი და ძველ გმირთა სახეები იზიდავს ჩვენს პოეტს. ვახტანგ ორბელიანმა ლექსში „ძველი დმანისი“ თავის თავსაც „დიდის შენობის საბრალო შენეი“ უწოდა და უნდა ითქვას გადაჭრით, რომ წარსულის იდეალიზაცია ამაზე შორს არ შეიძლება წავიდეს. ძველი შენობების ნანგრევთა გვერდით ჩვენი რომანტიკოსი ახალი ცხოვრების გამომხატველ შენობებსაც ხედავს. იგი ერთმანეთს აღარებს ამ ორი სხვადასხვა ეპოქის მაჯის ცემის გამომხატველ შენობებს და მათ შორის უპირატესობას ძველს აკუთვნებს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსი „ორი შენობა“.

ვახტანგ ორბელიანი გვეუბნება, რომ მას ყოველდღიურად თვალწინ უდგას ორი შენობა. ერთში სიცოცხლე და მოძრაობაა, ხოლო მეორე მდუმარე საფლავს დამსგავსებია. ახალი გარეგნულად ლამაზია — ტურფად ნაგები. მეორე, რომელიც ძველი ცხოვრების გამომხატველია, ახლა უჭეროა, უპატრონო, აოხრებული და დახვესებული, მაგრამ, პოეტის რწმენით, უპირატესობა მაინც ძველს ეკუთვნის.

ახალი შენობა გარეგნულად ბრჭყვილაა, მაგრამ უღონო. იგი სამოც წელსაც ვერ გაუძლებს იმ სეტყვასა და ქარიშხალს, რომელსაც ძველი ასეული წლების განმავლობაში უძლებდა. ძველი შენობა შეიდასი წლის მოხუცია, მაგრამ მაინც გმირულად გამოიყურება. პირველი ჩქარა დაინგრევა, დაინგრევა და მისი ხსენებაც წამსვე გაქრება, მეორე კი სამარადისოდ გამძლეა. შემთხვევა რომ მოხდეს და ეს ძველი შენობა დაიქცეს, უკვალოდ მაინც არ მოისპობა. მისი ხსენება მაინც საუკუნოდ დარჩებაო, — ამბობს პოეტი. ახალ შენობას ვ. ორბელიანი ასე ახასიათებს:

იმ ერთს არა აქვს გრძლად დგომისა ღონე საქმარს,  
 მას დაანგრევენ სამოცის წლის სეტყვა და ქარი;  
 და რა კედელნი სუსტნი, ნაზნი დაინგრევიან,  
 მისი ნანგრევიც მიწის პირზედ მსწრაფლ განქრებიან;  
 განქრება მასთან მისი კვალი და მის ხსენება,  
 არ აქვს წარსული, მომავალი მას არ ექმნება.

მას შემდეგ, რაც ახალი ცხოვრების გამომხატველ შენობას გა-  
 ნაჩენი გამოუტანა, პოეტი ძველი შენობის დახასიათებაზე გადადის.  
 ლექსის ამ ნაწილშია სწორედ ვახტანგ ორბელიანის მთელი შეგნება  
 პოეტურად ამეტყველებული.

ის კი, მეორე, ის მოხუცი შეიდასის წლისა?  
 მას არ ეშინის არც დროთ დენის, არც ქარიშხლისა:  
 თუმცა მტრის ხელით შერყეული, შეგინებული,  
 მაინც დგას გმირად, გმირთა ხელით აღშენებული!  
 და თუ ოდესმე მის კედელნი დაინგრევიან,  
 შთენნი კი მისნი საუკუნოდ მთლად დარჩებიან;  
 დარჩება მისი საუკუნოდ ქვეყნად ხსენება.

აი ეს შენობაა ძველი საქართველოს ძალისა და სიდიადის გა-  
 მომხატველი. პოეტმა ერთმანეთს დაუპირისპირა, ერთი მხრივ, წმინ-  
 და ნინოს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი  
 ივერია, ხოლო მეორე მხრივ — ახალი საქართველო, რომელსაც მან  
 უქპრო და უპატრონო შენობა უწოდა.

ვახტანგ ორბელიანი ძველ და ახალ საქართველოს არა მარტო  
 ალეგორია-სიმბოლოების საშუალებით უპირისპირებს ერთმანეთს,  
 არამედ ხშირად უშუალოდ და პირდაპირ ლაპარაკობს მათზე.

ლექსში „ჯვარი ვაზისა“ გადმოცემულია საქართველოში ქრის-  
 ტიანობის შემოტანა წმინდა ნინოს მიერ, გაიდვალებულია მთელი  
 მომდევნო ცხოვრება პოეტის თანამედროვეობამდე, დაბოლოს,  
 უპრყოფილია ის სინამდვილე, რომელშიც მწერალი ცხოვრობს.  
 ქრისტიანული რელიგიის მიღებით საქართველო გაძლიერდა, სწავ-  
 ლა-განათლების წყაროს დაეწაფა და მოწინავე კულტურის ქვეყ-  
 ნად იქცაო, — ამბობს პოეტი.

ჩვენო სამშობლოვ, მშვენიერო, მაშინ შენზედა  
 მადლი ზეცისა, მადლი ღვთისა ზე გარდმოვიდა:  
 წმიდა ასული, წმიდა ნინო ცამ მოვივლინა,  
 ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სხივი მან შენ მოგვინა.  
 მიხვდნენ დიდ მცნებას ძენი შენნი, ერი ველური,  
 მიხვდნენ, რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური:  
 „ქვეყნად მშვიდობა და კაცთ ჰქონდესთ გულს სათნობა,  
 ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება!“



ვახტანგ ორბელიანის აზრით, ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველო დიდხანს ბედნიერი იყო. ეს ქვეყანა სწავლა-განათლებით დაწინაურდა, დამშვენდა და წარმტაცი გახდა. უღმობელმა დრომ ეს წარმტაცი ცხოვრება ბოლოს მაინც შემუსრა, ნანგრევებად აქცია და მისგან მხოლოდ მოგონება დარჩა.

მაგრამ რად გვინდა მის ამბავი, რაც არს აღარა?  
რაც თვალთ წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა ვმარა!

### III

ვახტანგ ორბელიანის პოეტურ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსი „იმედი“. ამ ნაწარმოებს ილია ჭავჭავაძე ქართული პოეზიის მარგალიტს უწოდებდა, ხოლო კიკია აბაშიძე იმავე ლექსის გამო წერდა: „მთელი სულიერი განწყობილება პოეტისა, მისი ზრახვა, აზრი და მისწრაფება, მისი ჩივილი და იმედი ერთ პირველსა და საუკეთესოს მისს ლექსშია გამოხატული. ეს ლექსი „იმედია“. ამავე ლექსში სჩანს ის განსხვავება, რომელიც ვახტანგ ორბელიანს აშორებს ჩვენს რომანტიკოსთა პოეტებს და აბაღის ხანის მაუწყებლად აჰქმნის“<sup>1</sup>.

ლექსში „იმედი“ მართლაც არის ერთგვარი ცენტრალური მნიშვნელობის პოეტური თხზულება, რომელიც სხვა ლექსებისაგან განსხვავებით ვ. ორბელიანის სულიერ განცდებს უფრო ფართოდ და სრულყოფილად წარმოგვიდგენს. სამართლიანი არ იქნებოდა, რომ „იმედი“ ავტორის სხვა ნაწარმოებთაგან დამოუკიდებლად გაგვეჩილა, მაგრამ ეს თხზულება უფრო მეტის მოქმელია და ამდენად მნიშვნელოვანი, ვიდრე იმავე ავტორის სხვა რომელიმე პატარა ლექსი.

„იმედი“ თითქმის ოცი წლის განმავლობაში მუშავდებოდა სხვადასხვა დროს. ეს ლექსი პირველად 1859 წლის დამდეგს ეურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა,<sup>2</sup> ხოლო საბოლოო სახე მან 1879 წელს მიიღო.

პოეტს ოცნებაში წარმოუდგება მშვენიერი, ტურფა ასული. ამ ასულთან, რომელიც თავისთავად არარეალურია, პოეტი მართავს საუბარს. საუბარში მოცემულია ძველი საქართველოს გაიდევლება.

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 113.

<sup>2</sup> ეურნალი „ცისკარი“, 1859 წ., № 2.

თანამედროვე ცხოვრების უარყოფითი დახასიათება და სანუკვარი მომავლის რომანტიკული ძიება, ე. ი. ის, რაც ვახტანგ ორბელიანისათვის, როგორც რომანტიკოსი პოეტისათვის, საზოგადოდ დამახასიათებელია.

მგოსანი ტურფა ასულს აცნობს თავის სამშობლო ქვეყანას — ივერიას, სადაც ეს მშვენიერი არსება სტუმრად მოსულა. მის სიტყვებში ბუნებრივად იგრძნობა სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული და გულშემატკივარი ადამიანი. პოეტი მშვენიერ ასულს ეუბნება, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც თავდაპირველად წალკოტად გაშენებულა. აქ, საქართველოში, ზამთარ-ზაფხულ ვარდნი შლილობენ და „ღამით ზეფირი, დილით ნამი მაზედ ხარობენ“: ეს არისო ქვეყანა, სადაც

აქა ცა არის ლურჯი, წმინდა, მნათი მარად ეამს!

აქა დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს.

მაგრამაო, — ამბობს პოეტი, — ბუნების მიერ ასე უხვად დაჯილდოებული ქვეყანა დროთა უკუღმართობისაგან ინგრევა და ნადგურდება. „აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა, პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა“. ვისაც სწადიან ივერიის ასე დაცემის მიზეზი გაიგოს, მისი შავი ბედი ამოიკითხოს, — ამბობს ვახტანგ ორბელიანი, — იგი ჩვენ კი ნურაფერს გვკითხავს, არამედ მიმართოს ჯვარს, რომელიც ძველ ტაძარში ინახება. ეს ჯვარი მეფე მირიანის დროს ხელში ეჭირა წმინდა ნინოს და მისი შემწევობით ქართველთა შორის ქრისტიანობას ავრცელებდა. ეს ჯვარი არის უტყუარი მოწმე ეამთა სიავისა, რომელიც საქართველოს თავს გადახდენია.

ესე არს ჩვენი ისტორია და ჩვენი ბედი:

\* ეკლის გვირგვინი, სასოება და კვლავ იმედი!..

ვახტანგ ორბელიანს შესანიშნავად აქვს მიგნებული და პოეტურად გადმოცემული ქართველი ხალხის ისტორიის ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. ეს დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მცირერიცხოვანი ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე სისხლითა და მახვილით იცავდა თავს სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებისაგან და იმავე დროს მაღალ სულიერ კულტურასაც ჰქმნიდა. დიდი სიმართლით და პოეტურად ბრწყინვალე ფორმებშია გადმოცემული საქართველოს ისტორიის ეს დამახასიათებელი ნიშანი მგოსნის შემდეგ სტრიქონებში:

ერთის ხელითა წმიდათ ტაძართ, პალატო ვაგებდით:  
 და მეორეთი მტერსა ვცემდით, ხმალს არ ვაგებდით:  
 „ან სულ გავწყუდეთო და ან მტერთა ვძლიოთ ვეგება“.  
 სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა სრულად შეღება!

ვახტანგ ორბელიანმა ცა-ფირუზ საქართველოს სისხლის კალო და გმირების აკლდამა უწოდა:

ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,  
 გმირთა აკლდამი, გულთ საქლავი და სავალალო!

წარსულზე საუბრის დროს პოეტში განსაკუთრებით მწარე ტყვილების აღმძვრელია მოგონება მეფე ერეკლე მეორის ხანაზე. პოეტს ეს ეპოქა მიაჩნია ძველი საქართველოს დასასრულად. მან ბაგრატიონების მეფობის დასასრულს საქართველოსათვის სულის ამოხდომის ეპიზოდს უწოდა.

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,  
 რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;  
 რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომიტხოვბდა.  
 ის ეპიზოდი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...

ვახტანგ ორბელიანი სამართლიანად ამბობს, რომ მას ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე საკუთარი ოჯახი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეჟიმისადმი სიძულვილსა და უნდობლობას უნერგავდა. ეს უნდობლობა შემდგომში კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა პოეტის შეგნებაში.

ვახტანგ ორბელიანი „იმედში“ ფართოდ ეხება ერეკლე მეორის მიერ გადახდილ ომებს. იგი განსაკუთრებით აღნიშნავს ერეკლეს გმირულ ბრძოლებს ასპინძისა და კრწანისის ველებზე. ჩვენი მგოსანი ერთგვარი საყვედურის კილოთი მიმართავს უცხო ქვეყნებს, რომელნიც, მისი აზრით, კეთილსინდისიერად არ ეხმარებოდნენ საქართველოს მაჰმადიანი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ტაშს უკრავდნენ და აქეზებდნენ ქართველ მეფეს, მაგრამ საქმით არავითარ დახმარებას არ უწყევდნენო საქრისტიანო ქვეყნის დაცვაში. ამიტომაცო, — მიმართავს პოეტი დასავლეთის ქვეყნებს: „მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ, მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ“.

ერეკლე მეფის სიცოცხლეს ვ. ორბელიანმა მუდმივი შფოთისა და ბრძოლის ხანა უწოდა. იგი ამბობს:

გრძელი სიცოცხლე ირაკლისა არს ბრძოლა გრძელი,  
 მოსათხოვბელად, საამბობლად, სათქმელად ძნელი.

ერეკლე მეორე, როგორც გამოჩენილი მეფე და სარდალი, ფართო გამორჩაბულებას პოულობს მეცხრამეტე საუკუნის მთელ ქართულ მწერლობაში. თუ მეცხრამეტე საუკუნემდე ქართულ ლიტერატურაში ჩვეულებრივად ორი მეფე — დავით აღმაშენებელი და თამარი, იყო სახელმწიფეები, ახალ დროში მათ გვერდით დგება ერეკლე მეორე. როგორც ოფიციალური ლიტერატურა, ისე ხალხური ზეპირსიტყვიერება დიდების შარავანდედით მოსავეს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირ მეფეს. ერეკლე დიდი სიმბათიით სარგებლობს ქართველ რომანტიკოსთა მხატვრულ შემოქმედებაში. გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში არა ერთგზის გვხვდება პატარა კახის გმირული სახე. ვახტანგ ორბელიანმა რამდენიმე ნაწარმოები უძღვნა ერისათვის თავდადებულ მეფეს. ასეთებია: „ირაკლი და კობახედიანი“, „ირაკლი და იმისი დრო“, ერთი დიდი ნაწილი „იმედისა“ და სხვ.

ვახტანგ ორბელიანის „იმედში“ მეფე ერეკლეს გვერდით ხსენებული არიან, თუმცა არა პერსონალურად, სხვა ქართველი გმირებიც, რომელთაც შამქორის, ასპინძისა და კრწანისის ომებში სახელოვანი სიკვდილით თავიანთი სახელები უკვდავყვეს.

სამშობლოსათვის თავდადებულ ძველ გმირთა ქება-დიდებას შემდეგ პოეტი თავისი ეპოქის სინამდვილის დახასიათებაზე გადადის. ვასაგებია, რომ იგი სახელოვან წინაპართა მსგავს ადამიანებს ახალ დროში ვერ პოულობს და ამიტომაც მგოსანი თავის თანამედროვეებს მკაცრად უმასპინძლდება.

ვახტანგ ორბელიანი კიცხავს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს თანამემამულეებს, რომლებიც მშობლიური ქვეყნის დაცემა-დაქვეითებას შეეჩვივნენ და შეეგუენ. ნაცვლად იმისა, რომ მამა-პაპის კვალობაზე ვიბრძოდეთ თავისუფლებისა და ღირსებისათვის, მდგომარეობას შევეთვისეთ და სასტიკ დამცირებას უხმოდ ვიტანთო, — წერს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი პოეტი.

მავრამ რა ვითხრათ, რა ვიამბოთ? ჩვენს უღონო სულს,  
ჩვენს გაყინულსა, გაქვეითულს და უგრძობელს გულს  
მწარე მოთხრობა წარსულ დროთა არ აცხოველებს,  
გმირთ მამა-პაპათ ბნელი ეტლი არ მოგვეგვრის ცრემლებს!  
ჩვენ არც კი ვიცით, იმ უბედურთ რაც დაგვდეს ვალი,  
ჩვენსა გარეშე ვერას ვხედავთ: ბნელი გვაქვს თვალი...  
ოღონდ მამათგან დაშთომილი მამული ვსჯამოთ,  
და ჩვენთ მოყვასთა, ჩვენთ ნათესავთ-ძმათ ცილი ვწამოთ;  
ოღონდ კი ჩვენთვის მზე ნათობდეს და ცაში ნუ ჰქუხს,  
რა გვენალდება, რაც რომ მოხდა მაშინ სოღანლუხს!..



ვახტანგ ორბელიანის ეს სტრიქონები მკითხველს უნებლიეთ მოაგონებს ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებს პოემა „აჩრდილიდან“.

აქ არვის — დიდსა თუ პატარასა, —  
 ქვეყნის ტყვილით არ სტკივა გული,  
 დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა  
 ლეთად მოუცია მარტო მამული;  
 დაჰვიწყებია, რომ დიდი არი  
 ლეთისა წინაშე იგი ცხოვრება,  
 რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი  
 ქვეყანასავე შეეწირება.

სამშობლო ქვეყნის წინაშე მოვალეობის ასეთ დავიწყებას და ადამიანური თავმოყვარეობისადმი გულგრილობას უჩივის ვ. ორბელიანიც. მოულოდნელი არაა რომ პოეტი, რომელმაც ერთმანეთს შეადარა ძველი და ახალი ივერია ერთი მხრივ, მამულისათვის თავგანწირული ძველი გმირები და ახალი დროის უსახელო ადამიანები მეორე მხრივ, აუტანელ სასოწარკვეთილებაში ვარდება. აწმყო დროის უკუღმართობის შეგრძნება და ძველი საქართველოს აღდგენის უსაზღვრო ნდომა ერთმანეთს ეჭიდება პოეტის შეგნებაში. იგი მწვავე შინაგან წინააღმდეგობას განიცდის, მის არსებაში ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს.

გონება ხელობს, განშმაგებულს აზრი მერევა,  
 სარწმუნოებას გულის ჰმუნვის ძალა ერევა.  
 მაშინ, მოყვასნო, შუა ვარ ვკითხოთ, მითხარით ერთი:  
 ნუთუ მართლა გწამთ, რომ არსებდეს და იყოს ღმერთი?..  
 თუ მან დაგებადა, მან გეცა გრძნობა, ჭკუა და ენა,  
 თუ მან ეს ტყენი, ეს მდღეონი აღმოაცენა;  
 თუ თვის ჰმნილებას საზღვარი და კანონი მისცა,  
 და სული საღმრთო და ცხოველი შთაბერა და სცნა;  
 თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,  
 თუ ნათელი არს და ნათელი ჰეშმარიტების, —  
 მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!

შინაგან გრძნობათა მწვავე ჭიდილისა და ბრძოლის მომენტში მგოსანი ლეთის გმობამდე მიდის, მაგრამ გამოფხიზლებისთანავე იგი გონს მოეგება და შეცოდებისათვის ღმერთს პატიებას სთხოვს. ამ თხოვნაშიც სამშობლოს ბედზე გულგადაგებული ადამიანის ხმა ისმის. იგი თავის სანუკვარ მამულს ავედრებს, უზენაეს ძალას და მის გადარჩენას ეხვეწება:

ღმერთო კეთილო! მომიტევე შენს დაბადებულს,  
 ნუ მკითხავ გამობას გაშმაგებულს, გულგადაგებულს.  
 რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი შედებდა,  
 რა საქართველო დანგრეული მომელანდება;  
 რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევნიც იქნება განჰქრნენ  
 და მათ საბელნი, მათ ხსენებაც აღარსად დარჩნენ...

მწვავე განცდებისაგან გამოფხიზლებული პოეტი ახლა უკვე გონების თვალთ აკვირდება გარემო სინამდვილეს, რათა საბოლოოდ განსაჯოს და შეაფასოს იგი. მომიახლოვდაო, — ამბობს ვ. ორბელიანი, — ის მშვენიერი ასული და მითხრა:

გწამდესო ღვაწლნი მამა-პაპათ არ განჰქრებიან,  
 გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან:  
 მართლმადიდებელთ ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი  
 მოგფენსთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს, და თქვენი ვრი,  
 ქრისტეს ჭვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება,  
 თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება.

ლექსი „იმედი“ რომანტიკული ხასიათისაა. იგი წარსულის გაიღვალებას ახდენს და ამავე დროს იძლევა აწმყოს უარყოფას, მის სასტიკ გამობას. ეს არის ამ ნაწარმოების ძირითადი ნიშანი. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ლექსის დასასრულში მოცემულია რამდენიმე სტრიქონი, რომელიც პოეტის მხრივ ერთგვარი იმედიანობის შთაბეჭდილებას ქმნის. ამ საფუძველს ემყარებოდა კიტა აბაშიძე, რომელიც ვ. ორბელიანს მომავლის იმედით აღჭურვილ პოეტად აღიარებდა. ეს ნიშანი (იმედიანობა) ვახტანგ ორბელიანს სხვა ქართველი რომანტიკოსებისაგან განასხვავებს და ახალი ხანის მათწყებლად წარმოგვიდგენსო, — ამბობდა კ. აბაშიძე. იგივე კრიტიკოსი სხვა ადგილას კიდევ უფრო კატეგორიული ტონით ლაპარაკობს ამ ლექსის გარშემო. იგი გადაჭრით აცხადებს: „ეს „იმედი“ გარდასცა ჩვენმა პოეტმა მის შთამოებას და მის შემდეგ ამ „იმედით“ აღჭურვილი, ძლევა-მოსილის სასოებით აღსავსე პოეტები მხნედ გვარწმუნებენ: „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენიაო“ და „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო“<sup>1</sup>.

კიტა აბაშიძის ეს დებულება რომ გაგვეზიარებინა, იმის აღიარებამდე უნდა მივსულიყავით, თითქოს ილიასა და აკაკის ოპტიმიზმი დავალებული იყოს ვახტანგ ორბელიანის „იმედის“ გავლენისაგან. რასაკვირველია, ეს ასე არაა. ეს ისეთი შეცდომაა კიტა აბაში-

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ებრულები, ტ. I, 1911 წ., გვ. 114.





ძის მიერ დაშვებული, რომ ახლა მის საწინააღმდეგოდ სერიოზული კამათის გაშლა საჭიროც აღარ არის. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა თვით შექმნეს ახალი ლიტერატურული ეპოქა ქართული მწერლობის ისტორიაში და მათ შემოქმედებაზე რომელიმე ერთი ქართველი მწერლის გავლენის შესახებ ლაპარაკი უხერხულიც იქნებოდა. ვახტანგ ორბელიანთან დაკავშირებით შესაძლებელია საკითხი დაისვას მხოლოდ იმის თაობაზე, თუ თვითონ იგი რამდენად უსწორებს ხმას ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ეპოქას, ე. ი. იმედიანობის თვალსაზრისით ავიდა თუ არა იმ ლიტერატურული ეპოქის სიმაღლეზე, რომელშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა? როგორია მომავლის რწმენა ვ. ორბელიანის პოეზიაში და რამდენად მტკიცეა ის იმედი, რომელიც მან ამ ერთ ლექსში გამოთქვა?

ლექსი „იმედი“ ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში ერთადერთი გამონაკლისია, რომელშიც მომავლის იმედზეა ლაპარაკი. მის შემოქმედებაში ჩვენ ვერ ვხვდებით ვერც ერთ ნაწარმოებს, რომელიც „იმედის“ მსგავსი ტონით ჟღერდეს. ამდენად ეს ლექსი ერთგვარ დისონანსს შეიტანდა ვ. ორბელიანის პესიმისტურ შემოქმედებაში, რომ ის მართლაც მომავლის იმედიანობის გამომხატველი ყოფილიყო. ეგრეთწოდებული „იმედი“, რომელიც ამ ნაწარმოებიდან ისმის, წარსულის იდეალიზაციას უფრო გვაგრძნობინებს, ვიდრე მომავლისას. ის უფრო მცირე რამ ნუგეშია მოკლული გულისა, ვიდრე ჭეშმარიტი იმედი მომავლისა.

აკაკი წერეთელმა 1882 წელს ვახტანგ ორბელიანს ლექსი უძღვნა. ამ დროს „იმედი“ უკვე საკმარისად პოპულარული იყო<sup>1</sup>.

აკაკის ლექსი ჩვეულებრივად გულთბილი და დამაჯერებელია. მას მხედველობაში აქვს იმ დროისათვის ცნობილი (გამოქვეყნებული) ვ. ორბელიანის ყველა ნაწარმოები და მათ შორის, რასაკვირველია, ლექსი „იმედიც“. აკაკი ვ. ორბელიანის ლექსებს არ ასახელებს, მაგრამ მისი შემოქმედების საერთო ხასიათს კი ეხება და საინტერესო შეფასებასაც იძლევა. წარმოდგენის სისრულისათვის აუცილებელია აკაკის ამ ლექსს მთლიანად გავეცნოთ.

აკაკი ასე ახასიათებს ვახტანგ ორბელიანს:

ეწვის გული, ანაძგერი  
წარსულისა მოგონებით;

<sup>1</sup> „იმედი“ საბოლოო სახით დაიბეჭდა 1879 წელს ალექსანდრე ორბელიანის ნაწერების წიგნში, ხოლო 1981 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ვახტანგ ორბელიანის ლექსთა კრებული ზაქარია ჭიჭინაძის მიერ.

ფიქრს აღეღებს შავად, ავად,  
 მოშხამულა მწარ-გონებით.  
 ოხრავს, ჰკენესის, მოსთქვამს, ჰგოდებს  
 და იძახის მსგავსად ყუავის,  
 რომ ივერი მისი ძველი  
 მისებურად ველარ ჰყუავის!  
 ზოგჯერ ნაშთთა ძველ დიდების  
 ჯოჯობითად გულს ისახავს,  
 ხან იმედი ლამპარივით  
 უნათებს და ცამდი აჰყავს.  
 ორგვარ გრძნობას ორი აზრი  
 ეჭიდება არეულად:  
 ხან სძლევეს „პო“ და ხან სძლევეს „არა“  
 ვერ იმონებს თუმცა სრულად.  
 ეჰ, მგოსანო, აღმოსავლეთს  
 შეხედე და ნუ იტებ გულს:  
 იქ შენიშნავ ჩვენი ბედის  
 ვარსკვლავს, ოდნავ გამოხატულს.  
 მსგავსად მოგვთა ეც თაყვანი  
 იმ ნიშანსა წინამორბედს  
 და შენც ოქრო-გუნდრუჯ-მურად  
 თავი უძღვენ იმ ჩვენს „იმედს“.  
 შენ თუ გინდა, მის აღდგომას  
 ვერც მოესწრო აწ ვეროდეს,  
 ეს იცოდე, რომ ხელიდან  
 გაუსხლტება ის ეროდეს.  
 ნუ პოეტო! ნუ... ნუ სტირი,  
 ბედის ვარსკვლავს ვხედავთ რაკი!  
 კმარა ცრემლი!.. საქმის დროა!  
 მსხვერპლი გვინდა და ზეარაკი.

აკაკი წერეთლის ეს სტრიქონები უბრალო მიძღვნა როდია თავისი დროის მხატვრული სიტყვის ოსტატისადმი. ამ ლექსში ვ. ორბელიანის პოეტური გზის ერთგვარი შეფასებაცაა მოცემული. აკაკი ხედავს, რომ ორბელიანის პოეზიაში ერთგვარი, თავისებური იმედის ნაპერწკალი არის, მაგრამ იგი უმთავრესად მაინც ძველი ივერიის გლოვას შეიცავს. აკაკი ამბობს, რომ ვ. ორბელიანს „ხან იმედი ლამპარივით უნათებს და ცამდი აჰყავს“. მაგრამ იგი იქვე მიუთითებს, რომ „იმედის“ ავტორი მომავლის საკითხს უფრო ცრემლიანი თვალთ უყურებს, ვიდრე ჭეშმარიტი იმედიანობით. ეს პოეტი უფრო მეტად „ოხრავს, ჰკენესის, მოსთქვამს, ჰგოდებს“.

ასე დაახასიათა აკაკიმ ჩვენი რომანტიკოსი და უნდა ითქვას, რომ იმ დროს, როდესაც ეს ლექსი დაიწერა, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების საერთო ხასიათზე ამაზე მეტის თქმა შეუძლებელიც



იყო. მისი პოეტური მოღვაწეობა ჯერ კიდევ საბოლოო სახით გამოარკვეული არ იყო, იგი კვლავ წერდა.

აკაკი წერეთელმა თავისი ლექსი ვ. ორბელიანისადმი იმით დაამთავრა, რომ მას მეტი გაბედულებისაკენ მოუწოდა. იგი მსცოვან პოეტს თავაზიანად ურჩევდა, რომ მომავლის ბედისადმი უფრო მტკიცე იმედისა ყოფილიყო და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში თავისი პოეტური წვლილი კიდევ უფრო გაეძლიერებინა. „კმარა ცრემლი!.. საქმის დროა! მსხვერპლი გვინდა და ზვარაკიო“, — მიმართავდა მას ა. წერეთელი.

1881 წელს ვ. ორბელიანი სამსახურიდან გამოდის და ამ დროიდან იგი უფრო ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა. ამის შემდეგ იწერება მთელი წყება ვახტანგ ორბელიანის ცნობილი თხზულებებისა. ასეთებია: „სამშობლო ქვეყნის პასუხი“, „ჩმა სამშობლო ქვეყნისა“, „ძველს მეგობარს“, „ირაკლი და კახტა ბელადი“, „ირაკლი და იმისი დრო“, „ნანგრევთა შუა ლამპარი“, „ვის გინახავთ“, „ორი დახატული სახე“, „მთის ქალი და მოგზაური“ და სხვა მრავალი.

ჩამოთვლილი ნაწარმოებები წმინდა რომანტიკულ-პესიმისტური ხასიათისაა. ვერც ერთ მათგანში ვერ ვხვდებით იმ მოტივის განვითარებას, რომელიც ვ. ორბელიანმა ლექსის „იმედის“ დასასრულში მოგვცა. პირიქით, ამ ნაწარმოებებში უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი სწორედ ის მოტივი, რომელსაც აკაკი წერეთელმა ოხვრა, კვნესა, მოთქმა და გოდება უწოდა.

აკაკის ლექსის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ იწერება ვ. ორბელიანის ლექსი „სამშობლო ქვეყნის პასუხი!“ იგი პასუხია ილია ჭავჭავაძის საყოველთაოდ ცნობილი ლექსისა „ჩემო კარგო ქვეყანავ. რაზედ მოგიწყენია.“ ეახტანგ ორბელიანის თხზულებაზე მსჯელობისათვის საჭიროა პირველად თვით ილიას ლექსი მოვიგონოთ. იგი ასეთია:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..

აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,

თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...

მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,

ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

წერილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცებო,

მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,

არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.

მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,

ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,  
 მათი გულთა ფიციარი შენი მტკიცე ზღუდეა...  
 ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!  
 მათ თვის მეყრდით შექმუსრონ მტერთა სიმავრენია,  
 ჩემო კარგო ქვეყანავ, მამ რად მოგიწყენია?

ილია ჭავჭავაძის ეს ლექსი 1872 წელს დაიწერა, ხოლო თერთმეტი წლის შემდეგ, 1883 წელს, ვახტანგ ორბელიანმა თავისი „სამშობლო ქვეყნის პასუხი“ გამოაქვეყნა. ილია ჭავჭავაძის ქვეშაირიტად იმედიან და მებრძოლი ხასიათის სტრიქონებს მან აშკარა გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების გამომხატველი ლექსი დაუპირისპირა. მან თქვა, რომ ის „ტკბილი ლექსები“, რომლითაც ი. ჭავჭავაძე ქართველ ხალხს მიმართავს, მხოლოდ „ტკბილი ჩირია“.

ვახტანგ ორბელიანი სამშობლო ქვეყანას ილიას წინააღმდეგ ასე ალაპარაკებს:

მკითხავ, ჩემო პოეტო: რაზედ მოგიწყენია?  
 ნება მომეც მეც გკითხო: შენ კი მოგიღბენია?  
 მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია!“  
 მაგვგვარი იმედები ჩემს ყურს ზეერი სმენია!  
 თქვენთ პოეტთ ჩემზედ ლექსნი მრავალგვარი ხშირია!  
 მაგრამ მათ ტკბილნი ლექსნი ჩემთვის ტკბილი ჩირია!

ლექსის მომდევნო სტრიქონებში მოცემულია წარსულის რომანტიკული გაიდება. მახვილი განსაკუთრებით გადატანილია იმაზე, რომ ჩვენი მამა-პაპანი სიცოცხლის ფასად იცავდნენ სამშობლო მამულს და ადამიანის კაცურ ღირსებას, ახლა კი ასეთი მამულიშვილები აღარ არიანო. ახალი დროის ადამიანებმაო, — ამბობს ვ. ორბელიანი:—

ზოგთა თავის ქონება ბითურ-ცხრაში წააგვს  
 და თავისი ცოლ-შვილი მშვიერ გლაზად დააგდეს!  
 ზოგთ დავა-დარაბაში დაპლუპეს, რაც ებადათ,  
 რაც ქველ მამა-პაპათგან მათ დარჩენოდათ ბედად!

ამ ლექსში ვახტანგ ორბელიანმა ახალი ეპოქისა და ახალი ადამიანების წინააღმდეგ სამშობლო მიწა აამეტყველა. მშობლიური მიწა იმის გამო ჩივის, რომ მას ახლა ძველებური პატრონი აღარა ჰყავს. ნაცვლად აღრინდელი საქმიანი, მზრუნველი და გულშემატკივარი შვილებისა, ახლა ქვეყანას პატრონობენ ისეთები, რომლებიც „ცხოვრების არცოდნით ვალებში იხრჩობიან“. ქვეყნად გაბატონებულია შური და მტრობა, ძმა ძმას აღარ ინდობს, შვილს მამა ველარ გაუტანია, — აი მიზეზი სამშობლო ქვეყნის გოდებისაო, —



გვეუბნება ჩვენი მგოსანი. უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვებში ახალი და მოულოდნელი არაფერია. ეს ისეთი საყვედურია, როგორც პესიმისტური რომანტიზმის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ახასიათებთ ახალი თაობის ადამიანების მიმართ.

ოდესღაც სიცოცხლისუნარიანი და საქმიანი ფეოდალური კლასი დაცემისა და დაქვეითების გზას დაადგა. მისი ახალი თაობა გამოუვალ ჩიხში მოექცა: ცხოვრებას ალღო ვერ აუღო, შექმნილ საზოგადოებრივ მდგომარეობას თავი ვერ გაართვა და დღითიდღე უფსკრულისაკენ მიექანება. ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილი ქართველი ადგილ-მამულს ვალებში აწინდრებს და ამის გამო იგი თვით ხდება მონა „სხვადასხვა ურიათა“. ამაზე ჩივის და დრტივნავს მშობლიური მიწა:

ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჰერ-ნაჰერ მყიდიან,  
სხვა და სხვა ურიანი ჩემ პატრონად დგებიან,  
ჩემთ დამცველთა ძეთ ძენი მათ მონებად რჩებიან!  
ისინიც არ ვარგანან, თუ ვინმე მათ სჯობიან:  
ცხოვრების არაცოდნით ვალებში იხრჩობიან!

ეს სტრიქონები და საზოგადოდ ამ ლექსის საერთო სულისკვეთება წმინდაწყლის რომანტიკულ-პესიმისტურია. აქ მართლაც მთელი სისრულით არის მოცემული პესიმისტური რომანტიზმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი: შიში და ძრწოლა ძველი, ტრადიციული ცხოვრების ნგრევის გამო.

დასასრულ ვახტანგ ორბელიანმა თავისი პასუხი ილია ჭავჭავაძისადმი ასეთი სტრიქონებით დაამთავრა:

შენ-კი ტკბილის ლექსებით და ნაზად მეუბნები:  
„თქვენის ზრუნვის საგანი მე ვარ და მე ვიქნები!“  
ტკბილის ლექსებიანთების ჩემს გულს აღარ სცალიან:  
ჩემ ბატონად, ბატონად ძუნწნი ჩარჩნი დგებიან.

განა შესაძლებელია, რომ ამ სტრიქონების ავტორის რაიმე იმედინობაზე ვილაპარაკოთ? რასაკვირველია, არა. „სამშობლო ქვეყნის პასუხი“ თავიდან ბოლომდე პესიმისტურია, პოეტის აშკარა უიმედობის გამომხატველი. ამ ლექსით ვახტანგ ორბელიანი არა მარტო საკუთარ გულგატეხილობას ამჟღავნებს, არამედ ამავე თხზულებით იგი გარკვეულ პოლემიკას უმართავს ი. ჭავჭავაძეს, რომელიც თავის სამშობლოს დიად მომავალს, საზოგადოდ, კაცობრიობის უკეთეს მერმისს გაბედულად წინასწარმეტყველებდა.

ამრიგად, იმ დროს, როდესაც იწერება „სამშობლო ქვეყნის სუნი,“ ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში საბოლოოდ გამჭრალია ის მცირედი ნაპერწკალიც, რომელიც „იმედის“ შექმნის მომენტში, ვთქვათ, მას ჰქონდა. მაგრამ ეს მაინც საკითხის ერთი მხარეა. ხომ შესაძლებელია, რომ მწერალი პირველად იმედიანი იყოს, ხოლო შემდეგ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მან ეს იმედი დაკარგოს? დიახ, ასეთი მოვლენა სრულიად მოსალოდნელია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვახტანგ ორბელიანისათვის იმედიანობა, ამ ცნების ნამდვილი მნიშვნელობით, არასოდეს დამახასიათებელი არ ყოფილა. ნამდვილი იმედი მას არასოდეს არ ახასიათებდა და, მასთანადამე, არც დაუქარავს.

ისმის კითხვა: ბოლოს და ბოლოს მაინც რა არის ის იმედი, რომელიც ვ. ორბელიანის ლექსიდან გვესმის? შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს არის პოეტის მისწრაფება ძველი საქართველოს დიდების აღდგენისაკენ, ძველის განახლებისა და არა ახლის შექმნისათვის, მოპოვებისათვის. პესიმისტური რომანტიზმის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელი მისწრაფებაა დაამყარონ ორგანული კავშირი აწმყოსა და წარსულს შორის. მათი აზრით, ახალი შესაძლებელია იყოს მხოლოდ განახლება და განვითარება ძველისა. სწორედ ასეთი მნიშვნელობით უნდა გვესმოუდეს იმედიანობა ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში. სხვაგვარად შეუძლებელია გავიგოთ დედააზრი იმ სტრიქონებისა, რომლითაც ლექსი „იმედი“ მთავრდება:

გწამდესო, ღვაწლი მამა-პაპათ არ განჭრებოიან,

გწამდეს, ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებოიან.

ასეთია პოეტის „იმედი“ და ამით იგი კიდევ უფრო აძლიერებს წარსულთა დროთა, „დიდების დღეთა“ მიმზიდველობას. ეს „იმედიანი“ ძახილი არის ძახილი ჭეშმარიტად პესიმისტი რომანტიკოსისა. იგი მოუხმობს არა ახალს, არამედ განახლებას, მოუწოდებს არა მომავლის შექმნისაკენ, არამედ ძველის აღდგენისაკენ. ესევე გარემოება არის მიზეზი იმისა, რომ თუნდაც იმ მცირე ნუგეშმა, რომელიც „იმედში“ გაისმა, ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში შემდგომი განვითარება ვეღარ იპოვა. იმედიანობა ნამდვილი მნიშვნელობით ვ. ორბელიანის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი არც ერთ პერიოდში არ ყოფილა.

ვახტანგ ორბელიანის ლექსებიდან ჩვეულებრივად ისმის მშობლიური ქვეყნისადმი უსაზღვროდ მოსიყვარულე ავტორის ხმა. მარ-



თალია, აქ არა გვაქვს ბარათაშვილისებური საბრძოლო მოწოდებანი, მაგრამ მისი პოეზია მკითხველში ბუნებრივად იწვევს სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და მისთვის თავდადების კეთილშობილურ გრძნობას. ვახტანგ ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის ისტორიული მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს.

#### IV

ვახტანგ ორბელიანის მხატვრულ შემოქმედებაში გვაქვს ისეთი ნიშნები, რომლებითაც იგი ზედმიწევნით ემსგავსება პესიმისტური რომანტიზმის ტიპურ წარმომადგენლებს. წმინდა რომანტიკული მისტიციზმი, ფანტასტიკა, რაც საზოგადოდ პესიმისტი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელია, ვახტანგ ორბელიანთანაც გარკვევით მოჩანს. მის ზოგიერთ ლექსში ცხოვრებისადმი პესიმისტური დამოკიდებულება უკიდურესობამდე ღრმავდება და პოეტი საიჭიოს აღიარებამდე მიდის.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსი „ვიდეგ შენ წინა“. ამ ლექსით პოეტი საუბარს მართავს გულის სატრფოსთან, რომელიც უკვე ცოცხალი აღარაა. ლექსის დასაწყისში მოცემულია ის მძიმე განცდები, რომლებმაც პოეტი საყვარელ არსებასთან გამოთხოვების დროს შეიპყრო.

ვიდეგ შენ წინა, უგონო, უცრემლო, გაქვავებული,  
გაცივებულსა, გაყინულს ძლივს-ღა მიძგერდა შე გული.

ასე მწვავე იყო განცდები იმ დროს, როცა პოეტი თავის სატრფოს ეთხოვებოდა. ახლა, როდესაც მასთან ოცნებით საუბრობს, პოეტმა იცის, რომ ტრფობის ობიექტი ამქვეყნიური ცხოვრებიდან ხამარადისოდ გადასულია საიჭიო სამყოფელში.

იგი გარდაცვლილ სატრფოს მიმართავს:

ჰკნებოდი, ტურფავ, ვით ვარდი ჰკნდება შვენებით თვის ბუჩქზედ,  
ჰრებოდი, ვითა მთიები ჰრება განთიადს მზის შეუჭზედ.

პოეტი საკუთარი თვალთ ხედავდა ამ მძიმე სურათს და მწვავედაც განიცდიდა, მაგრამ ახლა იგი იმდენად შეგუებულია მდგომარეობას, რომ ამ მოგონებით არც კი დრტვიანავს. პოეტს აქ ერთი საინტერესო მომენტიც შემოაქვს ემოციის გასაძლიერებლად.

იგი ამბობს, რომ შემოდგომაზე დამკენარი ვარდი გაზაფხულზე კვლავ აყვავდება, მზის ამოსვლის გამო ჩამქრალი ვარსკვლავი დამამებისას ისევ გამობრწყინდება, მაგრამ მისი სატრფო არც ვარდია და არც ვარსკვლავი, იგი ადამიანია, ხოლო ადამიანი ხელმეორედ არ იბადება.

დაქენდება ვარდი, მაგრამ კვლავ გაზაფხულს გაიფურჩენება:  
 განქრა ვარსკვლავი, მაგრამ კვლავ საღამოს გამობრწყინდება.  
 შენ ველარ მოხვალ, სატრფოო ვერ გაგვინათებ ბნელს არც  
 შენ ველარ გაიფურჩენები: მიხვალ უწყალო სამარცს.  
 რა გაიფურჩენე, მსწრაფლ დაქენდი, ყვაეოდი მხოლოდ ერთსა წამს,  
 განქერ; ამ სოფელს ვეროდეს შენ ჩემი თვალი ვერ გნახავს!

ღიახ, პოეტმა ძალიან კარგად იცის, რომ თავის სატრფოს ამ ქვეყანაზე თვალთ ველარ იხილავს, მაგრამ იგი მაინც იმედოვნებს, რომ არის ადგილი, სადაც ის კვლავ შეეყრება თავის გულის საყვარელს და შეეყრება სამუდამოდ. სად არის ეს სამუდამო შეერთების ადგილი? ეს ადგილი არის საიქიო. მართალია, საიქიო ცხოვრება განსხვავდება ამქვეყნიურისაგან, მაგრამ სწორედ ის არის სამარადისო. იქ არც მნათობები ანათებენ, არც დღე-ღამის თვლავ, მაგრამ არც სიკვდილი არსებობს. იქაური ცხოვრება მთლიანად უკვდავებით არის მოსილი. იქ, საიქიოში, ღვთაებრივი ნათელი მნათობს, სიყვარული წმინდა ღვთიური ალით ეგზნება და ცხოვრებას სრულყოფილი სახე აქვს. ასე მსჯელობს ჩვენი რომანტიკოსი.

ვახტანგ ორბელიანი საიქიო ცხოვრებას ამქვეყნიურზე მაღლა აყენებს ისევე, როგორც ამას აღიარებდა მრავალი პესიმიტი რომანტიკოსი. მათი გაგებით, ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ იმდენად არის აუცილებელი და დასაფასებელი, რამდენადაც იგი გზაა იმქვეყნიურისაკენ. ვახტანგ ორბელიანიც საიქიოს აღიარებს როგორც აუცილებელ გაგრძელებას სააქაო ცხოვრებისას. იქ შევხვდებითო ერთმანეთს, — მიმართავს ჩვენი რომანტიკოსი თავის სატრფოს, — და იქაურმა სამარადისო ცხოვრებამ შესაძლებელია ის ვაი-ვაგლახიც დაგვაფიწყოს, რაც ამქვეყნიურ ყოფაში განვიცადეთო.

იგი თავის გულის სატრფოს ასე მიმართავს:

მაგრამ, იქნება, იქ გნახო, სადაც არ არის სიკვდილი,  
 სადაც რაცა არს, ყველა არს უკვდავებითა მოსილი;  
 სადაც არ არის არც ფაში, არც დღე, არც ღამე არ არის  
 სადაც მნათობთ წილ მარადის მნათობს ნათელი ღვთაების,



სად სიყვარული წმინდა არს და წმინდის ალით ეგზნება  
 სად საუკუნო ცხოვრებას აქვს ღვთაებრივი სრულება:  
 გნახო, იქ გნახო, იქნება, გიშვრდებ ტურფას და ნათელს:  
 რაც აქ ვიტანჯე, იქნება, აღარ მახსოვდეს იმ სოფელს.

მოყვანილი სტრიქონებიდან აშკარად იგრძნობა ვ. ორბელიანის შეხედულება ცხოვრებაზე. ამქვეყნიურ სინამდვილეზე გულგატეხილობამ ჩვენი პოეტი საიქიოს აღიარებამდე მიიყვანა. პესიმიზტური რომანტიზმის ეს დამახასიათებელი ნიშანი ქართველ რომანტიკოსებს შორის ყველაზე ძლიერად ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში გამოვლინდა. ამ მხრივ მას მხოლოდ მიხეილ თუმანიშვილი ემსგავსება.

## V

ვახტანგ ორბელიანის ლირიკაში გარკვეული ადგილი აქვს დამობილი ბუნების განცდას. მართალია, მას არა აქვს ბუნებისადმი ის რთული ფილოსოფიური მიდგომა, რაც გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრულ შემოქმედებაშია, მაგრამ ეს საკითხი მაინც გარკვეულ ინტერესს იწვევს ვ. ორბელიანის პოეზიის სისრულით გათვალისწინებისათვის. ჩვენი მგოსნისათვის დამახასიათებელია ის თავისებურება, რომ მის პოეზიაში ბუნების განცდა თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენებთან. ეს ფაქტი შემთხვევითი კი არაა, არამედ პოეტის საერთო შეგნებიდან გამომდის.

მართალი იყო კიტა აბაშიძე, როდესაც წერდა:

„ამ შემთხვევაშიაც კი პოეტისათვის იმდენად ბუნების გარეგან სიმშვენიერესა და სილამაზეს არა აქვს მნიშვნელობა, როგორც მის ისტორიულს მნიშვნელობას. ბუნების სურათი, რა გინდ უზადრუკი იყოს, მაინც იზიდავს პოეტის ყურადღებას, თუ კი იგი „დიადის წარსულის“ მომავალს ეძიებს, ამ წარსულის შესახებ სევდისა და დარდის ამშლელი“<sup>1</sup>.

კიტა აბაშიძეს თავისი დებულების ნათელსაყოფად მოყვანილი აქვს ერთი ნაწყვეტი ვ. ორბელიანის ცნობილი ლექსიდან „ძველი დმანისი“. მართლაც, ამ ლექსში მგოსნის მიერ შექმნილია ის ადგილი, რომელიც მისივე სიტყვით: არის უნაყოფოდ აღმართული

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 111.

„სალი ფრიალო“, რომელზედაც არც გუთნის კვალი გაივლება, რომ ნაყოფი მიიღო და არც მწვანე მღვლოთია მოხავერდებული.

მამა-პაპათგან ხედრად შემხვდა დმანისი ძველი.  
დმანისო ძველო, აბა მითხარ, შენგან რას ველი?  
სალა ფრიალო, უნაყოფო ხარ აღმართული,  
მწვანე მღვლოთი, მწვანე ტყითა არ ხარ მორთული;  
შენს სალა გვერდზედ ვერ გავაღვლებ გუთნითა კვალსა,  
წყარო მცინარით არ ახარებ პატრონის თვალსა;  
ვახს არ ახარებ, რომ რთველითა გული ეიხარო,  
რომ შენის ღვინით გულის ქმენვა, სეგდა ვიქარო;  
დარღვეულს გზაზედ შენზედ ასვლას კაცი ძლივს პვედავს  
მაშა ღვთის თვალსა შენზედ მაღლით არ მოუხედავს.

ისმის კითხვა: მაშ რაღა იზიდავს პოეტს ძველი დმანისისაკენ? რისთვის ხდება, რომ იგი ამ ნანგრევებისაკენ ისწრაფვის, მუხლ-მოდრეკით მიესალმება და მათი დიდხანს ყურება სწადია? ეს ასე ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ დმანისი ძველია და დარღვეული. მგოსანს დმანისისაკენ იზიდავს ის, რომ იგი სიძველეთა გადმონაშთია და „მამა-პაპათ ისტორიის წმიდა რვეულნი“.

მაგრამ ეგ ციხე, შენს ვრცელს ქედზედ მორტყმული გარე,  
მაგრამ ეგ კოშენი, ეგ ტაძარი და მამათ არე,  
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,  
ჩემთ მამა-პაპათ ისტორიის წმიდა რვეულნი?!

ეს არის ის ანდამატი, რომელიც ჩვენს პოეტს ძველი დმანისისაკენ იზიდავს.

ვახტანგ ორბელიანი ლექსში „პოეტს“ მგოსანის მოვალეობად თვლის დაგვიხატოს „დიდებული ბუნება, იმის დიდი მრავალგვარი შევნება“; გვაგრძნობინოს მისი ყველა მხარე: მოკაშკაშე მზის სხივებზე მიძინებული ზღვის ტალღები, მნათობებით გაბრწყინებული ცის კამარა და ისიც: „ან გრგვინავდეს ელვითა და ქუხილითა“. ერთი სიტყვით, პოეტმა უნდა განგვაცდევინოსო ბუნება მთელი თავისი სისრულით.

დაგვანახვე ველნი, ბორცვი და მთანი;  
მაღლა ზეცა, ქვეშ ზღვა განუსაზღვრელი;  
მთლად ბუნება, დიდი გასაკვირველი.  
ველნი, ბორცვი ტურფად იფურჩინებოდნენ.

დაგვანახვე დიდებული ბუნება,  
იმის დიდი მრავალგვარი შევნება.



ვახტანგ ორბელიანი მართლაც წარმტაცი პოეტური სახეებით განაცდევინებს მკითხველს ჩვენი ქვეყნის მომხიბვლელ ბუნებას. ამ ლექსებში ისევ პოეტის სათაყვანებელი საქართველო იხატება: მრავალტანჯული ივერიის „მთანი და ბორცვნი“, იმისი ფერმიხდილი, მაგრამ მაინც წარმტაცი ბუნებაა პოეტურად ამეტყველებული. მივიწყებული კოლხიდა, ტურფად გადაშლილი ქუთაისი და საოცნებო მშვენიებით შემკობილი კახეთი არის მისი ლექსების საგანი.

საქართველოს წარმტაც ბუნებას ბევრი დიდი პოეტის ჩანგი აუყვდრებია. ამ ბუნებით მოხიბლული იყო პუშკინი, ლერმონტოვი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, წერეთელი, ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. მათ მრავალი პოეტური მარგალიტი უძღვნეს საქართველოს ბუნებას. მხატვრული სიტყვის ამ შესანიშნავი ოსტატების თხზულებათა გვერდით ვახტანგ ორბელიანის რამდენიმე ლექსიც შესაძლებელია დავასახელოთ. ჩვენს პოეტს განსაკუთრებით ემარჯვება აღწერა ბუნებისა.

ვის გინახავთ ქვეყანა მშვენიერი? — კითხულობს პოეტი და შემდეგ იგი თვითონვე აგვიწერს ამ მშვენიერ ქვეყანას. ვახტანგ ორბელიანის მიერ საქართველო თავისი წარმტაცი ბუნებით ზღაპრულ ედემთან არის შედარებული. აქაო, — ამბობს მგოსანი, — ბუნება, ზამთარ-ზაფხულ ყვავილობს. აქ ყვავილი სიტურფით ვარდს ეჯიბრება და ისინი ერთად „ზამთარშიაც, ვით ზაფხულში, შვენიან“. ბუნების სიდიადეს თავისი კეთილმყოფელი გავლენა ადამიანებზედაც მოუხდენია: აქაურ ქალებთან შეჯიბრებაში თვით ულამაზესი ვარდიც დაბნელებაო, — ამბობს ვ. ორბელიანი.

ვის გინახავთ ქვეყანა მშვენიერი,  
სადაც მთანი შემკობილან დაფნითა,  
სადაც ჰყვავის ათას ფრად როდოდენდრი,  
ბულბულთ სტყენა ისმის ზაფხულ-ზამთრითა?  
მისკენ გული მიმწევს, მიეშურება!  
ვის გინახავთ მხარე-მშვენიერება?  
ვის გინახავთ ქვეყანა ყვავილების,  
სულწლებით დამტკბარის ნიავისა,  
ზურმუხტ ჭალაკთ, ქარვა-ხუთო მტეენების,  
ნებიერი კიდე უსაზღვრო ზღვისა?..

ვახტანგ ორბელიანის ლექსებში განსაკუთრებით ხშირად იხსენიება კახეთი. იგი ქება-დიდებათ ამკობს კახელების გმირულ თავდადებას რჯულისა და მამულისათვის. ეს კუთხე ნამუსიანად იცავდაო სამშობლოს და ადამიანის პატიოსნებას. ამიტომაც ჩვენი პოე-

ტი კახეთის პატივისმცემელია უსაზღვროდ. ეს ერთი. შემდგომ. ვახტანგ ორბელიანს უყვარს კახეთი, როგორც სახელოვანი მეფის ერეკლე მეორის სამშობლო. ერეკლეს თავდადებულმა ბრძოლებმა ქართველი ხალხის გამირობის სახელი მთელ მსოფლიოში გასტყორცნა: „ჩვენ ალტაცებით შემოგვცქეროდაო მთელი ქრისტიანული სამყარო („ირაკლი და იმისი დრო“). ერეკლეს გმირული ბრძოლების დროს კახელები ყოველთვის მასთან იყვნენ. რაღა საკვირველია, რომ პოეტი უკეთეს სიტყვებს არ ზოგავს ამ ადამიანების საქებრად.

დასასრულ ვახტანგ ორბელიანს იზიდავს კახეთის ბუნება ისე, როგორც იზიდავდა იგი სხვა პოეტებს. კახეთი თავისი წარმტაცი ბუნებით ხიბლავდა და ხიბლავს ყველა მნახველს — ქართველსა თუ უცხოელს. კახეთით მოჯადოებული გერმანელი მწერალი არტურ ლიუსტი პირდაპირ ამბობდა: ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან კახეთში მზის ამოსვლას უნდა უყუროსო.

კახეთის ამ წარმტაცი ბუნებისადმი მიძღვნილი ვახტანგ ორბელიანის ლექსები „კახეთს“, „კიდევ კახეთს“ და სხვ.

ლექსში „კახეთს“ ბუნება დასახულია როგორც სასოება ცხოვრებაზე გულგატეხილი ადამიანისა. ამ შემთხვევაში ვახტანგ ორბელიანის მიერ, მსგავსად ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ბუნება წარმოდგენილია როგორც „გულდახურულთა მეგობარი“.

ვახტანგ ორბელიანი ამბობს, რომ ადამიანი,

ვინც სოფლისაგან და ბედისგან არს დაჩაგრული,  
 დღენი კეთილნი ამ სოფელში ვინც ვერა ნახა,  
 ვისიც ამ ქვეყნის შვენებისთვის აღარ სძვერს გული,  
 ვინცა სიცოცხლე უვარგისად და ცრულ დასახა,  
 ვისაც მაღალი აღარ ესმის ბუნების ენა.

ასეთმა ადამიანმა მე მომცესო ხელი და „იმის გული სიცოცხლისათვის კვლავ გაიღვიძებს“. რით შეძლებს პოეტი, რომ ერთხელ მკვდარი გული კვლავ გააცოცხლოს? ამის ძალას იგი ბუნებაში ხედავს. მე ასეთ ადამიანს ავიყვანო, — ამბობს პოეტი, — „მთასა მაღალსა“, იქიდან თვალწინ გადაეშული ბუნების სანახაობას და მისი გული კვლავ გააცოცხლდებო:

შეხედოს, ნახოს მის მდიდარი, ტურფა შვენება,  
 და მისი გული სიცოცხლისთვის კვლავ გაიშლება!

ვახტანგ ორბელიანის ამ ლექსებში ბუნებაზე გამოთქმულია იგივე აზრი და იგივე გაგება, რაც დამახასიათებელია ყველა რომან-

ტიკოსისათვის. ამ მხრივ მას რაიმე სიახლე არ მოუცია. მან მხოლოდ ბუნების ეს საზოგადოდ დიადი ძალა კონკრეტულად კახეთის ბუნებას დაუკავშირა და ინატრა, რომ კვლავ და კვლავ ენახა ეს გამაცოცხლებელი მთა და ჭალაკი.

როდის მელირსოს, მშვენიერო, ჩვენო კახეთო,  
 მწვანით მოსილის გომბორის მთით კვლავ გადმოგხედო;  
 შენის შვენებით, შენის მზერით გავიძლო თვალი,  
 შენს სადღეგრძელოდ შენ-წინ შევსვა საესე ფიალი!

მეორე ლექსში „კიდევ კახეთს“ მგოსანი ბედს უჩივის იმის გამო, რომ საყვარელ კუთხეს ხშირად ვეღარ ნახულობს. არ მელირსაო გომბორის მთიდან კვლავ გადმოგხედო, აღარ მესმისო კახელების „მრავალყამიერ“, აღარ მელირსა კვალად ვნახო მშვენიერი შენი ასულნი, — ამბობს მგრძობიარე პოეტი. დასასრულ ვახტანგ ორბელიანი ამბობს, რომ იგი, მართალია, უშუალოდ ვერ ტკბება კახეთის თვალწარმტაცი მინდორ-ველები ნახვით, მაგრამ ოცნებით იგი მაინც კახეთშია და გომბორის ზურმუხტი მთიდან ალაზნის ტბილ ბიბინს ისმენს:

კახეთო, გული შენკენ იწვევს და შენთან არის,  
 შორსა ვარ, მაგრამ გულს ალაზნის ბიბინი ესმის;  
 ვზივარ ფიქრითა გომბორისა ზურმუხტის მთაზედ  
 და თვალი ხარობს შენს მშვენიერს გაფურჩხილ ველზედ:  
 ვსვამ შენთ ვაზთ ნექტარს და ვლიღინებ: „იყავ ბედნიერ,  
 იყავ ბედნიერ, იღღეგრძელე მრავალ ეამიერ!“

კახეთისადმი მიძღვნილი გულთბილი სტრიქონები ვახტანგ ორბელიანმა მოხდენილად ჩააქსოვა თავის ცნობილ თხზულებაში „ირაკლი და კონტა ბელადი“. აქ უკვე პოეტმა თავის საყვარელ კუთხეს მთელი ივერიის თვალი უწოდა, თვითონაც კახეთის მგოსნის სახელი დაირქვა და ანდერძად დატოვა კახეთის მიწას მიმბარებთო სიკვდილის შემდეგ.

შვენებით საესეთ კახთ ასულთ, იქნება, მითხრან შენდობა,  
 სოქვან: „ამა სოფელს უნდობელს მას სწამდა ძმობა, ერთობა,  
 კახეთის იყო მგოსანი, ჩვენს შვენებასა იმღერდა...“

უყვარდა ჩვენი კახეთი, როგორც ბავშვს უყვარს დედაო,  
 თუ რომ შეგვეცოდა, ნუ ჰკითხავ, ღმერთო, კაცო გულთამხედავო!“

ასე უყვარდა ვახტანგ ორბელიანს კახეთი და რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ბუნების განცდა მან კონკრეტულად ამ კუთხის წარმტაც ბუნებას დაუკავშირა.

ვახტანგ ორბელიანის პოეზია ქართული რომანტიზმის კლასიკური და ძლიერი გამოძახილია. როგორც თემატიკურად, ისე ფან-რობრივად ვ. ორბელიანი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეპოქაშიც ქართული პატრიოტული რომანტიზმის მესიტყვედ რჩება.

---

## დავით მაჩაბელი

### I

დავით მაჩაბელი სამწერლო ასპარეზზე მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოვიდა. იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. მოლოდინი, შესაძლებელია, მთლიანად ვერ გამართლდა, მაგრამ ამ გარემოებასაც თავისი ამხსნელი მიზეზები მოეპოვება. ეს მიზეზები მოცემულია, ერთი მხრივ, იმ საზოგადოებრივ პირობებში, რომელნიც პოეტის ცხოვრების ეპოქას ახასიათებს და მეორე მხრივ—მის პირად მდგომარეობაში. დავით მაჩაბლის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მან სოცოხლის უმეტესი ნაწილი პროვინციაში გაატარა და იქიდან მხოლოდ დროგამოშვებით გზავნიდა და აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს.

საყურადღებოა გაზეთ „დროების“ სამგლოვიარო განცხადება, რომელიც 1873 წელს, დავით მაჩაბლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. გაზეთი წერდა: „გარდაიცვალა ერთი უჩინარი ქართველი მოშიირე, 60 წლის მოხუცი, თავადი დავით ბარძიშის ძე მაჩაბელი, რომელიც ავაზაკებს მოუტლავთ. განსვენებული ბეჭდავდა ლექსებს „ცისკარში“, ლექსები ზოგიერთნი სწორედ მოსაწონნი არიან და გვაჩვენებენ, რომ თავადი დავით პოეტური გრძნობით ნიჭებული ყოფილა“<sup>1</sup>.

„დროებამ“ დავით მაჩაბელს უჩინარი მოშიირე უწოდა, მაგრამ ზოგიერთი ლექსის მაგალითზე გაზეთი იქვე მიუთითებდა, რომ ეს კაცი „პოეტური გრძნობით ნიჭებული ყოფილა“. შესაძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ დავით მაჩაბელი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული თაობის ერთი მეტად საინტერესო და დამახასიათებელი ფიგურაა. იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1873 წ., № 44.

სკოლის ამხანაგია, მისი უახლოესი მეგობარი და ნიჭიერი თანამო-  
კალმე. დავით მაჩაბლის პირადი ცხოვრებისა და ლიტერატურული  
საქმიანობის შესწავლა საგრძნობლად აფართოებს მკითხველის წარ-  
მოდგენას მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს  
საზოგადოებრივ და კულტურულ მდგომარეობაზე.

დავით მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარშემო ცნობე-  
ბი მეტად მცირეა. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობისაა ორი  
მთავარი წყარო: ერთი ეს არის 1832 წლის შეთქმულების მონაწი-  
ლეთა ჩვენებები და მეორე — პოეტის პირადი მეგობრის იოსებ  
ელიოზიშვილის მიერ გულთბილად დაწერილი ნეკროლოგი, რომე-  
ლიც 1873 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა<sup>1</sup>.

დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი დაიბადა 1814 წელს სოფელ თა-  
მარაშენში. მამა პოეტისა გავლენიანი მემამულე იყო. მომავალმა  
მწერალმა პირველდაწყებითი სწავლა თავისსავე ოჯახში მიიღო,  
ხოლო შემდეგ იგი თბილისის გიმნაზიაში მიიბარეს. იმავე პერი-  
ოდში თბილისის გიმნაზიაში სწავლობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვი-  
ლი და მიხეილ თუმანიშვილი. დავით მაჩაბელი ახლო მეგობარი იყო  
როგორც ბარათაშვილის, ისე თუმანიშვილისა.

არსებული მასალების მიხედვით დ. მაჩაბელი ერთ-ერთი მოწი-  
ნავე ახალგაზრდაა გიმნაზიის მოსწავლეთა შორის. იგი აქტიური მო-  
ნაწილეა იმ ცხოველმყოფელი საწრეო მუშაობისა, რომელიც თბი-  
ლისის გიმნაზიაში წარმოებდა. დავით მაჩაბელი ერთადერთი გიმნა-  
ზიელია, რომელიც სხვა მოსწავლეებისაგან განსხვავებით, ახლოს  
იდგა 1832 წლის შეთქმულებასთან. მართალია, მას რაიმე კონკრე-  
ტული სასჯელი არ მიუღია შეთქმულებაში მონაწილეობის გამო,  
მაგრამ ამ მოძრაობის ისტორიაში იგი თავის კვალს უდავოდ ტო-  
ვებს.

დავით მაჩაბელი შეთქმულებასთან კავშირში უმთავრესად თა-  
ვისი პოეტური შემოქმედებით მოჩანს. შეუძლებელია განსაკუთრე-  
ბულ ინტერესს არ იწვევდეს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ყრმა  
პოეტის ლექსებს შეთქმულები თავიანთ არალეგალურ კრებებზე  
კითხულობდნენ. ამას აკეთებდა თვით ისეთი პიროვნება, როგორიც  
სოლომონ დოდაშვილი იყო. დოდაშვილი თავის ჩვენებაში საგა-  
მომძიებლო კომისიის მიმართ არა ერთხელ იხსენიებს დავით მაჩა-  
ბელს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას. დოდაშვილი ამბობს, რომ  
იგი ცდილობდა შეეგროვებინა სახსრები, რათა დავით მაჩაბელი

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1873 წ., № 9.





უმაღლესი განათლების მისაღებად რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გაეგზავნათ.

სოლომონ დოდაშვილი ერთ ჩვენებაში ამბობს: „მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვებია შემოწირულება და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და დავხმარებოდით გიმნაზიის ლარებ მოსწავლეებს. წავიკითხე ქართულად დაწერილი ლექსები და სხვა თხზულებები მოწაფე მაჩაბელოვისა და ვთხოვე იმ თავადებს, ეგების როგორმე იმდენი მოგვეგროვებია, რომ უნივერსიტეტში გაგვეგზავნა. ისინი ყველანი დამეთანხმნენ“<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილი დავით მაჩაბლის საკითხს კვლავ უბრუნდება თავის მორიგ ჩვენებაში და აქაც იგრძნობა ის მზრუნველი დამოკიდებულება, რომელსაც ჭაბუკი პოეტის მიმართ ს. დოდაშვილი და მისი წყალობით დანარჩენი შეთქმულებიც იჩენდნენ. იგი გადმოგვცემს: „ვანშაში ჩემს ბინაზე გაიმართა. ჩვენ იქ წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბლის თხზულებანი და ვმსჯელობდით, ვამბობდით შეგვედგინა საზოგადოება, გამოგველო ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა, ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია“<sup>2</sup>.

დავით მაჩაბელი, გარდა იმისა, რომ შეთქმულები მის ლექსებს კრებებზე კითხულობდნენ, თავისი პირადი მონაწილეობითაც ჩანს შეთქმულებაში. მღვდელი ეფრემ ალექსიშვილი თავის ჩვენებაში ორჯერ იხსენიებს მოწაფე მაჩაბელს, როგორც გარკვეული როლის შემსრულებელს შეთქმულთა საქმიანობაში. მართალია, დავალებები, რომელთაც დავით მაჩაბელი ასრულებდა, მარტივი ხასიათისა იყო, მაგრამ ეს ფაქტი მაინც ცხადყოფს, რომ იგი შეთქმულთა საქმეებს ნაზიარები ყოფილა.

ეფრემ ალექსიშვილი ამბობს: „1832 წლის ვჰგონებ სეკდემბერში მოსულიყო უფალი დოდაევი ჩემთან მაშინ, როდესაც მე არ ვიყავ შინ და დავედო ქართული პროპისები და ეთქვა თბილისის ღიმნაზიის მოწაფეთა დავით მაჩაბლისა და ჩემის შვილის ალექსისათვის უთხარით მოძღვარსა დირექტორმა სთხოვა ეს დედნები გარდასწეროს კარგს ხელზედ, უნდა დავაბეჭდვინოთ ღიმნაზიის მოწაფეთათვის. მე, მოველ რა შინ, მითხრეს ხსენებულთა მოწაფეთა ესე ამბავი“<sup>3</sup>.

1 გ. გოხალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., გვ. 140.

2 იქვე, გვ. 177.

3 იქვე, გვ. 291.



იგივე ეფრემ ალექსიშვილი კვლავ იხსენიებს დავით მაჩაბელს ანალოგიური საქმის შესრულებაში, რომელიც ისევ სოლომონ დოდაშვილის დავალებით მომხდარა.

დავით მაჩაბელს ეხება აგრეთვე დიმიტრი ყიფიანი თავის მოგონებებში. დიმიტრი ყიფიანს, სხვათა შორის, გადმოცემული აქვს ისტორია ერთი ვახშმისა, რომელზედაც იგი შეთქმულებმა მიიპატიყეს. ვახშამზე შეკრებილთა შორის ალექსანდრე ორბელიანთან, ვახტანგ ორბელიანთან და გიორგი ერისთავთან ერთად, ყიფიანი დავით მაჩაბელსაც იხსენიებს. დიმიტრი ყიფიანი წერს:

„დეკემბრის პირველ რიცხვებში თუ ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, ერთი სიტყვით, დეკემბრის მარხვის პირველ კვირაში, ავთანდილოვი მართავს ვახშამს, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი 1-ლი, მე. სიძე ავთანდილოვისა გამაზოვი და ვილაც გიმნაზიის მოწაფე თავადი დავით მაჩაბელი“<sup>1</sup>.

განხილული მასალები საკმაო წარმოდგენას იძლევიან იმის თაობაზე, თუ რა კავშირი უნდა ჰქონოდა დავით მაჩაბელს 1832 წლის შეთქმულებასთან. რაც შეეხება მის შედარებით უმნიშვნელო დანაშაულს ოფიციალური ხელისუფლების წინაშე, ეს მისივე მცირეწლოვანებით უნდა აიხსნას. ალბათ, თვით შეთქმულნიც ერიდებოდნენ მისთვის სახიფათო დავალებათა მიცემას, რომ ამით ნიჭიერი ახალგაზრდა მოსალოდნელ სასჯელს აეცდინათ და ასეც მოხდა.

შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ დავით მაჩაბელმა გაიზიარა ბედი იმ ახალგაზრდობისა, რომელიც გიმნაზიაში დარჩა. მაგრამ არსებული პოლიტიკური რეჟიმით უკმაყოფილო იყო და ამ უკმაყოფილებას ზოგჯერ აშკარადაც გამოხატავდა. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ სასკოლო ყურნალის („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“) და ხელნაწერი ანთოლოგიის გამოცემა. ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი, ნიკოლოზ ბარათაშვილთან და მიხეილ თუმანიშვილთან ერთად, დავით მაჩაბელიც იყო. დავით მაჩაბელს ამ საქმეში სხვებზე მეტიც უნდა გაეკეთებინა. თუ ნ. ბარათაშვილი და მ. თუმანიშვილი ჯერ კიდევ უცნობი ავტორები იყვნენ, დავით მაჩაბელს ერთგვარი ლიტერატურული სახელი უკვე მოხვეჭილი ჰქონდა. ჯერ ერთი, როგორც ვიცით, მის ლექსებს კრებებზე კითხულობდნენ შეთქმულები და, გარდა ამისა, 1832 წელს „თბილისის უწყებების“ ლიტერატურულ დამატებაში

<sup>1</sup> დ. ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 138.



დაიბეჭდა მისი ლექსი „თოვლი“. თხზულება პირდაპირი გამოქვეყნებისაა და დესპოტიზმისა და კაცთმოძულეობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეებისა. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი შინაარსის ნაწარმოებები ხელს უწყობდა მისი ავტორის გარკვეულ პოპულარობას მკითხველთა შორის.

დავით მაჩაბლის ერთგვარი ხელმძღვანელი როლი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მიხეილ თუმანიშვილის მიმართ მისი ასაკობრივი მდგომარეობითაც აიხსნება: იგი მათზე 3-4 წლით უფროსი იყო. ზაქარია ჭიჭინაძე პირდაპირ ამბობს: დ. მაჩაბელი დიდ გავლენას ახდენდა ბარათაშვილზე. ჭიჭინაძე წერს: „სკოლაში ყოფნის დროს ბარათაშვილზე ერთობ დიდი გავლენა ჰქონდა დავით მაჩაბელს. ეს დავით მაჩაბელი იყო მის მასწავლებლათაცო... ამ დავით მაჩაბელთან ხშირად დადიოდა ნიკოლოზი და თავის ლექსებსაც უკითხავდა ხოლმეო“<sup>1</sup>.

მოყვანილი ამონაწერი საინტერესო მასალას იძლევა დ. მაჩაბლის პიროვნებაზე, მით უმეტეს, რომ ცნობა ეკუთვნის ბარათაშვილის რომელიღაც თანამედროვეს და ჭიჭინაძეს მისგან (თანამედროვისაგან) გადმოაქვს, როგორც საზოგადოდ მას სჩვევია ხოლმე. მართალია, დავით მაჩაბელი ბარათაშვილის მასწავლებელი ვერ იქნებოდა, მაგრამ, როდესაც სხვა მასალებთან ერთად ამ ცნობასაც ანგარიშს ვუწვეთ, აშკარა ხდება, რომ მაჩაბელი გიმნაზიელთა შორის ავტორიტეტით სარგებლობდა და მოსწავლე ახალგაზრდობაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა. ასეთი გავლენა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მიხეილ თუმანიშვილის მიმართ, გიმნაზიელობის პერიოდში, სრულიად მოსალოდნელია და ეს გარემოება მათს ლიტერატურულ სახელსა და დიდებას არავითარ ჩრდილს არ აყენებს.

1834 წელს დავით მაჩაბელმა გიმნაზიის კურსი დაასრულა და სამსახური დაიწყო თბილისის მთავარმართებლობაში უბრალო მოხელედ. ამის შემდეგ იგი სამხედრო სამსახურში გადავიდა. საფიქრებელია, რომ ამ დარგში მას ერთგვარი წარმატება მოელოდა. ყოველ შემთხვევაში, იგი პოდპორუჩიკი გახდა და სტანისლავის ნიშანიც მიიღო. სწორედ ამ დროს დ. მაჩაბლის მამა გარდაიცვალა და პოეტი იძულებული შეიქნა მშობლიურ სოფელს დაბრუნებოდა, რათა მამა-პაპის ადგილ-მამულს დაპატრონებოდა. 1839 წლიდან მან მთელი ცხოვრება სოფელ თამარაშენში გაატარა და მხოლოდ დროგამოშვებით ესტუმრებოდა თბილისს, ხან კიდევ ქუთაისს.

<sup>1</sup> ზ. ჭიჭინაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1885 წ., გვ. 29.

დავით მაჩაბელმა ცოლად შეირთო ელისაბედ წერეთელი. შვილი იმერელი თავადის სვიმონ წერეთლისა. მაჩაბლის ცხოვრება ოჯახში რაღაც თავისებურად, უცნაურად მოეწყო. სვიმონ წერეთელი თავის ქალს თვალიდან ვერ იშორებდა, დავით მაჩაბელი კი თამარაშენში ცხოვრობდა. ჩქარა შვილიც გაუჩნდა, მაგრამ იგი მაინც თავის სოფელში იყო. ხოლო ცოლ-შვილი — იმერეთში. შვილი პოეტისა აბესალომ დავითის ძე მაჩაბელი ქუთაისში აღიზარდა, იქ მიიღო სწავლა-განათლება და იქვე მსახურობდა.

აბესალომ მაჩაბელი ცნობილი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი დაახლოებული ყოფილა ჩვენს ცნობილ მწერლებთან — ივანე კერესელიძესთან, აკაკი წერეთელთან, ანტონ ფურცელაძესთან და სხვებთან. აბესალომი თვითონაც წერდა ლექსებს. მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში იგი ჟურნალ „ცისკარში“ თანამშრომლობდა. დავით მაჩაბელი თამარაშენიდან უგზავნიდა თავის ლექსებს ივანე კერესელიძეს, ხოლო აბესალომი — ქუთაისიდან.

დავით მაჩაბლის ადამიანურ თვისებათა გამო მისი მეგობარი იოსებ ელიოზიშვილი მოგვითხრობს, რომ პოეტს „ჰქონდა დიდ-კაცური მიმღეობა, გაცემ-გამოცემა, სიუხვე-სიმრავლე, იმისი ხელი არ დასცხრებოდა ქვრივ-ობოლთა, სამღვდელოებათა, საწყალთა, უქონელთა და გაჭირვებულთა ძლეკითა. გაჭირვებულის შემწეობისთვის თვითცა შეიჭირვებოდა და ნუგეშიერის სიტყვითა და საჩუქრითა მწუხარებას განუქარვებდა. იყო ამასთანავე მშვიდი, წყნარი, სამაგალითო კეთილი და კეთილის მოქმედი, ავი საქმისაგან განშორებული, ვადამეტებული ღვთისმოყვარე, დილასა და საღამოს გრძელს ხანს მლოცველი“<sup>1</sup>.

დავით მაჩაბლის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. 1873 წლის 8 ოქტომბერს, განთიადისას, საკუთარ სახლში მძინარე პოეტს თავს დაესხნენ სოფლის ავაზაკები. თავდამსხმელებმა ჯერ იგი მოკლეს, ხოლო შემდეგ ბინასაც ცეცხლი წაუკიდეს. დილით ხალხმა შენიშნა, რომ მაჩაბლის სახლიდან ბოლი ამოდიოდა. მეზობლებმა კარ-ფანჯრები შეამტკრიეს და სახლში შევიდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო... ხანჯლით დაჩეხილ პოეტის გვამს ცეცხლის ალიც მოსდებოდა.

ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგის თანახმად დავით მაჩაბელი „აღსრულდა 59 წლისა“.

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1873 წ., № 9.

## II

დავით მაჩაბელმა საკმარისად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. 1832 წლის დამდეგს „თბილისის უწყებების“ სალიტერატურო ნაწილში გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „თოვლი“. მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება მხოლოდ დასაწყისია ახალგაზრდა ავტორისა, იგი მაღალი პოეტური ღირსების ქმნილებაა. ამ ლექსის სახით ჩვენ საქმე გვაქვს უდავოდ სრულქმნილ მხატვრულ ნაწარმოებთან როგორც იდეურ-შინაარსობრივად, ისე პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით.

ლექსში „თოვლი“ აღწერილია სუსხიანი ზამთარი. პოეტი გვეუბნება, რომ თოვლი ფარავს მთას, ველს, ბორცვს, ტყეს და მდინარეს. ზამთრის მეფეს — თოვლს და ყინვას — მთელი ბუნება თავის მონად უქცევია და ეს მრისხანე მბრძანებელი სიცოცხლეს მუსრავს. ლექსში აღწერის ობიექტია ბუნება, მისი საგნები და მოვლენები. ამ ნაწარმოებისათვის რომ გამოგვეცალა ის ღრმა სოციალური შინაარსი, რომელიც მას ნამდვილად აქვს, ჩვენ მაინც დაგვრჩებოდა ლექსი, რომელშიც მოცემული იქნებოდა ზამთრის ბუნების მშვენიერი მხატვრული სურათი. მაგრამ ნაწარმოებში თხრობა ისეა განვითარებული, რომ მკითხველი ბუნების აღწერის დროს ადამიანთა ცხოვრებაში არსებულ უსამართლობას ხედავს. ძალმომრეობა, ძლიერისაგან სუსტის შევიწროება, რასაც პოეტი ბუნებაში ხატავს, მკითხველს სრულიად ძალდაუტანებლად განაცდევინებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ უთანასწორობას, ჩაგვრასა და მონობას.

ზამთარი იმით გაბატონდაო, — ამბობს პოეტი, — რომ მან ძალით მოსპო უხვი შემოდგომა, მოსძრა და მოსწვა ყვავილნი მთისა და ბარისა. ზამთრის ძალმომრეობით გაბატონებაზე პოეტი გვეუბნება:

ამან სიმძლავრით წარუღო ნაყოფთა სრულად ძალია;  
 შემოდგომისა მეფეაი განაძო დანაძალია;  
 ყვავილნი მთათა და ველთა მოსძრა, მოწვა და გალია;  
 დაჰფარა, დაჰხშო მწვანენი, მან კი აღავო სალია.  
 ბუნება ესე სოფლისა, შემცველი მიწყვი სახისა.  
 მკითხველთ ეკმავის თეატრად, წარმომდგენელი ჩაღბისა;  
 მყის მყუდროების: სისხლმჩქეფად!.. აღმღელვარებად ახლისა;  
 ერთის ბრწყინვალედ შემშოსი, სხვისა ჩამცმელი თაღბისა.

ლექსის მომდევნო ნაწილში კიდევ უფრო მკაფიოდ ყალიბდება კრიტიკა ადამიანთა შორის არსებული უთანასწორობის, ძალადო-





ცია ამა ჟურნალისა განუცხადებს გულითად მადლობას თავადს დავით ბარძიმის ძეს მაჩაბელს, რომელმანც განაშენა ჟურნალი ესე ცისკარი, მართლაც განცისკროვნებულისა და ბრწყინვალისა ლექსებით, კვალად იმედულობს რომელ, სიყვარულისთვის თავისის მშობლიურის ენისა, წარმოგზავნის თვისთა შრომათა<sup>1</sup>.

დავით მაჩაბლის ეს ლექსი, როგორც ჩანს, ჩქარა პოპულარული გამხდარა მკითხველთა შორის. 1864 წელს „ვარდი“ განმეორებით დაბეჭდა თავის ჟურნალში ივანე კერესელიძემ. კერესელიძე ამ თხზულების ხელმეორედ გამოქვეყნებას მისი მაღალი მხატვრული ღირსებით ამართლებდა. იგი სარედაქციო შენიშვნაში წერდა: „ეს საგანგებო ლექსი დაბეჭდილი იყო თავად გიორგი ერისთავისაგან გამოცემულს ცისკარში და ჩვენ ისე მოგვწონს, როგორც სანიმუშო ქმნილება, რომ ჩვენგნით გამოცემულს ჟურნალშიაცა ებეჭდავთ, რადგან ბევრმაც ისურვა ამისი წაკითხვა. ავტორისაგან ხელმეორედ თვალგადავლებულია და ამ დღეებში მივიღევით ჩვენის თხოვნით“<sup>2</sup>.

ლექსი „ვარდი“ დ. მაჩაბლის მხატვრულ შემოქმედებაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია თავისი რომანტიკული შინაარსით და ძლიერი პოეტური სახეებით. იგი სიუჟეტური თხზულებაა, რომელშიც მოცემულია ვარდისა და ბულბულის რომანული ამბავი. ამ ლექსში მოცემული ვარდისა და ბულბულის სიყვარული არსებითად განსხვავდება ცნობილი „ვარდ-ბულბულიანის“ ცალმხრივი მიჯნურობისაგან. აქ წარმოდგენილი ვარდი და ბულბული ერთმანეთისადმი უზადო შეყვარებული და ერთმანეთისათვის თავდადებული არიან. მათი დამორებისა და ტანჯვის მიზეზი გარეშე ძალაა — ბოროტი ძალა ან ბუნების უღმობელი კანონი.

ნაწარმოების შინაარსი ასე ვითარდება:

ერთ წალკოტ სერზე ყვავილთა მეფე ვარდი გაფურჩქვნილა.  
ვარდის გული სატრფიალოდ არის გადაშლილი.

მას მიჰხედავთ გაფურჩქვნილსა, დილის ნაპით დანამულსა;  
ვით მტირალსა ტრფიალისთვის, სევდის ნისლით დაფარულსა,  
ტრფობისაგან ფერმიხდილსა, ქარისაგან შერხელსა,  
თავდახრილსა მწვანეთ შუა, მორცხვსა რასმე მოწულსა.

სატრფიალოდ გადაშლილ ვარდს გარს შემოჰხვევიან გაუვალი ბუჩქები და შუბოსანი ეკლები, რომელნიც შეყვარებულ ბულბულს მის სიახლოვეს არ უშვებენ:

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1852 წ., № 4.

<sup>2</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1864 წ., № 6.

ვით ერთს ბუჩქად, მსგავსად ერთის სამეფოსა, ყოვლადობენ;  
 მრავლად შტონი, ვითა ტომნი, განწყობილნი მოსაჯრობენ;  
 ზედ ეკალნი შებოსანნი, ვით მხედარნი, ბანაყობენ,  
 ბულბულისა სამესისხლოდ რავდენს რაზმთა განაწყობენ...  
 ვით მხმილაჲად, ვარდის მცველად, მღვიძარობენ, გუშავობენ,  
 შემხებელთა ჰგმერენ შუბთა; სიკვდილი მსურთ მოსისხლობენ.

ვარდის მიმართ მთელი არსებით შეყვარებული ბულბული „სულმილეულს უსულს დასძახს; ველსა მოჰფენს ხმასა ტყბილსა“ და „მას მგზნებარე გული უმღერს, შეშლით იწყებს ხან სიცილსა“. ასე გადის დრო, ვარდსა და ბულბულს დიდი ხნის განმავლობაში ერთმანეთთან დაახლოების საშუალება არ ეძლევათ, მაგრამ ხანგრძლივი ტანჯვისა და ვაივაგლახის შედეგად, ერთ მომენტში, ტრფიალნი შეერთებას ახერხებენ. პოეტი გვეუბნება, რომ ეს შეერთება დიდი ბედნიერებაა როგორც ბულბულისათვის, ისე ვარდისათვის.

ვის არა მსძლევს ტრფობის ძალა: ვარდსა თმენა დაემალა.  
 ბულბულს მიჰყვა; მოიზიდა მისი ტრფობა მოივალა...  
 ძლივს შეერთდა იგი ბულბულს! ძლივს სევდისგან მოიცალა!  
 ზედ დაჰხარის მას ბულბული: ხმა მწვედ ტურფად აღიმაღლა!

ვარდზედ მჭდომელის ბულბულის ვინ მოსთელის განლიგებასა.  
 ეკალთა უგრძნეს; უკუდგნენ, ემონენ ვარდის ნებასა.  
 მის ორის ტურფის სიმწყაზრის რა ბრძენი ასწერს ქებასა:  
 ვარდი ჰგავს სათნოებასა, ბულბული განათლებასა!  
 თვისი კუთხე განანათლეს და შეამყეს ცათა დარად...  
 ღვთის მადლი ყველგან მიჰფინეს: ზღვად, ქალაქად, მთად და ბარად...  
 მუნ ღელავს ტყბილი გალობა: აღმოსავლეთით და ბღვარად.  
 კვლავ ხელოვნება, ვაჰრობა განაგრცეს მუნ გასაქმარად.

ვარდისა და ბულბულის ერთად ყოფნის პერიოდში მთელს არემარეს ბედნიერების სხივი ეფინებოდა, ქვეყანა „ცათა დარად“ გამოიყურებოდა. ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა: ბოროტმა ძალამ ტრფიალნი კვლავ ერთმანეთს დააშორა. მრისხანე ქარიშხალმა ბულბული ვარდს მკერდიდან მოგლიჯა და გაამარტოვა, ხოლო მისი სატრფოს ფურცლები ველად გაჰფანტა. ბულბული მწვავე განცდებით, „სისხლისა ცრემლთა მფრქვეველი“ შეჰყურებს ქარიშხლისაგან განადგურებულ, დასაღუპავად განწირულ ვარდს; შეჰყურებს და შველას კი ვერ ახერხებს.

პოეტმა ვარდისა და ბულბულის კეთილ, უბიწო და უანგარო სატრფიალო საქმეებს დაუპირისპირა ბოროტი ძალები — შუბოსანი



ეკლები და მრისხანე ქარიშხალი. ნაზი და სათნო არსებანი უღმობელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდნენ:

უქანასკნელნი ფურცელნი ვარდისა, გაყვითლებულნი,  
 დასცივდნენ, დაჰყენნ, განიზნენ, დროთი მოუძღვრებულნი...  
 ირხვეინ მღურვით მართ შტონი, გამხმარნი, გაშიშვლებულნი,  
 გუშინ კრთოლვიდენ დიდებით: დღეს ვით შეიქმნენ ვებულნი!

ასე იღუპება ვარდისა და ბუღბუღის ურთიერთისაკენ სწრაფება, რაც არსებითად სიყვითის, სათნოებისა და საზოგადოდ ბედნიერების სიმბოლურ სახედ წარმოგვიდგება. ლამაზ სურათთან ერთად, ლექსში თავს იჩენს პოეტისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი კეთილშობილური ოპტიმიზმი. იგი ამბობს, რომ ამ არსებათა აზრი და საქმე საბოლოოდ დაღუპული არაა და მათი სასიკეთო რომანი მომავალში კვლავ გაცოცხლდება. აქ, ლექსის ამ ნაწილში, გარკვევით იჩენს თავს ავტორის იდეური ჩანაფიქრი, მკითხველისათვის ამკარა ხდება თხზულების ალეგორიული ხასიათი. პოეტი ამბობს, რომ ვარდის თავგადასავალი — ჯერ ტანჯვა, შემდეგ ბედნიერი ცხოვრება, კვლავ უფრო მძიმე ტანჯვა და ბოლოს მაინც იმედი — ბუნებრივად გვანიშნებს ადამიანთა ცხოვრებას.

ელის ახალსა გაზაფხულს ფესვი, ღვითთ დაჰკვიდრებულნი...  
 რადენს მაგალითს გვაზარებს ვარდი, ჯერ აყვავებული;  
 მერმე გამხმარი, შიშველი ყოვლის ფრით გამქისებულნი...  
 ქვეყანასა ჰგავს, რომელი არს კეთილ განათლებული.

ლექსის ალეგორიული ხასიათი კიდევ უფრო აშკარად ჩანს მისი დასკვნითი სტრიქონებიდან. აქ უკვე მკითხველისათვის სრულიად ნათელი ხდება, რომ ქარიშხლისაგან ასე უღმრთოდ წამებული ვარდი კონკრეტული ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობის გამომხატველია. რაღა თქმა უნდა, რომ ეს პოეტის მშობლიური ქვეყანა და ხალხია.

ლექსის უქანასკნელი, დასკვნითი სტროფი ასეთია:

ვით განათლება თვინიერ სათნოებისა მქისდების...  
 მისგან ქვეყანაც თვინიერ სათნოებისა შიშვლდების;  
 ბრჯვეუდების, ხდების, მდაბლდების, იწყვლის, იმუსერის, ბრმაედების,  
 ყოვლი კეთილი მოეტრცვის; ვიდრე ახლად ალყავედების!

1857 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა დავით მაჩაბლის ლექსი „პირველი მაისი“. თხზულებამ, როგორც ჩანს, ადრევე მიიქცია ფართო საზოგადოებრივი ყურადღება. ჩვენამდე მოღწეულია უტყუარი ცნობები, რომლითაც ნათელი ხდება

ის საყოველთაო მოწონება, რაც ამ ლექსს ხვდა წილად. ამ საზღვარგარეთის განსაკუთრებით საინტერესოა ცნობილი კრიტიკოსის ნიკოლოზ ბერძინაშვილის ერთი ვრცელი წერილი. რომელიც იმავე 1857 წელს გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა<sup>1</sup>.

თუ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია პირველ ხანებში ნაცნობ-მეგობართა ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი და ფართო საზოგადოებრივ კუთვნილებად მხოლოდ გვიან, ამ მწერალთა გარდაცვალების შემდეგ იქცა, დავით მაჩაბელს წილად ხვდა სიცოცხლეშივე, ცალკეულ თხზულებათა გამოქვეყნებასთან ერთად, საზოგადოების მიერ დაფასების, მოწონებისა და მადლობის სიტყვები მოესმინა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამოკალმეებისაგან მხოლოდ ერთეულებს ხვდათ ბედნიერება, სიცოცხლის ხანგრძლივობის წყალობით, მრავალტირაჟიანი ჟურნალ-გაზეთების ეპოქასაც მოსწრებოდნენ და მათი კალმის ნაყოფი საზოგადოებრივი გამოხმაურების, მსჯელობისა და კრიტიკის საგნად ქცეულიყო. ეს უბრალო გარემოება როდია. დავით მაჩაბლის შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის მხარდაჭერა და წამახალისებელი დამოკიდებულება, რომელსაც მის მიმართ ჯერ გიორგი ერისთავი, ხოლო შემდეგ ივანე კერესელიძე იჩენდა. რომ არ ყოფილიყო ჟურნალი „ცისკარი“ და არ ყოფილიყვნენ ეს ადამიანები, ალბათ დავით მაჩაბლის, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატის, პიროვნება ქართული ლიტერატურის ისტორიაში ასე მნიშვნელოვნად ვერ წარმოგვიდგებოდა.

ზემოთ დავით მაჩაბლის ლექსების „თოვლისა“ და „ვარდის“ განხილვისას მინიშნებული იყო ზოგიერთი ლიტერატურული ფაქტი, რომლიდანაც კარგად იგრძნობა საზოგადოებრივი გამოხმაურება დასახელებულ თხზულებებზე. იგივე მოწონების ხმა ისმის ნიკოლოზ ბერძინაშვილის წერილის იმ ნაწილში, რომელიც „პირველ მაისს“ ეხება.

„პირველი მაისი“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ქმნილებაა დავით მაჩაბლის პოეტურ მემკვიდრეობაში. იგი ხალასი ლირიკული ნაწარმოებია, რომლითაც ავტორი ადამიანურ სიცოცხლესა და სილამაზეს უმღერის. გაზაფხული, ბუნების გამოლვიძება, მშვენიერება და სიყვარული ადამიანებისათვის ყოველთვის ძვირფასი იყო. ამდენად, ასეთ თხზულებათა საზოგადოებრივი მნიშვნელობაც საკმარისად

<sup>1</sup> გაზეთი «Кавказ», 1857 წ., № № 86, 87, 88.



ფართოდ წარმოგვიდგება. ვკითხულობთ ამ ლექსს და ჩვენში ბუნებრივად აღიძვრის მაღალი გრძნობა ობიექტური სინამდვილისაკენ მისწრაფებისა, ადამიანური, შინაარსიანი სიცოცხლისა და მოქმედებისა.

„პირველი მაისი“ ერთ-ერთი საყურადღებო ქმნილებაა ავტორის პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით. ვაკვირდებით ამ ლექსის სტრიქონებს, გვინდა ვიპოვოთ, ხელი შევავსოთ იმ საგნებს, რომელთაც ჩვენში ასეთი კეთილშობილური გრძნობები აღძრეს, მაგრამ სწორედ ამ დროს უკვე საბოლოოდ ვრწმუნდებით, რომ აქ საგნების გროვა კი არაა, არამედ ეს არის უხილავი ძალა პოეზიისა, რომელიც ჩვენს არსებაში სიცოცხლისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და მისწრაფებას იწვევს. სწორედ ეს აქტიური ადამიანური სიცოცხლისაკენ მისწრაფება, კეთილშობილური ჰუმანიზმი და მგზნებარე ოპტიმიზმი არის ამ ლექსის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი.

„პირველი მაისი“, როგორც ერთ-ერთი მშვენიერი ლირიკული ნაწარმოები დავით მაჩაბლისა, ზედმეტი არ იქნება მისი ცხოვრების მატრიანეში მთლიანად იკითხებოდეს:

ჩემო პირველო მაისო,  
გულს ვარდმან სხივი დაისო!  
ესდენ ელვენ, მაისს დღენი,  
ჰავას, ბრწყინვიდნენ ბევრი მზენი;  
მოჰქროლავს ყვავილთა სუნი,  
ჰავა ფშვივის სამაისო,  
ჩემო პირველო მაისო,  
გულს ვარდმან სხივი დაისო.  
ველნი მცენარით ჰრელობენ;  
აგრორის ცრემლით სველობენ;  
მაისი ჰბურავს მანტიად;  
ჰშვენისთ ძვირფასად ცმა ისო.  
ჩემო პირველო მაისო,  
გულს ვარდმან სხივი დაისო.  
ვარდი ჰგრძნობს მზისა ღიმილსა,  
უხარის წმასნის წინწილსა,  
კათოლავს ძოწის ფრად მზის სხივში,  
აწ ახლად, შემდგომ, გაისო.  
ჩემო პირველო მაისო,  
გულს ვარდმან სხივი დაისო.  
ვესმისთ, თქვენ, ვარდის ჩურჩული,  
ბროლ-ლალის ფერი უსული?  
მწვანეს ფოთლების შრიალით

ამას ხმობს ტურფად ხმა ისო:  
 ჩემო პირველო მაისო,  
 გულს ვარდმან სხივი დაისო.  
 ჩემი ქრთიალი ციალი,  
 აღით აღესილი ფრიალი,  
 გულსა დამეგზნას, არ მგამა,  
 სხვა არა, მკლავდეს, მა, ისო,  
 ჩემო პირველო მაისო,  
 გულს ვარდმან სხივი დაისო.  
 ღალით ძილით განღვიძებულს  
 ვსპვერეტ, ცრემლით თავს დასველებულს,  
 მზე სხივთ წარმოხოცო, ზრუნველობს,  
 ტრთილის ზრუნვად კმა ისო.  
 ჩემო პირველო მაისო,  
 გულს ვარდმან სხივი დაისო.  
 მაისს ვსთხოვ, ჩემთვის საშოთხეს,  
 აღმიცენებდეს საშოთხეს,  
 ვიშვებდე მკართოლუარს სავანეს;  
 კარვობდეს სუძებულ თმა ისო.  
 ჩემო პირველო მაისო.  
 გულს ვარდმან სხივი დაისო.  
 ვანვრიდებ ნათელს აროდეს;  
 თუნდ შუქის ღელვა მძლავრობდეს;  
 ვეთინათინო ცისკარსა,  
 აღვაგზნო გული დაისო.“  
 ჩემო პირველო მაისო,  
 გულს ვარდმან სხივი დაისო!

დასასრულს, ამ ლექსთან დაკავშირებით ერთი კონკრეტული ფაქტის აღნიშვნაც აუცილებელია. „პირველი მაისი“, როგორც ითქვა, 1857 წელს ჟურნალ „ცისკარის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა. ჩანს, ბეჭდვის დროს ტექსტში გაპარულა ისეთი არსებითი ხასიათის შეცდომები, რომელთა გასწორებაც ავტორს საჭიროდ მიუჩნევია. ამ შემთხვევით არის გამოწვეული „ცისკარის“ მომდევნო ნომერში მოთავსებული დავით მაჩაბლის წერილი რედაქტორისა და მკითხველისადმი.

პოეტი უპირველეს ყოვლისა მადლობას უხდის ივანე კერესელიძეს იმ უანგარო და თავდადებული სამსახურისათვის, რომელსაც იგი თავისი ჟურნალით ქართულ ლიტერატურას უწევს. შემდგომ დავით მაჩაბელი მიუთითებს იმ ნაკლოვანებებზე (უმთავრესად ტექნიკური ხასიათისა), რომელნიც „ცისკარს“ მოეპოვება. დაბოლოს, თავისი თხზულების ტექსტში გაპარული შეცდომის გასწორებასაც იძლევა.



დავით მაჩაბლის ეს წერილი მრავალმხრივია საინტერესო. ჯერ ერთი, აქ მოცემული მოკლე საუბრით „პირველი მაისის“ პოეტურ აღნაგობაზე ავტორი გარკვევით ამჟღავნებს ქართული ლექსთწყობის კარგ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. ამით ნათელი ხდება, რომ ის მაღალი ხელოვნური კულტურა, ეშნი და მიმზიდველობა, რაც მისი მთელი რიგი ლექსებიდან უდავოდ იგრძნობა, ხალხს პოეტურ ნიჭთან ერთად გარკვეულ მეცნიერულ ცოდნასაც ემყარება. აგრეთვე ინტერესმოკლებული არაა პოეტის ის მსჯელობა ეურნალ „ცისკრის“ მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე, რომელიც ამ წერილშია მოცემული.

კონკრეტულ შემთხვევაში, წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა „პირველი მაისის“ ტექსტის საქმეთავაზიანმა ავტორმა დაშვებული შეცდომები ნაწილობრივ ასოთამწყობს მიაწერა, უფრო მეტად თვითონ პირადად დაიბრაღა და, რაც მთავარია, მათი გასწორება მოგვცა<sup>1</sup>.

### III

დავით მაჩაბლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ის ნაწარმოებები, რომლებითაც პოეტი უშუალოდ თავისი ეპოქის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებს ეხმაურება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დავით მაჩაბელი ერთადერთი გიმნაზიელი იყო, რომელიც 1832 წლის შეთქმულებასთან სხვებზე უფრო ახლოს იდგა როგორც პრაქტიკული მონაწილეობით, ისე პოეტური შემოქმედებით. მისი ლექსი „თოვლი“ ღრმა სოციალური შინაარსის ნაწარმოებია და იგი უშუალოდ მიმართულია იმ სახელმწიფოებრივი სისტემის წინააღმდეგ, რომელშიც პოეტი ცხოვრობს. შეთქმულების დამარცხების შემდეგ დ. მაჩაბლის შეგნებაშიც გარკვეული გარდატეხა ხდება. მწერალი, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე დესპოტიზმისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშით გამოვიდა, ახალ ეპოქაში მეფის რუსეთისადმი დამოკიდებულებას არსებითად იცვლის. ბევრი ქართველი მწერლის მაგალითზე ვიცით, რომ ისინი საქართველოში რუსული მმართველობის წინააღმდეგ იბრძოდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, ამის გამო

<sup>1</sup> თხზულების სრული ტექსტი ავტორისეულ შენიშვნა-შესწორებათა გათვალისწინებით და, მაშასადამე, საბოლოო სახით, პირველად აქ იბეჭდება.



უკმაყოფილონი იყვნენ. მაგრამ იგივე მწერლები მეფის რუსეთის მიერ სხვა ქვეყნებთან წარმოებულ ომებში მამაცი მეომრების სახელს იხვეჭდნენ.

ეს გარემოება შემთხვევითი არაა, მას გარკვეული სოციალური საფუძველი აქვს. ქართველობა ამ დროს რუსეთის დახმარებით შურს იძიებს იმ ისტორიულ მტრებზე, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში „ერთი მუჭა“ საქართველო არბიეს და აწიოკეს. ჭერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილმა მეფე ერეკლეს ათქმევინა:

ახლა კი დროა, სოლომონ რომა  
მშვიდობა ნახოს საქართველოში,  
მან საფარ ქვეშე მხოლოდ რუსეთის  
ამოიყაროს ჭავრი სპარსეთის.

ამასვე იმეორებდა გრ. ორბელიანი, როდესაც იგი დაღესტნიდან იწერებოდა კახეთის სისხლს ვიღებო. იგივე მოტივი დავით მაჩაბლის შემოქმედებაში კიდევ უფრო მკაფიოდ ისმის. რუსული მართვა-გამგეობისადმი მხარდაჭერისა და ერთგულების ტენდენციას იგი კიდევ უფრო მკვეთრად ამჟღავნებს, ვიდრე სხვა რომელიმე ქართველი მწერალი იმ ეპოქისა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი პოემა „მთიული“ და ლექსი „ქართლოს“.

\* \* \*

დავით მაჩაბლის პოემა „მთიული“ 1842 წლის 1 მაისით არის დათარიღებული, მაგრამ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. იგი მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ იქნა მიგნებული და დღემდე ხელნაწერთა საცავებში ინახება.

პოემის თემაა ცხოვრების ისტორია ერთი გონებავახსნილი ახალგაზრდა კავკასიელი მთიელისა, ხოლო იდეა ნაწარმოებისა იმაში მდგომარეობს, რომ აჩვენოს საქართველოში (და საზოგადოდ კავკასიაში) რუსული მართვა-გამგეობის დამყარების დადებითი მნიშვნელობა.

დავით მაჩაბლის ეს ნაწარმოები კონკრეტულ ისტორიულ ფონზე იშლება. სახელდობრ, აქ სრულიად გარკვევით მოჩანს მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან-ორმოციანი წლების ეპოქა. ჭერ კიდევ პოემის სათაურიდანვე ვგებულობთ, რომ ეს მოვლენები იმ დროისაა, როდესაც ხდება „აღება აღღერისა და აღშენება სულის წმინ-

დის ციხის, რომელიცა იწოდა კონსტანტინოვსკიდ“. ამასთანავე ნაწარმოებში გამოყვანილია როგორც ამ ომის ერთ-ერთი მონაწილე ოფიცერი, ცნობილი რუსი მწერალი ბესტუჟეე-მარლინსკი (გარდაიცვალა 1837 წელს).

პოემაში აღწერილი მოქმედება საქართველოს მახლობელ რაიონში წარმოებს და მასში გამოყვანილი მთიელები ისტორიულად ცნობილი ჯიქები არიან.

ნაწარმოების დასაწყისიდანვე მკითხველისათვის ცნობილი ხდება, რომ ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია. მოქმედებაში პირველი გამოჩნდება მოხუცი ჯიქი, რომელიც ფანდურზე ძველ ვაჟაკურ ლექსებს ამღერებს და ამით თანამემამულეებს რუსეთის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებს. იგი ღრმა მნიშვნელობით ამბობს, რომ

ჯიქნი მკვირცხლნი, მებრძოლნი მარად  
 სიკვდილსა ჰრაცხდნენ ჩალისა დარად;  
 კლდეს შეხიზვნოდნენ თვით კლდენი მყარად,  
 გარეშე მტერნი შიანდათ არად.

მოხუცთან საუბარში ჩაებმება ბრძოლის ველიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ჯიქი. იგი ყვება მის მიერ უშუალოდ განცდილ რუსის ჯართან სამი დღის ბრძოლის ამბავს და რუსების საბრძოლო უპირატესობას აშკარად აღიარებს:

ასე მოვიხდა: დაგვეს ზარები;  
 არ გავვიღია ნებით კარები;  
 ძალით აიღეს, მოღვნენ ჯარები,  
 რუსით აიესო არე-მარები.

იგივე ახალგაზრდა ერთგვარი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ ომში რუსებთან ერთად არიან ქართველები და ოსები.

დამარცხების მოლოდინში მყოფი ჯიქები მოციქულებს გზავნიან რუსებთან მოსალაპარაკებლად. დაბრუნების შემდეგ, როდესაც ჯიქები თავიანთ მომავალ ბედზე მსჯელობენ, ახალგაზრდა მთიელი რუსებისადმი დამორჩილების წინადადებას აძლევს თავისიანებს. მისი აზრით, რუსებთან შერიგება-შეგუება ერთადერთი სწორი გზაა, რადგანაცო — ამბობს იგი: — „მათ აქვსთ სიმდიდრე, სიბრძნე მაღალი და ვგონებ სჯობდეს ჩავაგოთ ხმალი“.

ახალგაზრდა მთიელის ასეთი მსჯელობით სასტიკად შეშფოთებულია მოხუცი ჯიქი. იგი თანამემამულეებს მოუწოდებს, რათა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ რუსების წინააღმდეგ.

აქ და სხვა შემთხვევებშიც. როცა მთიელთა შორის კამათი წარმო-  
ებს, ჩვეულებრივად თავს იჩენს ავტორის აშკარა ტენდენცია რუ-  
სებთან მშვიდობიანი მორიგებისა. მწერალი გარკვევით იმ ახალ-  
გაზრდა მთიელის მხარეზეა, რომელიც რუსეთისადმი დამორჩილე-  
ბას, რუსებთან საერთო ენის გამონახვას მოითხოვს. რუსების მო-  
წინააღმდეგე ჯიქები პოემაში დახასიათებული არიან როგორც გუ-  
ლუბრყვილო ადამიანები, რომელნიც ოსმალეთისაგან არიან მო-  
ტყუებულნი და რუსეთის საწინააღმდეგოდ შთაგონებულნი.

მთიელთა ბანაკში მოულოდნელად გამოჩნდებიან რუსის ჯარის  
ოფიცრები: რუსები — ბესტუჟევი და ზაპოლსკი, ქართველები —  
თუმანიშვილი, კიკნაძე, ფხვიძე, აფაქიძე და ქოთუა. მთიელები,  
ტრადიციის კვალობაზე, მზრუნველობით იღებენ მოწინააღ-  
მდეგეთა ბანაკიდან მოსულ სტუმრებს და მათ შორის გულთბილი  
საუბარიც იმართება. მასპინძლები განსაკუთრებით მოხიბლულნი  
არიან ბესტუჟეგ-მარლინსკის ჭკუითა და გონიერებით, მისი მაღალი  
ადამიანობით.

საუბრის დროს სტუმრების ყურადღებას იმსახურებს ახალ-  
გაზრდა ჯიქი. ამ კაცის გონებაგახსნილობით მოხიბლული პირველი  
სტუმარი (ბესტუჟევი) სთხოვს მას, რათა უამბოს თავის ცხოვრება-  
ზე, უამბოს, თუ სად აღიზარდა, სად მიიღო განათლება და სხვა. ამ  
თხოვნის გამო ახალგაზრდა მთიელი ვრცლად ყვება საკუთარ თავ-  
გადასაყვას. სწორედ ეს თავგადასავალი ახალგაზრდა ჯიქისა პოე-  
მის ძირითად ამბავს წარმოადგენს.

ახალგაზრდა ჯიქის თავგადასავალი მკითხველის გონებაში ძალ-  
დაუტანებლად აცოცხლებს ტრაგიკულ ეპიზოდებს ქართველი ხალ-  
ხის ისტორიისას. გონებაგახსნილი ახალგაზრდა მთიელის სიტყვით  
ჯიქეთი საქართველოს ბუნებრივი ნაწილია. აქედან გავრცელდაო  
ქრისტეს რჯული დასავლეთ საქართველოში. შემდეგში საქართვე-  
ლოს ეს ნაწილი ოსმალებმა მიიტაცეს და გაამაჰმადიანეს. მისივე  
სიტყვით:

თვით წოდებაცა: ჯიქი, ქართულად  
პნიშნავს სიყვრბეს, სიმზნეს ამ ერთა.

ახალგაზრდა ჯიქი, მისივე გადმოცემით, ადრევე დაობლებულა.  
ობოლი ბავშვი სხვათა კარს იზრდებოდა მოჯამაგირეობაში. ერთ  
დღეს ეს ბავშვი აბრაგებმა მოიტაცეს, ზღვის პირად მოვაჭრე ბერ-  
ძნებმა შეისყიდეს და საბოლოოდ იგი სტამბოლში აღმოჩნდა. ჭა-  
ბუკმა ჯიქმა ენით გამოუთქმელი ტანჯვა-წამება გამოიარა. იგი სტამ-





ბოლში, რომელიდაც მღვდლის წყალობით, ქრისტეს რჯულს დაეწაფა, ხოლო შემდეგ საკუთარი თვალით ნახა ხონტჭრის ბრძანებით ჩატარებული ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა სტამბოლის ქუჩებში.

უთვისტომო ჭაბუკი დიდი წვალების შედეგად სიცოცხლეს ყოველთვის ინარჩუნებდა, მაგრამ სოფლიდან სოფელში კი პყიდდნენ და უსულო საგანივით ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს იგი ეგვიპტის ფაშას მიჰყიდეს, ხოლო ამ უკანასკნელის წყალობით ახალგაზრდა ჯიქი პარიზში მოხვდა. ამ ქალაქის ცხოვრების პირველ შთაბეჭდილებებზე იგი მოგვითხრობს:

გამაკვირვებდა ფრანუთა ერი,  
მხნე, ახოვანი, მკვეთრ, გონიერი,  
ამაყი, მკვირცხლი, სას-ნებიერი,  
ღართულ, დაჯანმულ და მშვენიერი.

ახალგაზრდა კავკასიელი ხარბად დაეწაფა ევროპულ მეცნიერებასა და ხელოვნებას. მან საკუთარი გამოცდილებით იგემა პარიზის ცხოვრების ავ-კარგი; ინახულა აგრეთვე სხვა ქალაქები, დაბოლოს, ცხოვრების ქარტეხილში მრავალგზის ნაწრთობი ჯიქი კვლავ მშობლიურ ქვეყანას დაუბრუნდა.

ნაწარმოებში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ახალგაზრდა მთიელი ქრისტიანული რელიგიის დიდი პატივისმცემელია. იგი ბიჭვინთაში დადის და იქ ქართველ კათალიკოსთან ლოცულობს. მიუხედავად ამისა, მთიელი თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის (ჯიქებისათვის) თავდადებული და მათი მგზნებარე პატრიოტია. ამჟამად, როდესაც მისი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, როცა ეს მცირერიცხოვანი ხალხი ძლიერი რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევას ფიქრობს, ახალგაზრდა ჯიქი თანამემამულეებს სრულიად შეგნებულად ურჩევს, რათა მდგომარეობას შეეგუონ და რუსებთან საერთო ენა გამონახონ. სწორედ ამ თვისებებით ეს ახალგაზრდა მთიელი თვითონ მწერლის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ შეხედულებათა გამომხატველად გვევლინება.

პოემის უკანასკნელ ნაწილში გადმოცემულია რუსთა ჯარის საბრძოლო წარმატების, ჯიქთა დამორჩილებისა და აღღერში სულის წმინდის ციხის აშენების ამბები. მწერალი აღიღებს ქრისტიანობას და ქებით იხსენიებს რუსებს, როგორც ქრისტიანული რელიგიის დამცველ ხალხს. ავტორს გულწრფელად სჯერა, რომ რუსთა დახმარებით ჯიქებშიც შევა სწავლა-განათლება და ამის შედეგად ქვეყანა დაწინაურდება. იგი ამბობს:

ნამდვილ სწავლისა და განათლების  
სადგურად ითქმის სიტურფის მიერ.  
ძველის კოლხიდის შტო განახლების  
და განათლების იგი ამიერ.

პოემის დასასრულ სტრიქონებში ავტორი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხს ეხება. თუ ჭიქებზე თხრობისას მწერალი საქართველოს გზადაგზა იხსენიებდა, ახლა ერთხელ კიდევ მიმართავს რუსეთის მიერ ძალმოცემულ და გამხნეებულ ქართველებს: „რუსთა მიერ ვართ აღდგინებულნი“ და ამიტომაც გვმართებსო მათდამი დიდი მადლიერება. როგორც ნაწარმოებში მთლიანად, ისე დასკვნით ნაწილში მწერალი რუსული მმართველობისადმი ერთგულებას ქადაგებს. იგი, დადებითად აფასებს რა რუსეთის მიერ კავკასიაში წარმოებულ ომებს, თანამემამულეებს რუსებთან მსარდამხარ ბრძოლისა და სავაჭრო საქმეებისაკენ მოუწოდებს.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ პოემაში ალექსანდრე პუშკინთან და ბესტუჟევი-მარლინსკისთან ერთად დასახელებული არიან დეკაბრისტები, რომელთა მიმართ სიმპათიურ დამოკიდებულებას ავტორი სრულიად გარკვევით ამჟღავნებს. ეს ფაქტი დავით მაჩაბლის პიროვნებას კიდევ უფრო ამადლებს დაკვირვებული მკითხველის ავალში.

ასეთია დ. მაჩაბლის პოემა „მთიული“<sup>1</sup>.

დავით მაჩაბლის ამ თხზულებაში გამოხატულებას პოელობს მწერლისდროინდელი გარკვეული საზოგადოებრივი აზრი. სახელდობრ, აქ მკაფიოდ იგრძნობა თვალსაზრისი იმ ქართველობისა, რომელიც თუმცა მტკივნეულად, გარკვეული მსხვერპლის ფასად, მაგრამ რუსეთთან შეერთების ფაქტს მაინც ისტორიულ აუცილებლობად თვლიდა და მის პროგრესულ მნიშვნელობასაც აღიარებდა.

\* \* \*

იმავე იდეით არის შთაგონებული დავით მაჩაბლის ლექსი „ქართლოს“, რომელიც 1857 წელს ჟურნალ „ცისკრის“ მეშვეილე ნომერში გამოქვეყნდა. ეს ნაწარმოები იდეურ-თემატიკურად უშუალო კავშირშია პოემა „მთიულთან“. სიახლოვე იმდენად სავსებითია,

<sup>1</sup> პოემის ტექსტი დაცულია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ხელნაწერი № 50), ხოლო მისი ფოტოპირი ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში (ფონდი, № 20751).



რომ ამ თხზულებათა ცალკეულ სტრიქონებს შორის გარკვეული მსგავსების პოვნა ძნელი არაა, მაგრამ ეს მსგავსება არსებითად იდეურ სფეროშია, ხოლო „ქართლოს“ დამოუკიდებელი და თავისთავადი ლექსია. თხზულების ძირითად ნაწილში გამოხატულებას პოულობს ისტორიულად ცნობილი ყირიმის ომის ამბები. ლექსში დასახელებული გეოგრაფიული პუნქტები პირდაპირ გვაგონებს ამ ომის მთელ რიგ ეპიზოდებს, რომლებშიც რუს მეომრებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ.

ლექსის პირველ ნაწილში პოეტი იხსენიებს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს. იგი იგონებს იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა სახელოვან მამულიშვილთა სისხლით ირწყვებოდა და იმავე დროს, იმავე სისხლით, „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა.

ლექსის მეორე ნაწილში ლაპარაკია ომებზე, რომელთაც მეფის რუსეთი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში აწარმოებდა ქართველთა მონაწილეობით. პოეტის სიტყვით, ქართლოსი ბრძოლის ველზე ჩამობერდა. მას ერთი ომიდან მიღებული ჭრილობები მოშუშებული არ ჰქონდა, რომ იმავე ჭრილობებზე სმალსა სცემდნენ. ღვაწლმოსილი გმირი თავს დიდხანს იცავდა: იბრძოდა, შრომობდა და მტერს არ ალაღებდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამ უთანასწორო ბრძოლებში იგი დაიღალა და მოსალოდნელი იყო მისი დაცემა, რომ სწორედ ამ მძიმე მომენტში მას მხსნელი გამოუჩნდა. ეს მხსნელი იყო ერთმორწმუნე რუსეთი. რუსეთმაო, — ამბობს პოეტი, — დახმარების ხელი გამოუწოდა ათასწლობით ომებში დაქანცულ ქართლოსს.

წარსდგა ბიჯი საჩქაროდ, წარხდა ის დროცა ძველი,  
და მისცა აქ რუსეთმა მას შეწვევისა ხელი...

პოეტის სიტყვით, რუსეთმა საქართველოს წყლულები შეუხვია. გაამაგრა, გაამხნევა იგი და კვლავ ფეხზე წამოაყენა.

შეუხვია წყლულება, მოხუცს, დამძიმებული;  
განაზნო, და კვლავ წარსდგა, მან ბიჯი, გაგებული.  
ეს მოხუცი მარსის ველს კვლავ სდგას, გამხნევებული.

დავით მაჩაბელი ამბობს, რომ რუსეთმა მოხუც ქართლოსს ბრძოლის უნარი დაუბრუნა, თვით მფარველად დაუდგა და კვლავ ბრძოლის ველზე გაიყვანა შურისძიებისათვის მათ წინააღმდეგ, ვინც ადრე მისი მარტოობით სარგებლობდა. ახლავ, — წერს პოე-

ტი, — ეს გამხნევებული მოხუცი მტკიცედ დგას ბრძოლის ველზე და ხმალს ძლიერად სცემს. რუსეთის მიერ გაძლიერებული ქართლოსი ჯვრით ხელში გმირულად იბრძვის სომხითში, მესხეთში, კახეთში, კუხეთსა და კოლხიდაში. იგი გმირულად იცავს კავკასიის მთის კალთებს და მტრებისათვის მიუვალს ხდის შავი ზღვის სანაპიროებს. ეს გამედგარებული მოხუციო, — ამბობს დავით მაჩაბელი:—

იბრძვის სომხითს და მესხეთს, ჯვარით ხელთ მძლევნებულა;  
 რუსთა მფარველობას ქვეშ, ძლევით ამადლებულა;  
 მოდღვენებულის თავის, კვალად მტკიცედ მპყრობელი.  
 იბრძვის კახეთს და კუხეთს; იბრძვის კოლხიდას იგი;  
 იბრძვის შავის ზღვის პირზედ; კარს ბრძავს, რაზმთა გამრიგი;  
 მთის კალთებშიაც იბრძვის; კავკასიის ერთ დამრიგი;  
 ტრიალებს ყოველს მხარეს; ჰხედა კვლავ ბრძოლისა რიგი.

პოეტი აშკარად გვაგრძნობინებს თავის აღტაცებას იმ თავდადებით, გმირობითა და მამაცობით, რომელსაც ქართველები რუსებთან ერთად კავკასიის ომებში იჩენენ. დავით მაჩაბლის სიტყვით, ქართლოსი ახლა საკუთარი თვალით ხედავს მისი სახელოვანი შვილების თავგანწირვას სჯულისა და სამშობლოსათვის. რუსეთის მიერ გამხნევებულ ქართველთა ბრძოლები და გამარჯვებანი მგოსანს საამაყო საკვირველებად აქვს მიჩნეული. იგი კმაყოფილებით გვაცნობს ქართლოსის უკანასკნელ საბრძოლო წარმატებებს:

დღეს ქართლოსის ძლევანი გვაქვს დიდს გასაკვირველად.  
 ფოცხოვას, კადიკლიარს, ჩოლოქს, ზღვის პირსა ხმელად,  
 უმეტეს ქურუქდარას, ძველსა გუმრისა ველად;  
 სხვაც მრავალნი ძლევანი დაშთებიან მას ძეგლად.  
 რუსთ და ქართველთ, ამ წელთა, აქ ბრძვეს მტერთა გმირულად!  
 სდგას რიერაც ეს მოხუცი ველსა მას მხიარულად;  
 შუბლი მისი მცოვანი, ერთოლავს განცისკრებულად!  
 ასკვრეტს, უხარის შვილთ სიმხნე, მით მსჩანს აღტაცებულად!

ასე დაახასიათა დ. მაჩაბელმა ქართველი ხალხის სიცოცხლისა და ბრძოლისუნარიანობა იმის შემდეგ, როდესაც იგი რუსეთმა გამხნევა და გააძლიერა. ამ სტრიქონებიდან ისიც ჩანს, რომ ჩვენი პოეტი გარკვევით უთანაგრძნობს იმ ომებს, რომლებსაც რუსეთი მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ აწარმოებდა მეცხრამეტე საუკუნეში. ქართველთა გმირობისა და ვაჟკაცობის ასპარეზად პოეტის მიერ სწორედ ეს ომებია დასახული.

ასე მსჯელობს დავით მაჩაბელი. როგორც ვხედავთ, ახალ პირო-



ბებთან შეგუების თვალსაზრისით, თითქოს მოულოდნელად, „თოვლისა“ და „ვარდის“ ავტორი უფრო შორს წავიდა, ვიდრე სხვა რომელიმე ქართველი რომანტიკოსი. ყოველ შემთხვევაში, დავით მაჩაბლის ზემოგანხილულ ნაწარმოებებში გამოხატულებას პოულობს ეპოქის გარკვეული განწყობილებანი და მათი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს.

## IV

დავით მაჩაბლის პოეზიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სიყვარულის მოტივი. ამ მხრივ იგი ქართველი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი საერთო გზის გამგრძელებელია. მისი გაგებითაც სიყვარული უმაღლესი და უზენაესი გრძნობაა.

პოეტი თავისი გულის სატრფოს ასე მიმართავს:

სიბრძნისა ღმერთაჲ! მე შენი სახე  
ყველგან თან მზღვედა გულისა მახე;  
მეოცნებოდა ვით ალეისა ხე;  
ელვად, მნათობად გულს დავისახე.  
სატრფოო! ვარდი, ნამით დამტკბარო,  
ვნახე შლილობდა, ამოდ მწყაზარი,  
კრთოლვიდა მქრქალსა ცაზედ ცისკარი,  
ვსთქვი: არც ეს არის მინერვას დარი.

მგოსანი მწარედ ჩივის თავისი „სიბრძნის ღმერთას“ თვალიდან მოშორების გამო. ამ დროს იგი წონასწორობიდან გამოდის და ნახვის სურვილით აღმოდებული თავის გულისტოლს დაეძებს.

ვრბოდი უდაბნოდ, — ტვერთა ბურვილთა,  
დევნილი ალით ჩემთა სურვილთა,  
ვისმენდი გლოვას ბელბულ ურვილთა  
და წყაროთ კენესას, ესებად წყურვილთა.

წარმოვიდგენდი შენსა მზეობას;  
მაღალს მაგალითს, ტურფას ზნეობას;  
წმინდას სიყვარულს, მის სიტკბოებას,  
ასპარეზობას; ტრფობით მხნეობას,

(„ჩემს მინერვას“)

სიყვარულის გამაკეთილშობილებელ ძალად აღიარება ჩვეულებრივი მოვლენაა თითქმის ყველა ქართველი რომანტიკოსისათ-

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1864 წ., № 5.

ვის. ასევე იქცევა დავით მაჩაბელიც. გარდა ამისა, იგი სიყვარულში ხედავს ისეთ ძალასაც, რომელიც ადამიანს ფიზიკურადაც აკაყვებს და ალომკაცებს. — სიყვარულის ეშხი ძალას მმატებს თვით ბრძოლის ველზე. ომის ქარცეცხლში, სასტიკ და გადამწყვეტ მომენტებში, ხელში ხმალი მაქვს და გულში შენა მყავხარო, — მიმართავს სატრფოს ჩვენი რომანტიკოსი.

შენი ტრფიალი მქნენ უძლეველად;  
კეკლუცთ დაჩაგრულთ პატივის მცველად,  
სიბრძნის მსახურად, სიმათლის მოქმედად  
და წმიდის მცნების თავ შემწირველად.

ვრბოდი საკვდავად ბრძოლისა ველად;  
გულსა შენ მქონდი და ხმალი ხელად;  
შენი ციალი მზეებრ დამწველად  
წამს მომეღვლის ცრემლთ დასაღვრელად.  
(„ჩემს მინერვას“)

უზადო და ზნემადალი სიყვარული, სატრფოსათვის თავდადება თავგანწირვამდე, — გამოხატულებას პოულობს დ. მაჩაბლის მთელ რიგ ლექსებში („ალერსი“, „ლოცვა ტრფიალისა“ და სხვ.). ეს ლექსები ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფილო ჰანგთა ქლერას გვაგონებს.

შუო მივი, მფინე სხივი,  
დილით ძილით აღდგომილსა;  
აგრეაგრე მომეფრქვევი;  
ვიშ მაგ ტურფას შენს ღიმილსა!  
(„ალერსი“)

ან კიდევ:

სახე მისი სასოდ ჩემად,  
კრთოლავს, მაგზნობს, მიჩნს ედემად;  
როს განეციდი განმანათლებს,  
ლეღვაში გულს ვიგებ გემად.  
მან არ იცის, მე თუ მისი,  
სახე მივის ვით მისი;  
ვით ბუღბული ვარდს დავხარი;  
ვით ზამთარი მზარავს მე ისი.  
(„ლოცვა ტრფიალისა“)

დავით მაჩაბლის სატრფილო ლირიკიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი ერთი მაჯამური ლექსი „ჩემსა სატრფოს არც ვარდი ჰგავს არია“. პოეტი ამბობს, რომ მის სატრფოს არც ვარდი ჰგავს და არც ია. იგი ღმერთთაო ზეციერი. შინაარსობრივად აქ განმეორებულია სიყვარულის გრძნობის ის ფაქიზი და ზნემადა-



ლი გაგება, რაც საზოგადოდ მისი სატრფიალო ლექსების დამახასიათებელი ნიშანია. დავით მაჩაბლის ამ ნაწარმოებების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ძველი ქართული მაჯამური ლექსთწყობა. ამ ლექსით დ. მაჩაბელმა თავი გვაჩვენა, როგორც მაჯამური ლექსის თვალსაჩინო ოსტატმა, რაც არც თუ ისე ხშირი მოვლენაა ახალ ქართულ ლიტერატურაში.

ჩემსა სატრფოს არც ვარდი ჰვავს, არია,  
ანგელოზი ანუ ღმერთი არია,  
გასაოცრად მან დამღერა არია,  
ქნარი ჩემი მისმან ხმამან არია.

ვით უგულოს სხივთა სობას მინამა,  
განიბძარვის მიღბუნებდეს მინამა,  
ცრემლმან მისმან მდღეო ტუბილად მინამა,  
გული წყლული მე სამსალთ მინამა.

სიყვარულის ნერგი ცრემლით ახარა,  
იგი ჩემთვის არ ისვენებს ახარა,  
მამ უჩემოთ მისგან რამცა ახარა,  
მან შეშეული აბა ჩემთვის ახარა.

გული გიშერს ვინ რა ახო, ახია,  
ვან აწ შქონან მყის მაქმინა ახია,  
თავმოხრილი საკედავად სდგას ახია,  
შენთვის ლხინი, ჩემთვის ცეცხლი ახია.

ნიკვირს, მზეო, სხივით გულსა ისარე,  
ანუ რისხვით მთლად არ მოსწვი ისარე,  
ვით უცნობი ტრფიალებად ისარე,  
აწ მემსხურბლე ვარდ-გიშერი ისარე!<sup>1</sup>

ასეთია სიყვარულის მოტივი დავით მაჩაბლის პოეზიაში.

დავით მაჩაბლის შემოქმედებაში, ისე როგორც საზოგადოდ რომანტიკოსებს ახასიათებთ, დიდ ადგილს იჭერს რომანტიკული ფანტასტიკა-გატაცებანი. ამ ხასიათისაა დ. მაჩაბლის ლექსი „უმანკოება“. პოეტის მიერ ოცნებით შექმნილი უმანკოება მზეობს, მთვარობს, ანდამატობს, მხნეობს, მიმზიდველობს და მწველობს კიდევ. „უმანკოება“ ერთ-ერთი ძლიერი ნაწარმოებია დ. მაჩაბლის შემოქმედებაში. აქ პოეტის ფანტაზია — ოცნების ქვეყნის რომანტიკული ძიება რუსთველური ლექსთა რხევით არის გადმოცემული.

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2056.

ვიხილე ვარდი მწყრალობდა, ცრემლითა გულ-მქეხარობდა,  
 ია თავ დახრილ მკერთალობდა, შროშანი ფერით მქრქალობდა,  
 სოსანი თრთოლვით მზრალობდა, და სარო განიბჰარობდა,  
 უმანკოება მათ-შორის, მოუწყინებლად ხარობდა. —  
 იგი მთვარობდა, ბადრობდა, კრთოლვიდა, ნათლად ღარობდა,  
 ბროლის ველობდა, ზნეობდა, მწველობდა, მოვლევარობდა;  
 ანდამატობდა, მხნეობდა, მიმზიდველობდა, ზნეობდა,  
 ვალობდა-იაღონობდა, ხმატკბილად მხმობარეობდა<sup>1</sup>.

რომანტიკული ხასიათისაა დავით მაჩაბლის ლექსი „ჩემი ლოცვა“. ნაწარმოებში მოცემულია პოეტის მძიმე სულიერი განცდები, არსებული საზოგადოებრივი მდგომარეობით გამოწვეული. თავისი ეპოქის სინამდვილით დაუკმაყოფილებლობა და პროტესტი ამ სინამდვილის მიმართ ლექსში მთელი სიცხადით, გულწრფელად და დამაჯერებლად არის ამეტყველებული. იგი ბედს უჩივის და ღმერთს ამ ბედისაგან დახსნას სთხოვს. მაგრამ პოეტი რეალურ ცხოვრებას კი არ გაუბრბის; ღმერთს ამ ცხოვრებიდან წაყვანას კი არ სთხოვს, არამედ იმას, რომ იგი (ღმერთი) ადამიანთა ტანჯვით სავსე ცხოვრებაში ჩაერიოს; დამაშვრალს ტვირთი შეუღმსუბუქოს, თვალი აუხილოს და მოჰმადლოს „პური ცხოვრებისა და სასმელი უკვდავებისა“.

პოეტი ღმერთს ასე მიმართავს:

ღმერთო ჩემო! სვენსა ჩემსა ნუ აღვლევებ ჩემდა მკვლელად;  
 ნუ აღმიღებ დასაცემად, სრბად ნუ მსდენი საკიცხველად;  
 სამშვიდესა ნუ მიმიღებ; ნუ მახარებ საშურველად;  
 აღმიხილენ თვალნი და მქნენ შენდა ცრემლთა შემწირველად!  
 მოვედინ სუფევსა შენი, ერთა მოჰფინე ნათელი;  
 გვასწავლე შენი ღიდება, წმინდა არს შენი სახელი,  
 მოგვმადლე პური ცხოვრების და უკვდავების სასმელი;  
 განსაცდელისაგან დაგვიხსენ, ვინ ხარ წამწყმენდის დამხსნელი!<sup>2</sup>

დავით მაჩაბლის ეს ლექსი უდავოდ ნიჭიერი პოეტური სიტყვთა მგრძნობიარე გულიდან ამოხეთქილი. მართალია, ამ სტრიქონებში არ არის მაინცდამაინც საბრძოლო მოწოდება, მაგრამ აქ პოეტი გვევლინება როგორც მგმობელი თავისი ეპოქის ადამიანთა მწარე ხვედრისა და ეს გარემოებაც თავისთავად მნიშვნელოვანია პოეტის საერთო მრწამსის გასათვალისწინებლად.

<sup>1</sup> ჟურნალი „ციცქარი“, 1853 წ., № 4.

<sup>2</sup> ჟურნალი „ციცქარი“, 1857 წ., № 6.



## V

დავით მაჩაბლის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის სისრულით გათვალისწინებისათვის საჭიროა ანგარიში გავწიოს აგრეთვე მის ერთ წერილს, რომელიც 1864 წელს ეურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა. ამ წერილის სათაურია „ქართველთა ზნეობა“, მაგრამ იმ დიდი თემიდან, რომელსაც ეს სათაური გულისხმობს, წერილში განხილულია მხოლოდ ერთი საკითხი, სახელდობრ, ქართული მუსიკის საკითხი. ეს საკითხი იმ დროს აქტუალური იყო. მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ ხალხური შემოქმედების სხვა სახეებთან ერთად ყურადღება მიაქცია ხალხურ სიმღერებს, მისი ჩაწერის, ნოტებზე გადატანისა და გავრცელების საქმეს. მეცხრამეტე საუკუნის 60-70-იანი წლების პერიოდში ამ მიმართულებით ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა გაიშალა.

დავით მაჩაბელი თავისი წერილით სწორედ ამ საქმიანობას ეხმაურება, მაგრამ წერილის ღირსება მხოლოდ ამ ვიწრო პრაქტიკული მიზნით არ შემოიფარგლება. ავტორი საკითხს უფრო ფართოდ უდგება. იგი თავის წერილს იწყებს საზოგადოდ მუსიკისა და ხალხური სიმღერების საერთო დახასიათებით, მისი ზოგადი მიმოხილვით. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მწერალი ქართული მუსიკის ისტორიის ისეთ სათუთ დეტალებში შედის და ისეთ საკითხებზე მსჯელობს, რომ დაინტერესებული ადამიანისათვის ამ დეტალების შესასწავლად შესაძლებელია ხანგრძლივი და საგანგებო შრომის გაწევა გახდეს საჭირო. ავტორი გამოქვეყნებულ წერილში არსებითად ქართული საეკლესიო გალობის საკითხებს ეხება<sup>1</sup>.

ქართული მუსიკის, კერძოდ, გალობის ისტორიის საკმარისად ვრცელი მიმოხილვის შემდეგ დ. მაჩაბელი კონკრეტულ პრაქტიკულ საკითხებზე გადადის. იგი გადაჭრით იწონებს და მხარს უჭერს ქართული მუსიკის საქმისადმი იმ ფართო საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივებას, რომელსაც ადგილი აქვს XIX საუკუნის სამოციან წლებში. მწერალი ანგარიშს უწევს რა გარკვეულ წინააღმდეგობას, რომელსაც წამოწყებული საქმიანობისადმი საზოგადოების ზოგიერთ ფენებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს, საჭიროდ

<sup>1</sup> სქოლიოში მინაწერიდან ჩანს, რომ დ. მაჩაბელს განზრახული ჰქონია დავწერა ანალოგიური ხასიათის რამდენიმე წერილი, რომელთაც გააერთიანებდა საერთო სათაურით — „ქართველთა ზნეობა“.

თელის აღნიშნული საქმის სასარგებლოდ გარკვეული მსჯელობითი ხასიათის დასაბუთებასაც მიმართოს. ეს დასაბუთებაც ლიტერატურის ისტორიისათვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას ავტორის საერთო ცოდნა-განათლების სფეროში შეეყავართ და მის გონებრივ სიუხვესაც გარკვევით გვაგრძობინებს. პოეტი ამბობს:

„გალობა მიუცილებლად სახმარი და სასარგებლოა ყოველთათვის; ყოვლისა ჰასაკისა და სქესისათვის, მდიდართა და ღარიბთათვის, ჰსწავლულთა და უსწავლელთათვის“.

ამის შემდეგ ავტორი ჩამოთვლის გალობის მნიშვნელობას სხვადასხვა ასაკის, მდგომარეობისა და შეგნების ადამიანისათვის ცალკე-ცალკე. იგი წერს:

„ყრმანი გალობით შეეჩვევიან ღვთის დიდებასა და მის მიერ განვითარებულნი მოიპოვებენ სიმშვიდესა და მოთმინებასა, რომელთა მიერ შეჭურვილნი გამოვლენ სრბად წინამდებარესა მათსა სარბიელსა.

„ჰბაბუკნი გალობით დაივსებენ სახმილსა მათში მგზნებარეთა ვნებათასა; ფერხნი მათნი წარემართებიან გზასა ჰეშმარიტსა და მარჯვენა მათი არა შემწიკლოვანდების ცოდვითა; არამედ დაშვრების კეთილსა საქმეთა ზედა. გამოიღებს უკვდავსა ნაყოფსა.

„ჰარმაგნი გალობით, მხნეველნი სახელისა ღვთისა შემწედ თვისად, გამხნევდებიან და განძლიერებულნი ბედნიერად განვლიან სარბიელსა.

„მოხუცებულნი ნუგეშინცემულ იქნებიან. სასიამოვნოს ხმით მგალობელნი ღვთის დიდებისა; ჰაზრთა თვისთა აღავლენენ სახიერს ღვთისადმი; გალობით დასტკბებიან სიცოცხლის საღამოსსა თვისსა და ღმერთსა შევედრებენ სულთა თვისთა გალობით მადიდებელნი.

„ქალნი, გალობით მღალადებელნი ღვთისადმი, არა განიშორებენ ხსოვნიდგან ქალწულებრივისა კეთილ კრძალულებასა და მოთმინებით მიბაძვასა წმინდათა ღვაწლ-შემოსილთა დედასათა; ერთგულ ექმნებიან ჰმართა და სახლთა თვისთა და კეთილად აღზრდიან შვილთა.

„მდიდარნი ტურფისა საღმრთოისა გალობითა ჟამად მაინც განთავისუფლდებიან ამოების რკინის უღლისაგან, საღმრთოს ნათელში გაართობენ სასიამოვნოთა ჰაზრთა, უმანკო მხიარულება ესე განუბნევს მათ აღმურსა, მტანჯველსა მათსა და განუნათლებს გონებასა, ამოთა ანგარიშთა გამო ბნელის ფიქრებით მოცულსა. ივინი გალობით შეექცევიან რა თვისთა კეთილთა მოყვასათანა, გემრიე-



ლად სმენ და სჰამენ ღვთისაგან დიდის უხვეებით მოცემულსა არსობის პურსა, კარგათ მოინელებენ და ძილით განისვენებენ.

„ღარიბნი, გალობით მადლობის შემწირველნი სახიერისა ღვთისადმი, უხილავად მზრდელისა და განმამდიდებელისა მათისა, სიღარიბის ცრემლთა მოიცივენ ზეციერის ცხოვრების ნუგეშითა და თვით გლახაკსაც არსობის პურსა ტკბილად სჰამენ, გალობით განმცხოვნი და ღვთის დიდებაში ტკბილად მიიძინებენ, მომლოდნელი უკეთესისა განთიადისანი.

„სწავლულნი, დამამშვრალნი ღრმათა ფილოსოფიურთა განმსჯელობათაგან, ჟამად დაისვენებენ, გალობით აღმსთობილნი ცად მიმართ და კეთილსიტკბოებით მოყვასათანა, ანუ განმხოლოებაში მგალობელნი იგემებენ სიტკბობასა ოქროვანთა საუკუნეთასა და მარად ნუგეშცემულ იქნებიან ზეციერისა ნათლითა.

„ხოლო უსწავლელნი განსავითარებლად გულის და გონებისა ტურფად წარსთქმიან გალობით ღვთის დიდებასა; კაცთა შორის გამოსჩნდებიან გალობის მცოდნედ, დეეთვლებისთ ესე კეთილ ზნეობად“.

დავით მაჩაბლის ამ მსჯელობიდან, მიუხედავად იმისა, რომ იგი წმინდა პრაქტიკულ მიზანს ემსახურება, ავტორის ინტელექტუალური ძალღონეც იგრძნობა. მიესალმება რა ქართული ხალხური მუსიკის შეგროვებისა და შესწავლის მიზნით წამოყენებულ საქმიანობას, წერილის დასკვნით ნაწილში პოეტი ამბობს:

„გალობა ვითარცა ყოველთა ევროპიელთა მალად განვითარებულთა ქრისტიანეთ სამეფოებში არს მიღებული ერთს უმთავრესს საგნად დასაკნინებლად წმიდისა გემოისა, აგრეთვე ჩვენთვისაც მიუცილებლად საგულეებელ არს ზნეობისა და გემოისა დასაწმენდელად. გალობა მოყვანილი სისრულეში მისცემს ქართველთა უმანკოსა კმაყოფილებასა და ეგოდენ აღამაღლებს წმიდასა ზნეობასა მათსა, რომელ ნივთიერის სოფლის ღარმონით აღიწვევის ზეციერს უზადოს სიტკბობად დაუსრულებელს ღარმონიად. ქართულის გალობით ქართველნი ჰპოებენ თვისსა საკმაოსა ბედნიერებასა, აღამაღლებენ რა კეთილ კრძალულთა პატიოსანთა ჰაზრთა თვისთა ღვთისადმი“<sup>1</sup>.

დავით მაჩაბელი თავისი დამარწმუნებელი მსჯელობითა და გულწრფელი მოწოდებით უდავოდ ეხმარებოდა საზოგადოებრივი აზრის შექმნას იმ ხანად დაწყებული საქმიანობის სასარგებლოდ.

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1864 წ., № 5.

გარდა ამ წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობისა, მაჩაბლის წერილს გარკვეული მეცნიერული ღირებულებაც აქვს. მისი წერილის სახით ჩვენს ხელთაა ერთი მეტად საყურადღებო ნაშრომი ქართული მუსიკის თეორიული კვლევის საქმეში.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ საგანგებოდ ეხება დავით მაჩაბლის ამ წერილს. სახელოვანი მეცნიერი ქართული სიმღერების წარმოშობისა და განვითარების საკითხზე არსებული თეორიების განხილვის დროს დავით მაჩაბლის ამ თხზულებასაც გარკვეულ ანგარიშს უწევს<sup>1</sup>. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს დავით მაჩაბლის წერილის მნიშვნელობაზე.

ასეთია დავით მაჩაბლის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938 წ., გვ. 8—11.

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

### I

გამოჩენილი ქართველი პოეტი, ქართული რომანტიზმის მშვენიერა ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში 1816 წლის 22 ნოემბერს.

მამა პოეტისა თავისი დროისათვის ცნობილი პიროვნება იყო. მელიტონმა კარგად იცოდა რუსული ენა და დიდხანს ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობას კავკასიის მთავარმართებლებთან. მელიტონ ბარათაშვილი აღრევე შეეთვისა რუსულ მართვა-გამგეობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბატონიშვილების სახლის სიძე იყო. საყურადღებოა ერთი მომენტი: 1832 წლის დეკემბრის დღეებში, იმ დროს, როდესაც შეთქმულთა დაპატიმრება დაიწყო, მელიტონ ბარათაშვილი თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს. მომდევნო პერიოდშიც რამდენიმე წლის განმავლობაში იგი ზედიზედ იყო არჩეული იმავე თანამდებობაზე.

მელიტონ ბარათაშვილი პირად ცხოვრებაში, თანამედროვეთა გადმოცემით, ხასიათდება როგორც კულტურული, კეთილგონიერი და კაცთმოყვარე, მაგრამ ამავე დროს მეტად ფიცხი და ქედმაღალი ადამიანი.

დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ეფემია, გრიგოლ ორბელიანის ღვიძლი და იყო. მას უძღვნა გრიგოლმა ლექსი „ჩემს დას ეფემიას“, რომელიც 1835 წელს ქალაქ რიგაში დაიწერა. სამშობლოდან განდევნილმა გრ. ორბელიანმა ეფემიას „შვების ვარსკვლავი“ უწოდა.

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,  
 ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამკნარისა,  
 დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,  
 და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!  
 ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი შვების ვარსკვლავი,  
 შენით ღიმილით შექმუხვნილი სახე მინათლე,  
 შენი აღერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის შორით,  
 და გულ დაჩაგრულს მენატრების კვალად სიცოცხლე!

ასე მიმართავდა გრიგოლ ორბელიანი ეფემიას. თუ მგრძნობიარე პოეტი მას შორიდან ეამბორებოდა, როგორც ღვიძლ დასა და თავისიანს, არანაკლები სიმპათიით ახასიათებენ ეფემიას სხვა მისი თანამედროვეებიც. არსებული ცნობების მიხედვით ეფემია წარმოგვიდგება როგორც კეთილგონიერი და ზნემაღალი მანდილოსანი, ქართული მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების ზედმიწევნით მცოდნე და ოჯახისათვის უანგაროდ თავდადებული დედა, ასე რომ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებაში გაერთიანებულია, ერთი მხრივ, მამის სიფიცხე-დაუდგრომლობა და მეორე მხრივ — დედის სინაზე-სათნობა.

მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი ერთ პერიოდში მეტისმეტად ხელგაშლილად ცხოვრობდა. კონსტანტინე მამაცაშვილის გადმოცემით, მელიტონ ბარათაშვილის სადილები განთქმული იყო მთელს თბილისში. მუდმივმა სტუმრიანობამ და უანგარიშო ხარჯვამ ბარათაშვილის ოჯახი თანდათან გააღარიბა. მომავალი პოეტის ცხოვრება რამდენადაც ბავშვობის წლებში ერთგვარად უზრუნველად მიმდინარეობდა, იმდენად გიმნაზიის დამთავრების შემდგომ გარკვეული ხელმოკლეობით ხასიათდება. ყოველ შემთხვევაში, ნიკოლოზ ბარათაშვილი ჭაბუკობიდანვე იძულებული გახდა თვით ეზრუნა შევიწროებული ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფისათვის.

მელიტონ ბარათაშვილის ოჯახთან დაახლოებული იყვნენ იმდროინდელი ქართველი მწერლები და მოღვაწეები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვები.

პატარა ნიკოლოზმა წერა-კითხვა თავისივე ოჯახში შეისწავლა დედისაგან. 1827 წელს იგი მიიბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა. პოეტის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი ბარათაშვილის მოწაფეობაზე მოგვითხრობს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა. უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარულის ხასიათით, სიძარდით. პირველი მოტანცავე იყო საკუთრად ლექურისა. ყველასაგან საყვარელი ამხანაგი“<sup>1</sup>.

გიმნაზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა რვა წელიწადი გაატარა. ამ პერიოდიდან მის ცხოვრებაში საყურადღებოა მთელი რიგი მოვ-

<sup>1</sup> კ. მამაცაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1893 წ., გვ. 3.



ლენები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ მომავალი პოეტის იდეური ჩამოყალიბების საქმეში. ნიკოლოზ ბარათაშვილის გამნაზიელობის პერიოდზე ოფიციალური ხასიათის მასალები შედარებით ნაკლებად მოგვეპოვება. ასეთი ცნობები უმთავრესად გადმოცემების სახით არის შემონახული.

გავეცნოთ მხოლოდ დამახასიათებელ ეპიზოდებს, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ პოეტის ცხოვრების გათვალისწინებისათვის მოსწავლეობის პერიოდში.

როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ჭაბუკ პოეტზე, სოლომონ დოდაშვილი იყო.

გამნაზიის პერიოდთან არის დაკავშირებული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების დასაწყისი. მართალია, მოწაფეობისდროინდელი ნაწერები მთლიანად არ შემონახულა, მისი ამ პერიოდის შემოქმედებიდან მხოლოდ ორიოდ ლექსია ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ აქ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ერთ გარემოებას: ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, განსაკუთრებით ყრმობის პერიოდში, დიდად განიცდიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ რაზმაძისა და სოლომონ დოდაშვილის ნაწერების გავლენას. გასაგებია, რომ ნ. ბარათაშვილის იმდროინდელი ლექსები არსებული წყობილებისადმი პროტესტის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც მოსალოდნელია, რომ შეთქმულების გამომყვანების მომენტში ახალგაზრდა პოეტი იძულებული გამხდარიყო თავისი ნაწერების ერთი წყება თვითონვე გაენადგურებინა.

ზაქარია ჭიჭინაძეს გადმოცემული აქვს პოეტის ერთ-ერთი თანამედროვის გრიგოლ გურიელის ნაამბობი იმის თაობაზე, რომ პოლიციისაგან გაჩხრეკის მოლოდინში ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისივე სახლში ცეცხლს მისცა ნაწერების მთელი კონა.

გრიგოლ გურიელს უთქვამს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზედ ვიჯექით, ნიკ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაჩხრეკენო. მას ბევრი ლექსები აქვნდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი. იგი მალე წავიდა სახლში. მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო ეს დაიწო და გამჩხრეკნიც მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრიკეს ყველაფერი. მერე ნიკ. ბარათაშვილს სხვადასხვა ლექსებს უჩვენებდნენ და ჰკითხავდნენ, რომ ეს

ლექსი შენი დაწერილია? ნიკ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა<sup>1</sup>.

მოყვანილი ამონაწერი უდავოდ საყურადღებოა ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის შესწავლისათვის. ეს ცნობა შექმნის რამდენიმე საინტერესო მომენტს: ჯერ ერთი, ამით ნათელი ხდება, რომ შეთქმულთა დაპატიმრების შემდგომ პერიოდში ნ. ბარათაშვილი ცნობილი იყო როგორც თვითმპყრობელური ხელისუფლებისათვის არასაიმედო ახალგაზრდა. ამავე დროს პოლიცია მას დაკითხვისას აჩვენებდა ისეთ ლექსებსაც, რომელნიც ოფიციალური ორგანოების ხელთ იყო, ხოლო მან თვითონ ცეცხლს მისცა ნაწერების ერთი წყება გაჩხრეკის მოლოდინში. მაშასადამე, 1833 წელს, როდესაც ნიკოლოზ ბარათაშვილი თხუთმეტი წლისა იქნებოდა, გარკვეული ლიტერატურული ცდები მას უკვე ჰქონდა.

1833 თუ 1834 წელს თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა წრის მიერ გამოცემულ იქნა ხელნაწერი ანთოლოგია. ანთოლოგიაში ძველი ქართული ლიტერატურიდან შეტანილია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნაწყვეტი, ხოლო დანარჩენი მასალა მთლიანად მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების მწერლობას განეკუთვნება. აქ წარმოდგენილია ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, ვიორგი ერისთავის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ თუმანიშვილის, დავით მაჩაბლისა და დავით ყორღანაშვილის თხზულებები, ორიგინალური და თარგმანები. ანთოლოგიის გამოცემის ინიციატივა მოსწავლეთა წრის მეთაურებს ეკუთვნით, ხოლო გადაწერა იგი მიხეილ თუმანიშვილმა, ანთოლოგია მნიშვნელოვანი მოვლენაა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ მისი გამოცემა თავისი დროისათვის გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯიც იყო გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ გადადგმული. რასაკვირველია, გარკვეული გამბედაობა იყო საჭირო, რომ შედგენილიყო კრებული, სადაც თავმოყრილი იქნებოდა თხზულებები მწერლებისა, რომელთა უმრავლესობა პოლიტიკურ პატიმრობაში იმყოფებოდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ღვაწლი დასახელებული ანთოლოგიის გამოცემის საქმეში ორმაგი ხასიათისაა. ჯერ ერთი, იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი მასალების შეკრება-გამოცემისა. შემდგომ, ანთოლოგიაში მოთავსებულია მისი ხუთი ლექსი: „ვარდი და ია“,

<sup>1</sup> ზ. კიკინაძე, სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1919, გვ. 17.





„ნარგიზი და ყაყაჩო“, „ვარდი და ბულბული“, „კავკასიური მოთხრობა“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ“<sup>1</sup>.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის მოსწავლეობის პერიოდიდან საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც მნიშვნელოვანია ახალგაზრდა პოეტის სრული დახასიათებისათვის. 1833 წელს თბილისის გიმნაზიაში არსებულმა მოსწავლეთა თვითმოქმედმა წრემ ქართული ლიტერატურული საღამო გამართა. მოსწავლეთა მიერ ჩატარებულ საღამოს დასცინა ქალაქის მეშჩანურმა ნაწილმა. დაცინვა, როგორც ჩანს, მწვავე იყო. ამან სასტიკად იმოქმედა საღამოს მეთაურებზე და განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილზე. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, რომ დამცინავთათვის სამაგიერო გადაეხადათ. მოსწავლეები არ დაერიდნენ იმ მკაცრ რეჟიმს, რომელიც გიმნაზიაში შეთქმულების გამომჟღავნების შემდგომ განსაკუთრებით საგრძნობი იყო, და გადაწყვიტეს შური ეძიათ.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაწერა სატირული ლექსი საღამოს დამცინავთა წინააღმდეგ. მოსწავლეებმა ლექსი კონვერტში მოათავსეს და ქუჩაში გადაადდეს, მაგრამ რადგან უბრალოდ გადაადდებს არავითარი შედეგი არ მოჰყვა, მაშინ ხელმეორედ გადაწერეს იგი და ფოსტით გაუგზავნეს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს თავად ფალავანდიშვილს.

გუბერნატორისათვის გაგზავნილი სატირის შინაარსი ჩვენთვის ცნობილი არაა, რადგან იგი არ მოღწეულა. თუ ვიმსჯელებთ იმის

<sup>1</sup> ეს საინტერესო ანთოლოგია მთელი ასეული წლის განმავლობაში უცნობი იყო. იგი პირველად მიაგნო და მეცნიერულად დამუშავა მკვლევარმა სერგი გორგაძემ. მან თავისი შრომა ჯერ მოხსენებლად წაიკითხა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე, ხოლო შემდეგ გამოქვეყნა იგი (ეურნალი „დროშა“ 1924 წ., № 16-17). მკვლევარი სამართლიანად აცხადებდა, რომ ანთოლოგიაში მოთავსებული ხუთი ლექსიდან „ვარდი და ია“, „ნარგიზი და ყაყაჩო“ და „კავკასიური მოთხრობა“ ამ აღმოჩენამდე სრულიად უცნობი იყო, ხოლო „ვარდი და ბულბული“ და „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ცნობილი ლექსების ვარიანტებია. ანთოლოგიის დათარიღებისათვის სერგი გორგაძემ ასეთი მოსაზრება წამოაყენა: გადაწერილია იგი 1833—1836 წლებს შორის, სახელდობრ, 1835 წელს, ან, შესაძლოა, 1834 წელსაც სანამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ვარდი და ბულბული“ მიიღებდა რედაქციას („ბულბული ვარდზედ“). მკვლევარის მიერ წამოყენებულ ამ მოსაზრებას, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ ეს თარიღი ჯერ კიდევ საცილობელია.

მიხედვით, რა გამოხმაურებაც მას მოჰყვა, შესაძლებელია ითქვას, რომ სატირა მართლაც მკაცრი უნდა ყოფილიყო. იგი ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამოხმატველი, არსებული პოლიტიკური რეჟიმის საწინააღმდეგო შინაარსის ნაწარმოები ყოფილა. ამის გარეშე შეუძლებელია აიხსნას ის სასტიკი რეპრესიები, რომელიც ამ ლექსს მოჰყვა. საქმეში ჩაერია პოლიცია, პროკურორი და თვით მთავარმართებელიც კი.

ამის თაობაზე იონა მეუნარგია წერს:

„იმავე სალამოს სასწავლებელში მოვიდნენ უეცრივ: ქანდარმის აფიცერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი. შეიხმეს ოთახში მონასტირსკი და დაუწყეს კითხვა. ამხანაგებმა კაცი აფრინეს ტატოსთან (ტატო თუმცა პანსიონში იყო, ღამ-ღამე შინ მიდიოდა). მაგრამ მთავრობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლავდა: მთავარმართებლის როზენის ბრძანებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი, გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამრიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზგით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ვოლტერს თავის სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინაღამ სული ამოართვა, იმდენი სცემა“<sup>1</sup>.

ასეთია მოსწავლეთა წრის მიერ მოწყობილი ერთი ლიტერატურული სალამო, მასთან დაკავშირებული სატირისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დასჯის ისტორია. გასაგებია, რომ ამ შემთხვევას გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა ახალგაზრდა პოეტის შეგნებაზე, სიკვამლეის პერიოდში ზედიზედ მიღებული რამდენიმე სასჯელი — ბინაზე გაჩხრეკა, ფიზიკური შეურაცხყოფა და სხვა — მომავალ დიდ პოეტს საზრდოს აწვდიდა არსებული თვითმპყრობელური ხელისუფლებისადმი უნდობლობისა და სიძულვილისათვის.

## II

1835 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილმა გიმნაზია დაასრულა.

ახალგაზრდა პოეტს გულით ეწადა, რომ უმაღლესი სწავლა-განათლება მიეღო. ამაზე იგი ჯერ კიდევ გიმნაზიელობის დროიდან

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, I, 1954 წ., გვ. 197.



ოცნებობდა, მაგრამ როდესაც დრო დადგა, მისი ოჯახი უკვე სახსარს მოკლებული აღმოჩნდა. ჯერ იყო-და, ხელგაშლილმა ცხოვრებამ ბარათაშვილის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა საგრძობლად შეარყია. ამას დაემატა ისიც, რომ სწორედ 1835 წელს მელიტონმა ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობა გამოიარა. ერთი სიტყვით, ნიკოლოზ ბარათაშვილს თავისი მშობლებისაგან დახმარების იმედით უმაღლეს სასწავლებელში გამგზავრების შესაძლებლობა აღარ გააჩნდა. პოეტის ნათესაეები და მეგობრები გრძობდნენ, რომ ახალგაზრდა ბარათაშვილს უმაღლესი განათლება უნდა მიეღო, მის დიდ ნიქს გასაქანი უნდა მისცემოდა, მაგრამ ისინი იმასაც ხედავდნენ, რომ მელიტონის ოჯახს საამისო სახსარი არ ჰქონდა.

საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს გრიგოლ ორბელიანის მიმოწერა ზაქარია ორბელიანთან. გრიგოლმა, რომელიც იმ დროს რიგაში იმყოფებოდა, ზაქარიას წერილით იცოდა მელიტონ ბარათაშვილის ავადმყოფობის ამბავი და ამის გამო დიდად წუხდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ თავისი ძმის მეშვეობით გრ. ორბელიანს მელიტონის გაჯანსაღებაც გაუგია. ამ ამბით ნასიამოვნები პოეტი მორიგ წერილში კვლავ იხსენიებს ბარათაშვილის ოჯახს. ეს წერილი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ გრ. ორბელიანი ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის სწავლის საკითხს.

გრიგოლ ორბელიანი, რომელიც დიდად აფასებს ახალგაზრდა ბარათაშვილის ნიქს, მოუწოდებს, რომ მიიღონ ყველა ზომა და იგი უნივერსიტეტში გაგზავნონ.

გრ. ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას სწერს:

„ვმადლობ ღმერთსა, რომ მელიტონ მორჩა, რომლის იმედი არ მქონდა, შენის მოწერის მიხედვით. — ეგ სინდლიანი! რა დაემართა? — ჩემს საყვარელს დას ეფემიას თავის შვილებით დავჰკოცნი! ახა, ანგელოზო ჩემო! რათ დამივიწყეს, რომ ერთის წიგნით აღარ მახსენეს. — რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას ჰსწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს на казенном иждивении იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. — Жаль очень жаль, будет если его умственные способности останутся без развития. ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში. — ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰსთხოვს ბარონს“<sup>1</sup>.

ასე მსჯელობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიქის პატივისცემ-

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1922 წ., გვ. 243.

ლები, მაგრამ საქმეს მაინც ვერაფერი ეშველა და უმაღლესი სწავლა-განათლება პოეტისათვის მიუწვდომელ ოცნებად დარჩა. იმავე ხანებში ბარათაშვილს სხვა მისწრაფებაც ჰქონდა: მას სამხედრო სამსახური ეწადა, მაგრამ ვერც ამ მიზნის განხორციელება შეძლო. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში კიბიდან გადმოვარდა, ორივე ფენი მძიმედ დაიშავა და ამის გამო იგი სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარი გახდა. ამგვარად, ნ. ბარათაშვილმა ორი უმთავრესი მისწრაფებიდან ვერც ერთის განხორციელება ვერ შეძლო.

გიმნაზიის დამთავრების მომდევნო წლები ნ. ბარათაშვილის პირად ცხოვრებაში აღინიშნება როგორც ძიებისა და მოუსვენრობის პერიოდი. პოეტი თავის გარშემო არსებულ სინამდვილეში სიმშვიდეს ვერ პოულობს. იგი დრტყინავს, ისწრაფვის, რომ თავისი ხვედრი ამოიკითხოს ცხოვრების დუდილში. ნიკოლოზ ბარათაშვილის იმდროინდელი სულიერი მდგომარეობა, მისი მაძიებელი ბუნება შესანიშნავად არის მოცემული ლექსში „ხმა იღუმალი“, რომელიც 1836 წელს დაიწერა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობს:

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?  
რად აქვს გულს ესე ჩემი ნაღველი?  
რა ვსცან პირველად წუთისოფელი,  
დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი  
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის  
სწორთა, თანზრდილთა, შეგობართ შორის, —  
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა  
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!  
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად  
სულ ერთსა მიწერთნის გულისა ჭირად:  
„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
ვინძლო იპოვო შენი საშვენი!“  
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,  
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!  
ნუთუ ხმა ესე არს ხმა ღვეწისა  
შეუწყალისა სინიღისისა?  
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,  
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა.  
ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?  
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწაევბ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას ვანუშზადებ?  
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,  
როს მხვედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..



ამ სტრიქონებში უდავოდ იცნობა ადამიანი, რომელსაც ცხოვრება სწყურია, იცნობა მოწინავე კაცი, რომელსაც იღუმალი ხმა ჩასძახის, რომ თავისი ხედვრი ეძიოს. მაგრამ ეპოქის სინამდვილეზე გულგატეხილი პოეტი მაინც გარკვევით ხედავს, რომ ხედვრსა თვისსა ვერსად ვერ პოებს და, მაშასადამე, კაეშანს ვერღა იქარვებს.

ამ დიდი მისწრაფების ადამიანს ცხოვრების ყველა გზა ეხშობა და იგი სამსახურს იწყებს კანცელარიის უბრალო მოხელედ. გასაგებია, რომ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ნიკოლოზ ბარათაშვილი კმაყოფილი სრულიადაც ვერ იქნებოდა. მსახურობდა იგი მხოლოდ იმისათვის, რომ ოჯახის ყოველდღიური მოთხოვნილება უზრუნველყო. თუ რამდენად მძიმე იყო პოეტისათვის სამსახურებრივი მდგომარეობა და რამდენად მწვავედ განიცდიდა იგი საკუთარი მიზნების მიუღწევლობას, ამას ადასტურებს მისი პირადი წერილი გრიგოლ ორბელიანთან 1837 წლის დამდეგს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძას სწერს:

„აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სულაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიღრე სამსახურში შევიღოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჭარის-კაცობა. იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა. თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ, როდესაც ფერხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვჰხტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისაგამო, მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ მის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწყესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმცა ხანდისხან ჭავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვი-

ლის აღსრულება. რადგანაც ასე მოხდა, მამ აქ ეკსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნე. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის, რომ **круг чиновников не выгоден для образования нравственности**, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

„ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ქეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, არა ვაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!“<sup>1</sup>

ასე აფასებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი იმ ატმოსფეროს, რომელშიც იგი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოექცა. იმავე ატმოსფეროში დაჰყო პოეტმა სიცოცხლის დიდი ნაწილი. ბიუროკრატიული კანცელარიის უხალისო საქმიანობაში გაატარა მან დაახლოებით რვა წელიწადი. ბარათაშვილის პირადი მიმოწერა ამ პერიოდისა ცხადად მეტყველებს იმ მწვავე სულიერ მდგომარეობაზე, რომელსაც იგი საკუთარი ზვედრის გამო განიცდიდა. დამახასიათებელია პოეტის ერთი წერილი მაიკო ორბელიანთან, რომელშიც იგი გულახდილად მოუთხრობს მეგობარს თავის მარტოობაზე, სულით ობლობაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ადამიანურ განცდებს მაიკო ორბელიანს ასე აუწერს:

„კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. — არ დაიჯერებ მაიკო! სიცოცხლე მამძლებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უჯულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია; ვისაცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1837 წლის ოქტომბრის თარიღით.



სულმა, სად მიიდრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ. ქეშმარიტად, მაიკო ასე გულცივად ჭერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული“<sup>1</sup>.

მოყვანილი სტრიქონებიდან კარგად იგრძნობა ჩვენი პოეტის მძიმე სულიერი მდგომარეობა, მისი დრტვინვა და მღელვარება. ამ წერილის ყოველი ფრაზა მკითხველის გულის საძიარკვევლს სწვდება და აღელვებს. საჭიროა გამოირკვეს ეს სულიერი მღელვარება შემთხვევითი, ეპიზოდური ხასიათისაა თუ ჩვეულებრივი — დამახასიათებელი, და შემდგომ — პოეტის ეს პესიმიზმი ვიწრო პირადული მიზეზებით არის გამოწვეული თუ ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის საფუძველს ემყარება?

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ის მძიმე სულიერი განწყობილება, რომელიც ნ. ბარათაშვილის ამ ერთი წერილიდან იგრძნობა, დამახასიათებელია მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლისათვის. ანალოგიური სევდა-ნალღველი ამოიკითხება თითქმის ყველა წერილში, რომელიც პოეტის ხელიდან გამოსულა. შემთხვევითი არ არის ნ. ბარათაშვილის სიტყვები: კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამაო. სწორედ ეს მოწყინება იყო მისთვის მუდმივი და ჩვეულებრივი. მართალია, პოეტის ცხოვრებაში იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც იგი ეძლეოდა თავდავიწყებას — ლხინს, ქეიფს, დროსტარებას, მაგრამ ასეთი შემთხვევები იყო სწორედ ეპიზოდური, დროებითი და წარმავალი, რომლის შემდგომ მას კვლავ დაუფლებოდა ხოლმე მისთვის ჩვეული მოწყენილობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმი არ აიხსნება პოეტის მხოლოდ პირადი მდგომარეობით. რასაკვირველია, მის ცხოვრებაში იყო მთელი რიგი მომენტები, რომელთაც მნიშვნელობა ჰქონდა პესიმისტური განწყობილების შესამუშავებლად, მაგრამ პირადულთან ერთად მის პესიმიზმს საზრდოს აძლევს ეპოქის საერთო მდგომარეობა, მის ირგვლივ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო. საერთო საზოგადოებრივი გულგატეხილობა, საერთო გრძნობა უდროობისა და მასთან შეერთებული პოეტის პირადი სევდა-უკმაყოფილება წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელმაც ბარათაშვილის სევდა-ნალღველი განაპირობა.

საინტერესოა პოეტის თანამედროვის კონსტანტინე მამაცაშვი-

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, წერილი მაიკო ორბელიანისადმი, 1842 წლის 31 ოქტომბრის თარიღით.

ლის მიერ გადმოცემული ერთი ეპიზოდი ნ. ბარათაშვილის ცხოვრებიდან. მამაცაშვილის მოგონება კარგად გვაგარძნობინებს ჩვენი მგოსნის პირად ვანცდათა მჭიდრო კავშირს საერთო საზოგადოებრივ განწყობილებებთან. როდესაც ვაკვირდებით პოეტის სულიერ განცდებს და ტკივილებს, ვგრძნობთ, რომ იგი უჩივის არა საკუთარი სულით თბლობას მხოლოდ, არამედ იმ თბლობასაც, რომელიც საერთო იყო მთელი პროგრესული ინტელიგენციისათვის იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მკაცრი რეჟიმის ეპოქაში.

კონსტანტინე მამაცაშვილი წერს:

„მახსოვს ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოთ გარეთუბანს (ახლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარულად იყო და თავისებურად მშვენიერათ ხუმრობდა. მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზე 18-ის საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზე, ჩვენის თბილისის წახედენაზე 1795 წელსა, 12 სექტემბერს და სხვ...“

„ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით, თავ-ჩაღუნულნი და მოწყენილი“<sup>1</sup>.

მოყვანილი ამონაწერი კარგად გვაგარძნობინებს ჩვენი მგოსნის სასოწარკვეთილების მიზეზს. ბარათაშვილი ცრემლებს ჰღვრიდა ქვეყნის წახედენაზე, იმ უბედურებაზე, რომელსაც მწვავედ განიცდიდა მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია პოეტის ეპოქისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული შემოქმედება გამომხატველია იმ საერთო სევდა-ნაღველისა, რომელიც მისდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია. მაგრამ ეს არის ერთი მხარე ბარათაშვილის პოეზიისა და არა მთელი მისი პოეტური მრწამსი. აწმყოზე გულგატეხილი მგოსანი ამავე დროს მომავლის იმედინობასაც გარკვევით აღიარებს. მას საკუთარი თავგანწირვა მომავლის სამსხვერპლოზე მიაქვს. ეს არის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა.

### III

1844 წლის შემოდგომიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი სამსახურში ვადადის ნახჭევანს. ამ დროს ნახჭევანის ყოფილი სახანოს მმარ-

<sup>1</sup> კ. მამაცაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1893 წ., გვ. 5.





თველად ინიშნება პოეტის მეგობარი ლევან მელიქიშვილი და მას ნ. ბარათაშვილიც თან მიჰყავს თავის მოადგილედ. ნახჭევანში ცხოვრებით ჩვენი პოეტი კმაყოფილი სრულიადაც არ ყოფილა. იმდროინდელი მისი პირადი წერილებიდან გარკვევით იგრძნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის აშკარა უკმაყოფილება სამსახურებრივი მდგომარეობით. პოეტს განსაკუთრებით უმძიმდა ნაცნობ-მეგობრებისაგან შორს ყოფნა, მშობლიური ქვეყნისაგან დაშორებით ცხოვრება. პირად მიმოწერაში მაიკო ორბელიანისადმი ნ. ბარათაშვილს გადმოცემული აქვს ლევან მელიქიშვილისა და თავისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი. ამ ეპიზოდის გაცნობით მკითხველს საშუალება ეძლევა წარმოიდგინოს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი ცხოვრება ერთად ყოფნის მთელს მანძილზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს სწერს:

„ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე ვითხრა. ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არისრა! ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს ჰსწყევლის. აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი თუ რა მოუვიდეს. — ეს ერთი კაცი გვყავდა პოლკოვნიკი ფორსტენი. ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დავრჩით!“

ნახჭევანის უხალისო ცხოვრება განჯამ შეცვალა. 1845 წლის ზაფხულზე ნიკოლოზ ბარათაშვილი მოადგილედ გადაიყვანა მამუკა ორბელიანმა, რომელიც განჯის ყოფილი სახანოს მმართველად მსახურობდა. განჯაში ნ. ბარათაშვილმა რამდენიმე თვე იცხოვრა მხოლოდ. იგი ჩქარა შეიპყრო ადგილობრივად გავრცელებულმა მალარიამ და ამ სენმა იმსხვერპლა კიდევ ჩვენი მგოსანი. 1845 წლის ოქტომბერში ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა. იგი განჯაში დაასაფლავეს, რუსი მართლმადიდებლების პატარა საყდრის გალავანში. ასრულდა პოეტის წინასწარმეტყველება:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლეში მისი არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა. გარდაცვალების შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მის ნეშტს სამშობლოს მიწა არ ღირსებია, მაგრამ ნ. ბარათაშვილის, როგორც დიდი პოეტის, სახელი თანდათან

პოპულარული ხდებოდა. თუ პირველ ხანებში მისი თხზულებები ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ორმოცდაათიანი წლებიდან უკვე მათი ბეჭდვა იწყება. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილს დიდი სამსახური გაუწია გიორგი ერისთავმა. გ. ერისთავმა 1852—1853 წლებში ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის მთელი რიგი ლექსები. ამით მან, ჯერ ერთი, ეს ნაწარმოებები მოსალოდნელ დალუპვას გადაარჩინა, და, მეორეც, თუ აქამდე ნ. ბარათაშვილის შემოქმედება ვიწრო ლიტერატურული წრეების საკუთრებას შეადგენდა, ბეჭდვის საშუალებით მკითხველთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ხდება. ეს უბრალო დამსახურება როდია გ. ერისთავის მხრივ.

ანალოგიური სამსახური გიორგი ერისთავმა სხვა მწერლებსაც გაუწია. ერისთავის „ცისკარში“ დაიბეჭდა თეიმურაზ პირველის, დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვა მწერალთა თხზულებები. მაგრამ თუ დასახელებულ ავტორებს გ. ერისთავი პატივს სცემდა როგორც ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლებს, ნიკოლოზ ბარათაშვილთან მას პირადი მეგობრობაც აკავშირებდა.

გიორგი ერისთავის უანგარო და გულწრფელი დამოკიდებულება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი კარგად არის გადმოცემული მისსავე ლექსში „ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ“, რომელიც 1852 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნდა. „გაყარის“ ავტორი ქეშმარიტად გულთბილი სტრიქონებით მიმართავს ნიკოლოზ ბარათაშვილს:

პოი, ჰაბუკო, ახლად სოფელს კნინ გადაშლილო,  
 ყოვლის კეთილით აღსავსეო მამულის შვილო,  
 რა სოფელს შეხველ, სათნოება ისხივ-ცისკარე,  
 შენ მშობელს მამულს რად შემოსწყერ ოხლად დაგეყარე?  
 იქნებ სოფლისა მღელვარება ვერ შეიწყინარე?  
 ანუ ანგელოსთ შეიშურეს და აღგაფრინეს,  
 თვისთა გუნდ შიგან დაგამკვიდრეს ფრთენი შეგასხეს?  
 რაც მიგვეფარე ცას შეეცქერი და დღე ბნელდების,  
 უუარებ ტატო რომლის ვარსკვლავით გამობრწყინდების,  
 თითქო გხედავ შენ მოარულსა რძისა გზაზედან,  
 და მკიურ მცხოვრებთ უგალობებ დამღერ ჩანგზედან,  
 ანგელოსთ დასნი, გეხვევიან ყურს დაგიგდებენ,  
 შერე ცის სიერცეს ლაქვარდოვანს განაუარდებენ?  
 ვგონებ ჭმუნვათა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას,  
 ხედავ რა შენ ძმათ თვისსა შორის შურსა, მტერობას,

მაგრამ შეგვინდონ, შეგვედგინოთ ცისა მცხოვრებთა,  
 და ნუ მოგვიტოხვენ, სოფლიურსა ჩვენთა ცოდვებსა.

ასე წერდა გიორგი ერისთავი ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების გამო და ამ სიტყვებში მოცემულია მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სიმპათია უდროოდ დაღუპული პოეტისადმი. გიორგი ერისთავის ამ ლექსმა და მის მიერ ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ბეჭდვამ გარკვეული როლი შეასრულა გენიალური პოეტის გარშემო საზოგადოებრივი აზრის შემუშავების საქმეში.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან კიდევ უფრო ცხოველდება ინტერესი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს რუსეთში დაწერა თავისი ცნობილი ლექსი „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“. ახალგაზრდა ილიამ ნ. ბარათაშვილის უდროოდ გარდაცვალებას ქართველი ხალხის უკეთეს ფიქრთა დამარხვა უწოდა.

ვია, დავკარგეთ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი!  
 ვინ უწყის, რადენი საუნჯენი დამარხეთ ჩვენა,  
 ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,  
 რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით ჩვენ ჩაგვესვენა?

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსით გახსნა. „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში ჯერ დაბეჭდილია ნ. ბარათაშვილის ელეგია „შემოღამება მთაწმინდაზე“, ხოლო შემდგომ თვით ილიას ნაწარმოებები „ჩემო კალამო“, „მუშა“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ.

სამოცდაათიანი წლებიდან დაწყებული, მრავალტირაციანი ჟურნალ-გაზეთების წყალობით, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სახელი კიდევ უფრო პოპულარული ხდება. პოეტისადმი საყოველთაო სიყვარულის ზრდასთან ერთად დღის წესრიგში დგება მისი ნეშტის სამშობლოში გადმოტანის საკითხი. მეფის თვითმპყრობელობის ადგილობრივი ხელისუფლება დიდხანს უყურადღებოდ ტოვებდა პოეტის ნათესავებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შუამდგომლობას მისი გადმოსვენების თაობაზე. მხოლოდ 1893 წლის დამდეგს მიღებულ იქნა საჭირო ნებართვა.

1893 წლის 25 აპრილს (ძველი სტილით) ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისში ჩამოასვენეს. მთელი ქართველობა დიდის ამბით შეხვდა ეროვნული მგოსნის ნეშტის მშობლიურ მი-

წაზე გადმოტანას. ამ შემთხვევას გიორგი წერეთლის ჟურნალი „კვალი“ ასე აგვიწერს:

„დღე იყო ღრუბლიანი, დილით ცოტათი წინწყლავდა. ქალაქიდან ხალხი მიეშურებოდა რკინიგზის სადგურზე, დიდი. პატარა, ქალი და ჩვილი, ყველანი იქ მიისწრაფოდნენ, გულის ძვერით მოელოდნენ თვალი მოეკრათ დიდებულის ქართველის ნეშტისათვის. გაისმა რკინიგზის სადგურზე მწყობრი, გულის სიღრმემდის მისაწვდენი ტკბილი ხმა ქალების გალობისა: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“... ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვლებიც ამდგარიყო და მოდიოდა დიდებით თავის სამშობლოში. ერმა მუხლი მოუყარა თავის მოშავლის სვე-ბედის წინასწარმეტყველსა. მას უშლიდნენ წინ მუხისა, დაფნისა და პურის თაველებისაგან შეკრულს გვირგვინებს. ერი ჰვალობდა „წმინდაო ღმერთოს“ და ამ დიდებით გაჰყვა იგი დიდუბის ტაძრამდის, სადაც მას მოელოდა სამშობლო მიწა, რომ მიეღო საუკეთესო დაკარგული შვილი თავის კალთაში, ზედ დაეფრქვია მდულარე ცრემლი საქართველოს დიდებისა და იმით გაეტბო ორმოცდა რვა წლის გაყინული ძვლები პოეტისა უცხო ქვეყანაში“<sup>1</sup>.

მოტანილი ამონაწერი საკმაო წარმოდგენას იძლევა იმ საერთო გამოხმაურებაზე, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებას მოჰყვა. ამ შემთხვევის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი ხდება მაშინ, როდესაც ვეცნობით მეფის პოლიციის საიდუმლო მიმოწერას ნ. ბარათაშვილის გადმოსვენების დღეს მომხდარი მოვლენების გამო. ეს ოფიციალური დოკუმენტი ხაზს უსვამს იმ საყოველთაო მოძრაობას, რომელიც ამ შემთხვევამ გამოიწვია და მას ერთგვარ პოლიტიკურ იერსაც აძლევს.

პოლიციის მიმოწერის შინაარსი ასეთია:

„ქართველებმა ხელახლა წამოაყენეს მივიწყებული საკითხი განჯიდან თბილისში ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა. ნ. ბარათაშვილი გარდაიცვალა ამ საუკუნის დამდეგს და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოსვენენ თბილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას.

„კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც

<sup>1</sup> ჟურნალი „კვალი“, 1893 წ., № 18.



კი ცდილობდნენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს<sup>1</sup>.

ასე შეაფასა მეფის პოლიციამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებული მოვლენები. ეს ოფიციალური დოკუმენტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ განსაკუთრებულ სიუვარულს, რომელსაც ქართველი ხალხი ეროვნული მგოსნის მიმართ ყოველთვის იჩენდა.

დიდუბის პანთეონში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის დაკრძალვის დღეს სიტყვებით გამოვიდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნინო ორბელიანი და სხვები.

ილია ჭავჭავაძე იმ დღეს ამბობდა: ვაპირებთ აქ, ამ ადგილას, სადაც პოეტს ვასაფლავებთ, ძეგლი დაგდგათ, მაგრამ რა დასადაარია ხელთქმნილი ძეგლი იმ ხელთუქმნელ ძეგლთან, რომელიც თითოეული ქართველის გულში აიგო თვით ნიკოლოზ ბარათაშვილმაო. დიდ ილიას, როდესაც იგი ხელთუქმნელ ძეგლზე ლაპარაკობდა, მხედველობაში ჰქონდა გენიალური პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მისი უჭკნობი ლირიკის ძალა და მიმზიდველობა.

#### IV

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ქართულმა რომანტიზმმა სრულყოფილი სახე მიიღო. თუ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზია დასაწყისია ახალი ქართული ლიტერატურისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი მისი უმაღლესი საფეხურია. მისი უდიდესი წარმომადგენელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკას იგივე სოციალური საფუძველი აქვს, რაც სხვა ქართველი რომანტიკოსების მხატვრულ შემოქმედებას. ამ საერთო საფუძველს ემყარება ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდიანი ფიქრები და მისივე ზღვარდაუდებელი ძიება. მაგრამ დანარჩენი ქართველი რომანტიკოსებისაგან განსხვავებით „მერანის“ ავტორმა თავისი ეპოქის ვნებათა ღელვა საერთო საკაცობრიო სიმაღლეზე აიყვანა და საკუთარი სულის ობლობა მთელი პროგრესული კაცობრიობის გულთათქმას დაუკავშირა. ეს არის ჩვენი პოეტის სიდიადის ერთი დამახასიათებელი ნიშანი.

<sup>1</sup> პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტ. I, 1963 წ., გვ. 361.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ამ მხარეს პირველად ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ. ილია თავის ცნობილ წერილებში ქართულ ლიტერატურაზე ნიკოლოზ ბარათაშვილს არა ერთგზის ადარებს ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს. ერთ შემთხვევაში კი, როდესაც ნ. ბარათაშვილის საერთო მწერლურ შესაძლებლობაზე მსჯელობს, ილია სრულიად გარკვევით ამბობს:

„იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიო არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“<sup>1</sup>.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „მერანში“ პოეტურად ხორცშესხმული ზოგადსაკაცობრიო იდეა ბედისწერასთან შეურიგებელი ბრძოლისა ნიკოლოზ ბარათაშვილს მსოფლიოში საყოველთაოდ სახელმძვვინი მწერლების გვერდით აყენებს.

ილია ჭავჭავაძე ამბობს:

„აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრისა-ნობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარი ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა — თავისი „მერანი“, ესე იგი თავისი სულის ქროლა“<sup>2</sup>.

ილია ასევე ზოგადადამიანურ მისწრაფებათა გამოხატულებას ხედავს ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელ რიგ ლექსებში. „მერანის“ ავტორი თავისი ფიქრების პასუხს ეძებდაო „მარტო თავის გულში კი არა, მთელის კაცობრიობის გულში“.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა აღიარა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ღრმა ეროვნული ხასიათი და იმავე დროს აჩვენა მისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

ილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის მიმოხილვის დასკვნითს ნაწილში ამბობს:

„ამ სახით, ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა-თქმას,

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 211.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 215.



ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა. კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“<sup>1</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ზოგადადამიანურ ხასიათს აღრმავებს და განამტკიცებს ავტორის გრძნობათა უშუალობა. როდესაც ვეცნობით ნ. ბარათაშვილის ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებას და პოეტის პირად მდგომარეობას, იგი პირდაპირ გვაოცებს თავის სულიერ განცდათა გადმოცემის უშუალობით. ნიკოლოზ ბარათაშვილის თითქმის ყველა ლექსს შეესატყვისება მისივე რომელიმე პირადი ბარათი, კერძო მიმოწერა ნაცნობ-მეგობრებთან. როდესაც ამ მონაცემებს ვადარებთ, თითოეულ მათგანში ეცნობთ ჩვენი მგოსნის სულიერ განცდებს; ყველგან და ყოველთვის ვგრძნობთ, რომ ეს ბარათაშვილია — დესპოტიზმის წინააღმდეგ აჯანყებული პოეტი და მოქალაქე. მაგრამ მგოსანს თავისი განცდები იმგვარად აქვს გადმოცემული, რომ იგი უდროობის გამო დასჯილ-ვნეხული ყველა მოწინავე ადამიანის გრძნობებსა და განცდებს გამოხატავს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება თავისი ეპოქისადმი შეურიგებლობის ნიშნის მატარებელია. მისი პესიმიზმი გამოწვეულია არა ვიწრო პირადული ან წოდებრივი მდგომარეობით, არამედ ფართო საზოგადოებრივი განწყობილებებით. ბარათაშვილის პესიმიზმს საფუძვლად უდევს მისივე საბრძოლო მისწრაფებანი. პოეტი არსებული საზოგადოებრივი ცხოვრებით უკმაყოფილოა, მის წინააღმდეგ მებრძოლი, მაგრამ არსებული პოლიტიკური რეჟიმი მას ძალით იმორჩილებს და გასაქანს არ აძლევს. სინამდვილე პოეტის მუამბოხე სულს თავის ბრჭყალებში აქცევს, ბორკილებს ადებს და მის დამონებას ცდილობს. არსებული სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანისათვის ნამდვილი უდროობის ეპოქაა შექმნილი. იგი თავის ხვედრს ვერ პოულობს. გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობა ძირშივე სპობს და ანადგურებს ადამიანის მისწრაფებებს და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იძულებული ხდება თავისი დიდი მისწრაფებანი საკუთარ სულში შეინახოს გარკვეულ დრომდე.

მაღალი იდეებისათვის მებრძოლი ადამიანი სულიერად არასოდეს არ დაეცემა. მას შინაგანი ძალა ყოველთვის უკეთესი მერმისისავენ იწვევს, მაგრამ გარკვეულ მომენტებში მაინც თავს იჩენს

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 219.

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მემორიალი

ერთგვარი ექვის, მარტოობისა და ობლობის გრძნობა. უმრავლესობა საზოგადოებისა ძალაუნებურად არსებულს ემორჩილება და ამ საერთო შეგნებაზე მაღლა მდგომ პიროვნებათა რიცხვი მხოლოდ ერთეულებით განისაზღვრება. ნიჭის ჯალათს მხოლოდ აზროვნების გოლიათები უმკლავდებიან. ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ ამ მცირერიცხოვანი და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი ადამიანების სულის მოძრაობას გადმოგვცემს. იგი შეუღარებელი გულთამხილაობით გვაგრძნობინებს სულიერად მაღალი, მტკიცე და შეურყეველი, მაგრამ უდროობის გამო „მარტოდ შთენილი“ ადამიანის სულით ობლობას.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ეაებას,  
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!  
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,  
ძნელაა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,  
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;  
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული  
მარად ითმენს უნებგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;  
უშინიან, იკრძალების, არღა იცის,  
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,  
ეფიქრება ხელშეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,  
ოხვრა არის შებვა უბედურისა!

ამ ლექსში მთელი სისრულით და სიცხადით იცნობა სულით ობოლი ადამიანის შინაგანი განცდები. მას ამ ქვეყნად არავინ გააჩნია, რომელთანაც დაფარული გრძნობის გამომქდავენება შეეძლოს. ამაშია დიდი ადამიანის ტრაგედიის დასაწყისი, ეს არის მისი ობლობის მაუწყებელი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმი, „მწუხრი გულისა, სევდა გულისა“ უშუალო შედეგია საზოგადოებრივი ვითარებისა, რომელიც პოეტის ეპოქას ახასიათებს, მაგრამ ქართველი რომანტიკოსის სევდა გამომხატველია აგრეთვე საზოგადოდ კაცობრიობის წუხილისა. ბარათაშვილის სევდა-ნაღველი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიულ პირობებში შემუშავდა,





მაგრამ პოეტი კაცობრიობის იმ საერთო სიღრუხების გამო ჩივის და დრტყინავს, რომელსაც უჩიოდნენ ბაირონი, ლერმონტოვი და სხვ.

ინგლისელი ბაირონი საბერძნეთის მიწაზე იბრძოდა, რუსი ლერმონტოვი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა რუსეთის არისტოკრატისა, ქართველი ბარათაშვილი სამშობლოს გარეთ — სხვის მიწაზე სიკვდილს წინასწარმეტყველებდა. თითოეული მათგანი თავისი მშობლიური ქვეყნის უდიდესი პატრიოტი იყო, მაგრამ თავიანთ მიწა-წყალზე გაბატონებული ყოფის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი მათ ერთნაირად ეწეოდა „საოცნებო ქვეყნის“ საძიებლად. ბრძოლის ამ გზაზე მათთვის „შემოღამების“ შემთხვევებიც საერთო იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბაირონის, ლერმონტოვისა და ბარათაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში საერთო ნიშნები ბევრი მოიპოვება. ისინი ერთმანეთს ჰკვანან იმდენად, რამდენადაც მსგავსია მათი სევდა-ნაღველი, ერთნაირად იბრძვიან თავისუფლებისა და ნიჭის ჯალათის წინააღმდეგ, ერთნაირად მიისწრაფვიან მაღალი საკაცობრიო იდეალებისაკენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა-ნაღველი საერთოა ყველა გულსრული პიროვნებისათვის, რომელსაც პოეტის ეპოქაში უცხოვრია, სულ ერთია, იქნება ის ქართველი, რუსი თუ ევროპელი. გენიალური პოეტის გულისთქმა უკუღმართი სინამდვილიდან „ზენაართ სამყოფისაკენ“ მიისწრაფვის. დამახასიათებელია მისი მიმართვა მთაწმინდისადმი:

მე, შენსა მკვრეტელს, მაიწყდების საწუთროება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...

მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

ნ. ბარათაშვილის ამ სტრიქონებში საკუთარი გულის პასუხს იპოვის ყველა მოწინავე ადამიანი, რომელიც ეპოქის საერთო შეგნებაზე მაღლა დამდგარა და ნატვრის ქვეყნისაკენ ისწრაფვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პესიმიზმის ბუნების ვასაგებად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“. ამ ნაწარმოებში ბარათაშვილი, როგორც დიდი რომანტიკოსი პოეტი, მთლიანად იგრძნობა. ლექსში თავს იჩენს რომანტიკოსებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი მოსვენების ადგილის ძიება და ბუნების კულტი, განხილულია ადამიანის შინაგანი სამყარო მთელი თავისი მისწრაფებებით და ბოლოს ავტორი ჩძლვეა დასკვნებს

ცხოვრების სინამდვილესთან პიროვნების დამოკიდებულებაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ ძალიან წააგავს მიხეილ ლერმონტოვის ნაწარმოებს „სასაფლაო“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბარათაშვილის ლექსში მეტია წმინდა ფილოსოფიური მსჯელობა ცხოვრების რაობაზე. მსგავსება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლექსის შესავალ ნაწილში. ლერმონტოვის ლექსი იწყება ასე:

სასაფლაოზე გუშინ ვიჯექ დაღამებამღი  
და გავცქეროდი, გავცქეროდი მე ირგვლივ დარდით  
მღუმარ მიდამოს, ძლივს ვარჩევი ნახევრად წაშლილ  
სიტყვებს ლოდებზე. უნებლიედ ფიქრები თავში  
ისევ დაგროვდნენ. ჩაფიქრებულს არ მქონდა ძალი,  
რომ ხავსიანი ლოდებისთვის წამერთვა თვალი! 1

მიხეილ ლერმონტოვის ეს სტრიქონები სრულიად ძალდაუტანებლად მოგვავაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ შესავალ ნაწილს. როგორც ლერმონტოვის, ისე ბარათაშვილის ლექსის შესავალში მოცემულია ცხოვრების სინამდვილიდან გასვლა „ფიქრთ გასართველად“. მაგრამ პოეტის მღელვარე სული მოსვენებას ვერც იქ პოულობს. ლერმონტოს სასაფლაოდან მიღებული შთაბეჭდილებანი რეალურ ცხოვრებაში არსებული ცოცხალი ადამიანების ფუქსავეტ და უშინაარსო ყოფის სურათებს წარმოუდგენს, ხოლო ბარათაშვილს მრავალდროების მოწამე მტკვრის დუღუნე არსებული სინამდვილის ამოების შეგრძნებას უმახვილებს.

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,  
აქ ვეძიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად;  
აქ ლბილს მღელვოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით.  
აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით;  
ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა  
და მის ზვირთებში ჰკრთის ლავეარდი ცისა კამარა.

პოეტი წყალთან მივიდა იმ მიზნით, რათა ცხოვრებაში განაწამებ მის სულს მოსვენება ენახა. საზოგადოდ რომანტიკული მიმართულების მწერლებისათვის დამახასიათებელია ყოველდღიური ჭირ-ვარამის დასაფიქრებლად ბუნების წიაღში გასვლა. ბუნებაში ისინი სულიერად ისვენებენ. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ბუნების განცდა უფრო შორს მიდის. იგი ბუნებას წარმოგვიდგენს რო-

1 მ. ლერმონტოვი, „სასაფლაო“, თარგმანი დ. განჩილაძისა.



გორც გულდახურული ადამიანის მეგობარს, მისი ჭმუნვის თანამოზიარეს, მაგრამ არა როგორც საშუალებას „ობოლი სულის“ მკურნალობისათვის. ბარათაშვილი ბუნებას უერთდება არა იმისათვის, რომ იქ მკურნალი იპოვოს, არამედ იმ მიზნით, რომ საკუთარი სევდა-ნალველი ბუნების სევდას შეუერთოს. ბუნების სახით პოეტს ჰყავს მეგობარი, მისებრ „გულდახურული“ და „ღრუბლიანი“. ეს არის უმთავრესი საფუძველი, რამაც ჩვენი რომანტიკოსი მტკვრის პირას მიიყვანა. მაგრამ სევდიანი ფიქრებით მოცულ პოეტს ბუნებაც აგრეთვე მოწყენით შემოგებება, რადგან აქაც ყოველი არემარე აგრეთვე მოწყენილია.

მეგობართა და ნათესავთ მოკლებული პოეტის სული მოსვენებას ვერ პოულობს ვერც ბუნებასთან შეერთებით. პირიქით, ობლობის გრძნობა ამ დროს კიდევ უფრო იზრდება და დიდი ადამიანის ტრაგედია უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ლექსში სწორედ ეს სულიერი ტრაგედიაა გადმოცემული. მის სტრიქონებში ჟღერს გულისთქმა მთელი პროგრესული კაცობრიობისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მონობისა და სიბნელის წინააღმდეგ იბრძოდა.

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება?..  
მინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი?  
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღუესოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

ადამიანის სულის ტრაგედიის ამაზე ძლიერი გამოხატვა შეუძლებელია. აქ ბარათაშვილი ნამდვილად გვევლინება როგორც ადამიანის სულის უბადლო დოსტაქარი. გარემო სინამდვილის უარყოფელი პოეტი გვეუბნება, რომ ადამიანი ცხოვრებაში არასოდეს არ არის კმაყოფილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრით, ადამიანის მისწრაფება აუვსებელი საწყაულია. არა თუ ჩვეულებრივი მომაკვდავიო, — ამბობს იგი, — არამედ თვით მეფეც კი უკმაყოფილოა ცხოვრებით; მათი ცხოვრებაც შეიცავს შფოთსა და მოუსვენრობას. პოეტი მხატვრული სიტყვის მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს ადამიანის ცხოვრების არარაობას და იძლევა მის უარყოფას. მაგრამ ბარათაშვილის, როგორც დიდი პროგრესისტი მწერლის, იდეათა ჯაჭვი აქ როდი წყდება.

მისდროინდელი ადამიანის ყოფის არარაობად წარმოდგენა მხოლოდ ერთი ნაწილია პოეტის მიზნისა და არა მთელი მიზანი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, გამოდის რა თავისი ეპოქის სინამდვილიდან, ამბობს, რომ ცხოვრება ტანჯვაა და ამაოება, მაგრამ პოეტი აქვე გვეუბნება, რომ ცხოვრებიდან გაქცევა შეუძლებელია. ლექსის დასკვნით ნაწილში იგი პირდაპირ მოუწოდებს, რომ ცოცხლები მკედრებს არ დაემსგავსონ. ნ. ბარათაშვილი ლექსის პირველ ნაწილში, თითქოს განზრახ, ადამიანის ცხოვრების უარყოფამდე მიდის იმისათვის, რათა შემდგომ უფრო ძლიერად გვაგრძნობინოს საზოგადოდ ცხოვრების სიტკბოება.

ცხოვრება რთულია, იგი ადამიანს შხამს ასშევს და სიცოცხლეს უწამლავს, მაგრამ ადამიანს მაინც უფლება არა აქვს „რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს“, — ასეთია პოეტის აზრი. ეს შეხედულება ნ. ბარათაშვილისათვის შემთხვევითი არაა. მისდროინდელი ადამიანის ცხოვრების არარაობად აღიარებისათვის მას საფუძველს აძლევს ეპოქის სინამდვილე, ხოლო საერთოდ ადამიანური სიცოცხლის აუცილებლობას კარნახობენ ის ზოგადსაკაცობრიო მისწრაფებანი, მაღალი ჰუმანიზმის იდეალები, რომელნიც მისთვის დამახასიათებელია. სწორედ ამით განსხვავდება იგი პესიმისტი რომანტიკოსებისაგან.

ცხოვრებაში დარჩენისა და არსებულ უკულმართობასთან აქტიური ბრძოლის მოწოდებით მთავრდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შეილნი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

რადგანაც სოფლის შეილნი ვართ და კაცნი გვქვია, უნდა კიდეც კვალდაკვალ მივდიოთ მის ვითარებას. უნდა ვიცხოვროთ არა პასიურად, არამედ აქტიური ზრუნვითა და ბრძოლით. ასე მსჯელობს ჩვენი პოეტი და ეს უბრალო მნიშვნელობის მოვლენა როდია. ასეთი მსჯელობა მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, რომელიც უდროობის ეპოქიდან რამდენიმე საუკუნით წინ იხედება და ღრმად არის დარწმუნებული კაცობრიობის უკეთესი მომავლის აუცილებლობაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში ერთმანეთს ავსებს აწმყო სინამდვილის უარყოფა და მომავლის დიადი რწმენა. აქ პესიმისტურ განწყობილებებთან ერთად მოცემულია ძლიერი სულიერი აღტყინება, ბრძოლისა და შეუპოვრობის დიადი გრძნობა. ძიებების გზაზე დამდგარმა პოეტმა იცის, რომ ეს გზა ნარეკლიანია, მაგრამ იგი

არავითარი მსხვერპლის წინაშე უკან არ იხევს. მგოსანმა კაცობრიობას უანდერძა დასახული მიზნისათვის ბრძოლისა და შეუდრეკელობის გმირული სული. ჯერ კიდევ სიჭაბუკისდროინდელ ლექსებში ნიკოლოზ ბარათაშვილი გაბედულად ამქდავენებს საბრძოლო ძიების ტენდენციებს („ხმა იღუმალი“). ოცი წლის ბარათაშვილმა უკვე დაწერა „ფიქრნი მტკვრის პირას“, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში (1842—1843 წლებში) შეიქმნა მისი „მერანი“ და „სულო ბოროტო“. ორი უკანასკნელი ნაწარმოები ბუნებრივი იდეური გაგრძელება და უმაღლესი საფეხურია ლექსებისა „ხმა იღუმალი“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“.

## V

„მერანი“ უძვირფასესი განძია ახალ ქართულ ლიტერატურაში. ეს ნაწარმოები დღემდე რჩება როგორც პოეტური ხელოვნების განუმეორებელი ნიმუში. „მერანი“ ნიკოლოზ ბარათაშვილის მებრძოლ მისწრაფებათა, მისი შინაგანი წვისა და მეამბოხე განწყობილებათა გამომხატველია. ეს ლექსი მომაჯადოებელ გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე.

„მერანში“ პოეტმა დასახა იდეა ცხოვრების უკულმართობასთან ბრძოლისა, იდეა ბედისწერის მონობისაგან პიროვნების განთავისუფლებისა. გონებაგაღვიძებული ადამიანის შეუპოვარი ბრძოლა ბედისწერასთან არის ამ ლექსის ძირითადი მოტივი. საზოგადოდ ადამიანის ეს უპირველესი მისწრაფება ბარათაშვილის „მერანს“ საერთო საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს. საბრძოლო ძიება, რაც ამ ლექსის არსებითი ნიშანია, დამახასიათებელია მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. ისევე როგორც ლექსი „სული თბოლი“ გამომხატველია მთელი მოწინავე კაცობრიობის გულსტიკივლისა ეპოქის უღრობაზე, „მერანი“ არის მაუწყებელი იმავე კაცობრიობის მისწრაფებისა უკეთესი მერმისისაკენ. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გადმოცემული საბრძოლო ძიება არის ძიება მთელი მოწინავე კაცობრიობისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჯერ კიდევ ოციოდე წლის ჭაბუკი იყო, როდესაც გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შეხმას; ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება“. ამ კერძო ბარათ-

თიდან რამდენიმე წლის შემდეგ იქმნება „მერანი“ და პოეტის მისწრაფება ბედისწერასთან შეუპოვარი ბრძოლისა უკვე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით წარმოგვიდგება.

თავისი ეპოქის სინამდვილის წინააღმდეგ აჯანყებული ავტორი შორეული ოცნების მხარისაკენ მიექანება.

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჭუნებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიავს მივც ფიქრი ჩემი, შავად მღვლეარი!

პოეტს განუშორებლად თავს დასტრიალებდა „თვალბედითი შავი ყორანი“. მის გაღვიძებულ გონებას არ ასვენებდა ბოროტი სული, რომელმაც მოუკლა წრფელი ზრახვანი და დატოვა იგი „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“.

სრულიად სამართლიანად მსჯელობს ილია ჭავჭავაძე, როდესაც ამბობს, რომ „სწორედ ამისთანა ყოფას მოსდევს ის საშინელი კივილი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება, ის თავგანწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უკვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ, რომელნიც მან თავის „მერანში“ გამოთქვა“<sup>1</sup>.

პოეტი არავითარი სიძნელის წინაშე უკან არ იხევს, ოღონდ თავისი დროის უკუღმართობა გადალახოს.

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, ვაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა საეალნი დღენი!  
ნუ შეეფარვი ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა აედარსა,  
ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

ეს გაქცევა ხდება არა იმისათვის, რომ პოეტი ბრძოლის ველს ერიდება, არამედ იმისათვის, რომ გამოხატოს პროტესტი, სიძულვილი და უნდობლობა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი. თავისი ეპოქის წინააღმდეგ აჯანყებულ პოეტს წინ გარკვეული ბედნიერებაც ეხატება. ეს ბედნიერება მომავალშია და ამიტომაც იგი მზად არის გასწიროს ყველაფერი, ოღონდ აღთქმის ქვეყანაში შევიდეს, პოეტი დაუფარავად გვაგებინებს თავის განზრახვას:

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,  
ნულა ვიხილაე ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტყბილმოტბარსა;  
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 214.

კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის ღელავს,  
 და შენს მშვენიერს, ალტაეებულს, გიეურსა ლტოლვას!  
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
 და ნიავს მიეც ფიჭვი ჩემი, შავად მღელვარი!

თავგამეტებული პოეტი მზად არის დათმოს ნაცნობ-მეგობრები, ტოლ-ამხანაგები, და თვით გულის სატრფოც კი, ოღონდ მიიღწიოს იმ ადგილს, სადაც გულს გახსნის და საიდუმლოებას გადმოაღაგებს, სადაც იგი თავისუფალი იქნება. მგოსანი კარგად გრძნობს დასახული მიზნისაკენ სავალი გზის სიძნელეს. მან ძალიან კარგად იცის, რომ ეს ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს და იგი გმირული შეუპოვრობით აცხადებს:

დაე მოვეცდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
 ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!

პოეტი ამბობს, რომ მისი ცხოვრების გზაზე წინ სამკვდრო-სა-სიცოცხლო სიძნელეა აღმართული, ხოლო უკან მომჩხავისო „თვალბედითი შავი ყორანი“. ეს ყორანი ჩვენს მგოსანს ხანგრძლივად აწვალებდა, გასაქანს არ აძლევდა და დამონებას უპირებდა, მაგრამ ამოად. ნიკოლოზ ბარათაშვილი გვეტყვის, რომ იგი ბედის უკუღმართობას არასოდეს არ დამორჩილებია, უდროობის წინაშე ქედი არასოდეს არ მოუხრია და ახლა საბოლოო და გადაწყვეტ ბრძოლას უმართავს იმავე ყორანს.

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
 ნუ დამიტეროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის;  
 შავი ყორანი გამითხრის საფლავს მღელვათა შორის ტიალის მინდვრის,  
 და ქარიშხალი ძვალთა შეთნილთა ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,  
 ჩემთა ნათესაეთ გლოვისა ნაკვლად მივალალებენ სვავნი მყვიარნი!  
 გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,  
 თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

თანამედროვეობის მწარე სინამდვილის უარყოფა და უკეთესი მომავლის ძიება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ არსებითი დამახასიათებელი ნიშანია. ჩვენი მგოსნის ზღვარდაუდებელი დრტვინვა და სრბოლა მთელი მოწინავე კაცობრიობის დრტვინვის გამომხატველია უდროობის ეპოქაში, ხოლო მისი მებრძოლი ძიების ხმა მომავალ ეპოქებს სწვდება და მის ავტორს კაცობრიობის უკეთესი მერმისის წინასწარმეტყველად წარმოგვიდგენს. ამაშია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების რევოლუციური ხასიათი.

ცუდად ხომ მაინც არ ჩივილის ეს განწირული სულის კვეთება,  
 და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
 და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს!  
 და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

ასეთია ხვედრი დიდი ადამიანისა, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს საკაცობრიო იდეებისათვის წირავს და ნადრევი სიკვდილით თავს უკვდავების გვირგვინს იღვამს. ასეთია ხმა იმ პოეტისა, რომელიც თავისი ეპოქიდან რამდენიმე საუკუნით წინ იხედება. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი იმ გენიოსების პანთეონს ამშვენებს, რომელნიც უდროობის ეპოქაში მომავალ თაობათა სავალ გზაზე პირველ ნაფეხურებს აკეთებდნენ.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“ საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს.

ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში იყო მოსაზრება, რომ „მერანი“ დაწერილია პოლონელი მწერლის ადამ მიცკევიჩის თხზულების „ფარისის“ გავლენით ან მიბაძვით. კვლევა-ძიების დღევანდელ საფეხურზე ეს აზრი უკვე მოძველებული და უარყოფილია. ნაწარმოები, რომელსაც „მერანს“ ამსგავსებენ, შეუძლებელია ნ. ბარათაშვილისათვის შთაგონების წყარო გამხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, „ფარისსა“ და „მერანს“ შორის განსხვავება გაცილებით მეტია, ვიდრე საერთო ნიშნები. „ფარისი“ ეპიკური ხასიათის ნაწარმოებია. ხოლო „მერანი“ წმინდა ლირიკული ლექსი. მიცკევიჩის ამ თხზულებისათვის დამახასიათებელია თხრობის გარკვეული თანდათანობითი განვითარება და გაძლიერება. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ პოეტის სულიერი სამყაროს, მისი სუბიექტურ განწყობილებათა გამომხატველია. „მერანი“ პირველი სტრიქონიდანვე გვაჩადოებს და გვატყვევებს, ავტორის გრძნობათა ტალღებში გვახვევს, მისი სრბოლისა და გვირგვინის მონაწილედ გვზდის და ამ ქარიშხალს თავს ვერ დავალწევთ ლექსის უკანასკნელ სტრიქონამდე.

ადამ მიცკევიჩის „ფარისი“ თავის დროზე საქართველოში პოპულარობით სარგებლობდა. მისი ქართული თარგმანი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში არსებობდა. როგორც ცნობილია, ეს თხზულება მისმა პირველმა მთარგმნელმა სოლომონ





რაზმადემ 1832 წელს თბილისში ჩამოიტანა და აქ რამდენჯერმე წაიკითხა ნაცნობ-მეგობართა წრეში. ასე რომ, ნ. ბარათაშვილი „ფარისს“ იცნობდა „მერანის“ დაწერამდე რამდენიმე წლით ადრე. ნიკოლოზ ბარათაშვილი იცნობდა როგორც მიცკევიჩის, ისე ბევრი სხვა უცხოელი მწერლის შემოქმედებას. მისთვის კიდევ უფრო მახლობელი იყო ქართული ლიტერატურა. იგი ზედმიწევნით გაცნობილი იყო ქართულ კლასიკურ მწერლობას — რუსთაველის, ჩახრუხაძის, სულხან-საბა ორბელიანის, გურამიშვილის, ბესიკისა და სხვათა შემოქმედებას, მაგრამ არც ერთი მათგანის კონკრეტულ გავლენას მისი პოეზია არ ამჟღავნებს. ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ იგი სრულიად დამოუკიდებელი და საკუთარი ხმის პოეტია ყველგან და ყოველთვის, „მერანი“ იქნება იგი თუ სხვა რომელიმე ნაწარმოები.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც დიდი შემოქმედი, ბევრ მწერალს ემსგავსება, მაგრამ თავისი პოეტური ინდივიდუალობით ყველასაგან განსხვავდება. ასეთია ნ. ბარათაშვილი საზოგადოდ და ასეთივეა „მერანის“ მსგავსებაც სხვა მწერალთა თხზულებებთან. არავითარი განსაკუთრებული ლიტერატურული გავლენა არ იყო საჭირო „მერანის“ შესაქმნელად იმ ავტორისაგან, რომლის კალამსაც ეკუთვნის „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სული თბოლი“ და „სულო ბოროტო“.

უცილობელი ფაქტებით დადასტურებულია, რომ ლექსი „მერანი“ სრულიად კონკრეტული მოვლენით გამოწვეული პოეტური ქმნილებაა და ავტორის, როგორც ადამიანისა და შემოქმედის, გრძნობათა ღელვის ბუნებრივი შედეგია. ამ შემთხვევაში ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთხელ კიდევ წარმოგვიდგება როგორც მხატვრული სიტყვის გენიალური ოსტატი, რომელსაც ძალუძს პირადადამიანური განცდა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობამდე აამაღლოს.

საქმე ასე იყო:

1842 წლის გაზაფხულზე შამილის რაზმელებმა ერთ-ერთი შეტაკების დროს ტყვედ ჩაიგდეს რუსის ჯარის სამი ოფიცერი, მათ შორის ილია ორბელიანი, რომელიც გრიგოლ ორბელიანის ძმა იყო, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილისა — ბიძა. მოულოდნელი არაა, რომ ეს შემთხვევა ყველაზე მწვავედ სწორედ ამ ორმა მგრძნობიარე პოეტმა განიცადა, ვიდრე სხვა რომელიმე ნათესავმა და მეგობარმა ილია ორბელიანისა.

გრ. ორბელიანის ბიოგრაფიიდან ცნობილია, თუ რაოდენ სათუთი და მგრძნობიარე იყო იგი თავისიანებისადმი დამოკიდებულება-

ში. აქედან შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მისი განცდები საყვარელი ძმის დატყვევების გამო. მართლაც, მთელი ის პერიოდი რაც ილიამ ტყვეობაში გაატარა, გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში აღინიშნება როგორც განსაკუთრებული შფოთვისა და მოუსვენრობის დღეები. საკმარისია უბრალოდ თვალი გადავაგლოთ პოეტის პირად წერილებს ნათესაეებისა და მეგობრებისადმი, რომ ამაში დავრწმუნდეთ.

1842 წლის 11 ივნისს გრიგოლ ორბელიანი თავის ძმას ზაქარიას დალესტანში სწერდა: „ილიკოს ანბავი, ახ! ილიკოს ანბავი შემატყობინე. აქ ძალიან ცუდი ხმები ისმის, მითომ ხაროში ჰყვანდეთ. მაგისმა მწუხარებამ სრულებით დამაბერა. მთავარმართებელმა წარადგინა ხელმწიფესთან მაგის გამოხსნა შვილის მიცემით<sup>1</sup>, და არ ვიცი, და არცა მაქვს იმედი, რომ შეთანხმდნენ ამ წარდგენას“. იმავე წერილის დასასრულს გრიგოლ ორბელიანი თავის ერთ განზრახვასაც იტყობინება: „შეიძლება, რომ ილიას მივწერო არაბულად წიგნი, და შენ მანდელამ გაუგზავნო როგორმე. — ეს დიდი ნუგეში იქნება იმისათვის“.

იმავე 1842 წლის 11 ივნისის თარიღით გრიგოლ ორბელიანი მილოცვის წერილს უგზავნის თავის ყოფილ უფროსს გენერალ არლუთინსკის დალესტნის ოპერაციებში წარმატების გამო და იქვე, სარგებლობს რა ამ შემთხვევით, მხურვალედ ევედრება ილიასადმი დახმარების საქმეზე.

პოეტი გენერალ არლუთინსკის მიმართავს:

„შენი ჭირიმე კნიაზო! ცრემლებით გეხვეწებით ჩემის ძმის გამოხსნისათვის; მე გამყიდეთ. მე დამატყვევეთ, ოღონდ იმ საბრალოს უშველეთ რამე. ის თურმე ხაროში გდია. მთავარმართებელმა მისწერა ხელმწიფესა გამოხსნა მათი შამილას შვილის მიცემით, მაგრამ მე იმედი არა მაქვს, რომ მისცემენ. — ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში ღმერთი და თქვენა ხართ“.

რამდენიმე დღის შემდეგ, ახლა უკვე ქალაქ ალექსანდრეპოლიდან, სადაც გრიგოლ ორბელიანი სამსახურში გადაიყვანეს, პოეტი კვლავ სწერს თავის ძმას ზაქარია ორბელიანს:

„სწორად შემატყობინე ილიას ანბავი, მართლა ხაროში ჰყავსთ ჩაგდებული მაგ ურჯულო მამაძალღო? — მთავარმართებელმა მისწერა ხელმწიფესა, და ვნახოთ ღმერთი რას ინებებს, მისცემენ

<sup>1</sup> ლაპარაკია შამილის შვილზე, რომელიც მძევლად ჰყავდა რუსეთს და რომელიც იმამმა ილია ორბელიანის სანაცვლოდ მოითხოვა.



შვილსა შამილას თუ არა? მე კი, სწორედ გითხრა, იმედოვნობ არა მაქვს! — მაშ თუ ეს არ იქნა, რა ვქენათ ძმაო იმ საბრალოს ყმაწვილისათვის. შეიძლება ფულით გამოხსნა? — ან რომელ სოფელში ჰყავს შენახული?“.

პირადი წერილებიდან ამოკრეფილი ამ მცირე ცნობებიდანაც გასაგები ხდება, თუ რაოდენ მძიმე ყოფილა გრიგოლ ორბელიანის ადამიანური განცდები ძმის ტყვეობის გამო. მგრძნობიარე პოეტის ეს შფოთვა და დრტივნვა დამთავრდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ილია ორბელიანი ტყვეობიდან გამოიხსნეს (1842 წლის ნოემბერი)!

გრიგოლ ორბელიანის ეს განცდა, შესაძლებელია ითქვას, საერთოა ორბელიანებისა და ბარათაშვილების ოჯახებისათვის იმდენად, რამდენად ისინი ერთმანეთთან უახლოეს ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. ეს მით უმეტეს ითქმის ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელიც ილია ორბელიანთან ერთად აკენიდანვე ერთ ოჯახში, თითქმის ერთ ჭერქვეშ იზრდებოდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ილიას მდგომარეობა მის უახლოეს მეგობარ პოეტს უნდა განეცადა და განიცადა კიდევ. სწორედ ამ განცდების, ადამიანური შფოთვისა და დრტივნის დღეებში შეიქმნა უკვდავი „მერანი“. მაგრამ ამ პოეტურ შედეგში ჩაქსოვილი პირადადამიანური განცდის კვალი შეიძლება შეუუმჩნეველიც გამხდარიყო, რომ ხელთ არ გვქონოდა თვითონ ავტორის უშუალო დამოწმება ჩვენთვის საინტერესო მოვლენებზე. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი პირადი წერილი, რომლიდანაც ცხადად იგრძნობა როგორც მისი დამოკიდებულება ილია ორბელიანის ტყვეობის ფაქტისადმი, ისე „მერანის“ დაწერის ისტორია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1842 წლის 2 მაისს გრიგოლ ორბელიანს სწერს:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან! ეს ამბავი ადრევე მინდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმუხელები შეინახავდნენ დამშვიდებამდე. — По официальному донесению фезе известно только то, что адъютант его, князь Орбелиани, 20-го марта был послан в Андалал с поручением и что его взяли там в плен. ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას

1 გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტ. I, 1936 წ., გვ. 244-245. სარედაქციო შენიშვნები.



დაქვრაში, აი რა ილაპარაკა. — ილიკო რომ დაუტყვრიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმუხის ხანი დაქვრივები ყოფილან. მეორეს დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწკეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისაგან გამოტანებულები; შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთ წინ თავები დაუყრევიანებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა, და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისტანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენებია შენს ხელში ყოფნას!“ — ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის, ილიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო, — ახლა ილიკო დარლოშია, სადაც შამილის ცოლშვილია და სიმაგრე. და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გასინჯე, გალავინის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მიჩვენებია შენს ხელში ყოფნასო. მახლას ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Он теперь предметом разных анекдотов. ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარამ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ სიტყვებს უშუალოდ მოჰყვება ლექსი „მერანი“ მთლიანად, ხოლო შემდგომ კვლავ წერილის ტექსტი გრძელდება. პოეტი მიმართავს გრიგოლ ორბელიანს:

„არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე. — ილიას დაქვრა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შეეწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დაწვირე და თითქოს ამან რაღაც შევბა მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს



როგორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“.

დაბოლოს. უმნიშვნელო არც ისაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის საყვარელ პოეტ ბიძას ერთხელ კიდევ ანუგეშებს, იმედისა და მხნეობისაკენ მოუწოდებს. იგი გრიგოლ ორბელიანს სწერს: „ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა. და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრბელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოსხსნისათვის“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის წერილში, როგორც ვნახეთ, ქებით იხსენიებს ილია ორბელიანს, რომელსაც შამილის ტყვეობაში გმირული შეუპოვრობა გამოუჩენია.

ინტერესმოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ილია ორბელიანი, როგორც მამაცი მეომარი, სხვა ავტორებთანაც იხსენიება. იგივე ილია ორბელიანი, სხვა სახელოვან ქართველებთან ერთად, ქებით მოიხსენია გრიგოლ ორბელიანმა თავის ცნობილ ლექსში „პასუხი შვილთა“, რომელიც სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში დაიწერა.

კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საყურადღებოა გამოჩენილი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას მიერ მოწოდებული დანასიათება, რომელიც 1858 წელს, კავკასიაში მოგზაურობის დროს, დალესტნის მკვიდრთაგან ნაამბობს ემყარება. მოგზაური მწერალი პირდაპირ ამბობს, რომ ლეკებისათვის ილია ორბელიანი „ისეთი მტერი იყო, რომლისაც ეშინოდათ, მაგრამ პატივს სცემდნენ და აღტაცებული იყვნენ მისი ვაჟკაცური საქმეებით“.

ალექსანდრე დიუმა ილია ორბელიანის ტყვეობაზე მოგვითხრობს:

„თავად ილიკო ორბელიანს დიდი სახელი ჰქონდა ლეკებში. ეს ისეთი მტერი იყო, რომლისაც ეშინოდათ, მაგრამ პატივს სცემდნენ და აღტაცებული იყვნენ მისი ვაჟკაცური საქმეებით. ოდესღაც თავადი ტყვედ ჩაიგდეს ლეკებმა და შამილს მიჰგვარეს ვედნოში. როდესაც იმამმა გაიგო, ვინ იყო ორბელიანი, საშინლად გაეხარდა. ყოველი ასეთი მნიშვნელოვანი ტყვე მას იმედსა და საშუალებას აღლევდა თავისი ვაჟი ჯემალ-ედინი დაებრუნებინა. ამიტომ შამილმა თავადი ილიკო მოაყვანინა და უთხრა:

— შენი თავისუფლება შენზედგეა დამოკიდებული.

— დანიშნე გამოსასყიდი და თუ ის ჩემს სიმდიდრეს არ აღემატება, გადავიხდი.

— საქმე ფულს არ ეხება.

— მაშ რას თხოულობთ?

— აღამიანთა გაცვლას.

— არ მესმის.

— იმპერატორ ნიკოლოზს მისწერე, ჩემი ვაჟი გაათავისუფლოს და შენც მიიღებ თავისუფლებას.

— ხომ არ გადარეულხარ, ამისთანა რამეები იმპერატორს როგორ უნდა ვთხოვო! — მიუგო თავადმა ილიკომ და შამილს ზურგი უბრუნა.

„შამილმა აღარაფერი უპასუხა და ბრძანა ორბელიანი ისევ საპყრობილეში ჩაეგდოთ. გავიდა ექვსი თვე. შამილმა ისევ მოაყვანინა თავადი და წინადადება გაუმეორა. ორბელიანმა პირვანდელი პასუხი მისცა.

— კეთილი, — თქვა იმამმა, — ორმოში ჩასვით.

„ვედენოს ორმო ძალიან ჰგავს მამერტინის დილეგს რომში. პატრიმარი შივ კიბით ჩაპყავთ, და როცა კიბეს ამოიღებენ, ნახვრეტი ღიაც რომ იყოს, ორმოდან ამოსვლა შეუძლებელია. დოქით წყალი და შავი პური ავსებს მსგავსებას მასა და მამერტინის დილეგს შორის. ერთშიც და მეორეშიც ჯალათის ყოველგვარი ჩარევის გარეშე სულ მალე მოდის სიკვდილი. საამისოდ სინესტეც საკმარისია.

„დროდადრო შამილი ორბელიანს კაცს უგზავნიდა და ეკითხებოდა, ხომ არ დათანხმდები, იმპერატორს ჩემი თხოვნა მისწეროთ. თავადი კი ბოლოს სულ აღარაფერს უპასუხებდა. საპყრობილემ ისე დაასუსტა, რომ ლაპარაკის თავიცი აღარ ჰქონდა. შამილს უთხრეს, ერთ კვირას რომ დაჰყოს კიდევ ორბელიანმა დილეგში, ცოცხალი ვეღარ გამოვაო. მან ბრძანა, თავადი ხაროდან ამოეყვანათ და ჰარამხანის წინ ეზოში გაეყვანათ. ერთი სახლის ფანჯრიდან შამილი თვითონ უყურებდა ყველაფერს, რაც ეზოში ხდებოდა. თავადს წინ ერთი ნაიბი შეხვდა ცხრა შეიარაღებული კაცის თანხლებით.

— ილიკო ორბელიანო! — მიმართა მან, — შამილი განრისხებულია შენი ჯიუტობით და გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დაგსაჯოს. მაგრამ სასჯელის არჩევა შენვე მოგანდო.

— მე ისეთ სასჯელს ვირჩევ, რომელიც ყველაზე ადრე გამათავისუფლებს მისი მოსაწყენი ტყვეობისაგან. დამხვრიტონ მაგ შეიარაღებულმა კაცებმა.

„ორბელიანი კედელთან დააყენეს იმ ფანჯრის პირდაპირ, რომლის უკანაც შამილი იდგა, თოფები დასტენეს, დაუმიზნეს და ის იყო უნდა ესროლათ, რომ ეზოში შამილი გამოვიდა, ხელით ნიშანი მისცა და მთიელებმა თოფები დაუშვეს.



— ილიკო, — უთხრა შამილმა, — შენი მამაცობა გავკონილი მქონდა, ახლა კი ჩემი თვალით დავრწმუნდი, რომ მართალი უთქვამთ. აღარაფერს ვთხოვ, გარდა პატიოსანი სიტყვისა, რომ არ გაიქცევი. ამ პირობით გაგათავისუფლებ.

„თავადი დაჰპირდა არ გავიქცევო. მაშინ ის თათარ ტყვეებში გაცვალეს და ამბობენ, შამილმა ამ მოლაპარაკებაში დიდი დათმობა გამოიჩინაო. თავადი ორბელიანი ვედენოდან ცხრა თვის ტყვეობის შემდეგ წავიდა, მაგრამ მან მთიელებში მუღმივი ხსოვნა დატოვა“<sup>1</sup>.

დიდი მწერლის მიერ მოწოდებული ეს ცნობა უდავოდ მნიშვნელოვანია „მერანის“ შემოქმედებითი ისტორიისათვის. ამ პოეტური შედეგის შექმნა ავტორმა მაინცდამაინც ილია ორბელიანის ტყვეობას დაუკავშირა და, როგორც მისი პირადი წერილიდან ვიცით, იგი მოხიბლული ყოფილა იმ ვაჟკაცური შეუპოვრობით, რომელიც მხედარ ბიძას იმავე ტყვეობაში გამოუჩენია.

ალექსანდრე დიუმას მიერ მოწოდებული ილია ორბელიანის დახასიათება სწორედ იმ მოვლენებს გულისხმობს, რომლებზედაც ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილშია ლაპარაკი. თავისთავად იგულისხმება, რომ ილია ორბელიანის გმირული შემართება, რომელზედაც სახელოვანი ფრანგი მწერალი ესოდენ გულთბილად ლაპარაკობს, ბარათაშვილისათვის ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ცნობილი იყო. ეს კონკრეტული შემთხვევა საკმარისი გახდა იმისათვის, რათა ქალაქადზე აღბეჭდილიყო ბედისწერასთან შეურიგებლობის ის იდეალი, რომელიც მწერლის არსებაში აქამდე ფარულად ღვივოდა.

ასეც მოხდა. მგოსნის პირადადამიანურ ოხვრასა და გმინვას ამოჰყვა ზოგადსაკაცობრიო საბრძოლო ჰიმნი, რომელსაც „მერანი“ ეწოდა.

შესაძლებელია აღიძრას კითხვა: დაიწერებოდა თუ არა „მერანი“, ზემოდასახელებული კონკრეტული შემთხვევა რომ არ ყოფილიყო? დიახ, ასეთი ლექსი აუცილებლად დაიწერებოდა. შესაძლებელია მას „მერანი“ არ რქმეოდა, მაგრამ ბრძოლისა და შეუპოვრობის ის განწყობილებანი, რაც ამ ლექსშია, ბოლოს მაინც აუცილებლად უნდა გამოვლინებულიყო. „მერანის“ იდეა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანგრძლივი შინაგანი წვისა და განცდის ნაკვერცხალია, რომელსაც კონკრეტულმა შემთხვევამ ნავლი გადააძალა, რათა მი-

<sup>1</sup> ალექსანდრე დიუმა, კავკასია, 1964 წ., გვ. 316-318.

სი მხურვალეა ათასობით ადამიანთ გულებს მიწვდომოდა. რომ ეს ნამდვილად ასეა, რომ „მერანი“ ავტორის საერთო განწყობილებათა გამომხატველია, ამის დადასტურებას წარმოადგენს მისივე ლექსი „სულო ბოროტო“, რომელიც „მერანის“ დაწერიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიწერა.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ „გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მიჰსევია ჩვენს პოეტსა „მერანში“. და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვავე ექვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, ალუთქვა და არ მისცა-კი „თავისუფლება ამ წუთი-სოფლად“.

ამ ორიოდე სტრიქონში „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორის მიერ სრულიად მართებულად არის მითითებული, რომ „მერანი“ და „სულო ბოროტო“ ერთი და იგივე იდეით შთაგონებული ნაწარმოებებია. ეს ორი ლექსი შინაარსობრივად ერთმანეთს ავსებს და ორივე ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი განვითარების გზაზე ახალი და მაღალი საფეხურის გამომხატველია.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჯერ კიდევ ადრეული პერიოდის ლექსებისათვის დამახასიათებელია არსებული სინამდვილისადმი დაუმორჩილებლობისა და, საზოგადოდ, ადამიანისაგან ცხოვრებაში აქტიური მოქმედების აშკარა ტენდენციები. ამ ტენდენციებმა, როგორც ვნახეთ, გარკვეული გამოხატულება პოვეს საყოველთაოდ ცნობილ ლექსებში: „შემოღამება მთაწმინდაზე“, „სული ობოლი“, „ხმა იღუმალი“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და სხვ.

როგორც ვნახეთ, დასახელებულ ლექსებში, არსებულისადმი შეურიგებლობასთან ერთად, თავს იჩენს მგოსნის ერთგვარი პესიმისტური განწყობილებანი. ყოველ შემთხვევაში, მას ჯერ კიდევ იკავებს და იმავე მწარე სინამდვილესთან აკავშირებს წუთისოფლის რაღაც დაპირება, „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, — როგორც ამბობს თვითონ პოეტი.

ზემოჩამოთვლილი ლექსები დაწერილია 1840 წლამდე, სახელდობრ, 1836—1839 წლებში. დრო გადის, წუთისოფლის უკუღმარ-





თობისაგან მრავალგზის შევიწროებული, მაგრამ ქედმოუბრელი მგოსნის პიროვნებაში არსებული სინამდვილისადმი უნდობლობისა და შეუირიგებლობის გრძნობა უფრო ძლიერდება. წინააღმდეგობა კიდევ უფრო მკვეთრ ხასიათს იღებს. პოეტი ახლა უკვე წუთისოფლის ცრუ დაპირებისადმი გულუბრყვილო რწმენის გარეშე, არსებული სინამდვილის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლი ხდება. სწორედ ამ ბრძოლისა და შეუბოვრობის გამოჩნატველია 1842 და 1843 წლებში შექმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შედეგები „მერანი“ და „სულო ბოროტო“.

ლექსებით „მერანი“ და „სულო ბოროტო“ ნიკოლოზ ბარათაშვილი გვევლინება როგორც თავისი ეპოქის საზოგადოებრივი სინამდვილის წინააღმდეგ აშკარად მებრძოლი პოეტი და მოაზროვნე. „სულო ბოროტო“ შინაარსობრივად ავსებს „მერანს“ და კიდევ უფრო გარკვევით გვაგრძნობინებს პოეტის საერთო ამალლებას იმ პერიოდის შეგნებაზე, როდესაც მას ჭაბუკური „ბრმა სარწმუნოება“ არსებულ სინამდვილესთან შერიგებას „შთაგონებდა. პოეტი აშკარა სინანულით იხსენებს იმ დროს, როდესაც იგი ყმაწვილური გულუბრყვილობით ენდობოდა „შეურჩენელი და მომღერალი“ წუთისოფლის ცრუ დაპირებებს.

პოეტი სრულიად მოურიდებლად კიცხავს, გმობს და აშკარად ებრძვის თავისი ეპოქის ობიექტურ სინამდვილეს, რომლის მიზეზითაც შეიქმნა „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“. დაბოლოს, რაც მთავარია, მგოსანი სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს იმ ზიზნეს, რამაც იგი ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა.

„სულო ბოროტო“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე მარგალიტია, რომელშიც გამოხატულებას პოულობს ავტორის შეუირიგებელი დამოკიდებულება კონკრეტულ-ისტორიულ საზოგადოებრივ სინამდვილესთან და მისი შეუბოვარი საბრძოლო განწყობილებანი. ეს ლექსი უდროობის ეპოქასთან შერკინებული პოეტის ერთი მთლიანი გუგუნის ხმაა და ამიტომაც არის. მისი სტრიქონები ერთმანეთისაგან ვერ დაგვიშორებია; იგი თავიდან ბოლომდე, თითქოს ერთი ამოსუნთქვით, გაუწყვეტლად იკითხება:

სულო ბოროტო, ვინ მოვიხმო ჩემად წინამძღვრად,  
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმამფთვრად?  
მარტვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,  
რისთვის მომიყალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?  
ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?  
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,



ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი  
 და თვით ჭოგოხეთს სამოთხეთა გარდამიქცევი!  
 მარკეი, რა იქმნენ სავეირველნი ესე აღთქმანი?  
 რად მომიხიბლუ, აღმირიე, წრფელი ზრახვანი?  
 სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,  
 რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?  
 წყველიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა  
 ბრმად მივანდობდი ეუფსხვეკრპლიდი ჩემთ გულისთქმათა!  
 მას აქეთ არის — დავეუარვე მშვიდობა სულსა,  
 და ვერც დელვანი ენებათანი მივლენ წყურვილსა!  
 განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!  
 რა ვარ აწ სოფლად დაშენილი უსაგნოდ, მარტო,  
 ჰკუთთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?  
 ვაი მას, ვისაც მოხედეს ხელი შენი მსახვრალი!

ასეთია მისდროინდელი სინამდვილისადმი შეურიგებლობის განწყობილება, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა ასე მკაფიოდ გამოხატა ლექსში „სულო ბოროტო“.

## VI

ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც რომანტიკოსის, პოეტურ შემოქმედებაში გარკვეულ ინტერესს იწვევს ბუნების განცდა. ქართველი რომანტიკოსების ნაწერებში ხშირად მეტად წარმტაცი ლირიკული პეიზაჟი გვხვდება. გრიგოლ ორბელიანს ბუნების გულთამხილავ პოეტს უწოდებდნენ. იგი ბუნების დახატვაში მართლაც დიდ ნიჭსა და შესაძლებლობას ამჟღავნებს, მაგრამ ორბელიანისათვის ბუნებაში მაინც რჩება რაღაც საიდუმლო, რომლის წინაშე პოეტი ეოთგვარად ქედს იხრის. გრ. ორბელიანისათვის ბუნების „ფერუთვალავი შევენება“ შთაგონების წყაროა, მაგრამ ჯერ კიდევ მიუწვდომელი და საოცნებო. ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ბუნების საიდუმლოება თითქმის მოხსნილია, „დაფარული შევენება“ მიგნებულია და მის სიდიადეს პოეტი უშუალოდ განიცდის. მისთვის ბუნება ადამიანის მეგობარია, გულისთქმის გამგები და განცდათა მოზიარე. ცხოვრების ამაოებით გულგატეხილი მგოსანი ბუნებაში მისებრ მწუხარე და სევდიან მეგობარს პოულობს, ღრუბლიანი მთა გულდახურული ადამიანის მეგობარია, ფიქრთა მფარველი.

მასსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,  
 კლდე ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიღოდი.



და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,  
 რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!  
 („შემოლამება მთაწმინდაზედ“)

ნიკოლოზ ბარათაშვილის გაგებით ბუნება ხან მცინარია და ხან ცრემლიანი, ისევე როგორც ამას აღგილი აქვს ადამიანთა ცხოვრებაში. ამიტომაც, — ამბობს პოეტი, — ბუნებასთან, როგორც მეგობართან, შეერთებით, მასთან უშუალო კავშირში, ადამიანის გულს ვაების ტვირთი უმსუბუქდება.

ნათო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,  
 ვინ მოვიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შეება  
 არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება;  
 გულ-დასურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

მთაწმინდაზე შემოლამება მგრძნობიარე პოეტს საკუთარი გულის მწუხარებას უმახვილებს. მთაწმინდის კალთებს და საზოგადოებრივი ცხოვრების მძიმე კითხვებით მოცული მგოსნის სულს ერთნაირი ბინდი აწევთ. პოეტის სევდა-ნალღველი ბუნების გოლიათურ ძილს უერთდება და ეს მხოლოდ იმისათვის, რათა შემდგომ მათ ერთად გამოიღვიძონ.

ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ,  
 შენ დამშთი ჩემად სანდგეშებლად!  
 როს მჭმუნვარება შემომესვეის,  
 შენდა მოვილტვი განსაქარებლად!  
 მწუხარი გულისა — სეედა გულისა —  
 ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,  
 რომ გათენდება დილა მზიანი  
 და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

მხატვრული სიტყვის რა ჯადოქარი ოსტატი უნდა იყოს პოეტი, რომ უსულო ბუნება მგრძნობიარე არსების განცდებს ისე შეუერთოს, როგორც ეს ჩვენმა პოეტმა მოიმოქმედა? რაოდენი უნდა ყოფილიყო მგოსნის შინაგანი განცდები და მღელვარება მაშინ, როდესაც იგი უტყვ ბუნებას ადამიანის მღელვარე სულთან ასე მჭიდროდ აკავშირებდა?!

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ბუნებას გაუგო ის, რაც სხვა რომანტიკოსებისათვის მიუწვდომელი ოცნების საგნად რჩებოდა. მან ბუნებაში გადაიტანა ადამიანთა განცდები და უღროობის ეპოქის კაცის გულისთქმა უსულო ბუნებაშიც ამოიკითხა. მან თქვა, რომ მწევანე ჩინარს, ღრუბლიან მთას, ბუნდოვან კლდეს და დაუდეგარ

მდინარეს თავიანთი საიდუმლო ენა აქვთ და ისინიც კაცობრიობის უბედურებაზე დღუღუნებენ.

მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიავი  
და შრიალითა არხვეს ჩინარსა,  
და გამოსცემენ სახიობასა,  
ტუბილის ოცნებით დამაძინარსა!  
მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო  
უასაკოთაც და უსულთ შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა  
არს მნიშვნელობა მათის საუბრის!  
(„ჩინარი“)

ასეთია ბუნების განცდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში. ეს განცდა უშუალო კავშირშია საზოგადოდ რომანტიკოსების შეხედულებასთან ბუნებაზე. ბუნების საიდუმლოებათა ამოკითხვის თვალსაზრისით ბარათაშვილს ქართველ რომანტიკოსთა შორის ბადალი არა ჰყავს.

საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ ევროპულ რომანტიზმს ბუნების საკითხში საფუძვლად უდევს ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებანი. რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელი ბუნების კულტი რუსოს სახელთან არის დაკავშირებული და ამდენად შესაძლებელია ითქვას, რომ ყველა რომანტიკოსს რუსოს შეხედულებებთან რაღაც საერთო მოეპოვება. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ მოცემული ბუნების განცდა ერთგვარად განსხვავდება რუსოსეული გაგებისაგან. რუსო, უარყოფდა რა თავისი ეპოქის ცივილიზაციას, კაცობრიობას ერთგვარად უკან, ბუნებრიობისაკენ დაბრუნებას მოუწოდებდა. იგი ერთგვარ უკიდურესობამდე მიდიოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ უკიდურესობისაგან თავისუფალია. იგი ადამიანებს ბუნების მდგომარეობაში დაბრუნებისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ მას ბუნება აპყავს ადამიანობის სიმალდემდე და უტყვია სამყაროს ადამიანის განცდათა მოზიარედ ხდის.

ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც ნ. ბარათაშვილმა ბუნებაში ამოიკითხა, ეს არის მეტყველების უნარი. პოეტი გვეუბნება, რომ ამ უსულოთა და უასაკოთა სამყაროსაც თავისებური სასაუბრო ენა მოეპოვება. ეს დიდი განძია „მკვდარი“ ან „უსულო“ ბუნებისათვის, მაგრამ ამ ნიშნის იქითაც კვლავ დიდი მანძილი რჩება იმისათვის, რომ იყო ადამიანი. ამიტომაც ბუნებისა და ადამიანის დაახლოების დროს აქტიური, წამყვანი როლი ყოველთვის ადამიანს ეკუთვნის. ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „შემოდამება



მთაწმინდაზედ“ ადამიანის აზრთა და ფიქრთა ბუნებასთან შეერთების უმადლეს საფეხურს გვიდგენს. ადამიანი ბუნებას უერთდება და მათ შორის მჭიდრო და გულისხმიერი დამოკიდებულება მყარდება. ადამიანი ჩაიხედავს ბუნების საიდუმლოებაში, აამეტყველებს მას და თავისი ადამიანური განცდის სიმალემდე აიყვანს.

დაფიქრებული ვიდექ სერზედა,  
და, ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა.  
შემომერთყმოდა მაისის მწუხრი,  
აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;

ხანდისხან ნელად მჭროლნი ნიაგნი  
ლეღეთა შორის აღმოკვნესოდენ  
და ზოგჯერ ჩუმი შემოგარენი  
ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

ადამიანი კი არ ჩამოქვეითდება უტყვი ბუნების მდგომარეობამდე. არამედ იგი ბუნებას აამაღლებს ადამიანის ფიქრთა სიმალემდე. ლეღეთა შორის მჭროლი ნიაგი და „ჩუმი შემოგარენი“ ადამიანის მღელვარე სულს შეეთანხმებიან. ასეთია ბუნების ბარათაშვილისეული განცდა და ამით ჩვენი პოეტი განსხვავდება იმ უკიდურესობისაგან, რომელიც პესიმისტი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში საინტერესოა ფერთა განცდის საკითხი. ბარათაშვილი პირველი ქართველი რომანტიკოსია, რომელმაც ლურჯი ფერის განცდა მოგვცა. ალექსანდრე ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის ლექსი „ფერსა ბნელს, ფერსა შავს“. ლექსის სათაურიდანაც აშკარად იგრძნობა, რომ პოეტი შავს ფერს ეტრფის. ჭავჭავაძემ შავი ფერი სატრფოს თვალეზს შეუღარა და შეუზამა. იგი ამბობს: ეს ფერი ჩემი სატრფოს თვალეზს მაგონებს და ამიტომაც სიკვდილამდე ამ ფერს უნდა ვეტრფოდეთ. საკითხს მაინცდამაინც ვერ გადაწყვეტის ის, თუ რას დაუკავშირა პოეტმა მის მიერ აღიარებული ფერი. რა მოვლენასაც არ უნდა დაუკავშიროს მან ეს ფერი, ერთი მაინც აშკარაა: პოეტი თავისი სულიერი სიმშვიდის წყაროს ამ ფერში პოულობს. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამბობს:

ფერსა ბნელს, ფერსა შავს  
მე ვეტრფი მარად უამს,  
აროდეს ფერსა სხვას  
არ ვეტრფი, ვფიცავ ცას.

არას ძალს, არას გვამს  
არ აქვს ეს უფლება,  
ამორვოს ფერსა შავს  
ჩემი ტრფიალება.

წინააღმდეგ აღ. ჭავჭავაძისა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლურჯი ფერის უპირატესობა აღიარა. მისი აზრით, ლურჯი ანუ ცისა ფერი პირველად ქმნილი ფერია და ამიტომაც მგოსანი სიყრმიდანვე ამ ფერისაკენ მიისწრაფვის. პოეტი ცისკენ მიიწევს, რომ იქ, ეშხით დამდნარი, ლურჯ ფერს შეუერთდეს.

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,  
პირველად ქმნილსა ფერს,  
და არ ამ ქვეყნიერს,  
სიყრმიდგან ვეტრფოდი.

და ახლაც, როს სისხლი  
მაქვს გაციებული,  
ვფიცავ (მე) — არ ვეტრფო  
არ ოდეს ფერსა სხვას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ლექსი მოგვაგონებს რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელ „ლურჯი ყვავილის“ ძიებას, მაგრამ მსგავსებასთან ერთად ბარათაშვილი ამ საკითხშიც საგრძნობლად განსხვავდება პესიმისტი რომანტიკოსებისაგან. ისინი ჩვეულებრივად მისტირიან წარსულს. უარყოფენ აწმყოს და ვერ ხედავენ მომავალს. მათთვის რჩება მხოლოდ ერთი „ოცნების ქვეყანა“. მათი აზრით, რეალური სამყარო ტანჯვისა და უიმედობის მომასწავებელია, ხოლო ნამდვილი და სანატრელი ცხოვრება იქნება იქ, სადაც ეს რეალური ყოფა მთავრდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უარყოფს თავის აწმყოს, მაგრამ ამასთან ერთად მომავლის დიად რწმენასაც გამოსთქვამს. მისთვის მომავალიც იქ არის, სადაც აწმყო ცხოვრება. რომელსაც იგი უარყოფს და ებრძვის. ამაშია ქართველი რომანტიკოსის უპირატესობა. ბარათაშვილი რომანტიკოსების იმ წყებას ეკუთვნის, რომელსაც ეკუთვნიან ბაირონი და ლერმონტოვი და რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში რევოლუციური რომანტიზმის სახელწოდებით არის ცნობილი.

## VII

იშვიათია ქართველი მწერალი, რომელსაც პოეტური ხარკი არ მიეცეს სიყვარულის მოტივისათვის. ნიკოლოზ ბარათაშვილის კეთილშობილი პიროვნება ასეთი ლექსებიდანაც მთელი სიცხადით იგრძნობა. აქაც ჩვენი მგოსანი გვევლინება, როგორც ადამიანურ ფიქრთა ღელვის გენიალური მხატვარი.

კიტა აბაშიძე ბარათაშვილის სატრფიალო ლექსების გამო წერდა: „იგი უგალობს სიყვარულში მას, რაც კი რამა აქვს ამ გრძნობას იდეალური, ღვთაებრივი, უზენაესი და უკვდავი. მართალია, ბარათაშვილი ხანდახან იმ სიყვარულსაც დამღერის, რომელიც ქართულმა ლიტერატურამ სპარსეთის კულტურის ზედ-გავლენით შეითვისა და რომელიც „მგრძნობელობას“ სიყვარულისას, მის ხორციელ მხარეს შეეხება, მაგრამ ამასაც რაღაც უცნაური, ზეციური, არა-მიწიერი ფერი მისცა მან“<sup>1</sup>.

კიტა აბაშიძის ამ დებულებაში საგულისხმო და ანგარიშგასაწყვე ბევრი რამ არის, მაგრამ მისი მთლიანად გაზიარება მაინც შეუძლებელია. კრიტიკოსს ჩვენი პოეტი უმთავრესად წარმოდგენილი ჰყავს როგორც „ღვთაებრივი“ სიყვარულის მგოსანი, მაგრამო, — ამბობს იგი, — ბარათაშვილი ხანდახან ხორციელობასაც დამღერი-სო. ისე გამოდის, თითქოს პოეტს ლაქას სცხებდეს ის გარემოება, რომ იგი მიწიერისაგან ვერ განთავისუფლებულა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებში სიყვარული მართლაც გულისხმობს ჩვეულებრივ ხორციელს, მიწიერს, მაგრამ მისი სიდიადე სწორედ იმაშია, რომ ამ მიწიერს პოეტის გენიამ შთაბერა „ტრფიალებისა ცეცხლი ციური“. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიხედვით სიყვარული მართლაც ემყარება მიწიერ საფუძველს, მაგრამ ეს ქვეყნიური გრძნობა ზნე-მალალი ადამიანის არსებაში ცამდე ამაღლდება და ღვთაებრიობას უსწორდება. სიყვარული უნდა გაჩნდეს მიწაზე, ადამიანთა შორის. მაგრამ ეს კეთილშობილი გრძნობა შეყვარებულს აამაღლებს: „მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება“.

სიყვარულის ტაძარი ზეცაში არ აშენდება, მისი საფუძველი რეალურ ცხოვრებაში უნდა შეიქმნას, მაგრამ შემდგომ გულსრული ადამიანი მას აამაღლებს და თვით ამაღლდება. სიყვარულის ტაძარს ამაგრებს არა სილამაზე ხორციელი, არამედ მშვენიერება სუ-

<sup>1</sup> კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 71.



ლისაო, — გვეუბნება ნ. ბარათაშვილი. თვით ის ფაქტი, რომ პოეტმა წარმოგვიდგინა ორი სხვადასხვა თვალსაზრისი სიყვარულის გრძნობისა, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ნ. ბარათაშვილის მიერ სიყვარულის საწყისად ადამიანურობაა მიჩნეული. მისი დიდი ღირსება სწორედ ისაა, რომ იგი ამ ლექსებში არასოდეს ადამიანურობას არ ღალატობს და ყოველ ცალკეულ ადამიანზე მაღლა კიდგას. ამ შემთხვევაშიც მგოსნის ძლიერების საწინდარი ის არის, რომ იგი თავის გრძნობათა გამოხატვაში არაჩვეულებრივად გულწრფელია, ბუნებრივია.

გამოდის რა ადამიანურობის პრინციპიდან, პოეტი გვეუბნება, რომ ისე როგორც ყველა ადამიანი არ არის ერთნაირი, მათი სიყვარულიც შეუძლებელია ერთგვარი იყოს. მისი აზრით, არსებობს ნამდვილი და არანამდვილი ტრფიალება. ჩვენი მგოსანი პირველის თაყვანისმცემელია, ხოლო მეორისა მგმობელი. ნამდვილი და გულწრფელი სიყვარული მიჯნურისაგან გარკვეულ ხარკს მოითხოვს, ამ მშვენიერ გრძნობას ერთგვარი დრტვინავაც თან ახლავს. ლექსში „ჩინარი“ ვკითხულობთ:

ესრედ იღუმაღ, მაგრამ ძლიერად,  
დაიტანჯების მარად მიჯნური,  
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა  
ტრფიალებისა ცეცხლი ციური.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს შეხედულება პირდაპირ ენათესავება ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის მიერ გამოთქმულ აზრებს, რომლებიც სიყვარულში განასხვავებდნენ ორ მხარეს: შვება-ბედნიერებას ერთი მხრივ და ჭირთა მოთმინებას — მეორე მხრივ. მიუხედავად ამ სიძნელისა, თითოეული მათგანი, და მათ შორის ბარათაშვილიც აღიარებს, რომ სიყვარულის უღელი მიანიც ადამიანისათვის სასურველია და აუცილებელი. იგი ამბობს, რომ სიყვარულის ისრით დაკოდილი გული კვლავ მისკენ მიიწევს, ვისი თვალბიცი ბასრობენ.

მივხვდი, თვალბო, ჩემო მკვლელბო, მაგ თქვენსა ქცევას,  
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის თქვენგან გაქცევას?

(„სიყვარს თვალბი“)

მსგავსად სხვა რომანტიკოსებისა ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ სიყვარული აღიარებულია როგორც გამაკეთილშობილებელი და





შთამავგონებელი გრძნობა. ამიტომაც პოეტი სიტურფის ღმერთის შა-  
დიდებელია. იგი ამბობს:

ერთ არ ვადილო სიტურფის ღმერთა!  
ყოელნი კეთილნი მან შეიერთა.  
სულსა მოჰპებრა ცის ნიჰნი ჭვეყნად  
და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად!  
(„შევიშრობ ცრემლსა“)

ჩვეულებრივი, ამქვეყნიურ-ადამიანური სიყვარულის გამოხატ-  
ვის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილის ლექსი „საყურე“. სამართლიანი არ იქნებოდა, რომ ამ  
ლექსში მხოლოდ ხორციელობა ამოგვეკითხა; მას არც „სულიერი“  
მხარე აკლია, და თუ პირველი სჭარბობს მეორეს, ამაში პოეტის სი-  
ჭაბუკეა „დამნაშავე“. ეს ლექსი იმ დროს დაიწერა (1839 წ.), რო-  
დესაც მგრძნობიარე პოეტის საბედისწერო რომანი ეკატერინე ჭავ-  
ჭავაძესთან მოგიზგიზე კოცონივით ღვივოდა:

ვითა პეპელა  
არხევს ნელნელა  
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა ანრდილს,  
ნეტავი იმას,  
ვინც თავისს სუნთქვას  
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!  
შენის შერხვეით,  
სიო-მობერვით  
გულისა სიკხეს განიგრილებდეს!  
ჰოი, საყურეო,  
გრძნებით ამრევო,  
ვინ ბაგე შენს ჭვეშ დაიტკბარუნოს?  
მუნ უკვდავების  
შარბათი ვინ სვის?  
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

ამ სტრიქონებში ზედმეტი ხორციელობა კი არაა შექმნილი,  
არამედ ჩვეულებრივი ადამიანური განცდაა პოეტურად ამეტყვე-  
ლებული. შემდგომს პერიოდში, როდესაც ნ. ბარათაშვილი საკუ-  
თარი გამოცდილებით მიჯნურობის სიტკბოება-სიმწარეში კარგად  
ჩაიხედავს, იგი წინ წამოსწევს მშვენიერებისა და უკვდავების  
იდეალს.

ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს მომდევნო



პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილმა სიყვარულის გრძნობის მოშობის ამქვეყნიურობა უარყო და რაღაც ზებუნებრივი შეიმუშავა. არა, მისთვის სიყვარულის საწყისად კვლავ რეალური სამყარო რჩება, მაგრამ ამ გრძნობაში მას მეტი სინაზისა და სიღაჭიზის მოთხოვნილება შეაქვს. მგოსნის მიერ ამ ახალი ელემენტის შეტანა სიყვარულის გრძნობაში ერთი მხარეა იმ ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა. რომლებიც პოეტისათვის, როგორც საზოგადოების უკეთეს ფიქრთა გამომხატველისათვის, საერთოდ დამახასიათებელია. პოეტი კიცხავს და ამცირებს იმ ადამიანებს, რომელთაც სიყვარული მხოლოდ გარეგნული სილამაზით შეუძლიათ და „მშვენიერი სული“ შეუმჩნეველი რჩებათ.

ნამდვილი სიყვარული მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც შესწევს უნარი, რომ ამ წმინდათა წმინდა გრძნობას შესწიროს ყველაფერი. სიყვარულის გმირი ის არის, ვისაც შეუძლია სამსხვერპლოზე დაუზოგავად მიიტანოს ყველაფერი, რასაც ეს გრძნობა მოითხოვს. სიყვარული თვით არის უძვირფასესი განძი. ამიტომაც სიყვარულში ადამიანის იდეალს უნდა შეადგენდეს იპოვოს გული სპეტაკი და მოსიყვარულე. ნიკოლოზ ბარათაშვილმა სიყვარულის ასეთი გმირი დაგვიხატა ლექსში „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“.

ნ. ბარათაშვილის რწმენით, სიყვარულის ღირსი მხოლოდ ის არის, ვინც თავის გრძნობაში ისე გულწრფელი და უანგარო იქნება, როგორც ის ადამიანი, რომელიც ამბობს:

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ჭალო შეთვალეზიანო,  
 დღისით მზეც, ღამე მთოვარეც, წყნარო და ამოდ ხშიანო!  
 შენის ლოდინით ვსულდგმულვარ, თაყვანს ვსცემ შენსა სახელსა;  
 დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა!  
 ღარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალა,  
 ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჭალი,  
 მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის,  
 მის ფასი კიდე საუნჯე ცას ქვეშეთ ვანა იმყოფის?

ადამიანი, რომელიც ამ სიტყვებს გულის სიღრმიდან წარმოთქვამს, ნამდვილად ღირსია შეყვარებული იყოს. მხოლოდ ასეთ უზადო სიყვარულზე ითქმის, რომ იგი ზეციურ სიმაღლემდე აღწევს და ღვთაებრივობას უსწორდება. მაგრამ ასეთი ადამიანების გვერდით არიან ისეთნიც, რომელთაც უნარი არ შესწევთ სიყვარულის სიღიადეს გაუსწორდნენ და გაუძლონ. ასეთ უმწეო ადამიანებს ნიკოლოზ ბარათაშვილმა „ცრუდ მომღერალი“ უწოდა და თქვა, რომ



მათ აშვიკის ენა ახარებთ, დროებით გატაცებაც შეუძლიათ, მაგრამ მათი გული ნამდვილ კეთილშობილურ სიყვარულს ვერ მიიკარებსო.

პოეტი თავის მეგობრებს აფრთხილებდა:

არ შეემჟვალთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,  
სულის დამტყვევებელს და გრძნობათა ცრულ მომღერალსა!  
აშვიკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,  
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!  
(„ჩემთ მეგობართ“)

ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად მგოსანი ჭეშმარიტად მაღალი ადამიანური სიყვარულის იდეალს ქმნის. პოეტის ეს შეხედულება თითქმის ყველა ლექსიდან გამოსჭვივის, მაგრამ ყველაზე უფრო სრული სახით ბარათაშვილისეული გაგება სიყვარულისა მოცემულია ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“. ამ ლექსიდან რომელიმე ერთი ნაწილის ამოდება არ ხერხდება და ვისაც სწაილია ჩვენი პოეტის თვალსაზრისი გაიგოს, მან ეს ლექსი თავიდან ბოლომდე უნდა წაიკითხოს და განიცადოს.

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?  
თუ ემღური შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას,  
რომ არ გემსჟვალვის საუკუნო ტრფიალებითა?  
ჰგავს, არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენეირითა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების  
და, ვით ყვაილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჰქნების,  
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჟვალეში,  
ცვალებადია, წარმაგალი და უმტკიცები!

მშვენეირება ნათელია, ზეციით მოსული,  
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,  
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,  
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

თვით უკვდავება მშვენეირსა სულში მდგომარებს,  
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს,  
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,  
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,  
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!  
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენეირება  
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!

ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხედულება სიყვარულზე ამ სტრუქტურაში მთელი სისრულით არის გადმოცემული. მგოსანმა ერთმანეთს დაუპირისპირა წარმავალი სილამაზე და ფუქსავატი აშვიობა ერთი მხრივ და ჭეშმარიტად ადამიანური და საუკუნო ტრფიალება მეორე მხრივ. რაღა თქმა უნდა, რომ გენიალური პოეტის მიერ სიყვარულის გაგებაში შეტანილი სიახლე მისი მაღალი, საკაცობრიო იდეალების უშუალო ნაყოფია.

## VIII

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედება ფართო საკაცობრიო იდეალების სიმაღლეზე დგას. იგი თავისი ეპოქის კვალობაზე საზოგადოდ ადამიანის გულთათქმას პასუხობს. ეს არის მისი სიდიადის უმთავრესი ნიშანი. მაგრამ პოეტის უმაღლეს მისწრაფებებს, მისი სულის ობლობას და მისივე თავგანწირულ საბრძოლო ძიებას საფუძველი მაინც თავისი მშობლიური ქვეყნის სინამდვილეში აქვს. მის უსაზღვროდ მდიდარ პოეტურ ფანტაზიას საზრდოს აძლევს მისდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების პირობები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა ნაყოფია იმ საზოგადოებრივისტორიული პირობებისა, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების საქართველოს ცხოვრებას ახასიათებს. გენიალურმა პოეტმა მშობლიური ქვეყნისა და საკუთარი სულის მოძრაობა, ფიქრი და მისწრაფებანი, ზოგადსაკაცობრიო მისწრაფებათა სიმაღლეზე აიყვანა. დიდმა პოეტურმა ნიჭმა შეძლო, რომ ქართველი ლირიკოსის ლექსებისათვის ეროვნული ფარგლები გაერღვი და ქართველი კაცის ფიქრი საზოგადოდ ადამიანის მისწრაფებათა ფართო გზაზე გამოეყვანა.

გარდა ამ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოებებისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მოცემულია საკითხთა ერთი წყება, რომელიც წმინდა სოციალურ-ეროვნული სინამდვილით განისაზღვრება. ნაწარმოებთა ეს ჯგუფი უმთავრესად თავს იყრის ერთი კონკრეტული თემის ირგვლივ და ეს თემა არის თემა ქართლის ბედისა.

როგორც ცნობილია, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქაში „ქართლის ბედის“ საკითხი აქტუალური იყო მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციისათვის. 1832 წლის შეთქმულების მარცხი პოე-



ტის თვალწინ მოხდა. პროგრესულად მოაზროვნე ყველა ქართველი ინტელიგენტის წინაშე მთელი სიმწვავეთ იდგა საკითხი, თუ როგორ უნდა წარმართულიყო საქართველოს ისტორიული ბედი აწმყოსა და მომავალში. ამ პრობლემას უძღვნა მგოსანმა თავისი ცნობილი პოემა „ბედი ქართლისა“ და რამდენიმე ლექსი.

„ბედი ქართლისა“, როგორც ლიტერატურული ძეგლი, განსაკუთრებული მოვლენაა ახალ ქართულ მწერლობაში. მეცხრამეტე საუკუნის მდიდარ ქართულ ლიტერატურაში სულ რამდენიმე პოემაა, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა როგორც პოეტური ხელოვნების ნიმუში. ასეთებია: ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ილია ჭავჭავაძის „განდევილი“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“ და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“.

პოემა „ბედი ქართლისა“ ისტორიულ ფონზე იშლება. ნაწარმოების თემად აღებულია 1795 წლის კრწანისის ტრაგედია. 1795 წლის ომი და აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრება ახალი საქართველოს ისტორიაში გადმოვიდა, ერთი მხრივ, როგორც მწარე მოგონება, ხოლო მეორე მხრივ — ქართველთა გამირობისა და მშაცობის გამომხატველი მოვლენა.

საყურადღებოა ერთი ისტორიული ფაქტი: 1895 წლის შემოდგომაზე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით კრწანისის ველზე, იქ, სადაც ასი წლის წინათ სისხლისღვრა მოხდა, ვადახდილ იქნა პანაშვიდი სამშობლოსათვის დახოცილ გამირთა მოსახსენებლად. 11 სექტემბერს კრწანისის ველზე აღმართულ კარავთან შეიკრიბა ათასობით ადამიანი. აქ იყვნენ თბილისელი ამქრები, მუშები და მოსამსახურეები. პროვინციიდანაც ჩამოსულიყვნენ საცანგებოდ ამ შემთხვევის გამო. პანაშვიდი დიდის დიდებით ჩატარდაო, — აღნიშნავდნენ გაზეთები. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ წერდა:

„აი ამ ადგილას იყო დადგმული დიდი, ასე თხუთმეტი საეენის მანძილზე, კარავი, რომელიც მწვანითა, ყვავილებით და სამგლოვიარო ლენტებით იყო შემკული. ამ ადგილას და აგრეთვე ახლო-მახლო გორაკებზედ მრავალი ხალხი შეკრებილიყო დიდიდგანვე საყურებლად. ქართველი თავადაზნაურობა, სამსახურის ხალხი, სოფლიდგან ჩამოსული ამ დღისათვის, ქალაქის ვაჭარი და მუშა ხალხი ერთმანეთში ირეოდნენ; ყველა დიდის მოწიწებით შეჰყურებდა შორიდგანვე კარავს, სადაც პანაშვიდი უნდა გარდახდილიყო. მოვიდნენ კიდევ, დაეწყვნენ რიგზედ კარავის წინ ამქრები თავისის ბაირაღებით; ამათ შუა დაიჭირა ადგილი სამღვდელოებამ და მათს

გარეშემო ურიცხვმა ხალხმა, რომელთა რიცხვი 5.000-მდე იქნებოდა. პანაშვიდი დიდის დიდებით გადაიხადეს<sup>1</sup>.

ათასობით ქართველმა მოწიწებით მუხლი მოიყარა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მოსაგონარად იმ ადგილას, სადაც ასი წლის წინათ

შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;  
ეთა ნადირსა მშვიერი ლომი,  
ცვეთენ სპარსთა ივერთ მხედარნი,  
და მტყარსა შერთეს სისხლისა ლვარნი!

კრწანისის ველზე გასვლა ერთ-ერთი სახე იყო ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად. იმავე დღეებში ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა მთელი რიგი მასალები აღმოსავლეთელ დამპყრობლებთან ამ უკანასკნელი სისხლისმღვრელი ომის თაობაზე.

ილიას „ივერიაში“ და გიორგი წერეთლის „კვალში“ გამოქვეყნდა მთელი რიგი ისტორიული საბუთები და ხალხური თქმულება-გადმოცემები ერეკლე მეორეზე, სოლომონ ლიონიძესა და სხვა ისტორიულ პირებზე, რომელთა სახელებიც 1795 წლის მოვლენებთანაა დაკავშირებული. უნდა ითქვას, რომ ეს ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა. ამ თარიღის აღნიშვნიდან სამიოდე წლის შემდეგ, 1898 წლის იანვარში, აგრეთვე ფართოდ იქნება აღნიშნული ასი წლისთავი მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან.

ისტორიული თარიღების აღნიშვნა ყოველთვის მჭიდრო კავშირში არსებული ეპოქის მოთხოვნილებებთან. ამ საქმის ინიციატორი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ინტელიგენცია იყო. მას მეთაურობდნენ ცნობილი ეროვნული მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ანტონ ფურცელაძე და სხვები. გასაგებია, რომ ისინი ისტორიული წარსულისა და სახელოვან გმირთა მოგონებით თვითმპყრობელობის დესპოტიზმის წინააღმდეგ მოქმედებდნენ: მათი დაფი და ნალარა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს ეძახდა. თუკი ასე ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, მით უმეტეს ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის მოწინავე ადამიანებისათვის, რადგან საქართველოს „ძველი დიდების“ შუქი სწორედ მათ თვალწინ ქრებოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვა წინამორბედთა პოეტური შემოქმედება საკმარის საზრდოს აძლევ-

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, 1895 წ., № 195.



და ნიკოლოზ ბარათაშვილს, რათა ქართლის ბედის საკითხი მართლად მოტივად ქცეულიყო მისი პოეტური ნიჭისათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ეპოქის კვალობაზე ახალი საქართველოს საკითხი უმალლეს საფეხურზე აიყვანა და ამით იგი წინამორბედად იქცა სამოციანი წლების ქართველი მოღვაწეებისა, რომელთაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროსაა ააფრიალეს. ბარათაშვილის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა ვიწროწოდებრივი სარბიელიდან გამოიყვანა და ეს საკითხი ფართო საზოგადოებრივ-ეროვნული თვალსაზრისით გააშუქა. ბარათაშვილი ძველი საქართველოს იდეალიზაციას კი არ ახდენს, არამედ იგი გვევლინება როგორც ისტორიული მოვლენების პირუთენელი მხატვარი და მომავლის ბედის მაძიებელი პოეტი-მოქალაქე.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ძველი საქართველოს დასასრული კრწანისის ველს დაუკავშირა; პოეტურად დაგვიხატა ქართველების მიერ გადახდილი უკანასკნელი დიდი ომი და გვითხრა, რომ ამ ომის შედეგებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს ქართლის ბედი.

„ბედი ქართლისა“ არსებითად ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში გადმოცემულია კონკრეტული ისტორიული ფაქტები, ხოლო მეორეში აღძრულია ახალი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

პოემის ქარგა ასეთია:

თბილისთან ახლოს, კრწანისის ველზე, დაბანაკებულია ქართველთა ლაშქარი. ისინი მოელიან ომს ალა-მაჰმად-ხანთან, რომელიც მრავალრიცხოვანი ლაშქრით არის მოსული. ქართველ მეომრებს ხშირად ჩამოუვლის მეფე ერეკლე. ზგი მშობლიური მზრუნველობით ამოწმებს მეზობლთა მდგომარეობას, მათს სულსკევთებას, და ბრძოლის წყურვილით ანთებს მათ გულებს. იგი ვაჟაკობისა და გმირობის სულს უდგამს ყველას. პოეტს მეფე ერეკლე დახატული ჰყავს როგორც ადამიანი, რომლის პიროვნებაშიც გაერთიანებულია დიდი მხედართმთავარი და თავისი ხალხის მიმართ მშობლიურად მზრუნველი მეფე-პატრონი. ერეკლეს გამოჩენა და მისი საბრძოლო მოწოდება აღფრთოვანებას იწვევს ქართველ მეზობლებში:

„შენი გამჩენის ჰირიმე, შენი,

რომ გავავონე კვლავ ხმა სალხენი!“

შებლაველა მეფეს ჯარმა ერთის ხმით.

„ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,

იღონდ შენ იყავ, მეფევე, დღეგაძელი!

მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი  
 ბატონს ირაკლის ნუგეშად ხელავს;  
 მისთვის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!—  
 ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,  
 ოდეს მოყმენი, ვით მამას შეილნი,  
 განუცხადებენ თავისს სიყვარულს!

ერეკლეს პიროვნების ასე ძლიერად გამოქანდაკებით პოეტი წინასწარ კმნის განწყობას, რომ ამ მტკიცე, ურყევე და თანაც მამობრივად მზრუნველი მეფის ყოველი მოქმედება სამართლიანობის გამომხატველია. მისი ყოველი ნაბიჯი, სამხედრო თუ პოლიტიკური მნიშვნელობისა, სანღოა და საიმედო. მთავარი გმირის ამგვარი წარმოდგენით ერთგვარად წინასწარ იგრძნობა თხზულების პოლიტიკური ტენდენცია.

შემდეგ პოეტი გადმოგვცემს, რომ ომის მოლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩქარა გამოჩნდა სამხრეთით მტერი და ომის ხანძარიც დაინთო. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს მშვიერი ლომებივით შეებნენ. ბრძოლის ყიჟინა, ხმლების ჯახანი, დაჭრილთა კვნესა და მომაკვდავთა გმინვა ისმოდა მთელი დღის განმავლობაში. მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველი მეომრები სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის იშვიათ მაგალითებს იძლეოდნენ. ბოლოს, სხვაგვარად რომ ვერას გახდნენ, ისინი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ:

რა ნახეს ქართველთ, გაჰირდა საქმე,  
 მყის ჩაიკეცეს ქედები თურმე,  
 ხმალს ხელი იკრეს მამაპაპურად  
 და დაერივნენ თავისებურად!

თავგანწირულ ბრძოლას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. იმდღევანდელი შეტაკებიდან ქართველები გამარჯვებული გამოვიდნენ. მაგრამ მეფე ერეკლეს ეს გამარჯვება ვერ ახარებს. ამ დღის წარმატებანი ქართველებს ძვირად დაუჯდათ: „მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ ნუგეშთა ქართლის“ ბრძოლის ველზე პოვეს სამარე. ისედაც მცირერიცხოვანი ქართული ლაშქარი კიდევ უფრო შემცირდა. ერეკლე ხვალინდელი დღის ვარაუდიდან გამოდის. მან იცის, რომ მრავალრიცხოვან თავდამსხმელს გაშლილ ველზე ვეღარ გაუმკლავდება. ამიტომ ნიჟიერმა სარდალმა ახლა უშუალოდ დედაქალაქის მისაღვამეები გაამაგრა. იგი ნარიყალას ციხე-სიმაგრეში დაბინავდა და ამით ძალა შეიმატა.

ალა-მამამად-ხანი სამი დღე-ღამის განმავლობაში მრავალრიცხო-





ვანი ძალებით თავს ესხმოდა ნარიყალას ციხეში გამაგრებულ ქართველებს, მაგრამ ვერაფერს აკლებდა. ქართველთა ლაშქარი გმირულად იგერიებდა თავდამსხმელთა იერიშებს და ქანცავდა მათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ გულგატეხილი და შერცხვენილი ალა-მაჰმად-ხანი უკან დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ქართველთა ბანაკში გამოერია იუდა და მამულს სიმტკიცის ბუნე აპყარა. ციხე შიგნიდან გატყდა. ქალაქი დაეცა, მეფე ერეკლემ თავი მთიულეთს შეაფარა, ხოლო ალა-მაჰმად-ხანის ურდოები თბილისში შემოიჭრნენ.

მძვინვარე ალა-მაჰმად-ხანმა რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისი მოაოხრა. ბოლოს ნადავლ-ნაძარცვით საქართველოდან წავიდა. მცირე ხნის შემდეგ თბილისში ისევ სიცოცხლე განახლდა. მხცოვან ერეკლეს კვლავ მოუხდა მცირე მასშტაბის რამდენიმე ომი, მაგრამ ქართლის ბედი მაინც იქ, კრწანისის ველზე გადაწყდა: (ქართველი მეფის შეგნებაში საბოლოოდ მომწიფდა აზრი რუსეთთან შეერთების აუცილებლობისა.)

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის პიემას ასე ამთავრებს:

ქალაქი ისევ ჩქარა აშენდა,  
 თუმცა აღრინდელს მრავალი აკლდა.  
 წარვიდენ წელნი მოსვენებისა  
 და კვლავ ირაკიმ ხრმალი ბრძოლისა  
 აღიღო ლეკთა შესამუსკრელად!  
 არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად.  
 სიბერის ეამსა მოიცა ძალი  
 და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;  
 კვლავ ასახელა თავის სახელი;  
 მაგრამ ამო იყო ყოველი:  
 დიდი ხანია გულს ირაკლისა  
 გარღუწვევტია ბედი ქართლისა!

კრწანისის ველზე დამარცხების შედეგად მეფე ერეკლემ საბოლოოდ გადაწყვიტა ქართლის ბედი. ასეთია ნაწარმოების შინაარსი. მისი დედააზრი.

კრწანისის ტრაგედიის აღწერიდან ვიდრე ნაწარმოების დასკვნით ნაწილამდე პოემაში ფართოდ არის გადმოცემული ერეკლესა და მისი მსაჯულის საუბარი. პოემის ამ ნაწილშია სწორედ ძიება ქართლის ბედისა. ვიდრე ამ ფრიად მძიმე და საბასუხისმგებლო თემაზე კამათს გაშლიდეს, ნიკოლოზ ბარათაშვილი სოლომონ ლიონიძის დახასიათებასაც გვაწვდის. სოლომონი წარმოდგენილია როგორც „ნიქთა კეთილთა უხვად მორკმული“ პიროვნება. ვის არ

ასოვსო სოლომონ ქველი, „მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელით“, ამბობს პოეტი.

ამ ორი დიდი პიროვნების — ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის დაპირისპირებით, ნ. ბარათაშვილი ნათლად გვიხატავს იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის მოძრაობას, მის ძიებას, ჭიდილსა და დრტვინვას სამშობლოს ბედზე. მეფე ერეკლე და სოლომონ მსაჯული ქვეყნის უსაზღვროდ ერთგულნი არიან. მათი საქმე და ოცნება სამშობლო საქართველოს ბედნიერებაა. ისინი ამ ბედნიერებისათვის იღვწიან, მაგრამ ერთი ხსნას რუსეთთან შეერთებაში ხედავს, ხოლო მეორე საქართველოს დამოუკიდებლად დარჩენაზე ამყარებს იმედს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი როგორც ერეკლეს, ისე სოლომონს თავიანთი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების სრულ შესაძლებლობას აძლევს. პოეტი, გარეგნულად მაინც, სრულიად აუჩქარებელი და ობიექტური მთხრობლის როლში გვევლინება. იგი არასოდეს არ ცდილობს რომელიმე მოკამათეს თავს მოახვიოს თავისი საკუთარი შეხედულებანი. მხარეთა კამათი და თითოეული მათგანისაგან წამოყენებულ აზრთა საბუთიანობა იმდენად ობიექტურია და დამაჯერებელი, რომ პოეტის პირადი შეხედულებანი აქ მაინცდამაინც არც კი ჩანს. ერეკლესა და სოლომონის ბრძნული კამათი თავიდან ბოლომდე ისე მიმდინარეობს, რომ ავტორის მიყვრბობას ვერ ვგრძნობთ. მკითხველს წინასწარ იმის თქმაც უძნელდება, თუ რით დამთავრდება მეფისა და მსაჯულის ეს საჭირობოროტო კამათი. მხოლოდ ნაწარმოების უკანასკნელი ორიოდ სტრიქონიდან ნათელი ხდება, რომ ერეკლე გადაწყვეტა იმარჯვებს. ნაწარმოების ასეთი დასასრული გამომდინარეობს არა ნიკოლოზ ბარათაშვილის სუბიექტური განწყობილებიდან, არამედ იქიდან, რომ ისტორიული ფაქტი სწორედ ასეთი იყო.

პოემის ძირითად ნაწილში გადმოცემულია ქართლის ბედის ძიების საკითხი.

თბილისის დაცემის შემდეგ პატარა კახი თავისი მსაჯულით არაგვის ხეობაშია. ხალხი მტრისაგან აოხრებულ მამულს გლოვობს, ხოლო ერეკლე და სოლომონი მსჯელობენ იმაზე, თუ რით, რა საშუალებით იხსნან საქართველო „ამ უბედობის და დარღვევის დროს“. მათი სჯა-კამათი მეოცნებე ადამიანების საუბარი კი არაა, არამედ ეს არის პოლიტიკურ მოღვაწეთა ბჭობა, თათბირი, რომელმაც ქვეყანა დაღუპვის საფრთხისაგან უნდა იხსნას. მათი, როგორც ეროვნული მოღვაწეების, პირდაპირი მოვალეობაა მშობ-



ლიურ ქვეყანას ომისაგან მიყენებული ჭრილობები მოუშუშონ და მომავალი ცხოვრების პერსპექტივა დაუსახონ. ერთი სიტყვით, ამ ადამიანთა მსჯელობაში ქვეყნისა და ხალხის ბედი უნდა გადაწყდეს.

მეფე ერეკლე, ვიდრე საკუთარ განზრახვას ეტყოდეს, მსაჯულს მოაგონებს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც საქართველოშია შექმნილი. ერეკლე კარგად ითვალისწინებს იმ გართულებებს, რომელნიც ამ დამარცხებას უნდა მოჰყვეს. მისი აზრით, კრწანისის ველზე გამარჯვებით გათამამებული ალა-შაჰმად-ხანი ქართველებს არც ამის შემდეგ მოუსვენებს. გარდა ამისაო, — ამბობს მეფე, — ალა-შაჰმად-ხანის გამარჯვების ხმა „ლექთაცა აგვიყაყანებს და ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს“. მაშასადამე, მარცხი, რომელიც ჩვენ განვიცადეთო, — ამბობს ერეკლე, — დროებითი ჭრილობა კი არაა, არამედ ამით შეიწყა საქართველოს საერთო ძლიერება და საერთაშორისო ავტორიტეტი. საგარეო მდგომარეობის გართულებასთან ერთად მსცოვან მეფეს საგონებლად ისიც გახდომია, რომ ყმანი მისნი „ურთიერთს ბძარვენ“. იგი თავის ქვეყანაში ვერ ხედავს ისეთ ადამიანს, „რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს“.

საჭიროა მოიძებნოს გამოსავალი „ამ უბედობისა და დარღვევის“ მდგომარეობიდან. ერეკლეს აზრით, ასეთი გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველომ ძლიერი მოკავშირე გაიჩინოს. მხოლოდ ასეთი მოკავშირის დახმარებით საქართველოს შეუძლია აიცდინოს ის საფრთხე, რომელიც მას ახალი სისხლისმღვრელი ომებით ემუქრება. ეს ერთადერთი გამოსავალია ქვეყნისათვის. ვის უნდა დაუკავშირდეს საქართველო? მეფე ერეკლეს აზრით საქართველოსათვის ასეთი მოკავშირეობის გაწევა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ქართველ ერს ნამდვილ მეგობრობას გაუწევს:

აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?  
 კარგად იფიქრე, შეილო ერთგულო;  
 აწ განთქმულია რუსთა სახელი,  
 ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,  
 დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა.  
 მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —  
 მას მიიღა მივცე შემკვიდროება,  
 და მან მისცეს ქართლს კეთილდღეობა!

ერეკლეს ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდება სოლომონისათვის. მას ვერ წარმოედგინა, თუ ერეკლე საქართველოს

დამოუკიდებლობას დათმობდა. მსაჯული წინააღმდეგია რუსეთთან შეერთებისა, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე რუსეთს ეხება, არამედ იგი საზოგადოდ წინააღმდეგია იმისა, რომ საქართველოს საქმეებში სხვა ქვეყანა ერეოდეს. მას ძველებური დამოუკიდებლობა სწადია. სოლომონს აკლია ის შორსმჭვრეტელობა და შექმნილ სიტუაციაში გარკვევის ალღო, რომელიც ერეკლეს პიროვნებაში ასე უხვადაა მოცემული. სოლომონის სახით ჩვენ წარმოგვიდგება სახელმწიფო მოღვაწეთა ის ფენა, რომელიც ერთგულია თავისი ქვეყნისა, მაგრამ ერთგვარად შეზღუდული ისტორიული განვითარების წინასწარხედვის თვალსაზრისით. მეფე ერეკლეს წინადადებას სოლომონი განცვიფრებული ხედება.

მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს ხედიდა იგი ესთ შეცვალებულს.  
„რასა მიბრძანებ“, ჰქაღრა მან მეფეს,  
„ბატონო, ღმერთი ვადღეგრძელებდეს,  
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,  
ეზღენ შენზედა მსასოებელთა!  
ჯერ სამაგისო რა გვემართება,  
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?

სოლომონი განაგრძობს მტკიცებას საქართველოს „თავის ჭერ-ქვეშ თავისუფალი“ ცხოვრების საპირობაზე. მას აშინებს, ვაითუ რუსმა ქართველი ვერ შეითვისოს და იმათ ხელმწიფობამ ქართველთა ნება-სურვილები არ შეიწყნაროს.

ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს  
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:  
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,  
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,  
რაც მოისურვოს ქართველობამა?

სოლომონ მსაჯულის საწინააღმდეგოდ ერეკლე ამტკიცებს, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ საქართველოს მომავალი ბედნიერება რუსეთთან კავშირურთიერთობაში უნდა გამოიჭედოს. ამ მსჯელობის მომენტში მკითხველი უშუალოდ განიცდის ერეკლეს პიროვნებას. (იგი წარმოგვიდგება არა როგორც მეფე პირადი განდიდებისათვის „სისხლთა აღმჩქეფე“, არამედ როგორც მეფე-პატრონი, ქვეყნისათვის მზრუნველი მამა, რომელიც მოწადინებულია შვილი თავისივე სიცოცხლეში დაასახლკაროს. ძნელიაო, — ამბობს ერეკლე, — რომ სახელმწიფო ყოველდღიურად ომისა და შფოთის წინაშე იდგეს. ქართველი ხალხი სისხლისაგან



იცლება. საჭიროა, რომ მან მოსვენება ნახოს და აღმოსავლეთელ დამპყრობლებს ჩრდილოეთ მეგობართან კავშირით შეანანოს საუკუნოებრივი რბევა-აწიოკება.

ახლა კი დროა, სოლომონ, რომა  
მწვიდობა ნახოს საქართველოში.  
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის  
ამოიყაროს ჭავრი სპარსეთის.

ქეშმარიტად ამაღლელებელია პოემის ეს ადგილი. ერეკლეს ეს სიტყვები სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ქართლის ბედზე კამათი დაემთავრებინა. ერეკლეს ამ სიტყვების შემდეგ მკითხველისათვის სრულიად მისაღები და გასაგები იქნებოდა ის დასკვნა, რომელიც პოემის უკანასკნელ სტრიქონებშია მოცემული. მაგრამ მგოსანი აქ არ შეჩერდა და პოემაში ერთი მეტად საინტერესო პერსონაჟიც შემოიყვანა. ეს არის სოლომონ მსაჯულის მეუღლე სოფიო.

სოფიო ქართლის ბედის გადაწყვეტაში რაიმე მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს. იგი ერეკლესა და სოლომონის საუბრის შინაარსს მხოლოდ სოლომონის ნაამბობით იგებს, მაგრამ მისთვის მაინც ცნობილი ხდება, რომ საქართველომ თავისუფლება უნდა დაეკარგოს. სწორედ ამ ცნობასთან დაკავშირებით სოფიო ამქაღვინებს ისეთ პატრიოტულ თვისებებს, რომელნიც მას ამაღლებს და აკეთილშობილებს.

სოფიოს სახეში ბუნებრივად წარმოგვიდგება ტიპიური ძველი ქართველი ქალი, რომელიც ქმარსა და შვილებს მამულისათვის ბრძოლის წყურვილს უღვივებდა. სოფიო განსახიერებდა ქართველი დედისა, რომელიც მამულისათვის თავდადებასა და თავგანწირვას შვილს აკვანშივე, ნანასთან ერთად უმღეროდა.

სოფიოს კეთილშობილი სახე ერთგვარ მიბაძვის საგნად იქცა მეცხრამეტე საუკუნის მთელი ქართული მწერლობისათვის. სოფიოს სახის განვითარებას წარმოადგენენ ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული ქართველის დედა, აკაკი წერეთლის ნათელა, ალექსანდრე ყაზბეგის ქეთევან დედოფალი, ვაჟა-ფშაველას სანათა და სხვ.

პოემაში სოფიოს მხოლოდ ერთხელ ეძღვევა სიტყვა სოლომონის საპასუხოდ, მაგრამ ამ ერთხელ ნათქვამ სიტყვაში ზნემაღალი და გულსრული ადამიანის მთელი შეგნებაა ხორცშესხმული. იგი მწარე ტკივილებით განიცდის „უცხოობაში“ შესვლის საფრთხეს. მან სოლომონის ნაამბობით წარმოიდგინა მხოლოდ უარყოფითი შე-

დეგები, რომელნიც, მისი აზრით, რუსეთთან შეერთებას შეიძლება მოჰყვეს. სოფიოს მსჯელობას არ ახასიათებს ფართო პოლიტიკური შინაარსი. მისი მსჯელობის უმთავრესი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი უნდა ქართველად ცხოვრობდეს. რამდენადაც სოფიოს სიტყვები ძალდაუტანებელი და უშუალო გრძნობის ბუნებრივი გამოხატულებაა, იმდენად მისი განცდები უფრო გასაგები და პატივსაცემი ხდება. იმ დროს, როდესაც სოლომონი მას გამომცდელად მიმართავს, რომ წარჩინებულ ქართველ ქალებს პეტრეს ქალაქში გადაასახლებენ და იქ ფუფუნებაში აცხოვრებენო, სოფიო გადაჭრით გმობს ასეთ პატივისცემას. მისთვის საკუთარ მამულში ხელმოკლედ ცხოვრება უფრო ძვირფასია, ვიდრე სხვის კარზე, უცხოთა მამულში განცხრომით ყოფნა.

სოფიოს, როგორც უანგარო და გულწრფელი პატრიოტი ქალის, უშუალო განცდა კარგად არის მოცემული მისივე სიტყვებში:

რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბელბული,  
გალაშა დატყვევებული?

ქეშმარიტად, სოფიოს ეს სიტყვები მაღალი ჰუმანური გრძნობების შემცველია და ამაღლევებელი ყველასათვის, ვისაც თავისი ჭეყანა გულით უყვარს. შემთხვევითი არაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ კეთილშობილ ქალს შესანიშნავი ლირიკული სტრიქონები უძღვნა და სოფიოს მსგავსი ქალები ახალი ეპოქის ნატვრად აქცია.

პოი, დედანო, მარად ნეტარნო,  
ერთხევა თქვენდა, ტყბილსახსოვარნო!  
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?  
ვინდა ჰყავს გულის შემატკივარა  
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?

როგორც ვნახეთ, პოემა „ბედი ქართლისაში“ ორი ძირითადი ბანაკია წარმოდგენილი: ერთი მხრივ, ერეკლე, ხოლო მეორე მხრივ — სოლომონი და სოფიო. მათ აქვთ ერთი საერთო ნიშანი, ეს არის სამშობლოსათვის უანგარო თავდადება, მაგრამ მომავლის ძიების საქმეში მათი გზები არსებითად განსხვავდებიან. თითოეული მათგანი გამომხატველია ჩვენი საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვაობასა გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში. მოწინააღმდეგეთა აშკარა დაპირისპირებით მგოსანი გარკვევით მიუთითებს სიტუაციის დაძაბულობაზე და ამით ქვეყნის ბედის გადაწყვეტის სიმძიმესაც გვაგრძნობინებს.



საწინააღმდეგო აზრთა ჭიდილში, როგორც ცნობილია, მეფე ერეკლეს გადაწყვეტილებამ გაიმარჯვა. ქართველი ერის ბედის ძიება იმით დამთავრდა, რაც ერეკლეს გულმა გადაწყვიტა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგად მოიქცა, როდესაც პოემა აქ დაამთავრა და მომდევნო ამბებზე აღარაფერი თქვა. მგოსანს უნდოდა მოეცა გარკვეული ისტორიული ფაქტი ქართლის ბედის გადაწყვეტისა. იგი არაფერს გვეუბნება იმ საზოგადოებრივ ვითარებაზე, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა. ამით მისმა პოემამ უსათუოდ მოიგო. „ბედი ქართლისა“ დარჩა როგორც კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენაზე გაშლილი შესანიშნავი მხატვრული ტილო, ხოლო მომდევნო ეპოქისადმი, უშუალოდ მისდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი ავტორის დამოკიდებულება მკაფიოდ გამოჩნდა ძის ფილოსოფიურ ლექსებში. რომლებზედაც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

## IX

პოემა „ბედი ქართლისა“ 1839 წელს დაიწერა. მომდევნო პერიოდში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნ. ბარათაშვილი კვლავ იდეური ამაღლებისა და სიმწიფის გზით მიდის. ამ პერიოდში იქმნება მისი პოეტური შედეგები „მერანი“ და „სულთ ბოროტო“. ამ თხზულებებში გამოხატულ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან ერთად პოეტისათვის კვლავ დაუცხრომელი ზრუნვის საგნად რჩება მშობლიური ქვეყნის ბედთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები. ამ პერიოდში იწერება მისი სამი ლექსი, რომელიც იდეურ-თემატიკური თვალსაზრისით უშუალო კავშირშია ქართლის ბედის თემასთან. ეს ლექსებია „სუმბული და მწირი“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“.

„სუმბული და მწირი“ პატრიოტიზმის იდეით შთაგონებული ნაწარმოებია. ლექსში გადმოცემული მძიმე სულიერი განცდა სამშობლოსაგან ძალით მოშორებული სუმბულისა, — მკითხველში ბუნებრივად იწვევს მშობლიური გარემოსადმი განსაკუთრებული სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას.

სუმბული კაცის „მზრუნველ“ ხელს გაშლილი ველიდან ტურ-

ფად მორთულ სასახლეში ვადმოუტანია. მას აქ, სასახლეში, არც ზამთრის სუსხი აწუხებს და არც ზაფხულის სიცხე-პაპანაქება, გარეგნულად საქმე ისე მოჩანს, თითქოს იგი ახალს ვითარებაში თავისი ხვედრით კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო ხდება. ეს დიდ-მშვენიერი სახლი ყვავილისათვის ნამდვილი საპყრობილეა, რომლის მიზეზითაც სუბმულს თავისი სასიამოვნო ფერი და სურნელება დაუკარგავს.

ოქროთი და ვერცხლით მორთულ სასახლეში მომწყვდეული სუბმული თვალცრემლიანი იგონებს და ნატრობს თავის მშობლიურ გარემოში, ბუნების სტიქიონთან ბრძოლაში, თავისუფალ ცხოვრებას. იგი საკუთარ მძიმე მდგომარეობაზე გულმოკლული შესჩივის თავის მოსაუბრე მწირს:

მწირო ხომ ხედავ, მოვკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,  
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს.  
აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,  
მოვა ბულბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას,  
ხოლო მე ხშული ბნელსა საღვურს და სევდიანსა,  
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტბილს მგოსანსა!  
მაგრამ მარტყე, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,  
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული პერი?  
არღა მევლება გარე წყარო, ცივი, კამკამი,  
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;  
გრილი ნიავე ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს  
და მაველის ბუტკი მზისა სხივთა არღა უჩრდილებს.

ამ სტრიქონებში საკუთარ გრძნობებს ამოიკითხავს ყველა ადამიანი, რომელსაც გარეშე ძალის გავლენით სამშობლო, მამა-პაპის საფლავები და საკუთარი ნააკენარი დაუკარგავს. ესევე სტრიქონები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბედი ქართლისას“ ავტორის მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. ისეთი მგზნებარე პატრიოტი, როგორც ზემოგანხილულ ლექსში ნიკოლოზ ბარათაშვილი მოჩანს, კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებზე მსჯელობისას ისევე დინჯი და აუჩქარებელი გამოიყურება, როგორც მისი საყვარელი გმირი — სახელოვანი პატარა კახი.

ეს გარემოება ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ ეროვნულ მოტივზე დაწერილ თხზულებებს მკითხველზე გავლენის ძალას მატებს და ამდენადვე მათს ისტორიულ-ლიტერატურულ მნიშვნელობას კიდევ უფრო ფართოდ წარმოგვიდგენს.

1842 წელს, „სუბმული და მწირის“ დაწერიდან რამდენიმე თვის





შემდეგ, იქმნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“. ეს ნაწარმოები უშუალოდ ეხმარება იმ აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემას, რომელიც ავტორმა პოემა „ბედი ქართლისაში“ განიხილა.

პოემაში ნიკოლოზ ბარათაშვილი არსებითად მეფის აზრს ეთანხმება, თუმცა, გარეგნულად მაინც, თავს არიდებს, რომ ერეკლეს ან სოლომონ მსაჯულის მხარეზე დადგეს. როდესაც იგი ალაპარაკებს რომელიმე მათგანს, მკითხველს შეხედულება ექმნება, რომ მგოსანი სწორედ ამ ბანაკის მხარეს დაიჭერს, მაგრამ ვკითხულობთ მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებას და პირვანდელი შთაბეჭდილება ქრება. ასე გრძელდება პოემის დასასრულამდე.

ქართლის ბედის საკითხისადმი ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულება მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი მხატვრული შემოქმედების საერთო ხასიათის გამოსარკვევად. ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ ამ თვალსაზრისით არის განსაკუთრებით საინტერესო. ამ ნაწარმოებით ნ. ბარათაშვილმა გარკვეული შეფასება მისცა მეფე ერეკლეს პოლიტიკურ ნაბიჯს. ახლა იგი გვევლინება არა როგორც ისტორიული ფაქტის აღმწერელი, მიუკერძოებელი მთხრობელი მხოლოდ, არამედ აქ უკვე იგი მთელი გარკვეულობით გამოთქვამს თავის პირად შეხედულებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ამ ლექსით გადაჭრით აღიარა ქართველი მეფის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯის სისწორესამართლიანობა და ახალ ქართლს ერეკლეს პირმშო შვილი უწოდა. მგოსანი მუხლმოდრეკილი თაყვანს სცემს ერეკლე მეფის პოლიტიკურ გამჭრიახობას.

აჲ აღსრულდა ხელმწიფერი აწ აზრი შენი,  
და ესჱამთ ნაყოფსა მისგან ტუბილსა აწ შენნი ძენი.

პოეტი საღი გონების თვალთ აკვირდება და აფასებს რუსეთთან შეერთებით მიღებულ შედეგებს. მგოსნის აზრით, ჩვენი წარსული ცხოვრება შეფოთი იყო და მოუსვენრობა. ქართველი ხალხი თავის მშობლიურ მიწას ხმლითა და ფარით, ბრძოლითა და სისხლით ინარჩუნებდა. ახლა კი, — ამბობს ნ. ბარათაშვილი, — ქვეყანას მშვიდობიანი მოქალაქის ხელი მართავს. პოეტი ამ ნაწარმოებში: ჯანსაღი მოაზროვნის თვალთ სინჯავს რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგებს. კასპიის ღელვა, რომელსაც ქართველებისათვის ხოცვა-ჟლეტა მოჰქონდა, უკვე დაწყნარდა; შავი ზღვის ზვირ-

თნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა, ახლა მრავალის მხრითაა მოძმეებს მოგვეგვიანო, — ამბობს ნ. ბარათაშვილი.

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!  
აწ არა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,  
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა:  
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,  
აწ მოგვიგვიანო მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

მოტანილი სტრიქონები ზედმიწევნით კარგად გვაგრძნობინებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის აზრს რუსეთთან დაკავშირების საკითხზე. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მთლიანი მოვლენისა, ჩვენი პოეტი, გარდა ამ მხარისა, რუსეთთან დაახლოებაში ხედავს სხვა მნიშვნელოვან მოვლენებსაც. საქართველოს რუსეთთან შეერთებას ბარათაშვილი დიდად აფასებს წმინდა კულტურული თვალსაზრისით. იგი მეფე ერეკლეს მადლობას უხდის იმის გამო, რომ მან გზა გაუხსნა ახალ კულტურას. ჩრდილოეთიდანაო, — ამბობს პოეტი, — ქართველებს მშობლიურ ქვეყანაში მოაქვთ კულტურისა და განათლების თესლი ძვირფასი „მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალი ერთი ათასად“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობს:

ვამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო  
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;  
მათი ცხოველი, ტრფილებით აღსავსე სული  
უღნობს უინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.  
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფას მშობელ ქვეყანად,  
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!

ასე შეაფასა ნიკოლოზ ბარათაშვილმა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა.

როდესაც ვითვალისწინებთ ბარათაშვილის პოეზიის საერთო ხასიათს და ვეცნობით ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“, უნებლიეთ აღიძვრის კითხვა: ხომ არ არის აქ რაიმე შინაგანი წინააღმდეგობა? პოეტის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი ქართლის ბედზე ზოგჯერ ცრემლებსაც ღვრიდა და როგორ მოხდა, რომ მან რუსეთთან შეერთების ფაქტი დადებითად აღიარა? თუ ანგარიშს გაუუწევთ იმასაც, რომ ეს ლექსი მგოსანმა შედარებით გვიან დაწერა, მაშინ მოსალოდნელია აღიძრას კითხვა: ხომ არ არის საფიქრებელი, რომ ნ. ბარათაშვილი თავის წინანდელ შეხედულებათა გადაფასებას ახდენს? არა. აქ არავითარი ადგილი არა აქვს განწყობილებათა გადა-



ფასებას. ამ ლექსის მიხედვით სრულიად არ გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ თითქოს იგი ეწინააღმდეგება მისდროინდელი საზოგადოებრივი სინამდვილისადმი პოეტის შეურიგებლობას, მის პესიმიზმს და მისსავე საბრძოლო ძიებას.

ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ მოცემულია პოეტის საკუთარი შეხედულებანი გარკვეულ ისტორიულ მოვლენაზე. იგი ამბობს, რომ შეერთება საქირო და ისტორიულად აუცილებელი მოვლენა იყო. ქართველ ხალხს სხვა გზა არა ჰქონდა, თუ არა რუსეთთან დაკავშირება, ამ გზით ქართველი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩა. ასეთია პოეტის აზრი ამ საკითხზე. ასეთი დასკვნა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე ნ. ბარათაშვილის შემოქმედების საერთო ხასიათს სრულიად არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ეს ნაწარმოები მისი ლირიკის საერთო ხასიათს, მის მებრძოლ ბუნებას კიდევ უფრო მკვეთრად გვაგრძნობინებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თხზულებებით „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ რუსეთთან საქართველოს შეერთება აღიარა როგორც ისტორიულად აუცილებელი მოვლენა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მგოსანი მეფის რუსეთის პოლიტიკურ რეჟიმსაც შეურიგდა. რუსეთთან შეერთების დადებითი შეფასება ერთხელ კიდევ ადასტურებს დიდი მწერლის პროგრესულ შეხედულებებს. ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ჩვენ ვერ ვხვდებით ვერც ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს, რომელშიც რუსეთის საწინააღმდეგო ტენდენციები იყოს მოცემული. პოეტი არც ერთხელ არ იმადლებს ხმას რუსეთის წინააღმდეგ. შემთხვევითი არც ის არის, რომ ჩვენი პოეტი მაინცდამაინც წარსულის იდეალიზაციას არ ახდენს. მის პოეზიაში ვერ ვხვდებით საქართველოს „ძველი დიდების“ დაკარგვით გამოწვეულ ჩივილს, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ყველა პესიმიტი რომანტიკოსისათვის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაშიც გვხვდება ძველი გმირების ქება-დიდება, მაგრამ იგი წარსულის რომანტიკულ იდეალიზაციას კი არ იძლევა, არამედ თავის უშუალო თანამედროვეობას ეხმაურება. მკითხველი სრულიად ძალდაუტანებლად გრძნობს, რომ მგოსანი სახელოვან წინაპართა გახსენებით თანამედროვეებს აქტიური ზრუნვისა და უკეთესი მერმისის შესაქმნელად ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

მგოსანი ერთ შემთხვევაში ასე მიმართავს კრწანისის ველზე ვაჟაკურად დაცემულ გმირებს:

მაგრამ, პოი გმირნო, ნუ შემოფოთლებით,  
 თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:  
 რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,  
 საშვილიშვილოდ გარდაეცემის:  
 ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,  
 ალა-მამამად-ხანს ვიდრე ახსენებს!

მოტანილ სტრიქონებში უდავოდ არის ძველი გმირების ქება, მაგრამ ამ ქებებიდან აშკარად იგრძნობა ავტორის მგზნებარე პატრიოტიზმი, სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვისაკენ მოწოდება. ესაა მთავარი, რაც წინ არის წამოწეული ავტორის მიერ და არა ის, რომ ეს ქართველები ძველ ეპოქაში ცხოვრობდნენ. მწერალი გვეუბნება, რომ მამულისათვის თავგანწირული გმირების „აწ საფლავიცა არსად ჩანს“ და არც „ყამთა მოწამე ძეგლი არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა“. მაგრამაო, — განაგრძობს პოეტი: — „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. დაბოლოს, გმირებისადმი მიმართვა იმით მთავრდება, რომ მათი საქმე და სახელი ქართველთა გულებში იცოცხლებსო მანამ, სანამ ქვეყანაზე ალა-მამამად-ხანის მსგავსი მოძალადეები იქნებიან და, მამასადამე, ქართველის ხმალიც ქარქაშში არ ჩაიგება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ სტრიქონებში სიტყვასიტყვით იგივე აზრია გამოთქმული, რასაც ამბობდა გრიგოლ ორბელიანი თავის ცნობილ მიმართვაში ძველი ქართველი ვაჟკაცებისადმი:

გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!  
 თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა!  
 თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება,  
 მხნეობით აღტაცებული ქაბუჯი ხმალსა მიჰსწვდება!

გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ მგზნებარე სტრიქონების აზრი და მნიშვნელობა გარკვევით სცილდება ჩვეულებრივი რომანტიზმის ჩარჩოებს და მათ ავტორებს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის უშუალო წინამორბედად წარმოგვიდგენს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის იმავე პოემაში, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულია ძველი ქართველი დედების ქება. იქნებ თხზულების ამ ნაწილში მაინც არის წარსულის იდეალიზაცია? არა. აქ წარსულის რომანტიკული გაიდევალება კი არ არის, არამედ მოცემულია კრიტიკა, სასტიკი მხილება პოეტის თანამედროვე ზოგიერთი ქართველი ქალისა; იმ ქალებისა, რომელთაც თავიანთ კეთილ-



შობილურ მოწოდებაზე ხელი აუღიათ და ცხოვრების დევნიად გაუხსნიათ:

ჯანი გაეარდეს აწ შვილსაც, მამულს,  
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს;  
რის ქართველობა, რა ქართველობა!  
მითომ რას გვაენებს უცხო ტომობა?

მოულოდნელი არაა, რომ ასეთი ქალების, თუნდაც ერთეული ქალების, ეპოქაში პოეტმა ნატვრად დასახა ისეთი ზნემაღალი და გულსრული ქართველი დედა, როგორადაც მისი სოფიო წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაშიც ბარათაშვილი გარკვევით რეალისტურ პოზიციებზე დგას და მას მხოლოდ ქართველი ხალხის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვის შეგნება ამოქმედებს. მოვლენებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით ნიკოლოზ ბარათაშვილი უშუალო წინამორბედია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული თაობისა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში „დიმიტრი თავდადებულის“, „თორნიკე ერისთავისა“ და „ბახტრიონის“ გმირთა სახეებს აცოცხლებდა.

ერთვულ მოტივზე ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ დაწერილ თხზულებათა შორის გარკვეული ინტერესის შემცველია ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“.

პოეტს მხედველობაში აქვს მაჰმადიან მთიელთა წინააღმდეგ მიმართული ომები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში წარმოებდა, სახელდობრ, ერთი ამ ომთაგანი, რომელიც ლექსის სათაურშივე კონკრეტულად არის მითითებული.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეს ლექსი ბუნებრივად მოგვაგონებს დავით მაჩაბლის ნაწარმოებებს „მთიულსა“ და „ქართლოსს“. ორი მწერლის მიერ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად შექმნილ თხზულებათა ეს მსგავსება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ამ ნაწარმოებებში გატარებული იდეა ეპოქის საერთო საზოგადოებრივ განწყობილებათა გამომხატველია.

ბარათაშვილისა და მაჩაბლის მიერ ცალკ-ცალკე შექმნილ თხზულებათა იდეურ-თემატიკურ მსგავსებაზე როდესაც ვლაპარაკობთ, საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე ის განსხვავებაც, რომელიც მათ შორის არსებობს.

დავით მაჩაბელი, როგორც ვიცით, თავის პოემაში გადმოგვცემს რუსთა ჯარების მიერ წარმოებულ ომებს კავკასიელ მთიელებთან. უმნიშვნელო გარემოება არც ისაა, რომ ავტორი თითქოს საგანგე-

ბოდ ხაზს უსვამს რუსის ჯარში ქართველთა მონაწილეობას, მათ მიერ რუსეთის ინტერესებისათვის ერთგვარ თავდადებას და თავგანწირვას. გარდა ამისა, კარგად იცის რა ამ ომების მიზანი, იგი მოუწოდებს კავკასიელ მთიელებს რუსეთისადმი მორიგება-დამორჩილებისა და საერთო ენის გამონახვისაკენ. დასასრულ, შწრალი იხსენიებს საქართველოს, როგორც ისეთ ქვეყანას, რომელიც უკვე ოთხი ათეული წელია რუსეთთან კავშირში ცხოვრობს. გასაგებია, რომ ავტორს საქართველოს ახლანდელი მდგომარეობა წარმოდგენილი აქვს როგორც საუკეთესო მაგალითი, როგორც ნიმუში რუსეთის კეთილმყოფელი გავლენისა შეერთებული ქვეყნების მიმართ. დავით მაჩაბლის აზრით, საუკუნეების მანძილზე ისტორიულ ქართველებთან ბრძოლაში დადლილი საქართველო რუსეთის დახმარებამ გადაარჩინა, გააძლიერა და ააღორძინა.

ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი მთელი სიმწვავეით იდგა იმ დროს. როდესაც იწერებოდა „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“, როგორც ვიცით, მგოსანმა ეს პოლიტიკური პრობლემა ეპოქისათვის პროგრესული თვალსაზრისით გადაწყვიტა. იმის შემდეგ, რაც დაიწერა „საფლავი მეფის ირაკლისა“, რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია. „სუმბული და მწირი“, რა თქმა უნდა, კავშირშია ქართლის ბედის საკითხთან, მაგრამ აქ სამშობლოს სიყვარულის გრძნობა კიდევ უფრო გაფართოებულია, ამაღლებულია და ამდენად ეს ლექსი არსებითად ზოგადი პატრიოტული იდეის გამომხატველია.

ლექსში „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დადისტინისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანი-სა“ გამოხატულებას პოელობს ერთგვარი შურისძიების გრძნობა იმ მაჰმადიანური ტომების მიმართ, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში, დროდადრო, საქართველოს თავს ესხმოდნენ და ავიწროებდნენ ხოლმე. მგოსანი გარკვეული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ახალი საქართველო ერთიანი ძალით, „ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა“ ბრძოლის ველზეა გამოსული სამაგიეროსთვის „სისხლისა უბრალოდ დაქცეულისა“. თხზულებაში ხაზგასმულია საქართველოს ყველა კუთხის ერთსულოვანი დარაზმულობა საერთო მტრის წინააღმდეგ. ქართველთა ამ ერთსულოვნებით კმაყოფილი პოეტი მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს: „ვის არა აღეტაცების სული ამ ამბავის მცნობელი?“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან გარკვევით ჩანს, რომ ეს ომი წარმოებს იმ დროს, როდესაც მრავალჭირნახული საქართველო უკვე მოლონიერებული და გამხნევებულია. ნაწარმოებში ხაზგასმული არაა, რომ საქართველოს ახლანდელი ძლიერება რუსეთთან კავშირის შედეგია. აქ არ არის ამ მოვლენებზე ისეთი ვრცელი თხრობა, როგორც დავით მაჩაბლის თხზულებებში გვქონდა. მაგრამ მკითხველისათვის მისახვედრია, რომ ქართველთა ეს სილადე და სითამამე ქვეყნის საერთო პოლიტიკური ძლიერებიდან მომდინარეობს.

ნიკოლოზ ბარათაშვილს კონკრეტულ შემთხვევაში ალაპარაკებს გრძნობა ისტორიული მტრებისათვის სამაგიეროს გადახდევინებისა. ესაა მთავარი. ამასთან ერთად პოეტი დაუფარავად ამყლანებს თავის პირად კმაყოფილებას ქართლოსის საფლავზე ფიცმიღებულ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილთა უანგარო თავდადებით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მგოსანი ალტაცებით მიმართავს სამშობლოსათვის თავგანწირულ სახენათელიან გმირებს:

ჰე, ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მალღიო?  
 გიხმობთ: „ქართველნო, ჰე, შაბაშ! კუროხევა თქვენდა ზე მალღიო!“  
 ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა!  
 შეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეციო წარმართთა!  
 აჩრდილნი ჩვენდა მამათა იშვებენ საიქიოსა,  
 და გიკუროხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა!

ასეთია იდეურ-თემეტიკური რკალი ლექსისა „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა წელსა 1844-ს, მძღვანელობასა ქვეშე ლუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისათვის ძირითადი და განმსაზღვრელია მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა. მისი შემოქმედებითი მოტივების სათავე მშობლიური ქვეყნის კონკრეტულ რეალურ ვითარებაშია. ამ საფუძველს ემყარება და აქედან მალღდება იგი საერთო საკაცობრიო მნიშვნელობამდე. სამშობლოს ბედზე მდრტეინავი მგოსნის ხმა ეროვნულ ფარგლებს სცილდება, ზოგადადამიანურ გულთათქმას უერთდება და საერთო საკაცობრიო მოწოდებად გაისმის. ბარათაშვილის ძიება საერთო საკაცობრიო ხასიათისაა ისევე, როგორც ძიება ბაირონის, ლერმონტოვის, მიცევეიჩისა და საზოგადოდ, პროგრესულად მოაზროვნე რომანტიკოსებისა.

ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების ძირითადი ხასიათი და მისი სიდიადეც ამაში მდგომარეობს.

## X

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა პირველ ყოვლისა თავისი მაღალი იდეებით, ფართო საკაცობრიო შინაარსით არის ღირსშესანიშნავი. იდეურ-შინაარსობრივ ღირსებასთან ერთად საჭიროა მწერლის ენობრივ-სტილისტურ მხარესაც ანგარიში გაეწიოს. მხატვრული პროდუქციის ღირსება დიდად არის დამოკიდებული შემოქმედის პოეტურ ხელოვნებაზე. ეს მით უმეტეს იოქმის ლექსებზე. ლექსში თითოეული სტრიქონის, თითოეული სიტყვის შერჩევას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოეტის გრძნობათა გამოსახატავად. ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ამ თვალსაზრისითაც საყურადღებო მოვლენებთან გვაქვს საქმე.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილის ენას საგანგებო გამოკვლევა უძღვნა, ამბობს: „თუმცა ბარათაშვილი მე-19 საუკუნეში წერდა, მაგრამ მისი ლექსებისა და პოემის ენა საერთოდ უფრო მძიმეა და ძნელი გასაგებიც, ვიდრე მე-17 და მე-18 საუკუნის მწერალთა ნაწერებისა“<sup>1</sup>.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია საბოლოოდ თავისუფალია ტრადიციული აღმოსავლური გავლენისაგან. ბარათაშვილის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ქართული მწერლობა განვითარების ახალ გზაზე დააყენა. ასეთი მწერალი სალიტერატურო ენის საკითხში შეუძლებელია კონსერვატორად მოგვევლინოს. მისი ენა ძირითადად ახალი ქართული სალიტერატურო ენაა, მაგრამ პოეტი არაიშვიათად თავის ლექსიკონს ამდიდრებს ძველი ქართული ენის სიტყვიერი მარაგით.

პოემაში „ბედი ქართლისა“ მართლაც ჭარბად არის წარმოდგენილი ქართული ენის ძველი ფორმები. პოემის ენა ძველი ქართულისაკენ უფრო იხრება, ვიდრე ახლისაკენ. ასეთი ენით მეტყველებენ მეფე ერეკლე, სოლომონ მსაჯული და სოფიო. აქ ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: შესაძლებელია პოემაში მოცემული მათი მეტყველებისაგან განსხვავდებოდეს მეფე ერეკლესა და სოლომონ

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1939 წ., გვ. 150.



ლიონიძის ხელიდან გამოსული წერილობითი საბუთების ენა. მაგრამ ეს „სიძველე“ ენისა ნაკარნახევია თვით მასალის თავისებურებით. პოემის გმირები მეთვრამეტე საუკუნის ადამიანები არიან და ამავე დროს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები. მწერალი ისტორიულ მოვლენებსა და პიროვნებებს გვიხატავს. სწორედ ამის გამო იგი ვალდებულია დაიცვას ისტორიული კოლორიტი, ხოლო ამ კოლორიტის ერთ-ერთი ნიშანი ენობრივი თავისებურებაცაა. მეფე ერეკლე და სოლომონ მსაჯული პოლიტიკური მოღვაწეები არიან, ქართული კულტურისა და ქართული ენის დიდი პატრიოტები და მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ მათი მეტყველებაც ძველი სახელმწიფოებრივი ელფერის მატარებელია.

აკადემიკოსი ა. შანიძე თავის იმავე ნაშრომში სამართლიანად მიუთითებს: „საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ენა ბარათაშვილისა ერთი არ არის: სხვაა ის ენა, რომლითაც ის სწერს თავის ლექსებსა და პოემას, და სხვაა ის ენა, რომელსაც მის წერილებში ვხვდებით. ლექსებში ბარათაშვილი ცდილობს ძველი სიტყვების შერჩევას, ძნელი გამოთქმების მოყვანას, მძიმე გრამატიკული ფორმების მოხმარებას, წერილებში კი ადვილად გასაგებ ფორმებს მიმართავს, სიტყვებსა და გამოთქმებს ჩვეულებრივი სასაუბრო ენიდან იღებს და, საზოგადოდ, მეტ ბუნებრივობას იჩენს. მართალია, წერილებშიც ვხედავთ ძველებურ სიტყვებსა და არქაულ ფორმებს, მაგრამ ეს აქ ისეთი რაოდენობითაა, რომ იმდროინდელი სალიტერატურო ენის ფარგლებში თავისუფლად ეტყევა“.

პოემაში ნიკოლოზ ბარათაშვილის ენა ზოგჯერ იქაც, სადაც პოეტი თვითონ ლაპარაკობს, თითქმის იგივეა, რაც ერეკლესა და სოლომონის ენა. კონკრეტულ შემთხვევებში ავტორის ენაც გმირთა მეტყველებისავენ იხრება, მათი ენის თავისებურებას ეხამება. ეს მოვლენაც პოემის მასალის საერთო ხასიათით აიხსნება და აქ მოულოდნელი არაფერია.

საყოველთაოდ ცნობილია ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული დამსახურება ახალი ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრების საქმეში. იმავე ილიას ნაწერებშიც არა ერთჯერ გვხვდება ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. ასეთი სიტყვები არცთუ ისე ცოტაა „აჩრდილში“ და სამოციან წლებში დაწერილ სხვა თხზულებებში.

ძველქართული სიტყვები და გამოთქმები საკმარისად გვხვდება თვით პოემა „განდეგილში“, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში შეიქმნა.

ბეთლემის აღწერის დროს და განდევილის საუბარში ჩვეულებრივად გვხვდება ასეთი სიტყვები და მთელი წინადადებებიც: „მე-უფება“, „ღვთისა მოსავთა“, „სად უდაბურსა მას მყუდროებას“, „ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..“, „თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად“ და სხვ.

ილია ჭავჭავაძის მიერ პოემაში ასეთი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებას ის გამართლება აქვს, რომ იგი განდევილის სახეს მთელი სისრულით წარმოადგენს მკითხველის წინაშე. არქაიზმების გამოყენება ხელს უწყობს მწირის შინაგანი ბუნების, მისი სულიერი ღვთის შეგრძნებას მკითხველისაგან; უფრო ნათელ და ყოველმხრივ შთაბეჭდილებას ვღებულობთ ნაწარმოების პერსონაჟზე.

იმავე მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ „ბედი ქართლისაში“ გამოყენებული არქაიზმების მნიშვნელობაც.

არქაული სიტყვები ნ. ბარათაშვილის ლირიკულ ლექსებში უფრო მეტი გვხვდება. ამ შემთხვევაში მათი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მწერლის განცდები, მისი მღელვარება, სევედა ან სიხარული, უფრო მკვეთრად გვაგრძნობინოს. პოეტი მათ იყენებს პატივისცემის, აღფრთოვანების ან კიდევ აღშფოთების გამოსახატავად. ვკითხულობთ ლექსის პირველ სიტყვებს „სულო ბოროტო ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად“ და აქედანვე ვგრძნობთ პოეტის შებრძოლებას რაღაც ძალისადმი. პირველი სტრიქონიდანვე მკითხველში ბუნებრივად მზადდება ნიადაგი, რომ მან ძალდაუტანებლად მიიღოს ის დასკვნა, რომელიც ლექსის ბოლოშია მოცემული: „განვედი ჩემგან, ჰოჲ, მაცთურო, სულო ბოროტო!“

ძველქართულია ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები, როდესაც იგი, სოფიოს მსჯელობით კმაყოფილი, მამულისათვის თავდადებულ ქართველ დედებს მიმართავს. სიხარულისა და აღტაცების რაოდენი განცდაა ამ მიმართვის პირველსავე სტრიქონებში:

ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,  
 კურთხევა თქვენდა, ტყბილ სახსოვარნო,  
 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
 სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!

არქაულ სიტყვათა ხშირი გამოყენება უმეტეს შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოების გაგებას აძნელებს და მკითხველის დაინტერესებაც ასეთი ქმნილებებით ნაკლებია. ნიკოლოზ ბარათაშვი-

ლის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მის თხზულებებზე ეს არ ითქმის. მისი პოეზია რაღაც არაჩვეულებრივი ძალით ატყვევებს მკითხველს და მოქმედებს მის განცდებზე. რაში უნდა ვეძიოთ ეს ძალა და მიმზიდველობა? ერთი მთავარი პირობა ამ მიმზიდველობისა არის ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა შინაარსობრივი მხარე. მისი ლექსი პირველი სტრიქონებიდანვე მკითხველის გრძნობას ისე ხვდება, რომ ადამიანის მთელს არსებას აჯადოებს, იპყრობს და თავის ორბიტში აყენებს. ტაეპები და სტროფები ისეა ერთმანეთთან გადააჯაჭვული დედააზრის საშუალებით, რომ მათი დინამიკა მკითხველის გრძნობა-გონებას იმორჩილებს და პოეტის განცდათა თანამოზიარედ ხდის.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ენა ძირითადად ახალი ქართული სალიტერატურო ენაა, მაგრამ მგოსანი ცალკეულ შემთხვევებში, ემოციის გაძლიერების მიზნით, ძველი ქართულის სიტყვიერ მარაგსაც იშველიებს.

\* \* \*

ლიტერატურული ენარების თვალსაზრისით ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის დამახასიათებელია პოეზიის ორი დარგი — ლირიკა და ეპოსი. ლირიკულ ლექსებში ელეგიის ენარი ქარბობს. გენიალური პოეტის ხალასი ლირიზმი უმთავრესად ფილოსოფიური ხასიათის ელეგიებში პოულობს თავის გამოხატულებას. ფილოსოფიური ელეგიის ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს მისი „ფიჭრნი მტკვრის პირას“ და „სული ობოლი“, რომლებშიც განხილულია საზოგადოებრივი ცხოვრების რაობისა და პიროვნების დანიშნულების საკითხი. თავისი ეპოქის უკუღმართობის გმირული უარყოფა და მომავლის რევოლუციური ძიების განწყობილებები ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოგვცა საგმირო ელეგიებში „მერანი“, „სულო ბოროტო“ და სხვ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკიდან საინტერესოა მისი სახოტბო ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“. როგორც ცნობილია, ოდის ენარი ძველ ქართულ ლიტერატურაში დიდად განვითარებული იყო. იოანე შავთელის „აბდულმესია“ და ჩახრუხაძის „თამარიანი“ სახოტბო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ. ახალ ქართულ ლიტერატურაში ნ. ბარათაშვილს ამ მხრივ მეტოქეობას თითქმის ვერავენ უწყევს და იგი არაფრით ჩამოუვარდება საყოველთაოდ ცნობილ ოდების ავტორებს.

ეპიკურ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება ნიკოლოზ ბარათაშვი-

ლის პოემა „ბედი ქართლისა“. ეს თხზულება ისტორიული პოემის ჟანრისაა. აქ ავტორი გვევლინება, როგორც ისტორიული ამბების ობიექტური და პირუთვნელი მიხრობელი. ყოველგვარი მიკერძოებისაგან თავისუფალი პოეტი ისტორიულ მოვლენებსა და ისტორიულ პიროვნებებს სრული სიმართლით აცოცხლებს მკითხველის წინაშე. მოქმედების განვითარება პოემაში არაჩვეულებრივი ეპიკური სიღინჯით არის გადმოცემული. ამბის თხრობას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ის ლირიკული წიადსვლები, რომელთაც მგოსანი ზოგჯერ მიმართავს. ასეთია, მაგალითად, ის ჩართული ადგილი, რომელშიც პოეტი მდინარე არაგვისა და მისი მიდამოების აღწერას იძლევა. ლირიკული წიადსვლის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს პოემის ის ადგილი, სადაც ბარათაშვილი ქართველ დედებს მიმართავს. პოემა „ბედი ქართლისა“ რომანტიკულ-რეალისტური ნაწარმოებია. ამ თხზულებით ნიკოლოზ ბარათაშვილი გახდა წინამორბედი იმ ლიტერატურული თაობისა, რომელიც სამოღვაწეო სარბიელზე მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში გამოვიდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა ბარათაშვილის პიროვნებაში თავის უშუალო და უახლოეს წინამორბედს ხედავდა. სწორედ ამ თაობის გრძნობებს გამოხატავდა ვაჟა-ფშაველა, როდესაც იგი ნიკოლოზ ბარათაშვილს მიმართავდა:

მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,  
 ქართლისა წყლულთა მოზარე,  
 მშვიდობა, სულო ძლიერო,  
 თავის სამშობლოს მოყვარე!  
 დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯელ  
 თვალზე ცრემლები მომგვარე...  
 არ დაივიწყა სამშობლომ  
 შენი მის ბედზე ტირილი.  
 მედგარი სულის კვეთება.  
 შავბედობაზე ჩივილი,  
 დაუშრეტელი ნაღველი,  
 წყრომა და გულის ტკივილი.  
 მადლი შენს თანამომქმეთა, —  
 მიწა გახილეს მშობელი,  
 შენი სატრფო და სადარდო,  
 გულს ლახვარ-დამასობელი.  
 შენი მერანი კვლავაც რბის,  
 მისი ნავალიც შთენილა,  
 უმადლოდ არ დაკარგულა,  
 თუ ოდეს ცრემლი ღენილა.



ვაჟა-ფშაველას ამ სტრიქონებში გარკვევით ისმის ხმა ქართველი ინტელიგენციის იმ თაობისა, რომელმაც ქართლის ბედის საკითხი თავისი მოღვაწეობის უმთავრეს საგნად აქცია, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში აღძრული პრობლემა ახალ ისტორიულ ეპოქაში განაგეითარა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა გაბედულად ააფრიალა.

---

## მიხეილ თუმანიშვილი

### I

მიხეილ თუმანიშვილი წარმოშობით იმ ოჯახს მიეკუთვნება, რომელიც თავისი დროისათვის ცნობილი იყო მწიგნობრული საქმიანობით. მამა მიხეილისა, ბირთველ თუმანიშვილი, ჯერ მეფე ერეკლეს და შემდეგ გიორგი მეთორმეტის მდივანი იყო.

მიხეილ თუმანიშვილი დაიბადა 1818 წლის 19 მაისს სოფელ ხელთუბანს, რომელიც ქალაქ გორთან ახლოს მდებარეობს. ბავშვობის წლები მიხეილმა მშობლიურ სოფელში და გორში გაატარა. პირველდაწყებითი სწავლაც იქვე მიიღო გორელი მღვდლისაგან.

1831 წელს მიხეილ თუმანიშვილი თბილისის გიმნაზიაში შეიბარეს. აქ სწავლობდა იგი ექვსი წლის განმავლობაში. იმავე წლებში, როგორც ვიციტ, გიმნაზიაში სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. მიხეილი ნიკოლოზ ბარათაშვილზე ერთი კლასით უკან იყო, მაგრამ მათ განსაკუთრებული ახლო მეგობრობა ჰქონდათ. ბარათაშვილისა და თუმანიშვილის მეგობრობა მხოლოდ გიმნაზიელობის პერიოდით არ შემოიფარგლება. ისინი ასევე უახლოეს მეგობრებად დარჩნენ ცხოვრების მთელს მანძილზე.

გიმნაზიელობის პერიოდიდან მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრებაში საყურადღებოა რიგი მომენტები. იგი აქტიური მონაწილე და მეთაური იყო მოსწავლეთა წრისა, რომელიც გიმნაზიაში ფრიად მნიშვნელოვან ლიტერატურულ მუშაობას აწარმოებდა. მიხეილ თუმანიშვილის ხელით არის გადაწერილი ის ლიტერატურული ანთოლოგია, რომელსაც ზემოთ, ნიკოლოზ ბარათაშვილთან დაკავშირებით გვევცანით. გარდა პრაქტიკული მოღვაწეობისა, იგი ამ ანთოლოგიის ლიტერატურული თანამშრომელიც იყო. გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა ავტორთა გვერდით ანთოლოგიაში მოთავსებულია თვითონ მიხეილ თუმანიშვილის თხზულებანი, რომელნიც მის პირველ ლიტერატურ-



რულ ცდებს წარმოადგენენ. აქ არის მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ნაწარმოებები: „სირი და ჭვინტა“, „ბაყაყნი, მთხოვნელნი მეფისა“, ნაწყვეტები ალექსანდრე პუშკინის პოემისა „კავკასიის ტყვე“ და ორიგინალური ლექსები „მირტილი“ და „კახეთი“<sup>1</sup>.

მიხეილ თუმანიშვილმა განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო მოსწავლეთა ცნობილ ჟურნალს „თბილისის გიმნაზიის ყვავილს“. ამ ჟურნალის გამოცემის დროს (1835 წ.) მ. თუმანიშვილი უკვე უფროსი კლასის მოსწავლე იყო და, გასაგებია, რომ იგი გიმნაზიელთა წრეში ავტორიტეტით სარგებლობდა. „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ გამოცემის საქმეში მისი დამსახურება მრავალმხრივ მოჩანს. იგი იყო ერთი მთავარი ინიციატორი ამ ჟურნალის დაარსებისა; იზიდავდა თანამშრომლებს, აგროვებდა მასალებს და აწარმოებდა ჟურნალის გამოცემას და, ბოლოს, „ყვავილში“ მოთავსებული რიგი მასალები თვით მიხეილის კალამს ეკუთვნის.

1836 წლის დამლევს მიხეილ თუმანიშვილმა გიმნაზიის კურსი დაასრულა. მას გულით ეწადა უმაღლესი განათლების მიღება, მაგრამ, როგორც ალექსანდრე ხახანაშვილი სამართლიანად შენიშნავს, „უნივერსიტეტის გზა მისთვის მატერიალური ხელმოკლეობის გამო დაბნული აღმოჩნდა“. ამ მხრივ მან თავისი მეგობრის ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედი გაიზიარა.

1837 წლის დამდეგიდან მიხეილ თუმანიშვილი თბილისის სახაზინო პალატაში შევიდა უბრალო მოხელედ. ორმოციან წლებში საყურადღებო მომენტი წარმოადგენს მისი ახლო ურთიერთობა ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან, ორბელიანებთან და სხვებთან. მნიშვნელოვანი მომენტია აგრეთვე მეგობრობა საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ მწერალ ზაბლოცკისთან. რომელმაც, სხვათა შორის, პოლონურ ენაზე თარგმნა მიხეილ თუმანიშვილის ლექსი „ფილა“<sup>2</sup>.

ლიტერატურული საქმიანობის თვალსაზრისით მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლები. მისი საუკეთესო ლექსები სწორედ ამ დროს იწერება. ეს მოვლენა შემთხვევითი არაა. ეს ის ხანაა, როდესაც მ. თუმანიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, აქტიურად არის ჩაბმული გაცხოველებულ ლიტერატურულ საქმიანობაში. ისინი ერთმანეთს ხვდებიან ალ. ჭავჭავაძისა და ვახტანგ

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2684.

<sup>2</sup> მ. თუმანიშვილი, რჩეული თხზულებანი, 1881 წ., გვ. 10.

ორბელიანის ბინებზე, კიდევ უფრო ხშირად მანანა ორბელიანთან რომლის სახლი საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა. ეს დროა ყველაზე ნაყოფიერი მიხეილ თუმანიშვილის სალიტერატურო მოღვაწეობაში.

1840 წლიდან, როდესაც მიხეილი დაცოლშვილდა, იგი თანდათან პირადი ცხოვრებისათვის ზრუნვამ გაიტაცა. ორი-სამიოდე წლის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ცოტა გვიან ნიკოლოზ ბარათაშვილიც თბილისიდან მიემგზავრებიან სამსახურის ადგილებში და მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებითი აქტივობაც ნელდება. იგი თანდათან ებმება სამსახურებრივ საქმეებში და თავის დროსა და ენერგიას ძირითადად მას ანდომებს.

1842 წელს მიხეილ თუმანიშვილი ინიშნება განსაკუთრებულ მინდობილობათა უმცროს მოხელედ, ხოლო 1846 წლიდან იგი თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში გადადის. აქედან იწყება მისი ენერგიული წინსვლა სამსახურებრივი კარიერის გზაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების საქმეში მის. თუმანიშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და უნარიანობით. ამას ნათლად ადასტურებს ის ოფიციალური დახასიათებანი, რომელნიც მის გარშემო სხვადასხვა დროს დაწერილა. 1858 წლიდან იგი კავკასიის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა განყოფილების დირექტორის თანამდებობას ასრულებს, ხოლო 1861 წელს, როდესაც დაარსებულ იქნა მემამულეთა გლეხების მომწყობი კავკასიის კომიტეტი, მიხეილ თუმანიშვილი ამ კომიტეტის საქმეთა მმართველად დაინიშნა. იგი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით უშუალო მონაწილეობას იღებდა ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. საგლეხო რეფორმების გატარების შემდეგ მ. თუმანიშვილი „გლეხთა მოწყობის კომიტეტის“ კანცელარიის დირექტორად დაინიშნა. დაბოლოს, სამოცდაათიან წლებში, იგი მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი გახდა.

1875 წლის თებერვალში მიხეილ თუმანიშვილი გარდაიცვალა.

## II

საკმარისია უბრალოდ თვალი გადავავლოთ მიხეილ თუმანიშვილის სამსახურებრივ მდგომარეობას, რომ დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ მოუცლელი იყო იგი ლიტერატურული და საზოგადოებ-





რივი მოღვაწეობისათვის. თუ შეიძლება ითქვას, რომ თანამდებობა-რივი საქმეებით გატაცებამ მწერალი იმსხვერპლა, ეს სწორედ მიხეილ თუმანიშვილის პიროვნებაში მოხდა. ორმოციანი წლების შემდეგ იგი აქტიური ლიტერატურული ცხოვრებიდან ერთგვარად განდგომილი მოჩანს. მან, როგორც მწერალმა, თავისი ძალა არსებითად ორმოციანი წლების პირველ ნახევარში ამოწურა და ამის შემდგომ პოეზიაში აღარაფერი შეუქმნია.

მიხეილ თუმანიშვილმა ფართო საზოგადოების ყურადღება კვლავ მიიქცია მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, როდესაც იგი გულთბილად გამოეხმაურა გიორგი ერისთავის თეატრს.

1852 წლის დამდეგს გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე ქვეყნდება მ. თუმანიშვილის წერილი გიორგი ერისთავის თეატრის გარშემო. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ქართული თეატრის მდგომარეობას, მსჯელობს მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ამდენად, მის წერილში გამოხატულებას პოულობს იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მზრუნველი დამოკიდებულება განახლებული ეროვნული თეატრისადმი.

წინა პერიოდის ზოგადი დახასიათების შემდეგ მიხეილ თუმანიშვილი მოგვითხრობს მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქართული თეატრის დაარსების ისტორიას. იგი ქება-დიდებათი იხსენიებს და გულითად მადლობას უხდის გიორგი ერისთავს, რომელმაც ამ დიდ ეროვნულ საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდო.

მიხეილ თუმანიშვილის ეს წერილი, მისი გულწრფელი მოწონებისა და გამხნეების სიტყვები უდავოდ გარკვეული მნიშვნელობისა იყო იმდროინდელი ქართული თეატრის მოღვაწეებისათვის, რომელნიც ამ შრომას უანგაროდ და თავდადებათი ეწეოდნენ. ეს წერილი, სხვა მოღვაწეთა წერილებთან ერთად, მნიშვნელოვანი დოკუმენტია მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ქართული თეატრის ისტორიისათვის. იმავე წერილში მოცემული მსჯელობანი თეატრისა და დრამატურგიის ზოგად საკითხებზე კარგად გვაგრძნობინებს ავტორის გარკვეულ ესთეტიკურ ალღოსა და დაკვირვების უნარს<sup>1</sup>.

მიხეილ თუმანიშვილი მკითხველი საზოგადოების წინაშე ერთხელ კიდევ წარსდგა სამოციანი წლებში, როდესაც ივანე კერესე-

<sup>1</sup> იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ჭრესტომათია, I, შედგენილი ს. ხელიშვილის მიერ, 1954 წ.; გვ. 40-48.

ლიძის მიწვევით მან ურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაწარმოები.

1858 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა მ. თუმანიშვილის სამი მცირე მოცულობის წერილი საცნობარო (საინფორმაციო) ხასიათისა. ეს წერილებია: I. „კენჭი კეთილ-შობილთა და მოქალაქეთა ტფილისში“, II. „გაგზავნა კეთილ-შობილთ ყმაწვილთ კაცთა პეტერბურღში“ და III. „გამოფენა ბუნებისა და ხელთა ნაწარმოების ნიმუშებისა ტფილისში“. იმავე წლის „ცისკრის“ თებერვლის ნომერში დაიბეჭდა მისი ლექსები: „ზამთრის შემოდამება (გრაფინია როსტოპჩინინდგან)“ და „ფიალა“. აქვეა რუსულიდან თარგმნილი „აღსასრული ქვეყნისა“, რომლის წინასიტყვაობა გარკვეული მნიშვნელობის შემცველია მ. თუმანიშვილის საერთო ლიტერატურულ შეხედულებათა გათვალისწინების თვალსაზრისით.

მიხეილ თუმანიშვილს მონაწილეობა არ მიუღია სამოციანი წლების „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში. იგი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ პოლემიკაში არ ჩაბმულა არც სამოცდაათიან წლებში, როდესაც მას საამისო საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. ეს საფუძველი იყო ი. ჭავჭავაძის მიერ 1871 წელს დაწერილი „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის „გამოცანებმა“ ბრძოლის ფერხულში ჩააბა გრიგოლ ორბელიანი. ანალოგიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიხეილ თუმანიშვილსაც ჰქონდა იგივე მიზეზი, რა მიზეზითაც გრიგოლ ორბელიანმა ილიას წინააღმდეგ გაილაშქრა.

ილია ჭავჭავაძემ ერთი გამოცანა მიხეილ თუმანიშვილსაც უძღვნა. გამოცანა მეტად მკაცრი და დაუნდობელი იყო. ილია, გრიგოლ ორბელიანზე დაწერილ გამოცანაში, როგორც ვიცით, გარკვეულ თავაზიან ტონს იცავს, თუმანიშვილისადმი მიძღვნილი გამოცანა კი ასეთი აღარ არის. ილია მას მეტისმეტად მკაცრად ექცევა. დაუზოგავად კიცხავს და ამათრახებს. მისი ტონი მიხეილ თუმანიშვილის მიმართ ისევე მსახვრალია, როგორც რომელიმე ბობოლა მოხელის მისამართით დაწერილი გამოცანის ტონი. ილია მას ორპირა და გაქნილ ჩინოვნიკს უწოდებს. ქართველი მალჩალინია, ხელქვეითებთან თავმომწონე და მსხვილი მოხელეების წინაშე კი ფეხის მტვერიო, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე.

ეგ უსახო და უხამი

ქართული მალჩალინია,

თავი მოწონს მხოლოდ მით, რომ

ზედიზედ მოსდის ჩინია.

წერილებში თავმომწონეა,

მსხვილებში — ფეხის მტვერია,  
 მამის სახელით გამოდის,  
 რადგანც თვით არაფერია...  
 ვირ-ემეა და ორპირი,  
 ეგ დიდად მოსაჩილია,  
 ქართლი, სომხეთი, რუსეთი,  
 სამივე ფეხებზედ ჰკილია.

ისმის კითხვა: რა მიზეზი იყო, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელიც მიხეილ თუმანიშვილს საზოგადოდ პატივისცემით ეპყრობოდა, ამ შემთხვევაში ასე დაუნდობლად მოექცა? ამის მიზეზი იყო ის კონკრეტული მოვლენა, რომელზედაც დაიწერა საერთოდ ილიას „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“. ამის უშუალო მიზეზად იქცა ის ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხზე.

მოულოდნელი სრულიად არაა, რომ ილია ჭავჭავაძე თავს დაესხა თბილისის დიდ მოხელეთა იმ წრეს, რომელმაც თავისდა სამარცხვინოდ უნივერსიტეტის გახსნის იდეა კადეტთა კორპუსის დაარსებაზე გასცვალა. ილია ჭავჭავაძემ „გამოცანებში“ სასტიკად გაამათრახა ძველი თაობის ის წარმომადგენლები, რომელთა მიზეზით ჩაიშალა ეს დიდი ეროვნული მნიშვნელობის წამოწყება. გაამათრახებულთა შორის მიხეილ თუმანიშვილიც აღმოჩნდა.

სასტიკი და უღმობელი იყო ილია პოლემიკაში. ასეთ შემთხვევებში მისი კალამი კიდევ უფრო ძლიერად სჭრიდა, ვიდრე რომელიმე მოთხრობის ან ლექსის წერის დროს. მან ეს ბასრი მახვილი, როგორც ვნახეთ, ერთხელ მიხეილ თუმანიშვილზეც იხმარა. თუმანიშვილს ილიასათვის პასუხი არ გაუცია. გასაგებია, რომ ი. ჭავჭავაძესთან შებმა მისთვის ხელსაყრელი არ იყო, ეს მის შესაძლებლობას აშკარად აღემატებოდა. იგი კარგად მოიქცა, როდესაც დუმილის გზა აირჩია. თვით ილიაც მიხეილ თუმანიშვილის მიმართ მაინცდამაინც ისე უარყოფითი შეხედულებისა არ ყოფილა, როგორც ეს მისი გამოცანიდან ჩანს. ილია ბრძოლის დროს რისხვა იყო, მაგრამ უაღრესად გამგებიანი და ობიექტური ადამიანის ღვაწლის დაფასების საქმეში. იგი მიხეილ თუმანიშვილს უდავოდ აფასებდა, როგორც მოქალაქეს და როგორც პოეტს. სხვარივად არც შეიძლება ყოფილიყო: ილია ჭავჭავაძემ აღმოაჩინა (თუ შეიძლება ასე ითქვას) და ფართო საზოგადოებაში გაიტანა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სახელი. რამდენადაც ილია პატივისმცემელი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა, იმდენად შეუძლებელია, რომ იგი

გარკვეული პატივისცემის გრძნობით არ ყოფილიყო გამსჭვალული მისი უახლოესი მეგობრისადმი, მისი ცოცხალი მემკვიდრისადმი.

მიხეილ თუმანიშვილი ყველაზე უფრო ახლო მეგობარი იყო ბარათაშვილისა, მეგობარი, რომელმაც გენიალური პოეტის სახის ფანქრით შესრულებული მონახაზიც დაგვიტოვა და თუნდაც მხოლოდ ამის გამო შეუძლებელია, რომ ილიას იგი არ დაეთასებინა. ეს იყო ერთი მხარე მ. თუმანიშვილის პიროვნებისა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებით იზიდავდა. გარდა ამისა, ილია იმავე თუმანიშვილს, როგორც პოეტსაც აფასებდა, თუმცა დიდი მასშტაბის მწერლად არ თვლიდა.

1881 წლის დამდეგს ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ივერიაში“ მოათავსა მიხეილ თუმანიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი ალექსანდრე პუშკინის პოემისა „ბახჩისარაის შადრევანი“. იმავე წელს ცალკე წიგნად გამოიცა მიხეილ თუმანიშვილის რჩეული ნაწერები. ამ გამოცემას „ივერია“ გულთბილად შეხვდა. წიგნის გამოცემის გამო ჟურნალში დაიბეჭდა წერილი, რომელიც თუმანიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვას იძლევა. მართალია, წერილი თვით ილიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ იგულისხმება, რომ ი. ჭავჭავაძე, როგორც ბატონ-პატრონი „ივერიისა“, წერილის აზრს ასე თუ ისე იზიარებდა.

„ივერია“ მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებაზე წერდა:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი ამ მხარის მიმცემთავანი და „მხარის დამამშვენებელი“ ყოფილა მიხეილ თუმანიშვილიც. ამას უწერია თავის ლექსები ნიკ. ბარათაშვილის დროს და ბევრი უფრო ადრეც; ბევრსა ჰგონია, რომ ლიტერატურისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს-რა ამისთანა მომცრო პოეტების თხზულებების გამოცემას, როგორიც არის მიხ. თუმანიშვილი, მაგრამ ჩვენის აზრით ეს ისეთი შეცდომაა, რომ ამის თქმა არ მიეთევება არაფერს, ვინც კი ლიტერატურის ისტორიას დაჰკვირვებია. მაგრამ საზოგადოდ ლაპარაკს მაგალითების დასახელება სჯობს.

„ჩვენს ლიტერატურაში ბევრს ნიკოლოზ ბარათაშვილი მართოდ მართო ჰგონია; ბევრსა ჰგონია, რომ ეს პოეტი რაღაც უცნაური მოვლენაა და რაც იმის ლექსებში გრძნობა და აზრია გამოთქმული, საქართველოს ნიადაგზედ არ არის აღმოცენებულიო. ვინც ამას ამბობს, წაიკითხოს გრიგოლ ორბელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, ვახტანგ ორბელიანის ლექსები და ამ ყოვლად შემცდარს აზრს აღარ იტყვის“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ჟურნალი „ივერია“, 1881 წ., № 7.

ასეთი შეფასება მიიღო მიხეილ თუმანიშვილის ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. ეს შეფასება ძირითადად, რასაკვირველია, სამართლიანად განსაზღვრავს მწერალთა იმ კატეგორიის მნიშვნელობას, რომელსაც მ. თუმანიშვილი ეკუთვნის. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნის გზაზე მიხეილ თუმანიშვილის პოეტურ სიტყვასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა.

### III

მიხეილ თუმანიშვილს ლექსების წერა ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში დაუწყია. თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა წრის მიერ გამოცემულ ხელნაწერ ჟურნალსა და ანთოლოგიაში შემონახულია მ. თუმანიშვილის მიერ 1833—1835 წლებში დაწერილი ლექსები. ამათგან ყველაზე ადრინდელ ქმნილებებად უნდა მივიჩნიოთ ანთოლოგიაში მოთავსებული ლექსები „მირტილი“ და „კახეთი“.

„მირტილი“ რომანტიკული ხასიათის ლექსია, რომელშიც გამოხატულებას პოულობს ყრმა ავტორის სულიერი განწყობილებანი: ბუნების მშვენიერებისაკენ განსაკუთრებული მისწრაფება, რელიგიური ფანატიზმი და გადაჭარბებული მგრძნობელობა.

ლექსი „კახეთი“ კონკრეტულ თემაზეა დაწერილი. მასში პოეტურად არის გადმოცემული საქართველოს ერთ-ერთი მშვენიერი კუთხის ბუნებრივი სილამაზე, მისი სიტურფე და სიუხვე. ამ ლექსით მიხეილ თუმანიშვილი წარმოგვიდგება როგორც ერთგვარი წინამორბედი იმ ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლებისა, რომელთაც კახეთის ქება არა ერთგზის წარმოუთქვამთ ლექსად თუ პროზად.

მიხეილ თუმანიშვილის ეს ლექსი, როგორც ყრმობისდროინდელი ნაწარმოები მომავალი რომანტიკოსი პოეტისა, ზედმეტი არ იქნება გავიცნოთ მთლიანად:

კახეთი ტურფა არს სახილველი —  
 მის მშვენიებასა უტკბს სახედველი!  
 მუნ მურტოვნებით მოყვავთა ღელეთა  
 უღარაჯებენ სიმგრველი სერთა;  
 ვერცხლებ ჩანჩქერნი მათ კენწერითა  
 ჰრბიან ყანებში კამკამებითა.  
 მუნ ბორცეთა ზედა თვალთა მიმტაცნი,

მწიდან ყურძენნი, მყვითლად მღვდევარნი,  
 იორის ნაპირს და ალაზნისა  
 მიდმოსახესა ჰსვერეტ სიამისა.  
 მტენ გზავრი სავსე ტკბილისა გრძნობით,  
 იტყვის წყნარისა, მშვიდისა ღმობით:  
 ნუ თუ სურათნი სრულ სამოთხისა  
 ჰსჩანან სიტურფით წინარე ჩემსა? !

მიხეილ თუმანიშვილის ყრმობისდროინდელ ლექსებში გარკვეულ გამოხატულებას პოულობს ის განწყობილებანი, რომელნიც შემდგომს პერიოდში მისთვის, როგორც რომანტიკოსი პოეტისათვის, დამახასიათებლად იქცნენ.

მიხეილ თუმანიშვილი ტიპური რომანტიკოსია. მის შემოქმედებაში წარმოდგენილია პესიმისტური რომანტიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი მოტივი. აწმყო სინამდვილისადმი შეუარიგებლობა, მომავლისადმი შიშის გრძნობით დამოკიდებულება და წარსულის იდეალიზაცია არის მისი პოეზიის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი. ამასთანავე მ. თუმანიშვილი, სხვა რომანტიკოსების მსგავსად, გარკვეულ ადგილს უთმობს ბუნების კულტს და ამ შემთხვევაშიც წმინდა პესიმისტურ-რომანტიკული განცდის გამომხატველია.

პოეტს თავისი დროის სინამდვილე წარმოუდგება როგორც უღაბნო, „სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სვერეტენ“. აქ ყველაფერი გავერანებულია, ცხოვრების ხე მწუხარედ გამოიყურება ჩამომკენარი ტოტებით. ირგვლივ არარაობაა, ბატონობა ყოველის მომსპობ ქარიშხალს დაჩენიაო, — ამბობს მ. თუმანიშვილი. ლექსში „უღაბნო“ იგი წერს:

ვის არ გიხილავთ უღაბნო ბნელი,  
 სად თვალნი მზისა შუქსა ვერ სვერეტენ,  
 სად ვერანადა მოჰსჩანს ყოველი  
 და ქარიშხალი ხშიანობს ოდენ?  
 ვის არ გიხილავთ იქა ხე, მწარედ  
 გულ-ჩამომწვარი ციურის ცეცხლით  
 და მაღალს კლდეზედ მარტოდ, მწუხარედ  
 გარდმოკიდული დამკენარ შტოვებით!

ამ უღაბნოში გრძნობს პოეტი თავს და ამიტომაც იგი გამოუვალ სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი. ცხოვრებისაგან შევიქენიო დღეგანამწარი და ახლა ვერავითარი ტკბილი იმედი, ვერავითარი სა-

<sup>1</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2684.

წუგეშო სიტყვა დამჟკნარ გულს ხელმეორედ ვეღარ ააყვავებსო  
 ამბობს იგი.

ეს არს, მოყვასნო, გლახ ჩემი ბედი!  
 მეც ეგრეთ ვიქმენ დღევანამწარი:  
 ეერლა მეახლოს ტკბილი იმედი,  
 ვერლა აღყვავდეს მით გული მჟკნარი!

ლექსში „მოგონება“ მიხეილ თუმანიშვილი ისევ გარემო სინამდვილის უკუღმართობას უჩივის. პოეტის ირგვლივ, მისივე სიტყვებით რომ გავიმეოროთ, უკუნეთი ბნელია გამეფებული, მაღალ მთებს ღამის საბურველი მოსავს, ხოლო ქალაქი და მისი ცხოვრება ფეხქვეშ გათელილი მოჩანს:

ღრუბელი გარდიყარა, მარამ გარეშე ბნელი  
 არტყია მთებს უძრავად ღამისა საბურველი;  
 ფეხ-ქვეშ მოჰსჩანს ქალაქი, ეთა სამარე შავი:  
 მხოლოდ ერთი ნაცნობი ბეუტავს ცაში ვარსკვლავი.

\* \* \*

მიხეილ თუმანიშვილის მთელ პოეტურ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლექსი „სალამური“. ამ ლექსში ავტორის იდეური მრწამსის გასაღებია მოცემული და იგი პოეტური თვალსაზრისით მ. თუმანიშვილის ლექსებში ერთი ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოებია. აქ ცხოვრების მიერ გულდაკოდილი ადამიანის შინაგანი განცდა და დრტივივან პოეტურად გადმოცემული. წუთისოფელი მთელი თავისი სიმკაცრით, სიმუხთლით და უნდობლობით არის დანასიათებული ამ პატარა ლექსში. ავტორი გვეუბნება, რომ იყო დრო, როდესაც იგი სოფელს ენდობოდა ჭაბუკური გატაცებით და სიცოცხლისადმი უსაზღვრო სიყვარულით. იმ დროს პოეტი ბედნიერი იყო: გული მისი კმაყოფილებით ძგერდა და აღტაცებაში მოდიოდა. იგი ყველგან და ყველგან იმისი სასიამოვნო მოვლენებს ხედავდა. სიყვარულისა და თავისუფლების გრძნობით ტკბებოდა. მისთვის სიცოცხლე სიხარული იყო.

იყო დრო, ოდეს სალამური ჩემად მომლხენი,  
 შეეხებოდნენ რა ბავნი მას უნაღლეულად,  
 არაჯრავებდა სიხარულით და ხმანი მისნი  
 განიბნევოდნენ ყრუსა არეს მოუთმენელად. —  
 და მხოლოდ ბნელი და დუმილი წყნარისა ღამის  
 იყვნენ მოწამედ საიდუმლოთ აღტაცებათა,  
 და მხოლოდ ტკბილი იადონი წალკოტთა შორის

ნარნარ შტვენითა მოჰსძახიდა გულის კენესათა.  
 იყო დრო, ოდეს მშვენიერი ესე ბუნება  
 მიმდევსა მისსა გრძნეულებით გამოცეზდა,  
 და დამატებობდა სიყვარული, თავისუფლება,  
 და გული ჯერეთ ზრუნვათათვის არ გამღებოდა.

ასე ბედნიერი იყო პოეტი, მაგრამ ეს სიხარული და ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს იყო მისი სიჭაბუკის წლები, როდესაც ცხოვრება მას მომავალშიც ბედნიერებას ჰპირდებოდა. დრო გავიდა და მასთან ერთად ოცნების ხატიც დაიშხვრა. დამელეწაო. „ოქროვანი ხატი ოცნების“, — გვეუბნება მ. თუმანიშვილი. ამ მომენტიდან პოეტის ცხოვრებაში მწვავე შინაგანი განცდებისა და მძიმე სულიერი ტკივილების ხანა იწყება. იგი რწმუნდება, რომ ბედნიერება, რომელიც მას სიჭაბუკის ეამს ჰქონდა, მოჩვენებითი ყოფილა, დროებითი და წარმავალი. წუთისოფელმა მას მონობის მძიმე უღელი დაადგა, მაღალ სულიერ მისწრაფებებს ჭკნობის ნიშნები შეეპარა და მხურვალე გულმაც გაგრძობა იწყო. სალამურა, რომელიც წინათ სიხარულის, კმაყოფილებისა და აღტაცების ჰანგებს იძლეოდა, დაყუჩდა. მას მდუმარება დაეპატრონა. „ტკბილნი შტვენანი“ უპასუხოდ გაიფანტნენ და მგოსნის გულში უიმედობისა და სასოწარკვეთილების გრძნობამ დაისადგურა.

ასე ძნელია ტკბილი ოცნების ქვეყნიდან მწარე სინამდვილეში გადასვლა. ოქროვანი ხატის არარაობად ქცევა. ცხოვრებაზე გულგატეხილი ადამიანის ამ მწვავე განცდას მიხეილ თუმანიშვილი ასე გვიდგენს:

იყო დრო... მაგრამ, ჰე მაცთურო ამოებავ.  
 რად დამილეწე ოქროვანი ხატი ოცნების?  
 რად დამდე ჯაჭვი დამონების? რად მიმიზიდავ  
 აღელვებაში ამა სოფლის დაუდგრომელის,  
 სადაც გრილდება მგოსანისა მხურვალე გული,  
 სადაც ჰსტკნებიან უწმინდესნი სულის გრძნობანი,  
 სად სალამური მექმნა ეღერით დაყრუებული  
 და უპასუხოდ განიფანტნენ ტკბილნი შტვენანი.

მიხეილ თუმანიშვილის ეს ნაწარმოები ძალაუნებურად მოგვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „სულო ბოროტო“. ამ ორი თხზულების ურთიერთმსგავსებაზე ჯერ კიდევ მეცბრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში მიუთითებდა ეურნალ „ივერიის“ ის საარეცენზიო წერილი, რომელსაც ზემოთ უკვე გავეცანიით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ 1843 წელს დაიწერა, ხოლო მიხ. თუმანიშვილის „სალამური“ — ხუთი წლით ადრე.





შესაძლებელია აღიძრას კითხვა: აქ გავლენა ხომ არ არის თუშმანიშვილისა? რასაკვირველია, არა. ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ თუშმანიშვილის გავლენაზე ლაპარაკი უხერხულიც იქნებოდა, მაგრამ დასახელებულ ლექსთა მსგავსებაც საგრძნობია. რა არის მათში საერთო? ამ ლექსებში საერთოა მათი უარყოფითობითი ხასიათი. როგორც ერთი, ისე მეორე პოეტი უჩივის იმას, რომ წუთისოფელმა მოატყუა: თავისუფლებისა და ბედნიერების მიცემას ჰპირდებოდა, სინამდვილეში კი ცხოვრება მოუწამლა და სულის მშვიდობა წაართვა, ოქროვანი ოცნების ხატი დაუღეწა და ბრწყინვალე მომავალზე მეოცნებე აღამიანი გაწბილებული დატოვა „უსაგნოდ, მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“. ეს ორი ლექსი ერთმანეთს ავსებს და ისინი ერთად მეტყობამეტე საუკუნის ორმოციანი წლების ეპოქის საზოგადოებრივი უკულმართობის წინააღმდეგ მძაფრი პროტესტის გამომხატველი არიან.

„სალამურისა“ და „სულო ბორატოს“ მოტივების ერთნაირობა ბუნებრივი შედეგია ორი მწერლის მიერ ერთი და იგივე ეპოქის ერთნაირად განცდისა. ისინი ერთნაირად ხედავენ ეპოქის უდროობას, ერთნაირად გრძნობენ ჟამთა სიავეს და ამიტომაც ერთნაირადვე უარყოფენ მას. ნიკოლოზ ბარათაშვილი და მ. თუშმანიშვილი ერთნაირად უარყოფენ არიან თავიანთი ეპოქის სინამდვილისა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც დიდია. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვანაირია მათი დამოკიდებულება მომავლისადმი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ეპოქის უარყოფასთან ერთად, მომავლისადმი ნათელი ოპტიმისტური რწმენის მატარებელია. მან იცის, რომ მისი თავგანწირული სულისკვეთება უშედეგოდ არ ჩაივლის. იგი მომავალს მტკიცე იმედიანი თვალთ უყურებს. მიხეილ თუშმანიშვილის შემოქმედებას სწორედ ეს იმედიანობა აკლია. აწმყოზე უკმაყოფილო მ. თუშმანიშვილი მომავლისადმიც უიმედო დამოკიდებულებას იჩენს. მას სჯერა, რომ დაღეწილი ოცნების ხატი ხელმეორედ ველარ გამთელდება, სიჭაბუკის მხიარულ დღეთა კვლავ აღდგენა შეუძლებელია. „თვალთა დაბინდებულთ ვერღა იხილონ განაფხულისა დღენი მამვენნიო“. — ამბობს გულგატეხილი პოეტი.

ამჟამად უიმედობისა და სასოწარკვეთილების გამომხატველია მიხეილ თუშმანიშვილის ლექსი „ჩონგური“. პოეტი უიმედოდ ჩივის:

რისთვის ჩანგურით ჩემად საკვდავად  
რისთვის აღვიძებ ჩემში სიყვარულს.  
და განვლილთა დღეთ და სიტკბოებთ  
მოგონებასა გულში დამარხულს,

და მას დროს, ოდეს ჩანგურის სიმებს  
 განუცხადებდი მე თვისსა კირებს?  
 ავალთა დაბინდებულთ ვერღა იხილონ  
 გაზაფხულისა დღენი მაშვენნი,  
 მოგონებათა ვერ აღადგინონ  
 სიკაბუჯისა მხიარულ წელნი.

ეს სტრიქონები დამახასიათებელია მიხეილ თუმანიშვილისათვის. მისი შემოქმედება წარსულზე გოდებით, აწმყოზე გულგატეხილობითა და მომავლისადმი უიმედობით არის გამსჭვალული მიხ. თუმანიშვილის პესიმიზმი უკიდურესობამდე მიდის. მის პოეზიაში მოცემულია ეგრეთწოდებული „მიღმა სამყაროსაკენ“ მისწრაფების მკაფიოდ გამოხატული ტენდენციები. თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალს ამქვეყნიურ, რეალურ ცხოვრებაში, მის გარდაქმნაში ხედავს, წინააღმდეგ ამისა, მიხეილ თუმანიშვილი ოცნების სამყაროსაკენ მიისწრაფვის. იგი ოცნებობს, რომ ღრთები შეესხას და გადაფრინდეს შორს ამა სოფლიდან, გადავიდეს იმ ქვეყანაში, სადაც „ცხოვრების ნათელ-მთიები“ კმუნვის ღრუბლებით არ დაბნელდება და „სად სიხარული ვით წყარო ნელი მომდინარეობს დაუსრულებლად“.

პოეტი ოცნების ქვეყნისაკენ ისწრაფვის, მაგრამ ამავე დროს რეალურ სამყაროსაც თითქოს არ ივიწყებს. მოვევლინები და ვანუგეშებ „ბედსა კაცობრივს ბნელსა და მწირსაო“, — ამბობს იგი. მიხეილ თუმანიშვილი თავის ოცნებაში საიქიო და სააქაო ცხოვრების ერთგვარ თავისებურ შეერთებას იძლევა. ამ მხრივ იგი განსხვავდება სხვა ქართველი რომანტიკოსებისაგან. რეალური ცხოვრებისა და ოცნების სამყაროს ასეთი შეერთების ცდა მის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მიხეილ თუმანიშვილის ლექსი „როდის იქნება შემესხას ფრთები“.

როდის იქნება, შემესხას ფრთები,  
 გავფრენოლეყო შორს ამა სოფლით,  
 მუნ საც ცხოვრების ნათელ-მთიები  
 არ დაბნელდება კმუნვით ღრუბლით;  
 სად სიხარული ვით წყარო ნელი  
 მომდინარეობს დაუსრულებლად,  
 სად სიტკბოება არს უსყიდელი  
 და სიუვაარული სულს ათბობს მარად.  
 მაშინ მე მსუბუქ, ვრცელსა ჰაერსა,  
 ვით ნელი სიო, მოვეფინები,  
 შევისხავ ნათელს, შევსვავ სულნელსა

და მზეს და მთვარეს ვეშნათობები,  
 ამა სოფელსაც არ დავივიწყებ:  
 ზოგჯერ ვით ცრემლი სიბრაღელისა  
 ნოვევლინები და ვანუგეშებ  
 ბედსა კაცობრივს ბნელსა და მწირსა.  
 მაგრამ ეს მოსვლა იქნება წამი:  
 ვითა ყვეილზე დილისა წამი,  
 შევეთვისები მზისა სხივებსა  
 და მივიტყვი კვლავცა ედემსა.

ასეთია რომანტიკოსი პოეტის ოცნება-მისწრაფებანი. გასაგებია, რომ იგი ამ ოცნების განხორციელებას ვერ ახერხებს და წუთისოფლის უუღმართობა მას კვლავ მძიმე ტვირთად აწევს.

#### IV

მიხეილ თუმანიშვილის პოეტურ შემოქმედებაში გარკვეულ ადგილს იჭერს ბუნება. ბუნების განცდის თვალსაზრისითაც იგი ტიპური პესიმისტი რომანტიკოსია, რომელიც ბუნებასთან დაახლოებაში სულიერ დამშვიდებას პოულობს. თუმანიშვილის მიერ ბუნება წარმოდგენილია როგორც მრავალფეროვანი, ფერუთვალავი, — როგორც ამბობდა გრიგოლ ორბელიანი. ამ ფერუთვალავ ბუნებაში, — ამბობს თუმანიშვილი, — ყველაფერი ისეა შეთანხმებული, რომ ისინი შეერთებული და ხმაშეწყობილი არიან. ბუნების უხილავი კანონი ერთმანეთთან შეახმატკბილებს ცის ვარსკვლავებს, კამკამა წყაროს, სურნელოვან ვარდს და ენატკბილ ბულბულს. ბუნებაში სრული ჰარმონიაა. მიხეილ თუმანიშვილი ლექსში „ღამე“ წერს:

ვით მოღიმარნი საყვარლის თვალნი,  
 ცით ვარსკვლავები ზედაგვნათიან  
 და ფუფუნებით ნელნი ნიაენი  
 სუნნელებასა გარემოჰქრიან.  
 წალკოტსა ნაზად  
 ვარდნი ლევიან,  
 ბულბულნიც ტკბილად  
 ზედ დამღერიან.  
 კამკამ წყარონი ხეივანთ შორის  
 იღუმალ დენით მობუტბუტებენ  
 და ხმანი მათნი ვით ეღერა ჩანვის  
 შემოგარესა ამუსიკებენ.

ამ სტრიქონებში კარგად არის მოცემული ბუნების სურათი, მაგრამ ეს ლექსი მაინც აღწერთი ხასიათისაა. სხვა ნაწარმოებებში

პოეტი იძლევა თავის პირად განცდებს ბუნებასთან შეერთების მენტში. იგი გვეუბნება, რომ ბუნებასთან დაახლოება მასში იღუმალი ფიქრების გაღვივებას იწვევს. ლექსში „მოგონება“ პოეტი დიდი კმაყოფილებით იხსენიებს ალაზნის ჭალებს, სადაც „ბულბულნი ტკბილად იმღერიან და სადაც მასაც პირადად განუტღია ბუნების დიადი ზეიმი.

მიყვარს, მთიებო ლამის, შენი თალხი სხივები:  
მათ განაღვიძეს ჩემში იღუმალი ფიქრები.  
მახსოვს აღმოსვლა შენი, მახსოვს სხვა ტურფა მხარეს,  
მუნ, სადაც ალაზანი ღელვითა მოაქანებს,  
მოჰქრებიან გარე ნიავს ფოთელნი შერბეულნი  
და ჭალაკებში ტკბილად იმღერიან ბულბულნი.  
მუნ ერთხელ მეც სიამით მინდვრად დავსერიანებდი,  
და შენცა სხივებითა გზასა განმინათებდი.

როგორც საზოგადოდ პესიმისტი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელია, მიხეილ თუმანიშვილსაც იზიდავს თალხი სხივები. მობუტბუტე მდინარე, მდუმარე ჭალაკებში ბულბულთა სტვენა და სხვა მისთანები. თუმანიშვილი გვეუბნება, რომ იგი ბუნებაში თავისი ჭირ-ვარამის თანამოაზრეს ხედავს. ცის მოღრუბლეა პოეტის პიროვნებაში სიხარულს მწუხარებად სცვლის და ლამის სიბნელე მის გულს მწარე ნაღველივით ფარავს. ბუნების რომანტიკული განცდა მოცემულია მ. თუმანიშვილის ლექსში „ელეგია“. პოეტი ამბობს:

მგარამ რისგან შეეჩვიენენ ფიქრნი ჩემნი ესრეთ სევდას?  
ნუ თუ გლოვა ბუნებისა დაალონებს ჩემებრ ყველას?

მიხეილ თუმანიშვილის ამ სტრიქონებში ბუნების უმაღლესი განცდაა პოეტურად ამეტყველებული.

## V

მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედება პესიმისტური ხასიათისაა. ეს არის მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი. ამ სევდისა და უკმაყოფილების გამოხატველ განწყობილებებთან ერთად მის პოეზიაში საგრძნობია აგრეთვე სიყვარულის მოტივი. მიხეილ თუმანიშვილის რიგ ლექსებში მოცემულია ერთგვარი ლაღი მგრძნობიარობის გამოხატველი განწყობილებანი.

ლექსში „ფილა“ ქეიფისა და დროსტარების აპოლოგიაა მოცემული. ლალისფერი ნათელწყალი, ძოწნი ბაგენი, ეშხიანი თვალეზი,



კოცნით დამცრალი სიყვარული და სხვა მათი მსგავსი პოეტური თქმებში მიხეილ თუმანიშვილს ერთგვარად აახლოებს ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მგრძნობიარობასთან.

მიხეილ თუმანიშვილი ფილას ასე ახასიათებს:

მიყვარს ფილა სპეკალი,  
ოდეს ღვინის ნაპერწკალი  
ნათობს, ღელს, ელავს მასშიგან  
თითქოს ღალის ნათელ-წყალი.  
მიყვარან ძოწნი ბაგენი,  
ეშხით, ღიმილით სავსენი  
და სიყვარულის წყურვილის  
კოცნითა დამაცბობელნი.

მიხეილ თუმანიშვილი ღვინოსა და დროსტარებას აწმყო სინამდვილის დავიწყების საშუალებად სახავს. ასეთი გაგება ახალი არაა. როგორც ვიცით, აწმყო სინამდვილის დავიწყების ამგვარ ხერხს სხვა ქართველი რომანტიკოსებიც მიმართავდნენ. ცნობილია გრიგოლ ორბელიანის ლექსი „ზარფეშაზე“, სადაც პოეტი პირდაპირ ამბობს:

ბედსა რად სწყველი? რად სწუხარ?  
რას გარგებს სულმოკლეობა?  
შე უგუნურო, დალიე,  
ჭეყანა შენი იქნება!

გრიგოლ ორბელიანის ამ გამონათქვამს ბუნებრივად მოგვაგონებს მიხეილ თუმანიშვილის შემდეგი სტრიქონები:

ჩუ, ქარიშხალი აზვავებული  
ვითა გვიქოლავს ბუჭითა კარსა...  
შევსეათ ფილა აღქაფებული, —  
გული ეწევა ნეტარებასა.

რამდენადაც ფხიზელი თვალითა და გონებით აკვირდები ცნობრებას, იმდენად უფრო მწვავედ გრძნობ და განიცდი მის ამოებას. ამიტომ აღამიანმა ხანდახან მაინც დავიწყებას უნდა მისცეს ყოველდღიური სინამდვილე; მოიღუბინოს, იმღეროს და ინეტაროს, რათა წუთისოფელმა მთლად არ დააძაბუნოს. ასე მსჯელობს მიხეილ თუმანიშვილი.

ლექსში „ღამე“ („ჩუ, ქარიშხალი, ვითა გრიალებს“) თუმანიშვილს აღწერილი აქვს ჩვეულებრივი ღამის სურათი. ერთი სახლის ფანჯრიდან გამოიყურება ქალი, რომელიც ფხიზელი გონების თვა-

ლით აკვირდება არსებულ სინამდვილეს. ცხოვრებას, რომელშიც ისინი იმყოფებიან, პოეტი უდაბნოს უწოდებს. ამით იგი ნათლად წარმოგვიდგენს მდგომარეობას თავისი ეპოქის ადამიანისას, რომელიც ცხოვრებას გონებით სინჯავს. მიხეილ თუმანიშვილი ურჩევს ქალს, რომ დროებით მაინც თვალი მოაშოროს ამ უდაბნოს, გადმოვიდეს მასთან და საკრავის ხმაზე ცხოვრების ამაოება დაივიწყოს.

გამოიფხიზლე: დროა ღვინისა!  
 განვდევნოთ ჭმუნვა სიმღერის ხმითა,  
 დიდი ხანია ჯამი თიხისა  
 განვერცხლებელი გელის ღვინითა.  
 გამოიფხიზლე, დიდიხანია  
 ოთხსიმიანი, გრძნების სათქვავად.  
 ხონგური ჩემი მომართულია,  
 და მზად ვარ მასზედ მე ხელის ყოფად.

მიხეილ თუმანიშვილის ლექსში „ადელს“ (პუშკინით) იგივე მოტივი ისმის. რაც გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებებში „ანტონს“ და „ეკატერინე ჭავჭავაძისას“. გრ. ორბელიანი დასახელებულ ლექსებში რჩევას იძლევა, რომ ადამიანი ცხოვრებით დატკბეს მანამ, სანამ იგი სიჭაბუკის ასაკშია. მიიღე ცხოვრებისაგან ყველაფერი, რის მიღებაც შესაძლებელია სიჭაბუკის დროს. თუ არაო, — ამბობს პოეტი, — გეწვევა „შეჭმუხენილი სიბერე“ და როცა განვლილ გზას გადახედავ, დარწმუნდები, რომ მთელ ცხოვრებას ფუჭად ჩაუვლია.

სიჭაბუკის ასაკში სიცოცხლით დატკბობის, ცხოვრებისაგან უმაღლესი სიამოვნების ამოწურვის თაობაზე იგივე აზრია გატარებული მიხეილ თუმანიშვილის ლექსში „ადელს“. თუმანიშვილის რწმენითაც ადამიანს შეუძლია გაიხაროს მხოლოდ მანამ, სანამ იგი გონებრივად იმდენად მომწიფდებოდეს, რომ ცხოვრების ჭირსა და ვარაშს შეიცნობდეს. „დღენი ყრმობისა სიყვარულს მიე“ და ერიდე წუთისოფლის უგვან ქღერასაო, — წერს მიხეილ თუმანიშვილი.

დასატკბობლად  
 მოსულხარ სოფლად:  
 ეამი თრობისა  
 გულსა შიავგე.  
 დღენი ყრმობისა  
 სიყვარულს მიე;

ამ სოფლის უგვარს  
 ერიდე ქღერას,  
 და ადელ, ადელ,  
 იყავი მსმენელ  
 გამართობელის  
 ღუღუკის ჩემის.

როგორც ვნახეთ, მიხეილ თუმანიშვილს მოეპოვება ლექსები, რომლებშიც სიყვარულის, ღვინისა და დროსტარების მოტივია მო-

ცემული. ეს შედარებით ლალი ტონი მისი პოეტური შემოქმედების საერთო პესიმისტურ ხასიათს ვერ ცვლის. თვით ისეთი ლექსიც კა, როგორცაა „ფიალა“, ასეთი სევდიანი სტრიქონებით მთავრდება:

მაგრამ ბაგესა გამშრალსა,  
 უეშხოს, ღიმილ-გამჭრალსა,  
 მოწყენით ვუშვებ შორითა,  
 ვითა ფიალას ნაცალსა.

სწორედ ეს უკანასკნელი სტრიქონებია დამახასიათებელი მიხეილ თუმანიშვილის პოეზიისათვის. მართალია, იგი გარკვეულ ხარკს აძლევს სიყვარულისა და დროსტარების მოტივს, მაგრამ ეს გარემოება მისი შემოქმედების პესიმისტურ ხასიათს კი არ აბათილებს, არამედ მას ავსებს და კიდევ უფრო მკვეთრად გვაგრძნობინებს. ისე როგორც პესიმისტური რომანტიზმის წარმომადგენელთა შემოქმედებაში საზოგადოდ. მიხეილ თუმანიშვილის ამ ლექსშიც თავისი ეპოქის სინამდვილეზე უკმაყოფილების, მომავალზე გულგატეხილობისა და სამღურავის ხმა ისმის.

## გ რ ი გ ო ლ ა რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი

### I

გრიგოლ ივანეს ძე რჩეულიშვილი დაიბადა 1820 წელს ქალაქ გორში. მომავალმა მწერალმა წერა-კითხვა მშობლიურ ოჯახში შეისწავლა მამის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ იგი თბილისის გიმნაზიაში მიაბარეს.

გრიგოლ რჩეულიშვილმა 1838 წელს გიმნაზიის კურსი დაასრულა. ამის შემდეგ მას სწავლა აღარ გაუგრძელებია. უმაღლეს განათლებას მოკლებული გრიგოლი, თანამედროვეთა გადმოცემით, ბეჭითად შედგომია თვითგანვითარებას. იგი გულმოდგინედ სწავლობდა როგორც საქართველოს ისტორიას, ისე ქართულ და ევროპულ მწერლობას.

ზაქარია ჭიჭინაძე ამბობს:

„თუმცა გრიგოლ რჩეულიშვილს უმაღლესი სწავლა არ მიუღია, მაგრამ აქაც ისეთი გულმოდგინეობით მოჰკიდა ხელი მწიგნობრობას, რომ მან კარგად გაიცნო ევროპის ლიტერატურა და განსაკუთრებით ჩვენი წარსული საუკუნეების ცხოვრება და მდგომარეობა“<sup>1</sup>.

გრიგოლ რჩეულიშვილი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სამსახურში შევიდა თბილისის სახაზინო პალატაში უბრალო მოხელის თანამდებობაზე. მწერალმა ამ დაწესებულებაში გაატარა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე.

გრიგოლ რჩეულიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. მისი პირველი თარგმანები გიორგი ერისთავის „ცისკარში“ გამოქვეყნდა. სამოციან წლებში იგი ივანე კერესელიძის ჟურნალის ერთ-ერთი თანამშრომელი იყო. კერესელიძის „ცისკარში“ იბეჭდებოდა მისი ლექსები, ორიგინალური და თარგმნილი პროზაული ნაწარმოებები და სხვ.

სამოციანი წლების „ცისკარის“ მწერალთა შორის გრ. რჩეული-

<sup>1</sup> ვახუთი „დროება“, 1877 წ., № 154.



შვილსაც თავისი ადგილი ეჭირა. მის ლექსებსა და მოთხრობებს გარკვეული გამოხმაურებანიც მოჰყოლია, ხან მოწონებისა და ხან კრიტიკული.

საყოველთაოდ ცნობილია ალექსანდრე ორბელიანის შენიშვნები გრიგოლ რჩეულიშვილის „ჭვრიტის ლიმონებზე“. იმავე სამოციანი წლებიდან ჩვენამდე მოღწეულია დადებითი შეფასებანიც გრ. რჩეულიშვილის პოეტური თხზულებებისა.

თავისი დროისათვის ცნობილი კრიტიკოსი ნიკოლოზ ბერძნიშვილი 1857 წელს გამოქვეყნებულ წერილში გრიგოლ რჩეულიშვილის ერთ ლექსს („მდიდარი“) გარკვევით იწონებს და ავტორს ქებითაც იხსენიებს. იგი ამბობს, რომ გრ. რჩეულიშვილის ეს ლექსი „ძლიერ კარგიც არის, ავტორი თავისუფლად ფლობს ლექსს, არ მისართავს გალიციზმებსა და უსწორო გრამატიკულ ხლართებს, როგორც სხვები. ჩვენ აუცილებლად შევაქებდით უფალ რჩეულიშვილის ლექსს, ერთი უცნაური აზრი რომ არ ყოფილიყო მასში. იგი ამბობს: „ის არ არის მდიდარი, რომელმაც თავისი გონება განავრცო სწავლით, რომ იმედი ჰქონდეს სხვისი სიმდიდრე თანდათან მოიხვეჭოსო“. ბერძნიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სწავლა-განათლება კეთილი ნების ადამიანებზე არასოდეს ცუდად არ მოქმედებს. მაგრამაო, — დაასკვნის კრიტიკოსი: — „პატივცემული ავტორი ალბათ სხვაგვარ ცოდნას გულისხმობდა — კანცელარიის მოხელეებისა და სხვა ხრიკიანი მცოდნეების ცოდნას“<sup>1</sup>.

გრიგოლ რჩეულიშვილის ლიტერატურული საქმიანობა თავის დროზე მკითხველი საზოგადოებრიობის გარკვეულ ყურადღებას იმსახურებდა. მისი ზოგიერთი ნაწარმოები ფართოდ ვრცელდებოდა განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში. ეს უბრალო მოვლენა როდია.

ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი ხაზგასმით მიუთითებს გრ. რჩეულიშვილის რომანის „თამარ ბატონიშვილის“ განსაკუთრებულ პოპულარობაზე ახალგაზრდა მკითხველთა შორის. თავისი მოგონებების იმ ნაწილში, რომელშიც სემინარიელების საკითხავი წიგნებით დაინტერესებაზე მოგვითხრობს, სოფრომი წერს: „დიდ პატივში გვყვანდა თხზულება გრ. რჩეულიშვილისა „თამარ ბატონიშვილი“. თითქმის მთელმა სემინარიამ ზეპირად იცოდა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, კრესტოშაძე, I. შედგენილი ს. ზუციშვილის მიერ, 1954 წ., გვ. 100.

<sup>2</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 46.

ზემოთ მოყვანილი მასალებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, სახელდობრ იმისა, რომ გრიგოლ რჩეულიშვილი, როგორც მწერალი, მეცხრამეტე საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებში გარკვეული პოპულარობით სარგებლობს.

მომდევნო პერიოდში მდგომარეობა იცვლება: გრიგოლ რჩეულიშვილის რომანტიკულ თხზულებათა გავლენის სფერო თანდათან იზღუდება. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლიტერატურული სკოლის მიერ დამკვიდრებული კრიტიკული რეალიზმის ეპოქაში „ქერივის ლომონების“ ავტორის მწერლური დიდება ერთგვარად მცირდება და იჩრდილება. უბრალო მოვლენა არც ისაა, რომ გრ. რჩეულიშვილი სიცოცხლის უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე აქტიურ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოშორებულ მოჩანს.

1877 წლის 20 სექტემბერს გრიგოლ რჩეულიშვილი გარდაიცვალა. 22 სექტემბრის გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა:

„გუშინწინ დილით ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა ერთი მოღვაწეთაგანი ქართულის ლიტერატურისა გრიგოლ რჩეულიშვილი. ჩინებულის მოთხოვნის „თამარ საქართველოს ბატონისშვილისა“ და ზოგიერთი სხვა თხზულებების ავტორი ღირსია, რომ ქართული ლიტერატურის მოყვარეთა უკანასკნელი პატივი სცენ და უკანასკნელ „სადგომამდინ“ მიაცილონ იგი“<sup>1</sup>.

ასეთია ის უმთავრესი ცნობები, რაც გრიგოლ რჩეულიშვილის ცხოვრებაზე მოგვებოვება.

ზაქარია ჭიჭინაძის წერილში, რომელიც გრ. რჩეულიშვილის გარდაცვალების დღეებში გამოქვეყნდა, ლაპარაკია იმაზე, რომ მწერალს დაუბეჭდავი დარჩაო რაღაც თხზულება, რომელიც აქამდეც ცნობილი არაა. ჭიჭინაძე წერს: „წარსულს წლებში ჩვენ ბევრისაგან გაკვირვებით გავგივია, რომ უფალ რჩეულიშვილს ერთი რაღაც ისტორიული რომანი დაუწერიათ, რომელსაც ყველა თავის რომან-მოთხოვნებს ამჯობინებსო. ამბობენ, ვითომც თვითონვე ეთქვას, რომ მე ამისთანა არაფერი დამიწერიაო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1877 წ., № 149. აქა და აგრეთვე ზოგიერთ სხვა დოკუმენტში ჩვენი მწერალი „რჩეულიშვილად“ იხსენიება. გამოყენებულ ამონაწერებში ასეთ შეუსაბამობას ყველგან ვასწორებთ.

<sup>2</sup> გაზეთი „დროება“, 1877 წ., № 154.

## II

გრიგოლ რჩეულიშვილმა მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის ლექსები, ორიგინალური და თარგმნილი მოთხრობები და სხვ.<sup>1</sup>

გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსებს თავის დროზე გარკვეული წარმატება ჰქონდათ მკითხველთა წრეებში. მართალი იყო მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელიც წერდა: „იმას არ ვიტყვით, რომ ეს ლექსები დიდ განძს წარმოადგენდეს, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი ავტორის პოეტობას არ ამტკიცებდეს. მათ სტრიქონებში ისმის განცდების სინაზე და ტკბილი მღერა. ლექსის ფორმაც ახალია იმ დროის თვალსაზრისით, აქ უკვე მომხდარია სალიტერატურო და ხალხურ ენათა ის დაახლოება, რაც შემდეგ „თერგდალეულებმა“ განამტკიცეს“<sup>2</sup>.

გრიგოლ რჩეულიშვილის პოეზია რომანტიკული ხასიათისაა. მისი ლექსებისათვის ძირითადია იგივე თემატიკა, რაც საზოგადოებრივ ქართველი რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელია. რჩეულიშვილი, როგორც პოეტი, საზოგადოებრივ სატრფიალო მოტივზე დაწერილი ლექსებით გაიცნო. მისი პოეტური მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „მთვარე“.

ახ, მთვარე, მთვარე! დამწვართ იმედო,  
 მსურს ჩემი ტანჯვა შენ ვაგიბედო.  
 მთვარე! ხომ გახსოვს ის ტკბილი ღამე?  
 მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მოწამე...  
 შენის ვერცხლებრივ ნათლით მოსილნი  
 ხის ძირს ვისხედით, გვდიოდა ცრემლნი.  
 გახსოვს? რა სიტყვით იგი ზედს მსწყვედა,  
 რომელიც იმას მე მაშორებდა...  
 იმისი ფიცი, იმის იმედი  
 ეხლაც ყურს მესმის და მიკვნესს გული.  
 მაგრამ სად არის ჩემთვის ის ზედი,  
 რომ განმიახლოს მან სიყვარული?!

გრიგოლ რჩეულიშვილის ამ ლექსს განსაკუთრებული პოპულარობა ზედა წილად. იგი ჩქარა იმდენად გავრცელდა, რომ სიმღერად

<sup>1</sup> გრიგოლ რჩეულიშვილის შემოქმედების საკითხებს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა პროფესორმა ჯ. ჭუმბურიძემ. იხ. მისი წიგნი „ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, 1958 წ.

<sup>2</sup> ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), 1959 წ., გვ. 251.

იქცა და, ხალხური ლექს-სიმღერის მსგავსად, თაობიდან თაობაზე გადმოდირდა.

მოულოდნელი არაა, რომ გრიგოლ რჩეულიშვილის სატრფიალო ლექსებში ხშირად მეორდება ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ლექსებიდან ცნობილი გაგება სიყვარულის გრძნობის მნიშვნელობაზე, მის სიკეთესა და სინატიფეზე, მის სიღიადესა და უძლეველობაზე. ლექსში „სიყვარულო, რა გრძნობა ხარ...“ გრ. რჩეულიშვილი ამბობს:

სიყვარულო, რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი?  
 ღმერთმანა გყო, თუ ეშმაკმან კაცის გულსა ჩანერგილი.  
 ყველა მოლექსებისაგან ეგრე რად ხარ შემკობილი,  
 ვარდი რად გაქვს ეკლიანი და ნაყოფი ესე ტკბილი. —  
 ყველგან შენ იღვამ სამეფოს, სადაც პსტვენს ვარდზედ ბუღბული;  
 ყველა შენ ვიკმევს გუნდრტუსა, ვისაც შერჩენია გული.  
 ჭაბუკია თუ მოხუცი, ორნივე შენგან აღგზნებული,  
 ჩონგურის კერით შესძახიან: სიცოცხლეა სიყვარული! <sup>1</sup>

ეს ლექსი მკითხველს ბუნებრივად მოაგონებს ალექსანდრე ჭავ-  
 ჭავაძის ცნობილ ნაწარმოებს „სიყვარულო ძალსა შენსა“.

გრიგოლ რჩეულიშვილი პესიმისტური რომანტიზმის წარმომად-  
 გენელია. იგი ასეთად მოჩანს პირველ ყოვლისა სწორედ პოეზია-  
 ში. მის სატრფიალო ლექსებშიც კი თავს იჩენს გარკვეული სევდიან-  
 ნი განწყობილება. რჩეულიშვილის სატრფიალო ლექსების კითხვი-  
 სას ბუნებრივად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანი ამ მაღალ  
 გრძნობაშიც ხელმოცარული და გაუხარელია.

ზემოთ განხილულ ლექსებსაც ასეთივე სევდისა და უიმედო-  
 ბის ბეჭედი აზის. ლექსი, რომელშიც სიყვარულის გრძნობის სი-  
 ღიადებზეა ლაპარაკი, ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

ხან ეწევე, ხან ელოცავ იმ საათს, როს ვიხილე შენ პირველად,  
 მას აქეთ ნათელი ღღენი გადაშეკენენ ღამე ბნელად.  
 სიცოცხლე ტვირთად გამოიხდა, საზიდველი მეტად ძნელად;  
 მოვედ, სატრფოე, დამენახე, სიკვდილს ნუ მყოფ სანატრელად

გრიგოლ რჩეულიშვილის ეს ლექსი, როგორც აღინიშნა, მკითხ-  
 ველს ბუნებრივად მოაგონებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს „სიყ-  
 ვარულო ძალსა შენსა“. მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება-  
 ცაა. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სიყვარულის გრძნობა  
 ალ. ჭავჭავაძისთან უფრო ამაღლებული სახით წარმოგვიდგება,  
 ვიდრე გრ. რჩეულიშვილის ლექსებში.

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1865 წ., № 10.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ჭავჭავაძე სიყვარულში, სიამესთან ერთად, სიძნელესა და ჭირთა თმენასაც ხედავს, მაგრამ იგი მაინც ბოლომდე ამ გრძნობის თაყვანისმცემელია. პოეტს მიაჩნია, რომ სიყვარულის გარეშე ადამიანთა ცხოვრებას შინაარსი არ ექნებოდა და, მიუხედავად თავისებური „ტანჯვისა“, ამ გრძნობის უღლიდან განთავისუფლებას არც ეინატრებოთ, — ამბობს იგი.

შენის უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის!  
 თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეჭლებვის?

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებიდან არა ერთგზის გვესმის სატრფოს განშორებით გამოწვეული კვნესა გულისა, მაგრამ პოეტო შინაგანად დაჯერებული იმეორებს:

რაზომ მელტვი, უფრო გებრფი,  
 სახილველად სასურველო!  
 ბაგე ვარდო, ნამით სველო,  
 სუნნელთაგან მომსუნთქველო,  
 შუქმან შენმან განმანათლოს,  
 ოპ, სპეტაკო ზამზახთ ველო!  
 („ვამნი რბიან“)

ასეთია ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის ძირითადი დამახასიათებელი განწყობილება.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გრიგოლ რჩეულიშვილის სატრფიალო ლექსებში. მისთვის დამახასიათებელია მკაფიოდ გამოხატული სევდა-ნალღლიანობა. მის ლექსებში საქმის ვითარება ისე წარმოგვიდგება, თითქოს ადამიანში სიყვარულის გრძნობა მხოლოდ ტანჯვისა და წვალებისათვის ჩნდებოდეს. ეს ნიშან-თვისება გრ. რჩეულიშვილის სატრფიალო ლექსებისათვის იმდენად დამახასიათებელია, რომ მათზე ცალკ-ცალკე შეჩერება აუცილებელი აღარაა.

პესიმიზტური ხასიათისაა გრიგოლ რჩეულიშვილის ლირიკა საერთოდ. მისი ლექსებიდან ჩვეულებრივად წუთისოფლისადმი სამდურავისა და უნდობლობის, მომავლის მიმართ უიმედობისა და სასოწარკვეთილების ხმა ისმის.

გრიგოლ რჩეულიშვილის ლექსი „სიკვდილი“ საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო საკითხებს ეხმაურება. ეს ზოგადადამიანური პრობლემა ავტორის მიერ ერთგვარად გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი და, რაც მთავარია, საკითხი გადაწყვეტილია წმინდა რომანტიკულ-პესიმიზტური თვალთახედვით.

მწერალი გვეუბნება, რომ სიკვდილმა, რომელსაც იგი ჯოჯოხე-

თის მეფეს უწოდებს, თავიდანვე გარს შემოიკრიბაო კაცობრიობის დაუძინებელი მტრები: „ჭირი, ხოლერა, ომი“. ეს ბოროტი ძალები ქვეყანას შეესიენ და დაიწყეს უმოწყალო ხოცვა-კლეტა ადამიანებისა.

მათის მკაცრ მოქმედებით ხალხს ეცა შიშის ზარი,  
არ მიაჩნისთ არც წელი, არც სქესი, არც მდიდარი.  
ყოველი თანაშორს ლეწვენ... მიწამ შექმნა გოდება,  
დედას შვილი, ქმარს ცოლი, დას ძმა არ აგონდება.  
ვით ნადირნი ერთმანეთს ხალხი ვერ უღვებიათ:  
უშემწეოდ, უწამლოდ, უმღვდლოდ იხოებიათ...<sup>1</sup>.

ლექსის მომდევნო ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ ერთ პერიოდში ამ ბოროტი ძალების წინააღმდეგ კაცობრიობა ამოძრავდა. ადამიანებმა ურთიერთმხარდაჭერით გარკვეულ წარმატებასაც მიღწიეს: ქვეყანაზე მშვიდობა და ბედნიერება თითქოს კიდევ დამყარდა, ხალხი ზეიმობდა. მაგრამ ეს ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა: ჯოჯოხეთის მეფემ, სიკვდილმა, კვლავ ახალი ძალები შემოიკრიბა და ამგვარად იგი კაცობრიობაზე საბოლოოდ გაბატონდა. ამჟამადაცაო, — დაასკვნის ავტორი, — ქვეყანაზე იგივე ავი ძალები ლაღობენ და სიკვდილის ცელებით „კაცთ სიცოცხლეს ჰკვეცავენ, ვით დამქნარსა მდელოსა“.

რალა თქმა უნდა, კაცობრიობის აქტიურ შემოქმედებითს ცხოვრებაზე ამგვარი სასოწარკვეთილობის ქადაგება მხოლოდ პესნიმისტური რომანტიზმის წარმომადგენელთათვისაა დამახასიათებელი.

ასევე აშკარა უსასოების გამომხატველია გრ. რჩეულიშვილის ოთხსტრიქონიანი ლექსი „ამაოება“. მწერალი ამბობს:

ღრო მდინარეობს, ვითარცა წყარო;  
საუკუნე რბის, ვით ერთი წელი;  
კაცის სიცოცხლე არს ერთი წუთი —  
შემოჰკრა ქარმან და მსწრაფლ გაჰქრობ.

ასეთია გრიგოლ რჩეულიშვილის პოეზიის ძირითადი იდეურ-თემატიკური სფერო. გასაგებია, რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეპოქაში ასეთი რომანტიკულ-პესნიმისტური ლექსებისადმი ნკითხველთა ინტერესი დღითი დღე მცირდებოდა და გრ. რჩეულიშვილიც, როგორც პოეტი, თანდათან დავიწყებას ეძლეოდა.

<sup>1</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1859 წ., № 8.

<sup>2</sup> ჟურნალი „ცისკარი“, 1857 წ., № 11.

## III

გრიგოლ რჩეულიშვილი ქართულ მწერლობაში საყურადღებო კვალს ტოვებს თავისი პროზაული ნაწარმოებებით. რჩეულიშვილს, როგორც რომანტიკული მხატვრული პროზის ოსტატს, ქართული ლიტერატურის ისტორია გვერდს ვერ აუვლის.

გრიგოლ რჩეულიშვილის მხატვრული პროზაული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საინტერესოა სამი ნაწარმოები: „ქვრივის ლიმონები“, „ანუკა ბატონიშვილი“ და „თამარ ბატონიშვილი“.

„ქვრივის ლიმონები“ კონკრეტული ისტორიული ეპოქის ფონზე იწლება. სახელდობრ, აქ მოქმედება წარმოებს მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში. მოთხრობის სიუჟეტი მარტივია:

ლამაზ ქვრივ ქალს კეკეს, რომელიც ოცდაორი წლისაა, ერთდროულად ხელსა სთხოვს ორი სახელოვანი ქართველი ვაჟკაცი — ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი და ზაზა თარხნიშვილი. ქალს თავისი ბედის გადასაწყვეტად ორი ლიმონი აუღია, თითოეულისათვის მოტრფიალე ვაჟკაცის სახელი შეურქმევია და ხელში ათამაშებს, რათა ამ ვხით არჩევანი გააკეთოს. საქმეში ჩაერევა კეკესთან სტუმრად მოსული მეფე ერეკლე მეორე, რომელიც ამ ქალის მიმართ მშობლიურად მზრუნველია. ერეკლე მეფის დახმარებით კეკე საბოლოოდ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილზე მითხოვებას გადაწყვეტს.

ესაა ძირითადი ამბავი მოთხრობისა, მაგრამ ყველაფერი ამით როდი მთავრდება.

„ქვრივის ლიმონებში“ გარკვეულ გამოხატულებას პოულობს იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება. მწერლის ყურადღების ცენტრშია, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი, რაც სწორედ ამ ეპოქაში განსაკუთრებით აქტუალური იყო.

გრიგოლ რჩეულიშვილი საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე იმავე აზრისაა, რაც საერთო იყო ქართველ რომანტიკოსთა უმრავლესობისათვის. მის თხზულებაში აზრობრივად უმეტესაქლებოდ განმეორებულია ის, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა კარგა ხნით ედრე თქვა თავის ცნობილ პოემაში „ბედი ქართლისა“. მაგრამ ეს განმეორება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი „ქვრივის ლიმონების“ ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსის გამომხატველია.

მეფე ერეკლე, კეკესთან საუბარში, ახასიათებს თავისდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და ქვეყნის გადარ-

ჩენის მიზნით რუსეთთან შეერთების აუცილებლობას აღიარებს, ერეკლეს სიტყვით, „შვილნი საქართველოსი არ ეკუთვნიან...“  
 ეიანთ ცოლშვილსა და სახლობასა: ისინი ყოველთვის მზათ უნდა იყვნენ ხმალამოლებულნი ცოლშვილისა და სარწმუნოების დასაცველად“. ოცი ქართველიდან ხუთი თუ კვდებაო ბუნებრივი სიკვდილით, „დანაშთენნი წეებთან ველსა ზედა ბრძოლისასა“. საქართველოში „სახლი არ არის, რომელმაც ერთი წელიწადი უმგლოვიაროდ გაატაროს: სახლი არ არის, რომ სამ ძმაში ერთი ძმა არ გათათრებულ იყოს ძალით, ანუ ტყვეთ არ იყოს წაყვანილი... მარად დაწვა, მარად ხოცვა, მარად აღრეულება“.

ქვეყნის საერთო ვითარების ამგვარად დახასიათების შემდეგ მეფე ერეკლე გადმოსცემს თავის გადაწყვეტილებას საქართველოს რუსეთთან შეერთების აუცილებლობაზე. იგი ამბობს:

„საქართველოს აღარ შეუძლიან მართო ბრძოლა ყოველის მხრივ ასიგებულ მტრებთან. იგი მოხუცდა, მოუძღურდა, ძალა გამოელია ჩემსავეით... მე დავიწყე შეკავშირება საქართველოსი რუსეთთან. რუსნი ძლიერნი არიან, — ჩვენი მერჯულენი არიან, იმათ შეუძლიანთ მტრის გაძლოა. ისინი დაამყარებენ ქართველთ თავის სარწმუნოებაზედ, დაფარვენ თავის ძლიერის ფრთებით... ვინც უნდა მლანძლოს, ვინც უნდა მაგინოს, მე ამ საქმისათვის მხოლოდ შთამომავლობისაგან მოველი სიმართლეს; იგი დააფასებს ჩემს შრომასა, ჩემს მოქმედებას... თუ მე ღმერთი არ მაღირსებს ჩემს სიცოცხლეშივე საქართველოს შეკავშირებას რუსეთთან მყარის კავშირით, მე ანდერძად დაუგდებ ჩემს შვილს გიორგის. ეს უფრო გონიერია და შორს მხედველი სხვა ჩემს შვილებზედ, მაგრამ სნეულია... ძმები ამას უსისხლოდ არ დაანებებენ ტახტსა... ალექსანდრე აბეზარი შვილია. ის არ მოისვენებს, მიიმხრობს დანაშთენსა ძმებსა: იულიონს, ალმასხანს, მირიანს, ფარნავაზს... ეხლავ ვხედავ მე იმათში განხეთქილებას... ზოგი სპარსეთში გაიქცევა, ზოგი ოსმალეთში, და ზოგი სადა. წამოიყვანენ ჯარსა და ააკლებინებენ საქართველოს... უზესთაესო არსებაჲ! შეიბრალე საქართველო, აკმარე ესოდენი გამოცდა და ტანჯვა, რომელსაცა ჰსწევს და ითმენს მხოლოდ შენის სახელის სადიდებლად, ქრისტიანობისა... შენ დააგვირგვინოსანე ეს კავშირი შენის მოწყალეობით, თუ რომ კეთილი იყოს. ოჰ. საბრალო საქართველო!.. ნეტავი ორმოცის წლის შემდეგ ჩემის სიკვდილისა, კვალად მაჩვენა ანუ გამაგონა შენი მდგომარეობა რუსეთის ხელში, ჩემი მაწყვევარი იქმნები თუ მლოცველი ამ ფიქრისათვის... გულთამბილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ შენის ბედნიერებისათვის დავიწყე რუსეთთან ეს კავშირი და არა ჩემის დიდებისათვის“.





მოტანილ ამონაწერში, მიუხედავად ზოგიერთი ფაქტის ერთგვარი გამარტივებისა, ძირითადი მოვლენები ისტორიული სიმართლითაა გადმოცემული. რაც მთავარია, მეფე ერეკლეს მიერ საქართველოს მდგომარეობის დახასიათება და ქვეყნის გადარჩენის მიზნით რუსეთთან შეერთების გადაწყვეტილება გადმოცემულია ისე, როგორც ისტორიული სინამდვილიდან ვიცით.

„ქვრივის ლიმონებში“ მთავარი მოქმედი გმირები არიან ქვრივა კეკე და მეფე ერეკლე. რაც შეეხება ქაიხოსრო ანდრონიკაშვილსა და ზაზა თარხნიშვილს, მათი ადგილი მოქმედების საერთო განვითარებაში შედარებით მცირეა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ ნაწარმოებს თავის დროზე მკაცრად გამოეხმაურა ალექსანდრე ორბელიანი. იგი „ქვრივის ლიმონების“ ავტორს უმთავრესად ორი მიმართულებით აკრიტიკებდა: ერთი, რომ მეფე ერეკლე მოთხრობაში ისე სიმბათიურად არ გამოიყურებაო, როგორც სინამდვილეში იყო და მეორე — ნაწარმოებში ადგილი აქვს ისტორიული პირებისა და თარიღებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას.

ალექსანდრე ორბელიანს ყურადღებიდან არ გამოაჩენია, რომ „ქვრივის ლიმონებში“ ერეკლე მეორის წლოვანებაც კი არაა ყოველთვის ზუსტად გადმოცემული. ამ პატარა მოთხრობაში ერეკლეს წლოვანებაზე სამჯერაა მითითებული და სამივე შემთხვევაში იგი სხვადასხვა ასაკისა მოჩანს. თხზულების დასაწყისში ერეკლე სამოცდაექვსი წლისა ჩანს. რამდენიმე გვერდის შემდეგ მეფე თვითონვე ამბობს: „სამოცდათექვსმეტი წლის კაცი ვარო“, ხოლო კიდევ რამდენიმე გვერდი და მწერალი ისევ ერეკლეს ათქმევინებს კეკესთან საუბარში: „აქი გითხარი, ჩემო ქვრივო, რომ დაბდური ვარ მეტი: სამოცდასამი წლის მაჯა შენს მაჯასთან როგორ მოვა“.

პროფესორი ალ. ხახანაშვილი იმეორებს ალექსანდრე ორბელიანის აზრს იმის თაობაზე, რომ გრიგოლ რჩეულიშვილის ამ ნაწარმოებში ადგილი აქვს ისტორიული ფაქტებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას, მაგრამ მკვლევარი სამართლიანად დაასკვნის, რომ „შეთხველს მაინც იტაცებს მისი ხელოვნურად გამოგონილი მოთხრობის არაკი, რომანიული ინტრიგა, და თუმცა იგი ნაკლებად გვიხატავს მაშინდელ დროს, მაინც ქართული ელფერი აძევს მის შემოქმედებითს ნიქს და მგრძნობიარე კალამს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე, 1913 წ., გვ. 80.

## IV

გრიგოლ რჩეულიშვილის მოთხრობა „ანუკა ბატონიშვილი“ ისტორიულ ფონზე იშლება. მოქმედებაში მოჩანს კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე და იხსენიება მისი შვილი კონსტანტინე, რომელიც ირანის შაჰის კარზე მძევლად იმყოფება. ისტორიულად ცნობილი ამ ფაქტის მიხედვით შესაძლებელია დადგინდეს, რომ მოთხრობაში გადმოცემული მოქმედება წარმოებს მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

ნაწარმოებში გადმოცემულია ანუკა ბატონიშვილის ცხოვრების ისტორია, კერძოდ, მისი რომანული თავგადასავალი და ამასთან დაკავშირებული ადამიანური განცდები.

ანუკა ბატონიშვილი მეფე ალექსანდრეს დაა. ისინი „მამით ერთნი და დედით ცალ-ცალკენი“ არიან. ანუკას ქმარი, ოთარ ჩოლოყაშვილი, ოთხი წლის წინათ ალექსანდრე მეფეს სპარსეთში გაუყოვლებია კონსტანტინე ბატონიშვილისათვის.

იმ დროს, როდესაც ქმარი სპარსეთში იმყოფება, ანუკა ბატონიშვილთან რომანს მართავს მისივე სასახლის მოურავი უდაბნოელი. ბატონიშვილის ქალი, რომელსაც ოჯახის წინაშე საკუთარი მოვალეობის შეგნება არ აკლია, თავის საბედისწერო საქციელს მწვავედ განიცდის, მაგრამ მოურავისადმი სიყვარულისაგანაც თავი ვერ დაუღწევია. სწორედ ასეთი მწვავე ადამიანური განცდებით წარმოგვიდგება იგი მოქმედებაში პირველი გამოჩენისთანავე.

ანუკა ბატონიშვილი ღეთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილი გულმხურვალედ ლოცულობს:

„ოჰ. წმინდაო ქალწულო მარიამ!.. ნუ მისცემ ეშმაკს ჩემზედ ძლევისა; მომეც ძალა მოთმინებისა; ნუ გამომიღევ შენს შიშსა და ნუ გამხდი მოღალატედ ჩემის ვალდებულებებისა. ჩემის ქმრის. ჩემის შვილისა!.. მე აღარ შემიძლიან ბრძოლა ჩემს გულთან, ჩემს სიყვარულთან, რომელიც არ მაძლევს არც დღე და არც ღამე მოსვენებასა, რომელიც მიხრუკავს გულ-ღვიძლსა, რომელიც მინთია ესრედ იღუმალად... დედაო მარიამ! შენ განანელე ეს ცეცხლი, შენ გამიგრილე ეს გული, რომელშიაც ვინც ჩაიხედოს, აღშფოთდებიან სირცხვილით... მაგრამ სული ჩემი ღუმდება ამ ბრძოლაში, სისხლი მეწვის სიყვარულისაგან. მე ვგრძნობ, რომ ახლოვდება ჩემთვის ის დრო, როდესაც განიხსნება ჩემ ზერხთ ქვეშა უფსკრული და იგი შთანთქავს ჩემს ნამუსსაცა, ჩემს პატიოსნებასა, ჩემს მოვალეობასაცა, ჩემს სულსაცა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> გრ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, ანუკა ბატონიშვილი, თავი II.



ასე წარმოგვიდგება ანუკა ბატონიშვილი მოთხრობის პირველ სავე თავში და მისი ეს მწვავე სულიერი ტკივილები გრძელდება წარმოების მთელ მანძილზე. ანუკას პიროვნება მკითხველის გარკვეულ მხარდაჭერას იმსახურებს იმდენად, რამდენადაც ამ ქალის მიერ ჩადენილი დალატი ცოლისა და დედის მოვალეობისადმი მის ირგვლივ შექმნილი ვითარებით არის გაპირობებული. შეუძლებელია თანაგრძნობით არ გავიმსჯელოთ ბატონიშვილის ქალისადმი იმ მომენტში, როდესაც გვესმის მისი გულწრფელი აღიარება რვეაზ ჯორჯაძესთან საუბარში:

„მართალია, მე დანაშაული მაქვს ღმერთთან და ჩემს ქმართანა. იმათ გარდა ვის შეუძლიან მომთხოვოს ანგარიში ჩემს ქცევაში? ნუთუ ჩემი ძმა ალექსანდრე? მაშინ ის დასჯის ჩემში თავის საკუთარს ცოდოსა. ერთის წლის ჯვარდაწერილი ქმარი ამგლიჯა გულიდგანა და გაატანა თავის სასიკვდილო შვილს ურჯულოს ქვეყანაში! რას ფიქრობდა, ნუთუ მე არ ვიყავ შედგენილი სისხლისა და ხორცისაგან?“

ანუკა ბატონიშვილის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე ხდება იმის შემდეგ, როდესაც უდაბნოელის პიროვნებას დაახლოებით გაიცნობს და მის არაადამიანობაში დარწმუნდება.

უდაბნოელი ნაწარმოებში თავიდანვე უსიმპათიო ადამიანად წარმოგვიდგება. იგი ყრმობის ეამს დედას ბერებთან მიუყვანია რომელიღაც უდაბნოში. ცოტა ხნის შემდეგ უდაბნოელს თვითონვე აღმოუჩენია „თავისი საქებური ხასიათი. რომ იგი ცოცხალთ ცოდვილთ ქალებს უფრო თაყვანსა სცემდა, ვიდრე განსვენებულ წმინდანებს“ და უდაბნოდან გამოპარულა.

უდაბნოელის პიროვნებაზე მოწოდებული ეს პირველი ცნობა გარკვევით მიუთითებს მის ზნეობრივ ავლადიდებაზე. ამის შემდეგ იგი დედამ ოთარ ჩოლოყაშვილს მიჰგვარა. ოთარმა ახალგაზრდა უდაბნოელი თანდათან დაიხლოვა და, ბოლოს, მოურავად დაინიშნა. როცა სპარსეთს გამგზავრება გადაწყდა, ოთარ ჩოლოყაშვილმა თავის მთელ სახლკარსა და ოჯახზე მზრუნველობაც უდაბნოელს ჩააბარა. სწორედ ამ დროს მოხდა მისი დაახლოება ანუკა ბატონიშვილთან.

ანუკა ბატონიშვილისა და უდაბნოელის რომანი ჩასახულია ოთარ ჩოლოყაშვილის სპარსეთს გამგზავრებიდან ერთი წლის შემდეგ. რომანის დაწყებიდან სამი წლისთავზე, როცა ანუკას უდაბნოელისაგან უკვე შვილიც ჰყავს, ქალი გარკვევით ნანობს მასთან დაახლოებას. მოთხრობის მეორე თავში მწერალი გვეუბნება: „ანუკა

ეხლა ხედავდა, რა უგრძნობ კაცს შესწირა მან პატროსნება მანამდე, ვიდრე მუსი თვისი; ვისთვის შეიქმნა დამპრლვეველი ერთგულებისა ქმრისა თვისისა. — და ყოველი მოგონება ამაზედ, სტანჯავდა მას გამოუთქმელად“.

იმავე მეორე თავიდან ვიგებთ, რომ ანუკასა და უდაბნოელის რომანი უკვე გამოქვეყნებულია. ყოველ შემთხვევაში, მეფე ალექსანდრეს ამ რომანის თაობაზე უკვე ცნობები აქვს და მკითხველი გარკვევით გრძნობს, რომ ბატონიშვილის ქალს დიდი უსიამოვნება მოეღოს.

მოთხრობის მესამე თავიდან სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბული ხდება. ახლა უკვე ანუკა ბატონიშვილის მდგომარეობა გარკვევით მძიმეა: მის გარშემო ისეთი სიძნელეებია, რომელთა გადალახვა ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატება. ჯერ ერთი, ამ დროს მან უკვე იცის, რომ ქმრისა და თავმოყვარე ძმის რისხვას ვერ აცდება. შემდგომ. ანუკა, დარწმუნებული თავის პირად უბედურებაში, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა, სიცოცხლე შეუნარჩუნოს ბავშვს, რომელიც მას უდაბნოელისაგან გასჩენია. ამავე დროს ქალს გარკვევით ეზიზღება უდაბნოელი, რომლის სიყვარულითაც მან ასეთი საბედისწერო ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ყველაფერი არც ამით მთავრდება. იმ მომენტში, როდესაც ანუკა უდაბნოელთან რომანის შედეგად ესოდენ მძიმე მდგომარეობაშია, ირკვევა, რომ იმავე ბატონიშვილის ქალზე მთელი გრძნობით შეყვარებულია აგრეთვე მისი ერთ-ერთი მსუბუქელთაგანი ტიტკო, რომელიც მხოლოდ თხუთმეტი წლისაა.

მესამე თავის დასაწყისში ვკითხულობთ:

„ანუკა ერიდებოდა უდაბნოელთან შეყრასა, ანუ ცდილობდა მართო მაინც არ დარჩენილიყო მასთან. ხოლო ტიტკოს მყოფობა კი შეიქმნა საჭიროდ ქალისათვის, რომელიც ხედავდა მასში ერთგულსა და სანდოს ყმაწვილსა კაცსა. და ამისთვის მან მოუმატა მისდამი ჩვეულებრივი ალერსი: ხან ლოყებზედ უსვამდა მშვენიერს ხელსა, ხან იმის კიკინებს ეთამაშებოდა ხოლმე და ანუკას არ აგონდებოდა, რომ ტიტკო იმ ჰასაკშია შესული, როდესაც სიყვარული ქარიშხალივით აოხრებს კაცის გულსა. ხოლო ვისაც გამოუცდია ძალა პირველის სიყვარულისა, იგი გაიგებს, რომ ეს ალერსი ქალისა ემსგავსებოდა ქარსა, რომელიც უძლიერესად უკიდებს ანთებულს ცეცხლსა“.

ტიტკოს რომანი, როგორც ჩართული ეპიზოდი, მკითხველის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ანუკა ბატონიშვილის ადამიანურ ტრაგედიაზე. ანუკა მას დედაშვილურად ეალერსება, ხო-

ლო ტიტყოს ბატონიშვილის ქალი მთელი თავისი ჭაბუკური ცხოვრებით უყვარს.

ტიტყოსთან ურთიერთობაში უფრო გარკვევით შეიცნობა უდაბნოელის ვერაგი პიროვნებაც. ტიტყო, რომელიც უდაბნოელს, როგორც ბოროტ ადამიანს, უპირისპირდება, ბოლოს იმავე უდაბნოელის ხელით კვდება.

ნაწარმოების მეოთხე თავიდან ცნობილი ხდება მეფე ალექსანდრეს წერილი ოთარ ჩოლოყაშვილთან და ამ უკანასკნელის დაბრუნება სამშობლოში. მეფისა და ოთარ ჩოლოყაშვილის საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ ანუკა ბატონიშვილის დაღუპვის აუცილებლობა უკვე გარკვევით იგრძნობა. მომდევნო თავებში გადმოცემულია ანუკას მიერ უკანონო შვილის გასტუმრება სადადიანოში და ამ შემთხვევის გამო ქალის მძიმე განცდები. აქვე, ბატონიშვილის ქალის გარშემო შექმნილი საერთო ვითარების გამო, ბუნებრივად გვესმის მისი გადაწყვეტილება: „ჩემი სიკვდილი მოახლოებულია. არ იქნება ურიგო ვეზიარო“.

ორიოდე დღის შემდეგ, დილაადრიანად, გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაში ანუკა ბატონიშვილი, ხატის წინ დაჩოქილი „მღვდელს“ გულწრფელად უყვება ქმრისა და ოჯახის წინაშე თავისი შეცოდების ამბავს. იმ დროს, როდესაც ქალი აღსარებას ამთავრებს, „მღვდელი“ ანაფორას იხდის და ანუკა ბატონიშვილი საკუთარი ქმრის, ოთარ ჩოლოყაშვილის, წინაშე აღმოჩნდება.

„ვეუი ჩემს სიცოცხლესა!.. ოთარ!.. — შეპყვირა ანუკამ და გარდაიქცა გულდაღმა.“

„მესამე დღეს იმავე ეკლესიამ მიიღო დიდის ყოფით გვამი საბრალო ანუკასი, რომლის უეცარი სიკვდილი მიაწერეს სიღამბლესა“.

## V

გრიგოლ რჩეულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა რომანი „თამარ ბატონისშვილი“. ეს თხზულება 1862 წელს ივანე კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა და მან თავიდანვე ფართო მკითხველთა ინტერესი გამოიწვია.

კრიტიკოსი გიორგი თუმანიშვილი, რომელმაც სამოცდაათიანი წლების ბოლოს „თამარ ბატონისშვილს“ ვრცელი სტატია უძღვნა, ამ ნაწარმოების პოპულარობის თაობაზე წერდა:

„ეს თხზულება სიამოვნებით იკითხებოდა 1862 წელს, როდესაც

ის პირველად იყო დაბეჭდილი „ცისკარში“, და იმ გეგარათვე იკითხება ეხლაც, თუმცა არ ეხება სრულებით იმ საგნებს, რომლებსაც დაჟღერებია ჩვენი დროინდელი ქართველი. მაინცდამაინც „თამარ ბატონისშვილი“ გვიხატავს ისე ცოცხლად, ისეთ მშვენიერ ენით ჩვენს წარსულს დროს, რომ არ შეიძლება არ წაიკითხოს ყოველმა ქართველმა, რომელსაც არ რცხვენია ან არ ეზარება იყოს ქართველი და უყვარდეს ქართული მწერლობა“<sup>1</sup>.

გრიგოლ რჩეულიშვილის ამ რომანმა მწერალთა ყურადღებაც მიიქცია. „თამარ ბატონისშვილის“ თემაზე დაწერილი რაფიელ ერისთავის ცნობილი ისტორიული პოემა „თამარიანი“. რაფიელი თავისი პოემის წინასიტყვაობაში პირდაპირ ამბობს: „საგანი ამ პოემისა მე ავიღე „ქართლის ცხოვრებიდან“ და მქონდა სახეში რჩეულიშვილის რომანი „თამარ ბატონისშვილი“. რჩეულიშვილის თხზულება გალექსა და მკითხველს პოემა „თამარიანის“ სახით წარუდგინა სიმონ გუგუნივამ. იგივე „თამარ ბატონისშვილი“ დრამად გადააკეთა ქართული თეატრის ცნობილმა მოღვაწემ კოტე მესხმა.

გრიგოლ რჩეულიშვილის „თამარ ბატონისშვილი“ ისტორიული რომანია, ნაწარმოებში გარკვეულ გამოხატულებას პოულობს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ერთ ისტორიულ პერიოდში, სახელდობრ, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მეფობის პერიოდში. რომანში მოთხრობილი რიგი ფაქტები უტყუარ საისტორიო წყაროებით დასტურდება. დაინტერესებული მკითხველისათვის დღეს უკვე ადვილად გასაგებია, რომ გრ. რჩეულიშვილი ისტორიული მოვლენების გადმოცემისას ცნობილი ქამთაღმწერელის საისტორიო თხზულებას ემყარება.<sup>2</sup>

ეს უბრალო მოვლენა როდია. „თამარ ბატონისშვილის“ ავტორი წარმოგვიდგება როგორც მწერალი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში საფუძველს უყრის ისტორიული რომანის ტრადიციას. შემთხვევითი არაა, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მიუთითებდნენ: „ჩვენში პირველ ისტორიულ ბელეტრისტიკად შექმეულია გრ. რჩეულიშვილი ჩაითვლება“<sup>3</sup>.

„თამარ ბატონისშვილშიც“ თავს იჩენს ავტორისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ერთგვარი დაუინტერესებლობა ისტორიუ-

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1875 წ., № 101.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959 წ., გვ. 151-220.

<sup>3</sup> „საქართველოს კალენდარი“, ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული, 1893 წ., გვ. 45.

ლი პიროვნებებითა და ფაქტებით. მისთვის მთავარია არა საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენები, არამედ ცალკეულ გმირთა მდგომარეობა, მათი რომანული თავგადასავალი და შინაგანი ადამიანური განცდები.

ნაწარმოების დასაწყისიდანვე მკითხველის ყურადღების ცენტრში ექცევიან თამარი და შალვა.

თამარი და შალვა გზაზე, მცხეთის მახლობლად, შემთხვევით ერთმანეთს ხვდებიან. შალვა პირველი ნახვისთანავე დაინტერესდება თამარის პიროვნებით, რომელიც რამდენიმე მხლებელს დასავლეთ საქართველოდან თბილისში მოჰყავს, თითქოს საიდუმლოდ, ვაჟურ ტანსაცმელში გამოწყობილი.

იმავე ღამეს შალვა თამარს ინახულებს კოშკში, სადაც მგზავრები ისვენებენ. ქალ-ვაჟი ერთმანეთს ეცნობიან. თხზულების ამ ნაწილში (თავი II) გადმოცემულია თამარისა და შალვას მოკლე თავგადასავლები იმ მომენტამდე, ვიდრე ისინი ერთმანეთს გაიცნობდნენ.

თამარის ცხოვრების ეს პერიოდი ნაწარმოებში მოკლედია მოცემული. მკითხველი მხოლოდ იმას იგებს, რომ ეს ქალიშვილი დასავლეთ საქართველოში (რაჭაში) იზრდებოდა. მას იქ დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ექცეოდნენ. ახლა, როცა იგი თექვსმეტი წლისა შესრულდა, თბილისში მოჰყავთ რუსუდან დედოფლის ბრძანებით. თამარმა ამ დროს არც თავისი წარმოშობა იცის და არც ის, თუ ამის შემდეგ რას უნდა მოელოდეს. ოღონდ ეს კია. რომ მას ერთ-ერთი მხლებლისაგან მოუსმენია: „ნურაფრისა ნუ გეფიქრებარაო“; მოითმინე და მოგელისო „ბრწყინვალე ბედი“.

უფრო ვრცლადაა მოთხრობილი შალვას წარსული. გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს შალვას მამის, ელიზბარის თავგადასავალი. აქ მთავარია სიყვარულის ნიადაგზე ელიზბარის დაპირისპირება ახალგაზრდა ლაშა გიორგისთან. დამაჯერებლადაა დახატული ბოროტი პიროვნება ივანე არღუთაშვილისა, რომლის ვერაგობის მსხვერპლი ხდება, ერთი მხრივ, ელიზბარი და. მეორე მხრივ — დასჯილი გამოდის აგრეთვე საქართველოს მომავალი მეფე ლაშა გიორგი. აქვე მოქმედებაში მოჩანს ქართველი გლეხობის მაღალადამიანურ თვისებათა გამომხატველი პეტრე ერთგულაძე.

ნაწარმოების მეორე თავი მთავრდება იმით, რომ თამარსა და შალვას ერთმანეთი შეუყვარდებათ. ისინი უკვე ცოლ-ქმრობაზე შეთანხმებულნი (დანიშნულნი) დროებით შორდებიან.

ამის შემდეგ გადის დაახლოებით ორი თვე და ქალ-ვაჟი ერთმა-

ნეთს ხვდებიან თბილისში, სრულიად სხვა სიტუაციაში. თბუღლების ამ ნაწილში (თავი III) თამარისა და შალვას რომანი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს.

საქართველოს დედაქალაქი საზეიმო ვითარებაშია. ამალღების ღღესასწაულია. მეფე და ხალხი ავლაბრის მინდორზეა გასული. მთელს თბილისში საერთო ლხინი და გართობაა. ამ საზეიმო განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს ფრონტიდან მოსული მახარობელი, რომელსაც ქართველთა ლაშქრის ახალი დიდი გამარჯვების ამბავი მოაქვს. ეს მახარობელია შალვა, რომელიც, გარდა ბრძოლის ველიდან მოტანილი სასიამოვნო ცნობისა, თავისი ვაჟკაცური შემართებითა და მაღალადამიანური თვისებებით ხიბლავს მოწვიმე ქართველობას. აქვეა თამარი, რომელიც თავისი სილამაზით ყველა ქალისაგან გამოირჩევა.

ნაწარმოებში დამაჯერებლადაა გადმოცემული შეყვარებული ქალ-ვაჟის შეხვედრა ამ საზეიმო ვითარებაში, რაც ერთნაირად მოულოდნელია როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის.

მდგომარეობა თანდათან რთულდება. თამარი და შალვა შეუღლების გეგმებს აწყობენ, მაგრამ მკითხველი თავიდანვე გრძნობს, რომ მათ რომანს კეთილი ბოლო არ უწერია.

შალვას პირველსავე თხოვნაზე რუსუდანის პასუხი, რომ თამარი სულთან ყიასდინს უნდა მიათხოვონ, მოქმედების განვითარებაში თანდათან მყარი და შეუცვლელი ხდება. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ქალ-ვაჟის ბეჯითი, მაგრამ შინაარსი ბრძოლა ამ წინააღმდეგობის გადასალახავად.

რომანის ძირითადი კვანძი იხსნება მეხუთე თავში, როდესაც ლაშა გიორგი საჯაროდ აცხადებს, რომ თამარ ბატონიშვილის ყიასდინს სულთანისათვის მითხოვება უკვე გადაწყვეტილია.

ლაშა გიორგიმ თამარისა და შალვას რომანის თაობაზე არაფერი იცის. მისთვის ეს რომანი უცნობია იმ დროს, როდესაც სამეფო გადაწყვეტილებას აცხადებს და ასევე უცნობი რჩება ბოლომდე, თვით ლაშა გიორგის გარდაცვალებამდე. ეს შემთხვევითი მოვლენა არაა. როგორც ჩანს, მწერალი შეგნებულად მოერიდა, რომ გულსრული მეფე ასეთი რომანის დამრღვევის როლში გამოეყვანა.

თამარ ბატონიშვილის ყიასდინს სულთანზე გათხოვების შემდეგ შეყვარებული ქალ-ვაჟის მდგომარეობა ჭეშმარიტად მძიმეა. თითოეული მათგანი ცალკ-ცალკე სასტიკად იტანჯება.

შალვაც თავისთავს ცოცხლებში აღარ თვლის. იგი თითქოს სიკვ-



დილს დაიძებს კიდევ. შეუძლებელია ადამიანმა გულგრილად წაიკითხოს შალვას მიმართვა ივანე ერთგულადისადმი იმ მომენტში, როდესაც იგი, ბრძოლის ველზე მყოფი, აუცილებელი დაღუპვის მოლოდინშია.

შალვა ივანე ერთგულადებს მიმართავს:

„იქნება ოდესმე ნახო იგი, ვისმა განშორებამაც გარდმიქცია სიცოცხლე ტვირთად... ეტყვი მას, ჩემგან დაუვიწყარსა თამარსა, რომ იმის შემდეგ მე ცოცხლების რიცხვში აღარ ვერიე. ეტყვი მას, რომ ყოველი სიხარულის გრძნობა დაიხზო ჩემს გულში, რომ მხოლოდ ჩემს უბედურებასაც და ბედნიერებასაც მაშინ ვგრძნობდი. როდესაც მისგან მოწერილს წერილებს გარდავიკითხნამდი ხოლმე. რომ მათ ვატარებ წმინდა ნაწილთა შორის აგეაროზეხად, რომ სიკვდილს ველოდი, ვითარცა ზეცისაგან მოვლინებულს სიხარულსა და უკანასკნელს სულის აღმოხდამდინ არ განშორებია სახე მისი გულიდგან, ფიქრიდგან, გონებიდგან!.. ეტყვი, რომ თუ ღმერთს არა აქვს დადებული წესად, რომ მკვდარი მკვდარს შეხვდეს საიქიოს ანუ იცნან მათ ერთმანეთი, მე მაინც მოვსთხოვ მას სამართალსა, შესცვალოს მე და თამარისათვის ეს უცვალებელი წესი, გვაჩვენოს, გვაცნობოს ჩვენ ერთმანეთი... ჩვენ ამდენი ტანჯვა გამოგვივლია, არა გვცოდნია სიხარული, არ დავმტკბარვართ სიყვარულით“<sup>1</sup>.

ასე მძიმე ადამიანური განცდებით ხასიათდება შალვას მთელი ცხოვრება თამარის გათხოვების შემდგომ პერიოდში. დაბოლოს, მწერალი ერთხელ კიდევ მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სიკვდილის წინა წუთებშიც, როდესაც ხელხანჯილიანი მკვლეელი თავს ადგას, მძინარე შალვა სიზმარში კვლავ თამარს ხედავს და მას შეტრფის.

აგრეთვე იტანჯება თამარ ბატონიშვილი შალვასთან დაშორების შემდეგ. მისი მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა სულთან ყიასდინის სასახლეში მიყვანის პირველ დღეებში. მკითხველზე გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს რუსუდან დედოფლის მუხანათური წერილი ყიასდინთან და ამ უკანასკნელის მიერ თამარისა და საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრის, დავითის მიმართ გამოყენებული სასჯელის ღონისძიებანი, მათი სასტიკი წამება.

ბოლოს და ბოლოს თამარ ბატონიშვილი თავის მკაცრ ბედს ეგუება. იგი სულთან ყიასდინის ცოლი ხდება, მაგრამ შალვასადმი უზადო სიყვარული, რომელიც მუხათგვერდის უბრალო კომპში წარმოიშვა, მეფეთა სასახლეებშიც არ ისპობა.

<sup>1</sup> გრ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, თამარ ბატონიშვილი, თავი VI.

განთავისუფლებული ტახტის მემკვიდრე, საკუთარი ბიძაშვილი, თამარმა მარმარილოს კოშკიდან გამოაცილა. იმ დროს, როდესაც საქართველოსაკენ გამომგზავრებული დავითის ხომალდი თვალს მიეფარა, „ერთმა მარგარიტის მსგავსმა ობოლმა ცრემლმა ჩამოიბინა თამარის ლაწვზედ: მას მოაგონდა თავისი მშობლიური ქვეყანა. თავისი წარსული ბედნიერება, თავისი საყვარელი შალვა“.

„თამარ ბატონიშვილში“ გამოხატულებას პოულობს კეთილშობილური პატრიოტიზმის მოტივი. მკითხველზე გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს ნაწარმოების გმირთაგან სამშობლოსათვის თავდადების რიგი შემთხვევები. ამათგან ორიოდ ფაქტის გახსენება მაინც აუცილებელია.

მეფე ლაშა გიორგი, ჯალალედინის თავდასხმის მოლოდინში, სამშობლოს დასაცავად დარაზმულ ქართველობას მხურვალედ მოუწოდებს:

„გახსოვდეთ ყოველ წამსა, რომ თქვენ გამოსულხართ საომრად მამულისა და სარწმუნოების დასაცველად, რომელნიც აქამომდე შეურყვეველად შეუწახამთ ჩვენს წინაპართ და რომელნიც, ჩვენ ვალი გვადევს, ჩავაბაროთ ეგრეთვე ჩვენს ჩამომავლობასა. ნუ გამოუდგებით ამოდ ამ ქვეყნიერის სარგებლობას, ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ იბრძვით იმ ადგილისათვის, სადაც არიან დამარხულნი ჩვენთვის თავგანწირულთა მამა-პაპის ძვალნი და სადაც თავის დროს ჩვენც უნდა დავიმარხნეთ პირნათლად. ნუ გექნებათ დასაღუპავი შური ერთმანერთში, მოიქეციეთ მორჩილებით ისრე, როგორც შვილნი ერთის სახლისანი და მამინ გამარჯვება ჩვენია“<sup>1</sup>.

მგზნებარე პატრიოტული შემართების შესანიშნავ მაგალითს იძლევა რომანის მთავარი გმირი შალვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პირველი შეხვედრა ჯალალედინთან.

ჯალალედინს ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ, სხვა ტყვეებთან ერთად, წარუდგინეს შალვა, რომელიც „ეცნათ ნახევანელებსა და გილანელებს და მოესხენებინათ სულთანისათვის მისი ვაჟკაცობა და საპატიოსნო ჩამომავლობის-შვილობა“.

ჯალალედინი ფიქრობს, რომ ტყვე ქართველი ვაჟკაცი მიიმხროს და თავისი საქმეებისათვის გამოიყენოს. ამ მიზნით იგი წამების ხეზე მიკრულ შალვას მიმართავს, სიცოცხლეს შეგინარჩუნებო ორი პირობით: „პირველად მიიღო ჩვენი სარწმუნოება და მეორედ მომცემ მტკიცე ფიცი ერთგულად ჩემის სამსახურისა“.

<sup>1</sup> გრ. რჩეულიშვილი, თამარ ბატონიშვილი, თავი V.  
27. აპოლონ მახარაძე



დამპყრობლის ამ წინადადებას ტყვე ვაჟკაცი მტკიცედ უპასუხებს: „დიდად ვწუხვარ, დიდო სულთანო, რომ ორივეზე უარი უნდა მოგახსენო“.

სიტუაცია თანდათან იძაბება. ჯალალედინი უმკაცრეს ღონისძიებებს მიმართავს, რათა პატრიოტი ახალგაზრდა ქართველის ნებისყოფა გატეხოს და იგი გადაიბიროს. მწერალი გვეუბნება, რომ შალვა ასეთი წამების შედეგად ებრძვის „სიცოცხლესა და სიკვდილსა“, მაგრამ მისა პასუხი მაინც ერთია: „დიდო სულთანო, ხომ მოგეხსენებათ ახალგაზრდისათვის რა ძნელია ამგვარი სიკვდილი, მაგრამ... მაგრამ ჩემგან რჯულის შეცვლა არ შეიძლება“.

ჯალალედინისა და შალვას ეს შეხვედრა-საუბარი ტყვე ქართველის აშკარა გამარჯვებით მთავრდება. სასტიკი და უღმობელი ჯალალედინი იძულებულია დასჯერდეს იმ მცირე დაპირებას, რასაც შალვა აღუთქვამს.

ძლიერი დამპყრობელისა და ტყვე ქართველის პირველი შეხვედრა საბოლოოდ ასე მთავრდება:

შალვა ჯალალედინს აღუთქვამს: „მე შემიძლიან მოგცეთ ფიცი, რომ არ ვეცადო აქედან გაპარვასა და თქვენ ვნებასა; შემიძლიან შემოგფიცო, რომ ვიომო ერთგულად თქვენს ჯარში, თუ რომ მტრად გეყოლება სხვა რჯულის ხალხი და არა საქართველოსი...“

„— შენისთანა გაუტეხავის და უშიშარის კაცისაგან ეგეც ბერიია! ვჯერვარ შენგან მაგ პირობებსაცა! ბძანა სულთანმა და ააშევიბინა შალვა“<sup>1</sup>.

შალვას პატრიოტული შემართება მკითხველში ბუნებრივად აღიქმავს სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის კეთილშობილურ გრძნობას. ავტორის მიზანდასახულობაც კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ესაა. „თამარ ბატონიშვილი“ ქართული ლიტერატურის საგანძურში შედის როგორც ეროვნული თავისუფლების იდეით შთაგონებული ერთი ფრიად საგულისხმო ნაწარმოები.

გრიგოლ რჩეულიშვილის მხატვრული პროზაული მემკვიდრეობა მკითხველთა წრეებში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობს. ამის ერთადერთი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ იგი როგორც იდეურ-თემატიკური, ისე მწერლური ოსტატობის თვალსაზრისით თავისი ეპოქის დონეზე დგას და მის სასიცოცხლო ინტერესებს ეხმაურება.

<sup>1</sup> გრ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, თამარ ბატონიშვილი, თავი VI.

გრიგოლ რჩეულიშვილის შემოგანხილული ნაწარმოებები შექმნილია იმ დროს, როდესაც ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ ლირიკის ენარი ბატონობდა და მხატვრულ პროზაში მომუშავე მწერალთა რიცხვი მხოლოდ ერთეულებით განისაზღვრებოდა. რჩეულიშვილი, როგორც მხატვრული პროზის ოსტატი, საპატიო ადგილს იკავებს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

## მამია გურიელი

### I

მამია დავითის ძე გურიელი დაიბადა ლანჩხუთის რაიონის ერთ-ერთ პატარა სოფელში, რომელსაც ლესა ეწოდება. პოეტის მამა გურიის მთავართა შთამომავლობას ეკუთვნოდა. დავით გურიელი თანამედროვეთა შორის ფრიად საქმიან და გონებაგახსნილ ადამიანად ითვლებოდა. დედა პოეტისა, ეკატერინე, თავისი დროისათვის კულტურული, პოეზიის მოტრფიალე და ოჯახისათვის თავდადებული დიასახლისი იყო.

მამია გურიელი დაიბადა 1836 წლის 28 იანვარს.

მომავალმა პოეტმა წერა-კითხვა თავისივე ოჯახში შეისწავლა კარის ეკლესიის მღვდლისაგან. 1851 წელს ქაბუჯი მამია ქალაქ ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანეს, მაგრამ მას ეს სასწავლებელი არ დაუმთავრებია. 1853 წელს მშობლებმა, კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის თხოვნით მამია თბილისში გამოგზავნეს. აქ მას თითქოს სწავლა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ სინამდვილეში იმავე წლის ბოლოს იგი სამხედრო სამსახურში შევიდა.

მამია გურიელმა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ძირითადად სამხედრო სამსახურში გაატარა და მხოლოდ ოთხმოციან წლებში მიატოვა იგი საბოლოოდ. ზედმეტი არაა აქვე აღინიშნოს, რომ პოეტს თანამედრობრივად მაინცდამაინც მნიშვნელოვანი წარმატებისათვის არ მიუღწევია. იგი სამსახურის საქმეებისადმი, როგორც ირკვევა, დიდ ინტერესსაც არ იჩენდა, ქეიფსა და მეგობრებში ღროსტარებას უფრო მისდევდა, ვიდრე სამსახურში დაწინაურებაზე ზრუნვას. სწორედ ეს გარემოება აქვს მხედველობაში პროფესორ ალ. ხაჩანაშვილს, რომელიც ამბობს, რომ მამია გურიელი „სამსახურში ოხრავდა და ხშირად მიდიოდა გურიაში დროს გასატარებლად. დაიარებოდა თბილისშიაც, სადაც თავის სილამაზის და

ჩამომავლობის წყალობით შეიქმნა წევრად არისტოკრატიულის-საპროლეტარობისა<sup>1</sup>.

მამია გურიელი ფართო ლიტერატურულ ასპარეზზე გამოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში. 1860 წლიდან მამიამ ლექსების ბეჭდვა დაიწყო ივანე კერესელიძის „ცისკარში“, ხოლო შემდეგ იგი თითქმის ყველა ქართულ გაზეთსა და ჟურნალში თანამშრომლობდა. მამია გურიელს, როგორც პოეტური სიტყვის ნიჭიერ ოსტატს, იცნობდა და პატივს სცემდა მისდროინდელი მთელი ქართველი ინტელიგენცია. მას იცნობდნენ და აფასებდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ.

შესაძლებელია განსაკუთრებით აღინიშნოს მამია გურიელის გულთბილი დამოკიდებულება გამოჩენილი ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილისადმი. ეს ფაქტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მ. გურიელის ეს გულთბილი დამოკიდებულება ნინოშვილისადმი უფრო აღრინდელია, ვიდრე იგი (ეგნატე ნინოშვილი) საყოველთაოდ აღიარებული მწერალი გახდებოდა.

ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში დაცულია მ. გურიელისა და ე. ნინოშვილის საერთო ნაცნობის, მასწავლებელ არონ მაქსიმესძე დოლიძის მოგონება, რომელიც გარკვეული მნიშვნელობის შემცველია როგორც „სიმონას“ ავტორის ბიოგრაფიის თვალსაზრისით, ისე მამია გურიელის პიროვნების სისრულით გათვალისწინებისათვის.

არონ დოლიძე თავის მოგონებაში მოგვითხრობს:

„მამია გურიელი კარგად იცნობდა ეგნატეს და ხშირადაც ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. მამია აფასებდა ეგნატეს, როგორც განათლებულ კაცს. ერთხელ მამია გურიელი ესტუმრა მის ძმას ჯაბას. ჯაბა გურიელი იმ დროში [ცხოვრობდა] შავი ზღვის ახლოს, სოფელ გრიგოლეთში. ეგნატე რაღაც შემთხვევით მივიდა ჯაბა გურიელის სასახლეში მამიასთან. მიესალმა, დასხდნენ ერთად და საუბრობდნენ. ამ დროს შემთხვევით ქალბატონი, ჯაბას მეუღლე, გამობრძანდა მამიასთან. მამია მორიდებით, ზრდილობის მიხედვით, სწრაფად წამოდგა ფეხზე და მიესალმა ქალბატონს. ეგნატეც წამოხტა ფეხზე და მანაც ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. ქალბატონმა იწინააღმდეგა ეგნატეს ხელის გაწვდენა, სასწრაფოდ გაექანა მეორე ოთახისაკენ.

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე საუკუნე, 1913 წ., გვ. 155.



სადაც მისი ქმარი ბატონი ჯაბა იყო და ეს ამბავი, შეურაცყოფის სახით, მოახსენა მეუღლეს.

„ქალბატონიდან დასმენილი ჯაბა სწრაფის ნაბიჯით გამოვიდა მისი ოთახიდან და მიუხვდა მამიას, სადაც ეგნატეც იყო და დააპირა ეგნატეს გალახვა, მამიამ შეაჩერა... ის ამბობდა: „როგორ გაბედა გლეხმა ჩემი ქალბატონისათვის ხელის გაწვდენა ჩამოსართმევად! მარა რაც მომივიდა, შენგან მომივიდაო. მოგისვამს გვერდში გლეხის შვილი და როგორც ამხანაგს ისე ესაუბრებებიო“. მამიამ უპასუხა: „გლეხი ისეთივე კაცია, როგორც თვითეული ჩვენგანი. ადამიანი ფასდება გონებით და არა გვარითო. მოვა დრო, გლეხები განვითარდებიან და გონებით გვაროსნებს წინ გაუსწრებენო“. ეგნატე გამოესალმა მამია გურიელს და დაფიქრებული დაბრუნდა სახლში“<sup>1</sup>.

ნინოშვილის ცხოვრებაში იშვიათი შემთხვევა არაა, რომ მას თავადაზნაურობის წარმომადგენლები უხეშად ეპყრობოდნენ. ზემოთ გადმოცემული ფაქტი განსაკუთრებით საინტერესოა მამია გურიელთან დაკავშირებით. აქ აღწერილი შემთხვევა გარკვევით აფართოებს ჩვენს წარმოდგენას მ. გურიელის, როგორც მწერლისა და მოქალაქის, პიროვნებაზე. ამ მოგონებას მხარს უჭერენ ხალხური ზეპირგადმოცემები და თანამედროვეთა ჩანაწერები, რომლებშიც მამია გურიელი თავისი ადამიანური კეთილშობილებით ერთგვარად დაპირისპირებულია თავისივე ძმებთან და სხვა ნათესავებთან<sup>2</sup>.

ასეთია მამია გურიელის პიროვნება თანამედროვეთა გადმოცემებით. მოულოდნელი სრულიადაც არაა, რომ პირად ცხოვრებაშიც ასე გულსრული და გამგებიანი იყო ის პოეტი, რომლის კალამსაც ეკუთვნის კეთილშობილური ჰუმანიზმის გრძნობით გამთბარი ლექსი „ადამიანი“.

მცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში მამია გურიელი საყოველთაოდ სახელმწიფოებრივი პოეტია, რომელიც გავლენას ახდენს ფართო მკითხველ საზოგადოებრიობაზე.

\* \* \*

მამია გურიელის, როგორც პოეტის, დახასიათებისათვის გარკვეული ინტერესის შემცველია ის გარემოება, რომ მას შესანიშნავ-

<sup>1</sup> ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმის ხელნაწერი № 8.

<sup>2</sup> იმავე მუზეუმში დაცული მასალები მამია გურიელის, გრიგოლ გურიელისა და სხვა გურიელების გარშემო.

ვად ემარჯვებოდა მხატვრული ნაწარმოების გამომეტყველებითი კითხვა. მეცხრამეტე საუკუნის ჩვენს მწერლებს არა ერთჯერ უხდებოდათ, რომ საზოგადოების წინაშე უშუალოდ წამდგარიყვნენ და წაეკითხათ (ან ზეპირად წარმოეთქვათ) თავიანთი თხზულებები.

მამია გურიელი ამ მხრივ განსაკუთრებული ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. იგი დიდ გავლენას ახდენდა დამსწრეებზე. მამიას პირველი ბიოგრაფი ი. მეუნარგია, ეხება რა მ. გურიელს, როგორც წამკითხველს, ამბობს:

„შესანიშნავი მამიას კითხვაში ის იყო, რომ რაც უნდა გაცხარებული კითხვა ქონოდა იმას, რაც უნდა დრამატული მოძრაობა ყოფილიყო ლექსში, ფრაზასა და ფრაზას შუა, მამიაში სრულიად დამშვიდებულს და თავისუფალ არტისტს გრძნობდი.

„მისი ლექსებიდან მამია განსაკუთრებით კარგად კითხულობდა: „ადამიანს“, „პოეტის და ჩვენების“ ფიცს, „ქალებს“, „ბაირონის გიჟურიდამ“ და „ჩემს ალავერდის“. ამ უკანასკნელი ლექსის წაკითხვისათვის ხარაზოვის თეატრის სცენიდან, ქუთაისში, მამია დააპატიმრეს ერთი თვით ქუთაისის სააფიცრო ნაობაზში 1889-ს წელს, რადგანაც ამ კითხვაში შიგა და შიგ ისეთი ლექსებიც ჩაურთო. რომლისთვის ნებართვა არ ჰქონდა მიღებული.

„მე თავის დღეში არ დამევიწყებდა ეს მშვენიერი საღამო ხარაზოვის თეატრში. ზალაში ტევა აღარ იყო და ბალკონებზე კაცი კაცი იჯდა, რადგანაც წარმოდგენას საქველმოქმედო მიზანი ჰქონდა და პროგრამაში მამიას სახელი იყო დაბეჭდილი. როცა მამია გამოვიდა სცენაზე, თეატრში სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეს სიჩუმე სწორედ ქარიშხლის მომასწავებელი იყო. პირველისავე ნახტომიდან მაშინამ შეიპყრო საზოგადოების ყურადღება და ფრთები აუსხა მის ხელოვნურს გრძნობას. კარგი კითხვის მოყვარულნი ძლივსლა იჭერდნენ აღტაცებულთა, რომ ტაშის ცემით და „ბრაგოს“ ყვირილით არ შეეშალათ იმისთვის ხელი; მაგრამ როცა მამია ჩავიდა „ჩემს ალავერდში“ იმ ადგილამდის, საცა ის ამბობს:

თქვენ, უებრო მებრძოლებო,  
თქვენთანა ვარ, ალავერდი!

ვერც იმათ დაიჭირეს თავი და თეატრი კინალამ დაიმტვრა გარდამეტებულის აღტაცებისაგან. მამია გრძნობდა, რომ ამ დროს ის უფალი იყო მსმენელებისა“<sup>1</sup>.

მამია გურიელს, როგორც გამომეტყველებითი კითხვის ოსტატს,

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, 1954 წ., გვ. 367.





ასევე მაღალ შეფასებას აძლევს თითქმის ყველა მისი თანამედროვეებისაც კი მისთვის მოუსშენია. დამახასიათებელია პოეტის ერთ-ერთი თანამედროვის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის მოგონება. ეს მოგონება იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ იგი გარკვევით გვაგრძნობინებს მ. გურიელის გავლენას იმდროინდელ ქართველ ახალგაზრდობაზე საზოგადოდ.

გიორგი ლასხიშვილი მოგვითხრობს:

„მამიას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ქუთაისის გიმნაზიელებს ის ხშირად გვყავდა, რასაკვირველია, ნანახი, და ძალიანაც გვიყვარდა: მისი ზოგი პატრიოტული ლექსი ზეპირად ვიცოდით; განსაკუთრებულად აღტაცებაში მოვყავდით მის სცენიდან დეკლამაციას. ახლაც თვალწინ მიდგას მამია სცენაზე: პენსე ქვეით ჩამოწეული, მამია ზევიდან გამოიყურება და თავისებური ხელების ქნევით, მომხიბლავი კილოთი წარმოთქვამს: „ყმაწვილებო ჭერ ვუსურვოთ, ჩვენ სამშობლოს დღეგრძელობა“... და, ბოლოს:

„ასე ვუთხრათ: საქართველო აღსდგე,  
გახდი კვლავ თავხედი, არა რა არის უსაშველო,  
ყმაწვილებო ალავერდი!“

ამ „ყმაწვილებო ალავერდის“ ისეთი გრძნობითა და აღტაცებით იტყოდა ხოლმე, რომ მთელი თეატრი ერთხმად და აღტაცებით შესძახოდა: „იახშიოლ“<sup>1</sup>.

დასასრულ, მამია გურიელზე, როგორც მხატვრული კითხვის ოსტატზე, საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე სოფრომ მგალობლიშვილა თავის ცნობილ მოგონებებში. სოფრომ მგალობლიშვილს გადმოცემული აქვს ის ეპიზოდი, როდესაც მამიას ეთრნალ „მნათობის“ რედაქციაში ზეპირად ათქმევინეს ლექსი „საქართველოს მზეს“. სოფრომი მოგვითხრობს:

„არ დამავიწყდება მამიას ნახვა „მნათობის“ რედაქციაში. მამია მაშინ თბილისში ცხოვრობდა. ერთ საღამოს ნიკო ავალიშვილთან შემოვიდა ლამაზი სახის, ცქვიტი, შავ-წვერ უღვაშით შემკული, თავიდან ფეხებამდე შავ ტანისამოსში გამოწყობილი, თავზე გარბიბალდის ქუდით. მოუტანა ნიკო ავალიშვილს ლექსი „მზისადმი“. რედაქტორმა სთხოვა წაეკითხნა. მამიამ წაიკითხა ლექსი ზეპირად, ქალაქის მხოლოდ ხელში ატრიალებდა. წაიკითხა ისეთნაირად, რომ ელექტრონის ყრუანტელმა ამიტაცა, თმა ყალხს შემიდგა, უმკვე-

<sup>1</sup> გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ., გვ. 53.

ლია სხვეზიც ჩემს მდგომარეობაში იქნებოდნენ. ესლაც ყურებში მიბზუტიან იმისი ნათქვამი ორი პირველი ტაეპი:

„გავიშარჯოს, ნაცნობო!  
მშვენიერო საპერეტო,  
საქართველოს მნათობო,  
ყოველს მნათობზე მეტო!  
შენ ჩემს მამულს საყვარელს  
სწყალობ, ეპატრონებო,  
უვლი, როგორც მომაკვდავს,  
არ ხანგრძლივ მოქმორდები“...

„რომ გაათავა, ერთს ხანს დუმილი ჩამოვარდა, თითქო გონს ვე-  
ლარ მოვედით, ისე გავგიტაცა მშვენიერმა კითხვამ. ეს ლექსი „მზი-  
სადმი“ დაიბეჭდა 1870 წ. პირველ ნომერში“<sup>1</sup>.

ასეთ გავლენას ახდენდა მამია გურიელი საზოგადოებაზე თავისი ოსტატური წაკითხვით.

მამია გურიელმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ქალაქ ქუთა-  
ისში გაატარა. ეს ხანა აღინიშნება როგორც უაღრესად მძიმე პერი-  
ოდი მის ცხოვრებაში. მატერიალურმა ხელმოკლეობამ და განსა-  
კუთრებით ოჯახურ ყოფაში შექმნილმა არასასაიაძოვნო მდგომარეო-  
ბამ იგი ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან ამოაგდო. ოჯახურ  
სიბნობს მოკლებული, ტუბერკულოზით დაავადებული მამია სი-  
ცოცხლის უკანასკნელ დღეებს ატარებდა ბნელ ფიცრულ სახლში.  
რომელიც გურიელების ერთ-ერთ ყოფილ შინამოსამსახურეს ეკუთ-  
ვნოდა. ერთადერთი შვილის თვითმკვლელობის აქტი უკანასკნელი  
შხამით სავსე ფიალა იყო, რომელმაც მგრძნობიარე პოეტს ბოლო  
მოუღო.

მამია გურიელი გარდაიცვალა 1891 წლის 25 ივლისს. სამი

<sup>1</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 58. ამ პირადი შთა-  
ბეჭდილებებითაა გაპირობებული ის ფაქტი, რომ სოფროში მამია გურიელს, რო-  
გორც მხატვრული კითხვის შესანიშნავ ოსტატს, იხსენიებს მოგვიანებით დაწე-  
რილ მოთხრობაში „წარსულიდან“. იმ მომენტში, როდესაც სემინარიელები გა-  
ტაცებით საუბრობენ ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელსა და სხვა გამოჩენილ  
ქართველ მწერლებზე, ერთი მათგანი მამია გურიელზე ამბობს: „იგი ახალგაზრ-  
და პოეტია... ოჰოო!!! აბა, ის კითხულობს ლექსებს, აი! იმის მოსმენას არა  
სჯობიან რა; როგორც კრიალოსანს ჩამოსთვლიან მარცვალ-მარცვალ, ისე ის  
დინჯად და გარკვევით ამბობს ლექსს... ერთი სიტყვა რა არის, ერთი სიტყვა არ  
გამოუპარება; ეს არაფერი, ყოველი სიტყვა გულსა ხედება და საამოდ გილელ-  
ვებს მის, თითქოს სადღაც მიჰყევხარ, თითქო ფრთები გესხმის და ცის სივრცე-  
ში იყარგები“ (იხ. ს. მგალობლიშვილის „წარსულიდან“, ნაწილი III, თავი XXI).



დღის შემდეგ იგი ქუთაისის ერთ-ერთი საყდრის ეზოში დაასაფლავეს.

მამია გურიელის გარდაცვალებამ ფართო საზოგადოების გამოზნაურება პოვა. ილია ჭავჭავაძის „ივერია“ იტყობინებოდა: „ახლად განსვენებულის ჩვენის პოეტის მამია გურიელის გარდაცვალებამ ბევრი დააღონა, ბევრს გული მოუკლა. ყოველდღე წერილები მოვკდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და აცხადებენ თავიანთ მწუხარებას პოეტის უღროოდ დაკარგვის გამო“<sup>1</sup>.

## II

1897 წელს ერთ წიგნად გამოვიდა მამია გურიელის თხზულებათა კრებული, რომელიც მის პოეტურ მემკვიდრეობას ძირითადად მოიცავს. ამ შემთხვევის გამო მ. გურიელის შემოქმედებას ვრცელი მიმოხილვა უძღვნა კრიტიკოსმა ივანე გომართელმა<sup>2</sup>.

ივ. გომართელის ამ წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს თავისებური მნიშვნელობა აქვთ მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ცალკეული მოვლენების გათვალისწინებისათვის. მაგრამ კერძოდ მამია გურიელის მიმართ დამოკიდებულებაში კრიტიკოსი მაინცდამაინც მხარდაჭერას ვერ იმსახურებს.

მამია გურიელის შემოქმედების საკმაოდ ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ივანე გომართელი დაასკვნის: „მამია არ იყო ისეთი დიდი ნიჭის პატრონი, რომ საზოგადოებისათვის წასაბაძავი იდეალები დაეხატა, ჩვენი დაქსაქსული ცხოვრებისათვის გზა ეჩვენებინა; არც ძლიერი დაკვირვებითი ნიჭი ჰქონდა, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი მოვლენა აღენიშნა, აეწონ-დაეწონა და თავისი მსჯავრი დაედვა. მას შეეძლო მხოლოდ მოკლე ლექსების წერა და ამ ლექსებში რამდენიმე, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმითაც, იმდენად მშვენიერია, რომ მიმზიდველ სილამაზეს დიდხანს არ დაჰკარგავს. ამ ლექსების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ მამია ბუნებამ პოეტად დაბადა. მაგრამ დაბალი პოეტური ნიჭის, სუსტი ფანტაზია და ხელოვნება დაატანა. მამიას პოეზიას მნიშვნელობა აქვს კიდევ აი, რა მხრით: თემები მამიას პოეზიისა მართო მამიასი კი არ არის, არამედ მთელი ჩვენი მეორმოცე წლების არისტოკრატიისაც. თავისი

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, 1891 წ., № 168.

<sup>2</sup> ეურნალი „ევალი“, 1898 წ., № 31, 32, 33, 34, 35, 36, 37.

თავის გაცნობით პოეტი გვაცნობებს ამ არისტოკრატიასაც, რწმენას, შეხედულებას, სურვილს და, მცირეოდნად, ცხოვრებას. ვისაც უნდა შეისწავლოს ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, ჩვენი არისტოკრატია, გონებრივი და ზნეობრივი წინმსვლელობა ჩვენში, მამიას პოეზია მას ძალიან კარგ სამსახურს გაუწევს<sup>1</sup>.

ივანე გომართელის ამ დებულების გაზიარება შეუძლებელია. მამია გურიელის პოეზია არცთუ ისეთ გაკიცხვას იმსახურებს. როგორც ეს ზემოთ შოყვანილი ამონაწერიდან ისმის. ქართული რომანტიზმის საერთო ფონზე მამია გურიელის შემოქმედება როგორც იდეურ-თემატიკური, ისე პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით გარკვეული ინტერესის შემცველია.

იმავე კრიტიკოსის აზრით, მამია გურიელის შემოქმედება თემატიკურად მაინცდამაინც ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის ცხოვრების, რწმენისა და სურვილების გამომხატველია. დღეს სადავო არ უნდა იყოს, რომ შეუძლებელია ასეთ ვიწრო წოდებრივ ინტერესთა ჩარჩოებში მოაქციო პოეტი, რომლის კალამსაც ეკუთვნის ლექსი „ადამიანი“. შემდეგ, რაც მთავარია, მამია გურიელს პოეტური მოღვაწეობა მოუხდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეპოქაში. ამ გარემოებამ მის შემოქმედებას გარკვეული დალი დააჩნია. მისი პოეტური შემოქმედების განხილვა დაგვარწმუნებს, რომ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული სკოლის გავლენა თავს იჩენს მამიას მთელ რიგ ლექსებში, რომლებითაც იგი ეპოქისათვის დამახასიათებელ აქტუალურ სოციალურ პრობლემებს ეხმაურება.

მამია გურიელის შემოქმედებითი შემოქმედების გავლენისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმ თხზულებებს, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს პოეტის ლიტერატურული მრწამსი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „პოეტი და ჩვენება“, რომელსაც ავტორმა „ფანტაზიური პოემა“ უწოდა.

მამია გურიელის ეს თხზულება გარკვევით ატარებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეპოქის გავლენის კვალს, სახელდობრ, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის რეალისტური სკოლის გავლენის კვალს. მართალია, იგი რომანტიკული აღმადრენით წერს, მაგრამ პოეტი გადაჭრით აღიარებს ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავში-

<sup>1</sup> ვერხალი „ველი“, 1898 წ., № 37, გვ. 622; იხ. ივანე გომართელი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1966 წ., გვ. 45.



რის აუცილებლობას. ამასთან ერთად ნაწარმოებში საგრძნობი ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება, მისი მამხილებელი ტონი თანადროულობის მიმართ, რაც იმდროინდელი ქართული მწერლობისათვის აგრეთვე დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს.

ღრმადამიანიური განცდებისაგან დაქანცულ პოეტს „ფიქრთა გროვაში“ გახვეულს ჩაეძინება და ამ დროს მასთან მოფრინდება „რალაც ჩვენება თვალთ უნახავი“. მგოსანსა და ზეციურ არსებას შორის ხანგრძლივი საუბარი იმართება და ამ საუბარში გარკვევით ვლინდება ავტორის შეხედულებანი ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე.

სასურველი სტუმარი (ჩვენება) პოეტს მოაგონებს რეალურ ცხოვრებაში არსებულ სიძნელეებს, კაცთა შორის წინააღმდეგობას: ურთიერთჩაგვრას, შურსა და გაუტანლობას. იმავე დროს ეს უხილავი არსება მოუწოდებს მგოსანს, რათა მან, როგორც ზეცისაგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა, იღვაწოს თანამოძმეთა სასარგებლოდ, იბრძოლოს ხალხის მასების საკეთილდღეოდ, იგი პოეტს მიმართავს:

როგორათაე მზე გაზაფხულისა  
ფაქიზსა სხივებს უხვევით აფრქვევს, —  
ეგრევე შენც უნდა ხალხისა ჭირი  
შემოიკრიბო, კისრადა იღო;  
როგორც იესომ მათთვის სიკვდილი  
იტვირთა, ისრე შენც უნდა ზიღო, —  
და შენის სისხლით მათი ტანჯვები  
მორეცხო სრულად, გაასპეტაყო.

ცხოვრების სიმწარისაგან გულდაკოდილი პოეტი პირველ ხანებში უარყოფითი პასუხით გასტუმრებას უპირებს თავის მოსაუბრეს, მაგრამ სტუმარი მას კვლავ მოძღვრავს და ერთგვარად კიცხავს კიდევ ასეთი სასოწარკვეთილებისათვის. მის მიმართვაში კვლავ გაისმის მაღალგონიერი მოწოდება პოეტისაგან ხალხისათვის თავდადების და თავგანწირვისა:

ჯვარს-ეცე სიამით, ვით ღვთისა შვილი,  
და ხალხს მოუმკე სანატრო ბელი!

სტუმრის შთამაგონებელმა საუბარმა გარკვეული შედეგი გამოიღო: წმინდა მოვალეობაზე გულაცრუებული მასპინძელი საბოლოოდ გამოაფხიზლა და თავისი მაღალი მოწოდების გზაზე დააყენა. პოეტი გვეუბნება, რომ:

ისრე სიამით გულის აღმსეხი  
იყო იმ ტურფის ტკბილი უბნობა,  
ყოველი მწარე სეუდის დამსეხი,  
რომ ველარ გავძელ გაყრის დათმობა  
და მივაძახე:

„ნუ გაფრინდები,  
ობლად ნუ მტოვებ, გებრალეზოდ!  
შენსა ბრძანებას დავემონებო,  
ისიც შემინდე, თუ რამ შეგცოდე!“

ამრიგად, პოეტი, რომელსაც ცხოვრების საჭირბოროტო კითხვებით დაღლილს „ფიქრთა გროვაში“ ჩაეძინა, ახლა ზეციურ სტუმართან საუბრის შემდეგ, საბოლოოდ და უყოყმანოდ, მოწოდების სიმალლეზე დგება. ამ დროს იგი უკვე გამოიყურება როგორც თავის საქმეში დარწმუნებული და იმავე რწმენით კიდევ უფრო ამიღლებული ადამიანი. სასოწარკვეთილებაზე გამარჯვებული მგოსანი სტუმრის (ჩვენების) წინაშე მტკიცე ფიცსა სდებს, რომ მთელი შესაძლებლობით ხალხის კეთილდღეობას ემსახუროს.

განსაკუთრებით საინტერესოა თხზულების ის ნაწილი, რომელშიც პოეტის ეს ფიცია გადმოცემული. შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ იმ ფაქტის მიმართ, რომ პოეტის საფიცარი მაინცდამაინც სამშობლოა — „გმირთა ძელებით მოკენჭილი“ საქართველო. ეს ნაწყვეტი თხზულებისა, შეიძლება ითქვას, ერთი სრულიად დამთავრებული ძლიერი ლექსია, რომელშიც გამოხატულებას პოულობს ჩვენი მგოსნის კეთილშობილური და მგზნებარე პატრიოტიზმი. იგი ერთ-ერთი საუკეთესო კმნილებაა XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს თემაზე დაწერილ ლექსთა შორის.

ჩვენებისაგან გამოფხიზლებული და გამხნევებული პოეტი ფიცსა სდებს, რომ იგი მთელი ძალღონით იშრომებს და იბრძოლებს ხალხის საკეთილდღეოდ. იგი ამბობს:

ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,  
ბედისგან დასჯილს, განაწამებსა,  
ჩაბალახ-ახლილს, ჯაქვებით შეკრულს  
და წითლად ნაღებს მისსა მიწებსა.  
ქართველთ გმირების ძელებით მოკენჭილს  
ველებს, ხეობებს, ციხეებს, მთებსა;  
მათ სისხლსა წმინდას, უხვებით დაღვრილს,  
და მათსა აღმზრდელთ მანდილოსნებსა...

ვფიცავ ქართველის სულს, ჯან-გაუწყვეტელს,  
ძვირფასსა დროშას, ქრისტეს ჯვრით შემკულს,  
მაგ ჩვენს დამღუპველს, იმასვე დამხსნელს,  
ივერიელებს მისთვის წამებულს.



ასე მთავრდება პოეტისა და ზეციდან ჩამოსული უხილავი არსების (ჩვენების) ღრმაშინაარსიანი საუბარი.

თხზულების ის ნაწყვეტებიც კი, რომელთაც ზემოთ გავეცანით, საკმარისია იმისათვის, რათა მისი ავტორის ლიტერატურული მრწამსი გარკვევით წარმოვიდგინოთ. ეს მრწამსი რეალისტური უფროა, ვიდრე რომანტიკული. მამია გურიელის „პოეტი და ჩვენება“ სრულიად ძალდაუტანებლად მოგვეგონებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას ლექსებს ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებაზე. ეს ფაქტი ეპოქის გავლენის შედეგია. ამით მ. გურიელი ხარკს აძლევს კონკრეტულ ლიტერატურულ გარემოცვას, რომელშიც ცხოვრობს, ხოლო შემოქმედებითს პრაქტიკაში იგი მეტწილად რომანტიზმის განმგრძობად გამოდის.

### III

მამია გურიელის პოეზიისათვის დამახასიათებელია ეროვნული და სოციალური ჩავჯვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები. მის ნაწერებში დიდ ადგილს იკავებს აგრეთვე სიყვარულის მოტივი.

ეროვნული თავისუფლების მოტივზეა დაწერილი მამია გურიელის ლექსები: „შოშია“, „კარჩხალის მთები“, „საქართველოს მშენს“, „ჩემი ალავერდი“; პოემები: „ზღაპარი, ახლად შემოღებულის შაი-რებით მოთხრობილი“ და „რაშიღ ვარდან-ოღლი“.

მამია გურიელისათვის, ისევე როგორც სხვა ქართველი რომანტიკოსებისათვის, დამახასიათებელია, რომ მისდროინდელი საქართველო დაცემული და დაქვეითებული წარმოუდგება. მამია გურიელიც თვალცრემლიანი შეჰყურებს ჟამთა სიავისაგან ფერწახდენილ თავის სამშობლოს.

ცამდე აზიდული კარჩხალის მთები მოწმენი არიან ქართველი ხალხის დიდი კულტურული და საგმირო წარსულისა. მათ ახსოვთ ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ბრწყინვალე ეპოქები; ახსოვთ ჩვენი დიდებული წარსული.

როცა უღლელი ივერთა მკლავი  
საბერძნეთისა ფარეიდა ტახტსა,  
როს ხალხთა მალა ეჭირათ თავი,  
შეუბოვართა დასცემდნენ ზარსა.

ეს წარსულია, რომელიც მხოლოდ მოგონებაში ცოცხლობს. იგივე მთები ნაღვლიანად დაჰყურებენ ახალი დროის საქართველოს.

ოდესღაც სახელოვანი ქვეყნისა და ხალხის დაბეჩავებული მდგომარეობა მგრძნობიარე პოეტთან ერთად გოლიათ მთებსაც ამგლოვიაჩრებს. კარჩხალის მთები ქვეყნის უბედურებისაგან დადარდიანებულნი და „შავ ღრუბლებით შემოსილები მგლოვიაჩრებენ, სწყველიან ბედსა, დღეს თავ-დახრილი, შერცხვენილები, ისევ ღრუბლებში იმაღვენ ქედსა“.

მთის ფერდობზე დგას ციხე-სიმაგრე, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინათ არის ქართველი ხალხისაგან „მტერთა საზაროდ აშენებული“. ეს მრავალჭირნახული და საგმირო საქმეთა მოწამე შენობა ახლა გველების, ხელიკების, კრაზანებისა და ჭილყვაების საბუდრად ქცეულა. ასეთია, პოეტის აზრით, მისდროინდელი საქართველოს მდგომარეობა. ერთი კია: თვითონ კარჩხალი „ბუმბერაზფარი, თავით ზეცამდე მძვინებულა“ და ქართველთა ეს უტეხი გუშაგი „ჭერ არავისგან შემინებულა“. პოეტი გვეუბნება, რომ:

მხოლოდ ეს ბურჯი სხვა და სხვა ძალებს,  
რაც არ სცილიან, ვერ შეურყევიათ:  
ბუქისა ქროლვას, ქუხილსა, ელვებს  
მაზედ ძალ-ღონე შეუღევიათ.

ასე მსჯელობს მამია გურიელი და ეს მსჯელობა, რაღა თქმა უნდა, წმინდა რომანტიკულია.

სამშობლოს თემაზე ქართველი რომანტიკოსების მიერ დაწერილ თხზულებათა შორის საინტერესოა მ. გურიელის ლექსი „შოშია“. პოეტს მისდროინდელი საქართველოს მდგომარეობა წარმოდგენილი აქვს როგორც ყოფა დატყვევებული ფრინველისა, რომელსაც ჭორ-მიმინოებისაგან იმ მიზნით „იკავენ“ რომ მან (უწყინარმა შოშიამ) ნამდვილი თავისუფლება არ მოითხოვოს.

მამია გურიელის ეს ლექსი მკითხველს ბუნებრივად მოაგონებს ნ ბარათაშვილის საყოველთაოდ ცნობილ თხზულებას „სუმბული და მწირი“. შოშიას მძიმე ხვედრი და განცდები არსებითად განმეორებაა ბარათაშვილის მიერ დახატული სუმბულის მდგომარეობისა, მაგრამ თავისებურ ორიგინალურ ფორმებში გადმოცემული. ეს მსგავსება სახეებისა მ. გურიელის პოეტურ პიროვნებას კი არ ამცირებს, არამედ ერთგვარად ამაღლებს კიდევ. ყოველ შემთხვევაში, მამია მშვენივრად ახერხებს, რომ გენიალური წინამორბედის მიერ ნათქვამი ახალს ვითარებაში ორიგინალურად გაიმეოროს და განავითაროს. ეს ცოტას არ ნიშნავს.

მშობლიური ქვეყნის უბედურებისაგან მწვავე ფიქრებით მო-



ცულ მგოსანს გალიაში გამომწყვდეული შოშიის სტვენა შემოესმის.  
 თავისუფლებაწართმეული ფრინველი გულსაკლავად კვნესის:

ყმაწვილობილამ გალიაში  
 უხსნელ ტყვედ ვზივარ,  
 ჩემსა აღმომზრდელ სამშობლოში  
 შეპყრობილი ვარ!  
 თუმცა ხან და ხან ვამიშეებენ  
 ვითომც ნებაზედ,  
 მაგრამ მაშინც თვალს მადევენებენ  
 მცირეს ფრენაზედ  
 მეუბნებიან, ენა სთქვიო  
 ჩვენებურათა!  
 ძლიერ სცდილობენ, შევეჩვიო,  
 გაეხდე ზუმრათა.  
 განზრახვაში აქვსთ, ვიქცე ყვავად,  
 მყავს მსწავლებლები,  
 მე ამის გამო გაეხდი ავად,  
 აგერ მოვეკვდები...  
 მცვენ ჭორისა და მიმინოსგან,  
 მიფრთხილდებიან.  
 გაკვირვებული ვარ ამისგან,  
 რისთვის სცდებიან.  
 მამათა ჩემთა არ ჰყოლიათ  
 არავინ მცველი  
 და ცხოვრება კი მათ ჰქონიათ  
 დიდ სანატრელი.

ასეთია ტყვედქმნილი შოშიის მდგომარეობა და განცდები. ამ სტრიქონებიდან უდავოდ ისმის გარკვეული პროტესტის ხმა იმ ძალის მიმართ, რომელმაც თავისუფლებისმოყვარე შოშია ასე მძიმე ყოფაში ჩააყენა. ეს პროტესტი კიდევ უფრო ძლიერდება ლექსის უკანასკნელ ნაწილში, რომელშიც ამ ფრინველისათვის ბუნებით მინიჭებულ თავისუფლებაზე არის ლაპარაკი.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველისათვის ძნელი არ იყო, რომ ამ ლექსიდან საკუთარი მშობლიური ქვეყნის საზოგადოებრივი მდგომარეობა ამოეკითხა, რადგან ასეთი ხმები მას ესმოდა საუკუნის დამდეგიდან, ვიდრე ვახტანგ ორბელიანისა და მამია გურიელის ეპოქის ჩათვლით.

რომანტიკულადაა სამშობლოს განცდა წარმოდგენილი მამია გურიელის ლექსში „საქართველოს მზეს“. პოეტის თქმით მხოლოდ მზე არის ერთადერთი გულშემატკივარი მფარველი, რომელიც საქართველოს მზრუნველობით თავს დასტრიალებს და ქართველის შვი-

ლებს „მტერთაგან დაღურჯებულს“ ძვალ-რბილს დაუამებს ზოლამე.

მამია გურიელის პოეზიაში გვხვდება ერთგვარი მებრძოლი განწყობილებანი. მის ლექსებში არსებული სინამდვილისადმი შეუთრებლობის გრძნობა არაიშვიათად გარკვევით მებრძოლ ხასიათს იღებს. ამაში მოულოდნელი არა არის რა იმდენად, რამდენადაც პოეტი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეპოქაში ცხოვრობს.

დამახასიათებელია მამიას სტრიქონები ჯაბა გურიელისადმი მიძღვნილი ერთი ლექსიდან. პოეტი თავის სასურველ სამშობლოს ასე უმღერის:

აღსდგე, მამულო, აყუადი ახლად,  
გაშალე ძველებს შორად ხელები,  
სიცრულზე ჩვენი იხმარე ნამვლად  
და ზედ აღზარდე უცხო გმირები!  
ნაბღისა ქუდი კვლავ დაიხურე,  
სახელოვნების თვლებით შემჯული,  
ძალები მტერთა კვლავაც დასწურე,  
ნუ დაგვიწყნია ხმალი ქებული!

ამ სტრიქონებიდან გარკვევით ისმის „ძველის დიდების“ აღდგენის იგივე მოტივი, რაც არა ერთგზის გვსმენია წინა თაობის ქართველი რომანტიკოსებისაგან.

ძველი საქართველოს აღდგენისა და განახლების იდეით არის შთაგონებული აგრეთვე მამია გურიელის ძლიერი პოეტური ქმნილება „ჩემი ალავერდი“. ეს ლექსი დაწერილია სადღეგრძელოს ფორმით და ამ შემთხვევაშიც მისი ავტორი ერთხელ კიდევ გამოჩნდა როგორც მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ოსტატი.

მამია გურიელი ამ თხზულებაში წარმოგვიდგება როგორც ქართველ მამულიშვილთა ერთ-ერთი ლხინის მეთაური (თამადა), რომელიც თანამესუფრეებს პატრიოტული სადღეგრძელოებით აღაფრთოვანებს. სწორედ ეს კეთილშობილური პატრიოტიზმი არის ის ძირითადი ნიშანი, რომელიც ამ ლექსს ძალასა და მიმზიდველობას უნარჩუნებს ყველა დროში. პოეტის პირველსავე მიმართვაში თანამემამულეებისადმი გამოხატულებას პოულობს მისი უსაზღვრო სიყვარული მშობლიური ქვეყნისადმი, ხოლო შემდეგ ცალკ-ცალკე სადღეგრძელოები მიძღვნილია იმ ადამიანებისადმი, რომელნიც ამ მაღალი საქმისათვის არიან მოწოდებული.

გულში ჩამწვდომია მგოსნის პირველი მიმართვა თანამესუფრე ქართველი ვაჟკაცებისადმი:

მეგობრებო, ჯერ უსურვოთ  
 ჩვენს სამშობლოს დღე-გრძელობა,  
 და თასებიც გამოესცალოთ,  
 ლეინოც კარგად შეგვერგება.  
 ასე უთხრათ, საქართველო,  
 აღსდგე, გახდი, კვლავ თავზედი;  
 არა რა არს უსაშველო,  
 ყმაწვილებო, ალავერდი!

ლექსის ბოლო ნაწილში პოეტი კვლავ მოუწოდებს ქართველ მამულიშვილებს:

მენდეთ, ძმებო, სჯობს საბლები  
 მონებისა ჩვენ დავგლიჯოთ;  
 მამა-პაპათ საქმეები  
 მოვიგონოთ, მტრები ვეკიტოთ,  
 თავიანი ვსცეთ ძველსა ღმერთსა,  
 მო, შევიქნეთ წასახედი!  
 ძლევის შემდეგ ერთმანეთსა  
 სივამახოთ — ალავერდი!

ასეთია მამია გურიელის უმთავრესი ლექსები, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს სამშობლოს მოტივი. იმავე მოტივზეა გაშლილი მისივე პოემები „ზღაპარი, ახლად შემოღებულის შაირებით მოთხრობილი“ და „რაშიდ ვარდან-ოღლი“.

\* \* \*

პოემა „ზღაპარი“ ალევორიული ხასიათის ნაწარმოებია და მისი გაცნობისას ძალდაუტანებლად გვაგონდება სოლომონ რაზმაძის ცნობილი პოლიტიკური არაკი „დათვი და ცხვარი“. მამია გურიელის პოემაში ცხოველები (ირემი და დათვი) მოქმედებენ, მაგრამ XIX საუკუნის მკითხველისათვის ბუნებრივი იყო, რომ ამ ნაწარმოებში მისდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობა შეეცნო.

პოეტი გარკვეული მხატვრული ოსტატობით გადმოსცემს ირმის ნაამბობს და მკითხველიც სრულიად ბუნებრივად გრძნობს, რომ ირემი მრავალკირნახული საქართველოა, ხოლო დათვი — მეფის რუსეთის თვითმპყრობელობა. სწორედ ეს მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია იყო მიზეზი იმისა, რომ პოემა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ცენზურის ტყვეობაში იმყოფებოდა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> პოემის სრული ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1947 წელს ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებში ს. ცაიშვილის პუბლიკაციით.



სხვა ნადირთაგან შევიწროებულმა ირემმა დათუნისათან ერთი შეხვედრის დროს თავის მდგომარეობაზე დაიჩივლა. შეზარბოშებულმა დათვმა გულმართალ ირემს დახმარება აღუთქვა. ირემმა მგზავრი დათვი თავისი მხლებლებიანად ბინაზე ისტუმრა და რამდენიმე დღის განმავლობაში კარგად აქეიფა. შემდეგ კი დათვმა, პირობის თანახმად, თავისი ძლიერი ლაშქარი მოიყვანა და ირმის მტრებს სამაგიერო მკაცრად გადაუხადა. ძლიერი მოკავშირისაგან ამ დახმარებით კმაყოფილი მასპინძელი თვითონვე აშობოს:

სულ მცირე ხანში ჩემთა მერჩოლთა  
თავზარი დასცა მილენ-მოლენა,  
მოსრა, დახოცა შეუბრალებლად,  
ვინც საჩქაროდ არ გარდაიხვეწა.

მადლიერმა ირემმა დახმარებისათვის დათვს მადლობა გადაუხადა. ამასთანავე სტუმარს თავაზიანად სთხოვა, რომ „წასულიყო თავის მხარეში“ და თანაც აღუთქვა:

თქვენსა ამაგსა, დიდსა იმედსა  
არ დავიფიყებთ ჩვენს სიცოცხლეში;  
ვეცდებით მარად ჩვენც გემსახუროთ,  
მანამ აღვაღუნთ ზუცად ლოცვებსა;  
ამ საქმეებსა, რაც თქვენ გიქნიათ,  
გარდაეცმით შეილთ და შეილიშვილებსა.

ამ დროს უკვე დათვის ნამდვილი ზრახვებიც გამოირკვა: იგი ირემს თურმე იმ მიზნით ეხმარებოდა, რომ ეს მიწა-წყალი თავად დაესაკუთრებინა. მწარე სინამდვილის წინაშე მდგარი ირემი გოდებს ძის გარშემო შექმნილ მდგომარეობაზე:

ცა თავს დამეცა, მიწა გაირღვა  
დამიტრიალდა გულ-ლეიძღში კატა;  
ყოვლის იმედის რწმენა დაინგრა,  
ეგ რა ეშმაკი შემომებღარტა?  
მოკყეა ის ჩვენსა შევიწროებებს,  
ბნელეთის შვილთა მოხერხებითა;  
პირად ქალაჩუნს, ჩუმად წაშვებს  
სხედასხვა ხრიკებით მოგონებითა,  
ჯერ გეთხოვა ხარკი, მას უკან ლალა,  
გაანადგურა ჩემი ნუქრები;  
ირემთ მიმდგომნი მიმალ-მომალა,  
აავსო მათით ორმო-ბნელები.

ძლიერმა დათვმა ჯერ ფლიდობით, ხოლო შემდეგ აშკარა ძალადობით ლალი ირემი დაიმონა და თავის ქვეშევრდომად აქცია. ირ-



მის მიწა-წყალზე გაბატონებული დათვი კვლავ იმუქრება და ადგილობრივ მკვიდრთაგან ახალ-ახალ ხარკს მოითხოვს.

ასეთია მ. გურიელის ერთი პოემის იდეურ-თემატიკური ქარკა.

#### IV

პატრიოტიზმის იდეით არის შთაგონებული მამია გურიელის პოემა „რამიდ ვარდან-ოღლი“. მწერლის მიზანია აჩვენოს სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის, კეთილშობილური პატრიოტული გრძნობის სიღრმე. ამ მიზნით ნაწარმოებში გადმოცემულია საკმაოდ რთული და საინტერესო თავგადასავალი ერთი ახალგაზრდა კავკასიელი კაცისა, რომელიც თავის თავს ქართველს უწოდებს:

პოემა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, რომელიც თხზულების თითქმის ნახევარს მოიცავს, არსებითად შესავალს წარმოადგენს, ხოლო მეორე — ძირითადი ნაწილი, რომელშიც რამიდის თავგადასავალია მოთხრობილი.

პოემის დასაწყის სტრიქონებში აღწერილია აფხაზეთის ლამაზი ბუნება, მისი თვალწარმტაცი მთა და ველები, მშვენიერი ტყეები და ბაღები. აქედან მოყოლებული პოემის ერთი დიდი ნაწილი (თავები I-XXIII) მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ მოქმედებაში გამოჩნდეს ის უცხო მგზავრი, რომლის თავგადასავალი მომდევნო, ძირითად ნაწილშია გადმოცემული და მეორე — ლამაზი და თავისებური ხასიათის ქალიშვილი ვისია, რომელსაც ეს მგზავრი თავისა ცხოვრების ისტორიას უყვება.

იმის გამო, რომ თხრობა მწერლისა პოემის ამ ნაწილში მეტისმეტად გაზვიადებულია, ძირითადი მაგისტრალური იდეა ზოგჯერ იჩრდილება კიდევ. ყოველ შემთხვევაში, მრავალსიტყვაობით შექმნილი ბურუსი მკითხველს ერთგვარი სიძნელის წინაშე აყენებს ნაწარმოების ძირითადი თემისა და იდეის ამოხსნის თვალსაზრისით.

ინტერესმოკლებული არაა ვიცოდეთ, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი პროფესორი ალ. ხახანაშვილი მამია გურიელის ამ ნაწარმოებზე მაღალი წარმოდგენისა არ იყო. იგი ამბობდა:

„ეს გაჭიანურებული პოემა მეტად ღარიბია შინაარსით და პოეტურის სურათებით. ენაც ხშირად კოჭლობს და მუსიკალურს კეთილზმოვანებას არღვევს ასეთი სიტყვები, როგორც: და და და და“

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვრო  
სამართლებრივი  
საბჭო

აგრძობს, ცხელი ნდომები, ჩამოახეთქს და სხვ.

„თვით პოემის გმირები ვერ არიან ცოცხლად დახატულნი. რა-  
შიდი უკმაყოფილო ტიპად ვერ დაასურათა, რადგან ვერ აღნიშნა  
ვერც მიზეზი და ვერც საქციელი მის ქვეყანაზე გულამღვრევისა.  
ქალი, ვისია, უფრო მკრთალად წარმოგვიდგინა: იგი ხან ნაზად, თა-  
ნაგრძნობით ჰმოქმედებს, ხან „წყეულს“ გრძნეულს არსებად ჰყავს  
დასახული. რაშიდის და ვისიას შორის სიყვარულის წარმოშობაც  
ვერ არის ფსიხოლოგიურად დასაბუთებული“<sup>1</sup>.

პროფესორ ალ. ხახანაშვილის ეს საყვედურები მეტწილად პოე-  
მის იმ ნაწილს შეეხება, რომელსაც ჩვენ ძირითად თემაზე გადასას-  
ვლელად მოსამზადებელი საფეხური ვუწოდეთ. მართალია, ალ. ხა-  
ხანაშვილი პოემის მთავარი გმირის სახესაც სრულყოფილად არ  
თვლის, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ნაწარმოების ძირითადი თე-  
მა და იდეა მაინც ამ კაცის თავგადასავალშია წარმოდგენილი.

პოემის ოცდამეოთხე თავიდან იწყება რაშიდ ვარდან-ოღლის  
ცხოვრების ისტორია და იმდენად, რამდენადაც მწერლის თხრობა  
უკვე კონკრეტულ მოვლენებზე გადადის, მკითხველის ინტერესიც  
თხზულებისადმი თანდათან იზრდება და ძლიერდება.

თხზულების მთავარი გმირის თავგადასავალი ასე წარმოგვიდ-  
გება:

მცირეწლოვანი რაშიდი მშობლებმა სტამბოლს გაგზავნეს სწავ-  
ლა-განათლების მისაღებად. მან ცოტა ხნის შემდეგ სასწავლებელს  
თავი მიანება და სამხედრო სამსახური დაიწყო. იგი თურქების ჯარ-  
ში შევიდა. მეომრის საქმეებით გატაცებულმა ახალგაზრდამ ჩქარა  
უფროსთა ყურადღება დაიმსახურა და ასისტაობა მიიღო.

რაშიდი, როგორც ერთ-ერთი სახელოვანი ოფიცერი, დიდი ხნის  
განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ ომებში, რომლებ-  
საც დამპყრობელი თურქეთი ბალკანეთის სლავთა წინააღმდეგ XIX  
საუკუნის პირველ ნახევარში აწარმოებდა. რაშიდი გარკვეული სიმ-  
პათიით იხსენიებს შავმთიელების (ჩერნოგორიელების) თავდად-  
ებულ ბრძოლას საკუთარი ადამიანური ღირსების, სამშობლოს, ენისა  
და სარწმუნოების დასაცავად.

მოწინააღმდეგე ჯარების ერთ-ერთი შეტაკების დროს რაშიდს  
პირადი შერყინება მოუხდა შავმთიელების სარდალ ღუშშიშთან.  
თურქის ოფიცერმა მოწინააღმდეგე მძიმედ დაჭრა და მიწას დაანარ-

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, მეცხრამეტე  
საუკუნე, 1913 წ., გვ. 159.



ცხა, ხოლო ამის მნახველი შავმთიელთა ლაშქარი გაიქცა. ამ გამარჯვებამ რაშიდის პიროვნება კიდევ უფრო განაღვიდა თურქთა სარდლობის წინაშე. მან ახალი ჩინი და ჯილდო-საჩუქრები მიიღო.

იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით ერთი საბედისწერო კვანძიც გაინასკვა. რაშიდმა მის მიერ დაპრილი დღუშმიში თავის ბინაში (კარავში) მოათავსა, ექიმები დააყენა, განკურნა და საბოლოოდ იმდენად დაიხსლოვა, რომ ისინი დამეგობრდნენ კიდევც.

ერთი საუბრის დროს რაშიდმა ახალდამეგობრებულ დღუშმიშს უთხრა, რომ იგი თვითონ წარმოშობით ქართველია. ამის გამგონე შავმთიელი ჯერ გაკვირდა და აღშფოთდა, ხოლო შემდეგ მან თავისი მოსაუბრე ოფიცერი სასტიკად გაიციხა.

მერმე რა გინდა ამათ ჯარებში,  
შენი მამულის მესიხსლებთან,  
მაგ უნამუსო ბარბაროსებში,  
მამა-პაპათა თავის-მკვეთლებთან?  
იმის ნაცვლად რომ ჯავრსა იყრიდე,  
შენ სცდილობ იმათ გამარჯვებასა,  
ასრე კაცობა როგორ წასწყვიდე,  
ფუ, მაგ სირეგენეს, უმეცრებასა!

დამაჯერებლობას მოკლებული არაა, რომ დარბაისელი მოსაუბრის ამგვარმა მხილებამ ახალგაზრდა კავკასიელის ფსიქიკაზე გარკვეული გავლენა მოახდინა: მის მეხსიერებაში ბუნებრივად გაიღვიძა ბავშვობისდროინდელმა მოგონებამ იმის თაობაზე, რომ რაშიდის მამაც ასევე წყევლა-კრულვით იხსენიებდა თურქ დამპყრობლებს; მათზე შურისძიებას ნიადაგ ფიქრობდა და შვილსაც ამასვე უანდერძებდა.

რაშიდის პიროვნებაში არსებითი გარდატეხა მოხდა და ამ გარდატეხის (გამოფხიზლების) პირველი შედეგი ის იყო, რომ ტყვე დღუშმიში გაათავისუფლა. მან იგი დიდი სიფრთხილით შეაიარაღა, სამშვიდობოს გაიყვანა და სამშობლოსაკენ გაამგზავრა.

დღუშმიშის განთავისუფლება რაშიდს ძვირად დაუჯდა. ამის გამო იგი ჯერ საპყრობილეში ჩასვეს, ხოლო შემდეგ სასიკვდილო განაჩენი აფრიკაში სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს.

საინტერესოდ არის მოთხრობილი რაშიდის შემდგომი თავგადასავალიც. იგი, თურქების ტყვეობიდან გაქცეული, შავმთიელებთან მიდის და მათთან ერთად თავდადებით ებრძვის იმ თურქებს, რომელთა ჯარშიც მას გულადი ოფიცრის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. რაშიდი შავმთიელებთან ერთად იბრძვის მანამ, სანამ ისინი დამ-

პყრობთა შემოტევებს საბოლოოდ არ მოიგერიებენ; მხოლოდ საბოლოო გამარჯვების შემდეგ ეთხოვება იგი მაღლიერ მასპინძლებს. აქედან რაშიდი კავკასიაში მიემგზავრება, ჩერქეზებთან მიდის და მათთან ერთად კვლავ ბრძოლის ველზეა ორი წლის განმავლობაში.

პოემის გმირის ამ ვრცელი თავგადასავლის თბრობისას მწერალი არა ერთგზის ამხვილებს მკითხველის ყურადღებას სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის აუცილებლობაზე. ერთ შემთხვევაში, როდესაც დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი შავმთიელები ისვენებენ და პურმარილს შეეჭყევიან, თეთრწვერა მოხუცი პირველ ყოვლისა სამშობლოს სადღეგრძელოს ამბობს:

სქვა: „ბატონებო, პირველ დავსცალთ  
სამშობლოსა სადიდებელი,  
სიცოცხლე ტბილი მას ენაცვალოთ,  
ის არის ჩვენი მაცხოვრებელი.

შემდგომში, მახობრი მტრის ერთ-ერთი თავდასხმის მომენტში იგივე შავმთიელები, ყველა — როგორც ერთი კაცი, მტრის წინააღმდეგ ერთპირად ირახმება. მწერალი გვეუბნება, რომ:

ბებია მისდევს შვილი-შვილს ბავშვით,  
მამას აჩვენებს და ეუბნება:  
აი ამისთვის უნდა იბრძოლო,  
დაუტევო მას მავალითები,  
თუ გსურს ნათელი დაგირჩეს ბოლო,  
რომ გაკურთხებდნენ შვილის-შვილები.

რალა თქმა უნდა, ქართველ მწერალს, როდესაც იგი შავმთიელებისა და ჩერქეზების გმირულ თავდაცვით ომებზე ლაპარაკობს, თავისი მშობლიური ქვეყნის მდგომარეობა და საკუთარი პატრიოტული გრძნობა ამოქმედებს.

რთული და საინტერესო თავგადასავლის მქონე რაშიდს, რომელიც წლების განმავლობაში ჯერ თურქებთან, შემდეგ შავმთიელებთან და ჩერქეზებთან ერთად იბრძოდა, საბოლოოდ მაინც გულმა სამშობლოსაკენ გამოუწვია. ახლა, ამ თავგადასავლის თბრობის მომენტში იგი უკვე საქართველოშია.

პოემაში რაშიდის ცხოვრების ისტორია დამთავრებული არაა. ეს კაცი, მკითხველისათვის სრულიად მოულოდნელად, მშობლიური ქვეყნის მმართველთანაც შეუთრეგებელი მოჩანს და ამ მიზეზით კვლავ სადღაც გარბის. მაგრამ ის ნაწილიც მისი თავგადასავლისა, რასაც თბულებიდან ვიცნობთ, გარკვევით საინტერესო და მიმზიდველია. ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენები, რომ-



ლებთანაც რაშიდის მდგომარეობა და საქმეებია დაკავშირებულს, მკითხველში ბუნებრივად აღძრავს სამშობლოსათვის თავდადებისა და თავგანწირვის გრძნობას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პოემაში ძირითადად გადმოცემულია ზალკაინეთის სლავთა (შავმთიელთა) ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ამასთან დაკავშირებით გარკვეული მნიშვნელობისაა უდავოდ ავტორის მიერ მოწოდებული ცნობა, რომელიც თხზულებაში აღწერილ მოვლენათა რეალურობაზე მიუთითებს. ერთ შემთხვევაში, როდესაც იგი თურქთა ლაშქრის ერთ-ერთ სარდალს იხსენიებს, მამია გურიელი ამბობს: „ეს ფაშა იყო ოსი, ქსნის ერისთავიანთ ყმათაგანი, ამას უძახდნენ ჰუსეინ ჩერქეზ-ფაშას, მაგრამ ოსი იყო და ქართულიც იცოდა. ამისი კარგი ნაცნობი იყო გურული ადალო თავართქილაძე და დიმიტრი გურიელი“.

საფიქრებელია პოემაში გადმოცემული თურქების წინააღმდეგ შავმთიელთა თავდაცვითი ომის ამბები დასახელებულ პირთა ნაამბობსაც ემყარებოდეს. იგულისხმება, რომ აქ ხსენებული დიმიტრი გურიელი და ადალო თავართქილაძე მწერლის ოჯახთან დაახლოებული ადამიანები იყვნენ.

ამრიგად, მამია გურიელის პოემა „რაშიდ ვარდან-ოღლი“ პატრიოტიზმის მოტივზე დაწერილი თხზულებაა, რომელიც უშუალოდ ეხმაურება მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის საერთო სასიცოცხლო ინტერესებს.

## V

მამია გურიელის პოეზიაში გარკვეულ გამოხატულებას პოულობს წმინდა სოციალური მოტივიც. მართალია, ეს მოტივი მგოსნისათვის მაინცდამაინც დამახასიათებლად ვერ იქცა, მაგრამ მსგავსად სხვა ქართველი რომანტიკოსებისა მამიამაც ეპოქას თავისებური ზარკი გადაუხადა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსი „ქობულეთური ყანის სიმღერა“.

ლექსში გადმოცემულია მშრომელ გლეხთა ყოფა, მდგომარეობა და საქმეები ერთი ჩვეულებრივი შრომითი დღის განმავლობაში. პოეტი აგვიწერს მამითადის სახით ერთ-ერთი გლეხის ყანაში შეკრებილი გლეხობის ადამიანურ განცდებსა და მისწრაფებებს. მგოსანი კარგად იცნობს შრომის პროცესს, რომელსაც გლეხები ეწევიან, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ იგი მშრომელი გლეხობისადმი

თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ტენდენციას აშკარად ამჟღავნებს არსებული სოციალური უსამართლობისაგან განაწამები გლეხები თავიანთ მდგომარეობაზე ასე მოსთქვამენ:

ყველა ჩვენ გეცარცვავს საწყლებსა  
 ალა, მუღირი, „ვალიო“,  
 რაც რომ ვაგვაჩნდა, დაჰყიდეს,  
 დაგვეღო კელავაც ვალიო!  
 ვინ არის ჩვენი პატრონი,  
 ვინ დაგვაფაროს ხელიო!  
 ბიჭებო, ნუ დამიღონდით,  
 შრომა ჩვენი მხსნელიო!

ამ სტრიქონებში და საზოგადოდ ამ ლექსში არაფერი ისეთი არ არის, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მკითხველისათვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად რომ ჩაითვალოს. ანალოგიური ხმები არა ერთგზის ისმოდა აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის ლექსებიდან, მაგრამ ეს ფაქტი საინტერესოა ამ ლექსის ავტორთან დაკავშირებით. „ქობულეთური ყანის სიმღერა“ და აგრეთვე ცალკეული ნაწყვეტები მამია გურიელის სხვა ლექსებიდან პირდაპირი ნაყოფია მწერალზე ეპოქის გავლენისა: შედეგია იმ პროგრესული, დემოკრატიული აზროვნებისა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში ძირითად და განმსაზღვრელ მიმდინარეობას წარმოადგენს.

მამია გურიელის ლექსში „სნეული“, რომელიც არსებითად წმინდა რომანტიკული ხასიათისაა, ასეთი სტრიქონებიც გვხვდება:

მე სულ სხვა მინდა სანახავები:  
 მრავალი ხალხი ერთად ხარობდეს,  
 დაუწყობელი თუნდ იყოს ხმები,  
 მხოლოდ უფლებას თვისას ჰგალობდეს,  
 მეგობრობასა, მშობას, ერთობას  
 უშიშრად მალად განაცხადებდენ,  
 და სიყვარულსა, ამ წმინდა გრძნობას,  
 მოუფიქრებლად არ აძაგებდენ.

პოეტის ამ გულწრფელი სურვილისათვის ანგარიშის გაუწევლობა უმადურობა იქნებოდა თუნდაც მისი შთაგონების წყარო ძველი აღთქმის წიგნებიდან მომდინარეობდეს. მამია გურიელის ამ სტრიქონების მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოდ წარმოგვიდგება, როდესაც ვიცით, რომ ეს ლექსი ილია ჭავჭავაძის ეპოქაში იწერებოდა.

## VI

მამია გურიელის პოეზიისათვის აგრეთვე ძირითადი და დამახასიათებელია სიყვარულის მოტივი. მისი ლექსების უმეტესობა სწორედ ამ მოტივზეა დაწერილი და ბევრი მათგანი თავის დროზე საკმარისად გავრცელებული იყო. მამიას ლექსებში, ისევე როგორც სხვა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში, სიყვარული გამაკეთილშობილებელ გრძნობადაა წარმოდგენილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად მამია გურიელისათვისაც სიყვარული იმდენად მაღალი და დიადი გრძნობაა, რომ მის წინაშე სხვა ყველაფერი იჩრდილება. ამ გრძნობის თავყანისმცემელი პოეტი ამბობს:

არ მინდა ფული, არც საჩუქარი,  
 შე მსურს, მიყვარდეს, ვიტანჯებოდე,  
 და მისის ხსოვნით, მევე დამტკბარი,  
 მისთვის ელხინობდე, მისთვის ეცრემლობდე.  
 („სიყვარულზედ“)

მამია გურიელის გაგებითაც სიყვარული ერთადერთი ძალაა, რომელსაც ადამიანი უსიტყვოდ ემორჩილება და ემონება. ტრფობის ისრით დაკოდილი პოეტი შეყვარებულს გულწრფელად შეპლადადებს:

მეფე რომ ვიყო, ვუფლებდე,  
 სრულიად ცისა ქვეშეთსა,  
 უსაზღვრო ნებით ვსუფევდე,  
 გიბატონებდი შენ ერთსა.  
 ღმერთი რომ ვიყო ერთ წამზედ  
 სრულ ვპყოფდი ყოველს შენს ნებას,  
 შენ გაუფლებდი ზეცაზედ  
 და თვით გიწყებდი ვედრებას.

შეყვარებულისადმი მთელი არსებით მინდობილი მგოსანი მასვე მიმართავს:

შენს ხელში არის ჩემი ცხოვრება,  
 ჩემი სიცოცხლე, ჩემი იმედი:  
 მზიარულება, აზრი, გონება,  
 თავისუფლება და ჩემი ბედი!

მამია გურიელის ლექსებში არაიშვიათად გვხვდება ქაბუჯური ვნებათა ღელვის გამომხატველი სტრიქონები. ასეთია მისი „რა კარგია ყმაწვილობა“, „ქალი ვიყავ მოწიფული“ და სხვები. ერთ შემთხვევაში პოეტი პირდაპირ ამბობს:

ია კარგია ყმაწვილობა,  
 სულ ვერ სცნობდე წყენასაო,  
 სისხლის ღელვა და მაჭრობა,  
 დღა, დღა, დღასაო.

იგივე ქაბუკური აფეთქება — „სისხლის ღელვა და მაჭრობა“ — კიდევ უფრო აშკარად არის წარმოდგენილი ლექსში „ქალი ვიყავ მოწიფული“. ახალგაზრდა ქალი თავის თავზე სრულიად დაუფარავად და თავისუფლად ამბობს:

ქალი ვიყავ მოწიფული,  
 გამიტაცა სურვილებმა;  
 ამირიეს ვნებით გული  
 იმ წყევლმა ყმაწვილებმა...  
 დანქარებით ქმარს გაეყვი,  
 მან კი ვერა განიზრახა!  
 აწ, ვინც მიწდა, მას ვეწვევი  
 მიხარიან, ხა, ხა, ხა, ხა!..

მამია გურიელის ლექსებში ზოგჯერ მკაფიოდ იგრძნობა ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლექსთა გამოძახილი. ლექსი „უცხო ქვეყნელს“ სრულიად ძალდაუტანებლად მოგვაგონებს გრ. ორბელიანის სატრფიალო სტრიქონებს. მამია წერს:

ქალო, გიჭვრეტ და მიხარ,  
 უცხო ქვეყნის ვარდი ხარ!  
 მთლად სანდომი, ეშხი ხარ,  
 თვალის დარღვიმანდი ხარ,  
 ცელქი, გივი, ალი ხარ,  
 თითქო ვერცხლის წყალი ხარ?  
 გამგიყევი ბავშვი ხარ,  
 სულ ჩემს გულს და თვალში ხარ!

დასასრულ, ამ თვალსაზრისით საინტერესოა მ. გურიელის ლექსი „მარაოზედ“. იგი ბუნებრივად მოგვაგონებს ბესარიონ გაბაშვილის სატრფიალო ლექსთა ქღერას. აი მამიას ეს ლექსიც მთლიანად:

აეო მარაო,  
 მტრის სახმარაო,  
 უტიფარაო,  
 გრძნობებთ მპარაო!  
 ლხინის ზარაო,  
 გულის მზარაო,  
 კმუნვის მქარაო,  
 არ საზარაო.



ხარ მწუხარაო,  
 ღამსაჯარაო,  
 ხან ხუმარაო,  
 მთლად დამტკბარაო,  
 ჩუმ-უბარაო,  
 დაუბარაო,  
 რომ ხარ შხა, რაო?  
 ვინ ვაჯაერაო?  
 ნუ მკლავ, კმარაო,  
 დაუწყნარაო!

ასეთია მამია გურიელის უმთავრესი სატრფიალო ლექსები. როგორც ითქვა, ამ მოტივზე მას ცოტა არ უწერია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რაზედაც უკვე იყო ლაპარაკი და ამდენად შესაძლებელია იმავე ხასიათის სხვა ლექსები საგანგებო დაკვირვების საგნად აღარ გადავაქციოთ.

## VII

მამია გურიელის პოეზიაში მოცემულია გარკვეული ფილოსოფიური მსჯელობა ცხოვრების რაობაზე, ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე და სხვ. ამ საკითხებზე მსჯელობისას იგი წარმოგვიდგება როგორც ტიპიური რომანტიკოსი, რომელიც ორიგინალურად ეხმაურება თავისი წინამორბედების ნააზრევს ამ რთულსა და საჭირბორრტო საკითხებზე. ეს გარემოება მ. გურიელის პიროვნებას კიდევ უფრო ამაღლებს დაკვირვებული მკითხველის თვალიში.

მამია გურიელისათვისაც ცხოვრება საწყაულია აღუვსებელი. მან თავის თანამედროვეობას საპყრობილე უწოდა. ამ გარემოცვაში ყოფნაო, — ამბობს პოეტი, „სულს მიწუხებს თვის მხედველობით“ და მგრძნობიარე გულიც მთლად მაგიყებსო გამბედაობით. ეს შემთხვევითი გამონათქვამი კი არაა, არამედ მასში გამოხატულებას პოულობს მგოსნის საერთო წარმოდგენა და შეხედულებანი ცხოვრების ავკარგიანობაზე.

მამია გურიელის აზრით, ადამიანის ცხოვრებას აწესრიგებს ჭკუა და გული. ჭკუას თუ მიჰყვები, გული გაცივდება. ამას ის შედეგი მოსდევს, რომ ქვეყანას კარგად შეიცნობ და წუთისოფელი შეგჭავრდება. აგრეთვე, გულის კარნახს თუ მიჰყვები, ქვეყანა ტკბილად მოგეჩვენება. იგი თითქოს გალხენს და გატკბობს კიდევ, მაგრამ ეს სიტკბოება თავისთავად არარაობაა, რადგან ასეთ შემთხვევებში გონება კვდება და გონებაშკვდარი ადამიანი კი, იგულისხმება, სრულფასოვანი ადამიანი აღარ არის.

მოვესმინოთ თვითონ პოეტს. ლექსში „ჭკუა და გული“ მამია ამბობს:

ჭკვასა თუ მიჰყევ, — გული ცივდება,  
სიცოცხლე ჰკარგავს მშვენიერებას,  
წუთი სოფელი მთლად მოგძულდება,  
იცნობ რა კარგად ჭვეყნიერებას,  
გულის მიყოლა ხშირად გვაამებს,  
გვაღბენს, ვგამღერებს მისი მონება,  
დაგვიტკობს ღღეებს, უფრო ღამეებს,  
მაგრამ მკვდარია მაშინ გონება.

ასე რთულია ყოფა ადამიანისა და ეს მდგომარეობა როგორც საზოგადოდ რომანტიკოსებს, ისე მამია გურიელსაც აღუღვებს. ამ საჭირბოროტო კითხვებისადმი არის მიძღვნილი აგრეთვე მამიას ლექსები „ფანტაზია“, „კითხვა“ და სხვ.

ლექსში „ფანტაზია“ ერთხელ კიდევ ხაზგასმულია პოეტის უარყოფითი დამოკიდებულება თავისი ეპოქის სინამდვილისადმი, საზოგადოდ, მისი პესიმისტური სულისკვეთება. პოეტი მისთვის ჩვეულ მწვავე ფიქრებს კვლავ თავისთან იხმობს:

მოდით, დარღებო, აღმივსეთ გული,  
უთქვენოთ ვსწუხვარ თქვენი ჩვეული;  
თქვენ კარგად იცით, მხიარულება  
არცა მქონია და არც მექნება.

ამ სტრიქონების მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს ლექსის მომდევნო ნაწილი. აქ მგოსანი ლაპარაკობს იმაზე, რომ ზოგჯერ მასაც აქვს ერთგვარი მხიარულებისა და ადამიანური თავდავიწყების მომენტები, მაგრამ ასეთი მოვლენები მისთვის დროებითია და წარმავალი, რომელსაც ჩვეულებრივად სევდა-ნაღველი სცვლის ხოლმე.

მამია გურიელის „კითხვა“ ერთგვარად მოგვაგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“. ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრებული ავტორი აყენებს კითხვებს:

ნეტავ რამ შემქმნა, რისთვის შემქმნა, რა სახმარი ვარ?  
ჩემის ცხოვრების, მარჯვით, რა არს დანიშნულება?

აღძრული კითხვებისადმი გაცემულ პასუხში გამოვლინებას პოულობს მგოსნის მწვავე სულიერი ტკივილები, მისი ადამიანური განცდები და, საზოგადოდ, მისი რომანტიკული განწყობილებანი.

პოეტი გვეუბნება, რომ მისი ადამიანური ნდომა-მისწრაფებანი უსაზღვროა, ხოლო შესაძლებლობა „ერთ ქიაზედ მეტად ნაკლები“.



მამია გურიელი გადაჭრით ამბობს, რომ მას სიამის წუთები არა აქვს, არცა ჰქონია და მისი მთელი სიცოცხლე უნუგეშო ყოფით მიმდინარეობს. სწორედ აქ, ამ ლექსში მან თავისი ეპოქის სინამდვილეს საპყრობილე უწოდა და საკუთარ თავსაც ამ საპყრობილეში ამოხრჩობა უწინასწარმეტყველა. იგი ამბობს:

გონების თვალი სულს მიწუხებს თვის მხედველობით,  
მიხდომილება ან რათ მინდა საპყრობილეში;  
აბა ბრმა გული მთლად მაგიყებს გამბედაობით,  
ასრე ვიხრჩობი სიყრმიდანვე ჩემ სიცოცხლეში!

ასეთია პოეტის შეფასებით მის გარშემო არსებული სინამდვილე, მაგრამ ამასთან ერთად, იმავე ლექსში, მამია გურიელის მიერ მოცემულია ერთგვარი ოპტიმისტური განწყობილებანი კაცობრიობის საერთო მომავალზე. ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში პოეტი კატეგორიულად აცხადებს, რომ იგი არსებული უკუღმართობის წინაშე ქედს არ მოიხრის და ბოროტი ძალისაგან შენდობას არ გამოითხოვს. ლექსის დასკვნითი ნაწილი ასეთია:

მაგრამ რაც უნდა დამემართოს, რაც უნდა მოხდეს,  
ნურვინ მოელის თავმოდრეკით ესთხოვო შენდობა:  
მრწამს, მომავალი შემდეგათთვის ისე არ წახდეს,  
რომ ყოველს გულში არ დამკვიდრდეს ეს ჩემი გრძნობა.

აქ თითქმის იგივე აზრია გამოთქმული, რაც დიდი ხნით ადრე გამოთქვა ნ. ბარათაშვილმა თავის ლექსებში „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „მერანი“. ასე რომ, ამ სტრიქონებიდან ერთხელ კიდევ ცხადი ხდება „მერანის“ ავტორის იდეური გავლენა მ. გურიელზე. ეს გავლენაც სანაქებოა იმდენად, რამდენადაც საკითხი ბარათაშვილის გენიასთან სიახლოვეს შეეხება.

\* \* \*

მამია გურიელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული ინტერესის შემცველია მისი ფილოსოფიური ლექსი „აღამიანი“. ეს ლექსი მამიას ნაწერებიდან ყველაზე მეტად იყო გავრცელებული ფართო საზოგადოებაში. იგი, მთლიანად თუ ნაწყვეტების სახით, ბევრმა ქართველმა ზეპირად იცოდა, ხოლო თვითონ ავტორი მას ხშირად წარმოთქვამდა ხოლმე ლიტერატურულ საღამოებზე.

„აღამიანი“ ხალასი ლირიკული ნაწარმოებია, რომელშიც გამოხატულებას პოულობს მგოსნის მთელი შინაგანი სულიერი სამყარო, მისი ყველაზე ფაქიზი და კეთილშობილური გრძნობები. პოე-

ტის ყურადღების ცენტრში დგას ჩვეულებრივი ადამიანი მისთვის დამახასიათებელი ძლიერი და სუსტი მხარეებით. ლექსში მოკლედ, მაგრამ ღრმააზროვნად დახასიათებულია მთელი სიავკარგე იმ გზისა, რომელიც ადამიანმა ცხოვრებაში, მოსალოდნელია, გაიაროს. ეს გზა უკიდურესი ხელმოკლეობიდან ხელმწიფურ განცხრომამდე, შეიძლება მიდიოდეს და ამდენად ჩვენი ყოფაც, სხვადასხვა მდგომარეობაში, სხვადასხვანაირია. მაგრამაო, — ამბობს პოეტი, — ადამიანს ყველა შემთხვევაში ერთი უმაღლესი ცნება უნდა ახსოვდეს და ეს ერთადერთი ცნება არის ცნება ადამიანობისა.

ადამიანი ყოველთვის იყო მხატვრული სიტყვის ოსტატების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. ადამიანის პიროვნების თავისუფლების მოტივი არა ერთგზის გაისმის ქართველ რომანტიკოსებთან. მამია გურიელის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი თავისი „ადამიანით“ გარკვეულ ადგილს იკავებს ლექსის ოსტატთა იმ პლედიაში. რომელიც უდროობის ეპოქაში ადამიანის ადამიანური ღირსების დამცველად გამოდიოდა.

მამია გურიელის ეს ლექსი თავისი იდეურ-თემატიკური ცხოველმყოფელობით ყოველთვის დაამშვენებს ქართული ლიტერატურის ისტორიის ფურცლებს. პოეტი შთამაგონებლად მიმართავს თავის მკითხველსა და მსმენელს:

ვინც გინდა იყო ჩემი მკითხველი,  
ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი,  
შენთან მაქვს ერთი შესახვეწნელი,  
გთხოვ აღმისრულო ეს სათხოვარი:  
ცხოვრებაში რა შესჭლასა იწყებ  
და ბედიც კეთილ-გუნებიანი  
თან დაგდევს, იმ დროს ნუ დაივიწყებ,  
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!  
იყავი ტურფა, იყავ უებრო,  
მლიდარი, ბრძენი, მხნე და ჰკვიანი,  
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,  
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!  
შემთხვევამ მოგცა ბევრი ქონება,  
ხელმწიფედ დაგსეა, გქმნა სრულ სვიანი?  
მაშინაც გამართებს უფრო ხსოვნება,  
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი.  
ეგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდი,  
მოგკელა გული, გყო სევდიანი?  
ნუ დაეცემი, დასდეგ, გამავარდი,  
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!  
დაე, იცვალოს გარემოება,



თუნდ ხალხის ხმამაც მოგვეს ზიანი,  
 თვით ნუ იცვლები! მოვა დროება,  
 გიყნობენ, რომ ხარ ადამიანი.  
 ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს,  
 და სიყვარული მოძმეთა ვალად:  
 საშობლო შენი მარად გახსოვდეს,  
 თუ კი ვსურს გახდე ადამიანად!

ამრიგად, მამია გურიელი ქართული რომანტიკული სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იგი, მიუხედავად იმისა, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის თაობასთან თითქმის ერთდროულად გამოვიდა, იდეურად და თემატიკურად მაინც რომანტიკული მიმდინარეობის რკალში რჩება. მისი პოეზიისათვის დამახასიათებელია იგივე თემატიკური მოტივები, რაც საერთოა სხვა ქართველი რომანტიკოსებისათვის. წინამორბედებთან კავშირის თვალსაზრისით განსაკუთრებით საგრძნობია მამიას ზოგიერთი ლექსის სიახლოვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკასთან. მის შემოქმედებაზე გავლენას ახდენდა აგრეთვე ის საზოგადოებრივი და ლიტერატურული გარემოცვა, რომელშიც პოეტი ცხოვრობდა. ამ გავლენის შედეგია ის დემოკრატიული მოტივები, რომლებიც მისი ზოგიერთი ლექსიდან ისმის. მამია გურიელის პოეტური მოღვაწეობა კრიტიკული რეალიზმის ეპოქაში მიმდინარეობდა და მოულოდნელი არაა, რომ მგრძნობიარე პოეტმა ეპოქას გარკვეული ხარკი მისცა.

## ქართული რომანტიკოსები და „ვეფხისტყაოსანი“

### I

ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოგვიდგება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ბრძენმა პოეტმა და მოაზროვნემ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მხატვრულ სიტყვაში ჩააქსოვა ადამიანური ზნეობის, კაცთმოყვარეობის, მგზნებარე პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, საზოგადოდ, ჰუმანიზმის უმაღლესი იდეალები. ქართველმა ხალხმა თავისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ძლიერების ეპოქაში შექმნილი ეს ნაწარმოები სისხლხორცეულად შეითვისა, შეიტკბო და მთელი ერის სულიერ საუნჯედ აღიარა.

ილია ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად ამბობდა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ საქართველოში „დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი, ასე ერთნაირად, ერთპირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც, როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაქცნობილსა, არ გაბათილებულსა, არ დავიწყებულსა“<sup>1</sup>.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია „ვეფხისტყაოსანს“ აღიარებდა როგორც ქართველი ხალხის ყოფის, ცხოვრებისა და მაღალ სულიერ მისწრაფებათა გამომხატველ პოეტურ ქმნილებას. შემთხვევითი არაა ვაჟა-ფშაველას სიტყვები, რომელთაც იგი დაჯერებული ამბობდა: „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“<sup>2</sup>.

განუზომელია „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა მომდევნო ეპოქების საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე. პოემამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა. იგი თანდათანობით ხალხის ზე-

1 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 166.

2 ვაჟა-ფშაველე, თხზულებანი, ტ. IX, 1964 წ., გვ. 304.



პირსიტყვიერებაში შევიდა და უფართოეს მასებს დაეუფლა. ხი ამ ნაწარმოების არა მარტო სენტენცია-აფორიზმებს სწავლობდა, არამედ მის ვრცელ ნაწყვეტებსაც, ხოლო ზოგიერთმა ქართველმა ეს ვებებრთველა ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა.

შოთა რუსთაველი, როგორც პოეტური სიტყვის ჯადოქარი, უდიდეს გავლენას ახდენდა მთელ ქართულ მწერლობაზე.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე სრულიად სამართლიანად წერდა:

„რუსთაველი ეკუთვნის ისეთ გენიოსთა რიცხვს, რომლებიც ზღბიან შემდგომი თაობების აზრთა და გრძნობათა მფლობელად. ქართულ ლიტერატურაში, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის შემდეგ ჰქონდა დაცემისა და აღორძინების პერიოდები, რუსთაველი ნამდვილი კანონმდებელი გახდა. ამ ლიტერატურისათვის უცნობია ფსევდოკლასიკური მიმართულება იმ გაგებით, როგორც ეს გვესმის ევროპისა და რუსეთის ლიტერატურის ისტორიაში, სამაგიეროდ მას აქვს პერიოდი თავისი ფსევდოკლასიციზმისა — რუსთაველის კლასიკური პოეზიისადმი ყოველმხრივი მიბაძვის მიმართებით.

„შემდგომ საუკუნეთა პოეტებისა და მწერლების აღიარებით „სიბრძნითა საესე რუსთველი“, „თვით მინდობილი სიბრძნეთა“, „არის სიბრძნის ტბა“, რომელთან შედარებით დანარჩენები არიან მხოლოდ „ვარსკვლავები“. მისდამი მოწიწება და მისი ავტორიტეტის წინაშე ქედის მოდრეკა იქამდე მიდიოდა, რომ ეს პოეტები და მწერლები თავიანთ ნაწარმოებთა დასაწყისში შთაგონებისათვის მიმართავდნენ არა მუზეებს, არამედ სწორუპოვარი პოეტის სახელს, რომელსაც ეუბნებიან: „აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცენება თქმისა“<sup>1</sup>.

რუსთაველის გავლენა ბუნებრივად გადმოდის ახალ ქართულ ლიტერატურაში. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი მრავალგვარი მნიშვნელობით წარმოგვიდგება. მთავარი ისაა, რომ რუსთაველი აქაც აღიარებულია, როგორც მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ოსტატი, ხოლო მისი პოემა — მაღალი ადამიანური ზნეობის შთამაგონებელი ნაწარმოები.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა მწერლობამ რუსთაველის პოემიდან განსაკუთრებით წინ წამოწია პატრიოტიზმის მოტივი. ეს

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, 1952 წ., გვ. 152.

სრულიად კანონზომიერი შედეგია იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისა, რომელიც შექმნილი იყო იმდროინდელ საქართველოში. რუსული მმართველობის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისადმი მკაცრი და უღმობელი დამოკიდებულება ბუნებრივად იწვევდა მასების სამართლიან უკმაყოფილებას. ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეით შთაგონებული ქართული მწერლობისათვის მიზნადგული გახდა მამულისათვის თავდადების კეთილშობილური გრძნობა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის ესოდენ დამახასიათებელია.

მეცხრამეტე საუკუნეში „ვეფხისტყაოსანს“ ახალი მნიშვნელობაც ენიჭება, სახელდობრ ის, რომ ამ დროს რუსთაველის პოემა გამოყენებულია როგორც უტყუარი ლიტერატურული დოკუმენტი ქართველი ერის დიდი ისტორიულ-კულტურული წარსულისა. ეს მომენტი საგრძნობია არა მარტო რომანტიკოს პოეტებთან, რომელნიც „ვეფხისტყაოსანს“ ხშირად ძველი საქართველოს გაიდევლების მიზნით ახსენებენ ხოლმე, არამედ ესევე მოგვლენა თავს იჩენს აგრეთვე პუბლიცისტიკასა და საისტორიო მწერლობაში. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანს“ პირველად სოლომონ დოდაშვილი იხსენიებს, ხოლო საუკუნის მეორე ნახევარში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით, ილია ქავჭავაძე და მისი თანამოაზრეები რუსთაველს მრავალგზის ასახელებენ საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იმავე ეპოქაში მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ცხარე პოლემიკა უხდება რუსთაველის პოემის ორიგინალობისა და, საზოგადოდ, მისი ლიტერატურული ღირსების დასაცავად.

კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესოა ქართველ რომანტიკოს მწერალთა დამოკიდებულება შოთა რუსთაველისა და მისი პოემისადმი. რომანტიკოსთა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი გმირები არა ერთგზის იხსენიებიან სხვადასხვა ასპექტით. ამგვარი ფაქტების აღნუსხვა და გაანალიზება გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

\* \* \*

1832 წლის დამდეგს „თბილისის უწყებების“ სალიტერატურო ნაწილში დაიბეჭდა სოლომონ დოდაშვილის წერილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“.



სოლომონ დოდაშვილის ეს თხზულება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მეცხრამეტე საუკუნეში პირველი საყურადღებო მეცნიერული ნაშრომია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებზე.

სოლომონ დოდაშვილი თავის წერილში მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქართველ ხალხს დიდი ისტორიული და კულტურული წარსული აქვს. საყოველთაოდ სახელმძღვანელო „ლოგიკის“ ავტორი ყველას გასაგონად აცხადებს, რომ „ქართველთა ძველთაგან ჰქონიათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ხელოვნებათა“.

სოლომონ დოდაშვილი, ქართველი ხალხის დიდი ლიტერატურული წარსულის ჩვენების მიზნით, საგანგებოდ ჩერდება ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდზე. იგი მაღალ შეფასებას აძლევს „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანს“. მისი თქმით, ეს ნაწარმოებები „დაფასებული არიან ფრიად მაღლად და დაიდებიან რიცხვსა შორის პირველთა ქმნილებათასა, მშვენიერებისა გამო მიუბაძველისა ფრასისა და აღმძვრელობისა გამო მრავალთა სახეთა“.

სოლომონ დოდაშვილი ასევე ქებით იხსენიებს ჩახრუხაძესა და მის „თამარიანს“. იგი ამბობს: „ლექსი ჩახრუხაძისა „თამარიანი“, ქება თამარ დედოფლისა, უმაგალითოჲსა თანხმობისა გამო თავისისა და ძნელის გვარისა გამო სტიხთასა ფრიად შესანიშნულ არს“.

სოლომონ დოდაშვილი ქართული მწერლობის ამ პერიოდიდან, რომელსაც „ოქროვან საუკუნეს“ უწოდებს, განსაკუთრებით გამოყოფს შოთა რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. იგი ამბობს:

„დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთაველისანი „ვეფხისტყაოსანი“<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილის ამ წერილს თავისი დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი პირველი ნაშრომი იყო, რომელიც მკითხველს ქართული ლიტერატურის მოკლე, მაგრამ ფრიად საგულისხმო წეცნიერულ დახასიათებას აწვდიდა. მრავალმხრივ განსწავლული ავტორი ქართული მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას ქართველი ერის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას უკავშირებდა. ბუნებრივია, რომ ახალი დროის ქართველობა, რომელიც თავისი სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას მწვავედ განიცდიდა, სოლომონ დოდაშვილის წერილში გარკვეულ სულიერ საზრდოს პოულობდა.

<sup>1</sup> ს. დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წ., გვ. 203.

სოლომონ დოდაშვილის ამ თხზულებების მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოდ წარმოგვიდგება, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ იგი რუსულ პრესაშიც გამოქვეყნდა და, მაშასადამე, მისი წყალობით ქართველი ერის კულტურულ წარსულს ადგილობრივი ენის არამცოდნე ადამიანთა წრეც ეცნობოდა. ასეთი წრე კი იმდროინდელ საქართველოში საკმარისად მრავალრიცხოვანი იყო.

\* \* \*

მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში გარკვეული მნიშვნელობით წარმოგვიდგება თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ შედგენილი ხელნაწერი ანთოლოგია. როგორც ცნობილია, ანთოლოგიაში მოთავსებულია ალექსანდრე ჰავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა რომანტიკოსთა ნაწერები.

ინტერესმოკლებული არაა, რომ გიმნაზიელებს ანთოლოგიაში შეუტანიათ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ნაწყვეტი. ანთოლოგიის შემდგენელთა არჩევანი შეჩერებულა პოემის ცნობილ ამბავზე „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა“ „ვეფხისტყაოსნისა“. ანთოლოგიაში შეტანილი ყოფილა ამ თავის პირველი ნახევარი (სტროფები 84-101)<sup>1</sup>. დროთა ვითარებაში ანთოლოგია დაზიანებულა. მას ამჟამად ოთხი გვერდი აკლია სწორედ იმ ნაწილში, რომელშიც „ვეფხისტყაოსანი“ იწყებოდა. ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში სულ ოცდათოთხმეტი სტრიქონია გადარჩენილი. იგი იწყება სტრიქონით „ცხენსა შეჯდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა“ და მთავრდება ცნობილი სტროფით:

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;  
მისგან კიდე არვინ შეპყვა. ავთანდილ უჩნს ვითა შვილი;  
ყველაკი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი,  
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი.

მოსწავლეთა ხელნაწერ ანთოლოგიაში „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტის შეტანა თავისთავად საგულისხმოა როგორც ისეთი ფაქტი. რომელშიც გამოხატულებას პოულობს ახალი ეპოქის ერთი სახელოვანი ლიტერატურული თაობის (ჯგუფის) ამდღეობის დამოკი-

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ყველგან მითითებულია 1937 წლის გამოცემის მიხედვით.



დებულება შოთა რუსთაველისა და მისი გენიალური ნაწარმოებ-სადმი. ამ თაობას ეკუთვნიან ნიკოლოზ ბარათაშვილი, დავით მაჩაბელი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ.

ახალგაზრდა ლიტერატორთა ამგვარი მიმართება „ვეფხისტყაოსნისადმი“ ბუნებრივი გამოხატულებაა ძველი ქართული მწერლობის, კერძოდ, აღორძინების პერიოდის ტრადიციის სიძლიერისა და იმ ლიტერატურული გარემოცვისა, რომელშიც ეს ანთოლოგია იქმნებოდა. მათთვის ცნობილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებული გავლენა ქართველი ერის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ ანთოლოგიის შემდგენელ ახალგაზრდებზე უშუალო გავლენას ახდენდა სოლომონ დოდაშვილის ის ნაშრომი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

## II

შოთა რუსთაველს, „ვეფხისტყაოსანსა“ და მის გმირებს ბევრი ქართველი რომანტიკოსი იხსენიებს. წინასწარ რომ ითქვას, ამ თვალსაზრისით შედარებით უხვ მასალას გრიგოლ ორბელიანი იძლევა, მაგრამ, როგორც შემდგომ ვნახავთ, დანარჩენ რომანტიკოსებთანაც რიგ საინტერესო მოვლენებთან გვაქვს საქმე.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს ერთ სატრფიალო ლექსში („როს ეჭვრეტ“) დასახელებული ჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ გმირები: ტარიელი და ნესტან-დარეჯანი. პოეტის შეგნებაში ნესტან-დარეჯანი თავიდანვე ნაგულისხმევია როგორც ქალური სილამაზისა და სინატიფის უმაღლესი განსახიერება. ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი ლექსის ადრესატს მაინცდამაინც ნესტან-დარეჯანს ადარებს, რათა ამ გზით მისი მაღალი ღირსებანი უფრო მკაფიოდ გვაგრძნობინოს.

იგი თავის ქების ობიექტს ასე მიმართავს:

როს ეჭვრეტ შენსა სიკეკლუცეს, შენსა სახეს, შენსა ქცევას,  
შენს გონებას, შენს საუბარს, მოძრაობას, მიმორხევას, —  
ტარიას დროს, მე არ ვიტყვი გაქედნენ თუ გაძაგებდენ,  
მაგრამ ნესტან-დარეჯანსა, ვიცი აღარ ახსენებდენ!

ასეთია ალ. ჭავჭავაძის ლექსში „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მოხსენიების ფაქტი.

\* \* \*

შოთა რუსთაველისა და მისი პოემისადმი გარკვეულ სიმპათიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქართული პატრიოტული რომან-



ტიზმის ტიპური წარმომადგენელი ალექსანდრე ორბელიანი. ეს დამოკიდებულება იმაში გამოიხატება, რომ იგი „ვეფხისტყაოსანს“ მრავალჯერ იხსენიებს თავის წერილებში და, გარდა ამისა, მანვე გენიოს პოეტს ერთი ლექსიც უძღვნა.

1852 წელსაა დაწერილი ალ. ორბელიანის ლექსი „რუსთაველი“. ალექსანდრე ორბელიანს რუსთაველი წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ღვთაებრიობამდე ამალღებული ადამიანი და „ყოვლის ზეციურის მადლით გაბრწყინებული“, მშობლიური ერისაგან სამარადისო დიდებით მოსილი პოეტი. ამ მიძღვნილი ლექსისათვის თავიდან ბოლომდე დამახასიათებელია პათეტიკური ტონი.

ალექსანდრე ორბელიანი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მიმართავს:

რუსთაველ!

ყოვლის ზეციურის მადლით გაბრწყინებულო,  
და ანგელოზებრ წმინდად ამომსუნთქველო!  
ნეტავი შითხრან, ანუ ზეცითგან გადმომძახონ,  
ვინ გადმოაქცია შენზედ მეტად კარგი უცხოება ნეტარებისა,  
ვინ მოგიტანა დიდ სულოვნობის რტო სასუფეველიდან?  
ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ აღმასითა  
და იმაში ანთებული სიყვარული ვინ გაჩენა?  
ვინ გაჩენა მომფრინავი სული, დაგნებული სურვილითა?  
ვინ გაურია შენს მტკინვარე ცრემლში აუარებელში სიტკბო...

ალექსანდრე ორბელიანი რუსთაველს აღიარებს როგორც პოეტს, რომელიც კაცთა შორის მეგობრობას, სათნოებასა და მაღალადამიანურ ზნეობას ქადაგებდა. ამიტომაც, — მიმართავს იგი გენიალური პოემის ავტორს: — „აგერ, ხედავ? ცა პატივს გცემს ღრუბლის გრგვინით!“

ალექსანდრე ორბელიანი, ადიდებს რა შოთა რუსთაველს, როგორც სწორუპოვარ პოეტს, ოცნებით თავს ევლება იმ ქვეყანას, ერს, რომელმაც კაცობრიობას ასეთი მწერალი და მოაზროვნე მისცა. იგი ასე მიმართავს რუსთაველს:

რომლის სამოთხისა ყვავილების სურნელებით აესილი ხარ?  
რომელ მხარის ედემის წყარო გისომს?  
რომელს სანუგეშო წალკოტში ხარ აღზრდილი?  
რამდენი გვარი ფრინველები ყოფილან შენთან მოსაუბრედ?  
რამდენი ბრძენისაგან დალოცვილხარ?  
რომლის ზრდილობიან საზოგადოს ეკუთვნი შენ?  
ვინ მოგართვა მხედრობისა გამოკვეთილი ბასრი ძლიერ?  
ის რა ტყე არის, შენგნით მოლბენ მხეც-ნადირნი გააფთრულნი?





გასაგებია, რომ ალექსანდრე ორბელიანის წარმოდგენაში „ყვავილებების სურნელებით“ სავსე ეს „სანუგეშო წალკოტი“, რომელიც შოთა რუსთაველს „ედემის წყაროს“ ასმევდა, მისი სამშობლო საქართველოა.

ალექსანდრე ორბელიანი რუსთაველსა და მის პოემას იხსენიებს ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე დაწერილ სტატიებში.

წერილში „ქართული უბნობა ანუ წერა“, რომელიც 1860 წელს ი. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნდა, ალექსანდრე ორბელიანი „ვეფხისტყაოსანს“ ასახელებს როგორც ენობრივად სანიმუშო ნაწარმოებს. მისი სიტყვით „ქვეყანაზედ მჯობთა მჯობი არ დაილევა არსად. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იმისთვის არის ისე კარგი, რომ ყოველი სიტყვა თავის<sup>1</sup> კავშირებით. ისე შეწყობილია, თავ-თავის ადგილს ყველა, ვითარცა საგანგებოს ხელოსნისაგან შეწყობილი, მარგალიტი ძვირფასი!“<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ორბელიანი ქართულ სალიტერატურო ენაში სამ სტილს განასხვავებდა, ხოლო თვითონ იგი თავისი ეპოქის მწერლობისათვის მდაბიურს ანუ დარბაისლურს ირჩევდა. იგი „ვეფხისტყაოსანს“ სწორედ ამგვარი ენით დაწერილ თხზულებად თვლიდა და მისი მიბაძვისაკენ მოუწოდებდა.

ალექსანდრე ორბელიანი ამბობდა:

„მგონია ყველანი დამეთანხმნენ უწინდელს ქართულს საეროს წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისათვის“<sup>2</sup>.

რალა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ენის ამგვარი დახასიათება გარკვეულ შუქს ფენს ალ. ორბელიანის საერთო პოზიციას ერთიანი სალიტერატურო ქართულის საკითხებზე პაექრობაში.

ალექსანდრე ორბელიანი „ვეფხისტყაოსანს“ იხსენიებს წერილში „ზოგიერთი შემჩნევა“. ამ წერილში, ისევე როგორც სხვა მთელ რიგ წერილებში, ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას ძველსა და ახალ ეპოქებში. მოულოდნელი არაა, რომ იგი უპირატესობას ძველს ანიჭებს. თხზულება თავიდან ბოლომდე დაწერილია იმ სულისკვეთებით, რომ ძველ საქართველოში მოსახლეობის ყველა ფენა, ურთიერთთანმობითა და დახმარებით, ერთნაირად ბედნიერი იყო.

<sup>1</sup> ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, 1879 წ., გვ. 178.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 183.

ალექსანდრე ორბელიანის აზრით, საქართველოში „დიდი უთაკილო შემწეობა იყო უწინ ერთმანერთისა, ერთი სიტყვით — უწინდელსა დროში ყველას ჰქონდა სარჩო. მართალია ღარიბობა იყო, მაგრამ არა ისეთი შესაბრალისი გაჭირვება როგორც ეხლა“<sup>1</sup>.

ალექსანდრე ორბელიანი თავის წერილში გარკვეულ ადგილს უთმობს ძველი ქართველი გლეხობის ყოფა-ცხოვრების გადმოცემას და მოსახლეობის ამ ძირითად ფენას საქმაოდ სიმპათიურად ახასიათებს. მისი სიტყვით, „ურმებზედ რომ გლეხი კაცები გენახათ, ყველას ასე უნაკლულოდ ეცვათ, რაც გლეხობას შეეფერება, რომ სასიამოვნო იყო იმათი ნახვა. აი ამისთანა ადვილი, კმასაყოფელი, უნაკლო და ერთგვარი ცხოვრება ჰქონდათ ჩვენს გლეხობას საქართველოში“<sup>2</sup>.

იმ მიზნით, რათა თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ეპოქაში იდეალური ცხოვრების ფაქტი ცხადყოფს, ალექსანდრე ორბელიანს მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი. შემთხვევითი არაა, რომ ორბელიანი რუსთაველის სტროფის მომარჯვებისას გარკვეულ მტკიცებასაც მიმართავს. იგი ამბობს:

„რუსთაველი ნამდვილის საქართველოს ცხოვრებიდგან დასწერდა ამ ლექსსა, თორემ ის აზრი არ მოაგონდებოდა გაელექსა. მაინც ისტორიით ვიცით, შეფე თამარის დრო იყო დიდი ბედნიერი დრო საქართველოში!.. ამის შემდგომ რა დროში ვიმყოფებით ახლა ჩვენა?“<sup>3</sup>

ალექსანდრე ორბელიანს თავისი აზრის ცხადსაყოფად მოაქვს „ვეფხისტყაოსნის“ საყოველთაოდ ცნობილი სტროფი:

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოდეს;  
ობოლ-ქერიენი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;  
ავის მქნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოდეს.  
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

შოთა რუსთაველის ამ სტრიქონებს პირდაპირ მოსდევს ალ. ორბელიანის სიტყვები: „ესეც შესამჩნევია, რომ მთელს ქვეყანას სამსამეფოდ ჰყოფს შოთა რუსთაველი და მაშინ იგი შეფეები ასე ასწორებენ ყოველს საქმეს, რომ თხა და მგელი ერთად ცხოვრობენ ტკბილად — კაცი ბოროტი და კაცი კეთილი. ყოველის კეთილით აღორძინებულთა მთელი ქვეყანა, სადაც ნაკლულევანება არაფრისა აღარ

<sup>1</sup> ალ. ორბელიანი, თხზულებანი, 1879 წ., გვ. 230.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 231.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 257.



არის და ხალხი ფუფუნებს უმანკოების სიმდიდრით: კრავი ცხვართა ვერა სწოვდეს... ნუ მოვიწონებთ საქართველოს ძველსა დროსა? მაშ რა არის, თუ ახალი მიმართულება არ არის ეს, რომლისათვისაცა თავს იგლიან ბევრი ახლანდელი გამოჩენილი მსწავლული კაცები? ნაგრამ საწადელი შორსა გდია. კაცობრიობის კეთილმდგომარეობასა მაშინ უფრო ზრუნვიდნენ ძველი ქართველები მინამ ეხლა. თუ ახლანდელი განათლების მცირედი მაინც სცოდნოდათ რამე მაშინდელთა წრფელთა ქართველებსა, ეხლა ჩვენი კაცობრიობა დაწინაურებული იქნებოდა!<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე ორბელიანი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის სამეფოებში, რომლებიც მსოფლიოს მოიცავენ, საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად აღორძინებულია, რომ ადამიანთა შორის წინააღმდეგობა აღარ არსებობს. იქ ყველა თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და, მაშასადამე, ბედნიერია. ჩვენი რომანტიკოსის აზრით, კაცთა შორის ამგვარი ურთიერთობის ქადაგებით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ახალი მიმართულების დაშწყებად იქცა. ეს მიმართულებაო, — ამბობს ალ. ორბელიანი, — დღესაც ახალია და ბევრი თანამედროვე გამოჩენილი მეცნიერი საზოგადოებაში ასეთი მიმართულების დასანერგავად ნიადაგ ფიქრობს და გზებს დაეძებსო.

რალა თქმა უნდა, ალექსანდრე ორბელიანის ამ სტრიქონებიდან მხოლოდ წარსულის ქება-დიდება კი არ ისმის, არამედ სრულიად გარკვევით იგრძნობა ავტორის კეთილშობილური ოცნება კაცობრიობის ბედნიერ მომავალზე.

### III

შოთა რუსთაველთან მიმართების თვალსაზრისით მდიდარ და საინტერესო მასალას იძლევა გრიგოლ ორბელიანი. სახელოვანი რომანტიკოსი რუსთაველსა და მის პოემას იხსენიებს ლექსებში, პირად ბარათებსა და კრიტიკულ წერილებში. დაბოლოს, იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მეთაური „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიისა, რომელმაც პოემის 1888 წლის ცნობილი გამოცემა მოამზადა.

<sup>1</sup> ალ. ორბელიანი, თხზულებანი, 1879 წ., გვ. 256.

გრიგოლ ორბელიანი „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესებულნი ში-  
ჩანს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის ყველა პერიოდში.

მგრძნობიარე რომანტიკოსმა შოთა რუსთაველს პირველი გულ-  
თბილი სტრიქონები უძღვნა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ოც-  
დაათიან წლებში. გრიგოლი ამ ლექსში ამბობდა: „ვეფხისტყაოსანი“  
პოეტური ხელოვნების ისეთი ნიმუშია, რომელიც ჯამთა სვლამ ვერ  
შემუსრა და „ღამესა ბნელსა ვით მთოვარემან ბრწყინვით გამოვლო  
საუკუნენი“.

გრიგოლ ორბელიანმა რუსთაველის ქმნილებას ობოლი მარგა-  
ლიტი უწოდა და მისთვის მიბაძვა-მიმსგავსება პოეტური სიტყვის  
ოსტატთა საერთო ნატვრად დასახა. იგი ამბობდა:

ნეტარ ვინც ჩანვით განაცხოველებს  
ჯამთა ცხოვრების მსწრაფლ წამავალთა.  
ძველთა დროთაგან მისი თხზულება,  
ვით მარგალიტი დაგვშოა საუნჯეთ.

ასეთია გრიგოლ ორბელიანის პირველი ლექსი შოთა რუსთა-  
ველზე.

იმ დროს, როდესაც ეს სტრიქონები იწერებოდა (1832 წ.), ჩვენი  
რომანტიკოსი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს მხოლოდ ხელნაწერები-  
თა და ვახტანგ მეფის გამოცემით იცნობდა. იგი შემდგომში მომსწრე  
გახდა ამ პოემის ხუთი გამოცემისა<sup>1</sup>.

გრიგოლ ორბელიანი ამ გამოცემებსაც საფუძვლიანად იცნობდა.  
იგი ღრმად წვდებოდა გენიალური პოემის ყველა მხარეს.

გრიგოლ ორბელიანისათვის „ვეფხისტყაოსანი“ ნიადაგსაკითხა-  
ვი წიგნი იყო. იგი ამ პოემას არა მარტო ჩვეულებრივი, მშვიდობიან-  
ი ცხოვრების პირობებში კითხულობდა, არამედ თავისი სამსახურ-  
ებრივი მდგომარეობის გამო სამხედრო ბანაკებში ყოფნის დრო-  
საც არ ივიწყებდა მას.

დამახასიათებელია ერთი შემთხვევა: გრიგოლ ორბელიანი 1845  
წლის ივლისის ბოლოს პირად წერილში ილია ორბელიანს ავალებს,  
რომ დალესტანში გაუგზავნოს „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი ბექ-  
დური გამოცემა. იგი ძმას სწერს: „ერთი დ ა ვ ი თ ნ ი გამომიგზავ-  
ნე და ერთიც ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი პ ა ტ ა რ ა დაბეჭდილი“<sup>2</sup>.

ასევე ერთ პირად წერილში 1845 წელს გრ. ორბელიანი კვლავ

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდა 1841, 1846, 1860, 1867 და 1875 წლებში.

<sup>2</sup> გრიგოლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, ტ. I, 1936 წ.; გვ. 80. ივლის-  
ხმება „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა.



იხსენიებს შოთა რუსთაველს. გრიგოლი აქ თითქოს სრულიად შემთხვევით და სხვათა შორის ახსენებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, მაგრამ ამ შემთხვევითი გამონათქვამიდანაც ნათელი ხდება, თუ რაოდენ საფუძვლიანად იცნობდა იგი რუსთაველის გარშემო არსებულ ლიტერატურულ წყაროებს.

გრიგოლ ორბელიანი თავისი წერილის ადრესატს, ილია თარხნიშვილს, ერთგვარი ხუმრობის კილოთი მიმართავს:

„ქნიაზო ილიავ! ზაქარიას წიგნი გამოვატანე აღუტანტსა მასლოვსა; მაგრამ ერთი ანდაზა უნდა ვჰსთქვა: ანტონ კათალიკოზი სადღაცა ჰსწერს „ვსწუხვარ, რომ რუსთაველი ესრეთ დაშვრა ცუდად“ — იმისი არ იყოს, რომ საბრალო ზაქარიას გაუჭრელებია ერთი დიდი თაბახი შენთან და გთხოვს საქმის აღსრულებასა. რით ვერ გიცნა!“<sup>1</sup>

გამორიცხული არაა, რომ გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც ქართველი ერის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მთელი ისტორია ზედმიწევნით იცოდა, ანტონ კათალიკოსის ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც კარგად იცნობდა. კონკრეტულ შემთხვევაში შოთა რუსთაველზე ანტონის ამ გამონათქვამის გახსენების ფაქტიც ამგვარი ცოდნის ძალდაუტანებელი გამოვლინებაა.

გრიგოლ ორბელიანი შოთა რუსთაველს რამდენჯერმე იხსენიებს სამოციან-სამოცდაათიან წლებში გამოქვეყნებულ ლექსებში, პოემასა და კრიტიკულ წერილში.

შოთა რუსთაველი დასახელებულია გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოში“. პოემის იმ ნაწილში, რომელშიც ლაპარაკია თამარ მეფეზე, პოეტი იხსენიებს მეფესთან დაახლოებულ ადამიანებს და მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელიც სრულიად ბუნებრივად იხმის.

ქემშარიტად დიდებულია ის სანახაობა, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი მკითხველის თვალწინ შლის: „ვითარცა ღმერთი მშვენიერების.. ეგრეთ მშვენებით მოვალს თამარი!.. სხივ-ცისკროვანი იისი გვირგვინი უპყრავს დიდებას და სათნოებას“. ქართველი ერის ლამაზ დედას თან ახლავან სიბრძნითა და ქველობით საქვეყნოდ სახელმთხვეჭილი ადამიანები, რომელნიც სახელმწიფოს ხელმძღვანელ ბირთვის შეადგენენ. სწორედ აქ გრ. ორბელიანმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს „შოთა უკვდავი“ უწოდა:

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, წერილი ილია თარხნიშვილისა და ზაქარია ერისთავისადმი 1845 წლის 25 მაისის თარიღით.

მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი,  
 შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი;  
 მხედართ-მთავარი დიდი მხარგრძელი  
 და გამრეველი, ლომებრ გულადი!

ამ სტრიქონებს პირდაპირ მოსდევს საყოველთაოდ ცნობილი სურათი ვრ. ორბელიანის პოემიდან: „თამარის დროშა გაშალეს, შეკრება დიდუბეს ლაშქარი“ და სხვ.

სამოცდაათიან წლებში ვრ. ორბელიანმა შოთა რუსთაველი მოეხსენია თავის საპოლემიკო ლექსში „ბასუხი შეილთა“. როგორც ცნობილია, ამ პაექრობის დროს დაპირისპირებული ავტორები უმკაცრეს გამოთქმებსაც არ ერიდებოდნენ მოწინააღმდეგეთა გასაკილავად. გრიგოლ ორბელიანმა ახალი თაობის წარმომადგენლებს ამ ლექსში „ცრუ რუსთაველები“ უწოდა. იგი წერდა:

მათ უსწავლელთა,  
 ცრუ რუსთაველთა,  
 სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,  
 ენა შალალი,  
 მის ძალი, მადლი,  
 უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..

უკანასკნელი ლექსი, რომელშიც გრიგოლ ორბელიანი შოთა რუსთაველს იხსენიებს, არის მისი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. თავისი თანამედროვეობისადმი შეუურიგებელი რომანტიკოსი ოცნებით თავს ეველებს ბეთანიის მონასტრის კედელზე გამოჩატულ სახელოვანი მეფე-ქალის სურათს და ნატრობს, რომ მისი „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“. აქ შოთა რუსთაველი და მისი ნაწარმოები დასახულია როგორც ქართველი ერის გამოღვიძებისა და სულიერი განახლების უშრეტე წყარო. „სადღეგრძელოს“ ავტორი გულით ნატრობს, აღდგესო ძველი ივერი!

ზნე ამაღლებით;  
 ძლევის დიდებით,  
 სამშობლო მიწის სიყვარულითა! —  
 და გაგვიცოცხლდეს,  
 რომ კვლავც მოგვესმეს  
 სიტყვა ქართული რუსთაველისა,  
 რომ განვიღვიძნეთ,  
 გულით განვახლდეთ,  
 და განქრეს ბნელი უმეტრებისა!

\* \* \*

გრიგოლ ორბელიანი შოთა რუსთაველს იხსენიებს 1873 წელს გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში, რომელიც გიორგი წერეთელს შეეხება. წერილში განხილულია გიორგი წერეთლის თხზულება „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. გრიგოლი დასახელებულ ნაწარმოებს ენობრივი თვალსაზრისით იხილავს და მას სასტიკად აკრიტიკებს.

გრიგოლ ორბელიანი სამწერლობო ენის საკითხში ყოველთვის პრინციპული იყო და ერთიანი სალიტერატურო ენის დაცვას ყველა მწერლისაგან მოითხოვდა. ლექსში „პასუხი შვილთა“ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“

იმავე აზრს, რაც ზემოთ მოყვანილ სტრიქონებშია გამოთქმული, გრიგოლ ორბელიანი ავითარებს გიორგი წერეთლის თხზულებაზე დაწერილ კრიტიკულ სტატიაში. იგი აქ კიდევ უფრო ვრცლად და საფუძვლიანად მსჯელობს სალიტერატურო ენის თეორიულ საკითხებზე. ამ წერილზე შეჩერება იმითაცაა გამართლებული, რომ ჩვენი რომანტიკოსი ამ საკითხებზე მსჯელობის დროს ყურადღებას შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაზე ამახვილებს<sup>1</sup>.

გრიგოლ ორბელიანს ამ კრიტიკულ წერილშიც ის კეთილშობილური აზრი ამოქმედებს, რომ შენიშნოს ჩვენი მწერლების (კერძოდ, გიორგი წერეთლის) ზოგიერთ თხზულებაში შემჩნეული ენობრივ-სტილისტური უზერსულობანი და ამით ერთიანი სალიტერატურო ენის დაცვისაკენ მოუწოდოს. შეუძლებელია გულგრილი ვიყოთ იმ გულწრფელი განცხადების მიმართ, რომელსაც ავტორი ამ წერილში აკეთებს: „გავბედე ესე მხოლოდ სიყვარულისა-გამო ჩვენის ენისა, რომლის სიწმინდით შენახვა მსურს მე გულითა“.

წერილიდან გარკვევით იგრძნობა ჩვენი ავტორის აზრი ნაწარმოებში შინაარსისა და ფორმის ურთიერთობაზე; საზოგადოდ პოეტური სიტყვის გამომსახველობით მნიშვნელობაზე და სხვ. იგი ამბობს:

„ვითარცა ლამაზსა ტანსა უფრო გაალამაზებს შემკობილი სამოსელი და ჩვენცა მოგვწონს და შევხარით მას, ეგრეცა გამოჩენილ-

<sup>1</sup> როგორც ვიცი, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც სალიტერატურო ენის თვალსაზრისითაც სანიმუშო ნაწარმოებზე, ილია ჭავჭავაძემ მიუთითა ჯერ კიდევ 1861 წლის აპრილის სტატიაში.

ნიცა მწერალნი გვიხატავენ ჰაზრსა, არა თუ მხოლოდ ნათლად, არამედ ლამაზი ფორმითაცა, და სიტყვა მათი მომდინარეობს, ვითარცა წყალი, ხან მიძიმედ, დიდებულების სიამაყითა, ხან დამშვიდებული, ვითარცა დაწყნარებით რთინება ქალისა, და ხან მქუხარედ, ვითარცა შემაძრწუნებელი რისხეა! მაშინ, მსმენელიცა უნებლიეთ მიქსდევს სიტყვისა მის მდინარეობის ძალსა, გულით-გახარებული, გონებით-მიზიდული. ღონე-მიტაცებული, დამონებული!“<sup>1</sup>

პოეტური სიტყვისადმი ასეთი ამაღლებული დამოკიდებულება, საზოგადოდ, მწერლობის მაღალი დანიშნულების შეგნება უდევს საფუძვლად იმ მომთხოვნელობას, რომელიც გრიგოლ ორბელიანი-სათვის დამახასიათებელია. იგი მკაცრი და უღმობელია ყველა მწერლის მიმართ, რომელიც დაუდევრობით ან უცოდინარობით მშობლიური ენის ნორმებს არღვევს. ორბელიანი სრულიად დაჯერებული ამბობს: „რადგანაც ჰაზრი გამოითქმის ნათლად მხოლოდ სიტყვებისა კანონიერად გაწყობითა, ამისათვის საჭირო არის, რომ კანონები ესე იცოდეს მწერალმა და შეუწყველად იგი ჰხმარობდეს მათ; თორემ დარღვევითა მათითა ჰაზრი ბნელდება, ჰქრება, იკარგება და მკითხველსაც ესმის მხოლოდ რაღაცა სიტყვები, გაუგებელნი, თითქოს უცნობისა ენისა“.

გრიგოლ ორბელიანი, ისევე როგორც ყველა მოწინავე მწერალი და მოაზროვნე, ენის ბატონ-პატრონად ხალხს აღიარებს და იქვე სამართლიანად მიუთითებს, რომ სიტყვაკაზმული მწერლობის დახმარებით იგივე ხალხური ენა „უმეტეს და უმეტეს მშვენიერდება“.

გრიგოლ ორბელიანი იმავე კრიტიკულ სტატიაში წერს:

„ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვსწეროთო“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდესთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუშუშავებელი; ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩევს, კარგსა უვარგისისაგან არ გაჰსწმენდს. არ გაამშვენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოსში; მერე, იმ გაღამაზებულსა ენასა გამშვენიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევე იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა; და ამ სახით უმეტეს და უმეტეს მშვენიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს ნათლდებაცა მისი გონება“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 328.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 323.





მოტანილ სტრიქონებში ავტორის აზრი ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხებზე იმდენად ნათელია, რომ იგი კომენტარს აღარ საჭიროებს. თუ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ აქ ჩამოყალიბებული პოეტური მრწამსი უდევს საფუძვლად გრ. ორბელიანის შემოქმედებითს პრაქტიკას და იმავე საფუძვლიდან ეკამათებოდა იგი ზოგიერთ ჩვენს მწერალს, რომელსაც მშობლიური ენისადმი დაუდევრობას შენიშნავდა.

კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ „სადღეგრძელოს“ ავტორმა სამწერლობო და ხალხურ სამეტყველო ენის საკითხებზე მსჯელობისას სანიმუშოდ შოთა რუსთაველის პოემა დაასახელა. გრიგოლ ორბელიანი პირველი იყო, რომელმაც თქვა „ვეფხისტყაოსანს“ საფუძვლად უდევსო ქართველი გლეხის მეტყველება. იგი წერდა: „ვეფხისტყაოსანი რა არის, თუ არა იგივე სიტყვა ქართველის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად გაწყობილი და გამოთქმული? მაშასადამე, სიტყვასა უნდა გაწყობა, გაწყობასა ჰსწავლა, ჰსწავლასაცა უნდა შეეწეოდეს ნიჭი ბუნებითი!“<sup>1</sup>

ასე მსჯელობს გრიგოლ ორბელიანი და ამ მსჯელობიდან ერთხელ კიდევ იგრძნობა მისი, როგორც ერთიანი სალიტერატურო ქართული ენისათვის თანმიმდევარი მეზრძოლის, ღვაწლმოსილი პიროვნება. ამიტომაცაა, რომ ახლა უკვე ისტორიულ ჭეშმარიტებად ისმის ილია ჭავჭავაძის სიტყვები „სადღეგრძელოს“ ავტორზე ნათქვამი: „იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა. იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა“<sup>2</sup>.

\* \* \*

1888 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ხელახლა დაიბეჭდა. ეს გამოცემა განსაკუთრებით საყურადღებოა მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით. იგი მოამზადა სარედაქციო კომისიამ, რომელშიც ეპოქის ყველაზე მოწინავე ადამიანები შედიოდნენ. კომისიამ ხელნაწერებსა და წინა ბეჭდურ გამოცემებზე დამყარებით, დაახლოებით ხუთი-ექვსი წლის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტი, რომელიც, მეცნიერულთან ერთად, პოლიგრაფიულ-ტექნიკური თვალსაზრისითაც დღემდე რჩება როგორც ერთ-ერთი ულამაზესი გამოცემა გენიალური პოემისა.

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 324.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953 წ., გვ. 247.

კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ამ დიდძალი ეროვნული მნიშვნელობის კულტურული საქმის ერთ-ერთი მონაწილე და მეთაური გრიგოლ ორბელიანი იყო.

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად მუშაობა 1880 წლიდან დაიწყო. წინასწარი მოსამზადებელი შეხვედრა-საუბრების შემდეგ, 1880 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა დაინტერესებულ პირთა მათრგანიზებული ყრილობა (კრება).

გაზეთი „დროება“ წერდა:

„ორშაბათ საღამოს, 24 ნოემბერს, მოხდა პირველი ყრილობა ქართულ მწერლობის მოყვარულთა, რომელთაც აქვს განზრახვა დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ შეათანხმონ ხელთ-ნაწერ „ვეფხისტყაოსნებს“.

კრებას ესწრებოდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, თედო ჟორდანიანი, იონა მეუნარგია. აღექსანდრე მიქელაძე, ვ. მიქელაძე და სხვები. კრებაზე, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა, ლაპარაკი იყო მუშაობის მიზნებსა და ღონისძიებებზე. სიტყვები წარმოთქვეს გრ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა, პ. უმიკაშვილმა და სხვ.

კრებაზე გამოსულთა სიტყვებში გარკვეული იყო სარედაქციო მუშაობის ძირითადი საკითხები, მაგრამ იქვე გადაწყდა: „შრომის პროგრამა, რომელზედაც ილაპარაკეს ამ პირველ საღამოს, არ არის საბოლოო პროგრამა, რადგანაც თვითონ კითხვა და წაკითხულზე ზაასი გამოაჩენს ისეთ კითხვებს, რომლებიც დღეს თავში ვერაგის ბოუვა“.

იმავე კრებამ დაადგინა, რომ კვლავ გაგრძელებულიყო პოემის ხელნაწერთა შეგროვება. ამ მიზნით მოწოდების ბარათები უნდა დაგზავნოდა იმ პირებს, რომელთაც ასეთი ხელნაწერები მოეპოვებოდათ.

კრებამ, დასასრულ, გადაწყვიტა საორგანიზაციო საკითხები: აირჩია ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები.

„დროებაში“ ვკითხულობთ: „წერილების მიწერა და საზოგადოდ ამ საქმეში თაოსნობა ყრილობამ ერთხმად სთხოვა გრიგოლ ორბელიანს, რომელმაც სიამოვნებით ინება ამ საქმეში მონაწილეობის მიღება“.



თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი<sup>1</sup>.

მუშაობა გაჩაღდა.

საორგანიზაციო კრების გადაწყვეტილებებისამებრ მოწოდების ბართები დაიგზავნა და ხელნაწერებიც დაგროვდა. 1881 წლის თებერვლიდან უკვე დაიწყო პოემის კრიტიკული ტექსტის დასაადგენად ხელნაწერებისა და ბეჭდურ გამოცემათა შედარება. პირველი ასეთი სხდომა ჩატარდა 1881 წლის 6 თებერვალს. ესწრებოდნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, არქიმანდრიტი გრიგოლი, მიხეილ გურგენიძე, თედო ქორდანიანი, დ. დადიანი, გ. იოსელიანი და სხვები. ტექსტის კითხვაში მონაწილეობდნენ ოლღა ჭავჭავაძე, ნინო ორბელიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანსკი და ა. შაიშმელაშვილი. სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე ახალგაზრდა მოსწავლეები.

ამ სხდომას რაღაც მიზეზით ვერ დასწრებია აკაკი წერეთელი. „დროების“ მიმომხილველი წერდა: „აკაკი წერეთელი არ იყო სხდომაზე და მისი მოუსვლელობა ბევრს გაუკვირდაო“.

სხდომას თავმჯდომარეობდა გრიგოლ ორბელიანი.

ამ დროს კომისიას ხელთ ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ოცდამეორე ხელნაწერი და ყველა ბეჭდური გამოცემა. პირველ სხდომაზე ტექსტს (მარი ბროსეს გამოცემას) კითხულობდა რაფიელ ერისთავი.

კომისიამ პირველსავე სხდომაზე გარკვეული შედეგები მიიღო. პირველ ყოვლისა რედაქციამ ნაწარმოების სათაური დააზუსტა. სხდომამ, გრიგოლ ორბელიანის წინადადებით, პოემის სათაურად „ვეფხისტყაოსანი“ დააკანონა.

სხდომის ანგარიშში, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა, ნათქვამია:

„პირველი წერაქვი რედაქციისა მოხვდა ასო ვ-ს. ნაცვლად „ვეფხისტყაოსნისა“, როგორც ხელნაწერებიდან აღმოჩნდა, უნდა იყოს „ვეფხისტყაოსანი“. ეს სიტყვა თითონ თავმჯდომარემ ამჯობინა უწინდელურს. მაშ ამის იქით, დაბეჭდილ წიგნებს მაინც „ვეფხისტყაოსანი“ ერქმევათ, როგორც აბრამს ღვთის გამოცხადების შემდეგ აბრაამი დაერქვა“.

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“ 1880 წ., № 250. ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაზე „დროების“ მკითხველებს სისტემატურ ცნობებს აწვდიდა იონა მელუნარია.

ინტერესმოკლებული არც ისაა, რომ იმავე სხდომაზე გრიგოლ ორბელიანს თავისი აზრი გამოუთქვამს პოემის ტექსტის თაობაზე. როგორც ჩანს, იგი უპირატესობას ანიჭებდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეულ ტექსტს. მისი აზრი ამ საკითხზე „დროების“ მიმომხილველს ასე აქვს გადმოცემული: „თავმჯდომარემ სთქვა, რომ რადგანაც ვახტანგს, როგორც შეეძლო უკეთესი „ვეფხისტყაოსნები“ ეშოვა და უკეთესი ვარიანტებიდან დაებეჭდა პირველი გამოცემა პოემისა, ის უპირატესობას აძლევს ვახტანგის ვარიანტს“<sup>1</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მეორე სხდომა იმავე 1881 წლის 13 თებერვალს შედგა. სხდომას, გარდა ზემოდასახელებული მოღვაწეებისა, აკაკი წერეთელიც დაესწრო. აკაკი იქედან მოყოლებული ყოველთვის ცხოველმყოფელ მონაწილეობას იღებდა წამოჭრილი საკითხების განხილვაში.

მომდევნო სხდომებიდან კომისიის მუშაობაში ჩაებნენ დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი და დავით გიორგის ძე ერისთავი.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია წლების მანძილზე მუშაობდა საორგანიზაციო (პირველი) კრებიდან მოყოლებული კომისიის თავმჯდომარე გრ. ორბელიანი იყო. გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ კომისიას სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე. ამ მუშაობის შედეგად 1888 წელს „ვეფხისტყაოსნის“ აწ უკვე საყოველთაოდ ცნობილი გამოცემა განხორციელდა.

ასეთია გრიგოლ ორბელიანის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მიმართება შოთა რუსთაველის გენიალური პოემისადმი.

#### IV

შოთა რუსთაველი მრავალგზის იხსენება ვახტანგ ორბელიანის ნაწერებში. აქაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი აღიარებულია როგორც დიდი ჰუმანისტი და პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატი, რომელიც გაგლენას ახდენს ქართველი ერის მთელ ცხოვრებაზე.

ვახტანგ ორბელიანი რუსთაველს პირველად ახსენებს ლექსში „იმედი“. იგი ამბობს: ქართველ ხალხს ღღესაც ამხნვევებს და სულიერად ამალღებსო დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის სახელები:

აქა დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს;  
აქ რუსთაველის ლექსნი კვალად ატკობენ ყურსა.

<sup>1</sup> გაზეთი „დროება“, 1881 წ., № 31.



ასეთივე აზრით იხსენება შოთა რუსთაველი ვახტანგ ორბელიანის ლექსში „ნანგრევთა შუა ლამპარი“. ლექსის დასაწყისიდანვე ვიგებთ, რომ „ნანგრევთა შუა მდინარებდა ჩვენი ცხოვრება, ნანგრევთა შუა ივერიის ძე იზრდებოდა“. მომდევნო სტრიქონებში ხაზგასმულია ქამთა სიავის გამო ქართველი ხალხის ცხოვრების თანდათან გაუარესება, მაგრამ იქვე ნათქვამია, რომ „ქართველი სულით მაინც არ იყო მკვდარი: შთამომავლობა იყო გმირთა „მზის-თამარისა“ და „შენთ შუა ეგზნებოდა რაღაც ლამპარი“.

ვახტანგ ორბელიანის ამ ლექსში განუყრელადაა დაკავშირებული თამარის, როგორც მეფისა, და რუსთაველის, როგორც პოეტის, საქმეთა ბრწყინვალეობა. სწორედ მათი ნამოღვაწარის შუქი, როგორც ლამპარი, ქართველ ხალხს გზას უნათებდაო საუკუნეების მანძილზე. ჩვენი რომანტიკოსი პოეტი სრულიად დარწმუნებული ამბობს:

და თუ აქამდის არ დაეარგეთ სიბო გულისა, —  
იგია მადლი იმ ნათელის წმინდის ლამპრისა,  
მაგრამ აღაგზნო ვისმა ხელმა და გრძლად ეღვზნება?  
— აღაგზნო იგი დიდმა შოთამ, და არც განჭრება!  
სხიენი — მის ლექსნი, აღმომხდარნი მის მადლის სულით,  
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,  
მოკამყამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,  
აღმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი.

ვახტანგ ორბელიანს შოთა რუსთაველი მოხსენიებული ჰყავს ლექსში „ძველს მეგობარს“. ნაწარმოებში ავტორი ჩივის მარტოობაზე და თავისთან იწვევს ერთ ძველ მეგობარს, რათა მასთან საუბრით დატკბეს და დაივიწყოს ეს ადამიანური დარდები. ყველაფერიდან ჩანს, რომ ამ მეგობრებს აქამდისაც ხშირად უსაუბრიათ წუთისოფლის საჭირბოროტო საკითხებზე და ერთადვე ბევრი წიგნიც წაუკითხავთ. ახლაც პოეტი მეგობარს იმისთვის იწვევს, რომ მასთან ერთად გადაფურცლოს სამშობლო ქვეყნის ისტორიის „დიდი რვეული“.

ვახტანგ ორბელიანი, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, დიდად ნაკითხი ადამიანი იყო. იგი, ვარდა ქართულისა, მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებსაც ეწაფებოდა. პოეტი კონკრეტულ შემთხვევაშიც მეგობარს იწვევს იმისათვის, რათა კვლავ ერთად გადაიკითხონ რუსთაველის, შექსპირის, გოეთესა და შილერის უკვდავი ნაწარმოებები. იგი თავის ლექსის აღრესატს მიმართავს:

მოდე, აქ მიძევს თვალთ წინა რუსთაველის დიდი ქმნილება,  
იმის ფურჩენილის ლექსებით სული და გული დავტკბოთ,

გეტე, შექსპირი, შილლერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ. ვული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული. სამშობლოს ისტორიისა გადავხსნათ დიდი რვეული.

შოთა რუსთაველი ვ. ორბელიანს დასახელებული ჰყავს აგრეთვე ლექსში „მთის ქალი და მოგზაური“. ლექსის პირველი სტრიქონებიდანვე ცნობილი ხდება, რომ მოგზაური მოწადინებულია ქართველი მთიელი ქალი ცოლად შეირთოს, ხოლო „მთების ასული“ მას არ თანხმდება. უცხოელი მოგზაური ცდილობს ქალი დაინტერესოს იმით, რომ იგი მდიდარი და ლამაზი ქვეყნის ბატონ-პატრონია, თანაც ჩემი ქვეყნის დედოფალი შეიქმნებიო, — ჰპირდება მას, მაგრამ ქართველი ქალი მტკიცედ და ღრმამაზროვნად უპასუხებს: „მე ჩემი ქოხი მიჩვენია შენს დიდს პალატსა... მე აქ ვშობილვარ, აქ გავზრდილვარ. აქ უნდა მოგკვდე“.

ასეთია ლექსის საერთო სულისკვეთება და, რაც ამ შემთხვევაში მთავარია, ნაწარმოებში ხაზგასმულია, რომ მთიელი ქალის პიროვნებაში ამგვარი პატრიოტული გრძნობის აღზრდას, სხვა გარემოებებთან ერთად, ხელს უწყობდა შოთა რუსთაველის პოემის კეთილისმყოფელი გავლენა.

ქართველი ქალი ამბობს: მშობლებმა თავიდანვე ჩამინერგესო:

გულის სიწმინდე და სიმშვიდე, შურის შორს დგომა,  
 გლეხებთან ძმობა, შეწყალება ქვრივ-ოხერისა  
 და სიყვარული ჩვენის მიწის, ჩვენის კერისა;  
 პატივისცემა მოხუცისა და მისი სმენა  
 და რუსთაველის მშვენიერი და ტკბილი ენა.  
 მასწავლეს ესა, და აქ მთებში ესეცა კმარა,  
 და ჩემის ქვეყნის მოშორებას მეტყვი ნულარა.

შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ვახტანგ ორბელიანის ვრცელი ლექსი „ობოლი“. ნაწარმოებში, რომელიც არსებითად პოეტური ფანტაზიის ნაყოფია, ავტორი მოგვითხრობს გენიალური პოეტის ცხოვრებაზე ბავშვობიდან ვიდრე ჰაბუჯობის წლების ჩათვლით, სახელდობრ იმ დრომდე, როცა იგი, თავისი ნიჭის წყალობით, სამეფო კარს, პირადად თამარ მეფეს გაეცნო და დაუახლოვდა. ლექსი „ობოლის“ თაობაზე საინტერესო ცნობას გვაძლევს თვითონ ვახტანგ ორბელიანი. იგი წერს:

„ამ ლექსის დამწერს ხშირად გაუგონია მეფის ირაკლის ასულის თეკლესაგან; რომელიც გარდაიცვალა 1846 წელს, რომ საქართველოს სამეფოს სახლში ძველ დროთაგანვე სიტყვიერად შემდეგი გარდმოცემა იყო: შოთა რუსთაველი ყოფილა ობოლი, ტომით მეს-

ხი, სოფლის რუისთავედგან, რომლის სახელითაც იმ დროებში უწოდებიათ მისთვის რუისთაველი, შემდეგ საუკუნეთა განმავლობაში შეცვლილი რუსთაველად, რუსთველად. შოთა ყოფილა მშვენიერა სახის კაციო“<sup>1</sup>.

ნაწარმოები იწყება თხრობით იმაზე, რომ იყო ერთი ობოლი, რომელსაც ქვეყანაზე არცერთი გულშემატკივარი არ გააჩნდა. მაგრამ პოეტი იქვე გვეუბნება, რომ „ზრუნავდა იმ ობლისათვის ღმერთი მაღალი, მას ზედ ქონდა მიქცეული მოწყალე თვალი“. იმავე მწყალობელმა ღმერთმა უთვისტომო ობოლი ასე დალოცა:

გქონდეს ნათელი, წმინდა გული, ბრძენი გონება,  
 ძმობის, ერთობის, სიყვარულის მაღალი გრძნობა;  
 აზრი მდიდარი, ენა ტკბილი, სიტყვა დამწველი,  
 დიდების სხივით შემოსოს შენი სახელი!

ობოლმა ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო. იგი ერთხანს კოლხიდაში იყო, შემდეგ ხანგრძლივად ცხოვრობდა და სწავლას ეწაფებოდა საბერძნეთში, ხოლო საბოლოოდ სამშობლოს დაუბრუნდა. სწორედ ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე თამარი ბრწყინავდა. მშობლიურ საქართველოში დაბრუნებულმა სიბრძნით აღჭურვილმა ჭაბუკმამ, — გვეუბნება პოეტი:

დიდების სხივით შემოსილი ნახა თამარი,  
 იმისი სახე მშვენიერი და მომღიმარი,  
 მისი სიტურფე, მის სინაზე, მის თვალთ ნათელი,  
 ივერის მთაბართ და ერისა მანათობელი!

თამარის ბრწყინვალეობით შთაგონებულმა ახალგაზრდამ დაწერა „ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, საესენი სიბრძნით“.

იგულისხმება, რომ ავტორმა ეს „ლექსნი ტკბილნი“ თამარ მეფეს გაუგზავნა.

ვახტანგ ორბელიანის ლექსის უკანასკნელ ნაწილში წარმოდგენილია საკმარისად ძლიერი პოეტური სურათი, როდესაც თამარ მეფე გულისძგერით კითხულობს უცნობი ავტორის მიერ შეთხზული ლექსების კრებულს. როდესაც თამარს, მისივე ბრძანებით, უცნობ მე-ლექსეს წარუდგენენ, მეფე გულუხვად აჯილდოებს მას:

იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ მშვენება,  
 ჩემი სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება!

<sup>1</sup> ძვერნალი „ივერია“, 1882 წ., № 1, გვ. 104.

ლექსის უკანასკნელი სტრიქონიდან მკითხველისათვის ცნობილი ხდება, რომ პოეტი, რომელმაც სახელოვანი მეფის გული მოინადირა, „ის იყო შოთა, დიდი შოთა რუისთაველი“.

ასეთია ვ. ორბელიანის ლექსი „ობოლი“.

\* \* \*

ვანტანგ ორბელიანის ზოგიერთ ლექსში თავს იჩენს ავტორის მისწრაფება „ვეფხისტყაოსანთან“ ერთგვარი იდეურ-თემატიკური კავშირის დამყარებისა. ასეთი მისწრაფება იმაში გამოიხატება, რომ მის ლექსებს წამძღვარებული აქვთ რუსთაველის პოემის ცალკეული სენტენცია-აფორიზმები და აღებული თემის გადაწყვეტაც გამოყენებული სენტენცია-აფორიზმის შესაბამისად ხდება. ამ ლექსებში მთელი სიცხადით იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის იდეური გავლენა ჩვენს რომანტიკოსზე.

ვანტანგ ორბელიანის ლექსში „დედოფალი“ გადმოცემულია ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულისა და ამ საფუძველზე მათი შეუღლების პოეტური ისტორია.

მეფის წინაშე დგას ულამაზესი „ვინმე ასული“. ჭაბუკი მეფე ცოლად გაყოლის წინადადებას სთავაზობს ქალიშვილს, რომელიც მას უყვარს. ვაჟის მიმართვა ტრფობის ობიექტისადმი იმგვარია, რომ მის უანგარო სიყვარულში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ქალიშვილი ერთხანს თავს იკავებს, ვაჟის წინადადებაზე „დგას უპასუხოდ მშვენიერი თვალცრემლიანი“, მაგრამ ბოლოს მაინც თანხმობას უცხადებს. ჭაბუკის გულწრფელობაში დარწმუნებული ქალიშვილი თვითონაც გულახდილად უპასუხებს: „არ დაგიმაღავ, როგორც შენ მე, მეც მინახვიხარ, რად დაგიმალო? როგორც შენ მე, მე შენ მიყვარხარ!“

ლექსის ერთ ნაწილში გადმოცემულია ქალიშვილის მაღალგონიერი მოწოდება შეყვარებული მეფისადმი. იგი მოუწოდებს, რომ მეფე უპირველეს ყოვლისა მშობლიური ხალხისათვის თავდადებული უნდა იყოს, ყოველდღიურად ზრუნავდეს ქვრივ-ობოლთა მღვთმარეობის მოწესრიგებისათვის, საზოგადოდ, ერის კეთილდღეობისათვის. ლექსის ეს ნაწილი გამომხატველია ავტორის საერთო ჰუმანისტური იდეალებისა, ზოლო ნაწარმოების ძირითადი თემა მაინც ამალღებული მიჯნურობაა. მგოსანი მკითხველის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქალ-ვაჟს შორის სწორედ ასეთი მიჯნურობა იყო



და ასეთ საფუძველზე შეუღლებამ მათი ბედნიერი ცოლ-ქმრობა განაპირობა.

ვახტანგ ორბელიანის ამ ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს შოთა რუსთაველის ცნობილი აფორიზმი:

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასაღარი,  
 იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი!

ვახტანგ ორბელიანის კალამს ეკუთვნის კეთილშობილური ჰუმანიზმის გრძნობით გამთბარი ლექსი „გალია“. ლექსს წამძღვარებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები:

სადა გინდ ვიყო, რა მგამა,  
 ყოფამცა მქონდა ნებისა!

ამ ლექსში ავტორი ერთხელ კიდევ გვევლინება როგორც ჰუმანური ჰუმანისტი, რომელიც კაცთა შორის სათნოებასა და სიყვარულს ქადაგებს. პოეტის აზრით, თვით ფრინველიც კი ვერ ითმენს გალიაში გამომწყვდევას და მით უფრო მძიმე და აუტანელია ასეთი ტყვეობა ადამიანისათვის. ჩვენი რომანტიკოსი გადაჭრით გმობს ყოველგვარ ტყვეობას და მოითხოვს ადამიანის ღირსების დაცვას.

ლექსის ძირითადი იდეა გადმოცემულია მის დასასრულ სტრიქონებში:

ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა;  
 დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას, — მაშია ყოფა ნებისა.  
 ღვთის ქმნილს გალია არ შეენის, რად იყოს ტყვეობაშია?  
 ბევრით სჯობია სიყვდილი სიცოცხლეს გალიაშია.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს ლექსი მთლიანად, რუსთაველის ზემომოყვანილ სტრიქონებთან ერთად, ჰუმანურად კეთილშობილური ჰუმანიზმის მქადაგებელია და ამდენად ვახტანგ ორბელიანის პოეტურ პიროვნებას კიდევ უფრო ამაღლებულად წარმოგვიდგენს.

ვახტანგ ორბელიანმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ერთხელ კიდევ მოიხსენია ლექსში „პოეტს“. მან სწორედ ამ ლექსში, როგორც ცნობილია, მის მიერ ვაკრიტიკებულ მუხამბაზების კილოს რუსთაველის კილო დაუპირისპირა. იგი გადაჭრით ამბობდა:

მე მომეცი კილო რუსთაველისა,  
 გაფურჩქნილი ვით ყვაილი ველისა,  
 მოკამკამე, როგორც წყარო მცინარი,  
 ვით მდინარე, მშვენიერად მომდინარი.

ასეთია ვანტანგ ორბელიანის მიმართება შოთა რუსთაველისა და მისი პოემისადმი.

\* \* \*

შოთა რუსთაველისადმი განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულება საერთოა ყველა დროის ქართული მწერლობისათვის. როგორც ვნახეთ, გენიოსი პოეტისადმი ასევე გულითადობას იჩენდნენ ქართველი რომანტიკოსები.

ამ თვალსაზრისით ძირითადი და დამახასიათებელია ის ლიტერატურული მოვლენები, რომელთაც ზემოთ უკვე გავეცანით. გარდა ამისა, რუსთაველი მოხსენიებული ჰყავთ აგრეთვე მიხეილ თუმანიშვილს თავის წერილში ორმოცდაათიანი წლების ქართული თეატრის საკითხებზე და მამია გურიელს ნაწარმოებში „დედასთან მიწერილი თბილისიდან“. მაგრამ ეს მოხსენიება იმდენად ეპიზოდური ხასიათისაა, რომ იგი საგანგებო დაკვირვებისათვის მასალას არ იძლევა.

ნამდვილად დასანანიია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ლექსებსა და პოემაში შოთა რუსთაველი არ მოუხსენებია. მისი მიმართება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისადმი არსებითად იმაში გამოიხატა, რომ მან, როგორც ერთ-ერთმა ინიციატორმა, გიმნაზიელების მიერ შედგენილ ხელნაწერ ანთოლოგიაში შეიტანა გენიალური პოემის ნაწყვეტი. მანვე 1845 წელს დაწერილ პირად ბარათში გამოიყენა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ცნობილი ტაეპი.

მოსალოდნელია, რომ ქართველი რომანტიკოსების ნაწარმოებთა სრული კრებულების გამოცემის შემდეგ ამ თვალსაზრისით საინტერესო ახალი მასალებიც აღმოჩნდეს. ყოველი ასეთი მასალა სასიამოვნო შენამატი იქნება.

ს ა კ უ მ თ ა რ ს ა ხ ე ლ თ ა ს ა მ ი ე გ ე ლ ი \*

ა

აბაშიძე კიტა 62, 63, 78, 87, 174, 187, 218, 248, 258, 263, 272, 350.  
 ავალიშვილი ნიკოლოზ 124, 424.  
 ავთანდილაშვილი ზაალ 26, 98, 281.  
 აღექსანდრე პირველი (იმპერატორი) 9, 21, 74.  
 აღექსანდრე II, კახეთის მეფე („ანუ-კა ბატონიშვილი) 409 — 412.  
 აღექსანდრე III (იმპერატორი) 172, 173.  
 აღექსანდრე ბატონიშვილი 103, 104.  
 აღექსიშვილი ეფრემ 280, 281.

ანა დედოფალი 230.  
 ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო („ქერის-ვის ლიმონები“) 406, 408.  
 ანტონ კათალიკოზი 239, 460.  
 ანტონოვი ზურაბ 17, 18.  
 ანუკა ბატონიშვილი („ანუკა ბატონი-შვილი“) 409—412.  
 არისტოფანე 131—132.  
 არღუთინსკი (გენერალი) 167, 337.  
 აფხაზი ივანე 27, 162, 163.  
 აფხაზი კობტა 60.  
 ალა-მაჰმად-ხანი 20, 21, 140, 224, 356, 358—360, 362, 371.

ბ

ბაგრატიონი პეტრე 313.  
 ბაგრატიონ-მუხრანსკი ქეთევანი 466.  
 ბაირონი 328, 349, 374.  
 ბარათაშვილი ვიორგი 178.  
 ბარათაშვილი ეკატერინე 115.  
 ბარათაშვილი მელიტონ 308, 309, 314.  
 ბარათაშვილი ნიკოლოზ 5, 6, 10, 16, 29—31, 36, 39, 40, 42, 44, 45, 59, 60, 68, 69, 100, 112, 128, 145, 168, 177, 203, 247, 254, 261, 272, 274, 275, 278, 279, 281, 282, 285, 289, 293, 308—361, 364—383, 386—

388, 391—393, 400, 406, 413, 442, 445, 446, 448, 453, 454, 473.  
 ბარამიძე აღ. 228.  
 ბარიატინსკი 169, 170.  
 ბარონ როზენი (კავკასიის შოფარმარ-თებელი) 28, 116, 117, 164, 166.  
 ბერძინიშვილი ნიკოლოზ 289.  
 ბესიკი 31, 80—82, 100, 111, 200, 301, 336, 396, 443.  
 ბესტუფევე-მარლინსკი 294, 295, 297.  
 ბროსე მარი 466.  
 ბუასტი 219.

გ

გაბაშვილი ეკატერინე 466.  
 გაჩეჩილაძე დ. 329.  
 გერცენი ა. ი. 236.  
 გიორგი მეთორმეტე 11, 21, 92, 160, 381.  
 გოგებაშვილი იაკობ 136, 185, 357, 421, 466.  
 გოგიჩაიშვილი ფ. 186.

გოეთე 325, 468.  
 გოზალიშვილი გ. 235, 280.  
 გომართელი ივანე 426, 427.  
 გორგაძე სერგი 312.  
 გორდევევი გრიგოლ 241, 242.  
 გორკი მაქსიმ 33.  
 გრიბოედოვი 14, 44, 57 — 59, 74, 77.  
 გრიგოლი (არქიმანდრიტი) 466.

\* სამიხბელი შეადგინა მ. ინასარიძემ

გრიშაშვილი ი. 93.  
გუნია ვალ. 186, 413.  
გურამიშვილი დავით 219, 321, 336.

გურიელი გრ. 310, 422.  
გურიელი შამია ნ. 37, 45, 420—427,  
430—434, 436, 440—448, 473.

დავით აღმაშენებელი 153—155, 222,  
223, 257, 261, 430, 467.  
დავითი („თამარ ბატონისშვილი“) 417.  
დავით რეპტორი 47.  
დადიანი დ. 59, 466.  
დიანა („დიანას მეჭლიში“) 100, 101.  
დიმიტრი ბატონიშვილი 161, 165.  
დიუმბა ალ. 340, 342.  
დოდაშვილი სოლომონ 7, 13, 16, 23,

## დ

24, 26, 28, 45, 77, 92, 97, 98, 115,  
227—246, 279—281, 309—311,  
451—454.  
დონდუა კარპეზ 95.  
„დროება“ 58, 61, 97, 124, 173, 181,  
184, 217, 233, 234, 278, 399, 401,  
465—467.  
დუშინში („რაშიდ ვარდან-ოღლი“) 347, 438.

ეკატერინე მეორე (იმპერატორი) 13,  
20, 46, 47.  
ერეკლე მეორე 11, 20, 21, 91, 104,  
113, 140, 141, 147, 148, 156—161,  
197, 210, 215, 222—224, 240,  
260, 261, 275, 293, 319, 381, 357—  
367, 376, 406—408, 469.

## ე

ერისთავი გიორგი 15—19, 23—26, 44,  
61, 92, 98, 131—133, 233, 234,  
281, 285, 289, 311, 321, 322, 381,  
384, 399.  
ერისთავი რაფიელ 17, 19, 46, 100,  
185, 193, 247, 413, 441, 465, 466.  
ერისთავი რევაზ 177, 178.

ვაჟა-ფშაველა 12, 274, 356, 357, 364,  
379, 380, 430, 449.  
ვახტანგ გორგასალი 222, 430.  
ვახტანგ VI 31, 219, 222, 223, 239.

## ვ

459, 467.  
ვახუშტი 241.  
ვართნოკი მიხეილ სიმონის ძე 56,  
170, 420.

თამარ მეფე 87, 215, 216, 220, 222,  
223, 238, 257, 261, 430, 457, 460,  
461, 467, 469, 470.  
„თბილისის უწყებანი“ 24, 30, 98, 232,  
233, 281, 284, 285.  
თეიმურაზ I 31, 239, 321.

## თ

თეკლე, თეკლა ბატონიშვილი 113 —  
115, 122, 250, 469.  
თულაშვილი ვახტანგ 185, 466.  
თუმანიშვილი მიხეილ 37, 44, 45, 126,  
272, 279, 281, 282, 311, 381—398,  
454, 473.

„ივერია“ 5, 11, 46, 61, 173, 184, 218,  
219, 247, 252, 356, 357, 387, 391,  
426, 470.

## ი

ინგოროყვა პ. 324.  
იონან ბატონიშვილი 228.  
იოსელიანი პლატონ 131—133.

„იკავაზი“ 289, 384.  
კარბელაშვილი ვასილ 106.  
კარბელაშვილი პოლიექტოს 97, 98.

## კ

კეკელიძე კ. 32, 37, 228—240, 450.  
კერესელიძე გიორგი ივანეს ძე 189.  
კერესელიძე ივანე 18—19, 20, 61,



105, 110, 117—124, 130, 131, 133,  
138, 233, 283, 286, 289, 291.  
384—385, 399, 412, 421, 456.  
„კვალი“ 323, 357, 426, 427.

ლასხიშვილი გიორგი 424.  
ლაშა გიორგი 413—415, 417.  
ლერმონტოვი მიხეილ 14, 74, 85, 86,  
274, 328, 329, 349, 374.

მამაცაშვილი კონსტანტინე 30, 309,  
318.

მაჩაბელი აბესალომ დავითის ძე 283.  
მაჩაბელი დავით 6, 37, 45, 126, 233,  
279—286, 288—293, 297—304,  
306, 307, 311, 372—374, 454.

მაჩაბელი ივანე 465, 466.  
მგალობლიშვილი სოფრომ 400, 424,  
425.

მელიქიშვილი ლევან 30, 320.  
მესხი კოტე 413.

ნათელა („ნათელა“) 364.  
ნაპოლეონი 50.  
ნიკოლაძე ნიკო 14, 181.  
ნიკოლოზ პირველი (იმპერატორი) 14,

ოღლა (ი. ქავკავაძის მეუღლე) 184.  
ორბელიანი აღ. 6, 7, 23, 25, 28, 36,  
44, 45, 97—99, 105, 113—127,  
129—148, 152—159, 165, 179, 233,  
243, 248, 261, 264, 281, 309, 311,  
400, 408, 455—458.  
ორბელიანი გრ. 5—7, 13, 16, 23, 26—  
29, 31, 36, 39, 40, 42—45, 50, 51,  
56, 87, 92, 95—97, 104, 106, 110,  
111, 126—128, 145, 160—164,  
166—226, 237, 238, 247, 251, 253,  
254, 261, 272, 285, 293, 308—311,  
314, 316, 324, 325, 332, 336—340,  
345, 351, 357, 371, 381, 383, 385,  
387, 388, 394, 396, 397, 403, 443,  
453, 454, 458—467.

კიკნაძე ფილადელფოს 26, 229, 309.  
კოტეტიშვილი ვახტანგ 402.  
„კრებული“ 217.  
კრილოვი 44.

## ლ

ლიონიძე სოლომონ („ბედი ქართლი-  
სა“) 357, 365, 368, 375—376,  
360—364.  
ლორთქიფანიძე კირილე 147.

## მ

მესხი სერგეი 125, 126, 234, 465, 466.  
მესხიშვილი დიმიტრი 160.  
მესხიშვილი სარდიონ 178, 179.  
მეუნარგია ი. 165, 169, 176, 313, 423,  
465, 466.  
მირიან მეფე („იმედი“) 222, 259.  
მირზაყანა („მირზაყანას ეპიტაფია“) 199.  
მიცევეიჩი ადამ 44, 95, 98, 335, 336,  
374.  
„მნათობი“ 123, 124, 147, 424.

## ნ

28, 29, 36, 51, 52, 68, 69, 74, 77,  
93, 108, 166, 211, 213, 220, 225,  
ნინოშვილი გენატე 421, 422.  
ნუცუბიძე შ. 236.

## ო

ორბელიანი დიმიტრი თამაზის ძე 366,  
372—374.  
ორბელიანი ვახტანგ 7, 11, 17, 24, 28,  
29, 31, 36, 40, 44, 45, 51, 98,  
113—115, 126, 128, 235, 247—  
260, 262—277, 281, 309, 382—  
383, 387, 432, 467—469, 471—  
473.  
ორბელიანი ზაქარია 167, 314, 337.  
ორბელიანი ილია 168, 336—342, 459.  
ორბელიანი მამუკა 317, 320.  
ორბელიანი მამუკა 320.  
ორბელიანი მანანა 166, 383.  
ორბელიანი ნინო 324, 466.  
ოკროპირ ბატონიშვილი 25, 161, 165,  
235.

პასკევიჩი (მთავარმართებელი) 23.  
პაულიჩი 49, 114.

ჟორდანია თედო 465, 466.

რაზმაძე ალექსანდრე 105.

რაზმაძე სოლომონ 13, 24, 26, 28, 37,  
39, 41, 44, 45, 77, 91—98, 100,  
101, 103—112, 233, 310, 335—  
336, 434.

რილევი კონდრატ 14, 44, 74, 165,  
209, 235.

„სალიტერატურონი ნაწილი თბილი-  
სის უწყებთან“ 233.  
სამასი არაველი 222, 224.  
„საქართველოს მოამბე“ 136, 137,

ტერენციოსი 132.

უღაბნოელი („ანუა ბატონიშვილი“) 409—412.

ფარნავაზ მეფე 222, 237, 238.  
ფარნაოზ ბატონიშვილი 47, 48, 211.  
ფალავანდიშვილი იასე 28, 116.

ჭართლოსი („ქართლოს“) 298, 299.  
ჭეთევან დედოფალი („ჭეთევან დე-“

ლოლობერიძე ბესარიონ 186.

ყაზბეგი აღ. 12, 174, 184, 274, 364.  
ყაუხჩიშვილი ს. 238, 413.

შადური ვანო 236.

შალვა („თამარ ბატონისშვილი“)

პ

პეტუჩინი აღ. 14, 44, 74, 77, 94, 95,  
274, 297, 382, 387, 397.

ჟ

ჟუკოვსკი 40, 44, 96, 218.

რ

რუსთაველი შ. 7, 31, 79, 131, 177,  
216, 238, 239, 336, 449—452,  
454—462, 464, 467—469, 471—  
473.

რუსუდან დედოფალი 413—416.  
რჩეულიშვილი გრ. 7, 37, 44, 45, 126,  
138—141, 399—406, 408, 409,  
412, 413, 416—419.

ს

181, 182, 322.  
სოფიო („ბედი ჭართლისა“) 372, 377,  
364, 365.  
სულხან-საბა ორბელიანი 219, 336.

ტ

ტოტლებენი („ასპინძის ომი“) 20, 147.

უ

უმკიაშვილი პ. 122, 185, 465, 466.

ფ

ფალავანდიშვილი ნ. 116, 212.  
ფურცელაძე ანტონ 123, 283, 357.

ძ

დოფალი“) 364.  
ძეთევანი („სადღეგრძელო“) 222, 223.

ლ

ყ

ყიფიანი დიმიტრი 24, 26, 98, 126,  
128, 185, 186, 281, 467.

შ

414—418.  
შანიძე აკაკი 375, 376.

შანშიაშვილი იარალ 50.

შერვაშიძე მირიან 122.

შექსპირი 468.

შილერი 468.

## ჩ

ჩახრუხაძე 239, 336, 378, 452.

ჩოლოყაშვილი ოთარ („ანუკა ბატო-

ნიშვილი“) 409, 410, 412.

ჩუბინაშვილი დავით 61.

## ც

ცაიშვილი ს. 434.

„ცისკარი“ 15, 17, 20, 30, 61, 98, 100,

105, 117—123, 126, 129—134,

136—139, 156, 176—179, 181, 183,

189, 258, 278, 279, 283, 285, 286,

288, 289, 291, 292, 297, 300, 303,

304, 306, 321, 385, 399, 403, 405,

412, 413, 421, 456.

## წ

წერეთელი აკაკი 12, 14, 126, 128,

136, 157, 172—174, 185, 193, 214,

263—266, 274, 277, 283, 324,

357, 364, 401, 405, 421, 425, 427,

430, 433, 441, 466, 467.

წერეთელი გიორგი 12, 14, 174, 185,

217, 233, 323, 324, 357, 462, 465.

წერეთელი ექვთიმე 178, 181.

## ჭ

ჭავჭავაძე ალ. 5, 7, 13, 16, 20, 23,

26, 28, 31, 36, 38, 39, 42—69,

71—83, 86—90, 94, 97, 100, 110,

111, 176, 177, 190, 203, 247, 253,

289, 301, 309—311, 321, 323—

325, 348, 351, 382, 383, 388, 396,

403, 404, 442, 443, 453, 454.

ჭავჭავაძე გარსევან 20, 46, 47.

ჭავჭავაძე ეკატერინე 59, 194, 352.

ჭავჭავაძე ილია 5, 11, 12, 14, 16, 17,

19, 28, 36, 59—63, 113, 118, 119,

126—128, 130, 136, 139, 153, 159,

168, 173—176, 180—186, 188,

190, 191, 193, 203, 218, 219, 226,

233, 234, 247—250, 254, 258,

262—264, 266—268, 274, 277,

322, 324—326, 333, 343, 356, 357,

364, 371, 372, 376, 377, 379, 385—

387, 401, 405, 421, 425—427, 430,

433, 441, 448, 449, 451, 462, 464—

467.

ჭავჭავაძე ნინო 57, 59.

ჭიჭინაძე ზაქარია 264, 282, 310, 311,

399, 401.

ჭონჭაძე დანიელ 19, 138—143.

ჭუმბურიძე ვ. 402.

## ხ

ხახანაშვილი ალ. 15—17, 203, 211,

243, 248, 252, 382, 408, 420, 421,

436, 437.

ხელაშვილი იონა 227—232.

ხერხეულიძე ომან 240.

ხუნდაძე სიმონ 92—94, 107.

ხუციშვილი ს. 384, 400.

## ჯ

ჯავახიშვილი ივანე 21, 307.

ჯალალედინი („თამარ ბატონისშვი-

ლი“) 417, 418.

ჯორჯაძე დიმიტრი 170, 171.

## კ

კომეროსი 184.

კორაციორ 219.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა . . . . .	5
მესამე გამოცემის წინასიტყვაობა . . . . .	7
ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში	9
ალექსანდრე ჭავჭავაძე . . . . .	46
სოლომონ რაზმაძე . . . . .	91
ალექსანდრე ორბელიანი . . . . .	113
გრიგოლ ორბელიანი . . . . .	160
სოლომონ დოდაშვილი . . . . .	227
ვახტანგ ორბელიანი . . . . .	247
დავით შაჩაბელი . . . . .	278
ნიკოლოზ ბარათაშვილი . . . . .	308
მიხეილ თუმანიშვილი . . . . .	381
გრიგოლ რჩეულიშვილი . . . . .	399
მამია გურიელი . . . . .	420
ქართველი რომანტიკოსები და „ვეფხისტყაოსანი“ . . . . .	449
საკუთარ სახელთა საძიებელი . . . . .	474



Аполлон Семенович Махарадзе  
ГРУЗИНСКИЙ РОМАНТИЗМ  
(На грузинском языке)  
Издательство Тбилисского университета  
Тбилиси — 1967

რედაქტორი შ. რადიანი

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე  
ტექნიკური რედაქტორი დ. ლობჯანიძე  
კორექტორი ა. სტურუა

გადაეცა წარმოებას 26/VII-67 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-67 წ.,  
ანაწყოების ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92, სასტამბო თაბახი 30,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25,8.

შეკვ. № 5235

უე 11485

ტირაჟი 3000

ფასი 1 მან 75 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ., 1  
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1

სტამბა № 2, „ნაკადული“, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5  
· Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

